50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ

წიგნი 20

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2011

UDC (უაკ) 821.112.2(436)-312.6
Ȝ-541

„50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

ეს პროექტი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია პოპულარული.

სხვადასხვა გამოკითხვის საშუალებით, მკითხველი ირჩევს 50 საუკეთესო წიგნს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან. საქართველოში „კვირის პალიტრის“ ამ პროექტს მრავალი ათასი ადამიანი გამოეხმაურა. სწორედ მათი დადგენილია იმ რჩეული წიგნების ნუსხა, რომელიც „პალიტრამედიამ“ რეალურ ბიბლიოთეკად აქცია.

ეს წიგნი მსოფლიო ლიტერატურის ამ უნიკალური ბიბლიოთეკის ნაწილია.

© WILLIAMS VERLAG, Zurich, 1976
originally published as Stefan Zweig „Maria Stuart“
თარგმანზე უფლება მიღებულია საქართველოს ავტორთა საზოგადოებისგან www.sas.ge

© გამომცემლობა პალიტრა L, 2011
ყველა საავტორო უფლება დაცულია.

ISSN 1987-9628
ISBN 978-9941-422-81-2

შტეფან ცვაიგი

მარიამ სტიუარტი

ნონა კალანდარიშვილის თარგმანი

შესავალი

მკაფიო და ნათელი აზრი თვითონვე ამოიხსნება, გამოუცნობი კი შემოქმედებით ფიქრს აღძრავს. ამიტომაცაა, იდუმალების ბურუსით მოცული ისტორიული სახეები და მოვლენები ახლებურ აღქმასა და პოეტურ ახსნას რომ მოითხოვენ ჩვენგან. ამოუწურავი იდუმალების მომხიბლავ, კლასიკურ მაგალითად უნდა ჩაითვალოს მარიამ სტიუარტის ცხოვრების ტრაგედია. ისტორიას არ ახსოვს, რომელიმე ქალის ცხოვრებაზე ასეთი მდიდარი ლიტერატურა — დრამები, რომანები, ბიოგრაფიები შექმნილიყოს; არც ერთი ქალის ცხოვრებას არ გამოუწვევია ასეთი კამათი. არაერთი საუკუნეა, მისი ცხოვრება აღელვებს მწერლებს, იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. მისი სახე დღესაც შეუნელებელ ინტერესს აღგვიძრავს და ახალ ხორცშესხმას მოელის, რადგან ბუნდოვანება სიცხადეს მოითხოვს, წყვდიადი — სინათლეს.

მარიამ სტიუარტის იდუმალებით მოცულ ცხოვრებას სულ სხვადასხვანაირად ასახავენ და ხსნიან, ისევე როგორც მრავალფეროვანია თვით ეს გამოცანა. იშვიათად მოიძებნება ისტორიაში ქალი, ვისაც ასე სხვადასხვაგვარად ხატავდნენ: ხან მკვლელად გამოჰყავთ, ხან წმინდანად, ხან უჭკუო ინტრიგანად. საოცარია, მაგრამ მისი ცხოვრების სხვადასხვაგვარად ასახვა ჩვენამდე მოღწეული ცნობების სიმცირით კი არ არის გამოწვეული, არამედ მათი მეტისმეტი სიუხვით. ათასობით საბუთი, ოქმი, აქტი, წერილი, ცნობაა შემონახული. სამას წელზე მეტია, დიდი გატაცებით მსჯელობენ, ვერ გადაუწყვეტიათ, დამნაშავეა თუ უდანაშაულო. მაგრამ რაც უფრო ყურადღებით ვსწავლობთ წყაროებს, ნაღველი გვერევა და ვრწმუნდებით, რომ ყველა ისტორიული საბუთი საეჭვოა (იქნებ მისი პორტრეტებიც), რადგან არც დოკუმენტთა სიძველე, არც გულმოდგინედ შემოწმე-

ბული მისი არქივის სინამდვილე და ხელწერა მისი საიმედობის ან ადამიანური სიმართლის საწინდრად არ გამოდგებიან.

მარიამ სტიუარტის მაგალითზე ნათლად ჩანს, რა უჩვეულოდ განსხვავებულად ხსნიან თანამედროვენი ერთსა და იმავე მოვლენას. ყოველ დასაბუთებულ „ჰოს“ უპირისპირდება ასევე დასაბუთებული „არა“. ყოველ ბრალდებას მიტევება მოსდევს. სინამდვილეს იმდენი ტყუილი ურევია, ფაქტებს კი — გამონაგონი, კაცს სხვადასხვა შეხედულება ექმნება. ვინც მოინდომებს დაამტკიცოს, მარიამ სტიუარტი ქმრის მკვლელობაში მონაწილეობდაო, ხელთ უამრავი ფაქტი ექნება, ხოლო, ვინც საპირისპირო მტკიცებას მოჰყვება, არც ამისი დადასტურება გაუჭირდება. ათასნაირ საღებავს მოძებნით მისი პორტრეტის შესაქმნელად. როცა ჩვენამდე მოღწეულ გადმოცემებში პოლიტიკური ზრახვანი ან ნაციონალური პატრიოტიზმი იჭრება, საოცრად მახინჯდება სურათი. კაცის ბუნება ასეთია, როცა ორი ადამიანი, ორი იდეა, ორი მსოფლმხედველობა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება, ვერ გაუძლებს ცდუნებას და ან ერთს მიემხრობა, ან მეორეს. ეცდება, ერთი გაამართლოს, მეორეს კი ბრალი დასდოს; ერთი დაადანაშაულოს, მეორეს პატივი მიაგოს. თუ ისევე, როგორც ამ შემთხვევაშია, ავტორთა უმრავლესობა ერთ-ერთ მებრძოლთა ბანაკს ეკუთვნის, ერთი რელიგიის ან მსოფლმხედველობისანი არიან, მათ შეხედულებათა ცალმხრივობა წინასწარ იგრძნობა. პროტესტანტმა ავტორებმა მთელი დანაშაული მარიამ სტიუარტს გადააბრალეს, კათოლიკეებმა კი — ელისაბედს. ინგლისელებს მარიამ სტიუარტი თითქმის ყოველთვის კაცისმკვლელად მიაჩნდათ, შოტლანდიელებს კი საზიზღარი ცილისწამების უდანაშაულო მსხვერპლად. განსაკუთრებით დიდი დავაა „ზარდახშის წერილებზე“. თუ ერთნი ცილისმწამებლურად ამტკიცებენ მათ სინამდვილეს, მეორენი ასევე ცილისმწამებლურად უარყოფენ. ერთი სიტყვით, ყოველ წვრილმანში მიკერძოება იგრძნობა. იქნებ სწორედ ამიტომაცაა, რომ ვინც ინგლისელი ან შოტლანდიელი არ არის, არც მისი სისხლით ნათესავია და მეტი უნარი შესწევს, ობიექტურად, მიუკერძოებლად განსჯისა. იქნებ მარიამ სტიუარტის იდეით შთაგონებულმა, მაგრამ არა რომელიმე პარტიის მომხრე მხატვარმაც უკეთ შეძლოს ამ ტრაგედიის ასახვა, ოღონდ მის მხრივ მიუტევებელი კადნიერება იქნებოდა, ემტკიცებინა, დედოფლის ცხოვრების

ყოველი წვრილმანი ვიციო. ერთადერთი, რაც ხელმისაწვდომია მისთვის, ესაა, დაუშვას ალბათობის მაქსიმუმი, ხოლო იმას, რასაც იგი თავისი ჭკუითა და სინდისით ობიექტურად თვლის, შეიძლება სუბიექტურობის ელფერი დაჰკრავდეს. ჭუჭყიან, ამღვრეულ ნაკადში უნდა ეძებოს სიმართლე. რახან თანამედროვეთა ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ყოველი წვრილმანი უნდა აწონ-დაწონოს ბრალმდებელთა და მოწმეთა ნათქვამიდან, მაგრამ რაოდენ სიფრთხილეც უნდა გამოიჩინოს არჩევანში, პატიოსნად მოიქცევა თუ ზოგ შემთხვევაში თავისი მსჯელობა დააეჭვებს და თავს გამოუტყდება, რომ ესა თუ ის ეპიზოდი მარიამ სტიუარტის ცხოვრებიდან ბნელით მოცული, ამოუცნობი დარჩა და იქნებ სამუდამოდაც.

სწორედ ამიტომ, ყურად არ ვიღებთ წამებით, ძალდატანებით და დაშინებით მოპოვებულ ჩვენებებს: სიმართლის მოყვარული კაცი არ დაეყრდნობა იძულებით ჩვენებებსა და არ მიიჩნევს მათ სრულყოფილად და სანდოდ, ისევე, როგორც არ არის სანდო ჯაშუშებისა და ელჩების მიერ მოწოდებული ცნობები (მაშინდელ დროში ამ სიტყვებს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა) და ყოველ საბუთს ეჭვის თვალით შეხედავს.

თუ მე იმ აზრისა გახლავართ, რომ სონეტები და „ზარდახშის წერილების“ უმრავლესობა სანდოა, აქამდე ყოველი გარემოების გულმოდგინედ აწონ-დაწონამ და აგრეთვე შინაგანი ხასიათის მოტივებმა მიმიყვანა. როცა საარქივო მასალებში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი მხვდებოდა, ორივეს ვამოწმებდი, სათავესა და პოლიტიკურ მოტივს ვუძებნიდი. თუ მათ შორის არჩევანი უნდა გამეკეთებინა, ყოველთვის ვმსჯელობდი, ყოველი ცალკეული ნაბიჯი ფსიქოლოგიურად რამდენად შეეხამებოდა მთელ ხასიათს. აი, ეს გახლდათ ჩემთვის მთავარი საზომი.

მარიამ სტიუარტის ხასიათი ჩამოყალიბებულია, წინააღმდეგობა მხოლოდ მის გარეგნულ განვითარებაშია, შინაგანად კი სრულიად გამოკვეთილია. იგი იმ მეტისმეტად იშვიათ, ამაღელვებელ ქალთა ტიპებს ეკუთვნის, რომელთა მღელვარე განცდათა უნარი თითქოს დროის მარწუხებშია მოქცეული, წუთიერად იფურჩქნებიან და თანდათანობით კი არ ჭკნებიან, ერთიანი გზნების ცეცხლში იფერფლებიან. ოცდასამ წლამდე მისი გრძნობები მიყუჩებული იყო და შემდეგაც, ოცდახუთ წლამდე, მდორედ მიედინებოდა, ერთხელაც კი არ

აბობოქრებულა. ორი წლის განმავლობაში კი მძვინვარე სტიქიად, ყოველდღიურ ბედის უკულმართობად, ანტიკურ „ორესთეას“ მსგავს დიდ ტრაგედიად იქცა. მხოლოდ ამ ორი წლის განმავლობაში წარმოგვიდგება მარიამ სტიუარტი ტრაგიკულ ქალად. სწორედ ამის გამო მაღლდება საკუთარ თავზე, გააფთრებით ანგრევს თავის ცხოვრებას და უკვდავს ხდის. იმ ვნების წყალობით, იგი რომ დაფერფლა, ახლაც ცოცხლობს ლექსებში, კვლავ პაექრობენ მასზე.

მისი შინაგანი ცხოვრების ეს უჩვეულო სიმტკიცე, ერთიან მგზნებარე წუთად რომ იქცა, მიგვანიშნებს მარიამ სტიუარტის ცხოვრების აღწერის ფორმასა და რიტმზე. მხატვრის საქმეა აღწეროს სწრაფ აღმავალი და ასევე მოულოდნელად დაფერფლილი, განუმეორებელი თავისებურება. ამიტომ კადნიერებად ნუ ჩამითვლის მკითხველი, თუ ესოდენ ვრცელ დროის მონაკვეთს, პირველ ოცდასამ წელიწადს მარიამ სტიუარტის ცხოვრებისას და ასევე მისი პატიმრობის ოც წელიწადს, იმდენივე ადგილი აქვს დათმობილი, რამდენიც მისი ტრაგიკული ტრფობის ორ წელიწადს.

ცხოვრებაში გარეგანი და შინაგანი დრო პირობითად ემთხვევა ერთმანეთს. სულის საზომს მხოლოდ განცდათა სისრულე წარმოადგენს. იგი თავისებურად ითვლის შინაგანად განვლილ საათებს.

გრძნობებით მთვრალმა, ნიავივით თავისუფალმა, ბედისგან განებივრებულმა უმოკლეს ხანში იგემა სიცოცხლის ნეტარება, რის შემდეგ უშიშრად მიჰყვა უშინაარსო, უსასრულო წელთა სიმრავლეს, არარაობის ჩრდილებად რომ მიცურავდნენ.

აი, რატომაა, რომ განვლილი ცხოვრებიდან მხოლოდ დაძაბული, მღელვარე წუთები ამახსოვრდებათ. აი, რატომ შეიძლება მხოლოდ ამ წუთებში და ამ წუთების წყალობით სინამდვილის აღწერა. მხოლოდ მაშინ იკრებს ადამიანი სულიერ ძალებს, ჭეშმარიტად ცოცხლობს საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც; მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგება თვალდასანახად, როცა მისი სული მგზნებარედ ანთია.

მოქმედი პირნი

მოქმედების პირველი ადგილი	შოტლანდია 1542-1548 წწ.
მოქმედების მეორე ადგილი	საფრანგეთი 1548-1561 წწ.
მოქმედების მესამე ადგილი	შოტლანდია 1561-1568 წწ.
მოქმედების მეოთხე ადგილი	ინგლისი 1568-1587 წწ.

შოტლანდია

იაკობ V (1512-1542), მარიამ სტიუარტის მამა.

მარიამ დე გიზი ლოტარინგიელი (1515-1560), მისი მეუღლე, მარიამ სტიუარტის დედა.

მარიამ სტიუარტი (1542-1587).

ჯეიმს სტიუარტი, მერეის გრაფი (1533-1570), იაკობ V-ისა და მარგარიტა დუგლასის, ერსკინის ლორდის ასულის უკანონო შვილი, მარიამ სტიუარტის ნახევარძმა, შოტლანდიის რეგენტი მარიამ სტიუარტის მმართველობისა და მის შემდეგ.

ჰენრი დარნლეი (სტიუარტი) (1546-1567), ჰენრიხ VII-ის შვილიშვილის შვილი, თავისი დედის, ლედი ლენოქსის, ჰენრიხ VIII-ის დისწულის მხრივ, მეორე ქმარი მარიამ სტიუარტისა, რომელმაც იგი შოტლანდიის ტახტზე აიყვანა.

იაკობ VI (1566-1625), მარიამ სტიუარტისა და ჰენრი დარნლეის შვილი. მარიამ სტიუარტის სიკვდილის შემდეგ (1587) სრულუფლებიანი მეფე შოტლანდიისა, ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ (1603) ინგლისის მეფე იაკობ I.

ჯეიმს ჰეპბერი, ბოთველის გრაფი (1536-1578), შემდეგ ორკნეის ჰერცოგი, მარიამ სტიუარტის მესამე ქმარი.

უილიამ მაიტლენდი ლეტინგტონელი, მარიამ სტიუარტის სახელმწიფო კანცლერი.

ჯეიმს მელვილი, მარიამ სტიუარტის სანდო დიპლომატი.

ჯეიმს დუგლასი, მორტონის გრაფი, მერეის მოკვლის შემდეგ შოტლანდიის რეგენტი. სიკვდილით დასაჯეს 1581 წელს.

მეთიუ სტიუარტი, ლენოქსის გრაფი, ჰენრი დარნლეის მამა. მთავარი ბრალმდებელი მარიამ სტიუარტისა მკვლელობაში.

არგაილი
არანი
მორტონ დუგლასი
ერსკინი
გორდონი
ჰარისი
ჰანთლეი
კერკოლდი
გრეინჯი
ლინდსეი
მარი
რუტვენი

ლორდები, რომლებიც ხან მარიამ სტიუარტს ემხრობოდნენ, ხან მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ; ურიცხვ შეთქმულებათა და შინაბრძოლათა მონაწილენი. თითქმის ყველამ სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა.

მერი ბიტონი
მერი ფლემინგი
მერი ლივინგსტონი
მერი სეტონი

ოთხი მერი, მარიამ სტიუარტის თანატოლები და მეგობრები.

ჯონ ნოქსი (1505-1572), რეფორმისტული ეკლესიის მოძღვარი, მარიამ სტიუარტის დაუძინებელი მტერი.

დავით რიჩო, მუსიკოსი, მარიამ სტიუარტის მდივანი, მოკლეს 1566 წელს.

პიერ დე შატელიარი, ფრანგი პოეტი მარიამ სტიუარტის სამეფო კარზე, სიკვდილით დასაჯეს 1563 წელს.

ჯორჯ ბიუკენენი, ჰუმანისტი, იაკობ VI-ის აღმზრდელი, მარიამ სტიუარტზე ყველაზე ღვარძლიანი პასკვილების ავტორი.

საფრანგეთი

ჰენრიხ II (1518-1559), საფრანგეთის მეფე 1547 წლიდან.

ეკატერინე მედიჩი (1519-1589), მისი მეუღლე.

ფრანცისკ II (1544-1560), მათი უფროსი ვაჟიშვილი, მარიამ სტიუარტის პირველი ქმარი.

კარლოს IX (1550-1574), ფრანცისკ II-ის უმცროსი ძმა, მისი სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის მეფე.

ლოტარინგიის კარდინალი

კლოდ დე გიზი
ფრანსუა დე გიზი
ანრი დე გიზი

გიზები, მარიამ სტიუარტის ბიძები.

რონსარი
დიუ ბელე
ბრანტომი

პოეტები, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით ხოტბას ასხამდნენ მარიამ სტიუარტს.

ინგლისი

ჰენრიხ VII (1457-1509), 1485 წლიდან ინგლისის მეფე, ელისაბედის პაპა, მარიამ სტიუარტისა და დარნლეის პაპის პაპა.

ჰენრიხ VIII (1491-1547), მისი შვილი, მეფობდა 1509 წლიდან.

ანა ბოლეინი (1507-1536), ჰენრიხ VIII-ის მეორე ცოლი, ბრალად ედებოდა ქმრის ღალატი, სიკვდილით დასაჯეს.

მარიამ I (1516-1558), ჰენრიხ VIII-ის ქალიშვილი ეკატერინე არაგონელისგან. ედუარდ VI-ის გარდაცვალების შემდეგ ინგლისის დედოფალი.

ელისაბედი (1533-1603), ჰენრიხ VIII-ისა და ანა ბოლეინის ქალიშვილი, მამის სიცოცხლეშივე ბასტარდად ცნობილი. თავისი ნახევარძის გარდაცვალების შემდეგ ავიდა ინგლისის ტახტზე.

ედუარდ VI (1537-1553), ჰენრიხ VIII-ის ვაჟიშვილი, მესამე ცოლის, ჯოანა სეიმურისაგან. ბავშვობაში დანიშნეს მარიამ სტიუარტზე. მეფობდა 1547 წლიდან.

იაკობ I, მარიამ სტიუარტის ვაჟიშვილი, ელისაბედის მემკვიდრე.

უილიამ სესილი (1520-1598), ელისაბედის ყოვლისშემძლე და უერთგულესი სახელმწიფო კანცლერი.

სერ ფრენსის უოლსინჰემი, სახელმწიფო მდივანი და პოლიციის მინისტრი.

უილიამ დეივისონი, მეორე მდივანი.

რობერტ დადლეი, ლესტერის გრაფი (1532-1588), ელისაბედის მიჯნური, შემდგომ ქმრად შესთავაზა მარიამ სტიუარტს.

თომას ჰოუარდი, ნორფოლკის ჰერცოგი, პირველი წარჩინებული პირი სამეფოში, მარიამ სტიუარტის ხელის მაძიებელი.

ტოლბოტი, შრუსბერის გრაფი, ელისაბედის დავალებით მარიამ სტიუარტის მცველი თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ემიას პაულეტი, მარიამ სტიუარტის უკანასკნელი მეციხოვნე.

ქალაქ ლონდონის ჯალათი.

ჩვილი დედოფალი
1542-1548

ერთი კვირისაც არ იყო მარიამ სტიუარტი, შოტლანდიის დედოფალი რომ გახდა. ჯერ სიხარულის განცდაც არ შეეძლო, რომ უხვად დააჯილდოვა ბედმა. 1542 წლის დეკემბრის მოღუშული დღე იყო. ლინლიტჰაუს სასახლეში მარიამი დაიბადა, იქვე მახლობლად, ფოკლენდის ციხეში კი სასიკვდილო სარეცელზე სიცოცხლეს ეთხოვებოდა მამამისი, იაკობ V, ოცდათერთმეტი წლის ჭაბუკი. იგი მოექანცა მეფის გვირგვინის ტარებასა და ბრძოლებს. ბუნებით ხალისიან, მამაც რაინდს, გონებანათელ ვაჟკაცს უყვარდა ხელოვნება, ქალები... ხალხიც დიდ პატივს სცემდა. ხშირად გლეხის ტანსაცმელს გადაიცვამდა, სოფლურ დღესასწაულებს ესწრებოდა, ცეკვავდა და ხუმრობდა გლეხებთან. შოტლანდიაში დიდხანს ახსოვდათ მისი შეთხზული სიმღერები და ბალადები, მაგრამ ბოროტსვიანი გვარის ბოროტსვიანი შთამომავალი არეულ დროსა და არეულ ქვეყანაში ცხოვრობდა, ამან განსაზღვრა კიდეც მისი ბედი. მოუსვენარი, ძლიერი მეზობელი ჰენრიხ VIII ძალას ატანდა, რეფორმაცია* დაენერგა თავის ქვეყანაში, მაგრამ იაკობ V კათოლიციზმის ერთგული დარჩა. ამ განხეთქილებით ისარგებლეს შოტლანდიის დიდებულებმა და მშვიდობისმოყვარე და მხიარულ მეფეს მუდამ ომებსა და შფოთში ითრევდნენ. გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე, მარიამ დე გიზის ხელს რომ ეძიებდა, კარგად ესმოდა, რა მძიმე იყო მეფის გვირგვინის ტარება ამ ურჩ, მტაცებელ ხალხში.

„Madame, — სწერდა იგი მარიამს საოცარი გულწრფელობით, — ჯერ მხოლოდ ოცდაშვიდი წლისა ვარ და ცხოვრება ისე მიმძიმს, როგორც მძიმე გვირგვინის ტარება... ადრე დაობლებული პატივმოყვარე დიდებულთა ტყვეობაში მოვექეცი. კარგა ხანს დუგლასთა

ძლიერი გვარის ტყვე ვიყავი. მას შემდეგ მძულს ეს გვარიცა და მისი გახსენებაც უსიამოვნო მოგონებას აღმიძრავს. არჩიბალდი, ენგასის გრაფი, მისი ძმა ჯორჯი და ყველა მათი დევნილი ნათესავი ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ ინგლისის მეფეს. სახელმწიფოში არ მოიძებნება ისეთი დიდებული, მათ რომ არ მოესყიდოთ ოქროთი და უსინდისო დაპირებებით. სულ მუდამ საფრთხის შიშში ვართ. არც ისა მჯერა, ოდესმე ჩემი ნება-სურვილი და სამართლიანი კანონები აღსრულდეს. ეს ძლიერ მაშინებს, Madame და თქვენგან მოველი მხარდაჭერასა და რჩევას. უსახსროდ, საფრანგეთის მეფის ან ჩემი მდიდარი ეკლესიის მცირე მოწყალებით ვეცდები, გავამშვენიერო და განვაახლო ციხე-კოშკები, ავაგო გემები. მაგრამ ჩემი ბარონები მეფეში, ვისაც სურს ნამდვილი მეფე იყოს, საძულველ მეტოქეს ხედავენ, თუმცა სასოებას მანიჭებს საფრანგეთის მეფის მეგობრობა და მისი ჯარების მხარდაჭერა, ჩემი ხალხის ერთგულება, მაგრამ ვაითუ ვერ ვძლიო ბარონებს. ვერა სიძნელე ვერ შემაკრთობდა, ჩემი ქვეყნისათვის სამართლიანობისა და მშვიდობისკენ გზა რომ გამეკაფა. ვფიქრობ, მიზანს მივაღწევდი, ჩემს დიდებულებს მოკავშირე რომ არ ჰყოლოდათ. ინგლისის მეფე გამუდმებით შუღლს თესავს ჩვენ შორის, ხოლო მის მიერ ჩემს სახელმწიფოში დანერგილმა ერესმა* მოიცვა ყველა წოდება სამღვდელოებიდან დაწყებული მდაბიოებამდე. ერთადერთი ძალა, რომელსაც მე და ჩემი წინაპარნი ოდითგანვე ვეყრდნობოდით, იყო მოქალაქენი და ეკლესია. ახლა ვეკითხები ჩემს თავს: კიდევ დიდხანს იქნებიან ისინი ჩვენი დასაყრდენნი?“

ჭეშმარიტად, რაც კასანდრას წერილშია ნათქვამი, ყველა მისი ავბედითი წინასწარმეტყველება ახდა და კიდევ მრავალი დიდი უბედურება დაატყდა თავს მეფეს. ორივე ვაჟიშვილი, მარიამ დე გიზისაგან რომ შეეძინა, აკვანშივე მოუკვდა ჭაბუკ მეფეს. აღარა ჰყავდა მემკვიდრე გვირგვინისა, რისი ტარებაც, რაც წლები გადიოდა, მით უფრო უმძიმდა. ბოლოს ურჩმა ბარონებმა ბევრად უფრო ძლიერი ინგლისის წინააღმდეგ ომში ჩაითრიეს, რომ ყველაზე მძიმე წუთებში ვერაგულად მიეტოვებინათ. სოლვეის ყურესთან შოტლანდიამ იგემა არა მარტო სიმწარე, დამარცხების სირცხვილიც. მხედართმთავრების მიერ მიტოვებული ჯარი თითქმის არც კი უწევდა წინააღმდეგობას, ლაჩრულად გარბოდა, ხოლო იმათი მეფე, მამაცი რაინდი, ამ მძიმე წუთებში შემოჭრილ მტერს კი არა, სიკვდილს ებრძოდა, ფოკლენდ-

ში იწვა ციებ-ცხელებისგან ტანჯული, ძაღლუმადური ცხოვრებისა და უაზრო ბრძოლისგან მოქანცული.

ამ ნაღვლიან, სქელი ბურუსით მოცულ დღეს, 1542 წლის 9 დეკემბერს, ფოკლენდის ციხის ალაყაფზე შიკრიკმა დააბრახუნა. მან ტანჯულ, მომაკვდავ მეფეს მემკვიდრის, ქალიშვილის შეძენა ახარა. მაგრამ იაკობ V-ის გამოფიტულ სულს არც სიხარულისა და არც იმედის განცდა აღარ შეეძლო. რატომ ვაჟიშვილი, მემკვიდრე არ შეეძინა! სასიკვდილოდ განწირული მხოლოდ უბედურებას, დაღუპვას, დაცემას ხედავდა.

„ქალმა მოგვიტანა გვირგვინი და ქალი დაგვაკარგვინებს“, — წარმოთქვა მან წყნარად. ღრმად ამოიოხრა, კედლისკენ გადაბრუნდა და სულიც განუტევა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მიწას მიაბარეს. მარიამ სტიუარტს კი ჯერ თვალიც არ ახელოდა, რომ მისი სამეფოს მემკვიდრე გახდა.

სტიუარტების შთამომავლობა და ამასთან შოტლანდიის ტახტზე ჯდომა ბედისგან ორგზის დაწყევლას ნიშნავდა, რადგან არც ერთ სტიუარტს დიდხანს და ბედნიერად არ უმეფია. ორი მეფე — იაკობ I და იაკობ III მოკლეს, ორი — იაკობ II და იაკობ VI ბრძოლის ველზე დაეცა, ორ მათ შთამომავალს კი ამ უსუსურ ბალღსა და მის ღვიძლ შვილიშვილს, კარლოს პირველს, კიდევ უფრო მწარე ხვედრი — ეშაფოტი არგუნა ბედმა. ატრეის ამ შთამომავალთ არც ერთს არ მიუღწევია მოხუცებულობამდე, არც ერთისთვის არ გაუღიმია ბედს, არც ერთი არ დაბადებულა ბედნიერ ვარსკვლავზე, მუდამ გარეშესა თუ შინაურ მტრებს ეომებოდნენ, მუდამ არეულობაში იყვნენ. არც მათ იცოდნენ რა იყო სიმშვიდე და არც მათმა ქვეყანამ. ყველაზე ნაკლებ ქვეშევრდომთა იმედი ჰქონდათ, რომლებიც მათი გვირგვინის დასაყრდენნი უნდა ყოფილიყვნენ: ლორდებსა და ბარონებს, ამ პირქუშ, ძლიერ, ველურ და აღვირახსნილ, ხარბ და მებრძოლ, ჯიუტ რაინდთა შეუპოვარ მოდგმას. ამ ბურუსით მოცულ ქვეყანაში გადმოხვეწილი პოეტი რონსარი მათ Un pays barbare et une gent brutelle-ს[1] უწოდებს. ლორდებსა და ბარონებს თავიანთ მამულებსა და ციხეკოშკებში პატარა მეფეებად მიაჩნდათ თავი და თავიანთ გლეხებსა და მწყემსებს დაუსრულებელ ბრძოლებსა და ყაჩაღურ თავდასხმებში ითრევდნენ. განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილ მბრძანებლებს

[1] *ბარბაროსული ქვეყანა და სასტიკი ტომი (ფრ.).*

სხვა ვერაფერი დაამშვიდებდათ, გარდა ომისა. მათი სტიქია განხეთქილების ჩამოგდება იყო ერთმანეთში, მათი გატაცება — სიხარბე, მათი ფიქრები — ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

„ოქრო და გამოსარჩენი, — აი, ცხოვრების მთავარი მიზანი შოტლანდიელი ლორდებისა, — სწერს საფრანგეთის ელჩი, — იმათ რომ ასწავლო მოვალეობა თავიანთ მეფეთა წინაშე, პატივი, სამართლიანობა, კეთილშობილური საქციელი, ეს იმას ნიშნავს, სასაცილოდ ააგდებინო თავი“. იტალიელ კონდოტიერებივით* მოჩხუბარი და მტაცებელი, თავაშვებული და გაუთლელი ეს ძლიერთა მოდგმა: გორდონები, ჰამილტონები, არანები, მაიტლენდები, კროფორდები, ლინდსეები, ლენოქსები და არგალები მუდამ ერთმანეთს ექიშპებოდნენ პირველობისათვის. ისინი ან ერთმანეთის წინააღმდეგ დაუსრულებელ შინაომებში ებმებოდნენ, ან საზეიმოდ ფიცით ეკვროდნენ ერთმანეთს მესამის წინააღმდეგ. გამუდმებით ბანდებსა და რაზმებს ადგენდნენ, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდათ და შეურიგებელი მოშურნეები და მტრები იყვნენ. სულით წინანდებურად წარმართნი და ბარბაროსები, თუნდ პროტესტანტები ეწოდებინათ თავიანთი თავისათვის, თუნდ კათოლიკეები, მაკბეტისა და მაკდუფის შვილიშვილთა შვილნი, სისხლით ნათესავნი მათნი, ბრწყინვალედ აღწერა შექსპირმა.

მხოლოდ თავიანთი საერთო ბატონის, მეფის წინააღმდეგ ერთიანდებოდა ეს დაუდგრომელი, შურიანი ხროვა, რადგან მათ არ სჩვეოდათ მორჩილება და ერთგულება. თუ ეს „არამზადების ხროვა“ — Parcel of rascals, როგორც მათ ჭეშმარიტმა შოტლანდიელმა ბერნსმა უწოდა, ითმენდა ამგვარ ბატონებს მათ ციხე-კოშკებსა და სხვა ქონებაზე, ეს მხოლოდ ერთი გვარის მეორისადმი სიძულვილით აიხსნებოდა. გორდონები იმიტომ არ ეცილებოდნენ გვირგვინს სტიუარტებს, რომ ეშინოდათ, ჰამილტონებს არ რგებოდათ; ჰამილტონები კი გორდონებისადმი შურით; მაგრამ ვაი შოტლანდიის მეფეებს, თავიანთი მგზნებარე, ჭაბუკური თავისმოიმედეობა ლორდების ამპარტავნობისა და სიხარბისათვის რომ დაეპირისპირებინათ! ეს მტრული ბანდა მაშინვე შეიკვრებოდა თავიანთი მბრძანებლის დასამხობად. თუ მახვილით ვერ მოაგვარებდნენ საქმეს, ხანჯალი მაინც არ უმტყუნებდათ. ტრაგიკულ, ნაღვლიან და რომანტიკულ, ევროპის ჩრდილოეთით კუნძულზე მდებარე ამ პატარა ქვეყანას დაუსრულე-

ბელი ომებისგან ძალ-ღონე გამოსცლოდა. რამდენიმე ქალაქს, თუმცა განა ქალაქი შეიძლებოდა გვეწოდებინა ციხე-კოშკების ჩრდილში შეყუჟული ქოხმახებისთვის, წელი ვეღარ გაემართა, ფეხზე ვეღარ წამომდგარიყო გამუდმებული ძარცვისა და გადაბუგვისაგან. არისტოკრატთა ციხე-კოშკებიც, მათი პირქუში ნანგრევები დღემდე რომ შემორჩენილა, არაფრით მოგვაგონებენ მეფური ბრწყინვალებითა და სიდიადით მოსილთ. ისინი მიუვალ ადგილას, თავდაცვისათვის აეგოთ და არა მშვიდობიანი სტუმართმოყვარეობისთვის. მცირედ განშტოებულ არისტოკრატიულ საგვარეულოსა და ყმებს შორის არ არსებობდა სახელმწიფოსათვის ესოდენ აუცილებელი საშუალო ფენა — ნაყოფიერი მოქმედი ძალა. ერთადერთი მჭიდროდ დასახლებული ოლქი ტვიდისა და ფერტის წყლებს შორის მეტისმეტად ახლოს მდებარეობდა ინგლისის საზღვართან და გამუდმებული თავდასხმები ანგრევდნენ და იავარქმნიდნენ. ჩრდილოეთში შეიძლებოდა საათობით გეხეტიალათ მივარდნილი ტბების, გაუდაბურებული საძოვრების ან უღრანი ტყეების გარშემო, ვერც სოფელს, ვერც ციხე-კოშკსა და ვერც ქალაქს ვერსად მოჰკრავდით თვალს. სოფლები ისე ეკვროდნენ ერთმანეთს, როგორც ევროპის მჭიდროდ დასახლებულ მხარეებში. ვერსად ნახავდით ფართო გზატკეცილებს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის გამოცოცხლებასა და ვაჭრობის განვითარებას. ალმებით მორთული გემები არ გადიოდნენ შორეულ ოკეანეებში ოქროსა და ნელსაცხებლის შემოსატანად, როგორც ჰოლანდიის, ესპანეთის, ინგლისის ნავსადგურებიდან. მოსახლეობა, როგორც პატრიარქატის დროს, თავს ძლივს ირჩენდა მეცხვარეობით, თევზის ჭერითა და ნადირობით. თავისი ზნე-ჩვეულებებით და კანონებით, კულტურით ამ დროის შოტლანდია სულ ცოტა ერთი საუკუნით მაინც ჩამორჩებოდა ინგლისსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებს. ზღვის სანაპირო ქალაქებში ყველგან ჩნდება ბანკები და ბირჟები. ხალხის ქონებას ძველთაგანვე მიწა და ცხვარი განსაზღვრავდა. იაკობ V-ის, მარიამ სტიუარტის მამის მთელ ქონებას ათი ათასი ცხვარი შეადგენდა. თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად მას არც სამეფო სალარო, არც არმია, არც ლაიბ-გვარდია* არ გააჩნდა, რადგან მათი შენახვა არ შეეძლო, ხოლო პარლამენტი, სადაც ყველა საკითხს ლორდები წყვეტენ, აბა რა საარსებო საშუალებას გამოუძებნიდა მეფეს. მეფის მთელ აკლადიდებას მოკავშირეების — საფრანგეთისა და პაპის

ნაბოძვარი შეადგენდა. რა დამცირების ფასად უჯდებოდა თითოეული ხალიჩა, ფარდაგი თუ შანდალი, რაც მის სასახლესა თუ ციხეკოშკს ამშვენებდა.

გამუდმებული სიღატაკე ჩირქოვან იარასავით ძალ-ღონეს აცლიდა, პოლიტიკურად ფიტავდა ამ მშვენიერ ქვეყანას. მისი მეფეებისა და ლორდების სიღატაკემ და გაუმაძღრობამ უცხო დამპყრობთა სათამაშოდ აქცია შოტლანდია. ვინც შოტლანდიის მეფის წინააღმდეგ და პროტესტანტიზმის დასაცავად იბრძოდა, მათ უხვად აჯილდოებდა ლონდონი, ხოლო კათოლიციზმისა და სტიუარტების მომხრეებს — პარიზი, მადრიდი, რომი; უცხო ქვეყნები უხვად იხდიდნენ შოტლანდიელთა სისხლში. ორი დიდი ერის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, ამიტომ შოტლანდია, ინგლისის ახლო მეზობელი, თამაშში შეუცვლელი პარტნიორი იყო საფრანგეთისა. ყოველთვის, როცა კი ნორმანდიაში ინგლისის ჯარები შეიჭრებოდნენ, საფრანგეთი მზად იყო, ხანჯალი ჩაეცა ინგლისისათვის ზურგში. მებრძოლნი დაუყოვნებლივ the border[1]-ზე გადადიოდნენ და ემუქრებოდნენ თავიანთ auld enimies[2], მაგრამ შოტლანდიელები მშვიდობიან დროსაც კი მუდმივად საფრთხეს უქადდნენ ინგლისს. ამიტომ საფრანგეთის პოლიტიკის უპირველესი ამოცანა იყო შოტლანდიის სამხედრო ძლიერების განმტკიცება. ინგლისი კი ამბოხებას აწყობდა, ლორდებს აქეზებდა და ამით ცდილობდა შეესუსტებინა შოტლანდიის ძლიერება. ამგვარად, უბედური ქვეყანა სასაკლაოდ იქცა ასწლიან ომში. მხოლოდ უსუსური ყრმის ტრაგიკულმა ბედმა გადაწყვიტა ეს დავა.

რა დიდებული, დრამატული სიმბოლოა: ბრძოლა მარიამ სტიუარტის აკვანთანვე იწყება. ჩვილს ჯერ ენაც არ ამოუდგამს, არაფერს განიცდის, არ აზროვნებს, პატარა ბალიშზე წევს და ხელებს აცეცებს, პოლიტიკას კი ბორკილებში მოუქცევია მისი ნორჩი სხეული, უმწიკვლო სული. ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა მარიამ სტიუარტს: მუდამ რაღაც ანგარიშებში იყო ჩათრეული, ვერასოდეს უზრუნველად ვერ აღისრულებდა თავის მისწრაფებებს, მუდამ პოლიტიკური ინტრიგების ქსელში იყო გაბმული, დიპლომატიური ხრიკების ობიექტად, სხვათა ინტერესების სათამაშოდ აქცევდნენ. ყოველთვის დედოფალი ან ტახტის პრეტენდენტი, მოკავშირე

[1] *საზღვარზე (ინგლ.).*

[2] *დაუძინებელ მტერს (ინგლ.).*

ან მტერი იყო. მაცნემ ლონდონში ჩაიტანა თუ არა იაკობ V-ის გარდაცვალებისა და მისი მემკვიდრის პრინცესასა და შოტლანდიის დედოფლის დაბადების ამბავი, ინგლისის მეფემ ჰენრიხ VIII-მ გადაწყვიტა, ეს მდიდარი საპატარძლო თავის ნორჩ შვილზე, ედუარდზე დაენიშნა, რომლის სულსაც, ვით საქონელს, ისე განაგებდა. პოლიტიკა ანგარიშს არ უწევს გრძნობებს. იგი მხოლოდ გვირგვინებს, ქვეყნებსა და მემკვიდრეობის უფლებებს ცნობს. ცალკეული ადამიანები მისთვის არ არსებობს. საერთაშორისო თამაშის მოჩვენებით თუ რეალურ მიზნებთან შედარებით იგი არაფერს წარმოადგენს. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჰენრიხ VIII-ის განზრახვა — ინგლისის ტახტის მემკვიდრის დანიშვნა შოტლანდიის ტახტის მემკვიდრეზე ჭკვიანურიც იყო და ჰუმანურიც. არავითარი აზრი აღარ ჰქონდა გამუდმებულ ბრძოლებს ორ მეზობელ ქვეყანას შორის. ერთ კუნძულზე, ერთი ზღვის საფრთხისა თუ მფარველობის ქვეშ მცხოვრები, ეროვნულად მონათესავე და ცხოვრების ერთნაირი პირობების მქონე ინგლისელ და შოტლანდიელ ხალხს ერთი ამოცანა ჰქონდა: გაერთიანებულიყვნენ. ბუნებამ ნათლად გამოამჟღავნა თავისი ნება, ოღონდ მის შესრულებას ხელს უშლიდა განხეთქილება ორ დინასტიას — ტიუდორებსა და სტიუარტებს შორის. ამ ქორწინებას მათ შორის ქიშპი რომ მოესპო და მეგობრული კავშირით შეჰკვროდნენ ერთმანეთს, სტიუარტებისა და ტიუდორების საერთო წინაპრები ერთდროულად ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფეები გახდებოდნენ და გაერთიანებული დიდი ბრიტანეთი მთელ თავის ძალებს უფრო დიდ მიზანს — მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლას მოახმარდა.

მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. როგორც კი პოლიტიკაში ნათელი და ლოგიკური იდეა გაიბრწყინებს, უგუნური გადაწყვეტილებით ამახინჯებენ. ჯერ ყველაფერი რიგზე მიდიოდა. უხვი წყალობით გულმომბალი ლორდები მხარს უჭერდნენ ქორწინებას. მაგრამ გამოცდილებით დაბრძენებულ ჰენრიხ VIII-ს პერგამენტის ნაგლეჯი ვერ დააკმაყოფილებდა. იგი კარგად იცნობდა ამ კეთილშობილი ბატონების პირფერობასა და სიხარბეს. იცოდა, მათზე დანდობა არ შეიძლებოდა, ოქროს გულისთვის ჩვილ დედოფალს საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეს მიჰყიდდნენ. ამიტომ ჰენრიხ VIII-მ შოტლანდიელ შუამავალთ მაშინვე მოსთხოვა ჩვილი, მაგრამ ისევე,

როგორც ტიუდორები არ ენდობოდნენ სტიუარტებს, სტიუარტებიც უნდობლობით იყვნენ გამსჭვალულნი მათდამი. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მარიამ სტიუარტის დედას არ მოსწონდა. მკაცრ კათოლიციზმის პრინციპებზე აღზრდილ გიზების ასულს არ სურდა თავისი შვილი აღსაზრდელად მიეცა სარწმუნოებისგან განდგომილი ერეტიკოსებისათვის. ამასთან გამჭრიახი თვალი ამ ხელშეკრულებაში საშიშ მახესაც ადვილად შენიშნავდა. განსაკუთრებული, საიდუმლო პუნქტით შუამავლები ვალდებულებას იღებდნენ, ჩვილი დედოფლის ნაადრევად სიკვდილის შემთხვევაში „მთელი ძალაუფლება და სახელმწიფო გამგებლობა“ ჰენრიხ VIII-ის ხელში გადასულიყო. სწორედ ეს გახლდათ დასაფიქრებელი! კაცი, ვინც ორი ცოლი ეშაფოტზე აიყვანა, მოუთმენელი სურვილით შეპყრობილი, მალე ხელთ ეგდო მაცდური მემკვიდრეობა, არაფერს დაზოგავდა ბავშვის ნაადრევად მოსაკლავად. ამიტომ მზრუნველმა დედამ უარი თქვა ასულის ლონდონში გაგზავნაზე. ამ მაჭანკლობას კინაღამ ომი მოჰყვა. ჰენრიხ VIII-მ ჯარი გაგზავნა, რათა ხელთ ეგდო ძვირფასი საწინდარი. მის ულმობლობაზე მეტყველებს ჯარისთვის მიცემული ბრძანება: „მისი უდიდებულესობა ბრძანებს, ცეცხლითა და მახვილით მოისრას ყოველი. როს განძარცვავთ და გამოზიდავთ ნაალაფევს, გადაწვით ედინბურგი, მიწასთან გაასწორეთ... განძარცვეთ ჰოლირუდი და მრავალი სოფელი და ქალაქი ედინბურგის გარშემო. გადაწვით ლეიტი და სხვა ქალაქები, სადაც წინააღმდეგობას გადაეყაროთ, უმოწყალოდ ამოხოცეთ მამაკაცნი, დიაცნი, ჩვილნი“.

ჰენრიხ VIII-ის შეიარაღებული ურდოები ჰუნებივით შეიჭრნენ შოტლანდიაში, მაგრამ დედა-შვილი დროულად დაიმალა სტირლინგის ციხე-კოშკში. ჰენრიხ VIII დაკმაყოფილდა იმით, რომ მოლაპარაკება გამართა, რომლის მიხედვითაც შოტლანდია ვალდებული იყო, როცა მარიამ სტიუარტს ათი წელი შეუსრულდებოდა, ინგლისში გაეგზავნათ (მუდამ ყიდიან და ყიდულობენ საქონელივით).

თითქოს ყველაფერი ბედნიერად მოგვარდა, მაგრამ პოლიტიკა ყოველ დროში პარადოქსების მეცნიერება გახლდათ. მისთვის უცხოა უბრალო, გონივრული, ბუნებრივი გადაწყვეტილებანი. მისი მისწრაფებაა სიძნელეთა შექმნა, მისი სტიქია — მტრობის დათესვაა. კათოლიკურმა პარტიამ მალე ინტრიგათა ქსელი დახლართა, სურდა მალულად შეეტყო, უფრო სარფიანი ხომ არ იქნებოდა, მოტიტინე,

მოღიმარი ჩვილი ინგლისის ტახტის მემკვიდრის მაგივრად საფრ-ანგეთის დოფინისათვის* მიეყიდათ. ფიქრობდნენ, ჰენრიხ VIII-ის სიკვდილის შემდეგ აღარავის გაახსენდებოდა ხელშეკრულება, მა-გრამ ერთ მშვენიერ დღეს მცირეწლოვანი მეფის ედუარდის სახელით ჩვილი დედოფალი ინგლისის რეგენტმა სომერსეტმა ლონდონში გაითხოვა. შოტლანდიამ წინააღმდეგობა გაუწია. ინგლისმა კვლავ ჯარი გამოგზავნა, რადგან ლორდებთან მხოლოდ ერთ, ძალმომრეო-ბის ენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. 1547 წლის 10 სექტემბერს ბრძო-ლაში, უფრო სწორად სასაკლაოზე, პინკთან მთლად განადგურდა შოტლანდიის არმია. ბრძოლის ველი ათი ათასზე მეტი გვამით მოი-ფინა. მარიამ სტიუარტს ჯერ ხუთი წელიც არ შესრულებოდა, რომ მისთვის სისხლის მდინარეები იღვრებოდა.

ინგლისის ჯარი შემოესია უმწეო შოტლანდიას, მაგრამ გაძარცუ-ლი ქვეყნიდან რაღას წაიღებდნენ. ტიუდორებს მხოლოდ ერთად-ერთი საგანძური — ბავშვი — გვირგვინისა და ტახტის მემკვიდრე აინტერესებდათ.

მაგრამ რა დიდად გაოცდნენ ინგლისელი მსტოვრები, როცა სტირლინგის ციხე-კოშკიდან მოულოდნელად უკვალოდ გაქრა მარ-იამ სტიუარტი. ყველაზე ახლობელმა ადამიანებმაც კი არ იცოდნენ, სად გადამალა დედა-დედოფალმა.

დიდებული და საიმედო ახალი თავშესაფარი ამოირჩიეს. ერთ-გულმა მსახურებმა ღამით, საიდუმლოდ მენტიტის dans les pays des sauvages[1] ტბის ერთ პატარა კუნძულზე მდებარე ინჩმეხის მონას-ტერში გახიზნეს, როგორც საფრანგეთის ელჩი გვატყობინებს, არც ერთი ბილიკი არ მიდიოდა ამ რომანტიკული მხარისკენ. ძვირფასი ტვირთი ნავით კუნძულზე გადაიყვანეს და იქ ღვთის მოშიშ მონაზონ-თა მზრუნველობას მიანდვეს, რომელთაც არასოდეს დაეტოვებინათ თავიანთი სავანე. აქ, საიმედო თავშესაფარში, მშფოთვარე, აჩო-ჩქოლებული სამყაროსგან მოშორებით ცხოვრობდა უდანაშაულო გოგონა. დიპლომატიას კი ქსელი გაება ზღვასა თუ ხმელეთზე და გულმოდგინედ განაგებდა მის ბედს, რადგან ახლა არენაზე გამოვ-იდა საფრანგეთი და ხელს უშლიდა ინგლისს შოტლანდიის სრულ დამორჩილებაში. ჰენრიხ II-მ, ფრანცისკ I-ის ვაჟიშვილმა შოტლან-

[1] *ველურთა მხარეში (ფრ.).*

დიაში ძლიერი ფლოტი გაგზავნა და საფრანგეთის დამხმარე კორპუსის გენერალ-ლეიტენანტმა მისი სახელით მარიამ სტიუარტის ხელი ითხოვა მისი ვაჟისა და ტახტის მემკვიდრის ფრანცისკისათვის. სრუტიდან მონაქროლმა მკაცრმა პოლიტიკურმა ქარმა მკვეთრად შეცვალა გოგონას ბედი. იმის მაგივრად, რომ ინგლისის დედოფლად დამჯდარიყო, სტიუარტების პატარა ასული მოულოდნელად საფრანგეთის დედოფალი გახდა. როგორც კი ახალი და უფრო ხელსაყრელი შეთანხმება მოხდა, 7 აგვისტოს გარიგების ძვირფასი ობიექტი, ხუთი წლისა და რვა თვის მარიამ სტიუარტი გემში ჩასვეს და საფრანგეთში გაგზავნეს, მიჰყიდეს სხვას, ასევე უცნობ საქმროს. ხელახლა და უკანასკნელად სხვისი ნება განსაზღვრავდა მის ბედს.

ბავშვები დიდებზე ბედნიერები არიან იმით, რომ არაფერი გაეგებათ პოლიტიკისა. რა იცის სამი, ოთხი, ხუთი წლის ბავშვმა ომსა და მშვიდობაზე, ბრძოლებსა და შეთანხმებებზე. რა იცის, რა არის საფრანგეთი და ინგლისი? რა იცის, ვინ არის ედუარდი ან ფრანცისკი? რა ესაქმება უგუნურებით შეპყრობილ სამყაროსთან? წვივმაღალი, ოქროსფერ, ხვეულთმაგაშლილი გოგონა დარბის ციხე-კოშკის ბნელსა თუ ნათელ ოთახებში თავის ოთხ თანატოლთან ერთად. მას ხომ — რა დიდებული იდეაა ამ ბარბაროსულ საუკუნეში — შოტლანდიის საუკეთესო ოჯახის შვილები, ოთხი მეგობარი, ოთხი მოსახელე შეურჩიეს: მერი ფლემინგი, მერი ბიტონი, მერი ლივინგსტონი, მერი სეტონი. ეს გოგონები დღეს მხიარულად თამაშობენ მცირეწლოვან დედოფალთან ერთად, ხვალ მის მარტოობას გაიზიარებენ უცხოობაში, რომ ის ქვეყანა ისე უცხო არ ეჩვენოს. უფრო გვიან მისი სეფექალები გახდნენ. ერთხელ კი, ყველაზე გულწრფელ წუთებში აღთქმა დადეს, სანამ ჩვენი ქალბატონი საქმროს არ ამოირჩევს, არ გავთხოვდებითო. სამმა მათგანმა თუ მიატოვა დედოფალი უბედურებაში, მეოთხე თან ახლდა დევნილობაში და სიკვდილამდე უერთგულა. ტკბილი ბავშვობის მოგონებანი ამქვეყნიურ საშინელ, უკანასკნელ წუთებს შუქს ჰფენდა. როცა ხუთი გოგონა ხან ჰოლირუდის, ხან სტირლინგის ციხე-კოშკში თამაშობდა, არასოდეს დაფიქრებულან მეფურ დიდებასა და ამპარტავნებაზე ან საფრთხეზე. მაგრამ ერთ საღამოს პატარა მარიამი საწოლიდან აიყვანეს. ბნელ ღამეში, ტბასთან ნავი ელოდებოდათ, რომ იგი წყნარ, უშიშარ კუნძულზე, ინჩმეხში მიეყვანათ, რაც „მშვიდ სავანეს“ ნიშნავს. მას

უჩვეულოდ ჩაცმული, განიერანაფორიანი უცნობები მიესალმნენ. ეს კეთილი, წყნარი ხალხი მშვენივრად მღეროდა ყვავილებით მორთულ მაღალ დარბაზში. გოგონა მალე მიეჩვია მათ. მაგრამ საღამოთი ისევ წაიყვანეს (მარიამ სტიუარტი ბნელ ღამეში მრავალჯერ გაექცა ბედს). აი, ახლა მაღალ გემზეა, ანძები ჭრიალებს, თეთრი იალქნები ფრიალებს. გარშემო უცხო ჯარისკაცები და წვერიანი მეზღვაურები ახვევია. მაგრამ პატარა მარიამს რატომ უნდა ეშინოდეს? ყველა ეალერსება. ჩვიდმეტი წლის ნახევარძმა ჯეიმსი, იაკობ V-ის ერთ-ერთი მრავალრიცხოვან ბასტარდთაგანი*, უკანონოდ შობილი, ხელს უსვამს ხვეულ, ოქროსფერ თმაზე, ოთხი მარიამიც, მისი საყვარელი მეგობრებიც თან ახლავან. ახალი შთაბეჭდილებების მომლოდინე გოგონას ახარებს ყოველივე ახალი. საფრანგეთის სამხედრო გემის ზარბაზნებს შორის დარბიან და ცელქობენ გოგონები, აბჯარში ჩამ-სხდარ მეზღვაურებს ეთამაშებიან. მაღლა, ანძასთან დგას მეზღვაური და სიფრთხილით გასცქერის შორეთს. მან იცის, სრუტეში დაცურავს ინგლისის ფლოტი, რათა ინგლისის მეფის საპატარძლო დაიჭიროს, სანამ საფრანგეთის დოფინის საცოლე გახდებოდეს. გოგონა კი მხოლოდ იმას ხედავს, რაზეც თვალი მიუწვდება და რაც მისთვის ახალია. ხედავს ლურჯ ზღვას, კეთილ ადამიანებს, გემს, გოლიათი მხეცივით რომ ფრთხვინავს და გზას მიიკვლევს ტალღებში.

13 აგვისტოს გემი შევიდა როსკოვში, ბრესტის მახლობლად პა-ტარა საპორტო ქალაქში. კარჭაპები ნაპირს მიადგნენ და მშვენ-იერი თავგადასავლით ბავშვურად გახარებული, უდარდელი, ცელქი დედოფალი შოტლანდიისა, ჯერ ექვსი წელიც არ შესრულებოდა, რომ საფრანგეთის მიწაზე გადახტა. ამით დამთავრდა მისი ბავშვობა. დაიწყო მოვალეობისა და ტანჯვის ხანა.

საფრანგეთში გატარებული ყმაწვილქალობა 1548-1559

საფრანგეთის სამეფო კარს ვერც ერთი სამეფო კარი ვერ შეეცილებოდა კეთილშობილურ ზნე-ჩვეულებათა, ამ საიდუმლო მეცნიერების, ზრდილობის წესების ცოდნაში. ჰენრიხ II ვალუამ მშვენივრად იცოდა, როგორი პატივით შეხვედროდა დოფინის სახელდებულს. მის ჩამოსვლამდე მოაწერა ბრძანებას ხელი, რომ შოტლანდიის პატარა დედოფალს — la reinette ყველა ქალაქში ისეთი პატივით შეხვედროდნენ, თითქოს მისი ღვიძლი ქალიშვილი ყოფილიყო. მარიამ სტიუარტი ნანტშიეე დიდი პატივით მიიღეს. ყველა მოედანზე კლასიკურემბლემიანი სვეტები იყო აღმართული, წარმართ ქალღმერთთა ქანდაკებანი, ნიმფები, სირენები. სამეფო კარის ამალაში არ იშურებდნენ რჩეულ ღვინოებს, აქუხებდნენ ზარბაზნებს, უშვებდნენ შუშხუნებს, პატარა დედოფლის წინ ცეროდენათა რაზმმა ჩაიარა — თოვლივით ქათქათა ტანსაცმელში გამოწყობილმა რვა-რვა წლის ას ორმოცდაათმა ბიჭუნამ. მოდიოდნენ დოლებისა და დაფდაფების ცემით, შუბებითა და აფთებით შეიარაღებულნი. ესეც თავისებური საპატიო ესკორტი იყო. ამგვარად, ყოველ ქალაქში დაუსრულებელი ზეიმით მიაცილეს სენ-ჟერმენის სასახლემდე. გოგონამ, ჯერ ექვსი წელიც რომ არ შესრულებოდა, პირველად აქ იხილა თავისი სახელმდებელი, ოთხწლინახევრის, გამხდარი, ფერმკრთალი, რახიტიანი ბიჭუნა. მას სახეზე ჟადმყოფობა და ნაადრევი სიკვდილი ეწერა, რადგან ძარღვებში მოწამლული სისხლი უჩქეფდა. შემკრთალი ბიჭუნა მოკრძალებით მიესალმა თავის „საპატარძლოს". მისი ბავშვური სიმშვენიერით მოხიბლულმა მეფის ოჯახის სხვა წევრებმაც გულთბილად მიიღეს. აღტაცებულმა ჰენრიხ II-მ თავის წერილში La plus parfayt enfant que je vys jamès[1] უწოდა.

[1] *ყველაზე მშვენიერი ბავშვი, რომელიც კი ოდესმე მინახავს (ფრ.).*

იმ ხანებში საფრანგეთის სამეფო კარი მთელ მსოფლიოში ყველაზე ბრწყინვალედ და დიდებულად ითვლებოდა. ის იყო მიიწურა პირქუში შუა საუკუნეები. გარდამავალი ეპოქის თაობას ჯერ კიდევ აჩნდა მომაკვდავი რაინდობის უკანასკნელი რომანტიკული ბრწყინვალება. ძალასა და სიმამაცეს წინანდებურად ავლენდნენ ძველისძველ მკაცრ და ვაჟკაცურ გასართობებში: ნადირობაში, თამაშობებში, ასპარეზობებში, თავგადასავლებში, ომში, მაგრამ მაღალ წრეებში ჭარბობდა სულიერი საწყისები. ჰუმანიზმი მონასტრებისა და უნივერსიტეტების შემდგომ ციხე-კოშკებსაც იპყრობს. იტალიიდან საფრანგეთში დიდებული მსვლელობით შემოიჭრა პაპებისათვის საყვარელი ბრწყინვალებისა და სიმდიდრის კულტი, რენესანსისათვის დამახასიათებელი სწრაფვა სულიერი ტკბობისკენ, ნატიფი ხელოვნებით გატაცება: ამ ისტორიულ მომენტში აღმოცენდა ახალი იდეალი — თავისებური შერწყმა ძალისა და სილამაზისა, უდარდელობისა და შემართებისა, მაღალი ხელოვნება სიკვდილის სიძულვილისა და სიცოცხლის მგზნებარე სიყვარულისა. ყველაზე ბუნებრივად და თავისუფლად ფრანგულ ხასიათში შერწყმულა მგზნებარე ტემპერამენტი და უდარდელი სიმსუბუქე, გალური chevalerie[1] შესანიშნავად ეთანხმება რენესანსის კლასიკურ კულტურას. ტურნირში დიდებულს გარდა იმისა, რომ მძიმედ აღჭურვილი სწრაფად უნდა გადასულიყო შეტევაზე, მოეთხოვებოდა მახვილგონივრული ცეკვის ილეთების უნაკლო შესრულება. მას უნდა სცოდნოდა როგორც ომის მკაცრი მეცნიერება, ისე სამეფო კარის დახვეწილი კანონები. ერთსა და იმავე ადამიანს მძიმეტარიანი მახვილითაც უნდა ებრძოლა და გრძნობამოჭარბებით დაეკრა ბარბითზე, სონეტები ეწერა გულის სწორისათვის. ორი საწინააღმდეგო პოლუსის — ძალისა და სინაზის, სიმკაცრისა და სინატიფის ერთმანეთთან შეთანხმება, ერთნაირად განწყობა ომისა და ხელოვნებისათვის — აი, იმდროინდელი ცხოვრების იდეალი. დღისით მეფე და მისი დიდებულები გაქაფულ ცხენებს მიაჭენებდნენ, ირმებსა და გარეულ ღორებს მისდევდნენ, მახვილებსა და შუბებს ერთმანეთს აჭდობდნენ ასპარეზობებში, საღამოობით კი წარჩინებულ მანდილოსნებთან ერთად იკრიბებოდნენ ლუვრის, სენ-ჟერმენის, ბლუასა და ამბუზის დიდებულ სასახლეებში დროის სატარებლად. სასახლის კარზე კითხულობდნენ

[1] *რაინდობა (ფრ.).*

ლექსებს, მღეროდნენ მადრიგალებს*, უკრავდნენ, მასკარადებში აღორძინებდნენ კლასიკური ლიტერატურის სულს. დიდებულად მორთულ, ლამაზ ქალთა სიმრავლე, ისეთ პოეტთა და მხატვართა ქმნილებანი, როგორიცაა რონსარი, დიუ ბელე, კლუე სამეფო კარს ბრწყინვალებასა და სიცოცხლის ხალისს მატებდა, რაც უხვად გამოვლინდა ხელოვნებისა და ცხოვრების ყველა ფორმაში. ისევე როგორც მთელ ევროპაში საბედისწერო რელიგიური ომის წინ, ამ დროს საფრანგეთშიც იფურჩქნებოდა დიდი კულტურა.

ვინც ამ სასახლის კარზე იცხოვრებდა, მით უმეტეს, იმეფებდა, უნდა დაუფლებოდა ყოველგვარ ხელოვნებასა და მეცნიერებას, ისევე სრულყო თავისი გონება, როგორც სხეული. ჰუმანიზმის სადიდებლად უნდა ითქვას, ვინც მეფობისათვის ემზადებოდა, მისგან მოითხოვდა, ზიარებოდა ხელოვნების ყველა სახეობას. არასოდეს ისეთ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ დიდებულთა ვაჟებისა და ქალების უნაკლო აღზრდას, როგორც მაშინ. ამით ახალი ერა დაიწყო. ისევე, როგორც მარიამ ინგლისელი და ელისაბედი, მარიამ სტიუარტიც სწავლობდა კლასიკურ ენებს — ბერძნულსა და ლათინურს, თანამედროვე ენებიდან: იტალიურს, ინგლისურს, ესპანურს. მახვილი, ცოცხალი გონებისა და მშვენიერებისადმი თანდაყოლილი სიყვარულის წყალობით ნიჭიერი გოგონა ყველაფერს ადვილად ითვისებდა. ცამეტი წლისამ ლათინური ერაზმის „საუბრების“ მიხედვით შეისწავლა და მთელი სამეფო კარის წინაშე ლუვრში წაიკითხა თავისი თხზულება ლათინურ ენაზე. მისი ბიძა, ლოტარინგიელი კარდინალი სიამაყით სწერდა მარიამ სტიუარტის დედას, მარიამ დე გიზს: „თქვენი ასულის სულიერი სიდიადე და სიბრძნე ისე სრულყოფილი ხდება, რომ ამჟამითვე ფლობს ყველა მშვენიერსა და კეთილშობილურ მეცნიერებას. ვერც ერთი დიდებულის ასული ჩვენს სამეფოში ვერ შეედრება მას. ბედნიერად ვრაცხ თავს, შეგატყობინოთ, მეფეს ძალუმად უყვარს, მრავალსა ჟამსა დაჰყოფს მასთან განმარტოებულს ბაასში. თქვენი ასული ჭკვიანური ლაპარაკით ისე იპყრობს მის გონებას, ვითარცა ოცდახუთი წლის მანდილოსანი!“

მართლაც, მარიამ სტიუარტი მეტად ადრე მომწიფდა გონივრულად. მოკლე ხანში ისე შეისწავლა ფრანგული, ლექსების წერასაც ცდილობდა და ღირსეულად პასუხობდა რონსარისა და დიუ ბელეს ოდებს. არა მარტო სამეფო კარზე შემთხვევით გაჯიბრებისას

გაიტაცებდა მუზა ყმაწვილ დედოფალს, თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებშიც კი უყვარდა პოეზია და პოეტები, თავის გრძნობებს ლექსებში აფრქვევდა, თუმცა არანაკლები გემოვნება გამოიჩინა ხელოვნების სხვა დარგებშიც: მომაჯადოებლად მღეროდა, უკრავდა ბარბითზე, ყველას ხიბლავდა ნატიფი ცეკვით. მისი ნაქარგები მის დიდ ნიჭზეც მეტყველებდნენ. ჩაცმითაც დიდი გემოვნებით იცვამდა, ყოველგვარი ზიზილ-პიპილების გარეშე, რითაც თავს იწონებდა ელისაბედი. მარიამ სტიუარტი მომხიბლავი და საყვარელი იყო შოტლანდიურ ჭრელ ქვედატანშიც და სადღესასწაულო ტანსაცმელშიც. ტაქტი და მშვენიერების შეგრძნება თანდაყოლოდა, ხოლო ღირსეული, ბუნებრივი თავის დაჭერა, საუკუნეებში რომ გაუთქვა სახელი და ხიბლავდა პოეტებს, სტიუარტების ასულმა ყველაზე მძიმე წუთებშიც კი შეინარჩუნა, როგორც მეფური სისხლისა და თავადაზნაურული აღზრდის ძვირფასი მემკვიდრეობა. ეს მოუღლელი მხედარი, გატაცებული მონადირე და მობურთალი სხეულის წვრთნაშიც კი არ ჩამოუვარდებოდა სამეფო კარის ნაწრთობ რაინდებს. მისმა საროსავით ნაზარდმა, ნორჩმა სხეულმა არ იცოდა ძალ-ღონის გამოცლა, დაღლა რა იყო. ფრანგული რენესანსი არ იცნობს ამ სიცოცხლის ხალისით აღსავსე, მგზნებარე პრინცესაზე უფრო ხორცშესხმულ, რაინდულ-რომანტიკული იდეალის ქალს.

არა მხოლოდ მუზებმა, ღმერთებმაც აკურთხეს მარიამ სტიუარტის აკვანი. სულიერ სრულყოფილებასთან მას თან დაჰყვა უჩვეულო ხორციელი მშვენება. გოგონა წამოიზარდა, დაქალდა თუ არა, პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მისი ხოტბის შესხმაში. „მეთხუთმეტე წელიწადში რომ გადავიდა, მისი სილამაზე დღის სინათლესავით მოგჭრიდათ თვალს“, — წერს ბრანტომი. დიუ ბელე უფრო მგზნებარედ აქებს:

თითქოს სარკეში იყურება თვით ზეციერი
და თქვენს სინაზეს ღვთისნიერი ხელებით კვეთავს, —
გზნება გულისა, ცეცხლი სულისა, სიუხვე ფერთა
ადამიანებს მოგვივლინა თქვენი იერით.
ასეთი იყო ღვთის სურვილი, ნება ძლიერი,
მოგვაჯადოვა თქვენი სახით მაღალმა ღმერთმა,
რაც საოცრება არსებობდა, სუყველა ერთად
თქვენში ასახა, თქვენ გასხივათ მზე ცისიერი.

ო, ხელოვნების ყველა მუზა იღვწოდა თქვენთვის,
ერთადერთობა თუ არსებობს, თქვენა ხართ ერთი,
ცისა და მიწის ჰარმონიის ერთი ქმნილება.
ანგელოსებმა მიტომ მიძღვნეს მე მგოსნის ჩანგი,
თქვენ გადიდებდეთ, გაღმერთებდეთ დიდების ჰანგით,
თქვენ, ყველა სიბრძნის და ბუნების სრულყოფილებას[1].

აღტაცებულმა ლოპე დე ვეგამ ჰიმნი უძღვნა: „ვარსკვლავთ ნაზი ბრწყინვალება მიანიჭეს მის თვალებს, ღაწვებს კი ფერი, ესოდენ საოცარი სიმშვენიერის მიმცემი“.

რონსარმა ფრანცისკის გარდაცვალების შემდეგ მის ძმას, კარლოს IX-ს თითქმის შურიანი აღტაცებით დაწერილი ეს სტრიქონები გადასცა:

ის, ვინც მის მკერდზე პოულობდა სიამეს მარად,
ყველაფერს დათმობს, ტახტს და გვირგვინს მიიჩნევს არად.

დიუ ბელე თითქოს თავს უყრის მარიამ სტიუარტის ყველა ხოტბას და აღფრთოვანებული ამბობს:

ერთი შეხედეთ, ო, თვალებო, ერთი შეხედეთ, —
მსგავს სილამაზეს ქვეყანაზე სად შეეყრებით.

მაგრამ პოეტები ხომ მუდამ აჭარბებენ, განსაკუთრებით კარის პოეტები, როცა ხოტბას ასხამენ თავიანთ მეუფეს. უფრო მეტად გვიტაცებს იმდროინდელი მისი პორტრეტები, რადგან მათი უტყუარობის საწინდარი კლუეს ფუნჯი გახლავთ; თუმცა სასოწარკვეთილებას არ ვეძლევით, მაგრამ არც მის მეტისმეტ აღტაცებას ვიზიარებთ. თვალწინ წარმოგვიდგება თუმცა ბრწყინვალე არა, მაგრამ მიმზიდველი სილამაზე: ნაზ, საყვარელ, ოვალურ სახეს ოდნავ მოგრძო ცხვირი ცოტათი უსწოროს ხდის, ზოგჯერ კი მომხიბვლელობას ანიჭებს გაბრწყინებული, ნაზი, მუქი, წყლიანი თვალები. უგრძნობელ ტუჩებში იდუმალება იმალება, ბუნებას უხვად დაუბერტყავს მასზე მშვენიერების კალთა: თეთრი, ოდნავ მქრქალი კანი, ხშირ, წაბლისფერ თმაზე ასხმული მარგალიტები გადაუჭერია. გრძელი, თლილი, ქათქათა თითები, საროსავით ჩამოსხმული ტანი, dont la corsage laissait entrevoir la neige de sa poitrine et dont le collet relevé, droit decouvrait le pur modelé de ses épaules.[2]

---

1 ლექსები თარგმნა პოეტმა ***მორის ფოცხიშვილმა****.*

2 კორსაჟი აჩენს მის თოვლივით ქათქათა მკერდს, მაღალი, დამდგარი საყელო კი გამოკვეთს მის სწორუპოვარ მხრებს (ფრ.).

მის სახეს ვერ უპოვით ზადს, მაგრამ სწორედ ეს ცივი, უზადო სილამაზე გამოუცნობს ხდის. ამ მშვენიერი ასულის სურათს რომ დასცქერით, ვერაფერს შეიტყობთ მასზე, თვითონაც ხეირიანად არაფერი იცის თავის თავზე. მის სახეში ქალს ვერ ხედავთ, ალერსიანად შემოგცქერით მშვენიერი, მოკრძალებული, მიამიტი პანსიონატის მოსწავლე.

ამ მოუმწიფებლობაზე, სულიერ მთვლემარებაზე მეტყველებს ზეპირი გადმოცემანი, თუმცა დიდ ხოტბას კი ასხამენ. როცა ქებას ასხამდნენ მის ნატიფ მანერებს, ბრწყინვალე აღზრდას, წარჩინებულ საზოგადოებაში თავის დაჭერას, მარიამ სტიუარტს ამით მხოლოდ ახასიათებდნენ როგორც პირველ მოწაფეს. ჩვენ ვიცით, რომ იგი გულმოდგინედ სწავლობს, სასიამოვნო მოსაუბრეა, მოკრძალებული და ღვთისმოშიშია, ყოველ ხელოვნებასა და თამაშში ერთნაირად არის დახელოვნებული, განსაკუთრებულ მიდრეკილებას არ იჩენს რაიმესადმი, გულმოდგინედ და მორჩილად ეუფლება მეფის საპატარძლოსთვის დადგენილ სასწავლო პროგრამას. ყველა მხოლოდ ბრწყინვალე საზოგადოებაში მისი თავდაჭერით არის გაოცებული. როგორც ადამიანზე, მისი ხასიათის თვისებებზე არავინ არაფერს გვეუბნება, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ უცხო თვალი ვერ ხედავს მასში იმას, რაც თავისებური, არსებითია, რადგან მისი სული ჯერ არ გაფურჩქნილა. შესანიშნავმა აღზრდამ და მეფურმა ბრწყინვალებამ კარგა ხანს მიაძინა მასში ვნება, რასაც სრულიად ავლენს ტრფობისათვის გაფურჩქნილი ქალი. მისი ნათელი შუბლი სიცივეს შეგაგრძნობინებთ. ნაზად, ალერსიანად უღიმის ბაგეები. მეოცნებე, შავი თვალები, ჯერ საკუთარ სულში რომ არ ჩაუხედავთ, გარე სამყაროსკენ მიუპყრია. არავინ იცის, თვით მარიამ სტიუარტმაც კი არ იცის, რა სისხლი დაჰყვა მემკვიდრეობით, რა საფრთხე ელის. მხოლოდ ტრფობა ჩამოჰგლეჯს ქალის სულს საფარველს, მხოლოდ სიყვარული და ტანჯვა აქალებს მას.

გოგონა ისე განვითარდა ყოველმხრივ, მასში ნამდვილ მომავალ დედოფალს ხედავდნენ; ამან ხელი შეუწყო, ქორწილი უფრო ადრე დაენიშნათ, ვიდრე განზრახული იყო. აქაც უფრო ადრე ამობრწყინდა მარიამ სტიუარტის ბედის ვარსკვლავი, ვიდრე მისი თანატოლებისა. სახელმდებელ დოფინს ის-ის იყო თოთხმეტი წელი შეუსრულდა. ფერმკრთალი, გამხდარი ბიჭუნა ჯანმრთელობითაც სუსტი იყო, მა-

გრამ პოლიტიკა ბუნებაზე უფრო მოუთმენელია, იგი ვერ ითმენდა და არც შეეძლო ლოდინი. საფრანგეთის სამეფო კარი საეჭვოდ ის-წრაფოდა ახალგაზრდების დაქორწინებას, მშვენივრად ესმოდა, რა სუსტი იყო ტახტის მემკვიდრე. როგორც ექიმები უწინასწარმ-ეტყველებდნენ, მოსალოდნელი იყო მისი სიკვდილი. ვალუასათვის მთავარი იყო ხელთ ჩაეგდო შოტლანდიის ტახტი. აი, რატომ იყო, რომ ორივე ბავშვს ასე სწრაფად მიაქანებდნენ საკურთხევლისკენ. საქორწინო ხელშეკრულების თანახმად, შოტლანდიის პარლამენ-ტის წარმომადგენელთან ერთად რომ შეადგინეს, დოფინი იღებდა matrimonial crown-ს, შოტლანდიის თანამმართველის გვირგვინსაც, მაგრამ ამავე დროს გიზებმა, მარიამ სტიუარტის ნათესავებმა, თხუ-თმეტი წლის გულუბრყვილო მარიამ სტიუარტს მეორე დოკუმენ-ტიც გამოსძალეს, რაც არ იცოდა შოტლანდიის პარლამენტმა. ამ დოკუმენტის თანახმად, მარიამ სტიუარტი ვალდებულებას იღებდა თუ ნაადრევად გარდაიცვლებოდა ან მემკვიდრე არ შეეძინებოდა, თა-ვისი ქვეყანა, როგორც სამემკვიდრო მამული, ასევე მემკვიდრეო-ბითი უფლება ინგლისისა და ირლანდიის ტახტზე საფრანგეთის სამეფო კარს დარჩენოდა.

რაღა თქმა უნდა, ამ აქტზე ხელის მოწერა (ტყუილად კი არ შეადგინეს ასე იდუმალებით), უპატიოსნო საქციელი იყო. მარიამ სტიუარტს უფლება არ ჰქონდა თვითნებურად დაერღვია მემკვი-დრეობის კანონი, თავის სამშობლოს ლაბადასავით ან სხვა რაიმე პირადი ნივთივით დაჰპირებოდა უცხო დინასტიას. მაგრამ ბიძებმა აიძულეს, გაუწაფავი ხელი მოეწერა ამ აქტზე. რა ტრაგიკული სიმ-ბოლოა: პირველი ხელმოწერა პოლიტიკურ დოკუმენტზე პირველი სიცრუე იყო ამ მეტისმეტად გულწრფელი, მიმნდობი, უმწიკვლო ბუნების გოგონასი. იმისათვის, რომ დედოფალი გამხდარიყო და ედედოფლა, სიმართლეს ვეღარ იტყოდა: ადამიანი, ვინც პოლიტი-კას დაუმორჩილა თავისი ბედი, საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა, სულ სხვა კანონებს ემორჩილებოდა. მისთვის უცხო იყო გულის წმინდა კანონები.

ეს იდუმალი ხრიკები მთელი მსოფლიოს თვალში დიდებული ქორწილის მშვენიერმა სანახაობამ დაფარა. ორ საუკუნეზე მეტი იყო, საფრანგეთის არც ერთ დოფინს არ ექორწინა სამშობლოში და ვალუას სამეფო კარმა გადაწყვიტა, ხალხი გაუგონარი ზეიმით

გაეკვირვებინა. ეკატერინე მედიჩის ახსოვდა რენესანსის დიდებული ზეიმები, რომლებიც ეწყობოდა იტალიაში ცნობილ მხატვართა ესკიზების მიხედვით: იგი დიდად იამაყებდა, თუ ამ მშვენიერ მოგონებებს თავისი პირმშოს დიდებული ქორწილი დაჩრდილავდა. იმ დღეს, 1558 წლის 24 აპრილს, სადღესასწაულოდ მორთული პარიზი მთელი მსოფლიოს დედაქალაქად იქცა. ნოტრ-დამის წინ ღია ტალავერი მოაწყვეს, გავალაკს ზურმუხტისფერი, შროშანებამოქარგული, კვიპროსის აბრეშუმი ჰქონდა შემოვლებული. მისკენ მიმავალ გზაზეც შროშანებამოქარგული ხალიჩები დაეფინათ. წითელ-ყვითელ ტანსაცმელში გამოწყობილი მუსიკოსები სხვადასხვა საკრავზე უკრავდნენ და პროცესიას წინ მიუძღოდნენ. მოზეიმე ხალხის შემდეგ ძვირფასი ტანსაცმლის ბრწყინვალებით სამეფო კორტეჟი მოემართებოდა. ჯვრისწერა ხალხის თვალწინ მოხდა. ათასობით, ათიათასობით თვალი მიმართული იყო ფერმკრთალი, გამხდარი, თავისი დიდებულებით ტანჯული ბიჭის პატარძლისაკენ. სამეფო კარის პოეტებმა, რაღა თქმა უნდა, ამჯერადაც ხელიდან არ გაუშვეს შემთხვევა და ხოტბა შეასხეს მშვენიერ პატარძალს. „ღვთიურ ანგელოსზე ასჯერ უფრო მშვენივრად წარმოგვიდგა“, — მაღალფარდოვნად გვიამბობს ბრანტომი, რომელსაც თავაზიანი ანეკდოტების მოყოლა უფრო ეხალისებოდა. ეს მგზნებარე, პატივმოყვარე ქალი იქნებ მართლაც განსაკუთრებით მომაჯადოებელი ჩანდა ამ ბედნიერების მწვერვალზე. იქნებ ამ ნორჩი, ახალგაფურჩქნილი ყვავილისთვის, ბედნიერი ღიმილით რომ ესალმებოდა ყველას, ეს მთელი ცხოვრების უდიდესი ზეიმი იყო. ევროპის პირველი პრინცის გვერდით, ბრწყინვალე ცხენოსანი ამალის თანხლებით მიდის მარიამ სტიუარტი ქუჩაში. აღტაცებული ხალხის გუგუნი ცას სწვდება. ამგვარი დიდებული დღესასწაული არასოდეს უნახავთ. საღამოს იუსტიციის სასახლეში ღია ზეიმი გაიმართა. პარიზელთა აღტაცებული ტალღა გარს ეკვრის, ლამის თვალებით შთანთქას ეს გოგონა, საფრანგეთს მეორე გვირგვინი რომ მოუტანა. ეს ღირსშესანიშნავი დღე მეჯლისით დამთავრდა, რომლისთვისაც ხელოვნებმა არ დაიშურეს მახვილგონივრული გამონაგონი. დარბაზში, თითქოს აბობოქრებულ ტალღებზე ირწევიანო, შემოცურდა ექვსი მოოქრული გემი, ზედ ვერცხლისფერი ფარჩის იალქნები ფრიალებდა. გემებს თვალით უხილავი მეზღვაურები მართავდნენ. თითოეულ გემში ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი,

ნიღაბაფარებული პრინცი ზის და ნატიფი ჟესტით თავისკენ იწვევს სამეფო კარის მანდილოსანთ: ეკატერინე მედიჩის — დედოფალს, მარიამ სტიუარტს — ტახტის მემკვიდრეს, ნავარიის დედოფალსა და პრინცესებს — ელისაბედს, მარგარეტსა და კლოდს. ეს წარმოდგენა სიმბოლურად გამოხატავდა ბედნიერ ცურვას ბრწყინვალე, დიდებული ცხოვრების ტალღებზე. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია თვითონ განაგოს საკუთარი ბედი და მარიამ სტიუარტის ცხოვრების გემმა ამ ერთადერთი, უზრუნველი დღის შემდეგ სულ სხვა, საშიში ნაპირებისკენ გაცურა.

პირველი საფრთხე მოულოდნელად შემოეპარა, მარიამ სტიუარტი კარგა ხანია შოტლანდიის მფლობელი იყო, ამასთან Le Roi Dauphin-იც, საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეც, რადაც თავისმა მეუღლემ აქცია. მის თავზე ამობრწყინდა მეორე, უფრო ძვირფასი გვირგვინი. მაგრამ ბედმა მძიმე განსაცდელი მოუვლინა, თვალი მოსტაცა მესამე გვირგვინმა და ბავშვივით გულუბრყვილო და დაბრმავებულმა მარიამ სტიუარტმა, რახან დროზე ბრძნულად არავინ დაარიგა, მისკენ გაიწია, მისი ცბიერი ბრწყინვალებით მოხიბლულმა.

სწორედ იმ, 1558 წელს, როცა იგი საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის მეუღლე გახდა, გარდაიცვალა მარიამი, ინგლისის დედოფალი და ტახტზე ავიდა მისი ნახევარდა ელისაბედი. იყო თუ არა სინამდვილეში ელისაბედი კანონიერი მემკვიდრე ტახტისა? ქალების მოყვარულ ჰენრიხ VIII-ს სამი შვილი ჰყავდა: ვაჟი ედუარდი და ორი ასული — მარიამი, ეკატერინე არაგონელისაგან და ელისაბედი — ანა ბოლეინთან ქორწინებიდან. ედუარდის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ, როგორც უფროსი და კანონიერი ქორწინებით შობილი, ტახტის მემკვიდრე მარიამი გახდა, მაგრამ იგი უშვილძიროდ გადაეგო. იყო თუ არა ახლა ელისაბედი ტახტის მემკვიდრე? დიახ, — ამტკიცებდნენ ინგლისელი გვირგვინოსანი იურისტები, რადგან ეპისკოპოსმა აკურთხა ჰენრიხ VIII-ისა და ანა ბოლეინის ქორწინება, პაპმა კი კანონიერად ცნო. არა, — ამტკიცებდნენ საფრანგეთის გვირგვინის იურისტები, რადგან ჰენრიხ VIII-მ თავისი ქორწინება ანა ბოლეინთან შემდგომ გაუქმებულად გამოაცხადა, ელისაბედი კი პარლამენტის საგანგებო კანონის თანახმად, ბასტარდად ცნეს. თუ ეს ასე იყო, რასაც მხარს უჭერდა მთელი კათოლიკური სამყარო, როგორც ბასტარდს, არ შეეძლო ასულიყო ინგლისის სამეფო ტახ-

ტზე და ინგლისის მეფის გვირგვინი კანონიერად არავის ერგებოდა ჰენრიხ VII-ის შვილიშვილის შვილის, მარიამ სტიუარტის გარდა.

ამგვარად, თექვსმეტი წლის გამოუცდელ გოგონას უნდა გადაეწყვიტა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის საკითხი. მარიამ სტიუარტის წინაშე ორი გზა არსებობდა: ან დათმობაზე წასულიყო, პოლიტიკურად ემოქმედა და თავისი ბიძაშვილი ელისაბედი ინგლისის სრულუფლებიან დედოფლად ეცნო, ან იარაღით ხელში დაეცვა თავისი უფლებები, მტკიცედ და თამამად დაედანაშაულებინა ელისაბედი გვირგვინის მიტაცებაში და ბრძოლისკენ მოეწოდებინა შოტლანდიისა და საფრანგეთის არმიებისთვის თვითმარქვიას დასამხობად. მაგრამ, საბედისწეროდ, მარიამ სტიუარტმა და მისმა თანამოაზრეებმა მესამე, საშუალო გზა აირჩიეს, ყველაზე დამღუპველი პოლიტიკაში. ძლიერი, მტკიცე დარტყმის მაგივრად საფრანგეთის სამეფო კარი ელაქუცებოდა ელისაბედს: ჰენრიხ II-ის ბრძანებით, დოფინსა და მის მეუღლეს გერბში შეაქვთ ინგლისის გვირგვინი, მარიამ სტიუარტი კი ოფიციალურად და დოკუმენტებში იწოდება: Regina Franciae, Scotiae, Angliae, et Hiberiae[1].

ერთი სიტყვით, პრეტენზია განაცხადა, მაგრამ არ დაუცავს იგი. ომი არავის გამოუცხადებია ელისაბედისთვის, მხოლოდ აღიზიანებდნენ. იმის მაგივრად, რომ ცეცხლითა და მახვილით დაემორჩილებინათ ინგლისი, უძლურად დაემუქრნენ მოხატული ჯოხითა და ქაღალდის ნაგლეჯით. საოცარი იყო, მარიამ სტიუარტი პრეტენზიას აცხადებდა და არც აცხადებდა ინგლისის ტახტზე. მის პრეტენზიებზე ხან დუმდნენ, ხან კი სააშკარაოზე გამოჰქონდათ.

ამგვარად, ელისაბედის მოთხოვნაზე, ხელშეკრულების თანახმად დაებრუნებინათ მისთვის კალე, ჰენრიხ II-მ უპასუხა: „ასეთ შემთხვევაში კალე უნდა გადაეცეს დოფინის მეუღლეს, შოტლანდიის დედოფალს, რომელიც ჩვენ ყველას ინგლისის კანონიერ დედოფლად მიგვაჩნია“.

მაგრამ იმავე ჰენრიხ II-მ თითიც არ გაანძრია, რომ თავისი რძლის მოთხოვნები დაეცვა; იგი კვლავ განაგრძობდა მოლაპარაკებას „გვირგვინის მიმტაცებელთან“, ვით თანასწორუფლებიან მონარქთან.

თავისი გულუბრყვილო, ბავშვური საქციელით, დიდების მოყვარულობით მარიამ სტიუარტმა ვერაფერს მიაღწია და დაღუპა

[1] *დედოფალი საფრანგეთისა, შოტლანდიისა, ინგლისისა და ირლანდიისა (ლათ).*

ყველაფერი. ცხოვრებაში ყველას დაუშვია გამოუსწორებელი შეცდომა. ასე დაემართა მარიამ სტიუარტსაც: პოლიტიკურმა უტაქტობამ, ყმაწვილქალობაში უფრო პატივმოყვარეობითა და სიჯიუტით და არა გონივრული გადაწყვეტილებით ჩადენილმა შეცდომებმა იგი დაღუპვამდე მიიყვანა, რადგან შეურაცხყოფა მიაყენა ევროპის უძლიერეს ქალს და იგი დაუძინებელ მტრად გაიხადა. ჭეშმარიტ მბრძანებელს ყველაფრის მოთმენა და პატიება შეუძლია, მაგრამ თავის ძალაუფლებაში დაეჭვებისა კი არა. რაღა თქმა უნდა, იმ წუთიდან ელისაბედი მარიამ სტიუარტში საშიშ მეტოქეს, თავისი გვირგვინის ჩრდილს ხედავდა. იმ დღიდან რაც უნდა მიეწერათ ერთმანეთისთვის, მხოლოდ პირმოთნეობა და სიცრუე იქნებოდა მათი მტრობის დასაფარავად, მაგრამ სხვაგვარად მოქცევაც არ შეეძლოთ.

პოლიტიკაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, სანახევრო ზომებსა და გაძრომ-გამოძრომას მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე ენერგიულ და გადამწყვეტ მოქმედებას. მარიამ სტიუარტს გერბში ჩაწერილი ინგლისის დედოფლის გვირგვინი უფრო მეტი სისხლის ფასად დაუჯდა, ვიდრე ნამდვილ ომში, ნამდვილი გვირგვინისთვის დაიღვრებოდა. აშკარა ბრძოლა ერთხელ და სამუდამოდ ნათელს მოჰფენდა საქმეს, მაშინ როცა ფარულმა, ცბიერმა ბრძოლამ, ახალი ძალით რომ იფეთქებდა დროდადრო, ორივე ქალს ცხოვრება და დედოფლობა მოუწამლა.

ინგლისურრეგალიებიანმა საბედისწერო გერბმა თავისი გავლენა იქონია ტურნირზეც, კატა-კამბრეზში დადებული ზავის აღსანიშნავად რომ გაიმართა.

1559 წლის ივლისში იგი ამაყად ჩაატარეს le Roi Dauphin და la Reine Dauphine წინაშე ყველას დასანახად. რაინდი მეფე ჰენრიხ II შემთხვევას არ უშვებდა pour l'amour des dames[1] შუბი არ გადაემტვრია ვინმესთვის. ყველამ იცოდა, რომ ქალზე ფიქრობდა, მშვენიერ დიანა დე პუატიეზე, ამაყად რომ გასცქეროდა თავისი ლოჟიდან მეფე მიჯნურს. ამ ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ისტორიის მსვლელობა. შოტლანდიის ლეიბგვარდიის კაპიტანმა მონტგომერიმ, ვისაც შუბი გადაუმტვრიეს, თავის მოწინააღმდეგე მეფეს ისე მოუქნია შუბი, რომ თვალში მოარტყა და ცოცხალმკვდარი მეფე ცხენიდან ჩამოვარდა. პირველად ჭრილობა საშიშად არ მიაჩნდათ, მაგრამ

[1] *მშვენიერი ქალების სიყვარულისთვის.*

მეფე გონს ვერ მოდიოდა. სამეფო ოჯახის წევრები შეძრწუნებულნი იდგნენ მომაკვდავის სარეცელთან.

მამაცი ვალუას ძლიერი ორგანიზმი რამდენიმე დღე ებრძოდა სიკვდილს და მხოლოდ 10 ივლისს შეწყვიტა ძგერა მისმა გულმა.

საფრანგეთის სამეფო კარი ღრმა მწუხარების წუთებშიც ისევე პატივს სცემდა ჩვეულებებს, როგორც თავიანთ მბრძანებელს. როცა მეფის ოჯახმა დატოვა ციხესიმაგრე, ეკატერინე მედიჩიმ, ჰენრიხ II-ის მეუღლემ, ზღურბლთან ფეხი შეანელა: იმ წუთიდან, რაც იგი დაქვრივდა, პირველი ადგილი სამეფო კარზე ეკუთვნოდა ქალს, ვინც იმავე წუთმა საფრანგეთის სამეფო ტახტზე აიყვანა.

შემკრთალმა და დაბნეულმა მარიამ სტიუარტმა აცახცახებული ნაბიჯებით გადააბიჯა ზღურბლს, საფრანგეთის ახალი მეფის მეუღლემ გვერდით ჩაუარა გუშინდელ დედოფალს. ამ ნაბიჯით ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა ქალმა გაუსწრო თავის თანატოლებს და ხელისუფლების უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ქვრივი, მაგრამ მაინც დედოფალი
1560 წლის ივლისიდან 1561 წლის აგვისტომდე

მარიამ სტიუარტის ცხოვრება ასე ტრაგიკულად არ იქცეოდა, ბედს რომ მისთვის ამქვეყნიური ძალაუფლება მაცდურად და განუსჯელად არ ჩაეგდო ხელთ. მისი სწრაფი აღმასვლა რაკეტის ქროლას მოგვაგონებს. ექვსი დღისა შოტლანდიის დედოფალი გახდა, ექვსი წლისა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი პრინცის სახელდებული, ჩვიდმეტი წლისა კი — საფრანგეთის დედოფალი. ჯერ მის სულში გაზაფხული არ დამდგარიყო, რომ ძალაუფლების მწვერვალს მიაღწია. ყველაფერი ციურ მანანასავით ესხურებოდა, უშრომლად და გაურჯელად... მემკვიდრეობა, ჯილდო, მადლი... ვით სიზმარში, ნაირფერ ნისლში გახვეული თავის თავს ხან საქორწინო, ხან სადედოფლო ტანსაცმელში ხედავდა. მაგრამ სანამ გრძნობები გაეფურჩქნებოდა, მისი გაზაფხული დაჭკნა, ნიავმა გაფანტა ყვავილი და გამოიღვიძა იმედგაცრუებულმა, დაბნეულმა, მოტყუებულმა, განძარცულმა დედოფალმა. იმ ასაკში, როცა სხვები ნატვრას იწყებენ, გულში იმედები აღეძვრით, მიისწრაფვიან, მან ყოველივე ამქვეყნიური სიამე იგემა, მაგრამ ვერ მოასწრო სულიერად დამტკბარიყო მიღწეულით. სწორედ ამ ნაადრევ ბედის ტრიალში იმალება მისი მოუსვენრობისა და დაუკმაყოფილებლობის იდუმალება: ვინც პირველობას იყო ჩვეული თავის სამეფოში, მთელ ქვეყნიერებაზე, ასე იოლად ვერ შეეგუებოდა მწარე ხვედრს — არარაობას. მხოლოდ სუსტი ბუნების ადამიანები ემორჩილებიან და ივიწყებენ ყველაფერს, ძლიერნი კი ბობოქრობენ და უთანასწორო ბრძოლაში ებმებიან ყოვლისშემძლე ბედთან.

სწრაფ, უსიამოვნო, მშფოთვარე სიზმარივით გაირბინა საფრანგეთში მისი მეფობის მოკლე ხანამ.

რაიმსის ტაძარმა, სადაც არქიეპისკოპოსმა მეფედ აკურთხა ფერმკრთალი, ავადმყოფი ბიჭუნა, რომელსაც გვერდს უმშვენებდა გვირგვინოსანი, სასახლის კარზე თავისი სინარნარით, ლერწამტანობით გამორჩეული, ჯერ უფურჩქნელი შროშანი, მშვენიერი დედოფალი, ქალს მხოლოდ ერთი ბრწყინვალე წუთი აჩუქა, სხვა დღესასწაულებსა და ზეიმებზე არას მეტყველებენ მატიანენი. ბედმა არ დააცალა მარიამ სტიუარტს, რომ მისთვის საოცნებო სამეფო შეექმნა, სადაც გაიფურჩქნებოდა პოეზია და ტრუბადურთა მთელი ხელოვნება; არც მხატვრებს მიეცათ საშუალება ტილოზე აღებეჭდათ სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი მონარქი და მისი მშვენიერი მეუღლე, მემატიანეებს კი აღეწერათ მისი მძიმე ხასიათი; არც ხალხს დასცალდა, გასცნობოდა თავის მბრძანებლებს და მით უმეტეს, შეეყვარებინა ისინი. სასტიკი ქარის მიერ დევნილი აჩრდილებივით მიქროდნენ ეს ბავშვები საფრანგეთის მეფეთა უსასრულო მწკრივში.

ფრანცისკ II, ავადმყოფი ბიჭუნა, ტყეში მოსაჭრელად ამორჩეულ ხესავით ამოერჩია სიკვდილს ნაადრევად გასაწირად.

მის შესივებულ, ფერმკრთალ სახეზე შემკრთალნი იცქირებიან მისი მოქანცულნი, ქუთუთოებით დამძიმებული თვალები, თითქოს სიზმრიდან შეშინებული გამოფხიზლდაო. რაც ტანს იყრიდა, მით ძალ-ღონე ეცლებოდა. მუდამ გარს ეხვია ექიმები და დაჟინებით ურჩევდნენ თავს გაფრთხილებოდა, მაგრამ ამ ჯერ კიდევ ბავშვის სულში ბიჭური თავმოყვარეობა ღვიოდა, არაფერში ჩამორჩენოდა თავის ტანკენარ მეგობარს, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა ნადირობა და სპორტი. ჯანმრთელად და ვაჟკაცურად რომ ეჩვენებინა თავი, გადარეული მიაჭენებდა ცხენს; მონაწილეობდა მომქანცველ ასპარეზობებში, მაგრამ ბუნებას რას მოატყუებ. მისი მოწამლული, განუკურნებელი სისხლი — ფრანცისკ I-ის წყეული მემკვიდრეობა, — თითქოს უნებურად მიედინებოდა მის ძარღვებში. ციებ-ცხელებით შეპყრობილი, ცუდ ამინდში იძულებული იყო, შინ მჯდარიყო. ექიმებით გარშემორტყმული შიშის, მოუთმენლობისა და დაღლილობისგან ცახცახებდა. ასეთი უბედური მეფე კარისკაცთ უფრო სიბრალულს აღუძრავდა, ვიდრე პატივისცემას. ხალხში კი საშინელი ხმები დადიოდა, თითქოს კეთრით იყო დაავადებული და განსაკურნებლად ახალდაკლული ბავშვების ცხელ სისხლში ბანაობდა.

მოღუშულნი შესცქეროდნენ გლეხები გამხდარ, ნალევა, უსი-

ცოცხლო სახის ბიჭს, როცა ცხენით ჩაუვლიდა მათ. კარისკაცნი არჩევდნენ, დედა-დედოფალს, ეკატერინე მედიჩისა და ტახტის მემკვიდრე კარლოსს ხლებოდნენ. სუსტი, უსიცოცხლო ხელებით უჭირდა მმართველობის სადავეების ხელში დაჭერა. ხანდახან ბიჭუნა ოკრობოკრო, ათრთოლებული ხელით საბუთებსა და დეკრეტებზე მოაწერდა: Francois, სინამდვილეში სახელმწიფოს მართავდნენ გიზები, მარიამ სტიუარტის ნათესავები, ის კი მხოლოდ სიცოცხლის მბეჟუტავი ნაპერწკლის შესანარჩუნებლად იბრძოდა.

ბედნიერ ცოლქმრობას, თუკი მას ცოლქმრობა ჰქვია, ვერ უწოდებ ავადმყოფის საწოლთან განმარტოებას და მუდმივ შიშსა და საზრუნავს. მაგრამ არ შემორჩენილა საბუთი იმისა, რომ ეს ნამდვილი ბავშვები ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს, მეტიც, ავყია სამეფო კარმა, როცა ბრანტონს მასალა მისცა თავისი Vie des dames galantes-თვის[1], საფუძველი ვერ მოუნახა, ეჭვიც კი ვერ შეიტანა მარიამ სტიუარტის საძრახის საქციელში. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე სახელმწიფოებრივი მოსაზრებით საკურთხეველთან მიიყვანდნენ და შეაუღლებდნენ, ფრანცისკი და მარიამ სტიუარტი ერთად თამაშობდნენ, მაგრამ საეჭვოა, ახალგაზრდა წყვილს ხორციელი სწრაფვა ჰქონოდა ერთმანეთისადმი. წლებმა განვლო, სანამ მარიამ სტიუარტში ვნება გაიღვიძებდა. ყოველ შემთხვევაში, ფრანცისკი, ციებ-ცხელებისგან ტანჯული ყმაწვილი, ვერას აღუძრავდა ამ თავშეკავებულ, გულჩახვეული ბუნების ყმაწვილ ქალს. რაღა თქმა უნდა, გულკეთილი, მოწყალე გულის, კეთილი ხასიათის მარიამ სტიუარტი მზრუნველად უვლიდა ავადმყოფ მეუღლეს. მხოლოდ გრძნობა კი არა, გონებაც უკარნახებდა, რომ მისი ძალაუფლების ბრწყინვალება და დიდება დამოკიდებული იყო უბედური, გამხდარი ბიჭუნას სუნთქვასა და მაჯისცემაზე და მის სიცოცხლეს რომ უფრთხილდებოდა, ამით თავის ბედნიერებასაც იცავდა. იმდენად ხანმოკლე იყო მათი მმართველობა, არ უგემიათ უშფოთველი ბედნიერება. ამ დროს საფრანგეთში მწიფდებოდა ჰუგენოტების აჯანყება, ხოლო ამბუაზის ამბოხების შემდეგ, რაც საფრთხეს უქადდა თვით მეფე-დედოფალს, მარიამ სტიუარტი იძულებული იყო, თავისი სამწუხარო მოვალეობა შეესრულებინა — დასწრებოდა მეამბოხეთა დასჯას. ეს შთაბეჭდილებანი კი ღრმად ჩარჩა სულში, თითქოს იმისათვის, რომ შემდეგ, როცა მასაც ეს ხვედრი ხვდა, ვით

[1] *„თავქარიან ქალთა ცხოვრება“ (ფრ.).*

ჯადოსნურ სარკეში, ისე გაელვა ხელებშეკრულ, მუხლებზე დამხობილ ცოცხალ ადამიანს როგორ მიათრევდნენ ჯალათის კუნძთან, მოქნეული ნაჯახი ყრუ გუგუნით როგორ დაეშვებოდა კეფაზე და გასისხლიანებული, მოწყვეტილი თავი როგორ გაგორდებოდა ქვიშაზე.

ეს საშინელი სანახაობა მის მეხსიერებაში ჩრდილავდა რაიმსის ტაძარში ქორწინების მშვენიერ ცერემონიას. თან ერთიმეორეზე სამწუხარო ამბები მოსდიოდა: 1560 წლის ივნისში გარდაიცვალა დედამისი მარიამ დე გიზი, რომელიც მის მაგივრად მართავდა შოტლანდიას. ქვეყანაში კი მკაცრი რელიგიური წესები, განხეთქილებები სუფევდა. საზღვარზე ომი მძვინვარებდა, ინგლისელები ღრმად შეჭრილიყვნენ შოტლანდიაში. უზრუნველმა, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილმა გოგონამ თალხი ჩაიცვა. მისთვის საყვარელი მუსიკა უნდა დადუმებულიყო, ცეკვა ჩამკვდარიყო. ძვალტყავა ხელით უკაკუნებდა სიკვდილი გულისა და სასახლის კარს: ფრანცისკ II თანდათან სუსტდებოდა, მოწამლული სისხლი უფეთქავდა საფეთქლებთან და ყურებში უწიოდა. აღარც სიარული შეეძლო და აღარც ცხენზე ჯდომა. ხან აქეთ გადააწვენდნენ და ხან იქით. ბოლოს ანთებას ყურში ჩირქის ჩადგომა მოჰყვა. ექიმთა ხელოვნება ამაო გამოდგა და 1560 წლის 6 დეკემბერს უბედურმა ბიჭმა მოისვენა.

სცენა სასიკვდილო სარეცელთან ერთნაირ ტრაგიკულ სიმბოლოდ იქცა ეკატერინე მედიჩისა და მარიამ სტიუარტისათვის: ფრანცისკ II-ის სულისთქმა არ მიმწყდარიყო, რომ მარიამ სტიუარტმა დაკარგა საფრანგეთის ტახტი და კარში გზა დაუთმო ეკატერინე მედიჩის, ახალგაზრდა ქვრივმა დედოფალმა — უფროსს. იგი უკვე პირველი მანდილოსანი აღარ იყო სამეფოში, წინანდებურად მეორე გახდა. გავიდა ერთი წელი, სიზმარი გაქრა: მარიამ სტიუარტი აღარ იყო საფრანგეთის დედოფალი. დაბადებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მას მხოლოდ შოტლანდიის დედოფლობა ეწერა.

საფრანგეთის სამეფო კარის ჩვეულების მიხედვით, ორმოცამდე სამგლოვიარო დღეები იყო ქვრივი დედოფლისათვის. ამ მკაცრი განდეგილობისას მას უფლება არ ჰქონდა, თუნდაც წუთით გასულიყო თავისი განსასვენებლიდან. პირველი ორი კვირის განმავლობაში გარდა ახალი მეფისა და მისი ახლობელი ნათესავებისა ვერავინ ინახულებდა თავის ხელოვნურ აკლდამაში — მკრთალი შუქით განათებულ ოთახში გამომწყვდეულ ქვრივს.

თუ უბრალო წრის ქალები შავ — ამ უცვლელი ფერის სამგლოვიარო სამოსს იცვამდნენ, მათგან განსხვავებით დედოფალს le deuil blanc — თეთრი ფერის სამგლოვიარო ტანსაცმელი უნდა ჩაეცვა. ფერმკრთალ სახეზე ქათქათა ჩაჩი შემოუვლია, ტანთ თეთრი ფარჩის კაბა აცვია, ფეხზე თეთრი ფეხსაცმელი და წინდა. ამ მოჩვენებით ბრწყინვალე ტანსაცმლის ზემოდან შავი მარმაში შემოუვლია. ასეთი წარმოსდგებოდა მარიამ სტიუარტი იმ დღეებში, ასეთია ჟანეს ცნობილ ტილოზე, ასეთს ხატავს რონსარი თავის ლექსში:

ფერგამჭვირვალე აბრეშუმი გეკვროდათ ტანზე
და თქვენს სხეულზე, როგორც თოვლზე
ლურჯ შუქს აფრქვევდა ხან მთვარე, ხან მზე...
ფარჩა — ხვეულებს, ვით იალქანს, აკსებდით დარდით,
იდექით ჩემ წინ და სევდიან ანგელოსს ჰგავდით.
ცრემლს ასხურებდით ნაზ ღაწვებს გზნებით
და ირეოდნენ ერთმანეთში გზები და გზები.
ეთხოვებოდით სასახლეს ცისფერს,
ტიროდით რაღაც საოცრად მწარედ, —
ცისფერ ჩქერებში კრთებოდა მთვარე...

ყმაწვილი ქალის მომხიბვლელობა და სიმშვენიერე ისე არსად ჩანს, როგორც ჟანეს პორტრეტზე. ჭვრეტითი გამომეტყველება მის ხედვას უჩვეულო სინათლეს მატებს, ხოლო ერთი ტონის სითეთრე, უზადო თეთრი კაბა გამოკვეთს მისი სახის მარმარილოს სიფერმკრთალეს. მისი მეფური კეთილშობილება განსაკუთრებით ნათლად გამოსჭვივის სამგლოვიარო ტანსაცმელში, ვიდრე ადრეულ პორტრეტებზე, სადაც ვხედავთ მის უდიდებულესობას მთელი ბრწყინვალეებით, ძვირფასი თვალ-მარგალიტითა და ყველა სამეფო სამკაულით აღჭურვილს.

კეთილშობილური ნაღველი ჟღერს სტრიქონებში, რომლებიც თვითონ მიუძღვნა განსვენებული მეუღლის ხსოვნას, როგორც საფლავზე დასატირალი. ეს სტრიქონები მის მასწავლებელს რონსარსაც კი შეჰფერის. თვით დედოფლის ხელითაც რომ არ იყოს დაწერილი, ეს მოკრძალებული სტრიქონები აგვაღელვებდა თავისი უშუალო გულწრფელობით, რადგან დაობლებული მეგობარი აქ მგზნებარე სიყვარულს კი არ დასტირის — პოეზიაში მარიამ სტიუარტი არასოდეს ცრუობდა, როგორც პოლიტიკაში — არამედ მარტოობას:

ძნელია, მაგრამ
დღისით თუ ღამით,
მე მასზე ვფიქრობ,
გავგიჟდე ლამის.
ზეცას როგორც კი
გავხედავ ბედად, —
ღრუბლების ნაცვლად
მის თვალებს ვხედავ,
ხეებში ვხედავ, —
მეხვევა, მკოცნის,
ვიცინი, ვხარობ...
ავდარში, დარში,
სიზმარში, ცხადში,
ის არის ჩემი
სიცოცხლის წყარო.

მარიამ სტიუარტის ნაღველი გარდაცვლილ ფრანცისკ II-ზე მხოლოდ პოეტური პირობითობაა, მასში ნამდვილი, გულწრფელი გულისტკივილი იგრძნობა. მისი სიკვდილით მარიამ სტიუარტმა დაკარგა არა მხოლოდ კეთილი, დამყოლი ამხანაგი, ნაზი მეგობარი, არამედ თავისი მდგომარეობაც ევროპაში, სიძლიერე...

ყმაწვილმა დედოფალმა მალე იგრძნო, რა დიდად განსხვავდებოდა მისი მდგომარეობა, როცა პირველი ქალი იყო და ახლა, როცა თავისი ადგილი სხვას დაუთმო და ახალი მეფის მესუფრე გახდა. ცეცხლზე ნავთს უსხამდა აგრეთვე ეკატერინე მედიჩის საშინელი სიძულვილი. მისი დედამთილი ახლა კვლავ პირველი მანდილოსანი გახდა საფრანგეთის სამეფო კარზე. ეტყობოდა, მარიამ სტუარტმა საშინლად აწყენინა ამპარტავან, მედიჩების ცბიერ ასულს, როცა გაუფრთხილებლად ახსენა მისი „ვაჭრული წრიდან“ წარმომავლობა, და რომ იგი ახლოსაც ვერ მივიდოდა მის მეფურ შთამომავლობით ღირსებებთან. ასეთი უტაქტო საქციელი — ანცი, დაუდგრომელი გოგონა ამგვარად მრავალჯერ მოქცეულა ელისაბედთანაც — უფრო მეტ ბოროტებას გააღვივებს ქალებში, ვიდრე აშკარა შეურაცხყოფა.

გახდა თუ არა მბრძანებელი, ეკატერინე მედიჩიმ, მთელი ოცი წლის განმავლობაში რომ თრგუნავდა თავის პატივმოყვარეობას ჯერ

დიანა პუატიეს, შემდეგ კი მარიამ სტიუარტის გამო, გამომწვევი მზერით აგრძნობინა სიძულვილი ორივე დაცემულ ქალღმერთს.

მაგრამ მარიამ სტიუარტი — აქ ნათლად იგრძნობთ მის დაუდგრომელ, ქედმოუხრელ, წმინდა მამაკაცურ სიამაყეს — არასოდეს გაჩერდებოდა იქ, სადაც პირველი სხვა იყო. მისი ამაყი, მგზნებარე გული ვერ დაკმაყოფილდებოდა მოკრძალებული ხვედრით — ნახევარი ხარისხით. არარაობას სიკვდილი ერჩივნა.

ერთ წუთს ასეთმა აზრმაც გაუელვა: მონასტერში გამომწყვდეულიყო, უარი ეთქვა მაღალ ღირსებებზე, რადგან მთლად უმაღლესს ვერ მიაღწევდა ამ ქვეყანაში. მაგრამ სიცოცხლეს უდიდესი მაცდუნებელი ძალა აქვს. სამუდამოდ უარი ეთქვა სიცოცხლის სიტკბოებაზე, თვრამეტი წლის გოგონასათვის იმას ნიშნავდა, დაეთრგუნა თავის ბუნება. თან კიდევ შეეძლო დაკარგული გვირგვინის ნაცვლად ხელთ ეგდო ახალი, ასეთივე ძვირფასი. ესპანეთის მეფემ თავის ელჩს დააკალა იგი დონ კარლოსზე, ორი ქვეყნის მომავალ მბრძანებელზე დაენიშნა; ავსტრიის სამეფო კარი ჩუმად შუამავლებს უგზავნიდა, შვედეთისა და დანიის მეფეები ხელსა და ტახტს სთავაზობდნენ. გარდა ამისა, თავისი სამემკვიდრეო ტახტიც ჰქონდა და კვლავ პრეტენზიებს აცხადებდა მეორე, ინგლისის გვირგვინზე. წინანდებურად უამრავი შესაძლებლობა ეძლეოდა ჯერ ისევ ნორჩ, ქვრივ დედოფალს. თუმცა ამ დიდებას ციურ მანანასავით არ ასხურებდა ბედი, დიდი ხელოვნებით და მოთმინებით უნდა გამოეძალა ძლიერი მოწინააღმდეგისთვის. მაგრამ ესოდენ მამაც, ნორჩი სულის, საროს ტანის ასულს შეეძლო ყველაზე სახიფათო ნაბიჯიც კი გადაედგა.

მტკიცე გადაწყვეტილებით შეუდგა მარიამ სტიუარტი ბრძოლას თავისი მემკვიდრეობისათვის.

რაღა თქმა უნდა, უჭირდა საფრანგეთის დატოვება. თორმეტი წელიწადი იცხოვრა მან აქ, დიდებულ სამეფო კარზე და მრავალი სიხარული მიანიჭა ამ მშვენიერმა, უხვმა ქვეყანამ. იგი უფრო იყო სამშობლო მისთვის, ვიდრე მისი უსიხარულო ბავშვობის შოტლანდია. აქ მასზე ზრუნავდნენ დედის ნათესავები, სასახლეში ბედნიერად გრძნობდა თავს. აქ ლექსებს უძღვნიდნენ, ხოტბას ასხამდნენ, ესმოდათ მისი პოეტებს. მის სულში შეიჭრა რაინდული სიმშვენიერე ცხოვრებისა. თვიდან თვემდე სდებდა მშობლიურ სამეფოში დაბრუნებას, თუმცა იქ კარგ ხანია ელოდებოდნენ. ინახულა ნათესავები

ჟუანვილსა და ნანსში, დაესწრო რაიმსში თავისი ათი წლის მაზლის, კარლოს IX-ის მეფედ კურთხევას. თითქოს იდუმალი წინათგრძნობით შეპყრობილი მიზეზებს ეძებდა გამგზავრების გადასადებად. თითქოს ელოდა, ბედი უცაბედად შემობრუნდებოდა და იხსნიდა სამშობლოში დაბრუნებისგან.

თუმცა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში გამოუცდელი იყო, თვრამეტი წლის დედოფალმა მშვენივრად იცოდა, რა მძიმე განსაცდელი ელოდა შოტლანდიაში. დედამისის გარდაცვალების შემდეგ, იგი ვით რეგენტი, მის მაგივრად მართავდა ქვეყანას, მომძლავრდნენ პროტესტანტი ლორდები, მისი უბოროტესი მოწინააღმდეგენი და ახლა ძლივს ფარავდნენ, რომ არ სურდათ მოეწვიათ შოტლანდიაში მგზნებარე კათოლიკე, საძულველი მესის მიმდევარი. ისინი აშკარად აცხადებდნენ, რაც დიდი აღფრთოვანებით შეატყობინა ინგლისის ელჩმა ლონდონში, — უმჯობესია, რამდენიმე თვით შეფერხდეს დედოფლის ჩამოსვლა და თუ არა მოვალეობა, მოხარული ვიქნებოდით, აღარასოდეს გვეხილა იგიო. საიდუმლოდ კარგა ხანია უპატიოსნო გარიგებას აწყობდნენ: ინგლისის დედოფალს ქმრად სთავაზობდნენ ტახტის უახლოეს პრეტენდენტს, პროტესტანტ გრაფ არანელს, რათა უკანონოდ მიერთმიათ ელისაბედისათვის გვირგვინი, რაც კანონიერად მარიამ სტიუარტს ეკუთვნოდა.

მარიამ სტიუარტი დიდად ვერც ნახევარძმას, ჯეიმს სტიუარტს, მერეის გრაფს ენდობოდა, რომელმაც შოტლანდიის პარლამენტის დავალებით საფრანგეთში ჩააკითხა: მეტად კეთილად იყო განწყობილი ელისაბედისადმი, იქნებ მოსყიდულიც კი ჰყავდა. დროულად თუ დაბრუნდებოდა, ეს ჩაახშობდა ბნელ ინტრიგებს. მხოლოდ მემკვიდრეობითი სიმამაცე, მეფე სტიუარტების სიმამაცე განუმტკიცებდა ძალაუფლებას. ამგვარად, აღარ უნდოდა ერთ წელიწადში ერთ გვირგვინთან ერთად მეორეც დაეკარგა და საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილმა, გულდამძიმებულმა მარიამ სტიუარტმა გადაწყვიტა, მიჰყოლოდა გულისხმას.

სანამ თავის სამეფოში დაბრუნდებოდა, მარიამ სტიუარტს აგრძნობინეს, რომ შოტლანდია ინგლისს ესაზღვრებოდა და იქ სხვა დედოფალი მეფობდა.

ელისაბედი მცირეოდენ მიზეზსაც ვერ ხედავდა და არც არავითარი სურვილი გააჩნდა, რაიმე დაეთმო თავისი მეტოქისა და ტახტის

მემკვიდრისათვის. ინგლისის სახელმწიფო მდივანი სესილიც ირონიას ვეღარ ფარავდა და მხარს უჭერდა დედოფლის ყოველ მტრულ ნაბიჯს. „რაც უფრო ვერ მოეწყობა შოტლანდიის დედოფლის საქმეები, მით უკეთესია თქვენი უდიდებულესობისათვის“. მთელი უბედურება კი ის გახლდათ, რომ მარიამ სტიუარტი კვლავ აცხადებდა სულელურ პრეტენზიას ინგლისის ტახტზე, რაც მათი დავის საგანი იყო. მართალია, ედინბურგში შოტლანდიისა და ინგლისის წარმომადგენლებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შოტლანდიის წარმომადგენლებმა მარიამ სტიუარტის სახელით ელისაბედი სამუდამოდ აღიარეს for all times coming — ინგლისის სრულუფლებიან დედოფლად, მაგრამ ხელშეკრულება პარიზში რომ ჩაიტანეს, მარიამ სტიუარტმა და მისმა მეუღლემ, ფრანცისკ II-მ თავი შეიკავეს ხელის მოწერაზე. მარიამ სტიუარტი არასოდეს მოაწერდა ხელს ამგვარ რამეზე. იგი ამაყობდა კიდეც, რომ პრეტენზიას აცხადებდა ინგლისის ტახტზე და აბა ხელს როგორ აიღებდა ამაზე. პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო შეეძლო შესაფერის მომენტს დალოდებოდა თავის მოსაზრებათა განსახორციელებლად, მაგრამ საჯაროდ და გულწრფელად ვერასოდეს იტყოდა უარს წინაპართა მემკვიდრეობაზე.

ელისაბედი ვერ ითმენდა ამდენ ორჭოფობას ამ საკითხში. შოტლანდიის დედოფლის წარმომადგენლებმა მისი სახელით ხელი მოაწერეს ედინბურგის ხელშეკრულებას, ახლა მასაც უნდა განემტკიცებინა თავისი ხელმოწერით, Sub rosa-ს აღიარებით, ორჭოფული დაპირებებით ელისაბედი ვერ დაკმაყოფილდებოდა, რადგან მას, პროტესტანტსა და იმ სახელმწიფოს მმართველს, რომლის ნახევარი სამეფო კათოლიციზმის მიმდევარი იყო, კათოლიკე ტახტის მაძიებელი საფრთხეს უქმნიდა და ემუქრებოდა არა მარტო მის ხელისუფლებას, მის სიცოცხლესაც. სანამ ეს მოწინააღმდეგე დედოფალი აშკარად უარს არ იტყოდა პრეტენზიებზე, ელისაბედი თავს ვერ იგრძნობდა ნამდვილ დედოფლად.

ამ სადავო საკითხში ელისაბედი, რა თქმა უნდა, მართალი იყო. მაგრამ ამ სიმართლეს საეჭვოს ხდიდა, როცა ესოდენ სერიოზული პოლიტიკური კონფლიქტის გადაწყვეტას წვრილმანი, უპატიოსნო საშუალებებით ცდილობდა. პოლიტიკურ ბრძოლაში ქალები მუდამ საშიშ თვისებას ამჟღავნებენ — ერთმანეთს წვეთ-წვეთად ასხამენ

შხამს გულში და მტრობას აღვივებენ. ამჯერადაც შორსმჭვრეტელმა მბრძანებელმა ყველა პოლიტიკოს ქალთათვის დამახასიათებელი შეცდომა დაუშვა. შოტლანდიაში გასამგზავრებლად მარიამ სტიუარტმა ოფიციალურად გამოითხოვა ე.წ. safe conduct — სატრანზიტო ვიზა, როგორც ახლა ვიტყოდით. მისი მხრიდან ეს წმინდა ლოიალობა, ფორმალობა, ოფიციალური თავაზიანობა იყო, რადგან პირდაპირი გზა მისთვის ზღვით შოტლანდიისკენ არავის გადაუკეტავს. როცა ინგლისზე გავლით აპირებდა გამგზავრებას, იგი უსიტყვოდ აძლევდა მოწინააღმდეგეს მასთან მეგობრული მოლაპარაკების საშუალებას. ელისაბედმა მაშინვე გამოიყენა ეს შემთხვევა, რომ დაეგესლა მეტოქე. მაგრამ სტიუარტის თავაზიანობაზე მან მეტად უხეშად უპასუხა, safe conduct-ს, მანამდე არ მივცემ, ვიდრე ედინბურგის ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერსო. ამით სურდა გულში დაეჭრა დედოფალი, შეურაცხყოფა მიეყენებინა. იმის მაგივრად, რომ ომის გამოცხადებით დამუქრებოდა, პირადი შეურაცხყოფის უძლური და ღვარძლიანი ჟესტი გამოიყენა.

ამგვარად, გაიფანტა მათი უსიამოვნების მომცველი ბურუსი და ორი ამაყი მბრძანებლის რისხვისგან ანთებული თვალები ერთმანეთს შეეჩეხა. გააფთრებულმა მარიამ სტიუარტმა ინგლისის ელჩი იხმო და რისხვა მასთან გადმოანთხია: „ბრაზი მკლავს, ისე არ უნდა დამეკარგა გონი, რომ თქვენი მბრძანებლისთვის დახმარება მეთხოვა, რაც სინამდვილეში არ მჭირდება. მისი ნებართვა გასამგზავრებლად ისევე არ მინდა, როგორც მას ჩემი, სადაც უნდა გაემგზავროს. ჩემს სამეფოში მისი ნებართვისა და ფირმანის გარეშეც დავბრუნდები. განსვენებული მეფე აქეთკენ, ამ ქვეყანაში მიწვევდა. როგორც მოგეხსენებათ, მშვიდობიანად ჩამოვედი. ჩემს მეგობრებს რომ მივმართო, ახლაც გამოვძებნი გზებსა და საშუალებებს უკან დასაბრუნებლად... თქვენ ამბობთ, რომ მეგობრობა თქვენს დედოფალსა და ჩემ შორის მეტისმეტად სასურველი და სასარგებლოა ორივესთვის, მაგრამ ახლა მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, თქვენი დედოფალი სხვა აზრისაა, თორემ ასე მტრულად არ უპასუხებდა ჩემს თხოვნას. ეს იმას ნიშნავს, რომ ურჩ ქვეშევრდომებთან მეგობრობა მას უფრო სიამოვნებს, ვიდრე მათ მბრძანებელთან. იქნებ ჭკუითა და გამოცდილებით ჩამოუვარდები თქვენს დედოფალს, მაგრამ მეფური სისხლით მისი ახლო ნათესავი და მეზობელი ვარ. მე მხოლოდ მეგობრობა მწადია

მასთან, მშვიდობას არ დავურღვევ სახელმწიფოში, მოლაპარაკებას არ დავიწყებ მის ქვეშევრდომებთან, თუმცა ვიცი, მათ შორის ბევრია ისეთი, სიხარულს რომ მოჰგვრის ჩემი ყოველი სიტყვა“.

ეს საშინელი მუქარა იყო, უფრო საშინელი, ვიდრე ბრძნული, მაგრამ სტიუარტს ჯერ ფეხიც არ დაედგა შოტლანდიის ნაპირზე, რომ გამოამჟღავნა იდუმალი განზრახვა — თუ საჭირო გახდებოდა, ინგლისის მიწაზე ებრძოლა ელისაბედთან. ელჩმა თავაზიანად მოახსენა, — მთელი ეს გაუგებრობა იმას მოჰყვა, რომ თქვენ ინგლისის სახელმწიფო გერბი საკუთარში ჩართეთო. მაგრამ სტიუარტმა მაშინვე უარყო ეს საყვედური: „იმ დროს, ბატონო ელჩო, მე, მეფე ჰენრიხის, ჩემი მამამთილისა და ჩემი მეფე ბატონისა და მეუღლის გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი და მხოლოდ მათ ბრძანებებსა და სურვილებს ვასრულებდი. მათი სიკვდილის შემდეგ, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, თავს ვიკავებდი, მეტარებინა ინგლისის დედოფლის ტიტული და გერბი. თუმცა უნდა მოგახსენოთ, ვერაფერს შეურაცხმყოფელს ვერ ვხედავ ჩემი უბრწყინვალესი ბიძაშვილისთვის, რომ მომავალში მასავით დედოფალმა, ვატარო ინგლისის გერბი. ჩემზე ნაკლები უფლებების მქონე ადამიანებიც ხომ ატარებენ მას. თქვენც ვერ უარყოფთ, რომ ერთ-ერთი ჩემი ბებია მისი მამის, მეფის და იყო და ამასთან უფროსი და“.

მეგობრობის საფარქვეშ კვლავ გაიელვა უსიამოვნო მოგონებამ: მარიამ სტიუარტმა რომ გამოკვეთა თავისი წარმომავლობა უფროს შტოთაგან, ამით დაამტკიცა თავისი უფლება მემკვიდრეობაზე. როცა ელჩმა დაჟინებით სთხოვა, ამ მტრობის მოსასპობად, შეპირების თანახმად, ხელი მოეწერა ედინბურგის ხელშეკრულებაზე, მარიამ სტიუარტმა, როგორც ყოველთვის, როცა კი სიტყვა ამ საჩოთირო პუნქტზე ჩამოვარდებოდა, ათასი მიზეზი გამოძებნა, რომ საქმე კარგა ხნით გადაედო. ვერ გადავწყვეტ, სანამ ამ საკითხზე შოტლანდიის პარლამენტს არ მოვეთათბირებიო. ასევე ელჩმაც თავი შეიკავა, რომ რაიმე აღეთქვა ელისაბედის სახელით. როგორც კი დაძაბული წუთები დადგებოდა და რომელიმე დედოფალს უეჭველად უნდა დაეცვა თავისი უფლება, მაშინვე იწყებდნენ თავის დაძვრენასა და სიცრუეს. ორივე თავისაზე იდგა. ასე უსასრულოდ იძაბებოდა თამაში და როცა ტრაგიკულად გადაიხლართებოდა, მარიამ სტიუარტი მაშინვე შეწყვეტდა საუბარს ფირმანზე...

„კარგა ხნიდან რომ არ მოვმზადებულიყავი, თქვენი ბრწყინვალე ქალბატონის მტრულ საქციელს იქნებ ხელიც კი შეეშალა ჩემი გამგზავრებისათვის. მაგრამ ახლა მტკიცედ გადავწყვეტე, რადაც უნდა დამიჯდეს, შევასრულო ჩანაფიქრი. ვიმედოვნებ, კეთილი ნიავი დაქროლებს და არ მოგვიხდება ინგლისის ნაპირთან შეჩერება. თუ ეს არ მოხდა, თქვენს უბრწყინვალეს დედოფალს ხელთ ჩავუვარდები. დაე, მაშინ მომაგოს, რასაც ინებებს. თუ ესოდენ გულქვაა და ჩემი სიკვდილი სწადია, მსხვერპლად შემწიროს თავის თვითნებობას. იქნებ ასეთი აღსასრული მიჯობდეს სიცოცხლეს. დაე, აღსრულდეს ღვთის ნება!“

მის სიტყვებში კვლავ საშიში, თავის თავში დარწმუნებული, მტკიცე ტონი იგრძნობოდა.

როგორც კი საქმე მის ღირსებას, მის მეფურ თვისებებს შეეხებოდა, ეს რბილი, უზრუნველი, ბუნებით თავქარიანი ქალი, ამქვეყნიურ სიტკბოებას რომ ეწაფებოდა, ლითონზე მტკიცე, ჯიუტი და თამამი ხდებოდა: სიკვდილი უჯობდა ქედის მოხრას, მეფური ახირება ერჩივნა სულმოკლეობასა და სისუსტეს. აღელვებულმა ელჩმა ამბავი ჩაიტანა ლონდონს, რომ ვერას გახდა. დათმო უფრო ბრძენმა და მოქნილმა მბრძანებელმა, ელისაბედმა. ფირმანი გაგზავნეს კალეში. მაგრამ იქ ორი დღის დაგვიანებით ჩავიდა. მარიამ სტიუარტმა კი გაბედა გზას დასდგომოდა, თუმცა ლამანშში ინგლისის კაპერებთან* შეხვედრის საფრთხე ელოდა. დამცირების ფასად უშიშარი გზის არჩევას თამამად, დამოუკიდებლად, საშიშ გზაზე სიარული ამჯობინა. ელისაბედმა დაკარგა ერთადერთი შემთხვევა, რომ მშვიდობიანად გადაეწყვიტა კონფლიქტი და კეთილშობილება გამოეჩინა მათდამი, ვინც საშიშ მოწინააღმდეგედ მიაჩნდა. მაგრამ პოლიტიკა და გონება იშვიათად მიჰყვება ერთ გზას: ვინ იცის, იქნებ სწორედ ასეთი დაკარგული შემთხვევები განსაზღვრავენ ისტორიის დრამატულ მსვლელობას.

მეწამულსა და ოქროს ფერებს რომ აფრქვევს ჩამავალი მზის მაცდუნებელი სხივები ბუნებას, სწორედ ასე წარმოუდგა მარიამ სტიუარტს მის პატივსაცემად გამართულ უკანასკნელ ცერემონიალში დიდება და ბრწყინვალება ფრანგული სამეფო კარისა. ვინც მეფის საცოლედ შემოდგა ფეხი ამ მიწაზე, მარტოსულს, ყველასგან მიტოვებულს უნდა დაეტოვებინა თავისი სამეფო. ყველას უნდა

სცოდნოდა, ღარიბი, საწყალი ქვრივი, სუსტი და უმწეო ქალი კი არ ბრუნდებოდა თავის სამშობლო შოტლანდიაში, მის ბედს დაიცავდა საფრანგეთის მახვილი და ღირსება.

სენ-ჟერმენის სასახლიდან კალემდე მიაცილა ბრწყინვალე კავალკადამ. ძვირფასად შეკაზმულ ყაჯარ ცხენებზე, ფრანგული რენესანსის მთელი ბრწყინვალეებით, იარაღის ჟღარუნით, მოოქრულ აბჯარ-საჭურველში ჩამჯდარი მიაცილებდა დედოფალს ბრწყინვალე საზოგადოება. წინ, სადღესასწაულოდ მორთულ ეტლში იჯდა მისი სამი ბიძა: ჰერცოგი დე გიზი და ლოტარინგიისა და გიზის კარდინალები. მარიამ სტიუარტს გარს ეხვია ოთხი ერთგული მარიამი, წარჩინებული მანდილოსანნი, მსახურები, პაჟები, პოეტები, მუსიკოსები. ძვირფასად მორთული ეტლის უკან მიჰქონდათ თვალმარგალიტით სავსე მძიმე სკივრები, დახურულ კიდობანში — გვირგვინის სამკაულები. მარიამ სტიუარტი ისეთივე დიდებითა და ბრწყინვალეებით მოსილ დედოფლად ტოვებდა თავის გულის სამშობლოს, როგორითაც ჩამოვიდა. მხოლოდ სიხარულს ვერ გრძნობდა, ოდესღაც ბავშვს რომ უბრწყინავდა თვალებში. გაცილება მუდამ ჩამავალი მზის ბრწყინვალეებაა, სინათლის უკანასკნელი გაელვება წყვდიადში. ახლობელთა უმეტესობა კალეში დარჩა. დიდებულები შინ ბრუნდებოდნენ, ხვალ ლუვრში სხვა დედოფალს უნდა ხლებოდნენ. სამეფო კარისათვის მნიშვნელოვანია ხარისხი და არა ადამიანი, ვინც მას ატარებს. ყველას დაავიწყდება მარიამ სტიუარტი. როგორც კი ქარი იალქნებს გაშლის, ყველა გულს შეიცვლის მასზე, ვინც ახლა თვალებანთებული, მუხლებზე დამხობილი, განშორებისას სამუდამო ერთგულებას ეფიცება. გაცილება ამ მხედართათვის მხოლოდ გვირგვინის დადგმის ან დაკრძალვის მსგავსი ბრწყინვალე ცერემონია იყო. მარიამ სტიუარტის გამგზავრებით გულწრფელ მწუხარებას განიცდიდნენ, ენით გამოუთქმელი ნაღველი შემოსწოლოდათ მხოლოდ პოეტებს, რომელთა მგრძნობიარე სულს წინასწარმეტყველების უნარი შესწევთ.

მათ იცოდნენ, რომ ამ ყმაწვილი ქალის წასვლასთან ერთად სილამაზე, სიხარული, მუზა გაეცლებოდა სამეფო კარს. მძიმე დრო დაუდგებოდათ მათაც და სხვა ფრანგებსაც, — პოლიტიკური ბრძოლების, დაუსრულებელი შფოთის, კინკლაობისა და განხეთქილების ხანა, ჰუგენოტების აჯანყების, ბართლომეს ღამის, ფანა-

ტიკოსების, ურჯუკების ხანა. გაქრებოდა ყოველგვარი რაინდული და რომანტიკული, ნათელი და მშვენიერი; ამ ნორჩ მოჩვენებასთან ერთად ჩაიფერფლებოდა ხელოვნება. „პლეადის“ თანავარსკვლავედი, პოეტური შვიდმნათობი მალე ჩაქრებოდა ომის ბურუსიან ცაზე. მარიამ სტიუარტზე ნაღვლობდნენ პოეტები, გაგვიფრინდა, ვინც ამქვეყნად სულიერად აღგვაფრთოვანებდაო.

იმ დღეს საფრანგეთს ბედი უცებ განეშორისა, —
ერთ ხომალდს გაჰყვა ყველა მუზა ჩვენი დროისა.

რონსარის გულსაც აახალგაზრდავებდა მისი სინორჩე და სიმშვენიერე. იგი თავის ელეგიაში Au départ[1] ხოტბას ასხამდა მომხიბლავ დედოფალს, თითქოს ლექსში უნდოდა ჩაექსოვა ის, რაც სამუდამოდ დაკარგულიყო მისი აღტაცებული მზერისათვის. ჭეშმარიტად მჭევრმეტყველია მისი ნაღვლიანი ელეგია:

როგორ იმღეროს მგოსანმა, ოდეს სავსეა დარდით,
ჩანგი დუმს, ნავსადგურიდან თქვენი ხომალდი გადის.
ვის შერჩენია ამქვეყნად სილამაზე და კდემა,
ზამთარი დგება, ყვავილი ჭკნება, ჭკნება და კვდება.
ო, სილამაზე თქვენი ასე გვიჭკნება ახლა,
ქრება ისე, ვით ზღვისპირზე კლდეს მიხეთქილი ტალღა.
და ასე რჩება გულში კვალი ჩამქრალი გზნების,
და მაინც თქვენი მონა და თქვენი ერთგული ვრჩები.

სამეფო კარი, დიდებულები, კეთილშობილი რაინდები ადვილად ივიწყებენ წასულთ, მხოლოდ პოეტები რჩებიან წინანდებურად ერთგულნი თავიანთი დედოფლისა. პოეტებს თვალებში ნაღველი უკრთოდათ. ეს გულწრფელი მადლიერების გრძნობა იყო. დედოფლის ამპარტავნული, ნაღვლიანი სიამაყე კიდევ უფრო ხიბლავდა მათ. მისი ერთგულნი განადიდებდნენ სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც. როცა დიდსულოვანი ადამიანი თავის ცხოვრებას ისე გაატარებს, როგორც ლექსებში, დრამებში ან ბალადებში ვკითხულობთ, ყოველთვის გამოჩნდებიან პოეტები, რომ უკვდავყონ იგი.

კალეს ნავსადგურში დიდებულად მორთული, თეთრი გალეონი ელოდებოდა. ამ საადმირალო გემით, რომელზეც შოტლანდიურთან ერთად საფრანგეთის სამეფო ალამიც ფრიალებდა, მარიამ სტიუარტს

[1] *გამოთხოვება (ფრ.).*

აცილებდნენ მისი დიდებული ბიძები, რჩეული კარისკაცნი და ოთხი მარიამი, მისი ბავშვობის ერთგული მეგობრები, ორი სხვა გემი საპატიო ესკორტით მიაცილებდა. გალეონი ჯერ არ მოსცილებოდა ნაპირს, აფრები არც კი აეშვათ, რომ მარიამ სტიუარტის თვალუწიერ ზღვის სივრცეში მიპყრობილმა მზერამ ავის მომასწავებელი ნიშანი შეიგრძნო. ნავსადგურში შემოსული კარჭაპი სანაპირო კლდეებს მიენარცხა, მის მგზავრებს ზღვაში დაღუპვა ელოდათ. ამგვარად, პირველი სურათი, რაც მარიამ სტიუარტს თვალწინ წარმოუდგა, როცა საფრანგეთს ტოვებდა, რომ ხელთ აეღო მბრძანებლობის სადავეები, ავის მომასწავებელ სიმბოლოდ იქცა: გემი, ცუდად რომ მართავდნენ, ზღვის სიღრმემ შთანთქა.

ვინ იცის, ამ ავის მომასწავებელმა ნიშანმა შეაძრწუნა თუ გულს უკლავდა სევდა დაკარგულ სამშობლოზე. იქნებ იცოდა, წარსული სამუდამოდ დაკარგულიყო მისთვის. მარიამ სტიუარტს დაბნეული მზერა ვეღარ მოეწყვიტა მიწისთვის, სადაც განვლო მისმა გულუბრყვილო ბავშვობამ და სადაც ბედნიერად გრძნობდა თავს.

ბრანტომი გულში ჩამწვდომად აგვიწერს ამ გამოთხოვების ნაღვლიან სცენას: „გემი გაიყვანეს თუ არა ნავსადგურიდან, ამოვარდა ქარი და მეზღვაურებმა აფრები გაშალეს. დედოფალმა საჭეს ჩამოაყრდნო ხელები, თვალი მიაპყრო იმ ადგილს, საიდანაც გამოვცურეთ და აქვითინდა. სანამ სიბნელემ არ გვშთანთქა, სულ ასე გაიძახოდა: „მშვიდობით, საფრანგეთო!“ როცა სთხოვეს, კაიუტაში შესულიყო დასასვენებლად, საშინლად გაჯიქდა. წინაერდოზე გაუშალეს ლოგინი. რომ იძინებდა, მემანქანის თანაშემწეს უბრძანა, ინათებს თუ არა, თუ ისევ ჩანდეს საფრანგეთის ნაპირი, მაშინვე გამაღვიძეო. ბედმა აუსრულა სანატრელი სურვილი. ქარი მალე ჩადგა და იძულებული გახდნენ, ნიჩბები მოესვათ. ასე გემი შორს ვერ წავიდოდა. შეუსრულა თუ არა მემანქანემ თხოვნა, დედოფალი წამოხტა საწოლიდან, თვალს არ აშორებდა შორეთს და დაუსრულებლივ იმეორებდა: „მშვიდობით, საფრანგეთო! მშვიდობით, საფრანგეთო! ვგრძნობ, ვეღარ გიხილავ!“

შოტლანდიაში დაბრუნება
1561 წლის აგვისტო

სქელ ნისლში გახვეულიყო ყოველი, რაც იშვიათად იცის ხოლმე გვიან ზაფხულს ჩრდილოეთის სანაპიროებზე, როცა 1561 წლის 19 მარტს მარიამ სტიუარტმა ფეხი დაადგა ლაეტში. სულ სხვა იყო მისი ჩამოსვლა შოტლანდიაში და გამოთხოვება la douce France[1]. იქ საზეიმოდ ეთხოვებოდნენ მთელი საფრანგეთის წარჩინებულნი: დიდებულები და გრაფები, პოეტები და მუსიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ერთგულებასა და პატივისცემაში. აქ კი არავინ ელოდა. გემი ნაპირს რომ მოადგა, გარს შემოეხვია განცვიფრებული ბრბო: უხეშ ტანსაცმელში ჩაცმული რამდენიმე მეთევზე, უსაქმოდ მოხეტიალე ჯარისკაცები, მედუქნეები და თავიანთი საქონლის გასაყიდად ქალაქიდან ჩამოსული გლეხები. აღტაცებით კი არა, უფრო შიშით შესცქეროდნენ, როგორ გადმოდიოდნენ ნაპირზე მდიდრულად ჩაცმული ქალები და მამაკაცები.

ამ მკაცრ ჩრდილოეთის ქვეყანასავით პირქუში იყო ეს შეხვედრა. დაადგა თუ არა ფეხი მის მიწაზე, გულდამძიმებულმა მარიამ სტიუარტმა მაშინვე იგრძნო, რა ღარიბი იყო მისი სამშობლო: ხუთი დღის ზღვით მგზავრობის შემდეგ თითქოს მთელი საუკუნით უკან დაიხია — ვრცელი, მდიდარი, ბედნიერი, უხვი, კულტურული ქვეყნის შემდეგ პატარა, ბნელ, ტრაგიკულ სამყაროში მოხვდა. ინგლისელთა მიერ მრავალჯერ გადამწვარ და ადგილობრივ მოამბოხეთა გაძარცულ ქალაქში არა თუ სასახლეს ვერ ნახავდით, საბატონო სახლიც კი არ იყო, რომ იგი ღირსეულად მიეღოთ. დედოფალი იძულებული გახდა, საბრალო ვაჭართან ეპოვა თავშესაფარი.

პირველი შთაბეჭდილებანი განსაკუთრებით დიდხანს ამახსო-

[1] *საყვარელ საფრანგეთთან (ფრ.).*

ვრდება ადამიანს. ყმაწვილი ქალი იქნებ ვერც კი გრძნობდა, რა გამოუთქმელი ნაღველი შემოხვეოდა მის გულს, როცა ცამეტი წლის განშორების შემდეგ უცხოსავით დაადგა ფეხი მშობლიურ მიწაზე. დაკარგულ კერას ნაღვლობდა თუ იმ ტკბილი ცხოვრებისკენ ისწრაფოდა, საფრანგეთის მიწაზე რომ შეიყვარა; იქნებ ეს უცხო, ნაცრისფერი ცა აწვებოდა გულზე სევდად ან უბედურების წინათგრძნობა? ვინ იცის, მაგრამ მარტო რომ დარჩა, როგორც ბრანტომი ამბობს, ცრემლად დაიღვარა. ვილჰელმ დამპყრობელივით ამაყ, თავდაჯერებულ მბრძანებელს კი არ დაუდგამს ფეხი ბრიტანეთის ნაპირზე, პირველი, რაც შეიგრძნო, ეს დაბნეულობა, ავი წინათგრძნობა და შიში იყო იმ მოვლენებისადმი, ბურუსიდან რომ ემუქრებოდა.

მეორე დღეს, მისი ჩამოსვლის ამბავი რომ გაიგო, მოვიდა მისი ნახევარძმა, რეგენტი ჯეიმს სტიუარტი, რომელიც უფრო გრაფ მერეის სახელითაა ცნობილი. მას თან ახლდა რამდენიმე დიდებული, რომ მოებოდიშებინათ და პატივისცემით მიეცილებინათ დედოფალი მახლობელ ედინბურგამდე. მაგრამ სადღესასწაულო მსვლელობა ჩაიშალა. ინგლისელებმა უგერგილო მიზეზით, თითქოს მეკობრეთა საძებნად მიდიოდნენ, შეაჩერეს გემიცა და ცხენებიც. ამ მიყრუებულ ქალაქ ლეიტში ერთი რიგიანი ცხენი ძლივს იშოვეს შესაფერისი აღკაზმულობით და აახლეს დედოფალს. მისი ამალის დანარჩენ მანდილოსნებსა და დიდებულებს მახლობელ თავლებში შეგროვილი უბრალო სოფლის ჯაგლაგები მოუყვანეს. ცრემლმორეული შესცქეროდა მარიამ სტიუარტი ამ სანახაობას. კვლავ იგრძნო, რა ბევრი რამ დაკარგა მეუღლის სიკვდილითა და რა მოკრძალებული ხვედრი იყო საფრანგეთის დედოფლობის შემდეგ შოტლანდიის დედოფლობა. სიამაყე ნებას არ აძლევდა, ასეთი საცოდავი მხედრიონით წარდგომოდა თავის ქვეშევრდომთ და ედინბურგის ქუჩებში joyeuse entrée-ს[1] ნაცვლად თავისი ამალით ქალაქის გალავნის გადაღმა მდგარ ჰოლირუდის ციხე-კოშკისკენ გაუხვია. მამისეული სახლი ბინდბუნდში იყო გახვეული. მხოლოდ მრგვალი ციხე-კოშკები და ციხის დაკბილული კედლები გამოიკვეთებოდა. მასიური ქვისაგან ნაგები მკაცრი მოხაზულობის ფასადი ერთი შეხედვით თითქოს დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მაგრამ რა ყინულივით გულცივად შეხვდნენ თავის ქალბატონს,

[1] *სადღესასწაულო მსვლელობა (ფრ.).*

ფრანგული ფუფუნებით განებივრებულ დედოფალს ეს დაცარიელებული, პირქუში განსასვენებლები. არც ხალიჩები ჩანს, არც საზეიმოდ მბრწყინავი შანდლები ირეკლება იტალიურ სარკეებში და კედლებს შუქს არ ჰფენს. არც ძვირფასი ფარდაგებია, არც ოქრო-ვერცხლი ბრწყინავს. კარგა ხანია არავის უცხოვრია ამ მიტოვებულ განსასვენებლებში. მიწყდა უზრუნველი სიცილი. მამამისის სიკვდილის შემდეგ არავის განუახლებია და არ შეუღებავს ეს სახლი. ყოველი მხრიდან სიღარიბე იჭყიტება, მისი სამეფოს მუდმივი, წყეული სენი.

შეიტყვეს თუ არა ედინბურგის მცხოვრებლებმა, დედოფალი ჰოლირუდში ჩამოსულაო, თუმცა გვიანი იყო, სახლებიდან გამოეფინნენ მის მისასალმებლად. უჩვეულო იყო, რომ განებივრებულ, ნატიფი გემოვნების ფრანგებს ეს შეხვედრა უხეშად და უგერგილოდ მოეჩვენათ: ედინბურგელ მეშჩანებს ხომ არ ჰყავდათ საკუთარი musiciens de la cour[1], რომ რონსარის მოწაფე ტკბილი მადრიგალებითა და მუსიკაზე შეწყობილი კანცონებით* გაერთოთ. მათ მხოლოდ შეეძლოთ, ძველებური ჩვეულების მიხედვით, ხოტბა შეესხათ თავიანთი დედოფლისათვის. მოიტანეს ფიჩხი და შეშა, მხოლოდ ამით იყო მდიდარი ეს არასტუმართმოყვარე ქვეყანა და მოედნებზე შუაღამემდე კოცონები, მათი საყვარელი bonfires გააჩაღეს. ჯგუფ-ჯგუფად თავს იყრიდნენ მის ფანჯრებთან და თულუმებზე, სალამურებსა და სხვა აუწყობელ საკრავებზე ასრულებდნენ რაღაცას, მათ ენაზე მუსიკა რომ ეწოდებოდა, რაც სტუმრების ნაზ მუსიკას მიჩვეულ ყურს ჯოჯოხეთურად ეჩვენებოდა. უხეში, მამაკაცური ხმებით მღეროდნენ ფსალმუნს, ერთადერთ რამეს, რითაც შეეძლოთ გულთბილად მისალმებოდნენ სტუმრებს, რადგან საერო სიმღერები სასტიკად ჰქონდათ აკრძალული კალვინისტი მოძღვრების მიერ.

მაგრამ მარიამ სტიუარტი მაინც გაახარა გულთბილმა მიღებამ, ყოველ შემთხვევაში, იცინოდა და მოკრძალებით ესალმებოდა თავის ხალხს. ამგვარად, მისი ჩამოსვლის პირველ წუთებში დედოფალმა და ქვეშევრდომებმა გაუგეს ერთმანეთს, რაც მრავალი წლის განმავლობაში უცხო იყო ამ ქვეყნისათვის.

დედოფალიცა და მისი მრჩეველნიც მშვენივრად გრძნობდნენ, რომ პოლიტიკურად გამოუცდელ მბრძანებელს დიდი სიძნელეები

[1] *კარის მუსიკოსები (ფრ.).*

ელოდა. ახდა შოტლანდიელ დიდებულთაგან უჭკვიანესი კაცის, მაიტლენდ ლეტინგტონელის წინასწარმეტყველება. მარიამ სტიუარტის ჩამოსვლის გამო იგი წერდა, ეს მრავალი განსაცვიფრებელი ტრაგედიის მიზეზი გახდებაო (it could nof fail to raise wonderful tragedies). ენერგიული, გამბედავი მამაკაციც კი, რკინის ხელით რომ უჭირავს სახელმწიფოს სადავეები, დიდხანს ვერ შეძლებდა ამ ქვეყნის დამორჩილებას და აბა რა გასაკვირია, ეს რომ ვერ შეეძლო ცხრამეტი წლის გამოუცდელ ქალს, რომელიც უცხო გამხდარიყო თავის ქვეყანაში! ღარიბი ქვეყანა, თავაშვებული დიდებულები, არეულობისა და ომის ყოველი მიზეზი სიხარულს რომ ანიჭებდათ; ურიცხვი მეამბოხენი, რომლებიც შემთხვევას ელოდნენ, თავიანთი განხეთქილებანი და შინაომები სამოქალაქო ომად გადაექციათ; კათოლიკური და პროტესტანტული სასულიერო წოდება გააფთრებით ეცილებოდა ერთმანეთს პირველობაში. საშიში და ფრთხილი მეზობელი მოხერხებულად აღვივებდა უკმაყოფილების ნაპერწკალს და აშკარა ამბოხებებს აწყობდა. მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნები თავიანთი უსირცხვილო ხრიკებით შოტლანდიას სისხლიან თამაშში ითრევდნენ. ასეთი ვითარება დახვდა სამშობლოში მარიამ სტიუარტს.

დადგა თუ არა ფეხი შოტლანდიის მიწაზე, ვითარება უაღრესად დაიძაბა. სავსე სკივრების მაგივრად დედისგან დამღუპველი მემკვიდრეობა ერგო (მართლაც damnosa hereditas) — ამ ქვეყანაში განსაკუთრებული ძალით მძვინვარებდა რელიგიური შუღლი. იმ ხანში, რაც ეს ბედის ნებიერი უზრუნველად ცხოვრობდა საფრანგეთში, რეფორმაციამ მძლავრად მოიკიდა ფეხი შოტლანდიაში. სახლსა და მამულს, ქალაქსა და სოფელს, გვარსა და გვარს შორის დიდი ბზარი გაჩნდა: დიდებულთა ერთი ნაწილი პროტესტანტები იყვნენ, მეორე — კათოლიკეები. ქალაქები ახალ რწმენას აღიარებდნენ, სოფლები — ძველს. ტომი აღდგა ტომის წინააღმდეგ, გვარი გვარისა. ამ ორ ბანაკს შორის მტრობას მუდამ აღვივებდა ეკლესია და უცხო სახელმწიფოთა ხრიკები. განსაკუთრებულ საფრთხეს მარიამ სტიუარტს ის უქმნიდა, რომ დიდებულთა უფრო ძლიერი და გავლენიანი ნაწილი მისთვის მტრულ კალვინისტურ ბანაკში გაერთიანდა. მდიდარი საეკლესიო მიწების ხელში ჩაგდების სურვილმა თავბრუ დაახვია პატივმოყვარე მომხრეებს. ბოლოს მიეცათ შემთხვევა, თავიანთი მონარქის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ „კონგრეგაციის ლორდებზე“,

სარწმუნოების დამცველებზე დაყრდნობით, მით უმეტეს, ინგლისი დახმარებას აღუთქვამდა მათ.

ხელმომჭირნე ელისაბედმა ორასი ათას გირვანქაზე მეტი ოქრო გაიმეტა, არეულობისა და შეიარაღებული გამოსვლების წყალობით შოტლანდია კათოლიკე სტიუარტებისათვის რომ გამოეგლიჯა. და ახლაც, სადღესასწაულოდ დადებული ზავის შემდეგაც კი, უმეტესობა მეზობელ ქვეშევრდომთაგან ფარულად მის სამსახურში იმყოფებოდა. მარიამ სტიუარტს პროტესტანტული სარწმუნოება რომ მიეღო, შეეძლო თვალის დახამხამებაში აღედგინა სიმშვიდე. ამას ჩასჩიჩინებდა დაჟინებით მრჩეველთა ნაწილი, მაგრამ მარიამ სტიუარტი გიზების შთამომავალი იყო. დედის მხრიდან სისხლით ენათესავებოდა კათოლიციზმის ყველაზე მგზნებარე დამცველებს, თვითონ კი, თუმცა მისთვის უცხო იყო ფარისევლური ღვთისმოშიშობა, მგზნებარედ იცავდა მამა-პაპათა რწმენას. როგორც მის თამამ ბუნებას შეჰფეროდა, უდიდესი საფრთხის წუთებშიც კი არ უღალატია თავისი რწმენისთვის. მისი სინდისისა და ღირსებისათვის შეუფერებელ ერთი ლაჩრული ნაბიჯის გადადგმას დაუცხრომელ ბრძოლას ამჯობინებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ გადაულახავი უფსკრული გაჩნდა მასა და დიდებულებს შორის. როცა მბრძანებელი და ქვეშევრდომნი სხვადასხვა რელიგიური რწმენისანი არიან, ეს კეთილს არაფერს მოასწავებს. სასწორი მუდამ ვერ იტორტმანებს, რომელიმე ფიალა უეჭველად გადაწონის. მარიამ სტიუარტს სხვა არჩევანი არ ჰქონია: ან სათავეში უნდა ჩასდგომოდა თავის ქვეყანაში რეფორმაციას, ან მის მსხვერპლად დაცემულიყო. განხეთქილებამ ლუთერს, კალვინსა და რომს შორის მის ბედშიც დრამატული როლი შეასრულა. კონფლიქტს მარიამ სტიუარტსა და ელისაბედს შორის, ინგლისსა და შოტლანდიას შორის (სწორედ ამიტომ ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა) უნდა გადაეწყვიტა კონფლიქტი ინგლისსა და საფრანგეთს, რეფორმაციასა და კონტრრეფორმაციას შორის.

ეს სიტუაცია მით უმეტეს დამღუპველი და დამამძიმებელი იყო იმით, რომ რელიგიური განხეთქილება შეიჭრა დედოფლის ოჯახში, მის ციხე-კოშკში, მის სათათბირო პალატაში. გავლენიანი შოტლანდიელი დიდებული, მისი ნახევარძმა, მერეის გრაფი ჯეიმს სტიუარტი, რომლისთვისაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეები უნდა მიენდო, თვითონ თავგამოდებული პროტესტანტი იყო,

დამცველი იმ „კირხისა“, რომელიც მორწმუნე კათოლიკე დედოფალს მწვალებლად მიაჩნდა. ოთხი წელი იყო, რაც გრაფმა მერეიმ პირველმა მოაწერა ხელი ფიცს ე.წ. „კონგრეგაციის ლორდებისა“; ფიცს, რითაც ვალდებულებას იღებდნენ განდგომოდნენ ეშმაკისეულ რწმენას და აშკარა წინააღმდეგობა გაეწიათ მის ცრუმორწმუნეობისა და კერპთაყვანისმცემლობისათვის. ეშმაკისეული რწმენა (congregation of satan), რასაც განუდგებოდნენ, სწორედ მარიამ სტიუარტის კათოლიკური სარწმუნოება იყო. დედოფალსა და მის რეგენტს შორის პირველი წუთებიდან გადაულახავი უფსკრული გაჩნდა მათი მსოფლმხედველობის მეტად არსებით, მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ეს კი მშვიდობას არ მოასწავებდა, რადგან დედოფალს სულის სიღრმეში ერთი სანუკვარი სურვილი ჰქონდა — შოტლანდიაში ამოეძირკვა რეფორმაცია, მის ძმას და რეგენტს კი ერთი მიზანი — პროტესტანტიზმი ერთადერთ სახელმწიფო რელიგიად ეღიარებინათ შოტლანდიაში. ასეთ მკვეთრ იდეურ უთანხმოებას უეჭველად აშკარა კონფლიქტი უნდა მოჰყოლოდა.

ეს ჯეიმს სტიუარტი შემდგომ „მარიამ სტიუარტის“ დრამაში ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟი გახდა; ბედმა მას უმნიშვნელო როლი როდი არგუნა ამ დრამაში და ოსტატურად შეასრულა კიდეც. შოტლანდიის გამოჩენილი გვარის ქალთან, მარგარიტა ერსკინთან მრავალი წლის ცხოვრების შემდეგ შეძენილი ჯეიმსი, სისხლითაც და რკინის ენერგიის წყალობითაც, თითქოს თვით ბუნებამ ტახტის ღირსეულ მემკვიდრედ შექმნა, მაგრამ პოლიტიკურმა სისუსტემ იაკობ V-ს თავის დროზე გადააფიქრებინა ქორწინებით განემტკიცებინა თავისი კავშირი საყვარელ ლედი ერსკინთან. ძალაუფლებისა და ფინანსური მდგომარეობის განსამტკიცებლად იგი ფრანგ პრინცესაზე დაქორწინდა, რომელიც შემდგომ მარიამ სტიუარტის დედა გახდა. პატივმოყვარე უფროს ვაჟიშვილს, ვით უკანონოდ შობილს, თან დაჰყვა წყევლა, რამაც სამუდამოდ გადაუღობა გზა ტახტისკენ. თუმცა პაპმა, იაკობ V-ის თხოვნით, უკანონო ხუთ შვილში ჯეიმსი კანონიერად აღიარა და წარმომავლობის ყველა უფლება მიანიჭა, მაგრამ მერეი მაინც ბასტარდად დარჩა, არავითარი უფლება არა ჰქონდა მეფის ტახტზე.

ისტორიამ და მისმა დიდებულმა მიმბაძველმა შექსპირმა მსოფლიოს მრავალი მაგალითი მისცა ბასტარდების სულიერი ტრაგედიისა.

ამ შვილსა და არც შვილს, სახელმწიფო, საეკლესიო და ადამიანურმა კანონმა წაართვა უფლება, რაც ბუნებამ მის სისხლსა და ხორცში აღბეჭდა. ცრურწმენათა, ადამიანურ სამსჯავროთა ყველაზე საშინელი და ულმობელი სამსჯავროს მიერ განსჯილი ეს უკანონო შვილები, შობილნი არასამეფო სარეცელზე, სხვა მემკვიდრეთა მსხვერპლად იყვნენ გაჩენილნი, ზოგჯერ სუსტებისაც კი, რადგან ესენი სიყვარულით კი არ იყვნენ შობილნი, პოლიტიკური ანგარიშით. მუდამ დევნილი უკანონო შვილნი განწირულნი იყვნენ თავი დაეხარათ იქ, სადაც თვითონ უნდა ყოფილიყვნენ მბრძანებელნი. მაგრამ ადამიანს თუ აშკარად დაღს დაასვამ არასრულფასოვნებისას, ეს შეგრძნება ან მთლად გასტეხს, ან უჩვეულოდ განამტკიცებს. მშიშარა, მერყევი სულის ადამიანები დამცირებულნი კიდევ უფრო პატარავდებიან, არარაობად იქცევიან. ღიჯინები და მლიქვნელები მოწყალებასა და ნასუფრალს გამოსთხოვენ იმათ, ვინც დღეკეთილობს კანონის ჩრდილქვეშ. თუ ძლიერი ნებისყოფის ადამიანს შეეხებიან, მასში დაბუდებული ბნელი ძალები იღვიძებს. თუ ნებით არ მიუშვი ძალაუფლებასთან, ეცდება, ნაძალადევად ჩაიგდოს ხელთ.

მერეი ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იყო. მის სისხლში ჩქეფდა სტიუარტების, მისი მეფე წინაპრების ძალა და სიამაყე. ვით ადამიანი და პიროვნება უჩვეულო ნიჭითა და მტკიცე ნებისყოფით იყო დაჯილდოებული და მთელი თავით მაღლა იდგა სხვა გრაფებისა და ბარონების ყაჩაღურ მოდგმაზე. მიზნები წინასწარ ჰქონდა გააზრებული, პოლიტიკური გეგმები მოფიქრებული. ეს ოცდაათი წლის ყმაწვილი თავის დასავით ჭკვიანი და ძალაუფლების მაძიებელი გახლდათ, მაგრამ ბევრად სჯობნიდა მას პრაქტიკული ჭკუითა და მამაკაცური გამოცდილებით. თამაშში გართულ ბავშვივით დასცქეროდა ზემოდან მარიამ სტიუარტსა და არც უშლიდა ცელქობას, სანამ მისმა „თამაშმა“ გეგმები არ ჩაუფუშა. მოწიფული ვაჟკაცი ქალივით არ აჰყვებოდა მგზნებარე, ნერვიულ, რომანტიკულ ქროლვას. ვით მბრძანებელი, საგმირო საქმეებს ვერ სჩადიოდა, მაგრამ ძალა შესწევდა მოთმინებით ლოდინისა, და რაც მთავარია, იცოდა ნამდვილი წარმატების საიდუმლოება. ეს კი გამარჯვების უფრო საიმედო საწინდარია, ვიდრე მოულოდნელი აფეთქება.

ბრძენი პოლიტიკოსი ყოველთვის უარს ამბობს აუსრულებელ ოცნებაზე. უკანონოდ შობილისათვის ასეთი ოცნება იყო სამეფო

ტახტი. მერეიმ მშვენივრად იცოდა, რომ ვერასოდეს გახდებოდა იაკობ VI. ფხიზელმა პოლიტიკოსმა დროულად უარი განაცხადა შოტლანდიის ტახტზე, რომ უფრო მეტი საფუძველი ჰქონოდა, მის მმართველად — რეგენტად გამხდარიყო, რადგან მეფე (rex) ვერ იქნებოდა. მან მხოლოდ იმიტომ თქვა უარი სამეფო ნიშნებსა და გარეგნულ ბრწყინვალებაზე, რომ მტკიცედ ეგდო ხელთ ძალაუფლება. სიჭაბუკიდანვე მიისწრაფოდა სიმდიდრის, ძალაუფლების ჩაგდების ხელშესახები მიზნისაკენ. მამას დიდი მემკვიდრეობაც გამოსცინცლა, არასოდეს უთქვამს უარი მდიდრულ საჩუქრებზე, თავისი ინტერესებისათვის იყენებდა ომსაც და საეკლესიო ქონების საერო ხელისუფლებისათვის გადაცემასაც. ერთი სიტყვით, შემთხვევას არ უშვებდა, ჯიბე გაესქელებინა. სინდისის ქენჯნას არც კი გრძნობდა, ელისაბედისაგან უხვ სუფსიდიებს რომ იღებდა. შოტლანდიაში კანონიერ დედოფლად დაბრუნებულ მარიამ სტიუარტს მერეი ყველაზე გავლენიან და მდიდარ დიდებულად დაუხვდა და გზიდან ვეღარ ჩამოიცილებდა. უფრო მეტად აუცილებლობის გამო, ვიდრე შინაგანი მოთხოვნილებით, მეგობრობდა მასთან მარიამ სტიუარტი. საკუთარი სარგებლობის მიზნით ნახევარძმას ხელში ჩაუყარა ყველაფერი, რასაც კი ითხოვდა. ამით სურდა, ჩაეხშო მისთვის სიმდიდრისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი. საბედნიეროდ, მარიამ სტიუარტს საიმედო ეჩვენა მერეის ხელები, მათ სადავეების მოჭერაც შეეძლოთ და მოშვებაც. სახელმწიფო მოღვაწედ დაბადებული მერეი მუდამ საშუალო გზას ირჩევდა ხოლმე. იგი პროტესტანტი იყო, მაგრამ თავგამოდებით არ ებრძოდა კათოლიციზმს. შოტლანდიის პატრიოტი შესანიშნავად ეგუებოდა ელისაბედს. ლორდებთან შინაურულად იყო, მაგრამ თუ დასჭირდებოდა, სასტიკად დაემუქრებოდა. ერთი სიტყვით, ეს გულგრილი, რკინის ნერვების პატრონი კაცი ძალაუფლებას არ ეძებდა, კმაყოფილებას მხოლოდ ნამდვილი ძალაუფლება აგრძნობინებდა.

ეს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე დიდ დასაყრდენს წარმოადგენდა მარიამ სტიუარტისათვის, როცა მისი მოკავშირე იყო, ხოლო მტრების მხარეს რომ გადავიდოდა, დიდ საფრთხეს უქადდა. როგორც ძმა და სისხლით ნათესავი, მხარს უჭერდა დედოფალს, რადგან მის ადგილას არც გორდონები და არც ჰამილტონები არ მისცემდნენ ასე შეუზღუდავ უფლებებს, მთლად მას არ ჩააბა-

რებდნენ ძალაუფლებას. ჯეიმსიც სიამოვნებით თანხმდებოდა, თავი გამოეჩინა და ებრწყინა დედოფალს, შეუშურვებლად შესცქეროდა სკიპტრითა და გვირგვინით მოსილ დას, ოღონდ მართვა-გამგებლობაში არავინ შესცილებოდა. მაგრამ როგორც კი მარიამ სტიუარტმა სცადა, ხელთ აეღო ძალაუფლება და ამით დაემცირებინა მისი ავტორიტეტი, სტიუარტთა სიამაყე ულმობლად შეეჯახა ერთმანეთს, რადგან ყველაზე საშინელია შუღლი, როცა ერთნაირი ძალისა და მისწრაფების ადამიანები ებრძვიან ერთმანეთს.

მაიტლენდ ლეტინგტონელიც, მარიამ სტიუარტის სახელმწიფო მდივანი და მეორე დიდებულიც, პროტესტანტი იყო, მაგრამ პირველად მასაც დედოფლის მხარე ეჭირა. მაიტლენდი არაჩვეულებრივი ჭკუის, განათლებული, ნათელი იდეების the flower of wits[1] ადამიანი იყო, ასე უწოდებდა ელისაბედი. პატივმოყვარეობითა და სიამაყით მერეის არ ჩამოუვარდებოდა. პოლიტიკური ხრიკებისა და კომბინაციების ატმოსფეროში ეს პოლიტიკოსი, ვით თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს. მას სულაც არ აინტერესებდა ისეთი ურყევი პრინციპები, როგორიცაა რელიგია და სამშობლო, მეფის ხელისუფლება და სახელმწიფო. მხოლოდ არტისტული ხელოვნება იტაცებდა — ყველა თავის ნება-სურვილზე ეთამაშებინა, ჩაეხლართა და გამოეხსნა ინტრიგის ხლართები. საოცრად ერთგულს მარიამ სტიუარტისა (ოთხ მარიამთაგან ერთი, მერი ფლემინგი, მისი ცოლი გახდა) ერთნაირად შეეძლო ერთგულებაცა და ღალატიც. უერთგულა, სანამ დედოფალს დიდების შარავანდედი მოსავდა, განსაცდელის ჟამს კი მიატოვა. ფლიუგერივით ანიშნებდა დედოფალს, პირქარი ქროდა თუ ზურგქარი. ვით ჭეშმარიტი პოლიტიკოსი, მის ბედნიერებას ემსახურებოდა მხოლოდ და არა დედოფალსა და მეგობარს.

ამგვარად, ვერც ქალაქში, ვერც სასახლეში (რა ავის მომასწავებელი ნიშანია!) მარიამ სტიუარტმა ერთი საიმედო მეგობარიც კი ვერ პოვა, ხოლო თუ მერეისა და მაიტლენდს შეუთანხმდებოდა, მათი დახმარებით შეეძლო ემართა სახელმწიფო, მაგრამ პირველი წუთებიდანვე შეურიგებელი, საშინელი, ულმობელი, სისხლისმსმელი სიძულვილით შეხვდა მდაბიოთაგან გამოსული, მთელ ედინბურგში სახელგანთქმული მოძღვარი, შოტლანდიის „კირხის“ საფუძვლისჩამყრელი და მოთავე, რელიგიური დემაგოგიის ოსტატი ჯონ ნოქსი.

[1] *დიდი გონებამახვილი (ინგლ.).*

მასა და მარიამ სტიუარტს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა გაჩაღდა.

ჯონ ნოქსის კალვინიზმი ეკლესიის უბრალო რეფორმატორულ განახლებას კი არ წარმოადგენდა, იგი დაფუძნებული სახელმწიფო რელიგიური სისტემა იყო, დადგენილ ფარგლებში nec plus ultra[1] პროტესტანტიზმისა. ჯონ ნოქსი თავისი მონარქებისგან მბრძანებლური ტონით, ფანატიკურად მოითხოვდა მონურ მორჩილებას თეოკრატიული მოძღვრებისადმი. მარიამ სტიუარტი ისეთი დამთმობი, რბილი ხასიათისა იყო, იქნებ არც კი შესჯახებოდა ანგლიკანურ ეკლესიას, ლუთერანობას, რეფორმისტული მოძღვრების რომელიც გნებავთ მკაცრ სახესხვაობას, მაგრამ კალვინიზმის მბრძანებლური დოგმები გამორიცხავდა ყოველგვარ შესაძლებლობას ჭეშმარიტ მონარქთან შეთანხმებისა. ელისაბედიც კი სიამოვნებით გამოიყენებდა ნოქსს მეტოქეზე თავდასასხმელად. იგი ვერ იტანდა ამ ყოყლოჩინა მოძღვარს. რაღა თქმა უნდა, ეს ფანატიკური სწრაფვა მარიამ სტიუარტს საშინლად უმღვრევდა ჰუმანურ განწყობილებას. ამ ხალისიანი პოეტური ბუნების ქალისათვის უცხო და გაუგებარი იყო ყბადაღებული ჟენევის მოძღვრების პროზაული სიმკაცრე, მისი მტრობა სიცოცხლის ყოველი სიხარულისადმი. მისთვის უცხო და გაუგებარი იყო ამპარტავნული სიჯიუტე, სიცილის ჩახშობა, სილამაზის დათრგუნვა, დათრგუნვა ყოველივესი, რაც ძვირფასი იყო ადამიანისათვის და მის ცხოვრებას ალამაზებდა — მუსიკის, პოეზიის, ცეკვის. ეს ისედაც პირქუშ ქვეყანას უფრო ნაღვლიანს ხდიდა.

სწორედ ასეთი ძველი აღთქმის სევდიანი კვალი დაასვა ედინბურგის ეკლესიას ჯონ ნოქსმა, ყველაზე ბატისტვინა ფანატიკოსმა და შეუბრალებელმა ეკლესიის ყველა დამფუძნებელთაგან. ულმობლობითა და მოუთმენლობით მან თავის მოძღვარ კალვინსაც კი გადააჭარბა. ოდესღაც გაძვალტყავებული კათოლიკე მღვდელი ჭეშმარიტი ფარისევლის გააფთრებით შეიჭრა რეფორმაციის ტალღებში და ჯორჯ უიშარტის მიმდევარი აღმოჩნდა, რომელიც მარიამ სტიუარტის დედამ ცოცხლად დაწვა კოცონზე. ის ცეცხლი, მასწავლებელი რომ დაწვა, ჩაუქრობლად ენთო მისი მოწაფის გულში. როგორც რეგენტის წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი მოთავე, საფრანგეთის დამხმარე ჯარებმა ნოქსი ტყვედ ჩაიგდეს და საფრანგეთში

[1] *უმაღლესი საფეხური (ლათ.).*

ციხეში ჩასვეს. თუმცა ბორკილები დაადეს, ნებისყოფა რკინასავით გამოეწრთო. გაათავისუფლეს თუ არა, კალვინთან გაიქცა. იქ იმდენი უქადაგეს, პურიტანული სიძულვილით განიმსჭვალა ნათელი ელინური საწყისისადმი და შოტლანდიაში დაბრუნების შემდეგ თავმომაბეზრებელი ქადაგებით თავის გავლენის ქვეშ მოაქცია მდაბიონი, ლორდები და რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში რეფორმაციას ნერგავდა.

ჯონ ნოქსი იქნებ ისტორიაში ცნობილ რელიგიურ ფანატიკოსთაგან ყველაზე დასრულებული სახე იყოს. იგი ლუთერზე უფრო მტკიცე იყო. ლუთერს ჰქონდა სულიერი შესვენების წუთები, სავონაროლაზე მკაცრი, რადგან მოკლებული გახლდათ მისი მჭევრმეტყველების მისტიკურ აღმაფრენასა და ბრწყინვალებას. თავისი დოგმატური პირდაპირობით იგი უეჭველად პატიოსანი იყო. გონებისშემზღუდველი მბრძანებლურობით ისე მკაცრი და გონაბაჩლუნგი გახდა, მხოლოდ საკუთარი ღირსების ჭეშმარიტებას, სიკეთეს, საკუთარ ქრისტიანობას ცნობდა, დანარჩენი არ მიაჩნდა ჭეშმარიტებად, სიკეთედ, ქრისტიანობად. ყველა სხვაგვარად მოაზროვნეს მოღალატედ თვლიდა. ყველა, ვინც კი ოდნავ გადაუხვევდა მის დოგმას, ეშმაკის კერძი იყო. ნოქსს ახასიათებდა მანიაკის ბრმა უშიშარობა, გაშმაგებული ფანატიკოსის მგზნებარება, ფარისევლის ამაზრზენი სიამაყე. მის სიმკაცრეში გამოსჭვიოდა საშიში სიყვარული თავისი გულქვაობისა, მის მოუთმენლობაში — ნაღვლიანი ტკბობა თავისი უცოდველობით. წვერგაჩეჩილი შოტლანდიელი იეღოვა სენტ-ჯაილის ტაძრის ამბიონიდან თავს რისხვას ატეხდა ყველას, ვინც მის ქადაგებას ყურად არ იღებდა. „სიხარულის მკვლელი“ (Kill joy) უდარდელ, უზრუნველ ადამიანებს, რომლებიც ღმერთს მისი დოგმების მიხედვით არ ემსახურებიან, შეუბრალებლად „სატანის შთამომავალთ“ უწოდებს. ამ ბებერმა ფანატიკოსმა სხვა სიხარული არ იცოდა საკუთარი სიმართლის ზეიმის გარდა, სხვა სამართლიანობა, გარდა მისი საქმის გამარჯვებისა. ველურის სიძულვილით ზეიმობდა, როცა გაიგებდა, რომელიმე კათოლიკე ან სხვა მტერი დაისაჯა ან შერისხესო. თუ მკვლელი მისი „კირხის“ მტერს განგმირავდა, რაღა თქმა უნდა, მკვლელობა ღვთის ნებით ან განგებით ხდებოდა. იგი თავის ამბიონზე აღავლენდა სამადლობელ ჰიმნს. ასე მოიქცა მაშინაც, როცა მარიამ სტიუარტის მცირეწლოვან მეუღლეს, უბედურ ფრანცისკ II-ს ყურში

ჩირქი ჩაუდგა, „რადგან არ სურდა შეესმინა უფლის სიტყვა“. მარიამ დე გიზი, მარიამ სტიუარტის დედა რომ გარდაიცვალა, იგი გატაცებით ქადაგებდა: „მოწყალე ღმერთმან დაგვიხსნას ამ სისხლის სხვა შთამომავალთაგან, ვალუას სხვა მემკვიდრეთაგანაც. ამინ! ამინ!“ მის ქადაგებაში ვერ იპოვიდით ვერც სათნოებას, ვერც სახარების სიკეთეს. მისი ღმერთი იყო შურისმაძიებელი, ეჭვიანი, დაუდგრომელი, მისი ბიბლია — სისხლმოწყურებული, ულმობელი ძველი აღთქმა. მოაბზე, ამალეკსა და იზრაელის სხვა სიმბოლურ მტრებზე, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით უნდა მოისრან, მუდამ ქადაგებდა, როგორც რწმენის შემრყვნელებზე. ხოლო როცა თვითონ უშვერი სიტყვებით ლანძღავდა ბიბლიურ დედოფალ იზაბელას, მსმენელები მაშინვე ხვდებოდნენ, ვის გულისხმობდა ამ დედოფალში. როგორც შავი, საავდრო ღრუბლები დაფარავენ ცას და სულს შეძრავენ ელვისა და ჭექა-ქუხილის შიშით, ისე ჩამოაწვა კალვინიზმი შოტლანდიის ცას და ყოველ წუთს გამანადგურებელ ჭექა-ქუხილს უქადდა.

შეუძლებელი იყო ბრძოლა ისეთ შეუდრეკელ, მოუსყიდავ ფანატიკოსთან, რომელიც მხოლოდ ბრძანებდა და უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. ყოველი ცდა, გონს მოეყვანათ ან მოესყიდათ იგი, სიმკაცრეს, ღვარძლიან დაცინვას და ამპარტავნობას აღვივებდა მასში. ამ თავის თავში დარწმუნებულ, ჯიუტ კაცს ვერაფერს გააგებინებდი. ამქვეყნად ყველაზე მოუსვენარი ადამიანები ღვთიური საქმისათვის ვაიმებრძოლები იყვნენ. მხოლოდ ღვთის ხმა ესმოდათ, ადამიანურ ხმათათვის დახშული იყო მათი ყურები.

მარიამ სტიუარტი ერთი კვირის ჩამოსულიც არ იყო შოტლანდიაში, რომ ამ ფანატიკოსმა თავისი ძალა აგრძნობინა. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მმართველობის სადავეებს ხელში აიღებდა, დედოფალმა თავის ქვეშევრდომთ რწმენის თავისუფლება მიანიჭა — რაც ამ თავისუფალი ბუნების ქალისთვის დიდ მსხვერპლს არ წარმოადგენდა. ასევე ყურად იღო კანონი, რაც შოტლანდიაში კრძალავდა აშკარად ღვთისმსახურებას. ეს დათმობა იყო ჯონ ნოქსის მომხრეთათვის, რომელთაც ერჩივნათ, ნოქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შოტლანდიაში ათიათასიანი მტრის ჯარი შემოჭრილიყო, ვიდრე გაეგოთ, რომ სადმე მესა გაისმოდა“. მაგრამ ღვთისმოწყალე კათოლიკემ, გიზების დისწულმა მოითხოვა, მისი კარის ეკლესიაში ყოველნაირი ღვთისმსახურება ეწარმოებინათ, რაც მის რელი-

გიას ეკუთვნოდა. პარლამენტმაც დაუჭირა მხარი ამ სამართლიან მოთხოვნას. პირველ კვირას, როცა ჰოლირუდის კარის ეკლესიაში ღვთისმსახურებისთვის ემზადებოდნენ, გააფთრებული ტალღა ლამის სასახლეში შეიჭრა, სამოსის მცველს ხელიდან გამოსტაცეს ანთებული შანდალი, რომელიც საკურთხეველთან მიჰქონდა და დაუმტვრიეს. ბრბო გააფთრებით ღრიალებდა, მოითხოვდა „კერპთაყვანისმცემელი მღვდლის“ გაგდებას, სიკვდილით დასჯას. გააფთრებით ისმოდა „სატანისეული მესას“ წყევლა. კიდევ წუთიც და, სასახლის კარის ეკლესიას ნაფოტებად აქცევდნენ. საბედნიეროდ, ლორდი მერეი თუმცა „კირხის“ მომხრე იყო, ფანატიკურად განწყობილ ბრბოს კარში დაუხვდა და შეაჩერა. დიდ შიშსა და ძრწოლაში დამთავრდა ღვთისმსახურება, შეშინებული მღვდელი უვნებელი გაიყვანეს თავის ოთახში. აურზაური თავიდან აიცილეს, დედოფლის ავტორიტეტი დიდი გაჭირვებით იხსნეს, მაგრამ მისი დაბრუნების პატივსაცემად გამართული ზეიმი, joyonsities, როგორც დაცინვით უწოდებდა ჯონ ნოქსი, მისდა გასახარად, უცბად შეწყდა: რომანტიკულად განწყობილი დედოფალი პირველად შეხვდა წინააღმდეგობას თავის ქვეყანაში.

ამან აღაშფოთა მარიამ სტიუარტი. გააფთრებული ყვიროდა და ცრემლებს აფრქვევდა. მისი ხასიათი ამჯერად უფრო გამოიკვეთა: ნორჩი, ბავშვობიდანვე ბედისგან განებივრებული დედოფალი ნაზი, ალერსიანი, დამყოლი ხასიათისა და თავაზიანი იყო. მის გარშემომყოფთ პირველ დიდებულთაგან მსახურებამდე არ ჰბეზრდებოდათ მისი თავმდაბლობისა და გულთბილობისათვის ხოტბის შესხმა. უბრალო მოქცევით, თავმდაბლობით ყველას გულს იმორჩილებდა და ავიწყებდა თავის მაღალ წარმოშობას. მაგრამ ამ გულთბილობასა და თავაზიანობაში გამოსჭვიოდა ამპარტავნული შეგრძნება, რომ იგი რჩეული იყო. სანამ არ გააღიზიანეს, ამას ვერავინ ამჩნევდა. ახლა კი როცა გაბედეს მისი შეურაცხყოფა ურჩობით, მთელი ძალით იფეთქა. ეს დიდებული ქალი ხშირად ივიწყებდა ხოლმე პირად წყენას, მაგრამ თავისი მეფური უფლებების ხელყოფას ვერავის აპატიებდა.

ერთ წუთსაც არ შეეძლო ამგვარი შეურაცხყოფის მოთმენა. ეს თავხედობა ძირშივე უნდა მოესპო. იცოდა კიდეც, ვის მიუძღოდა ამაში ბრალი. ერეტიკოსთა ტაძრის წვერგაჩეჩილი მოძღვარი აღიზიანებდა ხალხს მისი რწმენის წინააღმდეგ. მან მიუსია ღვთის მგმობ-

თა ბრბო და ახლავე საკადრისად უნდა გასწორებოდა. შეუზღუდავი აბსოლუტიზმის ფრანგულ ტრადიციებზე, ღვთიური სათნოებით აღზრდილ მარიამ სტიუარტს, ბავშვობიდანვე უსიტყვო მორჩილებას რომ იყო ჩვეული, ვერც კი წარმოედგინა თავისი ქვეშევრდომის, ვიღაც უბრალო მოქალაქის ურჩობა. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ იმას კი არა, თუ ვინმე ასე აშკარად, ასე უხეშად წინააღმდეგობის გაწევას გაუბედავდა. ჯონ ნოქსსაც ეს უნდოდა. იგი მხოლოდ გამოწვევასღა ელოდა. „კეთილშობილი არისტოკრატის სანდომიანი სახის შეხედვა როგორ შემაკრთობს, როცა ამდენი განრისხებული მამაკაცისთვის გამისწორებია თვალი და ლაჩრულად სოროში არ შევმძვრალვარ“. აღფრთოვანებით გაეშურა სასახლისკენ, რადგან ღვთიური საქმისათვის ბრძოლა, მისი აზრით, ყველაზე სანუკვარი საქმე იყო ფანატიკოსისთვის. თუ უფალი მეფეებს გვირგვინს ანიჭებს, თავის მწყემსებსა და მოციქულებს ცეცხლოვანი სიტყვებით ავჯილდოებს. ჯონ ნოქსისათვის „კირხის“ ღვთისმსახურება მეფის ხელისუფლებაზე მაღლა იდგა, რადგან იგი ღვთის უფლებებს იცავდა. მისი საქმე იყო ღვთიური უფლებების დაცვა ამქვეყნად და წარბიც კი არ შეუხრია, ურჩთათვის რისხვა დაეტეხა თავს. სწორედ ბიბლიური სცენა წარმოგიდგებოდათ თვალწინ, როცა ერთმანეთს შეეჯახა დედოფლის სიამაყე და მოძღვრის ამპარტავნობა. აქ ქალი კი არ ებრძოდა მამაკაცს პირველობისათვის, ორი ძველი იდეა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახა ერთმანეთს.

მარიამ სტიუარტმა მშვიდად დაუწყო საუბარი. ცდილობდა გაეგოთ ერთმანეთისათვის, გულში ბრაზი ჩაიხშო, რომ სახელმწიფოში მშვიდობა დაემყარებინა. თავაზიანად ესაუბრებოდა, მაგრამ ჯონ ნოქსი მაშინვე უზრდელად მოექცა. ამით სურდა დაემტკიცებინა ამ idolatress-თვის[1], ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე თავს არ ვხრიო.

მოღუშული, მდუმარედ, ვით ბრალმდებელი და არა ბრალდებული უსმენდა დედოფალს, რომელიც საყვედურობდა მის წიგნზე: The first blast of trumpet against the monstrous regiment of women[2]. ეს წიგნი უარყოფდა ქალის სამეფო უფლებებს. სწორედ ის ნოქსი, ამავე წიგნზე თავდახრილი პატიებას რომ სთხოვდა პროტესტან ელისაბედს, „პაპის მომხრე“ თავისი დედოფლის წინაშე ჯიუტად

[1] *კერპთთაყვანისმცემლისათვის (ინგლ.).*

[2] *პირველი დაფდაფი, რომელიც განსჯის საოცარ მმართველობას ქალისა (ინგლ.).*

იცავდა მას და მეტად ორაზროვანი საბუთები მოჰქონდა. გაცხარდა კამათი, მარიამ სტიუარტი მიუკიბ-მოუკიბავად ეკითხება ნოქსს, — მოვალეა თუ არა ქვეშევრდომი თავის მბრძანებელს დაემორჩილოსო. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ეთქვა, რასაკვირველია, მოვალეაო, რასაც მოელოდა დედოფალი, გამოცდილმა ტაქტიკოსმა მორჩილებაზე ასეთი არაკი მოიტანა: როცა შეშლილი მამა შვილების დახოცვას დააპირებს, შვილებს უფლება აქვთ, ხელები შეუკრან და ხელიდან გამოსტაცონ მახვილი; როცა დიდებულნი დევნას დაუწყებენ ღვთის შვილთ, მათ უფლება აქვთ, თავი დაიცვანო. დედოფალმა ამ არაკში მაშინვე ღვთის მსახურთა აჯანყება შეიგრძნო მისი ძალაუფლების წინააღმდეგ.

— იქნებ ჩემი ქვეშევრდომნი თქვენ უნდა დაგემორჩილონ და არა მე? — ჰკითხა დედოფალმა, — იქნებ თქვენა ხართ ჩემი მბრძანებელი და არა მე თქვენი?

სწორედ ასეთი აზრისა გახლდათ ჯონ ნოქსი, მაგრამ მოერიდა, მერეის თანდასწრებით ეთქვა ეს პირში.

— არა, — მიუგო ორჭოფულად, — ორივენი — ბატონიცა და ქვეშევრდომნიც უფალს უნდა ემორჩილებოდნენ. მეფეები ეკლესიის მარჩენლები უნდა იყვნენ, დედოფლები კი — ძიძები.

— მე სულაც არა მსურს, თქვენი ეკლესია ვარჩინო, — შეეკამათა მისი ორაზროვანი პასუხით აღშფოთებული დედოფალი, — მე მსურს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას ვცე თაყვანი. ჩემთვის ის არის ერთადერთი ღვთის ტაძარი.

შეეჯახნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი. კამათი ჩიხში მოემწყვდა, ერთმანეთს ვერასოდეს გაუგებდა მორწმუნე კათოლიკე და ფანატიკოსი პროტესტანტი. ნოქსს მთლად თავს გაუვიდა. რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას მრუში უწოდა, იგი ღვთის სძლობის ღირსი არ არისო. როცა დედოფალმა აუკრძალა ლაპარაკი — ეს ჩემს სინდისს შეურაცხყოფსო, მან გამომწვევედ უპასუხა, — სინდისს შემეცნება სჭირდებაო. მას ეგონა, სწორედ დედოფალს აკლდა შემეცნების უნარი. ამგვარად, შერიგების მაგივრად ამ პირველმა საუბარმა კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა. ნოქსი მიხვდა, რომ „ეშმაკი ძლიერი იყო“ და ნორჩი დედოფალი მას არასოდეს დაემორჩილებოდა. „ამ საუბრისას ისეთი სიმტკიცე გამოიჩინა, რაც საოცარია ასეთ ნორჩ ასაკში. ამიერიდან გავწყვიტე ყოველი კავშირი სასახლესთან, ასევე მანაც

ჩემთან“, — წერდა გააფთრებული ნოქსი. ყმაწვილმა ქალმაც იგრძნო საზღვარი თავისი სამეფო ხელისუფლებისა. ამაყად თავაწეულმა, კმაყოფილმა, რომ წინააღმდეგობა გაუწია დედოფალს, დატოვა ჯონ ნოქსმა სასახლე. დაბნეულმა მარიამ სტიუარტმა თვალი გააყოლა და უღონობისგან მწარედ აქვითინდა. ეს მისი უკანასკნელი ცრემლები იყო. იგი მალე მიხვდა, რომ ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გადმოგეცემა, ყოველდღიურ ბრძოლებსა და თავის დამცირებაში უნდა მოიპოვო.

ქვა დაგორდა
1561-1563

პირველი სამი წელიწადი უშფოთველად გაატარა ქვრივმა დედოფალმა შოტლანდიაში. მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. დიდი მოვლენები ერთ მოკლე ეპიზოდში იფეთქებდნენ ხოლმე სტიქიურად, სწორედ ამაში გახლავთ მისი ბედის თავისებურება. ამიტომაც იზიდავდა დრამატურგებს. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოს მერეი და მაიტლენდი მართავდნენ, მარიამ სტიუარტი კი მათი წარმომადგენელი იყო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. სწორედ რომ გონივრულად გაინაწილეს ძალაუფლება: მერეი და მაიტლენდი ფრთხილად და გონივრულად მართავდნენ სახელმწიფოს, მარიამ სტიუარტი კი ჩინებულად ასრულებდა წარმომადგენლის მოვალეობას. ბუნებისაგან მომადლებული სილამაზითა და მომხიბვლელობით, რაინდულ ასპარეზობაში გაწაფული, მობურთალი, მამაცი ცხენოსანი, მონადირე, მარტო გარეგნობითაც კი აჯადოებდა ადამიანთა გულებს: ედინბურგელები სიამაყით შესცქეროდნენ, სტიუარტების ასული დილაობით, შევარდნით ხელზე როგორ მიუძღოდა სადღესასწაულოდ მორთულ კავალკადას და თავაზიანად ესალმებოდა ყველას. დედოფლის ჩამოსვლით თითქოს სიჭაბუკისა და სილამაზის მზემ გამოანათა, მბრძანებელთ სიჭაბუკე და სილამაზე კი იდუმალად იპყრობს ქვეშევრდომთა გულებს. ნათელი და მხიარული, ამაღელვებელი და რომანტიკული შუქი მოეფინა ამ სასტიკსა და ბნელ ქვეყანას. მისი სილამაზე ლორდებს პატივისცემას აღუძრავდა. ამალით გარშემორტყმულ ყმაწვილ ქალს მთელი დღე შეეძლო ცხენი ეჭენებინა. მისი სულის მომაჯადოებელ თავაზიანობაში ჯერ გამოუვლენელი რკინისებური სიამაყე იმალებოდა, მისი ვაზის ლერწივით მოქნილი, ნაზი, მსუბუქი სხეული უჩვეულო ძალას ფარავდა. არა-

ვითარი სიძნელე არ აშინებდა. ერთხელ, ცხენს რომ დააჭენებდა, თავის თანამგზავრს უთხრა, ნეტავ, მამაკაცად დავბადებულიყავი და შემეგრძნო, როგორია მთელი ღამე მინდორზე ცხენის ჭენებაო. როცა რეგენტი მერეი ლაშქრობაში წავიდა ამბოხებული ჰანთლეის ხალხის დასაშოშმინებლად, იარაღასხმული მარიამ სტიუარტიც უშიშრად მიაჭენებდა მის გვერდით ცხენს. ხიფათიანი თავგადასავალი უხილავი ძალით იტაცებდა, რადგან ამ ენერგიული ქალის თანდაყოლილი თვისება იყო, მთელი არსებით, მთელი გატაცებით მისცემოდა რაიმეს. მამაცი მებრძოლი და გულადი მონადირე, მოასპარეზე და მოლაშქრე, სულ სხვაგვარი იყო ციხე-კოშკში. შესანიშნავად იცოდა თავისი დროის ხელოვნება და კულტურა. მასზე მომხიბვლელი და წარმტაცი ქალი არ მოიპოვებოდა მაშინ შოტლანდიაში. მის ხანმოკლე ყმაწვილქალობაში ხორცი შეესხა საუკუნის იდეალს — სიმამაცესა და სინაზეს, ძალასა და მორჩილებას, რაინდულ რომანტიკას. კურტუაზული chevalerie-ს უკანასკნელ ჩამავალ სხივებში, ტრუბადურები რომ უმღეროდნენ, გამოკრთის ჩრდილოეთის ცივი ბურუსით მოცული, რეფორმაციის ჩრდილით დაბინდული ეს მშვენიერი მოჩვენება.

მაგრამ ამ ყმაწვილი ქალის თუ ქვრივი გოგონას რომანტიკულ სახეს ისე სხვანაირად არასოდეს უბრწყინია, როგორც ოცი-ოცდაერთი წლის ასაკში. მეტისმეტად ნაადრევმა, შეუცნობელმა გრძნობამ მოიცვა. მისი შინაგანი ცხოვრება სრულად არ გაფურჩქნილიყო, მასში ჯერ არ გაეღვიძა ქალს...

მხოლოდ მღელვარებისა და საშიშროების წუთებში შეიცნობდით ნამდვილ მარიამ სტიუარტს. შოტლანდიაში გატარებული პირველი წლები კი მისთვის მხოლოდ უმიზნო ლოდინი იყო, დროს კლავდა უბრალო თამაშებში, თითქოს შეუცნობლისათვის ემზადებოდა. ეს თითქოს ძალის მოკრება, მკრთალი, უსულო წუთი იყო. მარიამ სტიუარტი მთლად ბავშვი იყო, საფრანგეთის დედოფალი რომ გახდა. ახლა ვეღარ აკმაყოფილებდა შოტლანდიის საცოდავი სამეკვიდრეო. იმისათვის კი არ დაბრუნებულა სამშობლოში, რომ ეს ღარიბი, პატარა, მიყრუებული ქვეყანა ემართა. დაადგა თუ არა ფეხი შოტლანდიის მიწას, მას მსოფლიო თამაშში გამარჯვების საწინდრად თვლიდა, ამით უფრო ბრწყინვალე გვირგვინი უნდა ეგდო ხელთ. ნურავინ იფიქრებს, თითქოს მარიამ სტიუარტს მხოლოდ ის ეწადა, მშვიდად და წყნარად ემართა თავისი ქვეყანა, როგორც მორჩილ გოგონასა და

შოტლანდიის გვირგვინის მემკვიდრეს. ეს უძლური პატივმოყვარეობა მის სიდიადეს მხოლოდ დაამცირებდა, რადგან იგი დაუოკებელი, დაუმცხრალი გზნებით ისწრაფოდა დიდი ძალაუფლებისკენ.

ვინც თხუთმეტი წლისა ნოტრ-დამში საფრანგეთის მემკვიდრე პრინცზე დააქორწინეს, ვისაც ლუვრში ბრწყინვალე დედოფლად აღიარებდნენ, ვერასოდეს დაკმაყოფილდებოდა ორიოდე ათეულ გაუთლელ, ეგრეთ წოდებულ გრაფებსა და ბარონებზე მბრძანებლობით, რაღაც ორასი ათასი მწყემსისა და მეთევზის დედოფლობით. ხელოვნური და ყალბია, როცა მარიამ სტიუარტს ნაციონალ-პატრიოტულ გრძნობას მიაწერენ, რაც საუკუნეების შემდეგ აღმოუჩინეს. მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების დიდებულებს, თუ მარიამ სტიუარტის შეურიგებელ მოწინააღმდეგეს ელისაბედს არ ჩავთვლით, არაფრად ეპიტნავებოდათ ხალხი, მხოლოდ თავიანთი ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ. იმპერიები საკაბეებივით იჭრებოდა, სახელმწიფოები ომებითა და ქორწინებით იქმნებოდა და არა ხალხში ნაციონალური თვითშეგნების გაღვიძებით. სენტიმენტალურ შეცდომას ნუ დავუშვებთ: მარიამ სტიუარტი იმ ხანებში მზად იყო, შოტლანდია ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთის და რომელიც გნებავთ სახელმწიფოს ტახტზე გაეცვალა. რაღა თქმა უნდა, არც თავისი სამშობლო ტყეების, ტბების, რომანტიკული ციხე-კოშკების განშორებაზე დაღვრიდა ცრემლს. ეს პატივმოყვარე ქალი ამ პატარა სახელმწიფოს ისე უყურებდა, როგორც ხიდს უფრო მაღალი მიზნის განსახორციელებლად. მან იცოდა, რომ მბრძანებლად იყო დაბადებული და სილამაზისა და ბრწყინვალე აღზრდის წყალობით შეეძლო, რომელიც გნებავთ ევროპული სახელმწიფოს გვირგვინი დაედგა თავზე. თუ თავისი თანატოლები სიყვარულზე ოცნებობდნენ, იგი პატივმოყვრულად განუსაზღვრელ უფლებებს მიელტვოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ თავიდანვე მთელი სახელმწიფო საქმეები უყოყმანოდ და გულგრილად მერეისა და მაიტლენდს ჩააბარა. ოდნავადაც არ ეჭვიანობდა. ამ ძალაუფლებით განებივრებულ გვირგვინოსანს არ აინტერესებდა თავისი ღატაკი ქვეყნის ბედი. უფლებას აძლევდა, თავისებურად ემართათ სახელმწიფო. მბრძანებლობაში, თავისი ღირსების გადაჭარბებაში — ამ უმაღლეს პოლიტიკურ ხელოვნებაში — არასოდეს ყოფილა ძლიერი მარიამ სტიუარტი. მას შეეძლო მხოლოდ დაცვა და არა შენარჩუნება. მხოლოდ მაშინ, როცა მის

სიამაყეს შეეხებოდნენ, შებღალავდნენ მის უფლებებს ან უცხო ძალა დაემუქრებოდა, უჩვეულო ენერგია გაიღვიძებდა მასში. მხოლოდ გადამწყვეტ წუთებში ეუფლებოდა დიადი შემართება. სხვა დროს კი ჩვეულებრივი და გულგრილი იყო.

იმ ხანებში მიწყნარდა მისი დიდი მოქიშპის ხრიკებიც, რადგან ყოველთვის, როცა კი მარიამ სტიუარტის მეამბოხე სულს სიმშვიდე დაეუფლებოდა, მშვიდდებოდა ელისაბედიც. ერთი უდიდესი ღირსება ამ რეალისტისა ის იყო, რომ ანგარიშს უწევდა ფაქტებს, გარდაუვალობას წინ არ აღუდგებოდა, ყოველი ღონით ცდილობდა, ხელი შეეშალა მარიამ სტიუარტის შოტლანდიაში დარუნებისათვის. მარამ როცა ეს გარდაუვალი გახდა, აღარ იბრძოდა, პირიქით, ცდას არ აკლებდა, მეგობრული კავშირი დაემყარებინა მეტოქესთან, რომლის თავიდან მოშორებაც ვერ შეძლო. ელისაბედს, როგორც ყველა ჭკვიან ქალს, არ უყვარდა ომები (ეს ერთი ყველაზე კეთილი თვისება იყო ამ ახირებული, თავნება ქალისა). სისხლის ღვრის საფრთხეს შეიგრძნობდა თუ არა, იბნეოდა და ფრთხებოდა. ბუნებით ანგარიშიანი არჩევდა მოლაპარაკებითა და გონივრული კამათით მიეღწია გამარჯვებისთვის.

როგორც კი აშკარა გახდა, მარიამ სტიუარტი ჩამოდიოდა, ლორდმა მერეიმ ელისაბედს დარწმუნება დაუწყო, შოტლანდიის დედოფალთან მეგობრობა გაება: „ორივენი ახალგაზრდა, სახელგანთქმული დედოფლები ხართ. ომი და სისხლის ღვრა ღირსებას შეგილახავთ. ორივეს მოგეხსენებათ მიზეზი თქვენ შორის განხეთქილებისა. ღვთის წინაშე ვფიცავ, ამაზე მეტს არას ვინატრებდი, რომ ჩემს მბრძანებელ დედოფალს არასოდეს განეცხადებინა პრეტენზიები არც თქვენი უდიდებულესობის სახელმწიფოზე და არც თქვენს ტიტულზე, მაგრამ თქვენ მაინც მეგობრებად უნდა დარჩეთ. რადგან გამოთქვა პრეტენზია, სანამ მიზეზი არ მოგვისპია, მაკრთობს ეს გაუგებრობა. თქვენი უდიდებულესობა ვერ დათმობს ამ საკითხში, მაგრამ არც მისთვის არის ადვილი, მოითმინოს, რომ ინგლისისათვის სისხლით ასე ახლობელს უცხოსავით უყურებდნენ. განა არ გამოიძებნება საშუალო გზა?“

ელისაბედმა ყურად იღო ეს რჩევა. მხოლოდ შოტლანდიის დედოფალი, ინგლისზე დამოკიდებული კაცის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მარიამ სტიუარტი მისთვის აღარ იყო ასე საშიში. წავიდა

ის დრო, როცა მას ორი გვირგვინი ედგა თავს — საფრანგეთისა და შოტლანდიის მონარქისა. მაშ, რატომ არ უნდა იმეგობროს თუნდაც გულმიუვალ ადამიანთან? ელისაბედმა და მარიამ სტიუარტმა მალე მიმოწერა გააბეს. ორივენი, dear sisters,[1] მრავლისამტან ქაღალდს ანდობდნენ თავიანთ საიდუმლოს. მარიამ სტიუარტმა სიყვარულის ნიშნად ელისაბედს ბრილიანტის ბეჭედი გაუგზავნა, მანაც სამაგიეროდ უფრო ძვირფასი უსახსოვრა. ორივემ ხალხისა და საკუთარი თავის წინაშე ნათესაური კავშირის დამამტკიცებელი სცენა გაითამაშა. მარიამ სტიუარტი არწმუნებდა: ამქვეყნად ჩემი ყველაზე სანუკვარი სურვილია, ვინახულო ჩემი კეთილი და, მზადა ვარ კავშირი გავწყვიტო საფრანგეთთან, რადგან თქვენს წყალობას ისე ვაფასებ, როგორც more than all uncles of the world-ო[2]. ელისაბედმაც თავის მხრივ გაბმული, მსხვილი ასოებით, როგორც ყველაზე სადღესასწაულო შემთხვევაში წერდა ხოლმე, მჭევრმეტყველურად აღუთქვა ერთგულება და მეგობრობა. მაგრამ როგორც კი საქმე შეხვედრაზე მიდგა, ორივემ ფრთხილად უკან დაიხია. შეწყდა წინანდელი მოლაპარაკებანიც. მარიამ სტიუარტი ედინბურგის ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ მოაწერდა ხელს, თუ ელისაბედი მემკვიდრეობის უფლებას დაუმტკიცებდა. ელისაბედისთვის კი ეს იმას ნიშნავდა, საკუთარი სასიკვდილო განაჩენისთვის მოეწერა ხელი. არც ერთი მხარე არ თმობდა თავის პრეტენზიებს. მჭევრმეტყველურ სიტყვებში გადაულახავი უფსკრული იგრძნობოდა. მსოფლიოს დამპყრობ ჩინგის ხანს უთქვამს: „ცაზე ორი მზე ვერ გაანათებს, დედამიწაზე ორი ხანი ვერ იარსებებს“. ერთ-ერთს — ელისაბედს ან მარიამ სტიუარტს უნდა დაეთმო. სულის სიღრმეში ორივემ იცოდა და მომენტს ელოდა. მაგრამ სანამ გადამწყვეტი წუთი არ დამდგარიყო, რატომ არ უნდა ამოესუნთქათ? იქ, საცა უნდობლობა არსებობს, ყოველთვის მოიძებნება მიზეზი უვნებელი ალის ყოვლისმშთანთქმელ ხანძრად გადასაქცევად.

იმ ხანებში ახალგაზრდა დედოფალს ხშირად აწუხებდა წვრილმანი საზრუნავი, ღლიდა მოსაწყენი სახელმწიფო საქმეები. დღითი დღე უცხოდ გრძნობდა თავს შფოთისთავ დიდებულებს შორის, თავს აბეზრებდა დაუდგრომელ მოძღვართა ლანძღვა-ყბედობა, მათი მზა-

[1] *საყვარელი დები (ინგლ.).*

[2] *ყველაზე უკეთესს ამქვეყნად (ინგლ.).*

კვრობა. ასეთ წუთებში საფრანგეთში, თავის გულის სამშობლოში ბრუნდებოდა. რა თქმა უნდა, შოტლანდიას ვერ მიატოვებდა, მაგრამ თავისი ჰოლირუდის ციხე-კოშკში შეიქმნა პატარა საფრანგეთი, პატარა სამყარო, სადაც თავისუფლად, უმეთვალყურეოდ ეძლეოდა თავის საოცნებო გატაცებას — თავის საკუთარ ტრიანონს. ჰოლირუდის მრგვალ ციხე-კოშკში ფრანგული გემოვნებით რომანტიკული სამეფო კარი მოაწყო. პარიზიდან ჩამოიტანა გობელენები და თურქული ხალიჩები, სარწეველა საკარძლები, ძვირფასი ავეჯი და სურათები, აგრეთვე თავისი საყვარელი ძვირფასყდიანი წიგნები ერაზმისა და რაბლესი, თავისი არიოსტოსი და რონსარისა. აქ ლაპარაკობდნენ და ცოცხლობდნენ ფრანგულად, საღამოობით შანდლების მოციმციმე შუქზე უსმენდნენ მუსიკას, ეწყობოდა მაღალი წრისათვის ჩვეული გასართობები. ლექსებს კითხულობდნენ, მადრიგალებს მღეროდნენ. პირველად იყო, რომ ლამანშის გამოღმა, ამ პატარა სამეფო კარზე, თამაშობდნენ „ნიღბებს“, დგამდნენ „სახელდახელო“ მცირე კლასიკურ პიესებს, რაც შემდეგ გაიფურჩქნა ინგლისურ სცენაზე. შუაღამემდე ცეკვავდნენ გადაცმული მანდილოსნები და მათი მოტრფიალენი. ერთ-ერთი ასეთი ნიღბებით ცეკვას, The purpose[1]-ით დედოფალი მამაკაცის კოსტიუმში ცეკვავდა — შავ, შემოტმასნილ შარვალში, მისი პარტნიორი ახალგაზრდა პოეტი შატელიარი კი ქალის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ამ სანახაობამ საშინლად გააოფთრა ჯონ ნოქსი.

პურიტანებს, ფანატიკოსებსა და მათ მსგავს ბუზღუნებს სათოფეზეც არ აკარებდნენ ამ მშვენიერ სანახაობებს. ჯონ ნოქსი ბობოქრობდა, ამხელდა souparis და dansaris საზიზღრობებს და სენტ-ჯაილსის ამბიონზე ისეთ რისხვას ანთხევდა, წვერი უცახცახებდა.

„დიდებულებს ურჩევნიათ მუსიკა მოისმინონ და აამონ მამონას[2], ვიდრე ღვთის წინაშე სიტყვა შეისმინონ ან წაიკითხონ. იმათ უფრო სჯერათ მუსიკოსთა და ფარისეველთა, ამ ახალგაზრდობის დამღუპველთა, ვიდრე დაბრძენებულ მამათა“ — ვინ ჰყავდა მხედველობაში ამ თავის თავში დარწმუნებულ მოძღვარს? — „ისინი, ვინც განმკურნებელი შეგონებებით ცდილობდნენ გამოედევნათ მათგან პირველშობილი სიამაყის ცოდვა“. მაგრამ ახალგაზრდობის მხია-

[1] *საიდუმლო განზრახვით (ინგლ.).*

[2] *სიმდიდრის ღმერთი.*

რული წრე არ ეტანებოდა ამ Kill-joy-ს, სიხარულის ჩამკვლელ, „განმკურნებელ შეგონებას“. ოთხი მარიამი და ორი-სამი მათი მოტრფიალე, ერთგულნი ყოველივე ფრანგულისა, გაჩირაღდნებულ, მყუდრო დარბაზში — მეგობრობის ნავსაყუდელში ივიწყებდნენ ამ ტრაგიკულ, პირქუშ ქვეყანას. ყველაზე ბედნიერად თავს მარიამ სტიუარტი გრძნობდა, მხიარულების ცივ ნიღაბს იფარებდა და თანატოლთა და თანამოაზრეთა წრეში ჩვეულებრივი ხალისიანი ახალგაზრდა ქალი ხდებოდა.

ბუნებრივიც იყო ასეთი მოთხოვნილება, მაგრამ უდარდელობა ყოველთვის სახიფათო ხდებოდა მარიამ სტიუარტისათვის, თვალთმაქცობა სულს უხუთავდა, სიფრთხილე მალე ღლიდა. მაგრამ ერთი საქებარი ღირსება გააჩნდა: არ შეეძლო გრძნობების დაფარვა — Je ne sais point deguiser mes sentiments, — როგორც სწერდა ვიღაცას, — პოლიტიკურად უფრო მეტ უსიამოვნებას ანიჭებდა, ვიდრე სხვებს ყველაზე არაადამიანური სიმკაცრე, სიცრუე ავი განზრახვით. თავისუფალი ქცევა, რის უფლებასაც თავის თავს აძლევდა დედოფალი ახალგაზრდების წრეში, ღიმილი მათ თაყვანისცემაზე, ზოგჯერ გამომწვევიც კი, თავქარიან ყმაწვილებს გაშინაურების საბაბს აძლევდა, უფრო მგზნებარეთ კი მთლად თავბრუს ახვევდა. რაღა თქმა უნდა, ამ ქალს, ვის მომხიბვლელობასაც მისი პორტრეტები ვერ გადმოსცემენ, მომაჯადოებელი ძალა გააჩნდა. იქნებ ზოგიერთი მამაკაცი ბუნდოვანი ნიშნებით ამ ყმაწვილქალის მსუბუქ, კეთილ, მეტად თავდავჯერებულ საქციელში თავშეკავებულ გზნებას ამჩნევდა, როგორც ზოგჯერ მოულოდნელად იფეთქებს ხოლმე ვულკანი. იქნებ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მარიამ სტიუარტი თვითონ შეამჩნევდა თავის საიდუმლოს, მამაკაცური ალღო ხვდებოდა მის დაუმცხრალ გზნებას, რადგან ისეთი მომაჯადოებელი ძალა გააჩნდა, უფრო გრძნობიერად გაგიტაცებდათ, ვიდრე რომანტიკულად შეგაყვარებდათ თავს. სავსებით გასაგებია, რომ ჯერ მიძინებული ინსტინქტების სიბრმავის გამო იგი გრძნობას უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებდა — ხვევნა-ალერსი, კოცნა, მომაჯადოებელი მზერა — ვიდრე ამას გამოცდილი ქალი გააკეთებდა, ვისაც ესმოდა, რა საშიში და მაცდუნებელი იყო ეს უწყინარი თამაში. ზოგჯერ გარშემოხვეულ ყმაწვილკაცებს ავიწყდებოდათ, რომ იგი მათი დედოფალი იყო და როგორც ქალი მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო მათი თამამი აზრებისათვის. ერთხელ ახალგაზ-

რდა შოტლანდიელმა, კაპიტანმა ჰეპბურნმა მასთან დამოკიდებულებაში რაღაც შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა და მხოლოდ გაქცევამ იხსნა საშინელი სასჯელისგან. მაგრამ მარიამ სტიუარტი მეტად ზერელედ უყურებდა ამ გაუგებრობას, თავქარიანულად აფასებდა თავხედურ ბავშვურ სიმსუბუქესა და ამით სიმამაცეს მატებდა მის მეგობართა ვიწრო წრის სხვა დიდებულებს.

ამ თავგადასავალს მთლად რომანტიკული ხასიათი აქვს და როგორც თითქმის ყველა ეპიზოდი, რაც კი შოტლანდიის მიწაზე მომხდარა, ავის მომასწავებელ, სისხლიან ბალადად იქცა.

მარიამ სტიუარტის პირველმა თაყვანისმცემელმა საფრანგეთის სამეფო კარზე, ბატონმა დანვილმა თავისი გრძნობები ახალგაზრდა მეგობარს, პოეტ შატელიარს გაანდო. მაგრამ აი, დადგა დრო, ბატონი დანვილი სხვა დიდებულებთან ერთად მარიამ სტიუარტს რომ ჩამოჰყვნენ შოტლანდიაში, საფრანგეთში უნდა დაბრუნებულიყო, დაჰბრუნებოდა თავის ცოლს, თავის მოვალეობას. ტრუბადური შატელიარი კი შოტლანდიაში დარჩა თაყვანისმცემლის მაგივრად. მაგრამ თანდათან საფრთხილო გახდა ახალი ლექსების შეთხზვა, თამაში ადვილად იქცა სინამდვილედ. მარიამ სტიუარტი დაუფიქრებლად იღებდა პოეტურ ქმნილებებს ყმაწვილი კაცისა, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ყოველგვარ რაინდულ ხელოვნებას და მის სტრიქონებს თვითონაც თავისი ლექსებით პასუხობდა. პირქუშ, ჩამორჩენილ ქვეყანაში გადმოხვეწილი, მუზების მოტრფიალე ყმაწვილი ქალი განა სიამოვნებით არ მოისმენდა მის ხოტბას:

შენ ერთს, ღვთაებავ ჩემო,
შენ ერთს, ოცნებავ ჩემო,
შენ ერთს, რომელიც ამ გულს,
არად აგდებდი, არად, —
ო, სილამაზის ძალით
(სხვას არც ექნება ბრალი),
ალბათ სიკვდილი მგოსნის
შენ დაგბრალდება მარად.

მით უმეტეს, რომ დედოფალს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, რადგან შატელიარი ვერ დაიტრაბახებდა, რომ მასაც სიყვარული აღუძრა. მისი გრძნობა უპასუხოდ დარჩა. პოეტი ნაღვლიანად ამბობდა:

გულში ანთებულ ხანძარს,
ვინ გაანელებს ნეტავ?! —
მე ვიწვი, მაგრამ
შენს გულს
ცეცხლს ვერ ვუკიდებ მეტად.

რაღა თქმა უნდა, როგორც სხვა საალერსო სიტყვებზე, მარიამ სტიუარტი ამ პოეტურ ქებათა ქებაზეც იღიმებოდა. ბუნებით პოეტს ეს ლირიკული აღმაფრენანი, გრძნობით გამსჭვალული სტროფები და მოკრძალებული ალერსი მოსათმენად მიაჩნდა, რადგან მასში შეუფერებელს ვერაფერს ხედავდა.

როგორც თავის ოთხ მარიამთან, ასევე თავისუფლად ხუმრობდა და ერთობოდა შატელიართანაც, განსაკუთრებით გამოარჩევდა მას. ის, ვისაც თავაზიანად, შორიდან უნდა ეჭვრიტა მისთვის, პარტნიორად გაიხადა ცეკვაში და ფოგინგ-დანსის ფიგურაში დაბლა ხრიდა თავს მის მხართან. იმაზე მეტ თავისუფლებას ანიჭებდა პოეტს, ვიდრე შოტლანდიაში, ნოქსის საკურთხევლის მახლობლად იყო მიღებული. ნოქსი არ იღლებოდა შემდეგი ქადაგებით: such fashions more lyke to the bordell than to the comeliness of honest women[1]. ზოგჯერ შატელიარს ამბორითაც აჯილდოებდა, როცა მასთან ნიღბით ცეკვავდა ან ფანტს თამაშობდა. მაგრამ ამ უწყინარ კურკურს საბედისწერო დასასრული მოჰყვა: ტორკვატო ტასოს მსგავსად გრძნობით დამთვრალი ჭაბუკი პოეტი ისწრაფოდა, გადაელახა საზღვარი მეფესა და ქვეშევრდომს, თაყვანისცემასა და შინაურობას, თავაზიანობასა და ზრდილობას, ხუმრობასა და სერიოზულობას შორის. მოულოდნელად ამგვარი უსიამოვნო ამბავი მოხდა: ერთ საღამოს მარიამ სტიუარტის მხევლებმა დედოფლის საწოლ ოთახში იპოვეს ფარდის ნაოჭს ამოფარებული პოეტი. პირველად სასტიკად არ განუსჯიათ, რადგან ბავშვურ სიცელქედ ჩათვალეს და უფრო დასანახად გამოლანძღეს და გააგდეს განსასვენებლიდან. არც მარიამ სტიუარტი აღუშფოთებია მის საქციელს. ამ ამბავს დედოფლის ძმას უმალავდნენ და ზრდილობის წესის ამგვარი უხეში დარღვევისათვის მკაცრ დასჯაზე არავინ ფიქრობდა. მაგრამ მფარველობამ ჭკუა ვერ ასწავლა უგუნურ ჭაბუკს. ყმაწვილი გაათამამა ქალების მოწყალებამ

[1] *ამგვარი საქციელი უფრო შეჰფერით მეძავთ, ვიდრე მშვენიერ, პატიოსან ქალს (ინგლ.).*

თუ გრძნობამ განსჯის უნარი წაართვა, სულ მალე კვლავ გაკადნიერდა. მარიამ სტიუარტი ფაიფში გაემგზავრა, დიდებულთაგან მალულად ისიც თურმე თან გაჰყოლია და კვლავ იპოვეს დედოფლის ოთახში, როცა სანახევროდ გახდილი დედოფალი დაწოლას აპირებდა. შეშინებულმა, შეურაცხყოფილმა დედოფალმა ყვირილი ატეხა, მთელი სახლი ფეხზე დააყენა, მეზობელი ოთახიდან გამოვარდა დედოფლის ნახევარძმა მერეი. ახლა უკვე ზედმეტი იყო ლაპარაკი პატიებასა და გაჩუმებაზე. ოფიციალური ვერსიით, მარიამ სტიუარტს მოუთხოვია (თუმცა ეს საეჭვოა), მერეის ხანჯლით განეგმირა თავხედი, მაგრამ მერეი დას არა ჰგავდა, მას უნარი შესწევდა, ყოველი ნაბიჯი გაეზომა, აეწონ-დაეწონა, რა შედეგი მოჰყვებოდა მას. კარგად იცოდა, ყმაწვილი კაცი დედოფლის საწოლში რომ მოეკლა, მარტო ხალიჩას კი არ დააჩნდებოდა სისხლი, დედოფლის სახელსაც ჩირქი მოეცხებოდა. არა, ასეთი დანაშაული ხალხის სამსჯავროდ უნდა გეხადა და ყველას წინაშე ქალაქის მოედანზე დაესაჯა თავხედი. მხოლოდ ამით შეძლებდა დაემტკიცებინა დედოფლის უცოდველობა ქვეშევრდომთათვისაც და მთელი ქვეყნისათვისაც.

რამდენიმე დღის შემდეგ შატელიარი ჯალათის კუნძთან მიიყვანეს. მის კადნიერ სიმამაცეში მსაჯულებმა დანაშაული ამოიკითხეს, მის თავქარიანობაში კი ავი განზრახვა. ყველამ ერთხმად უსასტიკესი სასჯელი — თავის მოკვეთა მიუსაჯა. მარიამ სტიუარტს თუნდაც მოესურვებინა, მაინც ვერ შეიწყალებდა უგუნურ ჭაბუკს. ელჩებმა ეს ამბავი თავიანთ სამეფო კარზე მიიტანეს. ლონდონსა და პარიზში ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს შოტლანდიის დედოფლის საქციელს. ერთი გადაკრული სიტყვაც კი დამნაშავის დასაცავად ამ საქმეში მის მონაწილეობას ნიშნავდა. დედოფალმა თავისი გულითადი მეგობარი, ვისთანაც მრავალი სასიამოვნო წუთი გაეტარებინა, მძიმე წუთებში მთლად უიმედოდ და უსასოოდ მიატოვა.

შატელიარი უძრახველი სიკვდილით მოკვდა, როგორც რომანტიკული დედოფლის რაინდს შეეფერებოდა. მან უარი განაცხადა სულის განწმენდაზე. ერთადერთ ნუგეშს პოეზიასა და ამ აღიარებაში პოვებდა:

მე ვიტანჯები ტრფიალით, გზნებით,
მაგრამ ამ ტანჯვით უკვდავი ვხდები.

ამაყად თავწეული ავიდა მამაცი ტრუბადური ეშაფოტზე.

ფსალმუნისა და ლოცვის მაგვრად თავისი მეგობრის, რონსარის სტრიქონები: „სიკვდილთან გამგზავრება“ წაიკითხა ხმამაღლა:

სიკვდილო, გიცდი,
ვით მეგობარს სული ცხოველი, —
თავისუფლებას წამებისგან შენგან მოველი.

ჯალათის კუნძთან კვლავ ასწია თავი, რომ ამოეძახნა, მაგრამ ეს უფრო ოხვრა იყო, ვიდრე ჩივილი, — O cruelle dame![1] მერე მორჩილად დახარა თავი და რომანტიკოსი პოეტი ბალადის, რომანტიკულ პოემის გმირივით მოკვდა.

უბედური შატელიარი, ვისი სახეც მკრთალად გამოიკვეთა ბუნდოვან ჩრდილთაგან, პირველი შეეწირა მარიამ სტიუარტს. იგი წინ უძღოდა სხვებს, მისგან იწყება ლანდების ცეკვა, იმათი ფერხული, ვინც ამ ქალის გულისთვის ბედის ბნელ უფსკრულში ჩათრეულნი ეშაფოტზე ავიდნენ, მაგრამ ისიც თან გაიყოლეს. ყოველი ქვეყნიდან მოედინებოდნენ, ვით გოლბაინის გრავიურაზეა გამოხატული. მოდიოდნენ შავი ძვლების ბრახუნით, ნაბიჯ-ნაბიჯ, წლითიწლობით. ესენი იყვნენ თავადები და მბრძანებელნი, გრაფები და ბარონები, მღვდლები და ჯარისკაცები, ყმაწვილები და მოხუცები. მისთვის სწირავდნენ თავს, ვინც უდანაშაულო დამნაშავე გახდა მათი ჯოჯოხეთური მკვლელობისა და თავისი დანაშაულის გამოსასყიდად თვითონვე დაასრულა ეს პროცესიც. იშვიათად მიუნიჭებია ბედს ქალისთვის ასეთი სასიკვდილო ძალა: იდუმალი მაგნიტივით იზიდავდა მამაკაცებს თავისი დამღუპველი თილისმით. ვინც უნდა შეხვედროდა ცხოვრების გზაზე, მოწყალე თვალით შეხედავდა თუ ულმობლით, უბედურებისა და მოძალადეობრივი სიკვდილისათვის იყო განწირული. არავისთვის მოუტანია ბედნიერება მარიამ სტიუარტისადმი სიძულვილს. მაგრამ უფრო მწარე ხვედრი ხვდათ წილად მის სიყვარულში გათამამებულთ.

ამიტომ შატელიარის სიკვდილი მხოლოდ ეპიზოდად, არაფრისმთქმელ შემთხვევითობად არ უნდა მივიჩნიოთ. მარიამ სტიუარტი პირველად ჩასწვდა მისთვის უცნობი ბედის სასტიკ კანონს: იოლად და უზრუნველად ბედს მინდობილი ვერასოდეს იცხოვრებდა დაუსჯელად. მისი ცხოვრება ისე აეწყო, პირველი წუთებიდანვე დიდებით მოსილი დედოფალი უნდა ყოფილიყო, თუმცა კი მსოფლიო

[1] *ო, სასტიკო დედაკაცო! (ფრ.).*

თამაშში ჩართული თოჯინა... ის, რაც ერთი შეხედვით სიკეთედ, ღვთიურ მოწყალებად გვეჩვენება, — ბავშვობიდანვე გვირგვინის დადგმა, მაღალი წარმოშობა — წყევლად ექცა. როცა კი ეცდებოდა, საკუთარ თავს, საკუთარ განწყობილებებს, გრძნობებს, ჭეშმარიტ გატაცებებს მისცემოდა, ბედი სასტიკად სჯიდა კადნიერებისთვის. შატელიარმა პირველად აგრძნობინა სიფრთხილე. ბავშვობის შემდეგ, ბავშვობას დანატრებულმა, ცოტა ხანს ამოისუნთქა, სანამ მეორეჯერ, მესამეჯერ თავის სხეულს, სიცოცხლეს მიუძღვნიდა უცხო მამაკაცს, გაცვლიდა სხვა გვირგვინზე. ეწადა, თუნდაც რამდენიმე თვე ყოფილიყო ახალგაზრდა, უზრუნველად ეცხოვრა, მხოლოდ ესუნთქა, ეცოცხლა და სიცოცხლით დამტკბარიყო. მაგრამ ულმობელმა ხელებმა მაშინვე მოაშორეს უზრუნველ თამაშს. ამ ამბით შეშფოთებული რეგენტი, პარლამენტი და ლორდები ცდილობდნენ კვლავ დაექორწინებინათ დედოფალი. მარიამ სტიუარტს უნდა ამოერჩია მეუღლე, მაგრამ არა გულის სწორი, არამედ ვინც გააძლიერებდა და დაიცავდა ქვეყანას. კარგა ხანია მოლაპარაკებები წარმოებდა, მაგრამ ახლა კვლავ განაახლეს, რადგან შიშისგან ცახცახებდნენ, ამ თავქარიანმა გოგონამ სულელური საქციელით თავისი ღირსება და საქციელი კვლავ არ შეილახოსო. საქორწინო აუქციონზე კვლავ ვაჭრობა გაჩაღდა: მარიამ სტიუარტი ისევ მოექცა პოლიტიკის მოჯადოებულ წრეში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ უგრძნია თავისუფლება. როგორც კი ეცდებოდა, თბილი, ცოცხალი სხეულით გაერღვია ეს ყინულის წრე და ჰაერი ჩაესუნთქა, მაშინვე სხვასაც დაღუპავდა და საკუთარ თავსაც.

დიდი პოლიტიკური საქორწინო ბაზრობა 1563-1565

„იმჟამად მთელ მსოფლიოში ყველაზე სანატრელი საპატარძლოები იყვნენ ყმაწვილი ქალები: ელისაბედ ინგლისელი და მარიამ შოტლანდიელი. მთელ ევროპაში, ვისაც კი სამეფო უფლებები გააჩნდა და უცოლო იყო, არავინ დარჩენილა, რომ მათთვის შუამავალი არ გაეგზავნა. ესენი გახლდნენ ჰაბსბურგი თუ ბურბონი, ფილიპე II ესპანელი თუ მისი ვაჟი დონ კარლოსი, ავსტრიის ერცჰერცოგი, შვედეთისა და დანიის მეფეები, ღირსეული მოხუცები თუ მთლად ბავშვები, ჭაბუკები და ხანში შესული მამაკაცები. კარგა ხანია საქორწინო ბაზრობაზე ასეთი გამოცოცხლება არ ყოფილა. ამაში საოცარი არაფერი იყო, რადგან დედოფალზე დაქორწინება წინანდებურად ერთადერთი საშუალება გახლდათ მონარქიული ხელისუფლების გასაძლიერებლად. აბსოლუტიზმის დროს ომის შედეგად კი არა, ქორწინებით იქმნებოდა ვრცელი სამემკვიდრეო უფლებები. ასე წარმოიშვა გაერთიანებული საფრანგეთი, მსოფლიოში სახელგანთქმული ესპანეთის სახელმწიფო და ჰაბსბურგთა ძლიერება. ახლა კი მოულოდნელად გაიბრწყინა ევროპული გვირგვინის უკანასკნელმა თვალმარგალიტმა. ელისაბედი თუ მარიამ სტიუარტი, ინგლისი თუ შოტლანდია. ვინც ქორწინებით ხელთ იგდებდა ამა თუ იმ ქვეყანას, მსოფლიო პირველობა მას მიეკუთვნებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ეროვნებათა შეჯიბრება როდი იყო, ეს იყო სასულიერო ომი ადამიანთა სულებისათვის, რადგან ბრიტანეთის კუნძულები ერთ-ერთ მის მფლობელთან ერთად კათოლიკე მბრძანებელს თუ ჩაუვარდებოდა ხელთ, ეს იმას ნიშნავდა, სასწორი კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის ბრძოლაში რომის მხარეს გადაიხრებოდა და Ecclesia universalis[1] კვლავ იზეიმებდა მთელ

[1] *მსოფლიო ეკლესია (ლათ.).*

მსოფლიოში. ამიტომ საპატარძლოს არჩევა უბრალო ოჯახური მოვლენა როდი გახლდათ, მას უნდა გადაეწყვიტა საერთაშორისო კონფლიქტი. მაგრამ ეს ორივე ქალისთვის, ორივე დედოფლისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი იყო. მათი ბედი ერთმანეთს გადაეჯაჭვა. თუ ერთი მეტოქე აღზევდებოდა ქორწინების საშუალებით, უეჭველად შეირყეოდა მეორის ტახტი. თუ სასწორის ერთი ფიალა გადასწონიდა, უეჭველად დაეშვებოდა მეორე. მოჩვენებითი მეგობრობა და თანასწორობა მარიამ სტიუარტსა და ელისაბედს შორის მანამდე იარსებებდა, სანამ ორივენი გაუთხოვრები იყვნენ. ერთი მხოლოდ ინგლისის ტახტზე იჯდა, მეორე კი შოტლანდიისა. საკმარისი იყო ერთ ფიალას გადაეწონა, რომელიმე მათგანი მომძლავრებულიყო და გაემარჯვა. მაგრამ აქ სიამაყე სიამაყეს შეეჯახა, არც ერთს არ სურდა დათმობა და არც დაუთმობდა. მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თუ გადაწყვეტდა ამ საშინელ დავას.

დების ამ ორთაბრძოლის ბრწყინვალე, მრავალმხრივი სანახაობისათვის ისტორიამ ორი უდიდესი არისტოკრატი ქალი ამოირჩია. ორივენი — მარიამ სტიუარიცა და ელისაბედიც იშვიათი, შეუდარებელი ნიჭის პატრონები იყვნენ. მათი ენერგიული ფიგურების გვერდით იმ დროის დანარჩენი მონარქები — ძვალტყავა ასკეტი ფილიპე II, ბავშვურად თავქარიანი საფრანგეთის მბრძანებელი კარლოს IX, შეუმჩნეველი ფერდინანდ ავსტრიელი უმნიშვნელო როლების შემსრულებელ მსახიობებს ჰგავდნენ. ვერც ერთი მათგანი ახლოსაც ვერ მივიდოდა იმ სულიერ დონესთან, რომელზედაც პრეტენზია გააჩნდათ. ორივე ჭკვიანი, მაგრამ ამასთან ვნებიანი და ახირებული იყო. მეტისმეტად პატივმოყვარენი, ბავშვობიდანვე ემზადებოდნენ თავიანთი მაღალი როლისათვის. ორივეს მეფური ღირსებით ეჭირა თავი, ორივენი ბრწყინავდნენ და გამოირჩეოდნენ თავიანთი კულტურით, რაც დიდი ღირსება იყო ჰუმანურ საუკუნეში. ორივენი მშობლიური ენის გარდა თავისუფლად ფლობდნენ ლათინურს, ფრანგულს, იტალიურს. ელისაბედმა ბერძნულიც იცოდა. ორივეს წერილები ისეთი ხატოვანი იყო, გამოარჩევდით მათი პირველი მინისტრების უფერული წერილებისგან. ელისაბედის წერილებს მხატვრულობითა და ენაწყლიანობით როგორ შეედრებოდა მისი სწავლული სახელმწიფო მდივნის წერილები, ხოლო მარიამ სტიუარტის დახვეწილი და თავისებური წერილები სულაც არ ჰგავდნენ მერეისა

და მაიტლენდის მშრალ, დიპლომატიურ ეპისტოლეებს. ორივე ქალის გამჭრიახი გონება, მათი ხელოვნების ცოდნა, მათი მეფური თავდაჭერა ყველაზე შარიან მართლმსაჯულთაც კი გააჩუმებდა, ხოლო თუ ელისაბედი პატივისცემას აღუძრავდა შექსპირსა და ბენ ჯონსონს, მარიამ სტიუარტით აღტაცებული იყო რონსარი და დიუ ბელე. მხოლოდ განათლებითა და კულტურით არ ჩამოუვარდებოდნენ ეს ქალები ერთმანეთს. შინაგანად კი განსხვავებული ბუნებისანი იყვნენ, რასაც მწერლები კარგა ხანია ამჩნევდნენ და დრამატულად ასახავდნენ მათ. ეს ისეთი წინააღმდეგობაა, რაც მათი სიცოცხლის ხაზებში გეომეტრიული სიცხადით ჩანს. მთავარი, რაც ერთმანეთისგან განასხვავებდათ, გახლდათ: ელისაბედს გზის დასაწყისში შეხვდა სიძნელეები, მარიამ სტიუარტს — გზის დასასრულს. ვით ცისკრის ვარსკვლავი ამობრწყინდებოდა ცაზე, ისე იოლად აღწევდა მარიამ სტიუარტი ბედნიერებასა და სიძლიერეს; დედოფლად დაბადებული ბავშვობაშივე მეორედ გახდა მირონცხებული, მაგრამ ასევე უცბად დაეცა. ბედი თითქოს ორმა-სამმა უბედურებამ გადაწყვიტა და დრამატული გახადა. სწორედ ამიტომ მარიამ სტიუარტი ტრაგედიის გმირად იქცა. ელისაბედის აღზევება კი ხდებოდა ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ (სწორედ ამიტომაა მისი ცხოვრება ასე ეპიკური). იოლად არაფერი ეძლეოდა, ციდან არაფერი ცვიოდა მისთვის. ბავშვობაშივე ბასტარდად გამოაცხადეს. საკუთარმა დამ კი ტაუერის ციხეში გამოამწყვდია და სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში ადრე მომწიფებულმა დიპლომატმა ეშმაკობით მოიპოვა არსებობის უფლება, სიცოცხლე, მოწყალება. მარიამ სტიუარტს, მეფეთა პირდაპირ შთამომავალს, დაბადებითვე თან დაჰყვა დიდება. ელისაბედმა კი იგი საკუთარი ძალით, გარჯით მოიპოვა.

ესოდენ განსხვავებული ორი ხაზი ცხოვრებისა, ბუნებრივია, სხვადასხვა გზით წავიდოდა. თუ ხანდახან გადაეჯაჭვებოდა ერთმანეთს და გადაკვეთდა, გადახლართვა შეუძლებელი იყო. ღრმად, ყოველ ხვეულში, ხასიათის ყოველ წვრილმანში თავიდანვე ჩანს განსხვავება: ერთი დაიბადა გვირგვინით, ვით ბავშვები თმით შემოსილი იბადებიან, მეორემ კი დიდი გაჭირვებით, ეშმაკობით მიაღწია დიდებას. ერთი დაბადებისთანავე კანონიერი დედოფალი იყო, მეორე კი ბასტარდი. ამიტომ იყო, რომ ორივეს თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისება განუვითარდა. მარიამ სტიუარტს თან

დაჰყვა ფუქსავატობა და უდარდელობა, რისი წყალობითაც — ვაი რომ მეტად ნაადრევად — ყველაფერს აღწევდა ამქვეყნად: ამპარტავანი, თავნება გახდა, გაუჩნდა თავისადმი რწმენა, რამაც აღაზევა და დაღუპა კიდეც. ძალაუფლებას ღვთისგან ბოძებულად თვლიდა და ეგონა, მხოლოდ ღმერთისთვის უნდა გაეცა პასუხი. მისი საქმე იყო მბრძანებლობა, სხვებისა — მორჩილება და თუნდაც მთელ ქვეყანას ეჭვი შეეტანა მის მეფურ მოწოდებაში, იგი საკუთარ თავში, სისხლის მჩქეფარებაში შეიგრძნობდა ამას. ადვილად, განუსჯელად აღფრთოვანდებოდა, დაუფიქრებლად გაცხარდებოდა, თითქოს ხმლის ვადას წაეტანაო და მიიღებდა გადაწყვეტილებას. მამაცი ცხენოსანი ერთს მიუშვებდა ლაგამს და ყოველგვარ ბარიერს გადაახტებოდა. პოლიტიკაშიც დაბრკოლებათა ყოველგვარ ზღუდეთა გადასალახავად მთელ იმედებს სიმამაცეზე ამყარებდა. თუ ელისაბედისთვის სახელმწიფოს მართვის ხელოვნება ჭადრაკის პარტიას, თავსატეხ ამოცანას ჰგავდა, მარიამ სტიუარტისთვის ყველაზე დიდი სიტკბოება ყოფიერების უდიდესი სიხარული, რაინდული ასპარეზობა იყო. პაპმაც კი თქვა მასზე: ქალის სხეულში მამაკაცის გული აქვსო. სწორედ ეს დაუფიქრებელი სიმამაცე, ეს თვითმპყრობელური ეგოიზმი, რაც პოეტებმა და ტრაგიკოსებმა თავიანთ ქმნილებებში ასახეს, გახდა მიზეზი მისი ნაადრევი დაღუპვისა.

ელისაბედი კი, ეს მეტად რეალისტი ქალი, სინამდვილეს თითქოს უტყუარი ალღოთი შეიგრძნობდა. წარმატებებს სწორედ იმით აღწევდა, რომ სარგებლობდა თავისი მამაცი მოწინააღმდეგის შეცდომებითა და თავქარიანობით. ფხიზელი, გამჭვალავი, ჩიტისებური თვალით უნდობლად შესცქეროდა ქვეყანას (შეხედეთ მის პორტრეტს!), რომლის მუხანათობაც ადრე შეიტყო. ბავშვობიდანვე მიხვდა, რა ცბიერი იყო ბედი: ერთი ნაბიჯი აშორებდა ტაუერს, ამ სიკვდილის კარიბჭეს, ვესტმინსტერისგან. სწორედ ამიტომ იყო, ძალაუფლება წარმავალი ეგონა და ყოველი მხრიდან საფრთხე ელანდებოდა. ფრთხილად, შიშით, თითქოს მინისაა და ეშინია ხელიდან არ გამივარდესო, ეჭირა გვირგვინი და სკიპტრა. მთელი მისი სიცოცხლე მღელვარება და ყოყმანი იყო მხოლოდ. პორტრეტები სრულყოფენ მის ხასიათს: არც ერთ პორტრეტში ნათლად, თავისუფლად, ამაყად არ იყურება, როგორც ნამდვილ მბრძანებელს შეჰფერის.. ყოველ მის ნერვში შიში და სიფრთხილე გამოსჭვივის, თითქოს რაღაცას ელის,

დარწმუნებულობის ღიმილი არასოდეს დასთამაშებს მის ბაგეებს. ფერმკრთალს ურწმუნოდ, თან ამპარტავნად აუწევია თავი ძვირფასი თვალმარგალიტებით მორთულ რობის ქვეშ, თითქოს მისი სიდიდე ამძიმებსო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, მარტო დარჩება თუ არა, მაშინვე მოიგლეჯს ბრწყინვალე ტანსაცმელს ძვალტყავა მხრებიდან, მოიშორებს ვარდისფერს გამხდარ ლოყებზე, გაქრება მთელი მისი დიდებულება და დარჩება საცოდავი, დაბნეული, ადრე დაბერებული ქალი, მარტოსული, უბედური ადამიანი, რომელსაც იმის უნარიც არ შესწევს, პირადი ცხოვრებისეული ტკივილი გადალახოს, თორემ სახელმწიფოს როგორ მართავს! რა თქმა უნდა, დედოფლის ამგვარ სიფრთხილეში გმირულს ვერაფერს ამოიკითხავთ, მისი ყოყმანი, მერყეობა, დაურწმუნებლობა სულაც არ გვიქმნის შთაბეჭდილებას მეფური სიძლიერისა. მაგრამ ელისაბედი, ვით დედოფალი, ძლიერია სხვა არარომანტიკულ სფეროში. მისი ძალა თამამ გეგმებსა და გადაწყვეტილებებში კი არ გამომჟღავნებულა, არამედ შეუპოვარ, შეუსვენებელ ბრძოლაში სიმდიდრის გასამრავლებლად და შესანარჩუნებლად, ხელმომჭირნეობაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, წმინდა ბიურგერულ, წმინდა მეურნეობრივ ქველმოქმედებაში. მისი უარყოფითი მხარეები — სიმხდალე და სიფრთხილე — განსაკუთრებით გამოადგა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში. ელისაბედი თავისი ქვეყნისათვის ცხოვრობდა და არა საკუთარი თავისათვის, როგორც მარიამ სტიუარტი. რეალისტი და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული, ხელისუფლებას მოწოდებად თვლიდა, მაშინ, როცა მარიამ სტიუარტი თავის ხარისხს ისე უყურებდა, თითქოს იგი მას არაფერს ავალებდა. თითოეულს თავისი განმასხვავებელი თვისება და ნაკლი ჰქონდა. თუ მარიამ სტიუარტის განუსჯელი გმირული შემართება მისთვის საბედისწერო გახდა, ყოყმანმა და ურწმუნოებამ საბოლოოდ არგო ელისაბედს. პოლიტიკაში შეუპოვარი სიჯიუტე ყოველთვის იმარჯვებს დაუცხრომელ ძალაზე, გულმოდგინედ დამუშავებული გეგმა — იმპროვიზებულ აღფრთოვანებაზე, რეალიზმი — რომანტიკაზე.

მაგრამ ამ დავაში უფრო ღრმა განსხვავება შეინიშნებოდა. ისინი განსხვავდებოდნენ არა მარტო როგორც დედოფლები, არამედ როგორც ქალები. მარიამ სტიუარტი და ელისაბედი ორი მოწინააღმდეგე პოლუსია, თითქოს ბუნებამ გონივრულად განსაჯა, რომ ორ დიდ სახეში მსოფლიო-ისტორიული ანტითეზა შეექმნა და ეს ყოველ-

ივეში კონტრაპუნქტუალური თანამიმდევრობით გამოემჟღავნებინა.

მარიამ სტიუარტი ქალი დარჩა ბოლომდე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მისი უფრო საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებანი ყოველთვის ბუნების ღრმა შინაგანი გრძნობით იყო ნაკარნახევი. მაგრამ იგი დაუმცხრალი ვნების, ინსტინქტების მორჩილი კი არ გახლდათ, მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მეტისმეტი ქალური თავშეკავება. წლებმა განვლო, სანამ ვნება აღეძვროდა. კარგა ხანს ვხედავთ მასში (ასეთია პორტრეტებზეც) საყვარელ, თავდაჭერილ, მოკრძალებულ, ყველაფრისადმი გულგრილ ქალს. ოდნავ ნაღვლიანი მზერით, თითქმის ბავშვური ღიმილით... ისევე, როგორც ჭეშმარიტად ქალურ ბუნებას შეჰფერის, ადვილად აენთებოდა და აღელდებოდა. საკმარისი იყო სულ მცირე მიზეზი, რომ გაწითლებულიყო ან ფერი დაეკარგა. ადვილად აუცრემლდებოდა თვალები, მაგრამ ამ წუთიერ, სისხლის ზერელე მღელვარებას კარგა ხანს არ შეუძრავს მისი სულის სიღრმე და სწორედ ამიტომ იგი ნამდვილი ქალი იყო. მარიამ სტიუარტის ძლიერი ხასიათი ჩანს მის მგზნებარე სიყვარულში, რაც ერთხელ განიცადა მთელ სიცოცხლეში. მხოლოდ მაშინ იგრძნობთ, რა მგზნებარე ბუნებისაა, როგორ ემორჩილება ინსტინქტებსა და ვნებას, როგორ შეუბოჭავს თავისი სქესის ბორკილებს. გზნების დიად წუთებში, თითქოს ქარიშხალმა დაჰბერაო, თავდაჭერილობა ჩამოაცალა. როცა აქამდე ამ მშვიდ და თავშეკავებული ბუნების ქალში დაინგრა აღზრდის, მორალის, ღირსების ჯებირი და არჩევანი დადგა ღირსებასა და გზნებას შორის, მარიამ სტიუარტმა ყური არ ათხოვა დედოფლურ მოწოდებას და ქალურ ძახილს მიჰყვა. მის ფერხთით დაეცა დედოფლის მანტია და თავისი სიშიშვლით ალმურმოდებულმა იმ ქალების ხვედრი გაიზიარა, რომელთაც სურვილი ჰკლავდათ, სხვაც დაეტკბოთ და თვითონაც ეგემათ სიყვარული. ჩვენს თვალში მას განსაკუთრებით ის ამაღლებს, რომ მგზნებარედ განცდილი წუთებისთვის ზიზღით მოიშორა ხელისუფლება, ღირსება, პატივი.

ელისაბედს კი, პირიქით, უნარი არ შესწევდა ასე თავგანწირვით მისცემოდა სიყვარულს. მარიამ სტიუარტის ცნობილ, მამხილებელ წერილში ვკითხულობთ: „იგი ფიზიკურად ისეთი არ არის, როგორიც ყველა ქალი“. ელისაბედი არა მარტო მოკლებული იყო დედობას, ეტყობა, არ გააჩნდა ის ბუნებრივი სწრაფვა სიყვარულისა, რისი

წყალობითაც ქალი დაჰყვება მამაკაცის ნებას. არც მთლად თავისი სურვილით, როგორც თვითონ უნდა გვიჩვენოს, დარჩა სამუდამოდ Virgin Quelen, ქალწულ დედოფლად. თუმცა მის თანამედროვეთა ზოგიერთი ცნობა (რასაც თითქოს ბენ ჯონსონს მიაწერენ) ელისაბედის ფიზიკურ სიმახინჯეზე ეჭვს იწვევს. ერთი რამ მაინც ცხადია, თავისმა ფიზიკურმა თუ სულიერმა მანკმა დაურღვია ინტიმური ქალური ცხოვრება. ამგვარი წარუმატებლობა, რაღა თქმა უნდა, მეტად სერიოზულად იმოქმედებდა ქალის მთელ არსებაზე. სინამდვილეში ამ იდუმალებაში იმალებოდა მისი სულის სხვა საიდუმლოებანი. მთელი ნერვიული აშლილობა, ხასიათის ცვალებადობა, წუთიერი ისტერიკები, ყოყმანი, უცბად ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა, „ჰოს“ მერე „არა“, სასაცილო, გულისგამაწვრილებელი, ფარული ეშმაკობა, ასევე ცოტაოდენი კეკლუცობა, რაც ჩრდილს აყენებდა მის მეფურ ღირსებას, გამოწვეული იყო მისი უნდობლობით. ამ ქალს ისეთი სულიერი მანკი გააჩნდა, არ შეეძლო უბრალოდ და ბუნებრივად აზროვნება და შეგრძნება. საკუთარი თავის იმედი არც თვითონ ჰქონდა და არც სხვას შეიძლებოდა ჰქონოდა მისი იმედი. მართალია, იგი მახინჯი იყო ინტიმურ სფეროში, საკუთარი დაწყვეტილი ნერვების სათამაშო და საშიში ინტრიგანიც, მაგრამ ელისაბედი არასოდეს ყოფილა მკაცრი, არაადამიანური, უგულო, ყალბი. ზერელე და გაცვეთილია გავრცელებული შეხედულება (რაც შილერს აქვს ასახული თავის ტრაგედიებში), ცბიერი ელისაბედი მოკრძალებულ, უიარაღო მარიამ სტიუარტს თითქოს კატათაგვობანას ეთამაშებოდა. ვინც უფრო ღრმად ჩაიხედავს საქმეში, ამ მარტოხელა ქალში, თავისი სიძლიერისგან რომ ცახცახებდა და ცრუ მოტრფიალეებთან ირთობდა თავს, რადგან ვერც ერთს ვერ მიენდობოდა, დაინახავს მალულ, მოჩვენებით სითბოს, ხოლო მის ჭირვეულ და უხეშ საქციელში პატიოსან სურვილს — კეთილი და დიდსულოვანი ყოფილიყო. ამ მშიშარა ბუნების ქალს ზიზღს ჰგვრიდა ძალმომრეობა და მას „პატარა“ დიპლომატიურ თამაშს, მალულ ხრიკებსა და უპასუხისმგებლობას ამჯობინებდა. ყოველი ომის გამოცხადება შიშსა და ცახცახს ჰგვრიდა, ყოველი სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ლოდივით აწვა სინდისზე. ძალას არ იშურებდა ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად. თუ იგი ებრძოდა მარიამ სტიუარტს, მხოლოდ იმიტომ, რომ საფრთხეს უქადდა (ჰქონდა კიდეც ამის სურვილი).

აშკარა ბრძოლაზე სიამოვნებით იტყოდა უარს, რადგან ბუნებით გაიძვერა და თაღლითი იყო და არა მებრძოლი. ორივენი — მარიამ სტიუარტიცა და ელისაბედიც — მშვიდობიან ცხოვრებას არჩევდნენ, თუნდაც ეს სიმშვიდე მოჩვენებითი და ყალბი ყოფილიყო. მაგრამ იმჟამად ვარსკვლავების განლაგება ცაზე შეუძლებელს ხდიდა მათ ერთმანეთის გვერდით არსებობას. ცალკეულ პირთა სურვილისადმი გულგრილი ისტორიის ძლიერი ნება ხშირად ითრევს ადამიანებს და მათ უკან მდგომ ძალებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომში.

ინდივიდთა შინაგან თავისებურებათა მიღმა მბრძანებლურად, გოლიათი ჩრდილებივით აღიმართებიან ეპოქის დიდი წინააღმდეგობანი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მარიამ სტიუარტი ძველი, კათოლიკური ეკლესიისათვის მებრძოლი, ელისაბედი კი ახალი, რეფორმისტული ეკლესიის დამცველი იყო. თითოეულს რომ ერთ-ერთი მებრძოლი პარტიის მხარე უჭირავს, ეს თითქოს სიმბოლურად მეტყველებს იმაზე, რომ ორივე დედოფალი სხვადასხვა მსოფლმხედველობისა იყო. მარიამ სტიუარტი მომაკვდავი რაინდული შუასაუკუნეების სამყაროა, ელისაბედი კი ახალი, ახალშობილი სამყარო. მათ ბრძოლაში თითქოს ისპობა გარდატეხის ეპოქა.

მარიამ სტიუარტი, როგორც უკანასკნელი მამაცი პალადინი*, იბრძვის და სიცოცხლეს სწირავს დაღუპულ, განწირულ საქმეს. სწორედ ეს ანიჭებს მის სახეს ასეთ რომანტიკულ მომხიბვლელობას. იგი მხოლოდ ისტორიის შემოქმედ ნებას ემორჩილებოდა, როცა წარსულისკენ იცქირებოდა და თავის ბედს პოლიტიკურად უკავშირებდა იმ ძალებს, რომელთაც ზენიტს გადააბიჯეს — ესპანეთსა და ვატიკანს. შორსმჭვრეტელი ელისაბედი კი ელჩებს გზავნიდა შორეულ ქვეყნებში, რუსეთსა და სპარსეთში და უტყუარი ალღოთი თავისი ხალხის ენერგიას ოკეანეებისკენ მიმართავდა. თითქოს წინასწარ ჭვრეტდა, რომ მომავალი იმპერიის დასაყრდენი ბოძები ახალ კონტინენტებზე უნდა აღმართულიყო. მარიამ სტიუარტი მტკიცედ იცავდა ტრადიციას, მეფის ხელისუფლებას წმინდა დინასტიური თვალსაზრისით უყურებდა. მისი აზრით, ქვეყანა ეკუთვნოდა მბრძანებელსა და არა მბრძანებელი ქვეყანას. მთელი წლების განმავლობაში იგი მხოლოდ შოტლანდიის დედოფალი იყო, არასოდეს ყოფილა შოტლანდიელი ხალხის დედოფალი. ჩვენამდე მოაღწია ასობით წერილმა, სადაც მარიამ სტიუარტი იბრძვის თავისი უფლებების გაფართოებისათ-

ვის, ხოლო ხალხთა კეთილდღეობაზე, ვაჭრობის განვითარებაზე, ზღვაოსნობასა და სამხედრო ძლიერებაზე სიტყვასაც არ ძრავს. მისი პოეტური და სასაუბრო ენა იყო ფრანგული. მის ფიქრებსა და გრძნობებში ვერაფერს შენიშნავთ ნაციონალურს, შოტლანდიურს. იგი შოტლანდიისთვის არ ცოცხლობდა, სიცოცხლე მხოლოდ იმისათვის გაწირა, რომ შოტლანდიის დედოფლად დარჩენილიყო. ამგვარად, მარიამ სტიუარტს თავისი ქვეყნისთვის შთამაგონებელი არაფერი დაუტოვებია, გარდა ლეგენდისა მის ცხოვრებაზე.

მაგრამ რადგან თავის თავს ყველაზე მაღლა აყენებდა, უეჭველად მარტოდმარტო უნდა დარჩენილიყო. მართალია, იგი მამაცობითა და სიმტკიცით ბევრად ჯობნიდა ელისაბედს, მაგრამ ინგლისის დედოფალი მარტოდმარტო არ იბრძოდა მის წინააღმდეგ. უნდობლობის გრძნობამ ადრე აიძულა იგი თავისი პოზიციები განემტკიცებინა და შეძლო, გარშემოეკრიბა საიმედო, გონებანათელი ადამიანები. ამ ომში იგი ეყრდნობოდა მთელ გენერალურ შტაბს, რომელმაც ასწავლა ტაქტიკა, გამოწაფა პრაქტიკულად და გადამწყვეტ წუთებში იცავდა დაძაბულობისა და დაბნეულობისგან.

ელისაბედმა გონებაგამჭრიახობით თავის გარშემო შექმნა დიდებული ორგანიზაცია. ახლაც კი, საუკუნეების შემდეგ, ელისაბედის პირადი დამსახურება განუყოფელია მთელი იმ ეპოქის დამსახურებათაგან და მისი უკვდავი დიდება შუქს ჰფენს მის გამოჩენილ მრჩეველთა წარმატებებსაც. მარიამ სტიუარტი კი მხოლოდ მარიამ სტიუარტი იყო, ელისაბედი მუდამ ელისაბედი პლუს სესილი, ლესტერი, უოლსინჰემი, მთელი ხალხის ენერგია. ვერც კი გაარჩევთ, რომელი იყო შექსპირის საუკუნის გენიოსი — ინგლისი თუ ელისაბედი, იმდენად შეერწყნენ ისინი ერთმანეთს. მაშინდელ მონარქებს შორის ელისაბედის ძლიერება იმანაც განაპირობა, რომ იგი არ ისწრაფოდა ყოფილიყო ინგლისის მბრძანებელი. იგი მხოლოდ ინგლისელთა ნების, ნაციონალური მისიის აღმსრულებელი იყო. მან შეიცნო ეპოქის სუნთქვა — ავტოკრატიიდან კონსტიტუციური წყობისაკენ სწრაფვა და ნებაყოფლობით ცნო ახალი ძალები, რომლებიც წოდებათა გარდაქმნის, მსოფლიო აღმოჩენების, სამყაროს გაფართოების შედეგად აღმოცენდნენ. იგი ხელს უწყობდა ყოველივე ახალს — ვაჭართა გილდიებს, ფულიან ხალხსა და მეკობრეებსაც კი, რადგან ისინი ინგლისს, მის ინგლისს გზას უკაფავდნენ ზღვაზე

ბატონობისკენ. თავის პირად სურვილებს მრავალგზის შესწირავდა საერთო-ეროვნულ კეთილდღეობას (რასაც მარიამ სტიუარტი არ გააკეთებდა). სულიერი სიდუხჭირისგან საუკეთესო გამოსავალი იყო მოქმედება. როგორც ქალი დამარცხდა და ბედნიერებას თავისი ხალხის ბედნიერებაში პოვებდა. ამ უქმარშვილო ქალმა მთელი თავისი ეგოიზმი, ხელისუფლების წყურვილი საერთო ნაციონალურ ინტერესებს დაუკავშირა. მის განზრახვათაგან ყველაზე კეთილშობილური იყო, ინგლისის სიძლიერით განდიდებულიყო შთამომავლობათა თვალში და ისიც მომავალი ინგლისის სიდიადით ცოცხლობდა. სხვა გვირგვინი თვალს ვერ მოსტაცებდა. მარიამ სტიუარტი კი თავის გვირგვინს სიხარულით გაცვლიდა უკეთესზე. როცა მარიამ სტიუარტი დაიწვა და თვალისმომჭრელ მეტეორივით გაიელვა ცაზე, შორსმჭვრეტელმა ელისაბედმა მთელი თავისი ძალები მომავალს შესწირა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ბრძოლა მარიამ სტიუარტსა და ელისაბედს შორის გადაწყდა იმის სასარგებლოდ, ვინც პროგრესულ, სიცოცხლისუნარიან საწყისს განასახიერებდა და არა იმისი, ვინც უკან, რაინდული წარსულისკენ იყურებოდა. ელისაბედთან ერთად გაიმარჯვა ელისაბედის ნებამ, რომელიც წინ მიისწრაფვის, გზიდან იშორებს დრომოჭმულ ფორმებსა და შემოქმედებითად გამოცდის თავის თავს ახალ გზაზე. მის სიცოცხლეში იმ ერის ენერგია იყო განსახიერებული, ვისაც უნდოდა თავისი ადგილი დაემკვიდრებინა მთელ მსოფლიოში. მარიამ სტიუარტის სიკვდილთან ერთად გმირულად და ეფექტურად დაიღუპა რაინდული წარსული. მაგრამ ამ ბრძოლაში მაინც ორივეს თავისი დანიშნულება ჰქონდა: ელისაბედმა, ვით ფხიზელმა რეალისტმა, ისტორიაში გაიმარჯვა, რომანტიკულმა მარიამ სტიუარტმა კი პოეზიასა და ლეგენდებში.

ეს ბრძოლა, თუ დროისა და სივრცის პრიზმაში განვჭვრეტთ, ბრწყინვალედ და ეფექტურად წარმოგვიდგება. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ საზიზღრად და წვრილმანად მოგვეჩვენება საშუალებები, რომლითაც იგი წარმოებდა, რადგან თუნდაც გამორჩეული ფიგურები ყოფილიყვნენ, ორივე მაინც ქალი იყო და ძალა არ შესწევდათ დაეძლიათ მათი სქესისათვის დამახასიათებელი სისუსტე. აშკარად კი არ მტრობდნენ, ცბიერი ხრიკებით გამოჰყავდათ ერთმანეთი მოთმინებიდან. მარიამ სტიუარტისა და ელისაბედის ადგილას მამაკაცები რომ ყოფილიყვნენ, უეჭველად სისხლისმღვრელი ომი ატყდე-

ბოდა. კონფლიქტს მარიამ სტიუარტსა და ელისაბედს შორის აკლია პატიოსანი მამაკაცური სიცხადე. კატებივით ბრჭყალები დაემალათ და უტრიალებდნენ ერთმანეთს. ეს ცბიერი, უპატიოსნო თამაში იყო. ეს ქალები მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ატყუებდნენ ერთმანეთს (მაგრამ თავს წუთითაც კი არ იტყუებდნენ). არასოდეს შეუხედავთ ერთმანეთისათვის თვალებში. სიძულვილი აშკარად არასოდეს გამოუმჟღავნებიათ. პირმოთნედ, ცბიერად უღიმოდნენ ერთმანეთს და ესალმებოდნენ. ულოცავდნენ, ეპირფერებოდნენ, ასაჩუქრებდნენ ერთიმეორეს, მაგრამ თითოეული ზურგს უკან ბასრ ხანჯალს მალავდა. არა, ელისაბედსა და მარიამ სტიუარტს შორის ბრძოლის ქრონიკამ არ იცის არც ბრძოლა, არც ილიადას მსგავსი სახელგანთქმული ეპიზოდები. ეს გმირული ეპოპეა კი არ იყო, უფრო თავები მაკიაველიდან, თუნდაც რომ მიმზიდველი ფსიქოლოგისათვის, მაგრამ საძულველი მორალისტისათვის, რადგან ეს ოც წელიწადს გაჭიანურებული ინტრიგა იყო და არა აშკარა ცხარე ბრძოლა. უპატიოსნო ბრძოლა დაიწყო მარიამ სტიუარტის გამაჭანკლებიდან, როცა არენაზე უბრწყინვალესი საქმროები გამოჩნდნენ. მარიამ სტიუარტი არც ერთ მათგანზე არ იტყოდა უარს, რადგან მასში ჯერ ისევ თვლემდა ქალი. იგი სიამოვნებით გაჰყვებოდა თხუთმეტი წლის დონ კარლოსს, თუმცა გადმოცემის მიხედვით, დონ კარლოსი ბოროტი, შლეგი ვინმე ყოფილა. ასევე უარს არ იტყოდა მცირეწლოვან კარლოს IX-ზე. ახალგაზრდა იყო თუ ბებერი, ლამაზი თუ მახინჯი, სულ ერთი გახლდათ ამ პატივმოყვარე ქალისთვის, ოღონდ კი ამ ქორწინებას საძულველ მეტოქეზე აღეზევებინა. თვითონ გულგრილმა გარიგება თავის ნახევარძმას, მერეის მიანდო. ის კი ანგარებით აწარმოებდა მოლაპარაკებას, რადგან მისი და პარიზში, ვენაში ან მადრიდში თუ დაიდგამდა გვირგვინს, გათავისუფლდებოდა მისგან და ისევ შოტლანდიის უგვირგვინო მეფე გახდებოდა. ელისაბედმა გაიგო (მის ჯაშუშებს არ ეძინათ), რომ მარიამ სტიუარტს უცხო ქვეყანაში უპირებდნენ გათხოვებას და მაშინვე დაადო თავისი სასტიკი ვეტო. შოტლანდიის ელჩს განუცხადა, თუ მარიამი ავსტრიის, საფრანგეთის ან ესპანეთის მეფეთა წინადადებას დათანხმდება დედოფლობაზე, ამას მტრულ აქტად ჩავთვლიო. თავის ძვირფას ბიძაშვილს კი ნაზი შეგონებით მიმართა, ევედრებოდა, „თუნდაც ოქროს კოშკს შეჰპირდებოდნენ“, მხოლოდ მისთვის დაეჯერებინა. იგი სულაც არ იყო წინააღმდეგი

პროტესტანტული სარწმუნოების პრინცის — დანიის მეფის ან ფერარის ჰერცოგისა — უღირსი და ნაკლებ საშიში პრეტენდენტებისა, მაგრამ ყველაზე მეტად ისურვებდა, მარიამ სტიუარტს საქმრო „შინ“, შოტლანდიელ ან ინგლისელ დიდებულებში ამოერჩია. მაშინ მისი და სამუდამოდ სიყვარულსა და დახმარებას აღუთქვამდა.

ელისაბედის პოზიცია, რაღა თქმა უნდა, მოურიდებელი foul play[1] გახლდათ. აშკარა იყო, რა ფარული განზრახვა იმალებოდა მასში: შინაბერა დედოფალს უნდოდა მოწინააღმდეგისთვის დიდი შანსები მოესპო. რაღა თქმა უნდა, ეშმაკობაში არც მარიამ სტიუარტი ჩამოუვარდებოდა. ერთ წუთსაც არ ფიქრობდა ელისაბედისათვის overlordship, გადამწყვეტი ხმა მიენიჭებინა თავისი ქორწინების საკითხში.

მაგრამ დიდი გარიგება ჯერ ისევ ჰაერში იყო გამოკიდებული. მთავარი კანდიდატი დონ კარლოსი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა. მარიამ სტიუარტმაც მადლობა გადაუხადა ელისაბედს დედობრივი ზრუნვისათვის. For all uncles of the world[2] ვერ გაცვლიდა ინგლისის დედოფლის ძვირფას მეგობრობას, ვერ აწყენინებდა თვითნებური გადაწყვეტილებებით. ო, ღმერთმა დაიფაროს! ყოველ არჩევანში დაუჯერებს. დაე, მხოლოდ ელისაბედმა ამოურჩიოს (allowed) საქმრო. მართლაც რომ აგაღელვებთ ეს მორჩილება, მაგრამ თითქოს გულგარეთ იკითხა მარიამ სტიუარტმა, ელისაბედი რითი დააჯილდოებდა ამ მორჩილებისათვის? თითქოს უნდოდა ეთქვა: „აი, კეთილო, საყვარელო დაო, შეგასრულებ შენს სურვილს და არ გაყვები ცოლად იმას, ვინც შენზე უფრო ძლიერი და სახელგანთქმულია, ოღონდ შენც კეთილი ინებე და მომეცი გარანტია, უფრო სწორად, ამიხსენი, როგორაა ჩემი მემკვიდრეობის საქმე?“

ამით კონფლიქტი წინანდებურად ერთ ადგილზე გაიყინა. როგორც კი დადგებოდა წუთი, რომ ელისაბედს რაღაც გონივრული უნდა ეთქვა მემკვიდრეობაზე, მაშინვე ნაჭუჭში იმალებოდა და ვერაფრით დააცდენინებდით სიტყვას. ერთ ადგილს ტკეპნიდა და ცდილობდა, სულ სხვა რაღაცაზე ელაპარაკა: „იგი ხომ თავისი დის ინტერესებს იცავს“ და ვით ღვიძლ ქალიშვილზე, ისე იზრუნებს მასზე. სიტყვათა ნიაღვარს აფრქვევს წერილში, მაგრამ მასში სანატრელ სიტყვას, რომ რაიმე მოვალეობას იღებდეს, ვერ ამოიკითხავთ. ლე-

[1] *უპატიოსნო თამაში, თვალის ახვევა (ინგლ.).*
[2] *ვერავითარ ამქვეყნიურ სიკეთეზე (ინგლ.).*

ვანტინელ ვაჭრებივით სურთ მოაჭახრაკონ საქმე, მაგრამ პეშვს არც ერთი არ შლის. ამოირჩიე, ვისაც მე გიბრძანებ, — ეუბნება ელისაბედი, — და ჩემს მემკვიდრედ გამოგაცხადებ. — გამომაცხადე შენს მემკვიდრედ და ამოვირჩევ, ვისაც მიბრძანებ, — პასუხობს მარიამ სტიუარტი. მაგრამ არც ერთს არ სჯერა ერთმანეთის, რადგან ორივე ერთმანეთის მოტყუებას ცდილობს.

მთელ ორ წელიწადს გაჭიანურდა მოლაპარაკება გათხოვებაზე, საქმროს ამორჩევასა და მემკვიდრეობაზე. მაგრამ საოცარია, ორივე უნებურად ერთმანეთს ატყუებდა. ელისაბედს მხოლოდ ის სჭირდებოდა, თვალწინ ჰყოლოდა მარიამ სტიუარტი, მარიამ სტიუარტს კი მისდა საუბედუროდ, საქმე ჰქონდა ყველაზე გადაუწყვეტელ, ცნობილ კუნქტატორ* ფილიპე II-სთან. როცა მოლაპარაკება ესპანეთთან საბოლოოდ ჩაიშალა და სხვა წინადადებაზე უნდა ეფიქრა, მარიამ სტიუარტმა გადაწყვიტა, თავი დაენებებინა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკისთვის და საყვარელი დისთვის შიგ გულში დაემიზნებინა რევოლვერი. მან ბრძანა, ნათლად, გარკვევით ეკითხათ, ვინ მიაჩნდა ელისაბედს მის ღირსეულ საქმროდ.

ელისაბედს სულაც არ სიამოვნებდა ასე კატეგორიულად დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან კარგა ხანია გადაკრულად მიახვედრა მარიამ სტიუარტი, ვინ ჰყავდა მხედველობაში. ერთ-ერთ წერილში მან მრავალმნიშვნელოვნად მიანიშნა: „განზრახული მაქვს ისეთი საქმრო შევთავაზო, რომ ვერავინ იფიქრებდა, თუ ამას გადავწყვეტდი“. მაგრამ შოტლანდიის სამეფო კარი თითქოს ვერ მიუხვდა ამ გადაკრულ ნათქვამს და მოითხოვა საქმროს დასახელება. ჩიხში მომწყვდეული ელისაბედის გადაკრულ ნათქვამს ვეღარ დასჯერდებოდნენ, ინგლისის დედოფალმა ნაძალადევად წარმოთქვა მისი ამორჩეულის, რობერტ დადლეის სახელი.

დიპლომატიური კომედია ერთ წუთს ფარსად იქცა. ელისაბედის წინადადება კაცს შეიძლებოდა საშინელ შეგინებად ან მკრეხელობად მიეჩნია. მხოლოდ იმის გაფიქრებაც კი, რომ შოტლანდიის დედოფალს, საფრანგეთის ქვრივ დედოფალს, თავისი ხელის ღირსად ვიღაც არარაობა, ქვეშევრდომი, subject გაეხადა, თავისი დის, დედოფლის გაძვალტყავებული აზნაური, რომლის ძარღვებშიც ერთი წვეთი მეფური სისხლიც კი არ ჩქეფდა, იმ დროს შეურაცხყოფად ითვლებოდა. ამ თავხედურ წინადადებას კიდევ უფრო აღრმავებდა

ის, რომ თითქმის მთელმა ევროპამ იცოდა, რობერტ დადლეი რამდენი წელია ელისაბედის ეროტიკული თამაშების პარტნიორი იყო და ვინ იცის, იქნებ ინგლისის დედოფალი შოტლანდიის დედოფალს გამონაცვალი ტანსაცმელივით სწორედ იმ კაცს სთავაზობდა საქმროდ, ვისზეც თვითონ აპირებდა დაქორწინებას. თუმცა სულ რამდენიმე წლის წინ მუდამ გადაუწყვეტელი ელისაბედი ამ ფიქრებს ელოლიავებოდა (სწორედ რომ ელოლიავებოდა, მისთვის ეს ყოველთვის ლოლიავი იყო), მაგრამ როცა ეიმი რობსარტი, დადლეის ცოლი, გამოუცნობი მიზეზების გამო მკვდარი იპოვეს, ელისაბედმა საჩქაროდ თავიდან ამოიგდო ეს გეგმა, რომ მასზე ეჭვი არ მიეტანათ თანამონაწილეობაში. ორჯერ უკვე ეჭვმიტანილი კაცის — პირველად იმ შავბნელ ისტორიაში, მეორედ მასთან ეროტიკულ დამოკიდებულებაში, შეთავაზება მარიამ სტიუარტის ქმრად, ელისაბედის ერთი ყველაზე უხეში და უტაქტო საქციელი იყო.

არა მგონია, ვინმე მიხვდეს, რისი მიღწევა სურდა ელისაბედს ამ გაუგებარი წინადადებით: ვინ შეძლებს ახსნას ამ ისტერიკული ბუნების ქალის თავქარიანული ახირება! იმაზე ხომ არ ოცნებობდა, ვით ერთგულ საყვარელს დაეჯილდოებინა საყვარელი, რომლის ქმრად შერთვა ვერ გაბედა და ამით გასწირა სულიერი განძიცა და მემკვიდრეობის უფლებებიც, ყველაზე ძვირფასი რამ, რაც კი გააჩნდა — თავისი სამეფო! თუ უნდოდა, თავიდან მოეშორებინა თავმომაბეზრებელი cicisbeo?[1] იქნებ ეწადა, ერთგული კაცის ხელში მეტოქისთვის უფრო მეტად ამოედო ლაგამი? ან დადლეის გამოცდა ხომ არ სურდა ერთგულებაში? Partie a trois[2] გაერთიანებულ სიყვარულზე ხომ არ ოცნებობდა? თუ ეს უბრალო ხრიკი იყო, რომ მარიამ სტიუარტს თავისი უარით უმადურობა გამოეჩინა? ეს ვარაუდები სიმართლეს არ არის მოკლებული. არ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ახირებულ ქალს თვითონაც არ ესმოდა, რა სურდა: ეტყობოდა, ეს მხოლოდ წარმოსახვის თამაში იყო. მას სჩვეოდა გადაწყვეტილებათა შეცვლა, ხალხთან თამაში. ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, მარიამ სტიუარტი სერიოზულად რომ ჩაფიქრებოდა ინგლისის დედოფლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას — ცოლად გაჰყოლოდა მის ყოფილ საყვარელს. იქნებ ელისაბედიც უცბად ჩაფიქრებულიყო

[1] *საყვარელი (იტალ.).*

[2] *სამთა სიყვარული (ფრ.).*

და დადლეისათვის უარი ეთქვა ამ ქორწინებაზე, მეტოქე დაემცირებინა შეურაცხმყოფელი გარიგებით, მერე კი ლაფში ამოესვარა სამარცხვინო უარით.

მარიამ სტიუარტისათვის საქმროდ შეთავაზება ისეთი კაცისა, ვის ძარღვებშიც მეფური სისხლი არ ჩქეფდა, ღვთის მგმობელობა იყო. „ნუთუ თქვენი ქალბატონი სერიოზულად ფიქრობს, რომ მე, ღვთის მირონცხებული, ვიღაც ლორდ რობერტსს დავეხარბები?“ — ჰკითხა განრისხებულმა ელისაბედის ელჩს, მაგრამ მაშინვე დაფარა უკმაყოფილება და გაუღიმა: არ ღირდა წინასწარ სასტიკი უარით განერისხებინა ისეთი ძლიერი მეტოქე, როგორიც ელისაბედი იყო. ჯერ ესპანეთის ან საფრანგეთის ტახტის მეკვიდრეზე გათხოვილიყო და მერე გაუსწორდებოდა შეურაცხყოფისათვის. დების ამ ორთაბრძოლაში ერთის უპატიოსნო საქციელს უეჭველად მეორის ასეთივე პასუხი მოჰყვებოდა. ელისაბედის ცბიერ წინადადებაზე მარიამ სტიუარტმაც ასევე ცბიერულად მეგობრობითა და პატივისცემით უპასუხა. ამგვარად, ღმერთმა დაიფაროთ, ედინბურგში უარი არ უთქვამთ დადლეიზე, დედოფალს თავი ისე ეჭირა, თითქოს ამ ანკესზე წამოეგო, რაც საშუალებას აძლევდა, მეორე, უფრო ხალისიანი აქტი გაეთამაშებინა. სერ ჯეიმს მელვილი ოფიციალური დავალებით ლონდონს გაემგზავრა დადლეიზე მოსალაპარაკებლად, სინამდვილეში კი ამ სიცრუისა და პირმოთნეობის ბადის კიდევ უფრო დასახლართავად.

მელვილი ყველაზე ერთგული დიდებული იყო მარიამ სტიუარტისა, ამასთან გამოცდილი დიპლომატი და კიდევ უფრო გამოცდილი მწერალი. იგი მხოლოდ მწერალი კი არ იყო, მხატვარიც, რისთვისაც დიდად აფასებდნენ. მისი გამგზავრებით ინგლისის სამეფო კარზე მსოფლიოს შეეძინა ელისაბედის, როგორც პიროვნების ცოცხალი, ნათელი სახე, ასევე ერთი ბრწყინვალე, ისტორიული კომედია. ელისაბედმა კარგად იცოდა, ამ წარჩინებულ კაცს მრავალი წელი გაეტარებინა საფრანგეთისა და გერმანიის სამეფო კარზე და ყოველ ღონეს ხმარობდა, მის წინაშე ებრწყინა ქალური ღირსებით, ეჭვიც კი არ ჰქონდა, თუ მელვილის შეუბრალებელი მეხსიერება ისტორიას შემოუნახავდა მის კეკლუცურ სისულელესა და მანჭიაობას. ახლაც ასე მოხდა. ეს მეტისმეტად კეკლუცი ქალი, იმის მაგივრად, რომ ელჩი პოლიტიკური ბრძნული მოსაზრებებით დაერწმუნებინა, ცდილობდა, ქალური მომხიბვლელობით მოეჯადოებინა და მთელი თავისი

ბრწყინვალებით წარუდგებოდა ხოლმე. ვრცელ გარდერობში (მისი სიკვდილის შემდეგ სამი ათასი კაბა დაითვალეს) ირჩევდა ყველაზე ძვირფასებს და ხან ინგლისურ, ხან ფრანგულ მოდაზე ჩაცმული ეჩვენებოდა ღრმად გულამოჭრილი კაბით. თავს იწონებდა ლათინურად, ფრანგულად, იტალიურად ლაპარაკით და მეტისმეტად ხარბად ისმენდა ელჩის ყალბ, უსაზღვრო აღტაცების სიტყვებს. მაგრამ ელჩის მეტისმეტად უხვი კომპლიმენტები — რა საოცრად კარგი, ჭკვიანი, განათლებული ბრძანდებითო, არ აკმაყოფილებდა. უეჭველად სურდა გაეგო: „სარკევ, მითხარი, ვინ არის ყველაზე ლამაზი ამქვეყნად?“ სწორედ შოტლანდიის ელჩისაგან სურდა მოესმინა, როგორც ქალი ელისაბედი უფრო ხიბლავდა თუ თავისი ქალბატონი. დაე უთხრას, რომ იგი უფრო ლამაზი, ჭკვიანი და განათლებულია, ვიდრე მარიამ სტიუარტი. უცბად საოცრად სქელი, ხვეული, მოწითალო თმა გაიშალა. ჰკითხა, მარიამ სტიუარტს უკეთესი თმა აქვს, თუ მეო. ეს მეტად ცბიერული კითხვა იყო დედოფლის ელჩისათვის. მელვილი სოლომონის სიბრძნემ იხსნა ამ გასაჭირიდან: ინგლისში ვერც ერთი ქალი ვერ შეედრება ელისაბედს, შოტლანდიაში კი მარიამ სტიუარტის მჯობნი არ მოიპოვებაო, მაგრამ ამგვარი ორჭოფული პასუხი ვერ დააკმაყოფილებდა ამპარტავან კეკლუც ქალს. კვლავ ცდილობდა მის მოხიბლვას. კლავესინს მიუჯდა და ბარბითის ხმაზე სიმღერაც კი სცადა. ბოლოს მელვილმა ნებაუნებურად გადაწყვიტა, მას კარგად ესმოდა, რა მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული, თითის წვერზე ეტრიალებინა ელისაბედი, თქვენ უფრო ყირმიზი სახე გაქვთ, უფრო კარგად უკრავთ კლავისინზე და მარიამ სტიუარტზე უკეთესადაც ცეკვავთო. საკუთარი თავის ქებით გატაცებულ ელისაბედს გადააგიწყდა მათი შეხვედრის ნამდვილი მიზანი და როცა მელვილმა მოხერხებულად სიტყვა ჩამოუგდო ამ თემაზე, ელისაბედი კვლავ ეშმაკურად მოიქცა: ზარდახშიდან მარიამ სტიუარტის პატარა პორტრეტი ამოიღო და ნაზად აკოცა. ცრემლნარევი ხმით ჰყვებოდა, როგორ ოცნებობდა მარიამ სტიუარტთან, თავის საყვარელ დასთან შეხვედრაზე (სინამდვილეში მთელი სიცოცხლე ძალას არ იშურებდა, როგორმე ჩაეშალა ეს შეხვედრები); ამ გამოცდილი მსახიობის სიტყვებისთვის რომ დაგეჯერებინათ, მისი მეზობელი დედოფლის კარგად ყოფნაზე მეტად ვერაფერი გაახარებდა, მაგრამ მელვილის ფხიზელ გონებასა და გამჭრიახ თვალს არაფერი გამო-

ეპარებოდა. მას ვერ მოატყუებდით დასწავლილი დეკლამაციით. ყოველი ნანახი და გაგონილი რომ გაიაზრა, ედინბურგში შეატყობინა, ელისაბედი თავისი სიტყვებით და საქციელით თავს არიდებს სიმართლეს, პირმოთნეობას, დაბნეულობასა და შიშს იჩენსო. როცა ბოლოს ელისაბედმა გაბედა ეკითხა, რას ფიქრობდა მარიამ სტიუარტი დადლეისთან ქორწინებაზე, გამოცდილმა დიპლომატმა თავი შეიკავა და არც გადაჭრით „არა“ უთხრა და არც დანამდვილებით „ჰო“. ორჭოფულად მიუგო, მარიამ სტიუარტს ეს საკითხი კიდევ არ გადაუწყვეტიაო. რომ მიუხვდა, ელჩი თავს არიდებდა პასუხს, ელისაბედმა უფრო დაუჟინა: „ლორდი რობერტი ჩემი საუკეთესო მეგობარია, ძმასავით მიყვარს და არასოდეს სხვა საქმროს არ ვისურვებდი, გათხოვება რომ გადამეწყვიტა. მაგრამ რადგან მე არ მომწონს და არც ძალა შემწევს, საკუთარ თავს ვძლიო, ვისურვებდი, ჩემს დას მაინც ამოერჩია, რადგან უფრო ღირსეული ვინმე არ მეგულება, ვისაც ჩემს მემკვიდრეობას გავუნაწილებდი. ჩემმა დამ რომ ზემოდან არ დაუწყოს ყურება, რამდენიმე დღის შემდეგ ლესტერის გრაფობასა და დენბიის ბარონის ტიტულს ვუბოძებ“.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ბრწყინვალე ცერემონიით გათამაშდა კომედიის მეექვსე აქტი. ლორდმა რობერტ დადლეიმ მუხლი მოიყარა თავისი დედოფლისა და საყვარლის წინაშე, რათა ფეხზე გრაფ ლესტერად წამომდგარიყო. მაგრამ ამ ამაღელვებელ წუთებშიც კი ქალმა სძლია დედოფალს ელისაბედში. ერთგულ მსახურს გრაფის გვირგვინს რომ ადგამდა თავზე, საყვარელმა ვეღარ მოითმინა, თავზე ხელი არ გადაესვა ძვირფასი მეგობრისათვის. ამგვარად, სადღესასწაულო ცერემონია ფარსად იქცა, მელვილმა ეშმაკურად ჩაიღიმა ულვაშებში: ახლა იმაზეღა ფიქრობდა, რა სასაცილო მოხსენებას გაუგზავნიდა თავის ქალბატონს ედინბურგში.

მაგრამ მელვილი მხოლოდ იმიტომ კი არ ჩამოვიდა ლონდონში, რომ ვით მემატიანე, დამტკბარიყო გვირგვინოსნის მიერ გათამაშებული კომედიის ცქერით: მას თავისი როლი ჰქონდა ამ qui pro quo[1]-ში. მის დიპლომატიურ პორტფელს საიდუმლო ჯიბეებიც ჰქონდა, რასაც არავითარ შემთხვევაში არ გაუხსნიდა ელისაბედს. გრაფ ლესტერზე ლაყბობა მხოლოდ ნისლის საბურველი იყო, რასაც ბურუსში უნდა გაეხვია ის დავალება, რისთვისაც ლონდონს ჩამოვიდა.

[1] *გაუგებრობაში (ლათ.).*

უწინარეს ყოვლისა, ენერგიულად უნდა შეენჯღრია ესპანეთის ელჩი და გაეგო, საბოლოოდ რას ფიქრობდა დონ კარლოსი — მარიამ სტიუარტს მეტი ლოდინი აღარ შეეძლო. გარდა ამისა, მელვილს დავალებული ჰქონდა, ფრთხილად მოესინჯა ნიადაგი ერთ მეორეხარისხოვან კანდიდატთან — ჰენრი დარნლეისთან.

ხსენებული ჰენრი დარნლეი ჯერ თადარიგში იყო, მარიამ სტიუარტი რეზერვად ინახავდა, თუ მრავლისაღმთქმელი გეგმები ჩაეფუშებოდა. ჰენრი დარნლეი მეფე კი არა, თავადიც არ იყო, მამამისი გრაფი ლენოქსი, სტიუარტების დაუძინებელი მტერი, შოტლანდიიდან გააძევეს და მამულებიც ჩამოართვეს. სამაგიეროდ, დედის მხრიდან თვრამეტი წლის ყმაწვილის ძარღვებში წმინდა მეფური, ტიუდორების სისხლი ჩქეფდა. ჰენრიხ VII-ის შვილიშვილის შვილი, პირველი prince of blood[1] იყო ინგლისის სამეფო კარზე და რომელიც გნებავთ დედოფლისთვის შესაფერისი საქმრო იქნებოდა. ამასთან ის უპირატესობაც ენიჭებოდა, რომ კათოლიკე იყო. როგორც მესამე, მეოთხე, მეხუთე პრეტენდენტი დარნლეი სავსებით შესაფერისი იყო და მელვილმა ისე, ბუნდოვნად, ვალდებულების აუღებლად გადაუკრა ამ ყოველი შემთხვევისათვის კანდიდატის პატივმოყვარე დედას, მარგარიტა ლენოქსს.

მაგრამ ყოველი ნამდვილი კომედიის პირობა ასეთია: თუმცა ყოველი მისი პერსონაჟი წარმატებით ატყუებს ერთიმეორეს, ვიღაც მაინც ჩაჰკრავს თვალს მეზობლის ბანქოს ქაღალდში. ელისაბედი არც ისეთი სულელი იყო, რომ დაეჯერებინა, მელვილი თითქოს მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა ლონდონს, რომ კომპლიმენტი ეძღვნა მისი მშვენიერი თმისა და კლავესინზე დაკვრისთვის. ინგლისის დედოფალმა იცოდა, რომ მისი წინადადება — მარიამ სტიუარტის ხელი მის მიერ მიტოვებული მეგობრისათვის ჩაედო ხელში, სულაც არ ხიბლავდა შოტლანდიის დედოფალს. მან ასევე კარგად იცოდა, რა მოხერხებული და პატივმოყვარე ბრძანდებოდა ლედი ლენოქსი. მისმა ჯაშუშებმა ზოგი რამ იყნოსეს. სწორედ რაინდად კურთხევის დროს, როცა ჰენრი დარნლეიმ, როგორც სამეფო კარის პირველმა პრინცმა, მის წინ სამეფო ხმლით ხელში ჩაიარა, ელისაბედმა გულწრფელად, თვალიც კი არ დაუხამხამებია, ისე უთხრა მელვილს: „მე ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ ეს თავქარიანი ყმაწვილი უფრო

[1] *სეფეწული (ინგლ.).*

მოგწონთ“. მაგრამ მელვილმა, როცა მიხვდა, იდუმალ ჯიბეში უძ-ვრებოდნენ, მისთვის ჩვეული გულგრილობით უპასუხა. აბა ის რა დიპლომატია, ვისაც მძიმე წუთებში არ შეუძლია ისე იცრუოს, რომ არ გაწითლდეს. მელვილმა ჭკვიან სახეზე კოპები შეჰკრა, ზიზღი და სიძულვილი გამოეხატა იმ დარნლეის ცქერისას, რომლისთვი-საც გუშინ ხლაფორთობდა და მშვიდად მიუგო: „არც ერთი ჭკვიანი ქალი არ აირჩევს საქმროდ ამ თავქარიან, ტანად, მშვენიერი სახის, უწვერულვაშო ყმაწვილს. იგი ქალს უფრო ჰგავს, ვიდრე მოზრდილ მამაკაცს“.

წამოეგო თუ არა ელისაბედი გამოცდილი დიპლომატის ანკესზე? დაიჯერა თუ არა, რომ ეზიზღებოდა? თუ ამ კომედიაში უფრო საეჭვო ორ როლს თამაშობდა? მაგრამ საოცარი ის იყო: უწინარეს ყოვლისა, ლორდ ლენოქსს, დარნლეის მამას უფლება მისცეს შოტლანდიაში დაბრუნებულიყო. 1565 წლის იანვარში კი თვით დარნლეი მიიწვიეს. ელისაბედმა ჭირვეულობით თუ ცბიერებით სწორედ ყველაზე საშიში კანდიდატი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარზე. სასაცილო ის იყო, რომ ამ საქმეში შუამავლად სწორედ გრაფი ლესტერი გამოვიდა. ისიც ორ როლს თამაშობდა, რათა შეუმჩნევლად გამომძვრალიყო მისი ქალ-ბატონის დაგებული საქორწინო მახიდან. ამ კომედიის მეოთხე მოქ-მედება შოტლანდიაში გადადის, მაგრამ აქ ხელოვნურად შექმნილი არეულობა წყდება და გარიგების კომედია სულ სხვაგვარად გვირგ-ვინდება, ვიდრე ამას მისი მოწინააღმდეგენი მოელოდნენ.

აქ პოლიტიკა, ეს მიწიერი, ადამიანური ძალა იმ ზამთრის დღეს ძველისძველ, დასაბამით ძალას შეეჯახა: მარიამ სტიუარტთან სტუ-მრად ჩამოსულმა საქმრომ მასში მოულოდნელად ქალი აღმოაჩინა. კარგა ხნის მოთმინებით ლოდინის შემდეგ დედოფალში ბოლოს და ბოლოს, გაიღვიძა სიცოცხლემ. აქამდე იგი მხოლოდ მეფის ასუ-ლი, მეფის საპატარძლო, უბრალოდ დედოფალი და ქვრივი დედო-ფალი, სხვისი სურვილების სათამაშო, დიპლომატიური ვაჭრობის მორჩილი ობიექტი იყო. ახლა პირველად გაიღვიძა მასში გრძნობამ, ჩამოიშორა პატივმოყვარეობის ნაჭუჭი, სამოსელს რომ უმძიმებდა, რათა სიცოცხლე, თავისუფლება მიენიჭებინა თავისი ნორჩი სხე-ულისათვის. პირველად მიჰყვა საკუთარი სისხლის ჩქეფას და არა სხვის ნებას, თავისი გრძნობების მოთხოვნილებებსა და კარნახს. ასე დაიწყო მისი შინაგანი ცხოვრების ისტორია.

მეორედ გათხოვება
1565

ის მოულოდნელი, რაც მოხდა, ყველაზე ჩვეულებრივი რამაა ამქვეყნად. ყმაწვილ ქალს შეუყვარდა ყმაწვილი კაცი. დიდხანს ვერ დათრგუნავ ბუნებას. მარიამ სტიუარტმა ქალური გარდატეხა ოცდამესამე გაზაფხულზე განიცადა. ოთხმა წელმა ქვრივობისა მკაცრ თავშეკავებულობაში განვლო, ნამდვილი სასიყვარულო ეპიზოდი ერთხელაც კი არ განეცადა. ვნებას შეიძლება დრომდე ამოსდო ლაგამი. თვით დედოფალშიც გაიღვიძა ქალმა და ითხოვდა, ჰყვარებოდათ და მასაც შეეყვარებინა.

მარიამ სტიუარტის გატაცების საგანი, რაც იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში, საპატარძლო დედოფალთა ბაზრობაზე პოლიტიკური მაძიებელი დარნლეი გახდა. იგი 1565 წლის თებერვლის დასაწყისში დედის დავალებით შოტლანდიაში ჩავიდა. ეს ყმაწვილი კაცი მთლად უცხო არ იყო მარიამ სტიუარტისათვის. ოთხი წლის წინ თხუთმეტი წლის ბიჭი საფრანგეთში ჩავიდა, რომ დაქვრივებული დედოფლისთვის თავის ჩაბნელებულ განსასვენებელში — de deuil blanc თავისი დედისგან სამძიმარი მოეხსენებინა. მას შემდეგ როგორ გაზრდილიყო. მაღალი, მხარბეჭიანი, ჩალისფერთმიანი, პირტიტველა, უწვერულვაშო, ქალივით ლამაზსახიანი ყმაწვილი კაცი, დიდი, მრგვალი თვალებით გაოცებით შესცქეროდა ქვეყანას. Il n`est possible de voir un plus beau prince[1], — ამბობს მასზე მოვისერი. დედოფლის თვალშიც დარნლეი „მეტად მოხდენილი, წარმოსადეგი აყლაყუდა“ — the lustiest and bestproportioned long man იყო. მარიამ სტიუარტს, ამ სულსწრაფ ქალს, ადვილად აცდუნებდა ილუზიები. მისი ბუნების რომანტიკოსები იშვიათად უყურებენ ადა-

[1] *ძნელია უფრო ლამაზი პრინცის წარმოდგენა (ფრ.).*

მიანებსა და ცხოვრებას საღი თვალით. სამყარო, ჩვეულებისამებრ, ისეთი წარმოუდგებათ, როგორიც მათ სურთ იყოს. მეტისმეტად აღტაცებულნი უცბად ეძლევიან სასოწარკვეთილებას. ეს საოცარი მეოცნებენი მთლიანად არასოდეს ფხიზლდებიან. ერთი ოცნება რომ გაუცრუვდებათ, სწრაფად მეორე იტაცებთ, რადგან ცხოვრების არსს ოცნებაში ხედავენ და არა სინამდვილეში. ასევე უცბად გაიტაცა მარიამ სტიუარტი ამ ყმაწვილმა. პირველად ვერც კი ამჩნევდა, რომ ეს ლამაზი გარეგნობის ჭაბუკი დიდი ჭკუის პატრონი არ უნდა ყოფილიყო. მისი მაგარი კუნთები ძალაზე არ მეტყველებდა, მისი გარეგნული ბრწყინვალება არ ლაპარაკობდა მის სულიერ კულტურაზე. არცთუ ისე განებივრებული თავისი პურიტანული წრით, მხოლოდ იმას ხედავდა, რომ ყმაწვილი პრინცი მოხდენილად აჭენებდა ცხენს, გრაციოზულად ცეკვავდა, უყვარდა მუსიკა და სხვა ნაზი გასართობები და თუ დასჭირდებოდა, სასიყვარულო ლექსებსაც შეთხზავდა. მცირე მიდრეკილებაც კი მსახიობობისაკენ მარიამ სტიუარტისათვის ბევრს ნიშნავდა. იგი გულით ხარობდა, რომ ყმაწვილ პრინცში კარგი მეგობარი იპოვა ცეკვებსა და ნადირობაში, თამაშებსა და ვარჯიშობებში, რითაც გატაცებულნი იყვნენ სამეფო კარზე. დახავსებულ და მოწყენილ სამეფო კარის ცხოვრებაში დარნლეის მრავალფეროვნება და სიჭაბუკის ახალი სუნთქვა შეჰქონდა. მაგრამ დარნლეიმ მხოლოდ დედოფალი კი არ მოხიბლა, ტყუილად როდი დაუჯერა გულისხმიერი დედის რჩევას, მოკრძალებით ეჭირა თავი. მთელ ედინბურგში სასურველი სტუმარი გახლდათ. Well liked for his personage[1], — ასე მიუტანა ელისაბედს ამბავი თავისმა შორსმჭვრეტელმა ელჩმა რანდოლფმა. დარნლეიმ მოინადირა არა მხოლოდ მარიამ სტიუარტის გული, არამედ ყველა გარშემომყოფისაც.

იგი დაუმეგობრდა დავით რიჩოს, დედოფლის ახალ, სანდო მდივანსა და კონტრრეფორმაციის აგენტს: დღისით ერთად ბურთაობდნენ, საღამოს ერთ საწოლში იწვნენ. მაგრამ დარნლეი კათოლიკურ ფრთასთანაც პირმოთნეობდა და პროტესტანტულთანაც. კვირაობით რეგენტ მერეის რეფორმატულ „კირხში“ მიაცილებდა, სადაც მოჩვენებითი მღელვარებით ისმენდა ჯონ ნოქსის ქადაგებას; დღისით თვალის ასახვევად ინგლისის ელჩთან სადილობდა, ხოტბას ასხამდა ელისაბედის კეთილ გულს, საღამოთი კი ოთხ მარიამთან

[1] *დასაფასებელია თავისი სასიამოვნო თვისებებისათვის (ინგლ.).*

ერთად ცეკვავდა. ერთი სიტყვით, აყლაყუდა, არცთუ დიდი ჭკუის პატრონი, მაგრამ კარგად გაწაფული ყმაწვილი, შესანიშნავად ასრულებდა თავის მისიას; ვერავინ იფიქრებდა, თუ შემდგომში ასეთი არარაობა იქნებოდა. მაგრამ აი, ნაპერწკალი გაღვივდა და გაჩნდა ხანძარი. მარიამ სტიუარტი, რომლის მოწყალე შემოხედვას მეფეები და თავადები ნატრობდნენ, თავად ეძებდა ამ ცხრამეტი წლის სულელი ბიჭის სიყვარულს. დიდხანს შეკავებულმა ვნებამ ვულკანური ძალით იფეთქა, როგორც მრავალს ემართება ხოლმე, როცა თავიანთ გრძნობებს არ დახარჯავენ უბრალო ინტრიგებსა და თავქარიანულ გატაცებაში. დარნლეიმ პირველად გაუღვიძა მარიამ სტიუარტს ქალური ბუნება. ფრანცისკ II-სთან ცოლქმრობა მხოლოდ ბავშვურ მეგობრობად დარჩა და ამ წლების განმავლობაში დედოფალი ქალს თავის თავში ბუნდოვნად შეიგრძნობდა. ახლა კი მის წინაშე მამაკაცი იყო, რომელსაც შეიძლებოდა ცეცხლივით მოსდებოდა მისი მგზნებარე ვნება. არც კი დაფიქრებულა, არც კი განუსჯია, როგორც მრავალ ქალს ემართება ხოლმე, როცა პირველ შემხვედრში ბედის მიერ გამოგზავნილ ერთადერთ საყვარელ ადამიანს ხედავს. რაღა თქმა უნდა, უფრო ჭკვიანური იქნებოდა მოეთმინა, გამოეცადა მამაკაცი, გაეგო მისი ნამდვილი ღირსებანი. მაგრამ თავდავიწყებით შეყვარებულ ყმაწვილქალს გონივრული განსჯა რომ მოსთხოვო, ეს იმას ნიშნავს, მზე ეძებო ბნელ ღამეში. ვნებამ არ იცის განსჯა და ანალიზი, წინასწარ ვერ განსჯი, ვერც იმას ფარაუდებ, რა იყო წარსულში. რაღა თქმა უნდა, ამ არჩევანში მონაწილეობა არ მიუღია მარიამ სტიუარტის ფხიზელ გონებას. ვერაფრით ახსნიდით, რატომ უყვარდა ეს მოუმწიფებელი, ამპარტავანი, ლამაზი ბიჭი ასე მგზნებარედ. როგორც მრავალი მამაკაცის, რომლებიც დაუმსახურებლად უყვართ მათზე სულიერად მაღლა მდგომ ქალებს, დარნლეის ერთადერთი დამსახურება ის იყო, რომ მას ბედმა მეტისმეტად დაძაბულ კრიტიკულ მომენტში გაუღიმა — როცა ქალში ჯერ ისევ თვლემდა სიყვარული.

ამგვარად, დიდი დრო არ დასჭირვებია, რომ ამაყი ასულის სისხლი აეჩქეფებინა. სისხლი უდუღდა მოუთმენლობისაგან. მარიამ სტიუარტი თუ რამეს ჩაიფიქრებდა, დიდხანს არ გააჭიანურებდა და არ გადადებდა. ამ ბედნიერ წუთთან შედარებით აბა რას წარმოადგენდა მისთვის ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი. არა, ეყოფა

მოსაწყენი თამაში ელისაბედთან, მოსწყინდა ეს გაუგებარი მაჭანკლობა მადრიდთან, თუმცა ორი ქვეყნის გვირგვინს აღუთქვამდა: გვერდით ხომ პირბადრი, თვინიერი, წითელ, ვნებიანტუჩებიანი, ავხორცი, ბავშვურად უმანკოთვალება, ნაზი ყმაწვილი ჰყავდა. ამ სანეტარო გრძნობიერი დაბრმავების წუთებში დედოფლის ერთადერთი საფიქრალი ისღა იყო, რაც შეიძლება ჩქარა გამხდარიყო მისი. სამეფო კარის დიდებულებმა იცოდნენ მისი სწრაფვა, მისი სულის მღელვარება, მაგრამ მისი ახალი სანდო მდივანი დავით რიჩო არ იშურებდა ძალას, რომ შეყვარებულთა ნავი სიმშვიდის ნავსაყუდელში შეეცურებინა. პაპის საიდუმლო აგენტი დედოფლის კათოლიკეზე დაქორწინებაში შოტლანდიის ეკლესიის მსოფლიო ეკლესიისადმი მორჩილების საიმედო საწინდარს ხედავდა და იმდენად ახალგაზრდა წყვილის ბედნიერებაზე არ ფიქრობდა, რამდენადაც კონტრრეფორმაციის პოლიტიკურ ინტერესებზე. იმ დროს, როდესაც დედოფლის ბეჭდის მცველებმა, არც მერეიმ და არც მაიტლენდმა არაფერი იცოდნენ დედოფლის განზრახვისა, პაპის აგენტი პაპს დაუკავშირდა და ნებართვა გამოსთხოვა ქორწინებაზე, რადგან მარიამ სტიუარტი დარნლეის შორეულ (მეოთხე თაობის) ნათესავად ერგებოდა. მან წინასწარ განჭრიტა, იქნებ ამას საქმის გართულება მოჰყვესო და ნიადაგი მოსინჯა მადრიდში, შეეძლო თუ არა დედოფალს ფილიპე II-ის იმედი ჰქონოდა, თუ ელისაბედი მოინდომებდა ამ ქორწინების ჩაშლას. ერთი სიტყვით, საიდუმლო აგენტი ძალ-ღონეს არ იშურებდა, იმედს არ კარგავდა, რომ გამარჯვებას მიაღწევდა თავისი სახელისა და კათოლიკური საქმის სადიდებლად. იგი ფრთხილობდა, გზას იკაფავდა სანუკვარი მიზნის მისაღწევად. მაგრამ დედოფალი ვერ ითმენდა, ვერ იტანდა ასეთ დაყოვნებას, სიფრთხილეს, უკან ყურებას. რამდენ დაუსრულებელ კვირას უნდა გაევლო, სანამ წერილი კუს ნაბიჯით გადაივლიდა ზღვებსა და ოკეანეებს. იგი დარწმუნებული იყო, წმინდა მამა ნებას დართავდა და განა ღირდა ლოდინი, რომ პერგამენტის ნაგლეჯს დაედასტურებინა ის, რაც ახლა, ამ წუთში, ასე ძალიან სჭირდებოდა? მარიამ სტიუარტის გადაწყვეტილებაში მუდამ ბრმა დაუფიქრებლობა, განუსჯელი ყოყლოჩინობა იგრძნობოდა, მაგრამ დედოფლის ამ ნება-სურვილსაც, როგორც ყველა სხვას, მარჯვე რიჩო შეასრულებს. რიჩომ მოიწვია კათოლიკე მღვდელი და თუმცა

იმისი საბუთი არ გაგვაჩნია, თითქოს წინასწარ რაიმე მღვდელმსახურების წესი შეესრულებინოთ, მარიამ სტიუარტის ისტორიაში ცალკეულ პირთა ცნობებს ვერ დავეყრდნობით — მოხდა ჯვრისწერა, განმტკიცდა კავშირი მიჯნურთა შორის. — Laudato sia Dio, — წამოიძახა მათმა ყოჩაღმა დამქაშმა რიჩომ, — ახლა ვერავინ შეძლებს disturbare le nozze[1]. სამეფო კარი ვერც კი ხვდებოდა, რომ დარნლეი არა მხოლოდ დედოფლის ცხოვრების, არამედ მისი სხეულის ჭეშმარიტი მბრძანებელიც გახდა.

Matrimonio segreto-ს[2] სასტიკი საიდუმლოებით ინახავდნენ. თუ მღვდელს არ ჩავთვლით, ვინც ვალდებული იყო გაჩუმებულიყო, ეს საიდუმლო მხოლოდ სამმა კაცმა იცოდა. მაგრამ როგორც ცეცხლი უკვამლოდ არ იქნება, ნაზმა მოპყრობამ გამოამჟღავნა დაფარული გრძნობები. ცოტა ხანიც და, მთელი სამეფო კარი თვალს ველარ აშორებდა შეყვარებულ წყვილს. ყველას თვალში ხვდებოდა, რა გულმოდგინედ და მღელვარებით უვლიდა მარიამ სტიუარტი თავის ნათესავს, როცა საწყალ ყმაწვილს (ეს კი სასაცილოდ ჟღერდა საქმროსთვის) წითელა შეეყარა. იგი მთელი დღეობით უჯდა საწოლთან ავადმყოფსა და გამომჯობინების შემდეგაც კაბის კალთაზე ჰყავდა გამობმული. პირველად წარბები მერეიმ შეყარა. აქამდე იგი მთელი სულითა და გულით მხარს უჭერდა (უფრო მეტად საკუთარი სარგებლობისათვის) თავისი დის ყველა საქორწინო გეგმას. შემდგომში მართლმორწმუნე პროტესტანტი იმის წინააღმდეგიც არ იყო, ჰაბსბურგების ესპანელ შთამომავალთ დანათესავებოდა, კათოლიციზმის ამ დასაყრდენსა და ფარს დამოყვრებოდა. ეს დიდ შეცდომად არ მიაჩნდა, რადგან ჰოლირუდიდან მადრიდი შორს არის. მაგრამ დარნლეის დასიძება მისთვის ყელში დანის გამოსმას ნიშნავდა. შორსმჭვრეტელ მერეის იმას ვერავინ ასწავლიდა, ეს პატივმოყვარე ყმაწვილი პრინცი მეფედ გახდომის შემდეგ თვითმპყრობელობას რომ მოინდომებდა. მერეი საკმაოდ დიდი პოლიტიკოსი იყო და გრძნობდა, იტალიელი მდივნის, პაპის საიდუმლო აგენტის ხრიკები საითკენ იყო მიმართული — კათოლიკური სუვერენიტეტის აღდგენისა და რეფორმაციის ამოძირკვისკენ შოტლანდიაში. ამ ქედუხრელი ბუნების ადამიანში თვითმპყრობელური გეგმები რელიგიურ რწმენასთან

[1] *დიდება უფალს... ჩაშალოს ქორწინება (იტალ.).*
[2] *იდუმალი ქორწინება (იტალ.).*

გადაჯაჭვულიყო, ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილი — თავისი სამშობლოს ბედზე მღელვარებასთან. მერეი ნათლად ხედავდა, რომ დარნლეის გამეფებასთან ერთად შოტლანდიაში უცხოელთა ხელისუფლება დამყარდებოდა, მისი კი დასასრულს უახლოვდებოდა. მან დაარიგა და გააფრთხილა დედოფალი, უარი თქვი ამ ქორწინებაზე, იგი ჩვენს ჯერ კიდევ აშლილ ქვეყანას უამრავ კონფლიქტში ჩაითრევსო. მაგრამ როცა დარწმუნდა, მის გაფრთხილებას ყურად არავინ იღებსო, გააფთრებულმა დატოვა სასახლე.

არც მაიტლენდი, დედოფლის მეორე გამოცდილი მრჩეველი დანებებია იოლად. ისიც გრძნობდა, რომ მის წარჩინებულ მდგომარეობასა და მშვიდობას შოტლანდიაში საფრთხე ემუქრებოდა და ვით მინისტრი პროტესტანტი, წინააღმდეგი იყო კათოლიკე პრინცისა. ამ ორი წარჩინებულის გარშემო თანდათან შემოიკრიბნენ პროტესტანტი დიდებულები. თვალი აეხილა ინგლისელ ელჩ რანდოლფსაც. შეძრწუნებული, რომ წინდაუხედავად მოიქცა და მომენტი დაკარგა, თავის საბუთებში witchcraft-ს ეყრდნობოდა — ლამაზმა ყმაწვილმა ალბათ ჯადოქრობით მოხიბლა დედოფალიო და განგაში ატეხა, შესვლას ითხოვდა. მაგრამ ამ კაცუნების უკმაყოფილება და დრტვინვა როგორ შეედრებოდა ელისაბედის გააფთრებასა და უძლურ გამძვინვარებას, როცა თავისი მეტოქის არჩევანის ამბავი გაიგო. მწარედ უზღეს თვალთმაქცობისთვის. ამ კომედიაში გარიგების სცენა მხოლოდ სასაცილოდ, ტყუილად გაითამაშეს. ლესტერთან მოლაპარაკების საბაბით გამოსტყუეს ნამდვილი პრეტენდენტი და შოტლანდიაში გაიტაცეს. იგი თავისი არქიდიპლომატიით ჭაობში ჩაეფლო და ამაზე თავისი თავის მეტს ვერავის უსაყვედურებდა. გააფთრებულმა ბრძანა: ლედი ლენოქსი, დარნლეის დედა, ამ საქმის მაჭანკალი ტაუერის ციხეში ჩაემწყვდიათ, მისი ქვეშევრდომი დარნლეი საჩქაროდ ინგლისში დაბრუნებულიყო, მამამისს კი მამულების ჩამორთმევით დაემუქრა. შემდეგ სამეფო საბჭო მოიწვია, რომელმაც მისი მოთხოვნით ეს ქორწინება ორივე სახელმწიფოს მეგობრობისთვის საშიშად ჩათვალა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ომი ემუქრებოდა, მაგრამ გაცრუებული მატყუარა ისე დაიბნა და შეშინდა, მაშინვე ვაჭრობა დაიწყო. შერცხვენის შიშით სულ ბოლო კოზირი, საიდუმლო ბანქოს ქაღალდი, აქამდე ხელში რომ მალავდა, გადმოისროლა. პირველად იყო, რომ აშკარად დაივალდებულა

თავი, მარიამ სტიუარტისათვის (ახლა, როცა ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდა) ინგლისის ტახტზე სამემკვიდრეო უფლებების დამტკიცება შეეთავაზებინა. ედინბურგში ელჩიც გაგზავნა (ვერ ითმენდა!) საზეიმო დაპირებით: if the Queen of Scots would accept Leicester, she would be accounted and allowed next heir to the crown as though she were her own born daughter[1].

ეს სწორედ ერთგვარი დიპლომატიური ხრიკებისა და გარიგების უაზრობის ნიმუში გახლდათ. ის, რის გამოძალვასაც მარიამ სტიუარტი მოწინააღმდეგისგან ეშმაკობითა თუ ჯიქურ ცდილობდა წლების განმავლობაში — ელიარებინათ მისი მემკვიდრეობითი უფლებები ინგლისის ტახტზე, ახლა მთლად განუსჯელად, იმ უდიდესი სისულელით ეძლეოდა, რაც კი თავის სიცოცხლეში ჩაედინა.

პოლიტიკურ დათმობაზე ყოველთვის დაგვიანებით მიდიან ხოლმე. გუშინ მარიამ სტიუარტი პოლიტიკოსი იყო, დღეს კი მხოლოდ ქალი და მიჯნური. ინგლისის ტახტის აღიარებულ მემკვიდრედ გახდომა მისი სანუკვარი ოცნება იყო, დღეს კი ეს პატივმოყვრული სწრაფვა გადაწონა თავქარიანულმა, უფრო მგზნებარე სურვილმა — მალე დაუფლებოდა ამ ტანად, ლამაზ ბიჭს. დაიგვიანეს ელისაბედის მუქარამ და მაცდუნებელმა დაპირებებმა, პატიოსან მეგობართა შეგონებებმა. ამაოდ ურჩევდა ლოტარინგიის ჰერცოგი, თავისი ბიძა, უარი ეთქვა ამ joli hutaudeau — „სანდომიან უქნარაზე“. მის მოუთმენლობას ვერ შეაკავებდა ვერც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოსაზრებანი, ვერც გონივრული საბუთები. მის მიერ დაგებულ მახეში გაბმულ, გამძვინვარებულ ელისაბედს ირონიულად უპასუხა: „ჭეშმარიტად მაოცებს, რითი ვერ მოვიგე კეთილი დის გული. ჩემი არჩევანი ხომ, იგი რომ იწუნებს, მის ნება-სურვილს ემთხვევა. განა არ უარვყავი უცხოელი ხელისმაძიებელნი და მათ ინგლისელი არ ვარჩიე, ვის ძარღვებშიც ორივე ჩვენი ერის სისხლი ჩქეფს — ინგლისის პირველი პრინცი?“ ამაზე ელისაბედი ვერაფერს იტყოდა. მარიამ სტიუარტმა მთლად ზუსტად ვერა, მაგრამ თავისებურად შეასრულა მისი ნება-სურვილი, ამოერჩია ინგლისელი დიდებული, სწორედ ის, ვინც ელისაბედმა ორაზროვანი განზრახვით გამოუგზავნა. მაგრამ

[1] *„თუ შოტლანდიის დედოფალი დათანხმდებოდა ლესტერთან ქორწინებაზე, გვირგვინის უახლოეს მემკვიდრედ აღიარებდნენ, თითქოს ელისაბედის ღვიძლი ქალიშვილი იყო“ (ინგლ.).*

მეტოქეს თავი ვეღარ დაეჭირა და ახლა სხვას სთავაზობდა, ემუქრებოდა. ამაზე მარიამ სტიუარტმა უხეშად და გულახდილად უპასუხა. დიდხანს ატყუებდნენ ახალ-ახალი დაპირებებითა და იმედებით: მოსწყინდა ყოველივე ეს და მისი ხალხის მხარდაჭერით თვითონვე ამოირჩია საქმრო. თუმცა ინგლისიდან ხან ტკბილი, ხან მწარე წერილები მოდიოდა, ედინბურგში საქორწინოდ ემზადებოდნენ. დარნლეის კიდევ როსის ჰერცოგის ტიტული მიანიჭეს. ინგლისის ელჩმა, ეს-ესაა ინგლისიდან რომ ჩამოსულიყო და მთელი დასტა ნოტებისა და პროტესტებისა ჩამოეტანა, ჯერ კარეტიდანაც არ გადმოსულიყო, რომ საკუთარი ყურით გაიგონა, ჰენრი დარნლეის მეფეს (namit and stylith) რომ უწოდებდნენ.

29 ივლისს ზარების რეკვამ ქვეყანას აუწყა ქორწინება. ჰოლირუდის სამეფო კარის პატარა ეკლესიაში მღვდელი ჯვარს სწერდა ახალგაზრდებს. მარიამ სტიუარტმა, რომელიც საოცარი გამომგონებლობის ნიჭით იყო დაჯილდოებული, სადღესასწაულო ცერემონიალის მოწყობისას ყველა გააოცა. იგი სწორედ იმ სამგლოვიარო ტანსაცმლით გამოცხადდა, რომლითაც თავის განსვენებულ მეუღლეს, საფრანგეთის მეფეს მიაცილებდა. ამით თითქოს ხაზს უსვამდა, რომ მეორედ საკურთხეველთან თავქარიანობამ კი არ მიიყვანა, კი არ დააგიწყებინა პირველი ქმარი, მხოლოდ თავისი ხალხის ნებას ასრულებდა. მოისმინა თუ არა მესა და დაბრუნდა თავის განსასვენებელში, — მთელი ეს სცენა ოსტატურად იყო მოფიქრებული და ჰაეროვანი ტანსაცმელიც მოემზადებინათ, — ხათრი გაუწია დარნლეის ნაზ თხოვნას, გაიხადა სამგლოვიარო ტანსაცმელი და მხიარულების შესაფერისი ჩაიცვა. ქვემოთ, ციხე-კოშკთან მოზეიმე ხალხის ტალღას უხვად უყრიდნენ ფულს. გულუხვ დედოფალსა და მის ხალხს მხიარულებით დატკბობა სურდა. ჯონ ნოქსის გასაღიზიანებლად, სწორედ იმ ხანებში ორმოცდაჩვიდმეტი წლისა მეორედ რომ დაქორწინდა თვრამეტი წლის ასულზე (მხოლოდ მას შეეძლო ეგემა სიხარული), ოთხ დღე-ღამეს არ შეწყვეტილა მხიარულება, ქეიფი. თითქოს ყოველივე შაებნელი, სულისშემხუთველი სამუდამოდ გაქრა და ამიერიდან სიჭაბუკის ნეტარი მეფობა იწყებოდა. ელისაბედის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ გაუთხოვარი და სამუდამოდ შინაბერობისათვის განწირული ქალის ყურამდე მიაღწია, რომ მარიამ სტიუარტმა ხელმეორედ გაიზიარა

საქორწინო სარეცელი, მან კი თავისი ეშმაკური ხრიკებით მხოლოდ თავი მოიჭრა მთელ ქვეყანაზე: შოტლანდიის დედოფალს თავის გულითად მეგობარს ურიგებდა, მას კი საჯაროდ თავლაფი დაასხეს. წინააღმდეგი იყო დარნლეისა, მაგრამ მის რჩევას ყური არავინ ათხოვა. უკანასკნელად გასაფრთხილებლად ელჩი გაუგზავნა, ის კი სანამ ცერემონიალი არ დამთავრდა, ციხეში გამოამწყვდიეს. უეჭველად რამე უნდა ეღონა თავისი ღირსების დასაცავად. დიპლომატიური ურთიერთობა ხომ არ გაეწყვიტა და ომი გამოეცხადებინა? მაგრამ რა საბაბით? მარიამ სტიუარტი ცამდე მართალი იყო. მან საკმაოდ გაუწია ანგარიში ელისაბედის ნება-სურვილს, უარი უთხრა მისი ხელის მაძიებელ უცხოელთ. ვერც დარნლეის დასდებდით წუნს. იგი უახლოესი პრეტენდენტი გახლდათ ინგლისის ტახტისა, ჰენრიხ VII-ის შვილიშვილის შვილი. რითი არ იყო მისი ქმრობის ღირსი? არა, წინააღმდეგობა რომ გაეწია, ელისაბედი მთელ მსოფლიოს მხოლოდ თავის განაწყენებასა და უძლურებას დაანახვებდა.

მაგრამ ელისაბედის საქციელის არსებითი თვისება სწორედ ორმაგი თამაში გახლდათ. თუმცა საშინელი მარცხი განიცადა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა. რა თქმა უნდა, ომს ვერ გამოუცხადებდა, ვერც თავის ელჩს გამოიწვევდა, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეცდებოდა, ევნო ბედნიერი წყვილისთვის. ისეთი ფრთხილი იყო, აშკარად ვერ გამოვიდოდა თავისი დაუძინებელი მტრების — დარნლეისა და მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ, ინტრიგებით დაუგებდა მახეს. შოტლანდიაში ყოველთვის მოიძებნებოდა უკმაყოფილო, მემკვიდრეობის უფლების წინააღმდეგ ამბოხებული დიდგვაროვანი. ამჯერად კი მისი თანამოაზრე გახლდათ დაუშრეტელი ენერგიის მქონე კაცი. იგი მთელი თავით მაღლა იდგა ამ ძუძუმწოვარაზე და პროტესტი გამოუცხადა. მერეი დემონსტრაციულად არ დაესწრო დის ქორწილს. ეს ყველამ ავის მომასწავებელ ნიშნად ჩათვალა, რადგან მერეის — სწორედ ამით იყო იგი მიმზიდველი და საინტერესო — საოცარი უნარი გააჩნდა პოლიტიკური ამინდის უეცარი ცვალებადობის გამოცნობისა. უტყუარი ინსტინქტი აფრთხილებდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა და გონივრულად მოქმედებდა, როგორც კი შეიძლებოდა მოქცეულიყო ჭკვიანი პოლიტიკოსი — გაქრებოდა, ხელიდან უშვებდა ძალაუფლების სადავეებს და გაუჩინარდებოდა. ისე ვით მდინარეებისა და წყაროების დაშრობა ბუნებაში სტიქიურ უბედურებას მოასწავებს, მერეის გადა-

კარგვაც (ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ მარიამ სტიუარტის ისტორია) პოლიტიკურად ავის მომასწავებელი იყო. პირველ ხანებში მერეი უფრო პასიურად მოქმედებდა, სასახლეს გაეცალა, ჩაიკეტა თავის ციხე-კოშკში, ამით როგორც რეგენტი და პროტესტანტიზმის დამცველი გადაჭრით გმობდა დარნლეის ასვლას შოტლანდიის ტახტზე. მაგრამ ელისაბედს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ პროტესტი, მას ამბოხება ესაჭიროებოდა. იგი მერეიში და ასევე უკმაყოფილო ჰამილტონებში მოკავშირეებსა და შემწეებს ეძებდა. იცოდა, სასტიკი მითითებით დედოფალს ვერ შეარცხვენდა — in the most secret way, ამიტომ თავის აგენტს დაავალა, ლორდებისათვის მხარი დაეჭირათ ფულითა და ხალხით. as if from himself, მხოლოდ მერეის სახელით, თითქოს ელისაბედმა ამისი არაფერი იცოდა. თითქოს მწირ მიწაზე ბალახი ამობიბინდაო, ლორდებს უხვად აძლევდნენ ფულს, რაც ვაჟკაცობით აღანთებდა მათ გულებს და ხელს უწყობდა ამბოხების მომწიფებას, რასაც ასე მოუთმენლად ელოდნენ ინგლისში.

მერეის, ამ ჭკვიანი და გამჭრიახი პოლიტიკოსის ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ იგი მართლა ენდობოდა ყველაზე არასანდო დედოფალს და სათავეში ჩაუდგა ამბოხებას. რა თქმა უნდა, ფრთხილი შეთქმული არ ჩქარობდა ზურგში ხანჯლის ჩაცემას და მხოლოდ საიდუმლოდ კრებდა მოკავშირეებს. იგი წინააღმდეგი არ იყო ლოდინისა, დაე, ელისაბედს აშკარად დაეჭირა მხარი პროტესტანტი ლორდებისთვის. მაშინ, როგორც სარწმუნოების დამცველი და არა მეამბოხე, დის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. მაგრამ ძმის საეჭვო საქციელით აღშფოთებულმა მარიამ სტიუარტმა ვეღარ მოითმინა მისი მტრული გულგრილობა და მოსთხოვა, საჯაროდ ემართლებინა თავი პარლამენტის წინაშე. სიამაყით არც მერეი ჩამოუვარდებოდა დას. მან თავი არ ცნო დამნაშავედ და ამპარტავნულად უარი თქვა დამორჩილებაზე. მაშინ ის და მისი მომხრეები შერისხეს (put to the horn), შულტამ ეს ბაზრის მოედანზე გამოაცხადა. ამგვარად, საკითხი კვლავ იარაღს უნდა გადაეწყვიტა და არა გონებას.

აქ, როგორც ყოველ გადამწყვეტ წუთში, აშკარად გამოჩნდა განსხვავება ორ ტემპერამენტს — მარიამ სტიუარტსა და ელისაბედს შორის. მარიამ სტიუარტმა არ იცოდა ყოყმანი, ჩქარ-ჩქარა დადიოდა, ხშირ-ხშირად სუნთქავდა. შიშით შეპყრობილი ელისაბედი კი არ ჩქარობდა და აჭიანურებდა გადაწყვეტილების მიღებას. იგი

ჯერ ისევ ფიქრობდა, ჩარეულიყო თუ არა აშკარად, ებრძანებინა თუ არა სახელმწიფო ხაზინადრისთვის ჯარი შეეყარათ ამბოხებულთა დასახმარებლად, რომ მარიამ სტიუარტმა ხანჯალი ჩასცა. მან გამოსცა ფირმანი, რომელიც სასტიკად უსწორებდა ანგარიშს ამბოხებულებს: „არად ჩააგდეს განუზომელი პატივისცემა და სიმდიდრე და ახლა განუზრახავთ, ჩვენცა და ჩვენი სამეფოც ხელთ იგდონ და თავის ჭკუაზე მართონ, ჩვენ კი დავემორჩილოთ იმათ ბრძანებებს. არც ტახტზე იტყვიან უარს. ჩვენ მხოლოდღა ხარისხებს გვიტოვებენ და სურთ, თავხედურად ხელთ იგდონ სახელმწიფო სადავეები“.

წუთიც არ დაუკარგავთ, მამაცი ამორძალი ცხენს მოახტა, თან ახლდნენ მოოქრულ ჯავშანში ჩამსხდარი ახალგაზრდა მეუღლე და ერთგულების ფიცით შეკრული დიდებულები. მარიამი მიუძღოდა შეკრებილ ჯარს ამბოხებულთა წინააღმდეგ. მხიარულმა სტუმრებმა გამოფხიზლებაც ვერ მოასწრეს, რომ საქორწინო მოგზაურობა საომარ ლაშქრობად იქცა. ამ დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებამ ნაყოფი გამოიღო. ზოგიერთი ამბოხებული ბარონი ამ ახალმა ენერგიამ მეტისმეტად შეაშინა. დახმარება ინგლისიდან არ ჩანდა. ელისაბედი აღთქმული დახმარების მაგივრად თავს იძვრენდა ლაჩრული მიზეზებით. ნელ-ნელა ყველანი დაემორჩილნენ თავიანთ კანონიერ მბრძანებელს, მხოლოდ მერეის არ სურდა დამორჩილება. თვით საზღვრამდე მისდია გამარჯვებულმა მეფე-დედოფალმა მერეის, რომელიც თავწყვეტით, გააფთრებთ მიაჭენებდა ცხენს. ძალღონეგამოცლილმა მერეიმ შუა ოქტომბერში თავშესაფარი ინგლისის მიწაზე პოვა.

მარიამ სტიუარტმა სრულ გამარჯვებას მიაღწია. სამეფოს ყველა ბარონი და ლორდი მჭიდროდ შემოკრბა მის გარშემო. პირველად იყო ამდენი ხნის განმავლობაში, შოტლანდიამ მუხლი რომ მოიყარა მეფისა და დედოფლის წინაშე. მაგრამ თავისი ძალისადმი რწმენამ წუთით ისე გაათამამა მარიამ სტიუარტი, იფიქრა, შეტევაზე ხომ არ გადასულიყო, ხომ არ შეჭრილიყო ინგლისში, სადაც იცოდა, კათოლიკური უმცირესობა ზეიმით შეხვდებოდა გამათავისუფლებელს. ფხიზელმა მრჩევლებმა ძლივს შეაკავეს მისი თავაშვებული სიმამაცე, სამაგიეროდ, ბოლო მოეღო თავაზიანობას. ეს მანამდე სჭირდებოდა, სანამ მოწინააღმდეგეს ყველა ქაღალდს გამოსცინცლავდა, იმასაც კი, ხელში რომ მალავდა. საკუთარი არჩევნით ქორწინება პირველი გამარჯვება იყო მარიამ სტიუარტისა ელისაბედზე, მეამბოხეთა დამ-

არცხება კი მეორე. თავისუფლად, საკუთარ თავში დარწმუნებული შეხედავდა ახლა თავის „კეთილ დას“ თვალებში.

ელისაბედის მდგომარეობა არც წინათ იყო სახარბიელო, მაგრამ თავისი გამოწვრთნილი და საიმედო მეამბოხეების დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო გაუჭირდა. რაღა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობდა და არსებობს საერთაშორისო კანონი — სხვა ქვეყნებში საიდუმლოდ შეკრებულ ამბოხებულებს დამარცხების შემდეგ აშკარად განუდგებიან და ბედის ანაბარა მიატოვებენ, მაგრამ ვინც უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული, მას ბედი არასოდეს სწყალობს. ასე მოხდა ამჯერადაც. ლორდებისთვის გადადებული ფული, რაც აშკარად ამხელდა ელისაბედს, მამაცური თავდასხმის წყალობით ბოთველს, მერეის მოსისხლე მტერს ჩაუვარდა ხელთ. მეორე უსიამოვნებაც მოხდა: დევნისთვის რომ თავი დაეღწია, მერეი, ბუნებრივია, იმ ქვეყანაში გაიქცეოდა, სადაც აშკარადაც და მალულადაც ელოლიავებოდნენ — ინგლისში. ეგ არაფერი, დამარცხებულს რომ გამბედაობა ეყო, ლონდონში ჩასულიყო. რა სირცხვილი იყო მახეში გაბმა, როცა აქამდე ყველაფერი გამოუდიოდა. შერისხული მერეის მიშვება სამეფო კარზე იმას ნიშნავდა, რომ დედოფალი მხარს უჭერდა ამბოხებას, მაგრამ ვერც ზურგს შეაქცევდა იდუმალ მოკავშირეს, რადგან შეურაცხყოფილი კაცი ვინ იცის, რას არ იტყოდა თავის მწყალობელზე, რაც უცხოთა სამეფო კარზე არ უნდა სცოდნოდათ. ელისაბედი ასე არასოდეს გაბმულა მახეში თვალთმაქცობისათვის. მაგრამ ეს საუკუნე ამაოდ კი არ იყო განთქმული კომედიებით და არც ის არის შემთხვევითი, რომ ელისაბედი იმავე დამათრობელი ჰაერით სუნთქავდა, რითაც შექსპირი და ბენ ჯონსონი. არც ერთმა დედოფალმა არ იცოდა ისე, როგორც ამ ბუნებით მსახიომა, რა მნიშვნელობა ენიჭებოდა თეატრში ეფექტურ სცენებს. იმ დროის ჰემპტონ-კორტი და ვესტმინსტერი ეფექტური სცენების მხრივ თამამად შეიძლებოდა გასჯიბრებოდა „გლობუსსა“ და „ფორტუნას“. გაიგეს თუ არა არასასურველი მოკავშირის ჩამოსვლა, იმავე საღამოსვე მიიწვია სესილმა, რომ რეპეტიცია გაევლო იმ როლისა, რაც ხვალ უნდა შეესრულებინა ელისაბედის შორს გავარდნილი სახელისა და მისი შერყეული ღირსების აღსადგენად.

იმ დილით გათამაშებულ კომედიაზე უფრო თავხედურ რამეს კაცი ვერ მოიგონებს. დედოფალთან საფრანგეთის ელჩი ზის, პოლიტიკა-

ზე საუბრობენ. ელჩმა არ იცის, რომ კომედიის სანახავადაა მოწვეული. შემოდის მსახური და მოახსენებს გრაფ მერეის ჩამოსვლის ამბავს. დედოფალი წარბს შეყრის. რა მოხდა? ხომ არ მოეყურა? ნუთუ მართლა ლორდი მერეია? როგორ გაბედა საზიზღარმა მეამბოხემ, „მისი კეთილი დის მოღალატემ“ ლონდონში ჩამოსვლა? რა გაუგონარი თავხედობაა, დაენახვოს დედოფალს. მთელმა ქვეყანამ იცის, რა სულითა და ხორცით ერთგულია თავისი ბიძაშვილისა. საწყალი ელისაბედი! გაოცებისა და გააფთრებისგან გონს ვერ მოსულა. მხოლოდ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა თავხედის“ მიღება, მაგრამ პირისპირ არა. ღმერთმა დაიფაროს! იგი არ უშვებს საფრანგეთის ელჩს, რათა მოწმედ ჰყავდეს „გულწრფელი“ აღშფოთებისა.

გამოდის მერეი. სერიოზულად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის როლს. მისი გამოცხადებაც იმაზე მეტყველებს, რომ მორჩილებით ხრის თავს. სითამამე და ჩვეული ამპარტავნობა დაუკარგავს, მოკრძალებითა და ყოყმანით უახლოვდება დედოფალს, მოწყალებით მუხლს იყრის მის წინაშე და მიმართავს მშობლიურ შოტლანდიურ ენაზე. ელისაბედი მაშინვე აწყვეტინებს და უბრძანებს, ფრანგულად ილაპარაკოს, რომ ელჩმაც მოისმინოს მათი საუბარი. ნურავინ გაივლებს გულში, თითქოს დედოფალს რაიმე საერთო აქვს მხილებულ მეამბოხესთან. მერეი დაბნეული ბურტყუნებს, მაგრამ ელისაბედი უცბად იცვლის ტონს: ვერ გაუგია ამ ლტოლვილმა და მეამბოხემ, მისი საუკეთესო მეგობრის წინააღმდეგ რომ აღდგა, როგორ გაბედა, მიუპატიჟებლად მისულიყო სასახლეში. თუმცა უთანხმოება ჰქონდა მარიამ სტიუარტთან, მაგრამ მათ შორის სერიოზული არაფერი ყოფილა. იგი შოტლანდიის დედოფალს ყოველთვის საკუთარ დად თვლიდა და იმედოვნებდა, ასეც იქნებოდა მომავალში. თუ მერეი არ დაამტკიცებს, რომ იგი მხოლოდ უჭკუობითა და თავისი სიცოცხლის გადასარჩენად აღდგა თავისი დედოფლის წინააღმდეგ, ელისაბედი ახლავე უბრძანებს, ციხეში ჩააგდონ და მოღალატესავით დასაჯონ. დაე, მერეიმ თავი იმართლოს მის წინაშე.

სესილის მიერ დარიგებულმა მერეიმ შესანიშნავად იცოდა, რომ ყველაფერი უნდა ეთქვა გარდა სიმართლისა. მთელი დანაშაული თვითონ უნდა დაებრალებინა, რათა ელისაბედი გაემართლებინა ელჩის თვალში და დაემტკიცებინა, რომ ინგლისის დედოფალს სრულიადაც არ მიუღია მონაწილეობა მის მიერ მოწყობილ შეთქმულე-

ბაში. მერეის უნდა უზრუნველეყო დედოფლის უდანაშაულობა და იმის მაგივრად, რომ შეეჩივლა ნახევარდაზე, ცამდე აიყვანა იგი. უსაზღვროდ ბევრი მიწა მიბოძა, უხვად მომაგო პატივი და საჩუქრები და მეც შიშის გამო კი არ ვემსახურებოდი, სინდისის ხმას მივყვებოდი. მხოლოდ შიშმა, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, გონება დამიბნელაო. თქვენთან იმისთვის მოვედი, შემიწყალოთ და ჩემს მბრძანებელს, შოტლანდიის დედოფალს ჩემთვის პატიება გამოსთხოვოთო.

ჭეშმარიტ წამქეზებელს ეს სიტყვები სიამოვნებდა ყურში, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ დააკმაყოფილებდა ელისაბედს. იმისათვის კი არ მოაწყო ამ კომედიის ინსცენირება, რომ მერეის ელჩის თანდასწრებით მთელი დანაშაული აეღო თავზე. მას, როგორც მთავარ მოწმეს უნდა დაედასტურებინა, რომ ელისაბედმა არაფერი იცოდა ამ შეთქმულებისა. იცრუა გამობრძმედილმა პოლიტიკოსმა, მერეიმაც ფიცით დაამტკიცა, რომ ელისაბედს „არასოდეს ჩაუწვეთებია ყურში მერეისა და მისი მეგობრებისათვის, დაევიწყებინათ ერთგული ქვეშევრდომების მოვალეობანი და ამბოხებულიყვნენ მისი უდიდებულესობის, დედოფლის წინააღმდეგ“.

ელისაბედმა თავი უდანაშაულოდ გამოიყვანა. მთლად გაამართლეს. წმინდა აქტიორული პათოსით მიმართა თავის პარტნიორს სცენაზე: „აი, ახლა ამბობ სიმართლეს! არც მე და არც სხვას ჩემი სახელით არ წაუქეზებიხართ თქვენი დედოფლის წინააღმდეგ. არც ჩემთვის იქნებოდა ეს ღალატი კარგი. ცუდი მაგალითის დამნახავნი იქნებ ჩემი ქვეშევრდომნიც ამბოხებულიყვნენ ჩემს წინააღმდეგ. ახლა კი თვალით არ დამენახვო, მეამბოხევ!“

მერეიმ მდაბლად დახარა თავი, იქნებ იმისთვის, რომ ღიმილი დაეფარა? მას კარგად ახსოვს, რამდენი ათეული ათასი გირვანქა ოქრო გადასცეს მასაც და სხვა ლორდებსაც ცოლებმა ინგლისის დედოფლის სახელით. რანდოლფის წერილები და რწმუნებანი, სახელმწიფო კანცელარიის დაპირებანიც ახსოვს, მაგრამ ისიც იცოდა, თუ ყველაფერს თვითონ აიღებდა თავზე, ელისაბედი ცარიელზე არ დატოვებდა. საფრანგეთის ელჩის უტყვ სახეზეც პატივისცემა ამოიკითხა. მაღალი წრის განათლებულ კაცს კარგად შეეძლო კომედია შეეფასებინა. მხოლოდ მაშინ მისცემდა თავს უფლებას ირონიულად გაღიმებისა, როცა თავის კაბინეტში ჩაიკეტებოდა და პარიზში გას-

აგზავნ უსტარს შეადგენდა. ელისაბედსაც ლოდი აწვა გულზე იმ წუთებში. იქნებ არც მას სწამდა, რომ ვინმე დაუჯერებდა, მაგრამ აშკარად აბა ვინ გაუბედავდა, ეჭვი გამოეთქვა. კომედია გაითამაშეს, სიმართლე ვის სჭირდებოდა. დიდებით მოსილმა ჰაეროვანი კაბის შრიალით დატოვა დარბაზი.

ელისაბედი რომ იძულებული იყო, ასეთი საცოდავი ფანდისათვის მიემართა დამარცხების შემდეგ მორალურად უკან დასახევად, ჭეშმარიტად მარიამ სტიუარტის მაშინდელ სიძლიერეზე მეტყველებს. შოტლანდიის დედოფალმა ამაყად ასწია თავი, ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც მის გულს სურდა. მის რჩეულს თავზე გვირგვინი ედგა, ამბოხებული ბარონები ზოგი დაბრუნდა, ზოგი კი შერისხული უცხო ქვეყნებში დაეხეტებოდა. ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. ამ ახალი ქორწინებიდან თუ მემკვიდრეც შეეძინებოდა, აუხდებოდა სანატრელი, დიდი ოცნება: სტიუარტი შოტლანდიისა და ინგლისის გაერთიანებული ტახტის მემკვიდრე გახდებოდა. ბედი სწყალობდა. ბოლოს კეთილისმყოფელმა სიმშვიდემ დაისადგურა შოტლანდიაში, მარიამ სტიუარტს შეეძლო ახლა თავისუფლად ამოესუნთქა, დამტკბარიყო მოპოვებული ბედნიერებით. მაგრამ მისი დაუდგრომელი ბუნების კანონი იყო, მუდამ მღელვარებაში ეცხოვრა. ეს უცნაური გულის ქალი ვერასოდეს იგემებდა მინიჭებულ სიმშვიდესა და ბედნიერებას, რადგან მის ბობოქრობას მუდამ ახალი უბედურებანი და მარადიული საფრთხე მოჰყვებოდა.

საბედისწერო ღამე ჰოლირუდში
1566 წლის 9 მარტი

თუ გრძნობა მომწიფებულია, ანგარიშს არაფერს უწევს, არ ძუნწობს, არ ყოყმანობს, არაფერს ეძიებს. როცა მეფურად უხვი ბუნების ადამიანს უყვარს, იგი თავგანწირული და დაუზოგავია. თაფლობის თვე მარიამ სტიუარტმა მხოლოდ იმაში გაატარა, როგორ დაეფრქვია წყალობა ახალგაზრდა მეუღლისათვის. ყოველ დღეს ახალი, მოულოდნელი სიხარული მოჰქონდა დარნლეისათვის — ხან ცხენს მიართმევდნენ, ხან — მდიდრულ ტანსაცმელს — სიყვარულის ასობით პატარა და ნაზ საჩუქარს. მიუძღვნა ყველაზე ძვირფასი, რაც კი ამქვეყნად გააჩნდა: მეფობა და თავისი წრფელი გული.

„რითაც კი შეიძლება ქალმა განადიდოს მამაკაცი, — სწერდა ინგლისის ელჩი ლონდონში, — მან სრულად იგემა. ყველა ხოტბა, ჯილდო და პატივი, რაც კი დედოფალს გააჩნია, მის ფერხთ ქვეშაა განრთხმული. დედოფალი ყველას მეუღლის თვალით უცქერის, თვით დედოფლის ნებაც მის ხელთაა“. როგორც მის დაუდგრომელ ბუნებას შეეფერებოდა, მარიამ სტიუარტს არაფრის გაკეთება არ შეეძლო სანახევროდ, ყველაფერს სულსა და გულს ატანდა. როცა სიყვარულს უძღვნიდა ვინმეს, ამას უშიშრად, უკანმოუხედავად, განუსჯელად, თავშეუკავებლად ეძლეოდა.

„იგი ყველაფერში მისი ნება-სურვილის მორჩილია, — წერდა შემდეგ რანდოლფი, — თავის ნებაზე ატრიალებს“. მგზნებარედ შეყვარებული მისი მონა-მორჩილი გახდა. მორჩილება თავდავიწყებაში გადადიოდა. მხოლოდ უსაზღვროდ ამაყი სულის ქალს შეეძლო ასეთი მორჩილება.

მაგრამ დიდი მოწყალება ღირსეულთ შეჰფერით, უღირსთათვის კი საშიშად იქცევა. რაც უფრო მეტი უფლებები ეძლევა, ძლიერი ხა-

სიათი მტკიცდება (რადგან ხელისუფლება მათი ბუნებრივი სტიქიაა), სუსტები კი იღუპებიან დაუმსახურებელი ბედნიერების ტვირთქვეშ. წარმატება მოკრძალებას კი არ აღუძრავს მათ, აამპარტავნებს, ციდან ჩამოვარდნილ ყოველ საჩუქარს ბავშვური გულუბრყვილობით საკუთარ დამსახურებად თვლიან. სულ მალე გამოირკვევა, რომ მარიამ სტიუარტმა ასე განუსჯელად და თავშეუკავებლად ამაოდ გამოიჩინა სიუხვე ამ გონებაშეზღუდულ, ამპარტავან ბიჭზე, რომელსაც უმჯობესი იყო ძიძა ჰყოლოდა, ვიდრე დიდსულოვანი, მოყვარული გულის დედოფლის მბრძანებელი გამხდარიყო. მიხვდა თუ არა დარნლეი, რა ძალა ჩაიგდო ხელთ, გათავხედდა და გაამპარტავნდა. მარიამ სტიუარტის მოწყალება დამსახურებულ საზღაურად მიაჩნდა, მისი მეფური სიყვარული კი მამაკაცის ხელშეუვალ უფლებად. როცა მისი ბატონი გახდა, ეგონა, აბუჩად აგდებაც შეეძლო. სულმდაბალი ადამიანი, heart of wax[1], როგორც შემდეგ ზიზღით უწოდებდა თვით მარიამ სტიუარტი, განებივრებული ბიჭი თავს ვერაფერში იკავებდა, ყოყოჩობდა და უბოდიშოდ ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. აღარ სჭირდებოდა ლექსები და ალერსი, ცდილობდა ემბრძანებლა სახელმწიფო საბჭოში, ყვიროდა და უხეშად ლაპარაკობდა, ქეიფობდა ლოთებთან და როცა ერთხელ დედოფალმა სცადა, წაეყვანა უღირსი საზოგადოებიდან, უხეშად შეაგინა, საჯაროდ შეურაცხყოფილმა დედოფალმა ცრემლი ვერ შეიკავა. მარიამ სტიუარტმა მიუძღვნა მას სამეფო ტიტული, მხოლოდ ტიტული, მან კი მართლა წარმოიდგინა თავი მეფედ და დაჟინებით მოითხოვდა დედოფლის თანაბარ უფლებებს — the matrimonial crown; უწვერულვაშო, ცხრამეტი წლის ბიჭს პრეტენზია ჰქონდა, საკუთარი მამულივით ემართა შოტლანდია. ამასთან ყველასათვის ნათელი იყო, მის გამომწვევ უხეშობაში სიმამაცის ნატამალიც კი არ შეინიშნებოდა, კვეხნა-ქადილში კი — მტკიცე ნებისყოფა. მარიამ სტიუარტი, თავისდა სამარცხვინოდ, უნდა გამოსტყდომოდა საკუთარ თავს, რომ პირველი მშვენიერი გრძნობა ამაოდ გაფლანგა ამ უმადურ აყლაყუდაზე. ძალიან გვიან, როგორც ხდება ხოლმე საერთოდ, ინანა, რომ არ დაიჯერა კეთილი რჩევა.

გარდა ამისა, ქალისთვის იმაზე დამამცირებელი არაფერია, როცა იგრძნობს, რომ მეტისმეტად ჩქარა დანებდა ადამიანს, ვინც მისი სიყვარულის ღირსი არ არის. ნამდვილი ქალი არასოდეს აპატიებს ამ

[1] *სანთლის გულის (ინგლ.).*

დანაშაულს არც თავის თავსა და არც დამნაშავეს. მაგრამ შეყვარებულთა ასეთ დიდ გზნებას შეუძლებელია უცბად გულგრილობა და ნაძალადევი თავაზიანობა მოჰყოლოდა. ერთხელ აალებული ცეცხლი ისევ ღვივის, ოღონდ ფერს იცვლის. იმის მაგივრად, რომ იგუზგუზოს, ზიზღისა და სიძულვილის კვამლს უშვებს. როგორც კი შენიშნა ქმრის არარაობა, მარიამ სტიუარტმა, ამ შეუპოვარი ბუნების ქალმა, მაშინვე მოაკლო თავისი მოწყალება და ეს უფრო სასტიკად და მოულოდნელად გაკეთა, ვიდრე ანგარიშიანი, წინდახედული ქალი იზამდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. დარნლეის თანდათან ჩამოართვა ყოველგვარი პრივილეგიები, რასაც პირველად, ვნებით ანთებული, განუსჯელად, უანგარიშოდ აძლევდა. ნამდვილ ერთმმართველობაზე — matrimonial crown, რაც ოდესღაც თექვსმეტი წლის ფრანცისკ II-სთან გაიზიარა, ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გააფთრებულმა დარნლეიმ მალე შენიშნა, რომ აღარ ეძახდნენ სახელმწიფო საბჭოს მნიშვნელოვან სხდომებზე. აუკრძალეს თავის გერბში სამეფო რეგალიების ჩართვა. პრინც-კონსორტამდე ჩამოქვეითებულს სამეფო კარზე პირველი ადგილი კი აღარ ეჭირა, რაზეც ოცნებობდა, შეურაცხყოფილ რეზონიორად იქცა. მალე შენიშნა, კარისკაცებიც აბუჩად იგდებდნენ. მისი მეგობარი დავით რიჩო აღარ უჩვენებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო ქაღალდებს და მისდა დაუკითხავად რკინის ბეჭდით (iron stamp) ბეჭდავდა დედოფლის ხელმოწერილ წერილებს. ინგლისის ელჩი აღარ უწოდებდა „მის უდიდებულესობას“ და ნათლიღების წინადღეს, სულ ექვსი თვის შემდეგ თაფლობის თვისა, აცნობებს Srange elterations[1] შოტლანდიის სამეფო კარზე. ცოტა ხნის წინათ გაიგონებდით „მეფე და დედოფალი“, ახლა „დედოფლის მეუღლეს“ ეძახიან. დარნლეი მიეჩვია. რომ სამეფო ედიქტებში მისი სახელი პირველი ეწერა, ახლა მეორე ადგილით უნდა დაკმაყოფილდეს. ფულზე გამოჭედილი იყო: Henricus et Maria, მაგრამ მალე გააუქმეს და ახალი გამოსცეს. ცოლ-ქმარს შორის გულგრილობა იგრძნობა, ოღონდ სანამ ეს მხოლოდ amantium irae[2] ან როგორც ხალხში ამბობენ, household words[3]. ამას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, ოღონდ საქმე უფრო შორს არ წავიდეს.

---

[1] საოცარ ცვლილებებზე (ინგლ.).

[2] შეყვარებულთა ჩხუბი (ლათ.).

[3] ცოლ-ქმრის კინკლაობა (ინგლ.).

მაგრამ იგი შორს წავიდა! საშინელ წყენას, რასაც მუყაოს მეფე განიცდიდა საკუთარ სამეფო კარზე, თან დაერთო იდუმალი და უფრო საგრძნობი, შეურაცხყოფილი ქმრის წყენა. წლების განმავლობაში მიეჩვია მარიამ სტიუარტი, რომ პოლიტიკაში სიცრუის გარეშე იოლად ვერ გავიდოდა. მაგრამ არ სწამდა სიცრუე გრძნობების სფეროში. ამ მეტისმეტად პატიოსანი ბუნების ქალს პირმოთნეობა არ შეეძლო. როგორც კი მიხვდა, როგორც კი გააიაფა თავისი გრძნობები, თავისი ვნება, როგორც კი ამ გამოგონილ ქმარში — დარნლეიში ამპარტავანი, თავხედი, უმადური ახალგაზრდა შეიცნო, ფიზიკური სწრაფვა ზიზღით შეეცვალა. გული რომ გაუცივდა, მის ფიზიკურ სიახლოვესაც ვერ იტანდა.

დედოფალმა შენიშნა თუ არა, ფეხმძიმედ იყო, ათასნაირ მიზეზს იგონებდა, რომ თავი აერიდებინა ცოლქმრული ურთიერთობისთვის. ხან თავს მოიავადმყოფებდა, ხან დაღლილი იყო. ყოველთვის პოულობდა მიზეზს, თავი აერიდებინა მისთვის. თუ პირველ თვეებში მათი ცოლქმრობისა (გააფთრებულმა დარნლეიმ თვითონვე გამოამჟღავნა ეს ინტიმური წვრილმანები) თვითონ უფრო მეტ ვნებას იჩენდა, ახლა შეურაცხყოფდა ქმარს ხშირი უარით. ამგვარად, ინტიმურ სფეროშიც კი, რომლითაც დაიპყრო ეს ქალი, დარნლეიმ (ეს მეტად ღრმა და მტკივნეული შეურაცხყოფა იყო) გაუბედურებულად და მიტოვებულად იგრძნო თავი.

დარნლეის თავშეკავება არ შეეძლო, ყველას შესჩიოდა თავის დამარცხებას, სულელურად შესტიროდა, მიმატოვესო, გოდებდა და მოსთქვამდა. გულში მჯიღს იცემდა და იფიცებოდა, უსასტიკესად ვიძიებ შურსო. რაც უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდა, შეურაცხმყვესო, მით უფრო სასაცილოდ ჟღერდა მისი მუქარა. გავიდა რამდენიმე თვე და თუმცა მეფე ერქვა, ცოტა ხნის წინათ ეს სათაყვანებელი კერპი კარისკაცთა თვალში მოსაწყენ, გაბოროტებულ მუქთახორად იქცა და ყველა გულგრილად ზურგს აქცევდა. თავს არავინ უხრიდა, ყველა იცინოდა, როცა ეს Henricus Rex Scotiae[1] რაიმეს მოისურვებდა ან ითხოვდა. ისე საშიში არ არის, როცა მბრძანებელი სძულთ, საშიშია, როცა ყველა აითვალწუნებს.

საშინელ სასოწარკვეთილებას, რაც განიცადა მარიამ სტიუარტმა მეორედ გათხოვებისას, ადამიანურის გარდა პოლიტიკური მხარეც

[1] *ჰენრი, მეფე შოტლანდიისა (ლათ.).*

გააჩნდა. მას იმედი ჰქონდა, ახალგაზრდა, სულით ხორცამდე ერთგულ მეუღლეზე დაყრდნობით, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდებოდა მერეის, მაიტლენდისა და სხვა ბარონების მეურვეობისგან. მაგრამ თაფლობის თვესთან ერთად გაქრა ეს ილუზიებიც. დარნლეის გულისთვის მოიშორა მერეი და მაიტლენდი. ასე არასოდეს უგრძნია მარტოობა. რა სასოწარკვეთილებაშიც უნდა ჩავარდნილიყო, ვიღაცას ხომ უნდა მინდობოდა გულღიად. იმისთვისაც კი არ ეძებდა თანაშემწეს, რომ ეშინოდა, უნდოდა, სინდისის ხმას მიჰყოლოდა და მთლად დაყრდნობოდა. ჯობდა დაბალი წარმოშობის ადამიანი დაეახლოებინა, თუნდაც ნუ იქნებოდა ისეთი წარმოსადეგი, როგორებიც მერეი და მაიტლენდი იყვნენ, ოღონდ, — კეთილი მსახურისთვის დამახასიათებელი ღირსებით — ერთგულებითა და საიმედობით ყოფილიყო დაჯილდოებული, რაც ბევრად უფრო ძვირფასი იყო შოტლანდიის კარზე. შემთხვევამ მოუვლინა ასეთი ადამიანი. მარკიზმა მორეტმა, საკოიას ელჩმა, თავის მრავალრიცხოვან ამალაში ჩამოიყვანა ახალგაზრდა, შავგვრემანი პიემონტელი (in visage very black) დავით რიჩო, ოცდარვა წლის, შავთვალა, ალისფერტუჩება, მეტად კარგი მომღერალი კაცი (Particolarmente era buon musico). როგორც ცნობილია, პოეტები და მუსიკოსები სანატრელი სტუმრები იყვნენ მარიამ სტიუარტის რომანტიკულ სამეფო კარზე. მას მშობლებისაგან თან დაჰყვა ხელოვნების მგზნებარე სიყვარული და ისე არაფერი ახარებდა და ამშვიდებდა, როგორც მშვენიერი სიმღერის მოსმენა, ვიოლინოს ან ბარბითის ხმებით დატკბობა. ამ დროს სამეფო კაპელაში სწორედ ბანი სჭირდებოდათ და რადგანაც სენიორ დევი (ასე ეძახდნენ იტალიელს მეგობრების წრეში) არათუ კარგად მღეროდა, მუსიკისთვის ლექსებსაც თხზავდა, დედოფალმა ელჩს სთხოვა, მისთვის დაეთმო თავისი buon musico. მორეტს წინააღმდეგობა არ გაუწევია, რიჩოსაც ბედმა გაუღიმა, წლიურად სამოცდახუთ გირვანქა ოქროს მიიღებდა. ის, რომ წიგნებში გატარებული იყო, როგორც David le chantre[1] და სამეფო კარის შინაყმათა კამერდინერად ჩარიცხეს, სრულიადაც არ ამცირებდა მას. თვით ბეთჰოვენის დრომდე მუსიკოსები, თუნდაც ნახევრად ღმერთები ყოფილიყვნენ, თავადების შინაყმებად ითვლებოდნენ. თვით ვოლფგანგ ამადეი მოცარტი და ჭაღარათმიანი ჰაიდნი, თუმცა მათი სახელები მთელ ევროპაში

[1] *მომღერალი დავითი (ფრ.).*

გრგვინავს, ბატონთა სუფრას კი არ უსხდნენ, მეჯინიბეებთან და მსახურებთან ცარიელ ფიცარზე შეექცეოდნენ.

რიჩოს მარტო ტკბილი ხმა კი არ ჰქონდა, მახვილი ჭკუაცა და კარგი გემოვნებაც. ფრანგულსა და იტალიურზე ნაკლებ არ იცოდა ლათინური. თან კალამიც უჭრიდა. ერთ-ერთი შემონახული მისი სონეტი მოწმობს მის პოეტურ ნიჭსა და ფორმის გრძნობას. მალე რიჩოს შემთხვევა მიეცა, საფარეშო დაეტოვებინა. დედოფლის სანდო მდივანმა როლემ საკმაო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა შოტლანდიის სამეფო კარზე გამძვინვარებული ეპიდემიის — ინგლისელთა მიერ მოსყიდვის წინააღმდეგ და საჩქაროდ მოიშორეს თავიდან. და აი, დედოფლის კაბინეტში დაცარიელებულ ადგილზე აძვრა თმაგაჩეჩილი რიჩო. ამ წუთიდან სწრაფად ადიოდა იგი დიდების კიბეზე. ჩვეულებრივი მწერლიდან დედოფლის სანდო პირი გახდა. მარიამ სტიუარტი უკვე აღარ კარნახობდა პიემონტელ მდივანს თავის წერილებს, რიჩო თვითონ წერდა მისი შეხედულებისამებრ. რამდენიმე კვირის შემდეგ გამოჩნდა მისი გავლენა შოტლანდიის საქმეებში. ნაჩქარევ კავშირს კათოლიკე დარნლეისთან, ასევე იმ სიმტკიცეს, დედოფალმა რომ გამოიჩინა და არ შეიწყალა მერეი და სხვა მეამბოხენი, შერისხული კარისკაცნი ამაოდ კი არ აბრალებდნენ რიჩოს მიერ მოწყობილ ინტრიგებს. ძნელია თქმა, იქნებ ეს მხოლოდ ეჭვია, მაგრამ ისე ერთგულად არავინ მომსახურებია მარიამ სტიუარტს შოტლანდიაში, როგორც ეს პაპისა და კათოლიციზმის მგზნებარე დამცველი ემსახურებოდა. მარიამ სტიუარტს კი შეეძლო ნამდვილი ერთგულების დაფასება. ვისი ერთგულების იმედიც ჰქონდა დედოფალს, მას მოწყალებასაც მიაგებდა. აშკარად, სრულიად აშკარად აჯილდოებდა რიჩოს, უძღვნიდა ძვირფას ტანსაცმელს, ანდობდა სამეფო ბეჭედსა და სახელმწიფო საიდუმლოებებს. არ გასულა ცოტა ხანი და დავით რიჩო პირველი დიდებული გახდა სამეფო კარზე. სრულიად თამამად მიუჯდებოდა ხოლმე სუფრას დედოფალთან და მის მეგობრებთან ერთად. როგორც თავის დროზე შატელიარი (ეს ბედისაგან განწირული ადამიანი), კეთილმოსურნე maitre de plaisir, გართობისა და ქეიფის მინისტრი სამეფო კარზე კონცერტებსა და სხვა მშვენიერ გასართობებს აწყობდა. ქვეშევრდომი თანდათან მეგობრად იქცა. სამეფო კარის დიდებულთა გულზე გასახეთქად მდაბალი წარმოშობის უცხოელი შუაღამემდე რჩებოდა დედოფლის

განსასვენებელში და ესაუბრებოდა. დიდებულის ტანსაცმელში გამოწყობილს ამპარტავნად ეჭირა თავი. მეტად აღაზევეს. განა დიდი ხანია მას შემდეგ, ლაქიას გაცვეთილ ლივრეაში სამეფო კარზე რომ გამოცხადდა — მხოლოდ კარგად მღეროდა! ახლა კი შოტლანდიაში საქმე არ კეთდებოდა, მისთვის რომ არ ეკითხათ და გაეგებინებინათ, მაგრამ ყველაზე მეტად აღზევებული რიჩო უწინარეს თავისი ქალბატონის უერთგულესი მსახური იყო. იგი დედოფლის დამოუკიდებლობის მეორე საიმედო ბურჯი გახდა. არა მხოლოდ პოლიტიკური, სამხედრო ძალაუფლებაც საიმედო ხელთ იყო. მისი დასაყრდენი ახლა სხვა ადამიანი — ლორდი ბოთველი იყო. პროტესტანტი ჭაბუკი დედამისის, მარიამ დე გიზის ინტერესებს იცავდა პროტესტანტი ლორდების კონგრეგაციისაგან, შემდეგ მერეის რისხვას შოტლანდიიდან გაექცა; როცა მისი მოსისხლე მტერი დამარცხდა, დაბრუნდა და თავისი მომხრეებით დედოფალს ამოუდგა მხარში. ეს სახუმარო ძალა როდი იყო. მეტისმეტად მამაცმა, ყოველგვარი თავგადასავლისთვის მზადმყოფმა მორკინალმა ვაჟკაცმა, ვინც სიყვარულიც იცოდა და სიძულვილიც, მოიყვანა თავისი borderers — მესაზღვრეები. თვითონაც დაუძლეველ ძალას წარმოადგენდა. მადლიერმა მარიამ სტიუარტმა გენერალ-ადმირლობა უწყალობა, რადგან იცოდა, მტერს არ შეუშინდებოდა როგორც მისი, ასევე ტახტზე მისი უფლებების დასაცავად.

ამ ერთგულ ქვეშევრდომებზე დაყრდნობით ოცდასამი წლის მარიამ სტიუარტს შეეძლო ხელში აეღო პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლება. ბოლოს გადაწყვიტა, მხოლოდ თვითონ ემართა სახელმწიფო. საფრთხეს არ უშინდებოდა ეს განუსჯელი ბუნების ქალი.

მაგრამ როგორც კი მონარქი მოინდომებდა ერთპიროვნულად ემართა სახელმწიფო, შოტლანდიელი ლორდები ყალყზე დგებოდნენ. ამ ურჩებს ისე არავინ სძულდათ, როგორც დედოფალი, რომელიც არ ეპირფერებოდა და ქედს არ უხრიდა მათ. ინგლისიდან სამშობლოსკენ მოისწრაფოდნენ მერეი და სხვა შერისხული დიდებულნი. ისინი თხრილებს თხრიდნენ და შიგ ნაღმებს აწყობდნენ. მათ შორის ოქრო-ვერცხლისასაც, მაგრამ მარიამ სტიუარტმა საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა. დიდებულთა რისხვა პირველ რიგში თავს დაატყდა მის მრჩეველ რიჩოს: ციხე-კოშკებში საიდუმლოდ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს განრისხებული დიდებულები. აღშფოთებული

პროტესტანტები გრძნობდნენ, რომ ჰოლირუდში მაკიაველისებური დიპლომატიური ინტრიგების ქსელი იხლართებოდა. დანამდვილებით არ იცოდნენ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ შოტლანდიაში კონტრრეფორმაციის დიდი იდუმალი შეთქმულება მზადდებოდა. იქნებ მარიამ სტიუარტმა კათოლიკურ კავშირთან ერთად სხვა მოვალეობანიც იკისრა! პირველად ამაზე პასუხს აგებდა ეს უცხოელი რიჩო, ვიგინდარა, რომელსაც ასე სწყალობდა დედოფალი, სამეფო კარზე კი ერთი კეთილმოსურნეც არ მოეძებნებოდა. მართლაც რომ საოცარია, ჭკვიანებს რა მცდარ გზაზე აყენებს საკუთარი უგუნურობა. იმის მაგივრად რომ დაეფარა, რა ძალა გააჩნდა, რიჩო (მეფის რჩეულნი მუდამ ცდებიან ამაში) ყოყოჩობდა ამით. მაგრამ ყველაზე შეურაცხყოფილნი ამაყი დიდებულები იყვნენ, როცა ხედავდნენ, რომ უბრალო ლაქია, მეარღნე, უგვარტომო მთელი საათობით როგორ იჯდა დედოფლის განსასვენებელში და გულს უამებდა ტკბილი საუბრით. დიდებულებს ეჭვი უღრღნიდათ გულს, ისინი უეჭველად რეფორმაციის ძირფესვიანად ამოძირკვასა და კათოლიციზმის განმტკიცებაზე საუბრობენო. დროულად რომ ჩაეხშოთ ეს ბილწი აზრები, რამდენიმე პროტესტანტმა ლორდმა შეთქმულება მოაწყო.

შოტლანდიის დიდებულებს საუკუნეობით მოსდგამდათ საძულველ მტერს ერთადერთი საშუალებით — ხანჯლით გასწორებოდნენ. მხოლოდ მაშინ ჩაიგდებდნენ ხელთ სადავეებს და მარიამ სტიუარტსაც დაიმორჩილებდნენ, თუ ობობას, უხილავ ქსელს რომ აბამდა, გასრესდნენ, გზიდან ჩამოიცილებდნენ. თავგადასავლის მაძიებელი, გაქნილი იტალიელის, რიჩოს მოსპობის გეგმა შოტლანდიის დიდებულებს, ეტყობა, კარგა ხანია მოფიქრებული ჰქონდათ. რამდენიმე თვით ადრე მის მკვლელობამდე ინგლისის ელჩი ლონდონში სწერდა: „ან უფალი წაიყვანს ნაადრევად, ან ჯოჯოხეთს განუმზადებს დედამიწაზე“. მაგრამ შეთქმულები კარგა ხანს ვერ ბედავდნენ აშკარად გამოსვლას. მუხლები უკანკალებდათ იმის გაფიქრებაზე, როგორ უცბად მოუჭრა მათ გზა მარიამ სტიუარტმა. არც ის სურდათ, მერეისა და სხვა ემიგრანტების ხვედრი გაეზიარებინათ. არანაკლებ ეშინოდათ ბოთველის რკინის ხელისა. იცოდნენ, იგი ჩქარა გაუსწორებდა მათ ანგარიშს. იმაშიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამპარტავანი მედროვე ისე არ დაეცემოდა, მათ შეთქმულებაში მიეღო მონაწილეობა. ამიტომ მხოლოდ ბუზღუნებდნენ და ჩუმად მუშტებს

კრავდნენ, სანამ ერთ ლორდს ასეთი გეგმა არ მოუვიდა თავში — ნამდვილად რომ ეშმაკის გამონაგონი იყო — რიჩოს მკვლელობა შეთქმულების მიზნად კი არა, სრულიად კანონიერ და ჭეშმარიტად პატრიოტულ საქმედ ექციათ. ამისათვის საფრად და შეთქმულების მოთავედ დარნლეი გამოიყენეს. ერთი შეხედვით სულელური წამოწყება იყო. სამეფოს მბრძანებელი ილაშქრებდა საკუთარი მეუღლის, დედოფლის წინააღმდეგ! მაგრამ ფსიქოლოგიურად ეს გამართლებული იყო, რადგან დარნლეის უდიდეს სტიმულს მატებდა დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა. რიჩოც მეტისმეტად აღზევდა და დარნლეის საბაბი ჰქონდა, სიბოროტითა და სიძულვილით ანთებულიყო თავისი ყოფილი მეგობრისადმი. გადმოხვეწილი მაწანწალა დიპლომატურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მან კი, Henricus Rex Scotiae, ამისი არაფერი იცოდა. ღამის პირველ-ორ საათამდე იჯდა დედოფალთან და მის მეუღლეს კანონიერ საათებს ართმევდა. რიჩოს ძალაუფლება დღითი დღე იზრდებოდა, მისი კი თანდათან სუსტდებოდა მთელი სამეფო კარის თვალში. მარიამ სტიუარტმა რომ არ მოისურვა იგი თანამმართველად გაეხადა, გადაეცა მისთვის matrimonial crown, დარნლეი, იქნებ სამართლიანადაც, რიჩოს გავლენას მიაწერდა. ესეც კი საკმარისი იყო, განრისხებული კაცის გულში, ვინც დიდსულოვნებითა და კეთილშობილებით არ გამოირჩეოდა, სიძულვილი აღეძრა. ბარონები ღია ჭრილობაზე კიდევ უფრო მეტ შხამს ასხამდნენ. ისინი ყველაზე მგრძნობიარე ადგილს, მის მამაკაცურ ღირსებას ეხებოდნენ, აღუძრავდნენ ეჭვს, ყურში აწვეთებდნენ, რიჩო დედოფლის მხოლოდ თანამესუფრე კი არ არის, მის სარეცელსაც იზიარებსო. თუმცა დამამტკიცებელი საბუთები არ გააჩნდათ, მაგრამ დარნლეი ადვილად წამოეგო ამ ანკესზე, რადგან მარიამ სტიუარტი ბოლო ხანებში თავს არიდებდა ცოლის მოვალეობის შესრულებას. ნუთუ — რა საშინელი აზრი იყო! — მას ეს ბინძური მუსიკოსი ამჯობინა. შეურაცხყოფილი პატივმოყვარე კაცი, რომელსაც ვაჟკაცობა არ ჰყოფნიდა აშკარად, ყველას გასაგონად დაედანაშაულებინა ცოლი, შეიძლებოდა ადვილად დაეჭვებულიყო: ვისაც საკუთარი თავისა არა სწამს, არც სხვისი სჯერა. ლორდებს დიდი დრო არ დაუხარჯავთ მის გასაღიზიანებლად. დარნლეის სულ მალე ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა, რომ „ყველაზე დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს, როგორიც კი, საერთოდ, შეიძლება მიაყენონ მამაკაცს“. ამგვარად,

წარმოუდგენელი ამბავი მოხდა: მეფემ თანხმობა განაცხადა, სათავეში ჩასდგომოდა დედოფლის, მისი მეუღლის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას.

მუსიკოსი დავით რიჩო მართლა იყო თუ არა დედოფლის საყვარელი, სამუდამოდ გამოცანად დარჩა. მაგრამ ის აშკარა წყალობა, რასაც მარიამ სტიუარტი კარისკაცთა თვალწინ იჩენდა თავისი ერთგული მდივნისადმი, მჭევრმეტყველურად აბათილებს ამ ეჭვს. თუნდაც დავუშვათ, რომ მამაკაცისა და დედაკაცის სულიერი სიახლოვიდან ფიზიკურ სიახლოვემდე სულ უმნიშვნელო ნაბიჯი იყოს, რაც ერთმა მღელვარე წუთმა ან გაუფრთხილებელმა მოძრაობამ ადვილად შეიძლება წაშალოს, მარიამ სტიუარტი, რომელიც უკვე გრძნობდა შვილის გულისძგერას, ისე მხურვალედ და მზრუნველად მეგობრობდა რიჩოსთან, შეუძლებელია ეს მოღალატე ცოლის დახელოვნებულ ოსტატობად ჩავთვალოთ. მდივანთან საეჭვო კავშირი რომ ჰქონოდა, ბუნებრივია, მოერიდებოდა იმას, რაც ეჭვს იწვევდა: გათენებამდე აღარ დაისვამდა იტალიელსა და მის დაკვრას არ მოისმენდა, ბანქოს არ ეთამაშებოდა, არ ჩაიკეტებოდა მასთან ერთად თავის სამუშაო კაბინეტში დიპლომატიური წერილების შესადგენად. მაგრამ ამ შემთხვევაში, ისევე როგორც შატელიართან, მარიამ სტიუარტი აცდუნა მისმა თანდაყოლილმა თვისებებმა — დედოფალს ეზიზღებოდა მითქმა-მოთქმა და ყურად არ იღებდა ჩურჩულსა და ჭორებს. იგი უშუალო ბუნების ქალი იყო ისევე, როგორც გულუბრყვილობა და სათნოება ერთი მედლის ორი მხარეა. მის ხასიათში ერთმანეთს ერწყმოდა წინდაუხედაობა და სიმამაცე. მხოლოდ მას შეეშინდება ამგვარი ბრალდებისა და ფრთხილად და წინდახედულად მოიქცევა, ვინც თავის თავში არ არის დარწმუნებული და ლაჩარია.

მაგრამ საკმარისია, ვინმეს ქალზე წამოსცდეს თუნდაც სულელური და უაზრო რამ, რომ ვეღარ შეაჩერებ. ერთი მეორეს გადასცემს და ცნობისმოყვარეობის ნიავით გაბერილი ფართოვდება და იზრდება. ჰენრიხ IV-მ მთელი ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი გამოიყენა ეს ცილისწამება და იაკობ VI-ის, მარიამ სტიუარტის ვაჟიშვილის დასაცინად, რომელსაც იგი მაშინ მუცლით ატარებდა, თქვა: „უფრო სწორი იქნებოდა მისთვის სოლომონი ეწოდებინათ, ისიც ხომ დავითის ძეა“. ამგვარად, სრულიად უდანაშაულოდ, წინდაუხედაობით მეორედ გაუტყდა სახელი მარიამ სტიუარტს.

შეთქმულებსაც, რომელთაც შეაქეზეს დარნლეი, არ სჯეროდათ თავიანთი გამონაგონისა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათ მიერ ბასტარდად ცნობილი იაკობ VI ორი წლის შემდეგ თვითონვე საზეიმოდ აკურთხეს მეფედ.

ამპარტავანი ლორდები ერთგულებას არ შეჰფიცებდნენ ვიღაც მოხეტიალე მუსიკოსის ნაშიერს. სიძულვილით დაბრმავებულმა მატყუარებმა მაშინვე იცოდნენ სიმართლე. მაგრამ ცილს იმიტომ სწამებდნენ, რომ დარნლეის უფრო გაღვიძებოდა შეურაცხყოფა. ის კი ისედაც გიჟი იყო, ისედაც თავში დომხალი ჰქონდა მუდამ მტანჯველი არასრულფასოვნების შეგრძნებისაგან და გაღვივებულმა ეჭვმა მთლად დააბრმავა. თითქოს ბუღას წინ წითელი ნაჭერი აუფრიალესო, ცეცხლივით შემოენთო ბრაზი და დაგებული მახისკენ გაიქცა. არც კი დაფიქრებულა, ისე ჩაება შეთქმულებაში საკუთარი ცოლის წინააღმდეგ. გავიდა ერთი-ორი დღე და დარნლეის ყველაზე მეტად რიჩოს, თავისი ყოფილი მეგობრის სისხლი სწყუროდა, მეგობრისა, რომელთანაც იზიარებდა სუფრასა და სარეცელს და თავზე გვირგვინი რომ დაიდგა, ნაწილობრივ მოხეტიალე მუსიკოსის მადლიერი უნდა ყოფილიყო.

პოლიტიკურ მკვლელობას შოტლანდიის კარისკაცნი საფუძვლიანად, დიდი ხნის ნანატრი ზეიმივით ამზადებდნენ. წუთიერი აჩქარება ან გააფთრება დაღუპავდათ: პარტნიორებმა წინასწარ წერილობითი ვალდებულებანი აიღეს. მხოლოდ პატიოსნებასა და სინდისს ვერ ენდობოდნენ, რადგან ასე კარგად არ იცნობდნენ ერთმანეთს. ვალდებულება ხელმოწერითა და ბეჭდით განამტკიცეს, თითქოს ეს რაინდული საქმე კი არა, ნოტარიული აქტი იყო. ყოველი ასეთი ავაზაკური განზრახვისას, როგორც სავაჭრო გარიგებისას, კონტრაქტი იწერებოდა, ეგრეთ წოდებული covenant ან bond, რომელშიც ბანდიტი კარისკაცნი ერთმანეთს ერთგულების ფიცს აძლევდნენ გაჭირვებასა თუ სიხარულში, რადგან თავიანთ მბრძანებელს ბრბოსავით, ბანდასა და ურდოსავით უნდა დასხმოდნენ თავს. ამჯერად, პირველად შოტლანდიის ისტორიაში, შეთქმულებს გაუგონარი პატივი ხვდათ წილად: მათ „ბონდზე“ მეფის ხელმოწერა იყო. დარნლეისა და ლორდებს შორის დაიდო პატიოსანი, წესიერი კონტრაქტი, რომელშიც გადაყენებული მეფე და უგულებელყოფილი ბარონები ვალდებულებას იღებდნენ მარიამ სტიუარტისთვის ძალაუფლება

წაერთმიათ. პირველ „ბონდში“ დარნლეი, როგორადაც უნდა დამთავრებულიყო საქმე, შეთქმულებს სრულ გარანტიას აძლევდა, რომ არ დასჯიდნენ, ჰპირდებოდა, თვითონ ეშუამდგომლა მათთვის და დაეცვა დედოფლის წინაშე. შემდეგ, როგორც კი მიიღებდა მეფის ხელისუფლებას, სწორედ იმ matrimonial crown-ს, რაზეც ასე დაბეჯითებით უარი უთხრა მარიამ სტიუარტმა, თანხმობას აცხადებდა, განდევნილი ლორდები დაებრუნებინა და ყოველგვარი faults[1] მოეხსნა მათთვის. გარდა ამისა, იგი ვალდებულებას იღებდა, დაეცვა „კირხა“ ყოველგვარი მცდელობისაგან. თავის მხრივ შეთქმულები მეორე „ბონდში“ ან როგორც ვაჭრები ამბობენ ხოლმე, საპასუხო მოვალეობაში, ჰპირდებოდნენ ელიარებინათ დარნლეი სრულუფლებიან მბრძანებლად. მეტიც, დედოფლის სიკვდილის შემთხვევაში (შემდეგ ჩანს, რომ კარგად ჰქონდათ მოფიქრებული ეს შესაძლებლობა), შეენარჩუნებინათ მისთვის ძალაუფლება. მაგრამ სავსებით გასაგებ სიტყვებში რაღაც ისეთი იგრძნობოდა, რასაც ვერ მიხვდა დარნლეი. ინგლისის ელჩს კი ესმოდა, რაც ტექსტში ეწერა და რაც იგულისხმებოდა — „უბედური შემთხვევის“ წყალობით თავიდან მოეშორებინათ დედოფალი და უვნებელეყოთ იგი თავის იტალიელთან ერთად.

ამ სამარცხვინო გარიგებაზე ჯერ მელანი არ შემშრალიყო, ინგლისში ცხენები მსტოვრებს მიაჭენებდნენ, რომ მერეისათვის შეეტყობინებინათ, შოტლანდიაში დასაბრუნებლად მომზადებულიყო. ინგლისის ელჩიც, რომელიც უმნიშვნელო როლს არ ასრულებდა შეთქმულებაში, ჩქარობდა, შეეტყობინებინა ელისაბედისათვის ის სისხლიანი სიურპრიზი, მეზობელ სამეფოს რომ ელოდა: „დანამდვილებით ვიცი, — სწერდა 13 თებერვალს, ე.ი. მკვლელობამდე კარგა ხნით ადრე ლონდონში, — რომ დედოფალი ნანობს გათხოვებას და სძაგს ისიცა და მთელი მისი მოდგმა. ისიც ვიცი, რომ მეფეს ეჭვი აქვს, თითქოს მის სამფლობელოში ვიღაც ნადირობს (partaker in play and game) და მამასთან ერთად განზრახული აქვს, ძალით ჩაიგდოს ხელთ ძალაუფლება. ვიცი, თუ ყველაფერი წარმატებით დამთავრდა, ამ ათ დღეში დავითს ყელს გამოსჭრიან“. მაგრამ, ეტყობოდა, ელისაბედის მსტოვრებმა შეთქმულთა უფრო საიდუმლო განზრახვანიც იცოდნენ: „ჩემს ყურამდე უფრო საშინელმა ამბებმა მოაღწია, თითქოს შეთქმულება მზადდება თვით დედოფლის წინააღ-

[1] *ბეგარა (ფრ.).*

მდეგ“. წერილი მოწმობს, რომ შეთქმულება უფრო ვრცელ მიზნებს ისახავდა, ვიდრე საჭიროდ ჩათვალეს, სულელი დარნლეისათვის ეთქვათ — რომ რიჩოსკენ დამიზნებული ხანჯალი საფრთხეს უქადდა მარიამ სტიუარტსაც, მისი სიცოცხლე არანაკლებ საფრთხეში იყო, ვიდრე მისი მდივნისა. გააფთრებული დარნლეი (როცა მშიშარა ძალას იგრძნობს, უსაზღვროა მისი მძვინვარება) შურისძიების ცეცხლით იყო ანთებული იმ კაცისადმი, ვინც მოსტაცა სახელმწიფო ბეჭედი და მისი მეუღლის ნდობა. მარიამ სტიუარტის დასამცირებლად მოითხოვდა, რიჩო მის თვალწინ დაესაჯათ. ეს ბოდვა იყო ლაჩრისა. ამით იმედი ჰქონდა, გასტეხდა ურჩი ცოლის მეამბოხე სულს და მხეცური ძალმომრეობის ხილვით მოათვინიერებდა ქალს, ვისაც სძაგდა იგი. მეფის სურვილით გადაწყდა, რიჩოს ფეხმძიმე ქალის განსასვენებელში გასწორებოდნენ. შესაფერის დღედ 9 მარტი ამოირჩიეს. ამ სულმდაბლურ ჩანაფიქრზე მეტად შემაძრწუნებელი უნდა ყოფილიყო დასჯა.

იმ დროს, როცა ელისაბედმა და მისმა მინისტრებმა ერთი კვირით ადრე ყოველი წვრილმანი იცოდნენ შეთქმულებისა (ელისაბედს მხოლოდ „დის“ გაფრთხილება დაავიწყდა), მერეი საზღვარზე თავს ძლივს უჭერდა შეკაზმულ ცხენს, ხოლო ჯონ ნოქსი ქადაგებას ამზადებდა, რომელშიც ხოტბას ასხამდა მკვლელობას, „ვით ყოველი გულის დამაამებელს“ (most worthy of all praise). ყველასგან მოტყუებულ მარიამ სტიუარტს ოდნავი ეჭვიც კი არ ჰქონია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ბოლო დღეებში დარნლეი (ეს პირფერობა კიდევ უფრო საზიზღარს ხდის ღალატს) ისე მოკრძალებით იქცეოდა, მარიამ სტიუარტი ვერც წარმოიდგენდა, რა საბედისწერო ღამე ელოდა, რასაც მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში ვერ დაივიწყებდა. რიჩომ ვიღაცის ხელით დაწერილი ბარათი მიიღო, აფრთხილებდნენ, მაგრამ ყურადღება არც კი მიუქცევია, რადგან დარნლეიმ, მისი უნდობლობა რომ გაეფანტა, ნასადილევს შესთავაზა, ბურთი ვითამაშოთო. მხიარულმა, უდარდელმა მუსიკოსმა უარი ვერ უთხრა ყოფილ მეგობარს.

ამასობაში დაღამდა კიდეც. მარიამ სტიუარტმა, ჩვეულებისამებრ, ბრძანა, ვახშამი კოშკის ოთახში მიერთმიათ, მისი განსასვენებლის გვერდით, მეორე სართულზე. ეს პატარა ოთახი იყო, სადაც ახლობლები იკრიბებოდნენ ხოლმე. აი, ჩვეული ვიწრო წრე: რამდენიმე

დიდებული და ნახევარდა მარიამ სტიუარტისა შემოუსხდნენ ვერცხლის შანდლებით გაჩირაღდნებულ მასიურ მაგიდას. დედოფლის პირდაპირ მდიდრულად ჩაცმული, თითქოს გამოჩენილი ჯარისკაციაო, იჯდა დავით რიჩო, თავზე à la mode de France[1] შლაპა ეხურა. ტანთ მოქარგული, ბეწვშემოვლებული კურტაკი ეცვა. ხუმრობდა და საზოგადოებას შეაქცევდა. ნავახშმევს მუსიკას მოისმენდნენ ან სხვა სასიამოვნო რამეს მოიგონებდნენ დროის გასატარებლად. პირველად არავის გაჰკვირვებია, რომ დედოფლის განსასვენებლის კარზე ჩამოფარებული ფარდა შეირხა და შემოვიდა დარნლეი — მეფე და მეუღლე. ყველანი ფეხზე წამოუდგნენ იშვიათ სტუმარს, მისი მეუღლის გვერდით დაუთმეს ადგილი ვიწრო მაგიდასთან. დარნლეი ფრთხილად მოეხვია მეუღლეს და იუდასებურად ნაზად ეამბორა ბაგეზე. გაცხოველებული საუბარი არ შეწყვეტილა, მხიარულად წკრიალებდა თეფშები და ჭიქები.

კვლავ გადაიწია ფარდა, მაგრამ ამჯერად ყველანი გაოცებულები, გაჯავრებულები და შეშინებულები წამოცვივდნენ: კარის ზღურბლზე შავი ანგელოსივით იდგა თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი, ხმალგაშიშვლებული ერთი შეთქმულთაგანი, ლორდი პატრიკ რუტვენი, რომლისაც ყველას ეშინოდა და ჯადოქარს ეძახდნენ. სახეზე მკვდრისფერი ედო. ავადმყოფი, სიცხიანი წამოდგა სარეცლიდან, რომ ხელიდან არ გაეშვა ასეთი სასახელო საქმე. სისხლიანი თვალებით ულმობლად შეათვალიერა ყველანი. ავი წინათგრძნობით შეპყრობილმა დედოფალმა — რადგან გარდა მისი ქმრისა არავის ჰქონდა უფლება მის განსასვენებელში გამავალი საიდუმლო კიბით ამოსულიყო, გოროზად ჰკითხა, ვინ მოგცა უფლება დაუპატიჟებლად შემოსვლისო. რუტვენმა გულგრილად, დინჯად თქვა, — ნურც თქვენ და ნურც სხვას ნურავის გეშინიათ, მე აქ მხოლოდ yonder poltroon David[2] მოვედიო.

რიჩოს მკვდრისფერი დაედო სახეზე და უნებურად მაგიდას წაეტანა. მაშინვე მიხვდა, რაც ელოდა. მხოლოდ მის ქალბატონს, მარიამ სტიუარტს შეეძლო მისი დახსნა. მეფეს თავიც არ შეუწუხებია, რომ თავხედისთვის კარისაკენ მიეთითებინა. იჯდა გულგრილად, შემკრთალი, ეს საქმე თითქოს მას სულაც არ ეხებო-

[1] *ფრანგული მოდის.*

[2] *ამ მშიშარა დავითის გულისთვის (ფრ.).*

და. მარიამ სტიუარტი იმ წუთშივე გამოესარჩლა რიჩოს: რა ბრალს სდებთ, რა დააშავაო.

რუტვენმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა ზიზღით.

— თქვენს მეუღლეს ჰკითხეთ, Ask your husband.

მარიამ სტიუარტი უნებურად დარნლეისკენ მიტრიალდა, მაგრამ ეს არარაობა, რომელიც კვირაობით მოუწოდებდა მკვლელობისაკენ, გადამწყვეტ წუთში მოიკუნტა. ვერ გაბედა, აშკარად, პირდაპირ მიმხრობოდა თავის ამხანაგებს.

— მე არაფერი ვიცი, — ჩაიბურტყუნა შემკრთალმა და თვალი აარიდა.

მაგრამ ფარდის უკან კვლავ გაისმა ნაბიჯების ხმა და იარაღის ჟღარუნი. შეთქმულნი რიგრიგობით ამოდიოდნენ ვიწრო კიბეზე. ახლა კი მათმა აბჯრებმა რკინის კედელივით გადაუღობა გზა რიჩოს. ველარსად გაიქცეოდა. მარიამ სტიუარტმა სცადა, მოლაპარაკება გაემართა, რომ ერთგული მსახური დაეხსნა. თუ დავითი რამეში დამნაშავეა, მე თვითონ გადავცემ სამსჯავროს, დაე, დიდებულებისა და პარლამენტის წინაშე აგოს პასუხი, ახლა კი გიბრძანებთ, ჩემი განსასვენებელი დატოვოთო.

მაგრამ შეთქმულთ ეს ყურადაც არ იღეს. რუტვენი ცოცხალმკვდარი რიჩოსაკენ გაემართა, რომ ხელი ეტაცა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ იტალიელს კისერზე ყულფი ჩამოაცვა და კარისკენ გაათრია. ამ არეულობაში გადაბრუნდა მაგიდა, ჩაქრა შანდლები. ძალღონეგამოცლილი, უიარაღო რიჩო, რომელიც არც გმირი იყო და არც მებრძოლი, დედოფლის კაბას ჩაეჭიდა და ამ არეულობაში, შეშზარავად ღრიალებდა:

— Madonna, io sono morto, giustizia, giustizia![1]

რომელიღაც შეთქმულმა რევოლვერი ამოიღო და დედოფალს დაუმიზნა, რაღა თქმა უნდა, ჩახმახს გამოუშლიდა, როგორც ეს წინასწარ იყო გამიზნული, რომ ვიღაცას ხელი არ აეკრა, დარნლეიმ კი ხელები შემოხვია ორსული ქალის დამძიმებულ სხეულს და მანამდე არ გაუშვა, ვიდრე სხვებმა ოთახიდან არ გაათრიეს მსხვერპლი, მხეცივით რომ ღრიალებდა და თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა მათ. ბოლოს, როცა მარყუჟჩამოცმული რიჩო დედოფლის საწოლ ოთახზე გაათრიეს, მან სცადა, ჩასჭიდებოდა დედოფლის სა-

[1] *მადონა, ვკვდები, სამართალი, სამართალი (იტალ.).*

წოლის ფეხს და მარიამ სტიუარტმა შორიდან გაიგონა მისი ყვირილი, საშველად რომ უხმობდა.

მაგრამ რიჩოს შეუბრალებლად დააჭრეს თითები და იქვე, სადღესასწაულო პალატაში შეათრიეს. აქ გამხეცებულები დაესხნენ თავს. განზრახული ჰქონდათ, რიჩო ჩაემწყვდიათ და მეორე დღეს საჯაროდ ჩამოეხრჩოთ ბაზრის მოედანზე, მაგრამ გააფთრებულმა შეთქმულებმა გონება დაკარგეს. ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, უმწეო სხეულს ხანჯლებით უჩხვლეტდნენ. დაღვრილი სისხლი თავში აუვარდათ, გააფთრებულები გონს ვერ მოსულიყვნენ და ერთმანეთს ჭრილობებს აყენებდნენ. იატაკზე სისხლის მდინარეები მიედინებოდა, მაგრამ მაინც ვერ დაცხრნენ, მხოლოდ მაშინ მიატოვეს თავიანთი მსხვერპლი, როცა გააფთრებით მებრძოლი, ორმოცდაათზე მეტი ჭრილობისგან სისხლით დაცლილი სხეული დამშვიდდა და უკანასკნელი ამოსუნთქვაღა აღმოხდა. მარიამ სტიუარტის ერთგული მეგობრის დაფლეთილი ხორცის გროვა ფანჯრიდან ეზოში გადაისროლეს.

გააფთრებულ მარიამ სტიუარტს ესმოდა მომაკვდავი ერთგული მსახურის ყოველი მოთქმა. დამძიმებული სხეული ვერ გაითავისუფლა საძულველი ქმრის მკლავებისგან, რკინის მარწუხებივით რომ შემოსჭეროდა, მაგრამ დაუდგრომელი სულის მთელი ძალით იბრძოდა ამ გაუგონარი დამცირების წინააღმდეგ, თავისმა ქვეშევრდომებმა რომ მიაყენეს საკუთარ სასახლეში. დარნლეის შეეძლო ხელები გაეკაკვებინა, მაგრამ პირს ვერ აუკრავდა. გააფთრებული სიძულვილისგან სუნთქვაშეკრულმა სახეში მიახალა მომაკვდინებელი სიძულვილი. მოღალატესა და მოღალატის შვილს ეძახდა და საკუთარ თავს ჰკიცხავდა, რომ ეს არარაობა ტახტზე აიყვანა. თუ აქამდე ანტიპათიას გრძნობდა ქმრისადმი, ახლა ეს გრძნობა ნამდვილ, საშინელ სიძულვილად გადაექცა. დარნლეი გულმოდგინედ ცდილობდა, მის წინაშე თავი ემართლებინა. საყვედურებით ავსებდა: ამ თვეების განმავლობაში რამდენჯერ არ გაიკარა ახლოს, იმ ვიგინდარა რიჩოს კი გაცილებით მეტ დროს უთმობდა, ვიდრე მას, მის მეუღლეს. მარიამ სტიუარტმა არც რუტვენი დაინდო და საშინელი სასჯელით დაემუქრა, როცა სისხლიანი საქმიანობის შემდეგ დაქანცული შემოვიდა და სკამზე დაეცა. დარნლეის დედოფლის თვალებში ანთებული, მომაკვდინებელი ზიზღის ამოკითხვის უნარი რომ ჰქონოდა, შეძრწუნდებოდა. მის ადგილას ცოტათი გამჭრიახი და ჭკვიანი კაცი

მიხვდებოდა, რა ძალა ჰქონდა მის ფიცს. დედოფალს იგი უკვე თავის ქმრად აღარ მიაჩნდა და მანამ არ მოისვენებდა, ვიდრე მასაც ისეთ სატანჯველს არ მიაგებდა, მის გულს რომ ფლეთდა. მაგრამ არა, დარნლეის მხოლოდ უბრალო, უმნიშვნელო გრძნობების განცდის უნარი შესწევდა, იმას კი ვერ მიხვდებოდა, რა სასიკვდილოდ იყო დაჭრილი მისი მეუღლის გული. სულაც არ ეჭვობდა, რომ ამ წუთში დედოფალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ეს სულმდაბალი მოღალატე, ყველა თავის ნებაზე რომ ატრიალებდა, როცა დედოფალი უნებურად მიენდო და თავის განსასვენებელში გაჰყვა, ფიქრობდა, გატეხა მისი ამაყი სული და კვლავ დაემორჩილებოდა. მაგრამ ჩქარა მიხვდა, რომ უხმო სიძულვილი გაცილებით საშიში იყო, ვიდრე გამძვინვარება და ვინც მომაკვდინებელ შეურაცხყოფას მიაყენებდა ამ დაუდგრომელი სულის ქალს, თვითონ იყო განწირული სასიკვდილოდ.

რიჩოს თავგანწირულმა ყვირილმა, იარაღის წკრიალმა დედოფლის ოთახში მთელი ციხე-კოშკი ფეხზე დააყენა, ხმლებგაშიშვლებულნი გამოცვივდნენ თავიანთი საწოლებიდან დედოფლის ერთგული ქვეშევრდომნი: ბოთველი და ჰანთლეი. მაგრამ შეთქმულებს ეს წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული: ჰოლირუდს ყოველი მხრიდან გარს შემორტყმოდნენ მათი შეიარაღებული მსახურნი, ციხის მისადგომებს იცავდნენ, რომ არავინ მოსულიყო ქალაქიდან დედოფლის საშველად.

ბოთველი და ჰანთლეი თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად და მშველელთა სახმობადაც ფანჯრიდან უნდა გადამხტარიყვნენ. როცა იმათ ცხენები მოაჭენეს და აღმაშფოთებელი ამბავი მოიტანეს, დედოფლის სიცოცხლე საფრთხეშიაო, ქალაქის პროფოსმა ბრძანა, ნაღარა დაეცათ. აღშფოთებული მოქალაქეები ქალაქის ალაყაფიდან გავიდნენ, მიიჩქაროდნენ, რომ ენახათ თავიანთი დედოფალი და დალაპარაკებოდნენ. მაგრამ დედოფლის მაგივრად მათთან გამოვიდა დარნლეი და მოტყუებით დაარწმუნა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს: ციხე-კოშკში უცხოელი ჯაშუში დაიჭირეს, რომელსაც განზრახული ჰქონდა, შოტლანდიაში ესპანეთის ჯარი შემოეყვანა და მას გაუსწორდნენო. პროფოსი, რაღა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა, ეჭვი შეეტანა მეფის სიტყვაში. პატიოსანი მოქალაქეები დაწყნარდნენ და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მარიამ სტიუარტი კი

ამ დროს გულმოდგინედ ცდილობდა, ამბავი შეეტყობინებინა თავისი ერთგული ქვეშევრდომებისათვის, მაგრამ საიმედოდ იყო ჩამწყვდეული განსასვენებელში. არც სასახლის კარის მანდილოსნებს, არც მსახურებსა და პირისფარეშებს უფლება არ ჰქონდათ მასთან შესვლისა. ციხე-კოშკის ყოველ კართან და ჭიშკართან სამ-სამი ყარაული იდგა. პირველად თავის სიცოცხლეში მარიამ სტიუარტი ტყვე ქალად იქცა. შეთქმულებმა გაიმარჯვეს. ციხე-კოშკის ეზოში სისხლის გუბეში ეგდო დედოფლის უერთგულესი ქვეშევრდომის დაფლეთილი სხეული, მის მტრებს მეთაურობდა შოტლანდიის მეფე. იგი იმედოვნებდა, მიიღებდა შეპირებულ გვირგვინს. თვით დედოფალს კი უფლება არ ჰქონდა, თავისი განსასვენებლის ზღურბლზე გადაებიჯებინა. თვალის დახამხამებაში თავბრუდამხვევი სიმაღლიდან გადაისროლეს. ახლა იგი უძლური, ყველასაგან მიტოვებული, შემწეთაგან და მეგობართაგან უარყოფილი, სიძულვილით გარემოცული, აბუჩად აგდებული დედოფალი იყო. თითქოს ცა ჩამოექცა ამ საშინელ ღამეს, მაგრამ გრდემლქვეშ იწრთობოდა და იჭედებოდა მისი მგზნებარე გული. ყოველთვის, როცა მისი ბედი, თავისუფლება, ღირსება და გვირგვინი ბეწვზე ეკიდა, მარიამ სტიუარტი ყველა მის მსახურსა და შემწეზე მეტ ძალას იკრებდა.

ერთგული მოღალატენი
1566 წლის მარტიდან ოქტომბამდე

საფრთხეს ყოველთვის სიკეთე მოჰქონდა მარიამ სტიუარტისათვის, როგორც პიროვნებისათვის. მხოლოდ ყველაზე მძიმე წუთებში, რაც უდიდეს შინაგან დაძაბულობას მოითხოვდა, ნათელი ხდებოდა, რა უჩვეულო ნიჭით იყო დაჯილდოებული ეს ქალი: მტკიცე ნებისყოფით, ცოცხალი, გამჭრიახი გონებით, დაუმცხრალი გმირული სიმამაცით. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ძალები აგემოძრავებინათ, მისი სულის იდუმალ ძაფებს უნდა შეხებოდით, ამ მდიდარი ბუნების ქალში რომ იმალებოდა. მხოლოდ მაშინ შეიკვრებოდა ბავშვური უდარდელობით გაფანტული მისი უნარი ერთ ურყევ ენერგიად. ვისაც სურდა, ქედი მოეხრევინებინა ამ ქალისათვის, მხოლოდ ხელს უწყობდა, წელში გამართულიყო. ყოველი ბედის ტრიალი, თუ კარგად დაუკვირდებით, მისთვის სასარგებლო ხდებოდა, როგორც ცით მოვლენილი სიმდიდრე, როგორც ძვირფასი საუნჯე.

პირველი დამცირების ამ ღამემ ძირფესვიანად შეუცვალა მარიამ სტიუარტს ხასიათი, შეუცვალა სამუდამოდ. მძიმე განსაცდელთა სამჭედლოში, როცა მეტისმეტი უდარდელი მიმნდობლობის გამო მოატყუეს ქმარმაც, ძმამაც, მეგობრებმაც და ქვეშევრდომებმაც, მისი ქალური, რბილი ბუნება ფოლადივით მტკიცე გახდა, მაგრამ როგორც კარგი ხმალი ორლესულია, მისი სულიც იმ საშინელი, ყოველგვარი უბედურების დასაბამის მიმცემი ღამის შემდეგ პირმოთნე გახდა. დაიწყო დიდი, სისხლიანი ტრაგედია.

დედოფალს მხოლოდ შურისგების ფიქრი დაუფლებოდა, როცა თავის საწოლ ოთახში ჩაკეტილი, ცბიერ ქვეშევრდომთა ტყვე აქეთიქით აწყდებოდა და გონებაში სწონიდა, როგორ გაერღვია თავისი მტრების წრე, როგორ აეღო ერთგული მსახურის სისხლი, ჯერაც

რომ თბილი მოწვეთავდა იატაკის ჭუჭრუტანებში, როგორ აელაგმა, დაეჩოქებინა ან ჯალათის კუნძთან მიეყვანა, ვინც ხელი აღმართა ღვთის რჩეულის წინააღმდეგ. რაინდი მებრძოლი, ვინც მწარედ იგემა ადამიანთა უსამართლობა, ფიქრობდა, ყოველგვარი საშუალებების გამოყენება შეეძლო მტრების წინააღმდეგ. აქამდე წინდაუხედავი დედოფალი ფრთხილი და გულჩათხრობილი გახდა. ბუნებით მეტად პატიოსანს ტყუილის თქმა არ შეეძლო, მაგრამ ისწავლა პირმოთნეობა და ეშმაკობა. ხალხთან მუდამ სამართლიანი და პირდაპირი, მთელ თავის ნიჭს იმაში იყენებდა, რომ მტრების ხრიკები მათივე წინააღმდეგ გამოეყენებინა. ზოგჯერ ადამიანი ერთ დღეში ისწავლის იმას, რაც თვეებისა და წლების განმავლობაში ვერ ისწავლა. ეს მწარე გაკვეთილი იყო მისთვის. შეთქმულთა ხანჯალმა მის თვალწინ სიცოცხლეს გამოასალმა არა მარტო მისი ერთგული მსახური რიჩო, მოუკლა ნდობა და უმწიკვლო სული. როგორ ცდებოდა, მტრებს რომ ენდობოდა, პატიოსნებას იჩენდა მატყუარებთან. რა მიუტევებელი სისულელე იყო, გული რომ გადაუშალა უგულო ადამიანს. არა, უნდა ეპირფერა, არ გამოემჟღავნებინა თავისი გრძნობები, გულში დაემარხა ბოროტება, სიყვარულში დაერწმუნებინა ისინი, ვინც საუკუნოდ შეიჯავრა, დაემალა სიძულვილი და დალოდებოდა იმ წუთს, როცა შეძლებდა, შური ეძია მოკლული მეგობრისთვის. ყოველნაირად უნდა ეცადა, დაეფარა თავისი ზრახვანი, გაეფანტა გამარჯვებით ჯერ ისევ თავბრუდახვეული მტრების ეჭვები. ერჩივნა, ერთ-ორ დღეს თავი მორჩილად მოეჩვენებინა ამ არამზადებისათვის, რომ შემდეგ საბოლოოდ დაემორჩილებინა.

ამგვარი მტრობისთვის მტრობითვე უნდა ეპასუხა, მაგრამ უფრო თამამი, კადნიერი, დამცინავი მტრობით.

უცბად გონება გაუნათდა, რაც სასიკვდილო საფრთხის წინაშე ზოგჯერ აამოქმედებს ხოლმე უდარდელი ბუნების ადამიანებსაც და მარიამ სტიუარტმა გეგმა შეადგინა.

სანამ დარნლეის ხელში ეჭირა შეთქმულები, მისი მდგომარეობა გამოუვალი იყო, ამას ერთი შეხედვითაც მიხვდა. მხოლოდ ერთი რამ იხსნიდა: სანამ გვიანი არ იყო, გაერღვია შეთქმულთა ბლოკი, არეულობა შეეტანა მათში. თუ ჯაჭვს, კისერზე რომ ჰქონდა ჩამოცმული, უცბად ვერ გაწყვეტდა, ეშმაკობით ყველაზე სუსტი ადგილი უნდა მოეძებნა და გადაეხერხა: დაე, ერთ მოღალატეს გაეცა სხვები.

მან ძალიან კარგად იცოდა, ამ რკინისებური ნებისყოფის მეამბოხეთა შორის რომელი იყო ყველაზე სულმდაბალი: რაღა თქმა უნდა, დარნლეის heart of wax — ცვილის გული ჰქონდა და ძლიერი ხელი მისთვის სასურველ ფორმას მისცემდა.

პირველი ნაბიჯი მარიამ სტიუარტმა ოსტატურად მოიფიქრა და ფსიქოლოგიურადაც შეუმცდარი იყო. მოიმიზეზა, ტკივილები მეწყებაო. წინა ღამით განცდილ მღელვარებას, ხუთი თვის ფეხმძიმე ქალის თვალწინ მომხდარ მხეცურ მკვლელობას, სრულიად შესაძლებელი იყო ნაადრევი მშობიარობა მოჰყოლოდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძალიან ცუდად იყო და საწოლში ჩაწვა. აბა, ვინ გაბედავდა, თავს ედო დანაშაული, უგულობა გამოეჩინა და ფეხმძიმე ქალისთვის უარი ეთქვა ექიმსა და მომვლელზე. სწორედ ეს სჭირდებოდა ახლა. მკაცრად ვეღარ ჩაჰკეტავდნენ. ბოლოს შესაძლებლობა მიეცა, საიმედო მსახურის პირით შეეტყობინებინა ბოთველისა და ჰანთლეისათვის და მოემზადებინათ მისი გაქცევა. მეტიც, ნაადრევი მშობიარობის საფრთხემ შეაშინა შეთქმულნი, განსაკუთრებით კი დარნლეი. ბავშვი, რომელსაც მარიამ სტიუარტი მუცლით ატარებდა, მემკვიდრე პრინცი იყო შოტლანდიისა, მემკვიდრე პრინცი ინგლისისა. მთელი მსოფლიოს წინაშე რა დიდი პასუხისმგებლობა აწვებოდა უგულო მამას, თავისი შურისძიების დასაკმაყოფილებლად რომ ბრძანა, რიჩო ფეხმძიმე ქალის თვალწინ მოეკლათ. ამით მოკლა ბავშვიც მის საშოში. თავგზააბნეული დარნლეი მეუღლის საწოლი ოთახისკენ გაეშურა. აქ სწორედ შექსპირისეული სცენა გათამაშდა, რომელიც თავისი ბრწყინვალე სითამამით არ ჩამოუვარდებოდა იმ სცენას, როცა რიჩარდ III მის მიერ მოკლული კაცის კუბოსთან მისი ქვრივის სიყვარულს ეძიებს და წარმატებასაც აღწევს. რიჩოს სხეული ჯერ ისევ დაუმარხავი ეგდო, მკვლელი და მკვლელთა თანამონაწილე კი იდგა თავისი მსხვერპლის წინ, რომელიც სულმდაბლურად, არაადამიანურად გაწირა და პირმოთნედ მჭევრმეტყველების ნიაღვარს აფრქვევდა. ეს სცენა არავის უნახავს, ვიცით მხოლოდ დასაწყისი და დასასრული. დარნლეი გაეშურა ცოლისაკენ, გუშინ შეუბრალებლად რომ დაამცირა. მარიამ სტიუარტმაც აღშფოთების წუთებში გულწრფელად დაუფიცა, მეც ასევე ულმობელი ვიძიებო შურს. როგორც კრიმჰილდე ზიგფრიდის გვამთან, ჯერ კიდევ გუშინ მუშტებს ჰკრავდა მტერზე შურის საძიე-

ბლად, მაგრამ კრიმჰილდესავით ერთ ღამეში ისწავლა მრისხანების დაფარვა. დარნლეი ვეღარ ცნობდა გუშინდელ მარიამ სტიუარტს, ამაყ, ბობოქარ მოწინააღმდეგესა და შურისმაძიებელს. მის წინაშე იყო საცოდავი, მოტეხილი ქალი, საშინლად დაღლილი, ავადმყოფი და ნაზად, მოკრძალებით შესცქეროდა ულმობელ, ტირან მეუღლეს, რომელმაც უჩვენა თავისი ძალა.

ამპარტავანმა სულელმა თავი გამარჯვებულად წარმოიდგინა, მან ხომ ყველაფერს მიაღწია, რაზეც ოცნებობდა. აი, მარიამ სტიუარტი კვლავ მის ფერხთაა, იგრძნო თუ არა მისი რკინის ხელი, ეს ამაყი, ამპარტავანი ქალი მყის დამორჩილდა. მოიშორეს თუ არა იტალიელი ვიგინდარა, კვლავ დაემონა თავის ჭეშმარიტ ბატონსა და მბრძანებელს.

ჭკვიანსა და წინდახედულ კაცს ასეთი უცაბედი ცვლილება, რაღა თქმა უნდა, გააფრთხილებდა. ყურში ჯერ ისევ უნდა სდგომოდა ცოლის გააფთრებული ყვირილი, თვალებანთებული „მოღალატესა და მოღალატის შვილს“ რომ ეძახდა. უნდა მოჰგონებოდა, რომ სტიუარტების ამაყი ასული არავის აპატიებდა შეურაცხყოფას და არ დაივიწყებდა წყენას. მაგრამ როგორც ყველა პატივმოყვარე ადამიანს სჩვევია, თვალთმაქცობით გაბრუებულმა დარნლეიმაც ადვილად დაიჯერა ეს. ვით ყველა სულელს, მასაც ღალატობდა მეხსიერება. ამასთან — ო, ცბიერო ბედო! — ყველა მამაკაცთაგან, ვინც კი მარიამ სტიუარტს ეტრფოდა, ყველაზე ვნებიანად მას უყვარდა. ძაღლური ერთგულებით ეკვროდა გრძნობამორეული ჭაბუკი მის სხეულს, რადგან ისე არაფერი აღიზიანებდა და აყენებდა შეურაცხყოფას, როგორც ის, რომ ბოლო ხანებში დედოფალი სიძულვილით თავს არიდებდა მის ხვევნა-ალერსს. უცბად რა გაუგონარი სასწაული მოხდა! სანატრელი სატრფო კვლავ მის ხელთ იყო. ნუ წახვალ, ამაღამ ჩემთან დარჩიო, — ემუდარებოდა ურჩი ქალი. დარნლეი მთლად დადნა, კვლავ ნაზი და მორჩილი გახდა, მისი მსახური, ერთგული მონა. არავინ იცის, რა ცბიერად გაითამაშა მარიამ სტიუარტმა გარდაქმნის ეს საოცარი სცენა. ოცდაოთხი საათიც კი არ გასულიყო მკვლელობიდან, რომ დარნლეი, რომელმაც ლორდებთან ერთად მოატყუა დედოფალი, ახლა ძზად იყო, ყველაფერი მოემოქმედა იმისათვის, რომ ერთგული მოკავშირენი ყინულზე გაეცურებინა. დედოფალმა უფრო ადვილად გადაიბირა თავის მხარეზე, ვიდრე მო-

კავშირეებმა. დარნლეიმ დაუსახელა ყველა მონაწილეთა გვარი, მზად იყო, ხელი შეეწყო დედოფლისთვის გაქცევაში. არც იმაზე დაიხევდა უკან, რომ შურისძიების იარაღი გამხდარიყო, რაც უწინარეს ყოვლისა, თვითონვე მას, უმთავრეს მოღალატესა და მოთავეს მოსრავდა. მორჩილი იარაღივით დატოვა დედოფლის საწოლი ოთახი, ვისაც ეგონა აქ ბატონად და მბრძანებლად შემოვიდა. იმ საშინელი დამცირებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მარიამ სტიუარტმა უცბად გაწყვიტა ჯაჭვი, ყელში რომ უჭერდა. შეთქმულების მეთაური, შეთქმულთა მალულად მათი მოსისხლე მტერი გახდა, გენიალურმა თვალთმაქცობამ სძლია მდაბალ თვალთმაქცობას.

ამგვარად, მარიამ სტიუარტის გასათავისუფლებლად საქმე სანახევროდ გაკეთებული იყო, როცა ედინბურგში ცხენები შემოაჭენეს მერეიმ და სხვა შერისხულმა ლორდებმა; დიდი ტაქტიკოსი და დიპლომატი მერეი შოტლანდიაში არ ყოფილა მკვლელობის დროს. აბა, ვინმეს გაებედა და დაემტკიცებინა, რომ მათი თანამონაწილე იყო. ეს გაიძვერა ყოველთვის დაიძვრენდა ხოლმე თავს. როგორც კი დაამთავრა ბინძური საქმე, იგი დამშვიდებით, გულდაჯერებით, მედიდურად (ხელები ხომ სისხლში არ ჰქონდა მოსვრილი) შეუდგა სხვისი შრომის ნაყოფის მომკას. სწორედ იმ დღეს, 11 აპრილს, მბრძანებლის ნებით, პარლამენტში საჯაროდ მოღალატედ უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ დახეთ, მისმა ტყვე დამ დაივიწყა სიძულვილი. ნიჭიერი მსახიობი უნებლიეთ კისერზე ჩამოეკიდა ძმას და იუდასავით ეამბორა, როგორც ჯერ კიდევ გუშინ დარნლეი კოცნიდა მას. ნაზად და გულდინჯად სთხოვა მეამბოხე ძმას, ჩარეულიყო ამ საქმეში და დახმარებოდა.

მერეი ჩინებულად იცნობდა ადამიანთა გულებს და შექმნილ ვითარებასაც სწორად აფასებდა. იგი, რასაკვირველია, მოუწოდებდა და მხარს უჭერდა რიჩოს მკვლელობას. ამით ფიქრობდა, აეწყო მარიამ სტიუარტის იდუმალი პოლიტიკა. მის თვალში ინტრიგანი პროტესტანტი შოტლანდიური ინტერესების მტერი იყო და ამავე დროს საფრთხეს უქადდა მის გეგმებს. მაგრამ ახლა, როცა რიჩო ბედნიერად მოიშორეს თავიდან, მერეი დაივიწყებდა წარსულს და მშვიდობიანობას არჩევდა. ურჩ ლორდებს ახლავე უნდა მოეხსნათ ყარაული, რაც შეურაცხყოფას აყენებდა მარიამ სტიუარტის მეფურ ღირსებას და დაებრუნებინათ მისთვის შეუზღუდავი მეფური ხელისუფლება.

დედოფალსაც უნდა დაევიწყებინა, რაც თავს გადახდა, პატრიოტი მკვლელებისათვის ეპატიებინა დანაშაული. მაგრამ მარიამ სტიუარტს მოღალატე ქმრის ხელშეწყობით დაწვრილებით ჰქონდა შემუშავებული გაქცევის გეგმა და მკვლელთა მიტევება აინუნშიაც არ მოსდიოდა. ოღონდ მეამბოხეთა სიფხიზლე რომ მოედუნებინა, მზად იყო, დიდსულოვნად დათმობაზე წასულიყო. მკვლელობიდან ორმოცდარვა საათის შემდეგ მთელი ეპიზოდი რიჩოს დაფლეთილ სხეულთან ერთად თითქოს დავიწყებას მიეცა და დაიმარხა. ყველას თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. დიდი ამბავი, თუ ვიღაც მუსიკოსი მოკლეს! მალე არავის მოაგონდება ის მაწანწალა და შოტლანდიაში მშვიდობა დაისადგურებს.

სიტყვიერი პაქტი დაიდო, მგრამ შეთქმულებს მაინც ვერ გადაეწყვიტათ, მოეხსნათ თუ არა ყარაული დედოფლის საწოლი ოთახიდან. რაღაც უსიამოვნო გრძნობა სტანჯავდათ. მათ შორის, ვინც ყველაზე გონიერი იყო, იცოდა, რა ამაყიც იყო მარიამ სტიუარტი. ძნელი იყო მათი დარწმუნება, თითქოს მარიამ სტიუარტი მზად იყო, გულწრფელად ეპატიებინა და დაევიწყებინა თავისი მსახურის საზიზღარი მკვლელობა. ეგონათ, თუ საიმედოდ ჩაჰკეტავდნენ ამ დაუცხრომელ ქალს, შურისგების შესაძლებლობას მოუსპობდნენ. გრძნობდნენ, თუ თავისუფლად გაუშვებდნენ, გამუდმებით საფრთხეში უნდა ყოფილიყვნენ. არც ის მოსწონდათ, რომ დარნლეი წამდაუწუმ შედიოდა მის საწოლში და კარგა ხანს რაღაცას ეჩურჩულებოდა ვითომ ავადმყოფს. გამოცდილი ჰქონდათ, რა ადვილად შეიძლებოდა ამ თავქარიანი ყმაწვილის სხვის ნებაზე დატრიალება. აშკარად ლაპარაკობდნენ, მარიამ სტიუარტს სურს თავის მხარეზე გადაიბიროსო და დარნლეის არწმუნებდნენ, მისი არც ერთი სიტყვა არ დაეჯერებინა, აფიცებდნენ, არ ეღალატა მათთვის, თორემ (როგორ ახდა მათი წინასწარმეტყველება!) ორივეს სანანებლად გაუხდებოდა საქმე. თუმცა მატყუარა იფიცებოდა, დედოფალმა ყველაფერი დაივიწყა და გვაპატიაო, შეთქმულებს კვლავ ყარაული ეყენათ, სანამ მარიამ სტიუარტი მათი ხელშეუხებლობის ფირმანს არ მისცემდა. მკვლელობისთვისაც და მკვლელობის მიტევებისთვისაც ეს თავისებური კანონმდებლები წერილობით ფირმანს — „ბონდს“ მოითხოვდნენ, რაღა თქმა უნდა, გამოცდილ, ოდითგანვე ფიცის გამტეხებს არ სჯეროდათ სიტყვისა, ვერ ხვდებოდნენ, რა მოჩვენებითი და თავქარიანული

იქნებოდა, მათთვის მიტევების ფირმანი რომ მიეცათ. მარიამ სტიუარტი იმდენად პატივმოყვარე და ფრთხილი იყო, მკვლელებს ვერ დაუკავშირდებოდა. ვერც ერთი ეს არაშზადა ვერ დაიტრაბახებდა „ბონდზე“ მისი ხელმოწერით. თუმცა გულში გადაწყვიტა, შეთქმულთათვის მიტევების ფირმანი არ მიეცა, მოსაჩვენებლად დიდი სიამოვნებით განაცხადა თანხმობა: ეს მხოლოდ საღამომდე საქმის გასაჭიანურებლად სჭირდებოდა. დარნლეის — იგი მის ხელში კვლავ სანთელივით დადნა — საეჭვო დავალება მისცეს, — გუშინდელი მოკავშირეებისთვის ლაგამი ამოედო მოჩვენებითი მეგობრობითა და მისი უდიდებულესობის ხელმოწერის დაპირებით. თავგამოდებული მზრუნველივით ტრიალებდა მეამბოხეთა შორის და მათთან ერთად ადგენდა მიტევების ტექსტს. მხოლოდ მარიამ სტიუარტის ხელმოწერაღა აკლდა. ახლა გვიან არისო, — არწმუნებდა მათ დარნლეი, — დედოფალი დაღლილია და სძინავსო, დაიფიცა, თუმცა რად უღირდა უღირს მოღალატეს ტყუილი! ხვალ დილით კი მისი უდიდებულესობის ხელმოწერილ ფირმანს ჩაგაბარებთო. რახან მეფე ჰპირდებოდა, რომ არ დაეჯერებინათ, მისი შეურაცხყოფა იქნებოდა. კეთილი ნების დასტურად, შეთქმულებმა ყარაული დაითხოვეს დედოფლის განსასვენებლიდან. მარიამ სტიუარტსაც ეს უნდოდა — გზა ხსნილი ჰქონდა გასაქცევად. მოსცილდნენ თუ არა კარს ყარაულები, მარიამ სტიუარტი წამოხტა სარეცლიდან და გულმოდგინედ მოემზადა გასაქცევად. ბოთველი და სხვა მეგობრები კარგა ხანია ელოდნენ დედოფალს ციხე-კოშკის გალავანს გადაღმა. შუაღამისას, გალავნის ჩრდილში, სასაფლაოსთან დაელოდებოდა შეკაზმული ცხენები. მთავარი იყო, შეთქმულთა სიფრთხილე მოედუნებინათ. სხვა საძაგელ საქმეებთან ერთად დარნლეის წილად ხვდა ეს დამამცირებელი მოვალეობაც — შეწყალების ნიშნად გაებრუებინა, ღვინით დაეთრო ისინი. დედოფლის ბრძანებით, თავისი გუშინდელი მოკავშირეები ქეიფში მოიწვია. სტუმრები ღრეობდნენ, შერიგების ქეიფი შუაღამემდე გაგრძელდა. როცა შექეიფიანებული თანამესუფრენი გვერდით ოთახში გავიდნენ, დარნლეიმ სიფრთხილის გამო ვერც კი გაბედა მარიამ სტიუარტის საწოლ ოთახში შესვლა. მაგრამ ლორდები მეტისმეტად დარწმუნებულები იყვნენ საკუთარ თავში და აღარ ფრთხილობდნენ. დედოფალი შეწყალებას შეჰპირდა, თვით მეფე იყო ამის თავდები. რიჩო მიწაში განისვენებდა, მერეი შოტლანდიაში დაბრუნდა, მაშ,

რაღა ჰქონდათ დასაფიქრებელი? ღვინითა და გამარჯვებით დამთვრალი ლორდები დასასვენებლად წავიდ-წამოვიდნენ, რომ გამოეძინათ და გამოფხიზლებულიყვნენ ამ მღელვარე დღის შემდეგ.

შუაღამეა. სიჩუმეა მიძინებულ ციხე-კოშკის დერეფნებში. სადღაც ზემოთ ფრთხილად იღება კარი. მარიამ სტიუარტი ფეხაკრეფით გადის ოთახებში და კიბით ქვემოთ ეშვება, სარდაფში, საიდანაც მიწისქვეშა გასასვლელს სასაფლაოს აკლდამისაკენ მივყავართ. სამარისებური სიჩუმე იგრძნობა შავ მიწისქვეშეთში, მუდამ სინესტე მოჟონავს თაღებიდან და ნივნივებიდან. შანდლის შუქი მოციმციმე შუქს ჰფენს ღამესავით შავ კედლებს, დამპალ კუბოებსა და გროვად შეყრილ ადამიანის ძვლებს. მაგრამ აი, იგრძნო ახალი, სუფთა ჰაერი. გასასვლელთან არიან! მხოლოდ სასაფლაო უნდა გადაჭრან და გალავნამდე მიირბინონ, სადაც მეგობრები და შეკაზმული ცხენები ელოდებიან. უცბად დარნლეი შეტორტმანდა, ლამის დაცემულიყო. დედოფალმა მიირბინა. დავით რიჩოს ახალგათხრილ საფლავთან იდგნენ.

ამ უკანასკნელმა წაფორხილებამ კიდევ უფრო გაუკაჟა გული შეურაცხყოფილ ქალს. იცოდა, მის წინაშე ორი ამოცანა იდგა: გაქცევით აღედგინა მეფური ღირსება და ქვეყნისთვის შეეძინა შვილი — ტახტის მემკვიდრე. მერე შური ეძია იმათზე, ვინც იგი დაამცირა. შური ეძია იმ უგუნურზე, ვინც ახლა ცდილობდა მისთვის ესიამოვნებინა. ერთ წუთსაც არ შეყოყმანებულა, მეხუთე თვეში გადამდგარი ფეხმძიმე ქალი მამაკაცისთვის შეკაზმულ ცხენს შემოახტა, რომელზეც მისი ერთგული ლეიბგვარდიის მეთაური არტურ ერსკინი იჯდა. როცა სხვა მფარველობდა, უფრო უშიშრად მიაჩნდა თავი, ვიდრე მაშინ, ქმარი რომ ახლდა. ერსკინმა მაშინვე დეზი ჰკრა ცხენს. ლეიბგვარდიის მეთაურმა და მის მხრებს ჩაჭიდებულმა მარიამ სტიუარტმა ოცდაერთ მილზე აჭენეს ცხენი ლორდ სეტონის ციხე-კოშკამდე. აქ დედოფალს საკუთარი ცხენი მიჰგვარეს და ორასი მხედარი მცველად. განთიადს ლტოლვილი მბრძანებლად შეხვდა. სადილობის ხანს ციხე-კოშკ დუნბარამდე მიაღწია. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ამოესუნთქა და დაესვენა, მაშინვე საქმეს შეუდგა. მარტო ის არ კმაროდა, რომ დედოფალი ერქვა. ასეთ წუთებში ბრძოლა იყო საჭირო დედოფლობის შესანარჩუნებლად. უკარნახა ყოველ მხარეს გასაგზავნი წერილები. უნდა ეხმო ფიცით შეკრული ერთგული მსახურები,

ჯარი შეეყარა ჰოლირუდში დაბანაკებულ მეამბოხეთა წინააღმდეგ. სიცოცხლე იხსნა, მაგრამ ახლა საქმე გვირგვინს, ღირსებას ეხებოდა. შურისძიების წუთები რომ დადგა, სისხლი აუჩქეფდა ძარღვებში, აღარც დაღლა ახსოვდა და აღარც სისუსტე. მხოლოდ ასეთ დიად, გადამწყვეტ წუთებში გამოჩნდებოდა, რა ძალა შესწევდა.

ჰოლირუდელ შეთქმულებს ავი დილა გაუთენდათ, რომ გამოიღვიძეს, ციხე-კოშკი დაცარიელებული დაუხვდათ. დედოფალი გაქცეულიყო და თან გაჰყოლოდა მათი ძმა და მფარველი დარნლეი. მაგრამ უცბად ვერ მიხვდნენ, რა სრული მარცხი განიცადეს. არ ეგონათ, დარნლეი თუ მეფურ სიტყვას გატეხდა და წინა საღამოს მათ მიერ შედგენილი ცოდვათა მიტევების ფირმანი ძალას დაკარგავდა. მართლაც ვერ წარმოიდგენდნენ ასეთ საზიზღარ ღალატს. ჯერ კიდევ არ სჯეროდათ. რომ მოატყუეს და დამშვიდებულებმა დუნბარში თავიანთი ელჩი ლორდი სემპილი გაგზავნეს, რათა დედოფლისთვის შეპირებული ფირმანი გამოერთმია. სამი დღე ამყოფა მარიამ სტიუარტმა მშვიდობის მაუწყებელი დილეგში. არა, იგი ისე არ დაიმცირებდა თავს, რომ მეამბოხეებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება გაემართა, მით უმეტეს ახლა, როცა ბოთველს ჯარი უკვე შეეყარა.

შიშის ჟრუანტელმა დაუარა ტანში შეთქმულებს, თანდათან შეთხელდა მათი რიგები. თითო-თითოდ მიიპარებოდნენ დედოფალთან, რათა პატიება გამოეთხოვათ. მოთავეებს: რუტვენს, რიჩოს პირველად რომ სტაცა ხელი ან ფოდონსაიდს, დედოფალს რევოლვერი რომ დაუმიზნა, რაღა თქმა უნდა, შეწყალების იმედი არ ჰქონდათ. საჩქაროდ დატოვეს შოტლანდია. მათთან ერთად გაიქცა ჯონ ნოქსიც, რომელსაც იტალიელის სიკვდილი ღვთის საამებელ საქმედ მიაჩნდა. მარიამ სტიუარტს ყური რომ დაეგდო შურისგების ხმისათვის, გააფთრებით რომ ჩასძახოდა, სამაგალითოდ დასჯიდა მეამბოხეებს, წარჩინებულ მეამბოხეთა ურჩ ბანდას გააგებინებდა თუ რა სასტიკად დაისჯებოდა, ვინც მის წინააღმდეგ ამბოხებას გაბედავდა. მაგრამ ახლა დიდი საფრთხე ემუქრებოდა და გონივრულად და ეშმაკურად უნდა ემოქმედა. მერეიმ, მისმა ნახვარძმამ, რაღა თქმა უნდა, იცოდა შეთქმულების ამბავი — სწორედ დროულად მოუსწრო — მაგრამ თვითონ არ მონაწილეობდა ღალატში და მარიამ სტიუარტსაც ესმოდა, სჯობდა ამ უძლიერესი კაცისთვის ხმა არ გაეცა. ბევრი მოწინააღმდეგე რომ არ გაეჩინა, არჩია ზოგ რამეზე

თვალი დაეხუჭა. მართლა რომ გასწორებოდა შეთქმულებს, პირველ რიგში განა საკუთარი მეუღლე, დარნლეი არ უნდა დაესაჯა? ის შეუძღვა შეთქმულებს ოთახში და მკვლელობის დროს დედოფალი ხელში ეჭირა. მაგრამ მარიამ სტიუარტს ჯერ შატელიარის ამბავმა გაუტეხა სახელი და ახლა აღარ შეიძლებოდა დარნლეი რქებდადგმული გამოსულიყო და თავისი ღირსება დაეცვა. Semper aliquid haeret[1]. სჯობდა, ხალხს ისე ჰგონებოდა, თითქოს მთავარ წამქეზებელსა და საქმის წამომწყებს მკვლელობასთან კავშირი არ ჰქონდა. თუმცა ძნელი იყო იმის დახსნა, ვინც ხელი მოაწერა ორ „ბონდს“, ვინც შეუთანხმდა და წინასწარ აღუთქვა შეთქმულებს, რომ არ დასჯიდნენ, საკუთარი ხანჯალი — იგი რიჩოს გვამში იპოვეს ჩარჭობილი — მისცა რომელიღაც მკვლელს, მაგრამ ტიკინას ღირსება და ნებისყოფა სად გააჩნია? მარიამ სტიუარტს ერთი თითი რომ დაექნია, აცეკვდებოდა. ედინბურგის მთავარ მოედანზე ჰეროლდმა საზეიმოდ გამოაცხადა ყველაზე უსირცხვილო ტყუილი საუკუნისა, განმტკიცებული „პრინცის ღირსებითა და სიტყვით“, რომ იგი არ მონაწილეობდა მოღალატეობრივ შეთქმულებაში, treasonable conspiracy და წმინდა წყლის სიცრუე და ცილისწამება იყო, შეთქმულები თითქოს მისი „დასტურით, რჩევით, ბრძანებითა და თანხმობით“ მოქმედებდნენ მაშინ, როცა მეფემ არა მარტო counseled, commanded, consented assisted, რაც ყველა გამვლელმა იცოდა, ოფიციალურად approved — დალოცა მოღალატენი. იმაზე უფრო საცოდავი როლის წარმოდგენა ძნელია, რასაც ეს სუსტი ნებისყოფის ადამიანი თამაშობდა მკვლელობის დროს, მაგრამ ამჯერად ყოველგვარ საზიზღრობას გადააჭარბა. ცრუ ფიცით, ბაზრის მოედანზე მთელ ქვეყანასა და ხალხს რომ მისცა, თვითონვე გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი. არავინ, ვისი შურისძიებაც კი განიზრახა მარიამ სტიუარტმა, არ დაუსჯია ისე მკაცრად, როგორც დარნლეი. საძულველი მეუღლე მთელი ქვეყნის საკიცხავი გახდა. ამგვარად, მკვლელობას სიცრუის ქათქათა მანდილი გადააფარეს. საზეიმო ბუკი და ნაღარა დასცეს. ედინბურგში ბრუნდებოდა შეხმატკბილებული მეფე-დედოფალი, თითქოს ყველაფერი მოგვარდა... მართლმსაჯულების რაღაც წესის დასაცავად, თან რომ არავინ შეეშინებინათ, სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს შემთხვევით შეხვედრილი ჯარისკაცები და ყმები, რომელთაც

[1] *ყოველთვის რაღაც უშლის (ლათ.).*

არაფერი გაეგებოდათ ამ საქმისა. სანამ ბატონები, გვართა მბრძანებელნი, იარაღს ისხამდნენ, მსახურნი ბრძანებას ასრულებდნენ და ყარაულად იდგნენ ჭიშკართან. წარჩინებულ ბატონებს ყველაფერი უმართლებთ. რიჩო — ეს ვერაფერი ნუგეშია მკვდრისათვის — საპატიო ადგილას გადაასვენეს სამეფო სასაფლაოზე, მისი თანამდებობა კი მისმა ღვიძლმა ძმამ დაიჭირა. ამით დამთავრდა ეს ტრაგიკული ეპიზოდი და დავიწყებას მიეცა.

ამ მკვლელობისა და ალიაქოთის შემდეგ დედოფალს ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე რჩებოდა, რაც ყველაზე მეტად განამტკიცებდა მის შერყეულ მდგომარეობას: მშვიდობიანად დაბადებულიყო ჯანმრთელი ტახტის მემკვიდრე. მხოლოდ მეფის დიდება გახდიდა ხელშეუვალს და არა ამ არარაობის, თოჯინასავით მეფის ცოლობა. დედოფალი მღელვარებით ელოდა მძიმე წუთებს. საოცრად მოიწყინა და გული გაუტყდა ბოლო დღეებში. აჩრდილივით ხომ არ დასდევდა რიჩოს სიკვდილის მოგონებანი? უტყუარი ალღოთი ხომ არ შეიგრძნობდა გარდაუვალ უბედურებას? ყოველ შემთხვევაში, დაწერა თავისი უკანასკნელი ნება-სურვილი. დარნლეის უტოვებდა იმ ბეჭედს, მათი ქორწინების დღეს რომ წამოაცვა დედოფალს თითზე, არც მოკლულის ძმა ჯუზეპე რიჩო, ბოთველი და ოთხი მარიამი დავიწყებია. პირველად იყო, რომ ეს უდარდელი, მამაცი ქალი ცახცახებდა სიკვდილისა თუ გამოუცნობი საფრთხის შიშით. იმ ტრაგიკული ღამის შემდეგ ჰოლირუდში თავს ვეღარ გრძნობდა უშიშრად და ნაკლებად მყუდრო, მაგრამ მაღლობზე მდებარე და კარგად გამაგრებულ ედინბურგის ციხეში გადასახლდა, რათა იქ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, სიცოცხლე მიენიჭებინა შოტლანდიისა და ინგლისის ტახტის მემკვიდრისათვის.

9 ივნისს დილით ციხე-კოშკიდან ზარბაზნების გრიალმა ქალაქს ამცნო სასიხარულო ამბავი. დაიბადა მემკვიდრე, სტიუარტების შთამომავალი, შოტლანდიის მეფე. ამიერიდან დასრულდა ქალის დამღუპველი ბატონობა. დედის სანუკვარი ოცნება, მთელი ქვეყნის სურვილი, სტიუარტთა მამაც შთამომავალს რომ ელოდნენ, ახდა, მაგრამ მიანიჭა თუ არა ბავშვს სიცოცხლე, მარიამ სტიუარტი თავს მოვალედ თვლიდა, განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა. რაღა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა შხამიანი ჭორები — შეთქმულები რომ ჩასჩურჩულებდნენ დარნლეის, თითქოს რიჩოსთან უღალატა — კარ-

გა ხანია ციხე-კოშკის გარეთაც დადიოდა. დედოფალმა იცოდა, რა სიხარულით ჩაეჭიდებოდნენ ლონდონში ყოველ მიზეზს, რათა დაეჭვებულიყვნენ მისი შთამომავლის კანონიერ წარმოშობასა და იქნებ შემდგომ მის უფლებებშიც ტახტზე. ამიტომ უნდოდა, დროულად, მთელი ქვეყნის წინაშე გაებათილებინა ეს თავხედური სიცრუე. უხმო დარნლეის თავის განსასვენებელში, ყველას თანდასწრებით უჩვენა ბავშვი და უთხრა:

— ღმერთმა გვიბოძა შენ მიერ, მხოლოდ შენ მიერ ჩასახული ვაჟიშვილი.

დარნლეი შეკრთა. ეჭვიანობით გადარეული ყველაზე მეტად აკრცელებდა ამ სამარცხვინო ცილისწამებას. რა უნდა ეპასუხა ასეთ საზეიმო განცხადებაზე?

დაბნეულობის დასაფარავად დაიხარა ბავშვისაკენ და აკოცა.

მარიამ სტიუარტმა აიყვანა ჩვილი ხელში და კვლავ ხმამაღლა გაიმეორა:

— ღვთის წინაშე ვაღიარებ, როგორც საშინელ სამსჯავროზე, რომ ეს მხოლოდ შენი შვილია. აქ დამსწრე ყველა დედაკაცსა და მამაკაცს მოვუხმობ მოწმედ, რომ შენ ისე გგავს შენი შვილი, მეშინია, შემდგომ არ ინანოს ეს.

დიადი ფიცი თან საოცარი გაფრთხილება იყო: შეურაცხყოფილმა დედამ ასეთ საზეიმო წუთებშიც კი უნდობლობა გამოიჩინა დარნლეისადმი. ვერა და ვერ დაევიწყებინა, რა საშინლად მოატყუა და გულში დაჭრა ამ კაცმა. ამ ღირსსახსოვარი სიტყვების შემდეგ ბავშვი გაუწოდა ერთ-ერთ ლორდს, სერ უილიამ სტანდონს:

— ვიმედოვნებ, სწორედ ეს პრინცი შეძლებს ორივე სამეფოს — შოტლანდიისა და ინგლისის გაერთიანებას.

— ეგ რატომ, Madame? — ჰკითხა ცოტათი შემკრთალმა სტანდონმა, — წინ როგორ გაუსწრებს თქვენს უდიდებულესობასა და თავის მამას?

მარიამ სტიუარტის პასუხში კვლავ საყვედური იგრძნობოდა:

— რადგან მამამისმა დაარღვია ჩვენი კავშირი.

შერცხვენილმა დარნლეიმ გააფთრებული მეუღლის დამშვიდება სცადა:

— განა ეს არ ეწინააღმდეგება შენს დაპირებას, ყველაფერს დავივიწყებ და გაპატიებო? — ჰკითხა აღელვებულმა.

— პატიებით გაპატიებ, — მიუგო დედოფალმა, — მაგრამ დავიწყება არ შემიძლია. ფოდონსაიდს მაშინ რომ გაესროლა რევოლვერი, რა დაგვემართებოდა მე და ჩემს შვილს? ღმერთმა უწყის ან შენ რას გიზამდნენ?

— Madame, — შეაჩერა დარნლეიმ, — დავივიწყოთ, რაც მოხდა.

— კარგი, დავივიწყოთ, — მიუგო დედოფალმა.

ამით დამთავრდა მრისხანე და ჭექა-ქუხილის მომასწავებელი საუბარი. მაგრამ მარიამ სტიუარტმა ამ მძიმე წუთებშიც კი ვერ დამალა სიმართლე: დავიწყებით არაფერი დავიწყებოდა, მაგრამ მზად იყო, ეპატიებინა, მხოლოდ ვერც ამ ციხე-კოშკში და ვერც შოტლანდიაში მანამდე ვერ დაისადგურებდა სიმშვიდე, ვიდრე სისხლის წილ სისხლი არ დაიღვრებოდა, ძალმომრეობის წილ ძალმომრეობას არ მიაგებდნენ.

დედისათვის ჯერ მშობიარობის ტკივილებსაც არ გაევლო და ბავშვს დღის სინათლე არ ეხილა, რომ შუადღისას ჯეიმს მელვილი, გამოცდილი და საიმედო მსტოვარი ცხენს მოახტა. საღამოს შოტლანდიის საზღვართან იყო, ღამე ბერვიკში გაათენა, დილით კვლავ მიაჭენებდა ცხენს. თორმეტ ოვნისს საღამოს — რა ბრწყინვალე სპორტული რეკორდი იყო — გაქაფული ცხენი ლონდონში შეაჭენა. აქ უთხრეს, რომ ელისაბედი მეჯლისზე იყო გრინვიჩის სასახლეში. მსტოვარს დაღლილობა არად ჩაუგდია, სხვა ცხენს მოახტა და გააჭენა, რომ იმ ღამესვე შეეტყობინებინა ამბავი.

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებით გახარებულმა ელისაბედმა ინება ეცეკვა ამ მშვენიერ ზეიმზე. მხიარული, გამოცოცხლებული, ფერუმარილ წაცხებული, ჰაეროვანი სადღესასწაულო რობით ეგზოტიკურ ტიტას მოგაგონებდათ. ჩვეულებისამებრ, ერთგული თაყვანისმცემლებით იყო გარშემორტყმული, მაგრამ უცბად მოცეკვავეთა რიგები გაარღვია და მისკენ გამოემართა სახელმწიფო მდივანი სესილი, მას უკან ჯეიმს მელვილი მიჰყვებოდა. სესილმა წასჩურჩულა დედოფალს, მარიამ სტიუარტს მემკვიდრე, ვაჟიშვილი შეეძინაო.

ელისაბედი დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული მბრძანებელი გახლდათ. საოცარი უნარი შესწევდა თავის დაჭერისა და ჭეშმარიტი გრძნობების დაფარვისა. მაგრამ ამ ამბავმა, თითქოს ხანჯალი ჩასცეს გულშიო, გაანადგურა ქალი. როგორც ქალი, ელისაბედი

მეტისმეტად მგრძნობიარე იყო და ყოველთვის არ შეეძლო ნერვების დათრგუნვა. მისი მრისხანე მზერა, მოკუმული ბაგეები ჩვეული არ იყვნენ სიცრუეს: სახე გაუქვავდა, ლოყები გაუკრთა, მღელვარებისგან ხელებს იმტვრევდა. ბრძანა, მუსიკა შეეწყვიტათ. მოულოდნელად შეჩერდნენ მოცეკვავეები. დედოფალმა აჩქარებით დატოვა დარბაზი. იგრძნო, ნერვებს ვეღარ დაიჭერდა. მხოლოდ მაშინ ამოანთხია ნაღველი, შეშინებული მსახურებით გარშემორტყმულმა თავის ოთახს რომ მიაღწია. მწუხარებისაგან კვნესა აღმოხდა, სავარძელზე დაეცა და აქვითინდა.

— შოტლანდიის დედოფალს ვაჟიშვილი შეეძინა, მე კი ხის გამხმარი ტოტი ვარ.

თავისი სიცოცხლის ოცდაათი წლის განმავლობაში არასოდეს ასეთი სიცხადით არ გამომჟღავნებულა ამ შინაბერობისთვის განწირული ქალის ტრაგედია, როგორც ამ წუთში. ასე არასოდეს გამოუმჟღავნებია ეჭვით გულში ნატარები საიდუმლო. როგორ უმძიმდა სიყვარულისთვის გამოფიტულ, უნაყოფო ქალს მძიმე ჯაჭვის ტარება. ამ წამოძახილში, ყველაზე ქალურ, ყველაზე იდუმალ, მისი არსების ყველაზე წმინდა წიაღიდან რომ აღმოხდა უცბად სისხლის ნაკადივით, იგრძნობოდა, რომ ამქვეყნიურ მეფობას, ჩვეულებრივ, ნამდვილ, ბუნებრივ ბედნიერებაზე გაცვლიდა. ოღონდ ქალი, ოღონდ შეყვარებული, ოღონდ დედა ყოფილიყო. ეს ეჭვიანი ქალი მარიამ სტიუარტს ალბათ ყველა უპირატესობასა და წარმატებას აპატიებდა, მაგრამ მისმა შვილიერებამ მომაკვდინებელი შური აღუძრა, რადგან იგი შეეხო მის ყველაზე სანუკვარ გრძნობას და სურვილს: ყოფილიყო დედა.

მაგრამ მეორე დილით ელისაბედი კვლავ მხოლოდ დედოფალი, მხოლოდ ქალი პოლიტიკოსი, მხოლოდ ქალი დიპლომატი იყო. შესანიშნავად ფლობდა თავის ნაცად ხელოვნებას — დაეფარა გაბოროტება, უკმაყოფილება. მის ამპარტავნულ სიტყვებში ზოგჯერ საშინელი ტანჯვა იმალებოდა.

სახეზე მოწყალე ღიმილით, შესაფერისი პატივით მიიღო მელვილი: მისთვის რომ დაგეჯერებინათ, ჩემს ყურებს ამაზე სასიამოვნო სიტყვები არ სმენიაო. ელჩს დააბარა, მარიამ სტიუარტისათვის მისი გულწრფელი სურვილები გადაეცა, ჰპირდებოდა, ჩვილის ნათლია ვიქნები და თუ შესაძლებლობა მომეცა, ნათლობასაც დავესწრებიო.

სწორედ იმიტომ, რომ შურდა ბედნიერება, მის დას ბედმა რომ არგუნა, ამ ამპარტავანმა მსახიობმა გადაწყვიტა, ქვეყნის დასანახავად კეთილი ფერიას როლი ეთამაშა.

ამგვარად, მამაც მეტოქეს კვლავ ბედმა გაუღიმა, თითქოს განვლო ყოველგვარმა საფრთხემ, სასწაულებრივად გადალახეს ყველა სიძნელე. კვლავ გაიფანტა ღრუბლები, პირველი წუთებიდანვე ტრაგიკულ ბურუსში რომ გაახვია მარიამ სტიუარტის ბედი. მაგრამ სულით მამაც ადამიანს განვლილი საფრთხე ჭკუას ვერ ასწავლის, მხოლოდ შეაგულიანებს. მარიამ სტიუარტი სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის არ იყო დაბადებული, ურჩი ძალები მართავდნენ შინაგანად. გარე სამყაროს მოვლენები და შემთხვევები ვერასოდეს მისცემს ბედისწერას საბოლოო აზრსა და ფორმებს. მხოლოდ თანდაყოლილი კანონები ჩამოაყალიბებენ ან ანგრევენ ცხოვრებას.

გაუვალ ტევრში
1566 წლის ივლისიდან შობამდე

ბავშვის დაბადება მარიამ სტიუარტის ტრაგედიაში პირველი, შესავალი აქტის დასასრული იყო. მოულოდნელად სიტუაცია დრამატულად გამწვავდა. ყველაფერს აზანზარებდა დაძაბული, შინაგანი, გადაუწყვეტელი კონფლიქტები. სცენაზე გამოვიდა ახალი ხასიათები და პერსონაჟები, შეიცვალა მოქმედების ადგილი, ტრაგედიამ პოლიტიკურიდან პირად ურთიერთობებში გადაინაცვლა. აქამდე მარიამ სტიუარტი მტრულ ძალებს ებრძოდა საზღვარგარეთ და მეამბოხეებს საკუთარ ქვეყანაში, ახლა კი ახალი მტერი გაუჩნდა, მის ლორდებსა და ბარონებზე ულმობელი მტერი. შფოთავდა მისი გრძნობები. მარიამ სტიუარტში ქალმა ომი გამოუცხადა დედოფალს. პატივმოყვარეობამ პირველად დაიხია უკან სისხლის ძალის წინაშე. ახალგაღვიძებული ვნებით შეპყრობილი ქალი თავქარიანულად ანგრევს იმას, რაც ბეჯითმა მონარქმა დიდი გაჭირვებით შეაკოწიწა: დაუფიქრებლად, განუსჯელად გადაეშვა ჯერ არგაგონილი ვნების ქარცეცხლში. ყველაფერი დაივიწყა და თავისი დაცემით თან გაიყოლა ღირსებაც, კანონიც, მორალიც, თავისი გვირგვინიც, ქვეყანაც. ძნელი იყო ამ ახალი ტრაგიკული გმირის წარმოდგენა ზრდილ, კეთილზნიან პრინცესად ან უნებურად ბედნიერების მომლოდინე კეკლუც ქვრივ დედოფლად. მხოლოდ ერთი, ერთადერთი წლის განმავლობაში გარდაქმნა მარიამ სტიუარტმა მთელი თავისი ცხოვრება, ათასგზის გაამძაფრა მისი დრამატიზმი და სულ ერთ წელიწადში დაანგრია კიდეც.

ამ მეორე მოქმედების დასაწყისში სცენაზე გამოდის დარნლეი. მასში უჩვეულო ცვლილება, ტრაგიზმი შეიგრძნობა. მარტო გამოდის, განდგომილს არავინ უცხადებს ნდობას, ყველამ უღა-

ლატა, გულთბილ სიტყვას არავინ ეუბნება. საშინელი გაბოროტება, უძლური გააფთრება სულს უფლეთს პატივმოყვარე ჭაბუკს. მან იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე მამაკაცს შეუძლია გააკეთოს ქალისათვის. ამისათვის კი მცირეოდენ მადლიერებას, მორჩილებას, თანაგრძნობას, იქნებ სიყვარულსაც კი ელოდა. ზედმეტი გახდა თუ არა, მარიამ სტიუარტმა საშინელი სიძულვილი აგრძნობინა. გაქცეულმა ლორდებმა, ანგარიში რომ გაესწორებინათ მოღალატისთვის, საიდუმლო აგენტების ხელით დედოფალს დარნლეის მიერ ხელმოწერილი სიგელი გაუგზავნეს, რომელშიც იგი ნებას რთავდა რიჩოს მოკვლისა. დაე, სცოდნოდა, რომ მისი ქმარი მათთან იყო. მიგდებული წერილი ახალს ვერაფერს ეტყოდა მარიამ სტიუარტს, მაგრამ რაც უფრო მეტად ზიზღს ჰგვრიდა მოღალატე, ჩვრად ქცეული ქმარი, მით უფრო ვერ ეპატიებინა ამ ამაყ ქალს საკუთარი თავისთვის, რომ ეს სანდომიანი არარაობა შეიყვარა. გულს ურევდა დარნლეის შეხედვა, ჰკიცხავდა თავის თავს, რომ შეცდა. სძაგდა, როგორც ქმარი და მამაკაცი; ისე ეშინოდა მისი მიკარებისა, როგორც ლორწოვანი, სრიალა გველის ან ლოკოკინასი. მით უმეტეს, საზიზღარი იყო მაშინ, როცა თბილი, ცოცხალი სხეულით ეკვროდა. ერთ ჭერქვეშ ყოფნა, მისი არსებობაც კი საშინლად სტანჯავდა. დღედაღამ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა, როგორ დაეხსნა თავი მისგან. ოღონდ მისი მოკვლა, როგორც შემდგომ მოხდა, გუნებაშიც არ გაუვლია. ის, რაც მარიამ სტიუარტს დაემართა, არც ისეთი იშვიათი შემთხვევა იყო. როგორც ათასობით ქალს, მასაც გათხოვების შემდეგ მწარე გულგატეხილობა დაეუფლა და ვეღარ აეტანა მისთვის უცხოდ ქცეული კაცის ხვევნა და სიახლოვე. უფრო ბუნებრივი და გონივრული გამოსავალი ასეთ დროს განქორწინება გახლავთ და მარიამ სტიუარტიც მოეთათბირა ამაზე მერეისა და მაიტლენდს. მაგრამ ბავშვის დაბადებისთანავე გაყრა ხალხს ჭორაობის საბაბს მისცემდა მის რიჩოსთან საეჭვო კავშირზე და ბავშვს მაშინვე ბასტარდად მონათლავდნენ. ჩირქი რომ არ მოეცხო იაკობ I-ის სახელისათვის, უმწიკვლო ქორწინებით შობილი ტახტის მემკვიდრისათვის, დედოფალმა საშინელი მსხვერპლი გაიღო, უარი თქვა ამ ბუნებრივ გადაწყვეტილებაზე.

თითქოს სხვა გზაც არსებობდა: შეიძლებოდა საიდუმლოდ მოელაპარაკათ, სხვების დასანახავად ყოფილიყვნენ ცოლ-ქმარი,

სინამდვილეში კი ერთმანეთისთვის თავისუფლება მიენიჭებინათ. ეს მარიამ სტიუარტს დაიხსნიდა ქმრის ინტიმური პრეტენზიებისაგან, საზოგადოების თვალში კი შეინარჩუნებდა ქორწინებას. მარიამ სტიუარტი რომ ამ გამოსავალს ეძებდა, ამას ადასტურებს ჩვენს დრომდე მოღწეული მისი საუბრის შინაარსი დარნლეისთან. დედოფალმა გადაუკრა, ურიგო არ იქნებოდა, საყვარელი გაგეჩინაო. ურჩია კიდეც, მისი მოსისხლე მტრის, მერეის მეუღლე შეეყვარებინა. ამგვარად, ხუმრობით გადაუკრა, რომ სულაც არ ეწყინებოდა, თუ სიმშვიდეს სხვაგან იპოვიდა. მაგრამ დახეთ უბედურებას, დარნლეისათვის სხვა ქალი არ არსებობდა, მას მხოლოდ დედოფალი სურდა. წარმოუდგენელი, მონური ერთგულებითა და გზნებით მიიწევდა ბედკრული ყმაწვილი ამ ძლიერი, ამაყი ქალისკენ. ვეღარც წარმოედგინა სხვა ქალის სიყვარული. მხოლოდ ის უყვარდა, ვისთვისაც იგი არ არსებობდა. მხოლოდ მისი სხეული აღუძრავდა ვნებას, გონებას აკარგვინებდა. გამუდმებით ეღიჯინებოდა დედოფალს და ითხოვდა მისგან სიყვარულს, მაგრამ რაც უფრო დაჟინებითა და მგზნებარედ მიისწრაფოდა მისკენ დარნლეი, სასტიკ უარს ეუბნებოდა ქალი. რა ბედის დაცინვა იყო! — რაც უფრო ხელს ჰკრავდა, მით უფრო ბოროტი და ცბიერი სურვილი აღეძროდა, ძაღლივით მორჩილი შეწყალებას ევედრებოდა. თავისი ავბედითი განუსჯელობისათვის, რომ ამ უჭკუო და უგულო ბიჭს ქმრის უფლებები მიანიჭა, ახლა საშინელ სასოწარკვეთილებას მისცემოდა დედოფალი. რა წინააღმდეგობაც უნდა გაეწია მარიამ სტიუარტს, მაინც განუყრელად იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

ასეთ მძიმე სულიერ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მარიამ სტიუარტმა გააკეთა ის, რასაც შავ დღეში ჩავარდნილი ადამიანები აკეთებენ. ხელი აიღო გადაწყვეტილებაზე, უარი თქვა აშკარა ბრძოლაზე, მიიმალა. მისი ბიოგრაფები ყველანი გაოცებულები იყვნენ, რომ მარიამ სტიუარტმა მშობიარობის შემდეგ, როგორც ბუნებრივი იყო, არც კი დაისვენა, არავინ გაუფრთხილებია, ერთი თვის შემდეგ დატოვა ციხე-კოშკი, ბავშვი და გასამხიარულებლად ალოაში გაემგზავრა, მარის გრაფის მამულში, საბაბიც გააჩნდა გაქცევისა. გავიდა ერთი თვე და ალბათ აღარ ჰქონდა საპატიო მიზეზი, რომ ახლოს არ გაეკარებინა საძულველი ქმარი. დარნლეიმ გაბედულება მოიკრიბა: დღედაღამ სდევდა. დედოფლის სხეული უარს ეუბნებო-

და, სულს აღარ შეეძლო მობეზრებული საყვარლის ატანა. სრულიად ბუნებრივია, რომ მარიამ სტიუარტი გაურბოდა მას, სურდა, ზღუდე აღემართა მასა და ქმარს შორის, გარეგნულად მაინც გაეთავისუფლებინა თავი მისგან და ფრთები გაეშალა შინაგანად. ამგვარად, მომდევნო კვირებში, თვეებში, მთელი ზაფხული გვიან შემოდგომამდე თავს შველოდა გაქცევით, ხან ერთ ციხე-კოშკში იყო, ხან — მეორეში, ხან აქ ნადირობდა, ხან იქ. მარიამ სტიუარტს ჯერ ოცდაოთხი წელიც არ შესრულებოდა. იგი თავდავიწყებით ეძლეოდა მხიარულებას ალოაში და სხვაგანაც, როგორც შატელიარის და რიჩოს დროს, ათასნაირ თავბრუდამხვევ გასართობებში, მასკარადებში, ცეკვებში კლავდა დროს. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, თუ რა ადვილად ივიწყებდა გამოვლილ განსაცდელს ეს უდარდელი ქალი. მხოლოდ ერთხელ სცადა დარნლეიმ, მოკრძალებით მოეთხოვა თავისი უფლებები. ცხენით გაემგზავრა ალოაში, მაგრამ მაშინვე გამოისტუმრეს იქიდან და არც კი სთხოვეს, ღამე გაეთია ციხე-კოშკში. მარიამ სტიუარტმა შინაგანად გაწყვიტა კავშირი მასთან, მისი სიყვარულის ალი ერთი აბრიალდა და ისევ ჩქარა ჩაქრა. ჰენრი დარნლეი, ვინც განუსჯელმა სიყვარულმა შოტლანდიის მბრძანებლად და მისი სხეულის უფლად აქცია, მისთვის შეცდომად, იმ უსიამოვნო მოგონებად იქცა, რის დავიწყებასაც ვერაფრით ახერხებდა.

დარნლეი მისთვის აღარ არსებობდა, მაგრამ მერეისაც, თავის ძმასაც, თუმცა სხვების დასანახავად თანხმობა სუფევდა მათ შორის, აღარ ენდობოდა, მაიტლენდზეც, კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ რომ შეიწყალა, გული გაუცივდა. ახლა ისეთი ადამიანი სჭირდებოდა, ვისაც მთელი სულითა და გულით მიენდობოდა. მგზნებარე ბუნების ქალს არ სჩვეოდა სიფრთხილე და სანახევროდ მინდობა, წინდახედულობა, ყოყმანი. მთელი გულით უნდა ჰყვარებოდა ან სძულებოდა ვინმე, მთელი გულით უნდა მინდობოდა ან არ უნდა მონდობოდა. მარიამ სტიუარტი, დედოფალი და ქალი, ეს ბობოქარი სულის ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლე შეგნებულად თუ შეუგნებლად ეძებდა თავისი თავის სრულიად საწინააღმდეგოს, ძლიერ, მკაცრ, ერთგულ მამაკაცს.

რიჩოს შემდეგ მას მხოლოდ ბოთველი დარჩა, ერთადერთი, ვისაც შეიძლებოდა მინდობოდა. ბედი შეუბრალებლად სდევნიდა ამ უშიშარ კაცს. ლორდების ხროვამ სამშობლოდან მთლად ახალგაზ-

რდა გამოაძევა, რადგან ლაქუცი არ შეეძლო. უკანასკნელ წუთამდე ერთგულად იცავდა მარიამ დე გიზს, მარიამ სტიუარტის დედას, „კონგრეგაციის ლორდებისგან“ და არც მაშინ ჩაუგია ხმალი ქარ-ქაშში, როცა კათოლიციზმის საქმე შოტლანდიაში, სტიუარტები რომ იცავდნენ, საბოლოოდ წაგებული იყო. ძალა მის მხარეს არ იყო და ბოთველი იძულებული გახდა, გაქცევით ეშველა თავისათ-ვის. ლტოლვილი საფრანგეთში უცბად ლეიბგვარდიის უფროსი გახდა. ამ საპატიო მდგომარეობამ სამეფო კარზე კეთილად იმოქმ-ედა მის საქციელზე, თუმცა თანდაყოლილი უხეშობა და დაუდგრომ-ელი ძალა არ შეუნელებია. ბოთველი სულით ჯარისკაცი იყო და მხოლოდ თბილი ადგილი ვერ დააკმაყოფილებდა. როგორც კი მო-სისხლე მტერი, მერეი აღდგა დედოფლის წინააღმდეგ, იალქნები გაშალა, გადმოცურა ლამანში, რომ სტიუარტების ასულს გამოსარ-ჩლებოდა. როცა კი სტიუარტების ასულს დასჭირდებოდა შველა მის უბოროტეს ქვეშევრდომთაგან დასაცავად, იგი მზად იყო, გაეწო-დებინა მისთვის რკინის ნაწრთობი ხელი. რიჩოს მკვლელობის ღა-მეს უშიშრად გადმოხტა მეორე სართულის ფანჯრიდან დედოფლის დასახსნელად. მისი შორსმჭვრეტელობის წყალობით იყო, რომ დე-დოფალმა გაქცევა გაბედა. მისი რკინისებური ენერგია შეთქმულებს ისეთ შიშს ჰგვრიდა, მაშინვე იარაღს ყრიდნენ. შოტლანდიაში ისე ერთგულად არავინ მომსახურებია მარიამ სტიუარტს, როგორც ეს ოცდაათი წლის, თავდადებული, მამაცი ჯარისკაცი ემსახურებოდა.

ბოთველი შავი მარმარილოსგან გამოკვეთილ ფიგურას ჰგავდა. თა-ვის იტალიელ კონდოტიერ კოლეონესავით იდგა ამაყად, გამომწვევად. მისი არწივივით მზერა საუკუნეებს გადასწვდებოდა. ჯან-ღონით სავსე, მოწიფული, ურყევი ნების მამაკაცი იყო. იგი უძველეს შოტლანდიურ გვარს, ჰეპბურნებს ეკუთვნოდა, მაგრამ უნებურად იფიქრებდა კაცი, რომ მის ძარღვებში ძველი ვიკინგების და ნორმან დამპყრობელთა, სასტიკ მებრძოლთა და მეკობრეთა დაუდგრომელი სისხლი ჩქეფდა. მიუხედავად დიდი კულტურისა (ბრწყინვალედ ლაპარაკობდა ფრან-გულად, უყვარდა და აგროვებდა წიგნებს), ბოთველში ბუნებით მეამ-ბოხის ველურ სიფიცხეს შენიშნავდით, წინააღმდეგ უწყინარი მეშ-ჩანობისა დაუოკებელ წყურვილს იმ რომანტიკოს მეკობრეთა თავგა-დასავლებისას, hors la loi[1], რითაც ასე აღტაცებული იყო ბაირონი.

[1] *უკანონოდ გამოცხადებულ ერეტიკოსთა (ფრ.).*

მაღალი, მხარბეჭიანი, უჩვეულოდ ძლიერი და ამტანი, წელზე ორტარიან ხმალს მსუბუქ დაშნასავით ირტყამდა, ქარიშხლისას შეეძლო ზღვაში იალქნიანი ნავი გაეყვანა. თავისი ძალის რწმენამ უჩვეულოდ მორალური, უფრო სწორად ამორალური, თავზე ხელაღებული კაცი გახადა. ამ შფოთისთავს არაფრის ეშინოდა. მისთვის მხოლოდ ძალმომრეობის მორალი არსებობდა: უსინდისოდ ხელი ჩაევლო, არ გაეშვა, დაეცვა, რასაც ხელში ჩაიგდებდა. მაგრამ ამ შფოთისთაობას არავითარი საერთო არ ჰქონდა სულმდაბალ სიხარბესა და სხვა ბარონების ინტრიგანულ ანგარიშიანობასთან. ბარონებისა, რომლებიც ამ თავზე ხელაღებულ, მამაც კაცს სძულდა. სძულდა, რადგან ხროვად შეიყრებოდნენ ხოლმე თავიანთი მძარცველური ლაშქრობებისთვის და შუაღამისას თითხნიდნენ ლაჩრულ საქმეებს. ბოთველი არავის გაუხდებოდა მოკავშირედ, მას სძაგდა ყოველგვარი გარიგებანი. ამპარტავანი, მარტოდმარტო, ამაყად თავაწეული მიდიოდა თავისი გზით, არად აგდებდა მორალსა და კანონს. ვინც გზაზე გადაუდგებოდა, რკინის მუშტს ჩასცხებდა. რასაც მოისურვებდა, ნებადართულსა თუ აკრძალულს, ყველაფერს იოლად აკეთებდა, არ ემალებოდა მზის სინათლეს. გამოირჩეოდა პირდაპირობით. ორპირი და სულმოკლე ლორდებისა და ბარონების გვერდით სისხლისმსმელ, მაგრამ კეთილშობილ მხეცს მოგაგონებდათ, ლეოპარდს, ლომს მგლებსა და აფთრებს შორის. არც მაღალი ზნეობის, არც მომხიბვლელი ადამიანი იყო, მაგრამ მაინც ნამდვილი მამაკაცი, მტკიცე ხასიათის, ძველი დროის მებრძოლი. ამიტომ იყო, რომ ეშინოდათ მისი და ეჯავრებოდათ სხვა მამაკაცებს, მაგრამ მისი დაუფარავი, სასტიკი ძალა მაგიურად მოქმედებდა ქალებზე. არავინ იცის, ეს ქალთა გულების უფალი გარეგნულად ლამაზი იყო თუ არა, არც ერთი მისი ოდნავ ხეირიანი პორტრეტი არ შემონახულა (უნებურად წარმოგიდგებათ ფრანც ჰალსის ტილო — ერთ-ერთი მისი მამაცი მებრძოლი, შუბლზე რომ შლაპა ჩამოუფხატავს, თამამი, გამომწვევი მზერით). ზოგიერთი ცნობის მიხედვით, საშინლად ულამაზო ყოფილა, მაგრამ ქალს რომ უყვარდე, ამისთვის სულაც არ არის საჭირო სილამაზე; ძლიერი ბუნების მამაკაცის სუნთქვა, ბობოქარი თავისებურება, უჩვეულო სიმკაცრე, ომისა და გამარჯვების ატმოსფერო აღიზიანებს ქალის გრძნობას. ისე არაფერი აღუძრავს ქალს ვნებას, როგორც აღტაცებისა და შიშის თრთოლა. მსუბუქი ტკბილი

განცდა და ძრწოლა ენით გამოუთქმელ სიმძაფრეს ანიჭებს ნეტარებას. თუ ამასთან მამაკაცი უბრალოდ, mále კი არ არის, ავხორციცაა, როგორც ბოთველი იყო, და მაღალი წრისათვის დამახასიათებელი კულტურის საბურველშია გახვეული, თუ ამავე დროს ჭკვიანიც არის და მოსაზრებულიც, მის ჯადოს ვერ გაუძლებს ქალი. მართლაც, ამ თავგადასავლების მოყვარულს მრავალი სასიყვარულო ამბავი გადახდენია თავს, რასაც არაფრად აგდებდა. საფრანგეთის სამეფო კარზე მისი სასიყვარულო თავგადასავლები ზღაპრად იყო ქცეული. მარიამ სტიუარტის წრეშიც მის ცდუნებას ვერ გაუძლო რამდენიმე მანდილოსანმა. ამბობდნენ, დანიაში ერთმა ლამაზმა დიდგვაროვანმა ქალმა მას მსხვერპლად შესწირა ქმარი, ფული და ღირსებაო. თუმცა დაფნის გვირგვინს ადგამდნენ თავზე, ბოთველს ვერ ვუწოდებთ მოძალადეს, დონ ჟუანს, ქალის კალთაზე გამობმულ მამაკაცს. ქალები მისთვის ტიკინები იყვნენ. ამგვარ გამარჯვებას სულ ადვილად აღწევდა ეს მებრძოლი სულის ადამიანი. ვით მეკობრე ვიკინგებს, ბოთველს ქალი შემთხვევით ნადავლად მიაჩნდა. მათ ისე ეუფლებოდა, როგორც ღვინოს სვამდა, კამათელს აგორებდა, ცხენს დააჭენებდა და იბრძოდა. მისთვის ეს ძალების გამოცდა იყო, რაც სიცოცხლის ენერგიას მატებდა, მამაკაცურ გასართობებს შორის ყველაზე მამაკაცური თავშესაქცევი. ქალის გულს ინადირებდა, მაგრამ თვითონ მთელი გატაცებით არ ეძლეოდა ტრფობას. იმიტომ ეუფლებოდა, რომ დაუფლებოდა. მის პატივმოყვარეობას განსაკუთრებით აკმაყოფილებდა ძალმომრეობით დაუფლება.

თავის ერთგულ ვასალში, ბოთველში, მარიამ სტიუარტი პირველად მამაკაცს ვერ ამჩნევდა. ვერც ბოთველი ხედავდა დედოფალში ახალგაზრდა, სასურველ ქალს. ერთხელ ჩვეულებრივი უდარდელობით, თავს უფლებაც კი მისცა, უხეშად ეთქვა დედოფალზე: ის და ელისაბედი ერთმანეთს რომ გადააბა, ერთი ხეირიანი ქალიც კი არ გამოვაო. ფიქრადაც არ მოსვლია, დედოფალი საყვარლად გაეხადა. არც დედოფალი ამჟღავნებდა მისკენ მცირეოდენ ლტოლვასაც კი. შოტლანდიაშიც არ უნდოდა მისი შემოშვება, რადგან საფრანგეთში ბოთველი თავს ვერ იჭერდა და ბევრს ლაპარაკობდა მასზე. მაგრამ როგორც კი მიხვდა, რა დაუფასებელი ჯარისკაცი იყო, უიმისოდ ველარ სძლებდა. უხვად აფრქვევდა წყალობას. ჯერ ჩრდილოეთის საგრაფოს გამგებლად დანიშნა, მერე შოტლანდიის უმაღლეს ად-

მირალად და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად ომისა თუ შფოთიანობის დროს. მარიამ სტიუარტმა უწყალობა ბოთველს შერისხული ბარონების მამულები და მეგობრული ზრუნვის ნიშნად, საცოლეც კი ამოურჩია ჰანთლეის მდიდარ საგვარეულოში. ეს მოწმობს, პირველად რა გულგრილად იყვნენ განწყობილნი ერთმანეთისადმი.

მაგრამ ეს ბუნებით მბრძანებელი საკმარისი იყო ხელისუფლებასთან მიგეშვათ, რომ მთლად ხელთ ეგდო ძალაუფლება. მალე ბოთველი პირველი მრჩეველი გახდა დედოფლისა ყოველ საკითხში. ვით მეფისნაცვალი, დამოუკიდებლად განაგებდა სახელმწიფოს. გაღიზიანებულმა ინგლისის ელჩმა სამეფო კარს შეატყობინა: სხვებზე მეტად გამოარჩევს ბოთველსო. ამჯერად სწორი იყო მარიამ სტიუარტის არჩევანი: იპოვა თავისი გულის მბრძანებელი, საკუთარი ღირსების გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი. ელისაბედის დაპირებები და საჩუქრები ანკესზე ვერ წამოაგებდნენ მას, ანგარებით არ დაუკავშირდებოდა ლორდებს. ამ უშიშარ ჯარისკაცზე დაყრდნობით პირველად მიეცა ფასი საკუთარ ქვეყანაში მარიამ სტიუარტს. ურჩმა ლორდებმა მალე იგრძნეს, რა ძალა მოიპოვა დედოფალმა ბოთველის სამხედრო დიქტატურის წყალობით. ჩიოდნენ კიდეც, ბოთველს მეტად გაუვიდა თავს, დავითი ასე არ გვეჯავრებოდაო და ოცნებობდნენ, როგორ დაეხსნათ თავი მისგან. მაგრამ ბოთველი რიჩო არ იყო, იგი არავის მიუშვერდა კისერს დამშვიდებით, ვერც დარნლეისავით გაინაპირებდნენ. მშვენივრად იცოდა თავის წარჩინებულ თანამოძმეთა ხრიკები და ისე ფეხსაც არ მოიცვლიდა, თუ ძლიერი დაცვა არ ახლდა თან. მისი borderers კი მზად იყო, ერთი თვალი რომ ჩაეკრა, მაშინვე იარაღი აესხა. იგი აინუნშიაც არ აგდებდა სამეფო კარის ინტრიგებს, არც სიძულვილსა და არც სიყვარულს. ისიც აკმაყოფილებდა, რომ მისი შიშით ცახცახებდნენ. სანამ ხელში ხმალი მიჭირავს, დაე, ეს მშფოთვარე, მძარცველთა ბანდა კბილებს აღრჭიალებდეს და ემორჩილებოდეს დედოფალსო. მარიამ სტიუარტის დაჟინებული თხოვნით, ის და მისი დაუძინებელი მტერი მერეი შერიგდნენ. ამგვარად, ძალაუფლების წრე შეიკრა, ყველა ძალა გაწონასწორდა. მას შემდეგ, რაც ბოთველი დაიახლოვა, მარიამ სტიუარტს საიმედო დასაყრდენი ჰყავდა, აღარაფერში ერეოდა და მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ დედოფალი იყო. მერეი წი-

ნანდებურად საშინაო საქმეებს განაგებდა, მაიტლენდი — დიპლომატიურს, ერთგული ბოთველი კი მისი all in all[1] იყო. მისი რკინის მუშტის შემწეობით შოტლანდიაში წესრიგი და მშვიდობა დამყარდა. ეს სასწაული მოახდინა ერთადერთმა კაცმა — ნამდვილმა მამაკაცმა.

მაგრამ რაც უფრო მეტად იგდებდა ბოთველი ხელთ ძალაუფლებას, მარიამ სტიუარტი იმდენად ნაკლებად ეკუთვნოდა იმას, ვისაც უნდა ჰკუთვნებოდა კანონიერად — მეფეს. თანდათანობით ის სუსტი ძაფიც გაწყდა, რაც ერთმანეთთან აკავშირებდათ და მოგონებაღა დარჩა. ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა და რა შორს იყო ის დრო, როცა ახალგაზრდა დედოფალმა ვნებითა და გატაცებით ამოირჩია დარნლეი, ჰეროლდებმა სახალხოდ გამოაცხადეს იგი მეფედ. მოოქრულ ჯავშანში ჩამჯდარი მეფე მასთან ერთად მეამბოხეებს მისდევდა. ახლა, როცა ბავშვი დაიბადა, როცა შეასრულა თავისი პირდაპირი მოვალეობა, უბედური დარნლეი თანდათან ჩრდილში მიდგა. ყველამ ზურგი შეაქცია. რაც უნდა ელაყბა, არავინ აქცევდა ყურადღებას, სადაც უნდოდა, იქ წავიდოდა, არავის აინტერესებდა მისი ასავალ-დასავალი. სამეფო საბჭოზე აღარ ეძახდნენ, აღარ იწვევდნენ ზეიმზე. მუდამ მარტო დაბორიალებდა და აჩრდილივით თან სდევდა მარტოობის სიცივე. სადაც უნდა მისულიყო, ყველგან სძაგდათ და ზურგს უკან დასცინოდნენ. უცხოდ, მტრად გრძნობდა თავს საკუთარ სამშობლოში, თავის სახლში მტრებს შორის.

ეს სრული უგულებელყოფა — ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა — ქალის სულში აღძრულ სიძულვილს მოჰყვა, მაგრამ როგორც უნდა მოჰბეზრებოდა დედოფალს იგი, ამ სიძულვილის გამომჟღავნება მისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მარცხი იქნებოდა. ამპარტავანი ყმაწვილი არ შეიძლებოდა ასე შეუბრალებლად ლორდების სალანძღავი გაეხადა. გონება უკარნახებდა, რომ მოჩვენებით, სხვის დასანახავად მაინც ეცა პატივი. შეურაცხყოფას ყოველთვის თავისი შედეგი მოსდევს — სუსტ ადამიანსაც სიმტკიცეს მატებს. უნებისყოფო დარნლეიც კი თანდათან ბოროტი და საშიში გახდა. გააფთრდა. როცა შეიარაღებული მცველებით გარშემორტყმული (რიჩოს მკვლელობა მისთვისაც სამაგალითო გახდა) მთელი დღეები სანადიროდ დაეხეტებოდა, თანამგზავრებს ხშირად ესმოდათ, როგორ ემუქრებოდა მერეისა და სხვა ლორდებს. თავის თავს იმისი უფლებაც

[1] *ყველა და ყველაფერი (ინგლ.).*

კი მისცა, წერილები მიწერა უცხო ქვეყნის სამეფო კარზე და მარიამ სტიუატი დაედანაშაულებინა, თანამიმდევარი არ არის რწმენაშიო. ფილიპე II-ს თავი ისე წარმოედგინა, თითქოს ის იყო კათოლიციზმის „ჭეშმარიტი დამცველი“. ჰენრიხ VII-ის შვილიშვილის შვილი ცდილობდა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ხმის უფლების მოპოვებას. რა სულმდაბალიც უნდა ყოფილიყო ეს ბიჭი, სულის სიღრმეში პატივმოყვარეობის გრძნობაც უღვიოდა. დარნლეი შეიძლება უნებისყოფო იყო, მაგრამ უპატიოსნო არა. ყველაზე საეჭვოდ მაშინ იქცეოდა, როცა ყალბი პატივმოყვარეობა გაიღვიძებდა მასში. მეტისმეტად იყო თავის თავში დარწმუნებული. და აი, შერისხულმა ბოლოს უკანასკნელი ღონე იხმარა. სრულიად მოულოდნელად სექტემბრის ბოლოს ჰოლირუდიდან გლაზგოში გაემგზავრა. არც ფარავდა თავის განზრახვას, რომ მალე დატოვებდა შოტლანდიასა და უცხო ქვეყანაში გაემგზავრებოდა. მე თქვენ აღარ გეთამაშებით, — თითქოს განაცხადა დარნლეიმ, — თუ მეფურ უფლებებს მართმევთ, თქვენი ტიტული რაღად მინდა. თუ შესაფერისი მდგომარეობა არ მექნება სახელმწიფოში, საკუთარ ოჯახში, რაღაში მჭირდება თქვენი სასახლე და მთელი შოტლანდია. მისი ბრძანებით, ნავსადგურში გასამგზავრებლად გამზადებული გემი იდგა. რისი მიღწევა სურდა დარნლეის ამ მოულოდნელი მუქარით? ხომ არავინ გააფრთხილა? მის ყურამდე ხომ არ მიუღწევია ხმას შეთქმულების მზადების შესახებ და რადგან ძალა არ შესწევდა გამკლავებოდა ამ ხროვას, ამიტომ ხომ არ აპირებდა დროულად გაქცევას, სადაც შხამი და ხანჯალი ვერ მისწვდებოდა? ეჭვი ხომ არ უღრღნიდა გულს? შიშმა ხომ არ აიძულა გაქცეულიყო? თუ იმიტომ იმუქრებოდა და იბღინძებოდა, დიპლომატიას ხმარობდა, რომ მარიამ სტიუარტი შეეშინებინა? ყოველ ამ ვარაუდში ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი იმალება, რადგან ერთ გადაწყვეტილებაში მრავალი გრძნობაა გაერთიანებული და არც ერთი მეორეს არ ვნებს. იქ, სადაც ბილიკი გულის იდუმალი კუნჭულებისკენ მიემართება, ისტორიის ცეცხლი ბუნდოვნად კრთის; ამ ლაბირინთებში ფრთხილად უნდა მოსინჯო გზა. მარიამ სტიუარტი სერიოზულად შეაშინა იმ ამბავმა, რომ დარნლეი გამგზავრებას აპირებდა. წინასწარ გამგზავრება მამისა სწორედ საზეიმო ნათლობის წინ, სახელს გაუტეხდა. განსაკუთრებით ახლა, როცა ჯერ არ დავიწყებოდათ, როგორ გაუსწორდნენ რიჩოს. ამ განაწყენებულ, გონებაშეზღუდულ ბიჭს რა დაუშლიდა, ისეთი

რამ ელაპარაკა ეკატერინე მედიჩის ან ელისაბედის სამეფო კარზე, რაც ღირსებას შეულახავდა. გაიხარებდნენ მისი მეტოქენი, მთელი ქვეყანა დასცინებდა, რომ შეყვარებულმა ქმარმა ასე ჩქარა მიატოვა მისი სასახლე და სარეცელი. მარიამ სტიუარტმა საჩქაროდ სახელმწიფო საბჭო მოიწვია, რომ დარნლეი გაეფრთხილებინათ. ლორდებმა მაშინვე ვრცელი დიპლომატიური წერილი მისწერეს ეკატერინე მედიჩის, სადაც ყოველგვარ უკანონობას დარნლეის, ამ ლტოლვილს აბრალებდნენ.

მაგრამ ეს აურზაური ნაადრევი აღმოჩნდა. დარნლეი არსადაც არ წასულა. ამ სუსტმა ბიჭმა ვაჟკაცურად მოიკრიბა ძალა, მაგრამ არა ვაჟკაცური საქციელისათვის. 29 სექტემბერს, — ლორდებს ისიის იყო, პარიზში თავიანთი უსტარი უნდა გაეგზავნათ, — დარნლეი ედინბურგში სასახლის ფანჯრებთან გამოჩნდა. შემოსვლაზე უარი თქვა, სანამ ლორდები არ დაიშლებოდნენ. კვლავ გაუგებარი იყო მისი საქციელი. იქნებ ეჭვობდა, რომ რიჩოს ხვედრს უმზადებდნენ, ხომ არ ეშინოდა სასახლეში შესვლისა, სადაც მისი მოსისხლე მტრები ისხდნენ? თუ შეურაცხყოფილ მეუღლეს სურდა, მარიამ სტიუარტს მდაბლად დაეხარა თავი და შევედრებოდა დაბრუნდიო? ან იქნებ იმისთვის დაბრუნდა, რომ გაეგო, იმოქმედა თუ არა მისმა მუქარამ? ესეც არავინ იცის, როგორც ბევრი რამ მისი ცხოვრებიდან. მარიამ სტიუარტს დიდხანს არ უფიქრია. მას საოცარი ალღო გააჩნდა, მოევლო სუსტი ნებისყოფის მეუღლისათვის, როცა ამბოხებას დააპირებდა და თავს ბატონად წამოიდგენდა. დედოფალმა იცოდა, როგორც ეს რიჩოს მკვლელობისას გააკეთა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამოეცალა მისთვის უკანასკნელი ნებისყოფა, სანამ ეს ბავშვივით ჯიუტი კაცი უფრო დიდ უბედურებას არ დაატეხდა თავს. ამგვარად, არაფერი ჰქონდა მასთან მოსარიდებელი და დასარცხვენი. კვლავ მორჩილად მოაჩვენა თავი. მისი ურჩობა რომ გაეტეხა, უკანასკნელი ღონე იხმარა: მაშინვე დაითხოვა ლორდები და თვითონ გაეშურა ურჩისაკენ, რომელიც კარში ელოდებოდა, და დიდი პატივით შეიყვანა არა მარტო სასახლეში, ალბათ ცირცეის კუნძულზეც — თავის საწოლ ოთახში. ეს საშუალება ნამდვილად ჭრიდა. ასეთი ძალა ჰქონდა ამ ყმაწვილზე, მთელი გრძნობით რომ იყო მასთან დაკავშირებული. დილით დარნლეი ბავშვივით მორჩილი ჩანდა და მარიამ სტიუარტიც თავის ნებაზე ატარებდა.

დარნლეი არავის ებრალებოდა. როგორც რიჩოს მკვლელობის შემდეგ ნაბოძვარი ღამე ამოანთხიეს, ახლაც ეს ხვედრი ელოდა. კვლავ წარმოიდგინა თავი ბატონად და მბრძანებლად, მისაღებ დარბაზში შეხვდა საფრანგეთის ელჩსა და ლორდებს. ისევე, როგორც ელისაბედს მერეისთან გათამაშებულ კომედიაში, მარიამ სტიუარტსაც მოწმეები სჭირდებოდა და მათი თანდასწრებით ხმამაღლა და დაჟინებით ჰკითხა დარნლეის: „for god's sake[1], თქვი, რამ მოგაფიქრებინა შოტლანდიიდან წასვლა, მე ხომ გაქცევის საბაბი არ მომიცია?" დარნლეი საშინელმა სასოწარკეთილებამ შეიპყრო. მას კვლავ ბედნიერ ქმრად და სატრფოდ წარმოედგინა თავი და უცბად ელჩებისა და ლორდების წინაშე უნდა წარმდგარიყო ვით ბრალდებული! დაღვრემილი იდგა შუა დარბაზში მაღალი, უწვერულვაშო, ბიჭური სახის მეფე. იგი ნამდვილი ვაჟკაცი რომ ყოფილიყო, მეტ სიმტკიცეს გამოიჩენდა, მბრძანებლურად განაცხადებდა თავის პრეტენზიებსა და ბრალდებულად კი არა, მსაჯულად წარდგებოდა ამ ქალისა და თავის ქვეშევრდომთა წინაშე. მაგრამ სანთლის გულს რა წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო. ცელქობაზე დაჭერილ მოწაფესავით, თითქოს ეშინოდა, უძლური გააფთრებისაგან ცრემლები არ წასკდომოდა, ამ დიდ დარბაზში იდგა განმარტოებით, კბილს კბილზე აჭერდა და დუმდა. უბრალოდ, არ პასუხობდა შეკითხვებზე. არც ბრალსა სდებდა და არც ბოდიშს იხდიდა. ამ დუმილით აღშფოთებულმა ლორდებმა მოკრძალებით ჰკითხეს: როგორ მოგვიდა თავში. So beautiful a queen and so noble a realm[2] დატოვებაო, მაგრამ ამაოდ, დარნლეიმ პასუხის ღირსად არ ჩათვალა ისინი. სიჯიუტითა და იდუმალი მუქარით აღსავსე ეს დუმილი თანდათან უფრო სტანჯავდა იქ მყოფთ. ყველა გრძნობდა, რომ ეს უბედური ძლივს იკავებდა თავს და საშინელი რამ მოხდებოდა. მარიამ სტიუარტის დამარცხება იქნებოდა, დარნლეის ძალა რომ ჰყოფნოდა და გაეგრძელებინა ეს მომაკვდინებელი, მეტყველი დუმილი. მაგრამ დარნლეი დანებდა, რადგან ლორდები და ელჩი კვლავ სთხოვდნენ avec beaucoup de propos[3]". იგი გატყდა და ძლივს გასაგონად დაუდასტურა ის, რაც მისგან სურდათ მოესმინათ. არა, მის მეუღლეს არ მიუცია წასვლის საბაბი. მარიამ სტიუარტს

[1] *ღვთის გულისათვის (ინგლ.).*
[2] *ასეთი მშვენიერი დედოფლისა და კეთილშობილი ქვეყნის (ფრ.).*
[3] *დაბეჯითებით (ფრ.).*

მხოლოდ ეს სჭირდებოდა. ამ განცხადებით უბედურმა თვითონ გამოუტანა თავის თავს განაჩენი. კვლავ აღდგა დედოფლის შელახული სახელი საფრანგეთის ელჩის თვალში. მარიამ სტიუარტმა შვებით ამოისუნთქა და ხელის მოძრაობით ანიშნა, რომ სრულიად აკმაყოფილებდა დარნლეის პასუხი.

მაგრამ დარნლეი არ იყო კმაყოფილი. სირცხვილი კლავდა. კვლავ დაემორჩილა ამ დალილას, დაარღვია დუმილის ყინული. ალბათ საშინელი სატანჯველი უფლეთდა გულს. მოტყუებულ და გასულელებულ ყმაწვილს, როცა დედოფალმა დიადი ჟესტით თითქოს „აპატია“, თუმცა იგი აქ უფრო ბრალმდებლად გამოდიოდა, მეტისმეტად გვიან მოაგონდა, რომ ღირსება შეულახეს. არც ლორდებს გამოსთხოვებია თავაზიანად, არც მეუღლეს მოხვევია. თითქოს ჰეროლდს ომის გამოცხადება ჰქონდა დავალებული, გულცივად გავიდა დარბაზიდან. უკანასკნელად მიმართა დედოფალს: „Madame, ამიერიდან მალე ვეღარ გიხილავთ“. მაგრამ ლორდებმა და მარიამ სტიუარტმა კმაყოფილების ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. შვებით ამოისუნთქეს: ეს მკვეხარა, that proud fool, თავხედური პრეტენზიებით რომ გამოცხადდა აქ, თუნდაც კუდამოძუებული შემძვრალიყო თავის სოროში. მისი მუქარისა აღარავის ეშინოდა. რაც უფრო შორს წავიდოდა, მით უკეთესი იყო მისთვისაც და სხვებისთვისაც.

მაგრამ ეს გამოუსადეგარი კაცი ახლა ისევ დასჭირდათ! დასჭირდათ სასახლეში და მოიწვიეს.

თექვსმეტ დეკემბერს დიდი დაგვიანებით, სტირლინგის ციხეში პატარა პრინცი უნდა მოენათლათ. დიდი სამზადისი იყო. ელისაბედი, ჩვილის ნათლია, რა თქმა უნდა, არ ჩამოსულა — მთელი სიცოცხლე გაურბოდა მარიამ სტიუარტთან შეხვედრას — სამაგიეროდ, რაც არ სჩვეოდა, გულუხვობა გამოიჩინა და ბედფორდის გრაფის ხელით ფასდაუდებელი საჩუქარი გაუგზავნა — ძვირფასი ქვებით მოოჭვილი, მძიმე, წმინდა ოქროს, შესანიშნავად ნაკეთები ემბაზი. ჩამოვიდნენ საფრანგეთის, ესპანეთის, სავოიას ელჩები. მთელი დიდებულები მოიწვიეს. ზეიმს ყველა ესწრებოდა, ვისაც კი პრეტენზია ჰქონდა მაღალ სახელსა და წოდებაზე. ასეთი დიდებული ცერემონიალის დროს გულითაც რომ ნდომოდათ, სტუმრების სიიდან ვერ ამოშლიდნენ ისეთ არარაობას, როგორიც ჰენრი დარნლეი, მემკვიდრის მამა და მეფე იყო. მაგრამ დარნლეი ხვდებოდა, რომ სულ ბოლოს მო-

აგონდათ იგი და ფხიზლობდა. ეყოფოდა საქვეყნოდ შერცხვენა. მან იცოდა, ინგლისის ელჩს ნაბრძანები ჰქონდა, არ ეწოდებინა მისთვის „თქვენო აღმატებულებავ“. საფრანგეთის ელჩმა, რომელიც სურდა მოეხელთებინა თავის ოთახში, თავხედური ამპარტავნობით შემოუთვალა, როგორც კი ჩემი ოთახის კარს შემოაღებთ, მაშინვე მეორე კარიდან გავალო. დამცირებული ყმაწვილის თვალში უცბად სიამაყემ გაიღვიძა, თუმცა ეს ჭირვეული ბავშვის გააკებულ საქციელს უფრო ჰგავდა. ამჯერად ასეთი ქცევით მიზანს მიაღწია. არც სტირლინგის ციხე-კოშკიდან გაქცეულა, მაგრამ არც სტუმრებში გამოჩენილა, წვეულებაზე არ იყო და იმუქრებოდა. დემონსტრაციულად ჩაიკეტა თავის ოთახში, არც შვილის ნათლობაში მიუღია მონაწილეობა, არც მეჯლისსა და მასკარადში. მის მაგივრად (წვეულნი აღშფოთებით უჩურჩულებდნენ ერთმანეთს) სტუმრებს იღებდა ბოთველი, ისევ ის საძულველი, ძვირფასად გამოწყობილი ფავორიტი. მარიამ სტიუარტს, ალერსიან დიასახლისს თავი ისე ეჭირა, რომ არავის ეფიქრა, თითქოს მის სახლში მიცვალებული ესვენა. მბრძანებელი, მამა და მეუღლე ზემო სართულზე თავის ოთახში ჩაკეტილიყო და ცოლსა და მის მეგობრებს ზეიმს უმწარებდა. დარნლეიმ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მათ, რომ აქ იყო, ჯერ ისევ აქ იყო. სწორედ თავისი არყოფნით მოაგონებდა იგი უკანასკნელად თავის არსებობას.

მაგრამ ურჩი ბიჭის დასასჯელად მაშინვე მოტეხეს წკეპლა. რამდენიმე დღის შემდეგ, ნათლიღების წინადღეს, წკეპლამ გაიშხუილა ჰაერში. აბა ვინ იფიქრებდა, ასეთი ჯიუტი ქალი მერეისა და ბოთველის რჩევით შეიწყალებდა რიჩოს მკვლელთ. სწორედ ის სისხლისმსმელი მტრები დარნლეისა, რომლებსაც თავის დროზე დარნლეიმ უღალატა და მოატყუა, სამშობლოში მოიწვიეს. დარნლეი არც ისეთი სულელი გახლდათ, მაშინ მიხვდა, რა საფრთხეც ელოდა. საკმარისი იყო მთელი ეს ხროვა — მერეი, მაიტლენდი, ბოთველი, მორტონი შეყრილიყო, რომ იგი შეეპყროთ და მოეკლათ. ტყუილად კი არ შემოიკრიბა მისმა მეუღლემ მისი მოსისხლე მტრები. ამას თავისი აზრი ჰქონდა და ანგარიში, რაც ძვირად დაუჯდებოდა დარნლეის.

დარნლეის საფრთხე ემუქრებოდა. იცოდა, ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. მეძებარი ძაღლების მიერ დევნილი ნადირივით გაიქცა ციხე-კოშკიდან, ჩქარობდა თავი შეეფარებინა მამასთან გლაზგოში. ჯერ ერთი წელიც არ გასულიყო, რაც რიჩო მიწას მიაბარეს, რომ

მკვლელებმა ძმურად შეჰკრეს კავშირი. წარმოუდგენელი საშინელი განსაცდელი ელოდა. მკვდრებს მოსწყენოდათ მარტოკა ნესტიან სამარეში წოლა და თავისკენ იხმობდნენ იმათ, ვინც იქ ჩაჰყარა, ჰეროლდებივით წინ მიუძღოდათ შიში და ძრწოლა.

ეს ორი თვე იყო, მართლაც, შავბნელი, მძიმე, თითქოს სულის შემხუთველი ღრუბელი ჩამოსწოლოდა ჰოლირუდის ციხე-კოშკს. მეფის ნათლობის საღამოს შანდლებით გაჩირაღდნებულ სტირლინგის ციხე-კოშკში სტუმრები ხომ უნდა განეცვიფრებინა სასახლის კარის ბრწყინვალებით, მეგობრები კი მეგობრობით. მარიამ სტიუარტმა, რომელსაც უნარი შესწევდა ცოტა ხნით თავისი თავის მბრძანებელი გამხდარიყო, მთელი ძალა მოიკრიბა. თვალები თითქოს ბედნიერებისგან უბრწყინავდა, სტუმრებს ხიბლავდა უდარდელობითა და მხიარულებით, მაცდური თავაზიანობით. მაგრამ ჩაქრა თუ არა ჩირაღდნები, ჩაიფერფლა მისი ნაძალადევი მხიარულებაც. სიჩუმემ დაისადგურა ჰოლირუდში, უჩვეულო, საშინელი სიჩუმე შემოიპარა დედოფლის სულშიც. გამოუცნობი სევდა და დაბნეულობა დაეუფლა. ნაღველი ჩრდილივით დაეფინა მის სახეს, თითქოს რაღაც უშფოთებდა სულს. აღარ ცეკვავდა, აღარც მუსიკის მოსმენა სურდა. ჯედბოროში ცხენების ჭენების შემდეგ, ცოცხალმკვდარი რომ გადმოიღეს უნაგირიდან, ჯანმრთელობა თითქოს შეერყა. გვერდში ტკივილს უჩიოდა. მთელი დღეები იწვა. გართობა აღარ იტაცებდა. ვერც ჰოლირუდში იცდიდა. მთელი კვირაობით შორეულ მამულებში, განცალკევებულ ციხე-კოშკებში მიემგზავრებოდა, მაგრამ დიდხანს ვერც იქ ჩერდებოდა. თანდათან საშინელმა მღელვარებამ შეიპყრო. კაცი იფიქრებდა, გამანადგურებელი ძალა დაუფლებიაო. მტანჯველი, დაძაბული ცნობისმოყვარეობით შეიგრძნობდა ტკივილს, მთელს სხეულს რომ უფლეთდა. რაღაც ახალი ხდებოდა მასში. ავი, ბოროტი დაუფლებოდა აქამდე მის წმინდა სულს. ერთხელ საფრანგეთის ელჩმა მიუსწრო: საწოლში იწვა და ქვითინებდა. წლებით დაბრძენებულმა მოხუცმა არ დაიჯერა, შემკრთალმა დედოფალმა რომ წაიბურტყუნა, მარცხენა ფერდში ისეთ ტკივილს ვგრძნობ, ცრემლებს მაფრქვევინებსო. ელჩი მაშინვე მიხვდა, ხორციელი ტკივილი კი არ სტანჯავდა, არამედ სულიერი. დედოფალს კი არა, როგორც ქალს, თავი უბედურად მიაჩნდა. „დედოფალი შეუძლოდაა, — სწერდა იგი პარიზში, — მაგრამ მე ვფიქრობ, მისი ავადმყოფობის ნამდ-

ვილი მიზეზი ღრმა მწუხარებაა, რასაც ვერ დაივიწყებს. ხანდახან ამბობს ხოლმე: „ნეტავი მოვკვდე!“

არც მერეის, მაიტლენდსა და სხვა ლორდებს გამოჰპარვიათ თავიანთი ქალბატონის მძიმე სულიერი მდგომარეობა, მაგრამ გამოცდილ მხედართმთავრებს უნარი არ შესწევდათ, გულების საიდუმლოს გამოცნობისა. ისინი მხოლოდ ყველასათვის ნათელ, თვალდასანახავ მიზეზს — მის მარცხიან ქორწინებას ხედავდნენ. „თავი ვერ დაუხსნია მისგან“. წლებით დაბრძენებულმა დიუ კროკმა უფრო მეტი შენიშნა, როცა ლაპარაკობდა „ღრმა მწუხარებაზე, რისი დავიწყებაც შეუძლებელი იყო“. სხვა ფარული ჭრილობა სტანჯავდა უბედურ ქალს. ტკივილი, რომლის დავიწყებაც არ შეიძლებოდა, იმაში მდგომარეობდა, რომ დედოფალს მტაცებელი მხეცივით მოულოდნელად შემოეპარა დიდი გზნება. ბრჭყალებით დაუფლითა სხეული, მთელი გულ-ღვიძლი გადმოუბრუნა — უსაზღვრო, დაუოკებელი გზნება, რაც დანაშაულით დაიწყო და სულ ახალ და ახალ დანაშაულს მოითხოვდა. ახლა კი იბრძოდა, თვითონვე ეშინოდა, რცხვენოდა, იტანჯებოდა, ცდილობდა დაემალა ეს საშინელი საიდუმლო, თან იცოდა, გრძნობდა, რომ ვერ დამალავდა, ვერ გაჩუმდებოდა. იმაზე უფრო ძლიერი ვნება დაეუფლა, ვიდრე გონება უკარნახებდა. თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, უმწეოდ და დაღუპულად თვლიდა თავს ამ ყოვლისშემძლე, განუსჯელი გზნების კლანჭებში მოქცეული.

ერთი სიყვარულის ტრაგედია
1566-1567

მარიამ სტიუარტის სიყვარული ბოთველისადმი ყველაზე დასამახსოვრებელი სიყვარულია მსოფლიო ისტორიაში. თავისი მგზნებარებითა და ძალით იგი არ ჩამოუვარდება ანტიკურ მიჯნურთა სიყვარულს. კაშკაშა ალივით ავარდა ექსტაზის მეწამულ მწვერვალამდე და ცეცხლოვანი ენით მოლოკა ყოველი თვით დანაშაულის წყვდიადის ზოლამდე. მაგრამ სადაც გრძნობა ასე ზღვარს გადადის, უჭკუობაა, ლოგიკისა და გონების საზომით გავზომოთ, რადგან არსი ამგვარ ლაგამამოდებულ აფექტებისა იმაში მდგომარეობს, რომ არაგონივრულად ჩნდება. არ შეიძლება სიყვარულის განსჯა ან გამართლება, ვით ავადმყოფისა. იქნებ, როცა მას აღწერ, ყოველ წუთს გაოცებდეს, თრთოდე სტიქიის იმ მუდმივი ძალის წინაშე, რომელიც ზოგჯერ მოულოდნელად იფეთქებს ხოლმე ადამიანში, როგორც ბუნებაში. ამგვარი დაძაბული გზნება ადამიანის ნებას არ ემორჩილება, მთელი თავისი გამოვლინებებითა და შედეგებით სცილდება მისი შეგნებული ცხოვრების საზღვრებს, ბობოქრობს გრძნობის მიღმა. გზნებით შეპყრობილ ადამიანს მორალური საზომით რომ მიუდგე, ისეთივე სისულელეა, როგორც ის, რომ ქარიშხალს სასჯელი დავადოთ ან ვულკანს პასუხი მოვთხოვოთ. ასევე მარიამ სტიუარტის საქციელსაც, მის სულიერ გრძნობებს აღგზნების დროს ვერ განვსჯით, რადგან მაშინდელი უგონო საქციელი სულაც არ ეგუებოდა მის ჩვეულებრივ, ნორმალურსა და ზომიერ საქციელს. ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, გრძნობის ბურუსში იყო გახვეული და მისი ნების გარეშე ხდებოდა. თვალდახუჭული, სმენადახშული მთვარეულივით დაეხეტებოდა, თითქოს მაგნიტური ძალა იზიდავდა მის მიერ არჩეული დამღუპველი და დანაშაულებრივი გზისკენ. არც რჩევა ესმოდა,

არც ძახილი აღვიძებდა. მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა ცეცხლმა, სისხლს რომ უჩქეფებდა, მთლად დაფერფლა. გამოიღვიძა დამწვარმა, განადგურებულმა. ვინც ამ ქურაში მოხვდებოდა, მთლად დაიფერფლებოდა. ასეთ მგზნებარე სიყვარულს მხოლოდ ერთხელ განიცდის ადამიანი. ვით აფეთქება უცბად მოსპობს ტყვია-წამალს, გრძნობათა ასეთი მგზნებარე ალი სამუდამოდ ანადგურებს, რაც ადამიანს გააჩნია. მარიამ სტიუარტს სასიყვარულო ექსტაზი ნახევარ წელზე მეტს არ იპყრობდა, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში მისი მუდამ მშფოთვარე, დაძაბული სული ისეთ ცეცხლოვან ქარიშხალს გამოივლიდა, რომ შემდეგ ამ უსაზღვრო ელვარების აჩრდილად იქცეოდა. როგორც ზოგიერთი პოეტი (რემბო) ან მუსიკოსი (მასკინი) ერთ თავის გენიალურ ნაწარმოებში ნთქავენ საკუთარ თავს და გამოფიტულნი თავს ხრიან, ასეა ქალიც, რომელიც სიყვარულის ერთ გზნებაში ნთქავს მთელ თავის სასიყვარულო ძალას, იმის მაგვრად, რომ როგორც ეს უფრო თავდაჭერილ, მეშჩანური ბუნების ადამიანებს სჩვევიათ, წლების განმავლობაში გამოიზოგონ. თითქოს სასიამოვნო ნექტარი გამოწურესო, მთელი სიცოცხლის სიყვარულს იგემებენ. დაუფიქრებლად, თავდავიწყებით ემონებიან უსაზღვრო ვნებას. ამგვარი სიყვარულის (მას კი ჭეშმარიტი შეიძლება ვუწოდოთ, რადგან მისთვის უცხოა სიკვდილის შიში) ჭეშმარიტ მაგალითად გამოდგებოდა მარიამ სტიუარტი, რადგან მან მხოლოდ ერთხელ იგემა მგზნებარე სიყვარული, ბოლომდე იგემა, მაგრამ თავისი თავიც დანთქა შიგ და დაღუპა.

ერთი შეხედვით თითქოს საოცარია, დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც დარნლეით იყო გატაცებული, რომ ბოთველმა უცბად აღუძრა ვნება. თან ეს ბუნებრივადაც და კანონზომიერადაც გვეჩვენება. როგორც ყოველ დიდ ხელოვნებას, სიყვარულსაც შესწავლა, გამოცდა და პრაქტიკულად შემოწმება სჭირდება. თითქმის ისევე, როგორც ხელოვნებაში, პირველი ცდა არასოდეს არის სრულყოფილი. მეცნიერების შეუვალი კანონი სულის შესახებ მეტყველებს, რომ დიდ გზნებას ყოველთვის წინ უძღვის უფრო მცირე, ვით საფეხური. გენიალურმა გულთამხილავმა შექსპირმა ბრწყინვალედ ასახა ეს თავის შემოქმედებაში. იქნებ მისი სიყვარულის ტრაგედიის ყველაზე ოსტატური მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სიყვარულის უცაბედი აღძვრით კი არ იწყება რომეოსა და ჯულიეტას შორის (ასე დაი-

წყებდა ნაკლებ ხელოვანი და ფსიქოლოგი), არამედ ვიღაც როზალინდის სიყვარულით. აქ ცდუნება განზრახ წინ უძღვის მგზნებარე სიმართლეს, ისე ვით მოწაფეობის ხანა უნდა განვლოთ. შექსპირი ამ ნათელ მაგალითზე გვიჩვენებს, ადამიანის შეცნობა შეუძლებელია წინასწარი აღტაცების გარეშე, ნამდვილ სიყვარულს წინ უძღვის განცდა ამ სიყვარულისა. სანამ ხანძარი ცად ავარდებოდეს, ერთხელ მაინც უნდა აენთოს გრძნობა. მხოლოდ იმიტომ, რომ რომეო შინაგანად მეტისმეტად დაძაბული იყო, მის ძლიერსა და მგზნებარე სულს შეეძლო ანთებულიყო. მის სულში მთვლემარე სიყვარულის სურვილი — პირველად უმწეო და ბრმა იყო — პირველსავე მიზეზს, შემთხვევით შემხვედრ როზალინდს ჩაეჭიდა, რომ შემდეგ, როცა მომწიფდებოდა გონიერადაც და სულიერადაც, ნახევრად სიყვარული ნამდვილ სიყვარულს შეეცვალა, როზალინდი — ჯულიეტას. სწორედ ასევე მარიამ სტიუარტიც ბრმა გრძნობით ისწრაფოდა დარნლეისაკენ, რადგან ეს ლამაზი ყმაწვილი კაცი სწორედ იმ წუთებში შეხვდა, როცა სჭირდებოდა. მაგრამ მისმა სუსტმა სუნთქვამ სისხლი ვერ აუჩქეფა ძარღვებში. ეს ფარული ნაპერწკლები ექსტაზით არ ავარდნილა ცაში, არც აალებულა, არც გადამწვარა. იგი მხოლოდ ფერფლსა და ბოლში ხრჩოლავდა, გრძნობას აღუძრავდა, სულს ატყუებდა. ჩამქრალ ნაღვერდალში მთვლემარე ტანჯვა იგრძნობოდა. როცა გამოჩნდა ნამდვილი გმირი, ვინც დაიხსნიდა ამ სატანჯველისგან, დაჰბერა და ააბრიალა ნახევრად მთვლემარე ალი. ცეცხლის ენები ცას მისწვდა. ისე ვით როზალინდისკენ სწრაფვა უკვალოდ წაშალა რომეოს მგზნებარე სიყვარულმა ჯულიეტასადმი, მარიამ სტიუარტსაც ბოთველის ყოვლის შთანთქმელმა სიყვარულის ცეცხლმა დაავიწყა დარნლეით გატაცება, რადგან ყოველი მომდევნო გზნების აზრი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას აძლიერებს წინა გზნება. ყოველი, რაც ადამიანს განუცდია და უგემია გატაცებისას, სინამდვილედ მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულისას იქცევა.

მარიამ სტიუარტის სიყვარულზე ბოთველისადმი ორგვარი წყარო მეტყველებს: პირველ რიგში, თანამედროვეთა ანალები, ქრონიკები და ოფიციალური დოკუმენტები. მეორე მხრივ, თითქოს დედოფლის დაწერილი, ჩვენამდე მოღწეული წერილებისა და ლექსების სერია. ერთიცა და მეორეც, გარე სამყაროზე მეტყველი ფაქტებიცა და სულიერი აღსარებანიც ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ ის, ვინც

ფიქრობს, რომ მორალური თვალსაზრისით უნდა გავუფრთხილდეთ მარიამ სტიუარტის სახელს და არ დავაბრალოთ ვნებიანობა, რასაც თვით დედოფალიც კი არ უარყოფდა, საეჭვოდ თვლის წერილებსა და ლექსებს. უბრალოდ, სურს ხაზი გაუსვას ამ წერილებს, ყალბად მიაჩნია და არავითარ ისტორიულ მნიშვნელობას არ ანიჭებს მას. მსჯავრის დადების თვალსაზრისით აქვთ კიდეც იმისი საფუძველი, რადგან ჩვენამდე მხოლოდ მარიამ სტიუარტის წერილებისა და სონეტების თარგმანებმა მოაღწიეს (იქნებ დამახინჯებულადაც), ორიგინალები კი დაიკარგა და არც იმედი გვაქვს მათი პოვნისა, რადგან ავტოგრაფი მარიამ სტიუარტისა, უტყუარი საბუთი, თავის დროზე გაანადგურეს და ახლა მხოლოდ დაობენ, ვინ მოსპო. ავიდა თუ არა ტახტზე, იაკობ I-მა, მისმა ვაჟიშვილმა ყველა საბუთი, რაც მეშჩანური თვალსაზრისით ჩირქს სცხებდა დედამისის ქალურ ღირსებას, ცეცხლს მისცა. იმ ხნიდან მოყოლებული, მარიამ სტიუარტის „ზარდახშის წერილებზე“ გაცხარებული დავა მიმდინარეობს, რაც სრულყოფილად ასახავს იმ მიკერძოებას, რითაც რელიგიური თუ ნაციონალური თვალსაზრისით გამსჭვალულია ჩვენთვის ცნობილი მთელი ლიტერატურა მარიამ სტიუარტზე. ბიოგრაფმა, ვინც წინასწარ ცუდი აზრით განიმსჭვალება მისდამი, გულმოდგინედ უნდა აწონოს მისთვის სასარგებლო და საწინააღმდეგო დასკვნები დავაში. მაგრამ შეიძლება მისი მსჯელობაც პირადული, სუბიექტური იყოს, რადგან ერთადერთი, მეცნიერულად და იურიდიულად დამამტკიცებელი საბუთი-ავტოგრაფი არ არსებობს და წერილების ორიგინალობასა თუ სიყალბეზე შეიძლება მხოლოდ ლოგიკური და ფსიქოლოგიური მოსაზრებების საფუძველზე ვიმსჯელოთ.

და მაინც, ვინც მოისურვებს, ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს მისი ცხოვრების შინაგან თუ გარეგან მხარეზე, თვითონვე უნდა გადაწყვიტოს, მიაჩნია თუ არა ლექსები და წერილები ნამდვილად. მას არ შეუძლია გულგრილად, forse che si, forse che no — ლაჩრული „ჰო“ თუ „არათი“ გვერდი აუაროს მათ, რადგან სწორედ აქ იხსნება ძირითადი კვანძი, რაც განსაზღვრავს დედოფლის სულიერ მისწრაფებას. სრული პასუხისმგებლობით უნდა აწონოს ყოველი „ჰო“ თუ „არა“ და თუ გადაწყვეტს, რომ ლექსები მისია და დაეყრდნობა მათ ცნობებს, თავისი მოსაზრება მოვალეა აშკარად და დასაბუთებულად გამოთქვას.

ამ წერილებსა და სონეტებს „ზარდახშის წერილები“ იმიტომ ჰქვია, რომ ბოთველის გაქცევის შემდეგ ვერცხლის ზარდახშაში ჩაკეტილი იპოვეს. იმაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ფრანცისკ II-ის, თავისი პირველი ქმრის ნაჩუქარი ზარდახშა მარიამ სტიუარტმა ბოთველს უძღვნა, ვით მრავალი სხვა ნივთი და ბოთველი ამ საიმედოდ ჩასაკეტ ზარდახშაში საიდუმლო წერილებს ინახავდა, პირველ რიგში, მარიამ სტიუარტის წერილებს.

არც ის გახლავთ საეჭვო, რომ მარიამ სტიუარტი სატრფოსადმი გაგზავნილ წერილებში სიფრთხილეს არ გამოიჩენდა, იქნებ სამარცხვინო წერილებსაც კი სწერდა, რადგან ეს მამაცი ქალი მთელი სიცოცხლე წინდაუხედავად და განუსჯელად იქცეოდა და არასოდეს ჰფარავდა თავის გრძნობებს. მერეც, მოწინააღმდეგეთ ისე უსაზღვროდ არ გაახარებდათ ამ წერილების პოვნა, ცოტათი მაინც ჩირქს რომ არ სცხებდნენ და ლაფს არ ასხამდნენ დედოფალს. მაგრამ ჰიპოთეზისა და ფალსიფიკაციის მომხრენი სადავოდ არ ხდიან წერილების არსებობას და მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ იმ მოკლე ხანში, რაც ლორდებმა იპოვეს და წაიკითხეს, სანამ პარლამენტს წარუდგენდნენ, ბოროტი განზრახვით ორიგინალები მოიპარეს და შეცვალესო. ამის გამო გახმაურებულ წერილებს არაფერი აქვთ საერთო იმასთან, რაც ჩაკეტილ ზარდახშაში იპოვესო. აქ ისმის კითხვა: მარიამ სტიუარტის თანამედროვეთაგან ვინ წამოაყენა ეს ბრალდება? პასუხი ბრალდების სასარგებლოდ არ მეტყველებს: მართლაც რომ არავის წამოუყენებია. ჩაუვარდათ თუ არა ხელში ზარდახშა, ლორდებმა მეორე დღესვე გახსნეს და ცილისმწამებლურად დაადასტურეს, რომ წერილები მარიამ სტიუარტს ეკუთვნოდა, რის შემდეგაც ეს წერილები კვლავ განიხილეს პარლამენტის წევრებმა (მათ შორის მარიამ სტიუარტის ახლო მეგობრებმაც) და ასევე ეჭვი არ შეჰპარვიათ. მესამეჯერ და მეოთხეჯერ შეადარეს მარიამ სტიუარტის სხვა ავტოგრაფებს და წარუდგინეს იორკისა და ჰემპტონის სასამართლოებს, როგორც ორიგინალი. მაგრამ ყველაზე საფუძვლიანი არგუმენტი ის გახლავთ, რომ ელისაბედმა ანაბეჭდები ყველა სამეფო კარზე დაგზავნა. იგი შემთხვევას არ უშვებდა თავისი მიზნის მისაღწევად. მაგრამ ინგლისის დედოფალი მაინც ვერ შეძლებდა თავხედური სიყალბის დაფარვას, რაც ყოველ სიყალბის მქმნელს შეეძლო ყოველ წუთს აღმოეჩინა. ელისაბედი მეტისმეტად ფრთხილი პოლიტიკოსი იყო და

თავის თავს ვერ დაიჭერდა წვრილმან თაღლითობაზე. ერთადერთი ადამიანი, ვინც იცავდა თავის ღირსებასა და მთელ მსოფლიოს შესთხოვდა დაცვას ამ აშკარა სიყალბისგან, თვით მარიამ სტიუარტი იყო, ყველაზე მეტად დაინტერესებული და უდანაშაულოდ ტანჯული, მაგრამ ისიც თუ წინააღმდეგობას უწევდა, ძალიან, ძალიან მოკრძალებითა და არადამავჯერებლად. ჯერ შემოვლითი გზებით ჯახირობდა, რომ წერილები არ წარედგინათ იორკში, თუმცა რატომაც არ უნდა წარედგინათ, მათი სიყალბის დამტკიცება ხომ განამტკიცებდა მის პოზიციებს და როცა მან თავის წარმომადგენლებს დაავალა, უარეყო en bloc[1] მისდამი წაყენებული ბრალდებანი, ეს ბევრ რამეზე მეტყველებდა: პოლიტიკის საკითხებში მარიამ სტიუარტი ნაკლებად უჭერდა მხარს სიმართლეს. იგი მოითხოვდა; მისი parol de prince-სთვის[2] მეტი ანგარიში გაეწიათ, ვიდრე საბუთებისთვის. მაშინაც კი, როცა ბიუკენენის პასკვილებში გამოქვეყნდა და მთელ ქვეყანას მოედო მისი გინება, მარიამ სტიუარტმა საკმაოდ თავშეკავებულად გამოთქვა პროტესტი. იგი არ ჩიოდა, რომ წერილები ყალბი იყო. ბიუკენენს „წყეული ღვთისმგმობი“ უწოდა. პაპის, საფრანგეთის მეფისა და ახლო ნათესავებისადმი მიწერილ წერილებში ერთი სიტყვითაც კი არ ჩიოდა, რომ წერილები ყალბი იყო და საფრანგეთის სამეფო კარსაც, რომელსაც პირველივე წუთებიდანვე ხელთ ჰქონდა წერილებისა და ლექსების ანაბეჭდები, ამ სენსაციურ საქმეში ერთი სიტყვაც არ უთქვამს მარიამ სტიუარტის სასარგებლოდ. ამგვარად, თანამედროვეთაგან წუთითაც არავინ დაეჭვებულა წერილების სინამდვილეში. დედოფლის მაშინდელ მეგობართაგან არავის აუმაღლებია ხმა ასეთი აღმაშფოთებელი უსამართლობის წინააღმდეგ. მხოლოდ ერთი, ორი საუკუნის შემდეგ, რაც შვილმა ორიგინალები გაანადგურა, წამოიჭრა ჰიპოთეზა ფალსიფიკაციის შესახებ, როგორც შედეგი ცდისა, რომ თამამი და დაუდგრომელი ქალი საზიზღარი შეთქმულების უდანაშაულო და უბიწო მსხვერპლად წარმოედგინათ.

ამგვარად, თანამედროვეთა დამოკიდებულება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისტორიული საბუთი, უეჭველად წერილების სინამდვილეზე მეტყველებს, მაგრამ ამაზე ასევე ნათლად მეტყველებს ფილოლოგიური

[1] *მთლიანად (ფრ.).*

[2] *მეფური სიტყვა (ფრ.).*

და ფსიქოლოგიური საბუთები. ჯერ ლექსები განვიხილოთ. მაშინდელ შოტლანდიაში ვის შეეძლო ასე მოკლე ხანში შეეთხზა ფრანგული სონეტების მთელი ციკლი, ვის შეეძლო ასე დაწვრილებით სცოდნოდა მარიამ სტიუარტის ცხოვრების ყოველი კერძო შემთხვევა? მართალია, ისტორიამ მრავალი შემთხვევა იცის ისტორიული წერილებისა და საბუთების გაყალბებისა და ლიტერატურაშიც დროდადრო ჩნდება აპოკრიფული თხზულებანი, მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა მაკფერსონის „ოსიანას სიმღერები“ ან „სამეფო კარის ხელნაწერი“, საქმე გვაქვს შორეული ლიტერატურული ძეგლის სიყალბესთან. არავის უცდია, ცოცხალი თანამედროვისათვის მიეწერა მთელი ციკლი ლექსებისა. ძნელი წარმოსადგენია, რომ შოტლანდიელ სოფლელ დიდებულთ, რომელთაც არც კი იცოდნენ, რა იყო პოეზია, ბოროტი განზრახვით, რომ ცილი დაეწამებინათ თავიანთი დედოფლისათვის, საჩქაროდ თერთმეტი სონეტი შეეთხზათ და ისიც ფრანგულ ენაზე. ვინ იყო ეს ჯადოქარი, სამწუხაროდ, ამაზე მარიამ სტიუარტის ვერც ერთი პალადინი ვერ გიპასუხებდათ, — მისთვის უცხო ენაზე, ასეთი ნაზი ფორმით დედოფლის მაგივრად რომ შექმნა სონეტების ციკლი, სადაც ყოველი სიტყვა და გრძნობა ეხამებოდა მის სულში დატრიალებულ ქარიშხალს. ვერც რონსარი, ვერც დიუ ბელე ვერ შეთხზავდნენ ამას ასე ჩქარა და ასეთი ადამიანური სიმართლით. არაფერს ვამბობ მორტონებზე, არგაილებზე, ჰამილტონებზე, გორდონებზე, რომელთაც ხმალი კარგად უჭრიდათ, მაგრამ არა მგონია იმდენი ფრანგული სცოდნოდათ, საუბარი გაებათ სუფრასთან.

არათუ ეს ლექსები, დედოფალს ეკუთვნის (დღეს ეს საეჭვოდ აღარავის მიაჩნია) ასევე უდავოა, წერილებიც. ადვილი შესაძლებელია, ლათინურად და შოტლანდიურად თარგმნისას (ორიგინალის ენაზე მხოლოდ ორი წერილია შემორჩენილი) ზოგიერთი ადგილი დაამახინჯეს, სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რაღაც ჩაუმატეს, მაგრამ მთლიანად ეს საბუთებიც წერილების უტყუარობაზე მეტყველებს, განსაკუთრებით კი უკანასკნელი ფსიქოლოგიური არგუმენტი, რადგან „დამნაშავეთა ბანდას“ შურისძიების მიზნით პასკვილური წერილების შეთხზვა რომ მოენდომებინა, იგი მარიამ სტიუარტს მეტად უსიამოვნოდ დაგვიხატავდა: როგორც ავხორც, ცბიერ, ბოროტ ქალს. სისულელე იქნებოდა, გულში ავი განზრახვა გვქონოდა, სხვისად მიგვეჩნია ჩვენამდე მოღწეული წერილები, რომლებიც უფრო

ამართლებენ დედოფალს, ვიდრე ბრალს სდებდნენ, რადგან მათში ამაღელვებელი გულწრფელობით ვკითხულობთ, როგორ უმძიმდა შესრულება თავისი როლისა — დანაშაულის ხელშემწყობისა და მფარველისა. ეს წერილები არ მეტყველებენ გულის ნდომასა და ნებაზე, ეს ტანჯული სულის ძახილია, ყრუ ადამიანური კვნესა, კვნესა ადამიანისა, ცოცხლად რომ წვავენ კოცონზე. ისინი რომ გამოუცდელად, გრძნობათა ჭიდილიშია დაწერილი, აცახცახებული ხელით, ოდნავ შეკავებულ მღელვარებაზე იგრძნობთ. სწორედ ეს მეტყველებს მის სულიერ მდგომარეობაზე, რაც ასე დამახასიათებელი იყო ყველა მისი საქციელისათვის იმ დღეებში. მხოლოდ უნიჭიერეს გულთამხილველს შეეძლო ასე სრულყოფილად შეექმნა ფსიქოლოგიური სურათი საყოველთაოდ ცნობილი ვითარებებისა და ფაქტებისა. მაგრამ არც მერეი, არც მაიტლენდი და არც ბუკენენი, რომელთაც დროდადრო მარიამ სტიუარტის ნაფიცი დამცველნი მიაწერდნენ ამ სიყალბეს, არ იყვნენ არც შექსპირი, არც ბალზაკი, არც დოსტოევსკი. საზიზღარი წვრილმანი ადამიანები იყვნენ და ყოველგვარ თაღლითობას იკადრებდნენ, მაგრამ არ შეეძლოთ თავიანთი კანცელარიის კედლებში შეექმნათ ისეთი ფსიქოლოგიური შედევრები, როგორებადაც მარიამ სტიუარტის წერილები წარმოუდგებოდათ ყოველი დროის ადამიანებს. ის გენიოსი, ვინც თითქოს ეს წერილები შექმნა, თავის მკვლევარს ელის. ამიტომ ყოველ მიუკერძოებელ მსაჯულს სინდისი წმინდა უნდა ჰქონდეს და მარიამ სტიუარტი, ვინც საშინელმა მწუხარებამ და სულიერმა მშფოთვარებამ აიძულა ლექსები ეწერა, სახელგანთქმული წერილებისა და ლექსების ერთადერთ ავტორად და საკუთარი მძიმე განსაცდელის ნამდვილ მოწმედ უნდა მივიჩნიოთ.

ერთ ლექსში მარიამ სტიუარტმა გასცა თავისი თავი. სწორედ აქედან ვიგებთ მისი ავბედითი ვნების სათავეს. ამ მგზნებარე სტრიქონებში ვკითხულობთ, რომ თანდათან კი არ ღვივდებოდა და მტკიცდებოდა ეს გრძნობა, უცბად შემოენთო ამ უდარდელ ქალს და სამუდამოდ დაიმონა. ამის უშუალო მიზეზი უხეში ფიზიოლოგიური აქტი გამხდარა. უეცარი თავდასხმა ბოთველისა, ძალდატანება თუ თითქმის ძალდატანება. ელვასავით კვეთს სონეტის ეს სტრიქონები წყვდიადს.

მისი გულისთვის მე ცრემლს ვღვრიდი მარად და მარად,
მას, უპირველეს დავმორჩილდი სხეულით მხოლოდ,
გულს კი არ სურდა მორჩილება, არა და არა.

უცბად თვალწინ წარმოგიდგებათ მთელი სიტუაცია. მარიამ სტიუარტი ბოლო თვეში სულ უფრო ხშირად იყო ბოთველთან. როგორც პირველი მრჩეველი და შეიარაღებულ ძალთა უფროსი, ციხე-კოშკიდან ციხე-კოშკში მოგზაურობისას თან ახლდა ხოლმე დედოფალს. მაგრამ დედოფალი, ვინც თვითონ გააბედნიერა ეს კაცი და მაღალი წრიდან ლამაზი საცოლეც კი ამოურჩია, მის ქორწილსაც დაესწრო, წუთითაც არ ფიქრობდა, ეს ქორწინება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ ქორწინებას უფრო ხელშეუხებელი უნდა გაეხადა, დაეცვა თავისი ერთგული ვასალის მცდელობისგან. უშიშრად მოგზაურობდა მასთან ერთად, დაუფიქრებლად განმარტოვდებოდა ხოლმე მასთან და როგორც ყოველთვის, ეს ბრმა მიმნდობლობა — თავის თავში დარწმუნებულობა, სინამდვილეში დაუფასებელი თვისება, საბედისწერო გახდა მისთვის. იქნებ (თითქოს თვალნათლივ ხედავ) ზოგჯერ თავს უფლებას აძლევდა, თავისუფლად მოქცეულიყო, ეკეკლუცა მასთან, რამაც დაღუპა რიჩო და შატელიარი. იქნებ კარგახნობით იჯდა ხოლმე მასთან ერთად ოთხ კედელში და უფრო ნდობით ესაუბრებოდა, ვიდრე ამის უფლებას სიფრთხილე აძლევდა. ხუმრობდა, თამაშობდა, ერთობოდა. მაგრამ ბოთველი შატელიარი არ გახლდათ, რომანტიკოსი ტრუბადური, ბარბითზე დამკვრელი, არც პირმოთნე, მეტიჩარა რიჩო. ბოთველი მამაცი, უხეში გზნებისა და რკინისკუნთებიანი მამაკაცი იყო. უცბად აფეთქდებოდა, მის სითამამეს საზღვარი არ ჰქონდა. არ შეიძლებოდა ასეთ ადამიანს გაშინაურებოდი ან თავქარიანულად გაგეღიზიანებინა. არც კი დაფიქრდებოდა, პირდაპირ მოქმედებაზე გადადიოდა. უცბად ხელი სტაცა წონასწორობადაკარგულ, აღგზნებულ ქალს, ვისთვისაც პირველ, გულუბრყვილო სიყვარულს გრძნობა აღეძრა, მაგრამ დაუკმაყოფილებელი დარჩენილიყო. Il se fait de ce corps possesseur, უცბად თავს დაესხა და დაიმორჩილა (როგორ გამოვარჩიოთ ეს წუთები, როცა თავდაცვის ცდა და სურვილი გრძნობებით სიმთვრალისას ერთმანეთს ერწყმიან). თითქოს ბოთველის ეს თავდასხმაც არ იყო წინასწარ განზრახული დაგვირგვინება კარგა ხნის შეკავებული ვნებისა. სურვილის იმპულსური დაკმაყოფილება გახლდათ მხოლოდ, რაშიც გრძნობა არ ერია, ხორციელი, ფიზიკური ძალდატანების აქტს წარმოადგენდა. მაგრამ მარიამ სტიუარტს ამ თავდასხმამ უცბად გონი დააკარგვინა. ბობოქარ ქარიშხალივით შეიჭრა მის მშვიდ ცხოვრებაში:

ბოთველი მხოლოდ მის სხეულს კი არ დაეუფლა, მის სულსაც. ორივე მისი ქმარი — თხუთმეტი წლის ბიჭი ფრანცისკ II და უწვერულვაშო დარნლეი მოუმწიფარი მამაკაცები, ნაზი, სუსტი ბიჭები იყვნენ. მარიამ სტიუარტს ეგონა სხვანაირად არც შეიძლებოდა: მას ყველასთვის უნდა მიეძღვნა, დიდსულოვნად გაეფლანგა ბედნიერება. თვით ინტიმურ წუთებშიც კი იგი მათი ქალბატონი და მბრძანებელი იყო. უფრო სუსტი არსების მდგომარეობაში არასოდეს ყოფილა, ვისაც ეუფლებიან, იტაცებენ, ძალით იმორჩილებენ. აი, სწორედ ამ ნაძალადევ ხვევნაში (მთელი მისი არსება მოიცვა ამ მოულოდნელობამ) იპოვა ნამდვილი მამაკაცი, რომელმაც ქარს გაატანა მთელი რიგი მისი ქალური ღირსებანი, სირცხვილი, სიამაყე, საკუთარი თავისადმი რწმენა. მამაკაცი, ვინც ახალი, ჯერ განუცდელი ვნებებისა და ტკბობის ვულკანური სამყარო აღმოუჩინა. ვერც კი იგრძნო, რომ საფრთხე ელოდა, ვერც კი მოასწრო მოეგერიებინა, რომ უცბად დაიმორჩილეს. უმანკო ჭურჭელი დაიმსხვრა და ყოვლის შთანმთქმელი ცეცხლი წაეკიდა. იქნებ პირველად განრისხდა კიდეც, აღშფოთდა, გააფთრდა, საშინელი სიძულვილი იგრძნო მისი ქალური სიამაყის გამქელავისადმი, მაგრამ ასეთია ბუნების შეუცნობელი კანონი, რომ საწინააღმდეგო შეგრძნებები სადღაც უმაღლეს წერტილში გადაკვეთენ ერთმანეთს. ისე ვით კანი ვერ განასხვავებს ძლიერ სიცხესა და ძლიერ სიცივეს, ყინვისგან ალმური გეკიდებათ სახეზე, ასევე ზოგჯერ საპირისპირო გრძნობები ერწყმიან ერთმანეთს. ერთ ღამეში სიძულვილი ქალის სულში შეიძლება სიყვარულმა შეცვალოს, შელახული სიამაყე კი — უსაზღვრო მორჩილებამ. მის სულს უნარი შესწევდა, დაუმცხრალი გზნებით თავისკენ მოეწოდებინა, ვისაც ერთი წუთის წინ საშინელი ზიზღით ხელს ჰკრავდა და იშორებდა. ამ წუთიდან ეს გონიერი ქალი სიყვარულის ალში გაეხვია და უხილავი ცეცხლით იწვოდა. ყოველი საფუძველი, რაზედაც ეყრდნობოდა აქამდე მისი ცხოვრება — ღირსება, პატივი, წესიერება, სიამაყე, საკუთარი თავის რწმენა, განსჯის უნარი — დაკარგა. ერთხელ გზასაცდენილი თანდათან დაბლა ეშვებოდა, სურდა უფსკრულში გადაჩეხილიყო, შთანთქმულიყო. ახალმა, უეცარმა ავხორცობამ მოიცვა და ხარბად ეწაფებოდა მას, თვრებოდა გრძნობით. მორჩილად უკოცნიდა ხელებს იმ ადამიანს, ვინც გათელა მისი ქალობა, მაგრამ ასწავლა ახალი სიხარული — სხვა არსებაში დანთქმა.

ეს ახალი, უსაზღვრო ვნება ვერ შეედრებოდა მის წინანდელ, დარნლეის სიყვარულს. მაშინ პირველად დაეუფლა თავდავიწყება, მსხვერპლად შეწირვის გრძნობა, იგემა იგი, ახლა კი მით ცოცხლობდა. დარნლეისათვის უნდოდა გაეყო გვირგვინიც, ძლიერებაც, სიცოცხლეც, მაგრამ ბოთველს ვერ განუსაზღვრავდა საჩუქრებს, სურდა, მისთვის მიეძღვნა ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად გააჩნდა, თვით გაღატაკებულიყო, რომ იგი გაემდიდრებინა, დამცირებულიყო, რომ იგი აემაღლებინა. ნეტარების ბურუსში მყოფი იშორებდა ყველაფერს, რაც აწუხებდა და ხელ-ფეხს უბორკავდა, ოღონდ კი ბოთველი შეეკავებინა და არ გაეშვა. იცოდა, მეგობრები მიატოვებდნენ, მთელი ქვეყანა გაკიცხავდა და ზურგს შეაქცევდა, მაგრამ სწორედ ეს ანიჭებდა წინანდელის, გათელილის ნაცვლად ახალ სიამაყეს. აღფრთოვანებით ამბობდა:

დავთმე, რაც მქონდა, ღირსება და სახელი ჩემი,
ბედნიერების და მშვიდობის ლამაზი დღენი,
ყველას გავწირავ, აღარავის აღარ დავინდობ,
ის შევიყვარე მთელი ძალით, ოცნებით, რწმენით
და სამშობლოში შემიძულეს სწორედ ამიტომ.
ზურგი ვაქციე მეგობრებს და მტერთან ვირჩიე
წვა და განცხრომა კვნესა-გოდებით, —
სინდისი დავთმე, სახელი დავთმე,
მე ახლა მხოლოდ მისთვის მოკვდები.

ამიერიდან თავისთვის აღარაფერი ემეტებოდა, ყველაფერი ბოთველისათვის უნდოდა, ვისაც ეკუთვნოდა სულითა და ხორცით.

მე შენთვის დავთმე ტახტი ჩემი, გვირგვინი ჩემი,
ჩემი სიზმრები, ჩემი ხილვები,
შენ ერთს შეგყურებ იმედით, რწმენით,
მე მხოლოდ შენ ერთს გემორჩილები.
მე შენთვის მინდა ყველაფერი, ცასავით წმინდა
გზა უკვდავების, მზე სიხარულის,
მინდა გჯეროდეს, დღეიდან მინდა,
მე შენთვის მინდა ეს სიყვარული.

ყველაფერი, რაც კი გააჩნდა — გვირგვინი, ღირსება, სხეული, სული, ვნების უფსკრულში შთანთქა და დაღუპვის გზაზე დაქანებული ტკბებოდა თავისი მოჭარბებული სიყვარულით.

ამგვარი მეტისმეტი დაძაბულობა გრძნობებისა ძირფესვიანად გარდაქმნის სულს.

ჯერ შეუცნობელმა და უხილავმა ძალებმა აქამდე უზრუნველი და თავშეკავებული ქალი გრძნობის ქარცეცხლში გაახვია. ათგზის მეტი სიცოცხლით ცოცხლობდა იმ კვირებში მისი სხეული, სული, ემატებოდა უნარი, ნიჭი, რაც აქამდე არ განუცდია და ვერც განიცდიდა. ამ კვირებში მარიამ სტიუარტს შეეძლო თვრამეტ საათს ცხენი ეჭენებინა, მერე მთელი ღამე ეფხიზლა და წერილები ეწერა. აქამდე მოკლე ეპიგრაფებსა და სახელდახელო ლექსებს წერდა, ამ მგზნებარების წუთებში დაწერა ის თერთმეტი სონეტი, რომლებშიც მანამდე მისთვის შეუცნობელი სიტყვის ჯადოქრობითა და მჭევრმეტყველებით გადმოაფრქვია თავისი ტანჯვა და სიყვარული. მუდამ უდარდელი და გაუფრთხილებელი ისე მოხერხებულად თვალთმაქცობდა, რომ გადიოდა თვეები და ვერავინ ამჩნევდა, როგორ შეიცვალა მისი დამოკიდებულება ბოთველისადმი. სხვების თანდასწრებით შეეძლო მბრძანებლურად და ცივად, ვით ქვეშევრდომს დალაპარაკებოდა ადამიანს, ვისი შეხებაც ჟრუანტელს ჰგვრიდა ან მხიარულად და უდარდელად მოეჩვენებინა თავი, მაშინ, როცა მისი ნერვები უაღრესად დაძაბული იყო, სული სასოწარკვეთილებას მისცემოდა და ცრემლებს ღვრიდა. მასში უცბად გაიღვიძა რაღაც „ზებუნებრივმა დემონურმა მემ“ და წარიტაცა. აიძულებდა, თავის თავისთვის გაესწრო, გადაეჭარბებინა თავისი შესაძლებლობებისა და ძალებისათვის.

მაგრამ ამ გრძნობათა აღმაფრენის გამო, რომელიც ძალით გამოსტაცა ნებისყოფას, დროდადრო სულით ეცემოდა. მთელი დღეები შეუძლოდ გრძნობდა თავს და საწოლში იწვა, უგრძნობელი და გაბრუებული საათობით დაბორიალებდა ოთახში, ქვითინებდა, საწოლზე დამხობილი სიკვდილს უხმობდა: „ნეტავი მოკვდე!“ ითხოვდა, ხანჯალი მომეცითო, სურდა, თავი მოეკლა. როგორც იდუმალად შემოეპარა ეს გრძნობა, ასევე იდუმალად უკვალოდ ქრებოდა დროდადრო, რადგან დიდხანს ვეღარ უძლებდა ამ დაძაბულობას, ამ დაუოკებელ სურვილს, ამაღლებულიყო საკუთარ თავზე. ბორგავდა, ბობოქრობდა, ყოველ ნერვს ცეცხლი ეკიდებოდა და უთრთოდა. ცნობილი ჯედბოროს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა თავდავიწყებით შეეპყრო ვნებას მისი სხეული. 7 ოქტომბ-

ერს ბოთველი მძიმედ დაჭრეს კონტრაბანდისტებთან შეტაკებაში. ეს ამბავი მარიამ სტიუარტმა ჯედბოროში გაიგო, სადაც სამსჯავროს სესიას ესწრებოდა. ყურადღება რომ არ მიეპყრო, იმ წუთში არ წამომხტარა სავარძლიდან, არ მოხტომია უნაგირსა და ცხენი არ გაუჭენებია ჯედბოროდან ოცდახუთი მილით დაშორებულ ერმიტაჟის ციხისაკენ. მაგრამ ემჩნეოდა, უსიამოვნო ამბავმა მთლად შეძრა. იმ დროს მის გვერდით მყოფი უცხო მოთვალთვალე ელჩი დიუ კროკი, რომელსაც ეჭვიც კი არ ჰქონდა დედოფლის ურთიერთობაზე ბოთველთან, პარიზში სწერდა: Ce ne luy eust esté peu de perte de le perdre[1] მაიტლენდმაც შეამჩნია დედოფლის უჩვეულო დაბნეულობა და შეწუხება და რადგან ნამდვილი მიზეზი არ იცოდა, მოსაზრებას გამოთქვამდა, „ცუდ გუნებაზეა და მისი ბრალია, რომ მძიმე ფიქრები აღეძვრის მეფესთან უსიამოვნების გამო“. მხოლოდ ორი-სამი დღის შემდეგ გაბედა, მერეისა და სხვა ახლო პირთა თანხლებით გამგზავრებულიყო ბოთველის სანახავად. ორი საათი დაყო დაჭრილის საწოლთან, მერე ასევე სწრაფად გამოაჭენა ცხენი უკან, თითქოს უნდოდა, ამ გააფთრებულ ჭენებით ეს მტანჯველი მღელვარება ჩაეხშო. მაგრამ მტანჯველი გზნებით შეპყრობილმა ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო. უნაგირიდან რომ გადმოსვეს, მკვდარივით დაეცა და უგონოდ იყო. საღამოთი ნერვიულობისგან შეამცივნა, ბოდავდა, სხეული ლამის მთლიანად გაუშეშდა, ვეღარაფერს გრძნობდა, ვეღარავის ცნობდა. დაბნეული დიდებულები და ექიმი არ შორდებოდნენ ასეთი უცნაური ავადმყოფობით შეპყრობილი დედოფლის საწოლს. მსტოვრები გაგზავნეს მეფისა და ეპისკოპოსის მოსაყვანად, რომ დედოფალს სული არ განეტევებინა უზიარებლად. რვა დღე სიკვდილს ებრძოდა. შეიძლებოდა გვეფიქრა, გულში ნანატრმა სურვილმა, სიცოცხლეს განშორებოდა, ძალ-ღონე გამოაცალა, ნერვები დაეძაბა, მაგრამ ეს კლინიკური სიზუსტით მოწმობს, რომ უფრო სულიერი ავადმყოფობა იყო, ისტერიის ტიპური შემთხვევა. გამოჯანსაღებული ბოთველი მოიყვანეს თუ არა გლეხის ურმით, დედოფალი გამოცოცხლდა და აი, სასწაული! ორი კვირის შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი კვლავ ცხენს მიაჭენებდა. თვითონ შეიქმნა საფრთხე და თვითონვე სძლია.

ფიზიკურად მომჯობინდა, მაგრამ გონს მაინც ვერ მოსულიყო.

[1] *დედოფლისათვის, ეტყობა, მცირე დანაკლისი როდი იქნებოდა მისი დაკარგვა (ფრ.).*

სულიერად დაეცა, იტანჯებოდა. უცხოებიც კი ამჩნევდნენ, რომ იგი წინანდელ დედოფალს არ ჰგავდა. შეეცვალა ხასიათი, შეიცვალა მთელი მისი არსება, გაქრა მისი უდარდელობა და საკუთარი თავისადმი რწმენა. ისე დადიოდა და იქცეოდა, თითქოს დიდი უბედურება გადაიტანაო. ჩაიკეტებოდა თავის საწოლ ოთახში და მსახურთ ესმოდათ, როგორ კვნესოდა და ქვითინებდა. ყოველთვის გულახდილი არავის ანდობდა თავის დარდს. ბაგეები დუმილს შეეკრა, ვერავინ ჩასწვდომოდა მის საშინელ საიდუმლოს, დღისით და ღამით სულს რომ უშფოთებდა. რადგან იყო რაღაც მრისხანე ამ ვნებაში, რომელშიც ძრწოლაც იგრძნობოდა და სიდიადეც, ენით გამოუთქმელი მრისხანებაც. დედოფალმა პირველი წუთებიდანვე იცოდა, რომ მისი სიყვარული დანაშაულებრივი და განწირული იყო. საშინელება შეიგრძნო, პირველი ხვევნა-ალერსიდან რომ გამოფხიზლდა. ეს სწორედ ტრისტანის გამოფხიზლებას ჰგავდა — როცა სიყვარულის შხამით მოწამლული დედოფალი გონს მოეგო, ორივეს მოაგონდა, რომ უსაზღვრო ბედნიერებაში დანთქმულნი მარტონი არ იყვნენ, ამ სამყაროს მოვალეობისა და კანონის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. საშინელი იყო ეს გამოღვიძება. დედოფალი რომ გონს მოეგო, საშინელმა ფიქრებმა შეიპყრო. რა უგონობა ჩაიდინეს. დედოფალი, თავისი სხეული ბოთველს რომ უძღვნა, სხვას ეკუთვნოდა, ასევე ბოთველიც, მასში რომ დაინთქა, სხვისი კუთვნილება იყო. მრუშობამდე, მრუშობამდე, აი, სად მიიყვანა ისინი დაუოკებელმა გრძნობამ. სულ ცოტა ხნის წინათ, ორი-სამი კვირის წინ, მარიამ სტიუარტმა, როგორც შოტლანდიის დედოფალმა, საზეიმოდ მოაწერა ხელი კანონს, რომ ცოლქმრული ღალატისათვის, ისევე როგორც სხვა ზნეობის შელახვისათვის, ადამიანი სიკვდილით ისჯებოდა. ეს ვნება პირველი წუთებიდანვე მის ცნობიერებაში ჩაიჭედა, როგორც დანაშაული და შეიძლებოდა იგი განვითარებულიყო და განმტკიცებულიყო ახალი დანაშაულის წყალობით. სამუდამოდ რომ შეერთებულიყვნენ, ამისათვის ორივენი ჯერ უნდა გათავისუფლებულიყვნენ — მარიამ სტიუარტი ქმრის, ბოთველი კი — ცოლისაგან. ამ ცოდვიან სიყვარულს შეეძლო მხოლოდ მწარე ნაყოფი გამოეღო. მარიამ სტიუარტი პირველი წუთებიდანვე გრძნობდა, რომ ამიერიდან მისი ხსნა არსაით იყო, მაგრამ სწორედ ასეთ მძიმე წუთებში ხდებოდა თავგანწირულად მამაცი. იგი მზად იყო ბედს გასჯიბრებოდა, იმედგადაწყვეტილს დაეხსნა, რაც

დასაღუპად იყო განწირული. ლაჩრულად უკან არ დაიხევდა, არ დაიმალებოდა, ამაყად თავწეული გაივლიდა უფსკრულისკენ მიმავალ გზას. დაე, ყველაფერი დაიღუპოს. განსაცდელში მყოფი ბედნიერებას იმაში პოვებდა, რომ მას შეეწირა მსხვერპლად ყოველი.

ვთმობ პირმშოს, მე მას ვუთმობ ყველაფერს,
ღირსებას, სახელს, სამშობლოს მზიანს,
ყველაფერს, რასაც ამ ქვეყანაზე
ჩემი ოცნების სახელი ჰქვია.
მაქვს ერთი აზრი, მე ვფიქრობ თრთოლვით,
ვით ვიყო მისი მხევალი, ცოლი,
ვით ვმსახურებდე ერთგულად მუდამ...
მერე ვისაც სურს,
გაგვჭოროს თუნდაც.

რაც უნდა მოჰყოლოდა ამას, იგი უიმედო გზას მიჰყვებოდა. მას შემდეგ, რაც ყველაფერი — ხორციც, სულიც, თავისი სიცოცხლეც ამ ენით გამოუთქმელად საყვარელ ადამიანს შესწირა, გახელებულ მიჯნურს მხოლოდ ერთი რამისა ეშინოდა ამქვეყნად — არ დაეკარგა იგი.

მას ჯერ კიდევ არ გამოეცადა ყველაზე მტანჯველი ამ სატანჯველში, ყველაზე საშინელი ყოველ საშინელებათა შორის. თუმცა სიყვარულით იყო დაბრმავებული, თავისი გამჭრიახი თვალით მალე შენიშნა, რომ ამაოდ გაეგო ფეხქვეშ. კაცს, ვისი სიყვარულითაც იყო გათანგული, სინამდვილეში არ უყვარდა. ბოთველმა დაიპყრო იგი ვნებით ანთებულმა, დაუფიქრებლად, სწრაფად, როგორც ხშირად ემართებოდა ხოლმე და როგორც კი გრძნობა გაუცივდებოდა, შეეძლო ისევე გულგრილად მიეტოვებინა. ბოთველისათვის ეს მხოლოდ ქალის დაპყრობის წუთიერი ცახცახი იყო, შემთხვევითი თავგადასავალი და უბედური დედოფალი იძულებული გახდა, სულ მალე თავს გამოსტყდომოდა, რომ მისი ფიქრებისა და გრძნობების მბრძანებელი მას არცთუ ისე დიდ პატივს სცემდა.

ჭორს აჰყოლიხართ და ასე მშვიდად
მოღალატედ და მაცდურად მსახავთ,
თამაშად მითვლით სიყვარულს წმინდას,
მძრახავთ და ვაი, ტყუილად მძრახავთ.
გგონიათ, ვიღაც სხვა მიყვარს თითქოს,

„ბილწი ვარ“, ალბათ თქვენ ასე ფიქრობთ.
მაგრამ ვაი, რომ ამაოდ ღელავთ, —
ჩემს ტრფიალს ქარი ჩააქრობს ძნელად.

მაგრამ იმის მაგივრად, რომ ამაყად ზურგი შეექცია ამ უმადურისათვის, იმის მაგივრად, რომ საკუთარი თავი დაეძლია, აელაგმა, ვნებით დამთვრალი ქალი მუხლებზე ეცემა გულგრილი სიყვარულის წინაშე და ცდილობს, არ გაუშვას. ოდესღაც ამაყი ქალი თითქოს ჯადოქრული ძალით საშინლად უთავმოყვარეოდ იქცევა. იგი ევედრება ბოთველს, ეხვეწება, თავის თავს განადიდებს, აქებს, როგორც საქონელს, აწონებს მოყირჭებულ საყვარელს. საკუთარი ღირსების გრძნობას კარგავს და მზად არის, საშინლად დაიმციროს თავი. ამაყი დედოფალი ჩამოთვლის, რა შესწირა მას და დაჟინებით, ლამის თავმომაბეზრებლად არწმუნებს თავის მონურ მორჩილებაში:

თქვენ გმსახურობდეთ! — აი, ეს არის
ჩემი მიზანი... გული მკვნესარი
თქვენით სულდგმულობს, თქვენ გემონებათ,
თქვენია ჩემი აზრი, გონება.
და რაც დრო გავა, ალბათ ორწილად
ჩემს ნაზ სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთ.

საშინელი ძრწოლითა და მღელვარებით ვადევნებთ თვალს, ამ პირდაპირმა და თამამმა ქალმა, ამქვეყნად არავითარი საფრთხისა და არც ერთი მბრძანებლის წინაშე უკან რომ არ დაუხევია, როგორ დაკარგა ღირსება, დაიმცირა თავი და ეჭვიანი და გაბოროტებული საყვარლის თვისებები გამოამჟღავნა. მარიამ სტიუარტმა როგორღაც შენიშნა, რომ ბოთველი უფრო ერთგული იყო თავისი ახალგაზრდა ცოლისა, რომელიც დედოფალმა თვითონ ამოურჩია და სულაც არ აპირებდა მის მიტოვებას ახალი საყვარლის გულისთვის. მარიამ სტიუარტი ცდილობდა (მართლაც რა საშინელებაა, დიდი გრძნობა ასე რომ ამცირებს ქალს) ჩირქი მოეცხო მისი ცოლისთვის. არ ერიდებოდა ყველაზე სულელურ და უსინდისო ცილისწამებასაც კი. უნდოდა ეთამაშა მის მამაკაცურ თავმოყვარეობაზე. ეტყობა, ბოთველი თვითონვე გამოუტყდა ამაში, რომ ცოლი საკმაოდ არ პასუხობდა მის ალერსს, იმის მაგივრად, რომ მთელი გრძნობით მინდობოდა, უხალისოდ ემორჩილებოდა. ეს დინჯი და ამაყი ქალი, შესაბრალისად, ტრაბახით ჩამოთვლიდა, რა მსხვერპლი შესწირა,

რა თვითგვემა გამოიარა სიყვარულის გულისთვის, როგორ დაარღვია ცოლქმრული ერთგულება, მისი ცოლი კი მისი მაღალი მდგომარეობითა და უპირატესობით, სიკეთით სარგებლობდა. არა, დარჩეს მარიამ სტიუარტთან, მარტო მას ეკუთვნოდეს, გულს ნუ მოულბობს „ცბიერი ცოლის“ ყალბი წერილები, ცრემლები და ფიცი:

ის მიხვდა, დიახ, არ უნდა თქმა
რომ უნდა იყოს სულელი, ბრმა, —
ასეთ სიყვარულს ფასს რომ არ სდებდეს.
ის დაგიხატავს ბაღნარს და ედემს,
ის მოგატყუებს, ის ითამაშებს,
იტირებს კიდეც ყალბი ცრემლებით,
ო, მას თქვენ დიდხანს ვერ შეელევით.
თქვენ გწამდათ მისი, მისი ალერსით,
ყალბი ალერსით გული იჯერეთ,
თქვენ ახლაც გჯერათ მკვდარი ფურცლების,
მე კი, მე ცოცხალს კვლავ არ მიჯერებთ.

თანდათან უფრო მეტი სასოწარკვეთილებით ჟღერდა ეს გოდება. ნუთუ შეეძლო ბოთველს ეს ერთადერთი ღირსეული ქალი უღირსზე გაეცვალა? არა, უნდა გაეგდო იგი და მარიამ სტიუარტი შეეყვარებინა. დედოფალი სიცოცხლეს შესწირავდა მას. რასაც ინებებ, მომთხოვეო, — ევედრებოდა მუხლებზე დამხობილი, — რომელიც გნებავთ საბუთი ერთგულებისა. მას სწირავდა სახლ-კარს, ოჯახს, გვირგვინს, ღირსებას, თავის პატივსა და შვილსაც კი. დაე, ყველაფერი წაართვას, ოღონდ ხელს ნუ ჰკრავს ის, ვისაც ეკუთვნის სულით-ხორცამდე — ერთადერთ სატრფოს.

აქ პირველად წარმოგვიდგება თვალწინ ამ ტრაგიკული ლანდშაფტის სიღრმე. მარიამ სტიუარტის გულწრფელი აღიარების წყალობით სცენაზე კაშკაშა სინათლე იღვრება. ბოთველი შემთხვევით მოხიბლა მან, როგორც მრავალმა სხვა ქალმა. ამით დასრულდა მისთვის ეს თავგადასავალი. მარიამ სტიუარტი კი მთელი სულითა და გრძნობებით მას ეკუთვნოდა, ექსტაზში იყო, ცეცხლი ედებოდა, ცდილობდა, დაეკავებინა ბოთველი, სამუდამოდ დაეკავებინა. მაგრამ თავისთავად ეს სასიყვარულო კავშირი სულაც არ იზიდავდა ოჯახურ ცხოვრებაში ბედნიერ, პატივმოყვარე კაცს. მხოლოდ იმ უპირატესობისა და გამორჩენის გამო, რასაც ამ ქალის სიყვარუ-

ლი ანიჭებდა, ვისაც ხელთ ეპყრა შოტლანდიის ტახტი, პატივი და წყალობა, ბოთველს შეეძლო ეს სიყვარული რამდენიმე ხანს კიდევ გაეჭიანურებინა და მარიამ სტიუარტი ხარჭად ჰყოლოდა ცოლის გვერდით, მაგრამ ეს ვერ დააკმაყოფილებდა დედოფალს, მეფური სულის დედოფალს, ქალს, ვინც ვერავის გაუნაწილებდა ბოთველის მგზნებარე სიყვარულს, მხოლოდ თავისთვის უნდოდა ჰყოლოდა. მაგრამ როგორ დაეჭირა? როგორ ჰყოლოდა ტყვეობაში ეს თავნება, თავგადასავლების მაძიებელი კაცი? ფიცი უსაზღვრო მორჩილებისა და ერთგულებაზე თავს მოაბეზრებდა ასეთ კაცს, სხვა ქალებისაგანაც ბევრი მოესმინა. არა, მხოლოდ მისატყუებლით შეიძლებოდა მიეზიდა ეს გაუმაძღარი, პატივმოყვარე კაცი, ერთადერთი ჯილდოთი, რომელმაც ბევრს დაახვია თავბრუ — გვირგვინით. სულაც რომ არ ეფიქრა ბოთველს, შეენარჩუნებინა ურთიერთობა ქალთან, რომლისადმიც სინამდვილეში გულგრილად იყო განწყობილი, ერთი რამ დიდად აცდუნებდა — ეს ქალი დედოფალი იყო და შეეძლო იგი შოტლანდიის მეფედ გაეხადა. თუმცა ერთი შეხედვით ეს დიდი უგუნურება იქნებოდა, რადგან მარიამ სტიუარტს კანონიერი ქმარი ჰენრი დარნლეი ცოცხალი ჰყავდა და ლაპარაკი ზედმეტი იყო სხვა მეფეზე, მაგრამ ეს უგუნური აზრი მაინც აჯაჭვავდა ბოთველს მარიამ სტიუარტის კალთას, რადგან უბედურ ქალს სხვა მისატყუებელი არ გააჩნდა, რომ ეს დაუდგრომელი ადამიანი დაეკავებინა. ვერაფერი ისე ვერ აიძულებდა ამ თავისუფალ, დამოუკიდებელ, ძლიერ ადამიანს დამორჩილებოდა თავის მონას, მოეთმინა მისი სიყვარული, როგორც გვირგვინი. არ არსებობდა ისეთი რამ, ამ სიყვარულით მთვრალ ქალს, ვისაც კარგა ხანია დაევიწყებინა პატივი, წესიერება, ღირსება, კანონი, რომ არ გადაეხადა მისი სიყვარულის გულისათვის.

ბოთველისათვის გვირგვინის მოპოვება მარიამ სტიუარტს დანაშაულის ფასადაც რომ დასჯდომოდა, ენებისგან დაბრმავებული უკან არ დაიხევდა.

რადგან ისევე, როგორც მაკბეტი, რომელიც ასრულებდა ჯადოქრების დემონურ წინასწარმეტყველებას, თუ არა სისხლის ფასად, თავისი სამეფო გვარის სრული განადგურებით, სხვაგვარად ვერ გახდებოდა მეფე. ბოთველისთვისაც დახშული იყო პატიოსანი, კანონიერი გზა შოტლანდიის ტახტისაკენ. მისკენ გზა დარნლეის გვამზე

გადავლით მიდიოდა. სისხლი რომ სისხლს შეერთებოდა, უეჭველად სისხლი უნდა დაღვრილიყო.

ბოთველი ერთი წუთითაც კი არ ეჭვობდა, როცა დარნლეისაგან გაათავისუფლებდა და ხელსა და გვირგვინს მოსთხოვდა, მარიამ სტიუარტი არ გაუწევდა სერიოზულ წინააღმდეგობას. თუნდაც ხელთ არ ჰქონოდა წერილობითი ვალდებულება, ცნობილ ვერცხლის ზარდახშაში რომ იპოვეს, რომელშიც დედოფალი ფიცს სდებდა, „რა დიდი წინააღმდეგობაც უნდა გაეწიათ მის ახლობლებსა და სხვებს, მასზე გათხოვდებოდა“. ეს ყოველივე მითი ან სიყალბე რომ ყოფილიყო, ბოთველი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დაპირების გარეშეც დარწმუნებული იყო მის მორჩილებაში. დედოფალი ხშირად შესჩიოდა არა მხოლოდ მას, სხვებსაც, — მიმძიმს იმაზე ფიქრი, რომ დარნლეისთან ქორწინება მაკავშირებსო. თავის სონეტებშიც და ალბათ სასიყვარულო შეხვედრებისას უფრო მგზნებარედ არწმუნებდა, რომ ოცნებობდა, სამუდამოდ დაჰკავშირებოდა ბოთველს. დიახ, ამ მხრივ ბოთველს საშიში არაფერი ჰქონდა, შეეძლო ყოველი ღონე ეხმარა, განუსჯელი ნაბიჯი გადაედგა.

მაგრამ ბოთველმა წინასწარ მოიპოვა, თუმც უხმო, ლორდების მხარდაჭერა. იცოდა, ყველას სძაგდა ეს თავმომაბეზრებელი, აუტანელი ბიჭი, რომელმაც გაყიდა ისინი და იმაზე მეტად ვერაფრით ასიამოვნებდა მათ, რომ რაიმე საშუალებით რაც შეიძლება ჩქარა მოეშორებინათ დარნლეი შოტლანდიიდან. ბოთველი იყო მონაწილე ნოემბრის იმ ღირსშესანიშნავი შეკრებისა ციხე-კოშკ კრეგმილერში, სადაც მარიამ სტიუარტის თანდასწრებით, თუმცა შეფარულად, მსჯელობდნენ დარნლეის ბედ-იღბალზე. პირველმა წარჩინებულმა პირებმა ქვეყნისა — მერეიმ, მაიტლენდმა, არგაილმა, ჰანთლეიმ და ბოთველმა მოილაპარაკეს, დედოფლისათვის ასეთი პირობა დაედოთ: თუ იგი სამშობლოში დააბრუნებდა შერისხულ დიდებულებს, რიჩოს მკვლელებს — მორტონს, ლინდსეის, რუტვენს, ისინი დაიხსნიდნენ დარნლეისგან. დედოფლის თანდასწრებით ჯერ კანონიერ გათავისუფლებაზე ლაპარაკობდნენ to make her quit of him[1]“, რა თქმა უნდა, ოფიციალურ განქორწინებაზე, მაგრამ მარიამ სტიუარტმა მოითხოვა, განქორწინება სრულიად კანონიერი ყოფილიყო და მისი შვილის უფლებები არ შეელახათ, რაზეც მაიტლენდმა მეტად უცნაურად მი-

[1] *მისგან გათავისუფლება (ფრ.).*

უგო: როგორ და რანაირად მოხდება, ამაში ჩვენ გვენდოთ, ამ საქმეს ისე მოვაგვარებთ, თქვენი შვილი არ დაზარალდესო. მერეიმაც კი, ამ კირკიტა კაცმა, ბევრ რამეზე „თვალები დახუჭა“. როგორც პროტ-ესტანტი, ზერელედ უყურებდა ამგვარ ამბებს. უცნაურად ეჩვენა ეს განცხადება მარიამ სტიუარტსაც. იგი შეეკამათა მაიტლენდს, ისეთი არაფერი გააკეთოთ, რომ ჩემს ღირსებას და სინდისს მძიმე ტვირთად დააწვესო. ამ გადაკრულ ლაპარაკში (ბოთველს არ გამოჰპარვია ეს) შავბნელი აზრი გამოსჭვიოდა. მაგრამ ერთი რამ კი ნათელი იყო: ყველანი — მარიამ სტიუარტი, მერეი, მაიტლენდი, ბოთველი — ამ ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირნი — მაშინვე შეთანხმდნენ, რომ დარნლეი თავიდან მოეშორებინათ. ისღა რჩებოდა გაურკვეველი, რო-გორ მოეხერხებინათ ეს — მშვიდობიანად, ეშმაკურად თუ ძალით.

ყველაზე მოუთმენელი და თავზე ხელაღებული ბოთველი ძალის გამოყენების მომხრე იყო. მას სხვებივით არც სურდა და არც შეეძლო ლოდინი. ამით იგი მხოლოდ საძულველ ბიჭს კი არ მოიშორებდა თავიდან, ხელში ჩაიგდებდა გვირგვინსა და ძალაუფლებას. სანამ სხვები ემზადებოდნენ და იცდიდნენ, იგი იძულებული იყო, გაბედუ-ლად ემოქმედა. ეტყობა, კარგა ხანია მოესინჯა ნიადაგი ლორდებში და დამხმარეებსა და ხელშემწყობებს ეძებდა. მაგრამ აქ ისტორიის ჩირაღდნები კვლავ მკრთალად ბჟუტავენ. დანაშაული ხომ ყოველთ-ვის სიბნელეში ან მკრთალ სინათლეზე მზადდება. დღემდე უცნობია, ვის და რამდენ ლორდს გააცნო ბოთველმა თავისი გეგმა, ვისი დახ-მარების ან ვისი უხმო თანხმობის იმედი ჰქონდა. მერეიმ შეიძლე-ბა იცოდა, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღია. მაიტლენდს თითქოს უფრო მეტი სიმამაცე გამოუჩენია. შეიძლება მხოლოდ სასიკვდილო სარეცელზე მყოფი მორტონის აღიარებას დავეყრდნოთ. შერისხული სამშობლოში ბრუნდებოდა და გულში მოღალატე დარნლეის საში-ნელ სიძულვილს მალავდა, რომ გზად შემოხვდა ცხენზე ამხედრებუ-ლი ბოთველი და პირდაპირ, მიუკიბავ-მოუკიბავად შესთავაზა, დარნ-ლეი მოვკლათო. მაგრამ მორტონმა ბოლოს ჭკუა ისწავლა, ჯერ არ დავიწყებოდა, თანამონაწილეებმა მარტო რომ მიატოვეს, თვითონ კი ხელები დაიბანეს. პასუხი დააყოვნა, გარანტია მოსთხოვა, ისიც ჰკითხა, დედოფალი თანახმაა თუ არა ამ მკვლელობისო. დიახ, თანახმააო, — მიუგო სრულიად დაუფიქრებლად ბოთველმა, რომ-ლისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რა ჩქარა ივიწყებდნენ post

festum[1] სიტყვიერ თანხმობას. სანამ რამეს შეჰპირდებოდა, მორტონ-მა დედოფლის წერილობითი თანხმობა მოსთხოვა. შოტლანდიური კეთილი ჩვეულების თანახმად, უნდოდა ხელთ სჭეროდა „ბონდი“, რომ თუ რაიმე უსიამოვნო შეემთხვეოდა, ხელჩასაჭიდი ჰქონოდა. ბოთველი ამასაც შეჰპირდა. სინამდვილეში კი არავითარ „ბონდზე“ არ შეიძლებოდა ლაპარაკი. სანატრელი ქორწილი მხოლოდ მაშინ გაიმართებოდა, თუ მარიამ სტიუარტი მთლად განაპირდებოდა და კრიტიკულ მომენტში „უეცრად თავს წამოადგებოდნენ“.

ამგვარად, ბოთველს არავინ ჰყავდა დასაყრდენი. ეს საქმე თვითონ უნდა ეკისრა ამ ყველაზე მოუთმენელსა და თავზე ხელაღებულ კაცს. რასაკვირველია, მას შესწევდა კიდეც გამბედაობა, რომ ყველაფერი თვითონ გაეკეთებინა, მაგრამ იმ ორაზროვანმა პასუხმა, როცა მორ-ტონის, მერეისა და მაიტლენდის გეგმა მოისმინა, მიახვედრა, რომ ლორდები აშკარად წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ. თუ ოფიციალ-ურად არ აკურთხეს მისი განზრახვა, თანაგრძნობის გამომხატველი დუმილითა და მეგობრული ჩაურევლობით მაინც დაუჭირეს მხარი. იმ დღიდან, რაც გამოირკვა, რომ მარიამ სტიუარტი, ბოთველი და ლორდები ამ საკითხზე ერთნაირად ფიქრობდნენ, შეიძლება ითქვას, დარნლეის დღეები დათვლილი იყო.

ყველაფერი მზად იყო. ბოთველმა იხმო თავისი თავზე ხელაღებ-ული მეგობრები. საიდუმლო თათბირზე მოილაპარაკეს, სად მომხ-დარიყო მკვლელობა. მაგრამ ამ მსხვერპლთშეწირვისთვის თვით ყველაზე მთავარი — მსხვერპლი აკლდათ. დარნლეი თუმცა გულუ-ბრყვილო იყო, მაგრამ იგრძნო საფრთხე. რამდენიმე კვირა იყო ფეხი არ დაედგა ჰოლირუდის ციხე-კოშკის ზღურბლზე. იცოდა, ჯერ კიდევ არ დაშლილიყვნენ შეიარაღებული ლორდები. მაგრამ, მას შემდეგ, რაც რიჩოს მკვლელები, რომლებიც მან ბედის ანა-ბარა მიატოვა, დედოფლის მრავალმნიშვნელოვანი ამნისტიის წყა-ლობით შოტლანდიაში დაბრუნდნენ, ვერც ციხე-კოშკ სტირლინგში გრძნობდა თავს უშიშრად. ახლა ველარ შეაცდენდნენ დაპირებებითა და მისატყუებლებით. გლაზგოში გაემგზავრა და აღარ მოდიოდა. იქ გრაფი ლენოქსი, მამამისი ცხოვრობდა. ყველა მისი ერთგული იყო, სახლი საიმედოდ გამაგრებული გახლდათ და თუ მტერი შეიჭრე-ბოდა, ნავსადგურში დღედაღამ იდგა გემი. ამასთან, თითქოს იმისთ-

[1] *დღესასწაულის შემდეგ (ლათ.).*

ვის, რომ საშიშ წუთებში დაეცვა, იანვრის პირველ რიცხვებში ბედმა ყვავილი შეყარა. ეს კი ხელსაყრელი მიზეზი გახლდათ, რომ რამდენიმე კვირას გლაზგოდან, ზღვის სანაპიროს საიმედო თავშესაფრიდან არ გამოსულიყო.

დარნლეის ავადმყოფობამ გეგმები ჩაუშალა ბოთველს, რომელიც მოუთმენლად ელოდა თავის მსხვერპლს ედინბურგში. რაღაც მიზეზის გამო, რაც ჩვენთვის გამოუცნობია, ბოთველი ჩქარობდა, იქნებ ეჩქარებოდა გვირგვინის თავზე დადგმა. სრულიად მოსალოდნელია, ეშინოდა საფრთხისა, რადგან ბევრმა არასაიმედო პირმა იცოდა შეთქმულების ამბავი. იქნებ მარიამ სტიუარტთან მის ინტიმურ დამოკიდებულებას შედეგი მოჰყვა... ყოველ შემთხვევაში, ლოდინი უკვე აღარ შეეძლო. ახლა საქმე ის იყო, ავი წინათგრძნობით შეპყრობილი ავადმყოფი ჭაბუკი როგორ მიეტყუებინათ ჯალათის კუნძთან, როგორ გამოეყვანათ საწოლიდან, მშობლიური საიმედო სახლიდან ოფიციალურად რომ მიეწვიათ, დარნლეი გაფრთხილდებოდა. არც მერეი, არც მაიტლენდი და არც სხვა ვინმე სამეფო კარზე ისე ახლოს არ იყო ყველასათვის საძულველ, ათვალწუნებულ დარნლეისთან, რომ დაერწმუნებინა, თავისი ნებით დაბრუნებულიყო. მხოლოდ ერთადერთ ადამიანს ჰქონდა მასზე უფლება. ორჯერ აიძულა დედოფალმა სულით ხორცამდე მორჩილი უბედური ყმაწვილი, დამორჩილებოდა. მხოლოდ მარიამ სტიუარტს შეეძლო აეფარებინა სიყვარულის ნიღაბი მასთან, ვისაც მისი სიყვარული სწყუროდა, დამალული მსხვერპლი მიეტყუებინა დაგებულ მახესთან. მთელ ქვეყანაზე მხოლოდ იგი მოატყუებდა ასე წარმოუდგენლად და რადგან დედოფალი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, ტირანის ხელში სათამაშო თოჯინად გადაქცეულიყო, საკმარისი იყო, ბოთველს ენებებინა, დაუჯერებელი რამ მომხდარიყო, რასაც ჩვენი გრძნობები ვერ ჩასწვდებიან: 22 იანვარს მარიამ სტიუარტი, რომელიც კარგა ხანია გაურბოდა დარნლეისთან შეხვედრას, ცხენით გაემგზავრა გლაზგოში, თითქოს ავადმყოფი მეუღლის სანახავად, სინამდვილეში კი ბოთველის ბრძანებით, ქალაქ ედინბურგში უნდა გამოეტყუებინა იგი, სადაც პირბასრი ხანჯლით სიკვდილი ელოდა.

გზა მკვლელობისკენ
1567 წლის 22 იანვრიდან 9 თებერვლამდე

აი, იწყება ყველაზე შავბნელი სტროფები მარიამ სტიუარტის ბალადისა, გლაზგოში გამგზავრება, საიდანაც პირდაპირ შეთქმულთა ბუნაგში ჩამოიყვანა თავისი ავადმყოფი მეუღლე. ეს მისი ყველაზე საეჭვო საქციელია. კვლავ ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მარიამ სტიუარტი დავუპირისპიროთ ძველ ატრიდებს — კლიტემნესტრას, რომელიც პირფერული მზრუნველობით უმზადებდა შინ დაბრუნებულ მეუღლეს, აგამემნონს თბილ აბაზანას, თან მისი საყვარელი, მკვლელი ეგისთე პირბასრი ნაჯახით იქვე იმალებოდა? იქნებ ლედი მაკბეტსა ჰგავს, მოთაფლული სიტყვებით დასაძინებლად რომ გააცილა მეფე დუნკანი, რომელსაც შემდეგ მაკბეტი ძილში მოკლავს; ერთ-ერთ ჯოჯოხეთურ დამნაშავეს, როგორადაც ხდის ზოგჯერ გაგიჟებული სიყვარული ყველაზე მამაცსა და მოყვარულ ქალებს? იქნებ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი უნებისყოფო მონა იყო სისხლისმსმელი საყვარლის, ბოთველის ხელში და მისი შეუვალი ნებისყოფა ამოქმედებდა; იქნებ მორჩილ თოჯინად იქცა, რომელიც არც კი ფიქრობდა, რა საშინელება მზადდებოდა მისგან მალულად. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ დედოფალი მონაწილეობას მიიღებდა შეთქმულებაში. სულ ახალ და ახალ, უფრო ჰუმანურ და უბოროტო გზებს ვეძებთ მისი გლაზგოში გამგზავრების ასახსნელად. კვლავ გვინდა, მიკერძოება არ გამოვიჩინოთ, გვერდზე გადავდოთ ის დოკუმენტები და ჩვენებები, მარიამ სტიუარტს რომ ამხელენ, გულმხურვალედ, გულწრფელად დავარწმუნოთ საკუთარი თავი, თვალი გადავავლოთ გამამართლებელ საბუთებს, რომლებიც მისმა დამცველებმა ნახეს თუ მოიპოვეს, მაგრამ ამაოდ! როგორადაც უნდა ვიყოთ განწყობილი, ვექილთა ეს საბუთები ვერავის დაარწმუნებენ,

რომ ჩადენილი ბოროტება ერთი ჯაჭვით არის გადაბმული, ხოლო დამცველთა ნაზრევი განხილვისას ხელში შემოგვადნება.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ნაზმა მზრუნველობამ მიიყვანა მარიამ სტიუარტი ავადმყოფი დარნლეის საწოლთან, რომ უშიშარი თავშესაფრიდან წამოეყვანა და შინ უკეთესად მოევლო. რამდენიმე თვე იყო, მეუღლენი უცხოებივით ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე. მარიამ სტიუარტი ვერ იტანდა დარნლეის სიახლოვეს. დარნლეი ცრემლმორეული ეხვეწებოდა დედოფალს, მისი სარეცელი გაეზიარებინა, მაგრამ მის კანონიერ უფლებებს ლახავდნენ. ესპანეთის, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები თავიანთ წერილებში კარგა ხანია შენიშნავდნენ, მეფესა და დედოფალს შორის გულცივობა იგრძნობა, რაც თავისთავად რაღაცას გულისხმობსო. ლორდები აშკარად ლაპარაკობდნენ გაყრაზე, გულში კი უფრო ძალდატანებით დაშორებაზე ფიქრობდნენ. სულ ცოტა ხნის წინ შეყვარებულთ ისე გაუცივდათ გული ერთმანეთზე, მაშინაც კი, როცა დარნლეიმ შეიტყო, მარიამ სტიუარტი ავად გახდა ჯედბოროში, სიკვდილის პირას არის და ზიარებისათვის ამზადებენო, ნაზ მეუღლეს სულაც არ უჩქარია, წასულიყო და გამომშვიდობებოდა. დიდი გამადიდებელი შუშითაც ვერ იპოვიდით მათ დამოკიდებულებაში სიყვარულის ან სინაზის ნასახსაც კი. ამგვარად, უსაფუძვლოა ფიქრი, თითქოს სიყვარულმა, მზრუნველობამ წაიყვანა მარიამ სტიუარტი გლაზგოში.

იქნებ (ეს მისი დამცველების უკანასკნელი საბუთია) მარიამ სტიუარტი იმიტომ გაემგზავრა გლაზგოში, რომ ბოლო მოეღო ავისმომასწავებელი უსიამოვნებისთვის? განა არ შეეძლო ავადმყოფთან წასულიყო შესარიგებლად? სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხელსაყრელ მიზეზსაც აბათილებს მის მიერ ხელმოწერილი ერთი საბუთი. გლაზგოში გამგზავრების წინა დღით, არქიეპისკოპოს ბიტონისადმი მიწერილ წერილში არ ფრთხილობდა, არც ფიქრობდა, ოდესმე იგი მის საწინააღმდეგო საბუთად გამოეყენებინათ — მარიამ სტიუარტმა გადმოანთხია მთელი თავისი ბრაზი დარნლეიზე. „რაც შეეხება მეფეს, ჩემს მეუღლეს, მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, როგორ ვექცეოდი მას. მაგრამ ღმერთმა და ყველამ იცის მისი ხრიკები და მზაკვრობანი ჩემი პიროვნების მიმართ. ყველა ჩემი ქვეშევრდომი ამის მოწმე იყო და მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი ადანაშაულებენ მას“. განა აქ მოკრძალების, შერიგების ხმა იგრძნობა? ესაა განწყობილება

მოყვარული ცოლისა, რომელიც აღელვებული და შეძრწუნებული მიისწრაფვის ავადმყოფი ქმრისკენ? მეორე აუცილებელი ვითარება, რაც აშკარად მის წინააღმდეგ მეტყველებს, ის გახლავთ, რომ მარიამ სტიუარტი იმისთვის კი არ გაემგზავრა, ენახა დარნლეი და შინ დაბრუნებულიყო, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მაშინვე ედინბურგში წამოეყვანა. დაუჯერებელია ეს მეტისმეტი მზრუნველობა. განა მედიცინის ყოველ კანონსა და ჯანსაღ აზრს არ ეწინააღმდეგება, ყვავილიანი, სიცხიანი, ჯერ ისევ სახედაფოთლილი ავადმყოფი წამოაყენო საწოლიდან და შუა ზამთარში, იანვარში, საშინელ ყინვაში, ღია ფორნით წაიყვანო ორი დღის სავალზე? მარიამ სტიუარტმა ფორანიც ხომ თან წაიყვანა, რომ დარნლეი არსად გაჰქცეოდა, ისე ეჩქარებოდა მისი ჩაყვანა ედინბურგს, საცა მის წინააღმდეგ გაჩაღებული იყო შეთქმულება. იქნებ მარიამ სტიუარტმა არ იცოდა (ჯობს, ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ დამცველთა საბუთებს, უსამართლობაა, ადამიანს უდანაშაულოდ ბრალი დასდო კაცის მკვლელობაში!), იქნებ არ იცოდა, რომ თავდასხმას უმზადებდნენ? ღვთის განგებით, ამ საბაბსაც აქარწყლებს ჩვენამდე მოღწეული არჩიბალდ დუგლასის წერილი მარიამ სტიუარტისადმი. ერთ-ერთმა მთავარმა შეთქმულმა, არჩიბალდ დუგლასმა პირადად ინახულა დედოფალი გლაზგოში გამგზავრების წინ, რათა იგი აშკარად დათანხმებოდა მკვლელობის განზრახვით მოწყობილ შეთქმულებაში. თუმცა ვერც თანხმობა და ვერც რაიმე გარანტია ან დაპირება ვერ გამოჰგლიჯა. როგორ შეეძლო მეუღლეს, რომ გაიგო, რას უმზადებდნენ შეთქმულნი, დაემალა მეფისთვის? როგორ არ გააფრთხილა დარნლეი? მეტიც, როცა სრულიად დარწმუნდა, რას უწყობდნენ, როგორ დაიჟინა მისი შეთქმულთა ბუდეში წაყვანა? ამგვარ შემთხვევაში დუმილი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მფარველობა, იგი პასიური, ფარული ხელშეწყობაა, რადგან ვინც იცის, დანაშაული ხდება და არ ცდილობს მის თავიდან აშორებას, ამ გულგრილობის გამო დამნაშავედ ითვლება. უკეთეს შემთხვევაში, მარიამ სტიუარტზე შეიძლება ითქვას, მან არ იცოდა, ამ დანაშაულს რომ აშზადებდნენ, რადგან არ სურდა, სცოდნოდა. თვალებს ხუჭავდა მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ დაეფიცა, მე არაფერი ვიცოდიო.

ამგვარად, მიუკერძოებელ მკვლევარს ისეთი გრძნობა ეუფლება, რომ მარიამ სტიუარტი რაღაცით მაინც დამნაშავეა თავისი ქმრის

თავიდან მოშორებაში. იქნებ უნებისყოფობას ცოტათი მაინც გაემართლებინა, მაგრამ არ იცოდაო, ვერასგზით ვერ გაამართლებს. ეს მონა ხომ გულგრილად, თავხედურად, ფხიზელი გონებითა და საკუთარი ნებისყოფით არ ასრულებდა თავის მისიას, სხვის ნებასურვილს, სხვის ბრძანებას ასრულებდა. მარიამ სტიუარტს ცივი, ცბიერი, ცინიკური ანგარიშიანობა კი არ მოქმედებდა, როცა გლაზგოში მიემგზავრებოდა, არც დარნლეის გამოტყუება სურდა თავისი თავშესაფრიდან, გადამწყვეტ წუთებში, რასაც ზარდახშის წერილები მოწმობენ, შეკრთა კიდეც და შეაძრწუნა თავზე ძალად მოხვეულმა როლმა.

რაღა თქმა უნდა, მან და ბოთველმა წინასწარ განსაჯეს, როგორ მოეყვანათ დარნლეი შინ, მაგრამ წერილი ნათლად მეტყველებს, საკმარისი იყო, მარიამ სტიუარტი ერთი დღის საავლზე მოშორებოდა თავის მბრძანებელს და გათავისუფლებულიყო მისი ჰიპნოზისგან, რომ magna peccatrix[1] მიძინებულ სინდისს გაეღვიძა. მუდამ ასეა, ადამიანს, ვისაც იდუმალი ძალა უბიძგებს დანაშაულისკენ, მაშინვე გაარჩევ ნამდვილი დამნაშავისგან, იმისგან, ვისაც დანაშაულის ჩადენის მოთხოვნილება გააჩნია, ბოროტი და წინასწარი განზრახვით მოქმედი crime passionel-ისაგან[2]. იქნებ მარიამ სტიუარტის საქციელიც ყველაზე ნათელი შემთხვევა იყოს არა პირადი სურვილით, სხვისი, უფრო ძლიერი ნებისყოფის ადამიანის ძალდატანებით ჩადენილი დანაშაულისა. იმ წუთებში, როცა მარიამ სტიუარტს უნდა შეესრულებინა წინასწარ განხილული და მოფიქრებული გეგმა, როცა პირისპირ დარჩა თავის მსხვერპლთან, რათა სასაკლაოზე მიეყვანა, უცბად გაუქრა შურისძიებისა და სიძულვილის გრძნობა და მის სულში წმინდა ადამიანური შეებრძოლა არაადამიანურ მოვალეობას, მაგრამ ეს დაგვიანებული და ამაო ბრძოლა იყო! მარიამ სტიუარტი ხომ ამ ბრძოლაში არა მარტო იმ ცბიერ მონადირეს ჰგავდა, მსხვერპლს რომ ეპარება, არამედ ძაღლებმისეულ ნადირსაც. გრძნობდა, სულში გამუდმებით შოლტს ურტყამდნენ და შეუბრალებლად მიერეკებოდნენ წინ. შიშისგან ცახცახებდა თავისი მიჯნურის, ულმობელი სიყვარულისთვის შეპირებული მსხვერპლი რომ არ მიეყვანა, თან იმისიც ეშინოდა, ურჩობით მისი სიყვარული არ დაეკარგა. უდანაშაუ-

[1] *დიდ ცოდვილში (ლათ.).*

[2] *აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული (ფრ.).*

ლო ქალი გულში რომ იტანჯება მის მიერ ჩადენილი ბოროტებითა და უიარაღო ცდილობს შეებრძოლოს თავზე მოხვეულ დანაშაულს, მხოლოდ ეს გვაძლევს უფლებას, თუ სამართლიანობის თვალსაზრისით ვერ ვაპატიებთ, ადამიანურად მაინც გავუგოთ.

ბოროტმოქმედება შერბილებული სახით წარმოგვიდგება ცნობილი წერილიდან, მარიამ სტიუარტი ბოთველს რომ სწერს ავადმყოფი დარნლეის სახლიდან. მარიამ სტიუარტის დამცველები შორსმჭვრეტველობას ვერ იჩენენ, ამ წერილს თვალს რომ არიდებენ, რადგან მის შემაძრწუნებელ საქციელს მხოლოდ ეს ჰფენს ადამიანობის ნათელს. ეს წერილი, თითქოს გამონგრეულ კედელში ვიჭვრიტებითო, თვალწინ გადაგვიშლის გლაზგოს ტრაგედიის საშინელ წუთებს. შუაღამე გადასულია. მარიამ სტიუარტს საღამური ხალათი აცვია. უცხო ოთახში მაგიდასთან ზის. ბუხარში ცეცხლი ანთია. ცეცხლის საოცარი ჩრდილები ეფინება ცივ კედლებს, მაგრამ ცეცხლი ვერ ათბობს დაცარიელებულ ოთახს, ვერც გაყინულ სულს. აცახცახებს ნახევრად შიშველ ქალს. სცივა, დაღლილია, ეძინება, მაგრამ ისე აღგზნებული და აღელვებულია, ძილი არ ეკარება მის თვალებს. რამდენი საშინელი და მძიმე განსაცდელი გამოიარა ამ ბოლო კვირებში, ბოლო წუთებში, ნერვები უთრთის, თითქმის ყოველი ნერვი მგრძნობიარე გახდომია. აძრწუნებდა იმ საშინელებაზე ფიქრი, რაც მოელოდა, მაგრამ უხმოდ ემორჩილებოდა თავისი მბრძანებლის ნებას. ბოთველის სულიერი ტყვე დათანხმდა ამ გამგზავრებაზე, რათა თავისი მეუღლე საიმედო თავშესაფრიდან გაეტყუებინა და კიდევ უფრო საიმედო სიკვდილთან მიეყვანა. მრავალი გასაჭირი გამოიარა. ქალაქის ჭიშკართან ლენოქსის, დარნლეის მამის მსტოვარმა შეაჩერა. მოხუცს აეჭვებდა, ქალი რამდენი თვეა საშინელი სიძულვილით გაურბოდა მის შვილს, ახლა კი ასე მზრუნველად რისთვის მოისწრაფოდა ავადმყოფის საწოლისკენ. მოხუცმა ადამიანებმა უბედურების მოახლოება იგრძნეს, იქნებ ლენოქსსაც მოაგონდა, რომ ყოველთვის, როცა მარიამ სტიუარტი მის შვილთან შერიგებას დააპირებდა, გულში ანგარება ედო. დიდი გაჭირვებით უპასუხა მსტოვრის გამომცდელ შეკითხვებს მარიამ სტიუარტმა და ბედნიერად მიაღწია ავადმყოფის საწოლთან, მაგრამ იქ, — სწორედ ეს უნდა მოჰყოლოდა მის ცბიერებას, — უნდობლად შეხვდნენ. დარნლეიმ პირველად ის იკითხა, ფორანი რატომ მოიყვა-

ნა. თვალებში მღელვარების ნაპერწკალი აუციმციმდა. დედოფალს გული უნდა გაემაგრებინა, რომ ამგვარ შეკითხვებში თავი არ გაეცა, ენა არ დაჰბმოდა, არ გაფითრებულიყო ან ალმური არ მოსდებოდა სახეზე. მაგრამ ბოთველის შიშმა პირმოთნეობა ასწავლა. ალერსითა და ფერებით, ტკბილი სიტყვით გაუფანტა დარნლეის უნდობლობა. ნელ-ნელა გამოაცალა ნებისყოფა. პირველ საღამოსვე გააკეთა ნახევარი საქმე.

და აი, ზის ღამე მარტოდმარტო ნახევრად ჩაბნელებულ ცარიელ, ცივ ოთახში, შანდლები მკრთალ შუქს ჰფენენ გარშემო, ისეთი ყრუ სიჩუმეა, მისი იდუმალი ფიქრის ხმა და გათელილი სინდისის ოხვრა ისმის. დაკარგა ძილი და მოსვენება, საშინელი სურვილი კლავს, ვინმეს გაუზიაროს გულის დარდი, ამ უდიდესი მწუხარებისა და ტანჯვის წუთებში ვინმეს გამოელაპარაკოს. მაგრამ ის ხომ, ის ერთადერთი, გვერდით არა ჰყავს. მაშ, ვის უთხრას ეს ენით უთქმელი, რაც მის გარდა არავინ უნდა იცოდეს; მხოლოდ მან უნდა იცოდეს ეს საშინელი ბოროტმოქმედება, რასაც აკეთებს, თავის თავსაც კი ვერ გამოუტყდება. ქაღალდს იღებს და წერას იწყებს. უსაზღვროდ ვრცელი წერილია. ვერც ამაღამ, ვერც ხვალ ვერ დაამთავრებს, შეიძლება ხვალ ღამით დაასრულოს. საკუთარ სინდისს ებრძვის. საშინელი დაღლილობისა და შეძრწუნების წუთებში წერს ამ სტრიქონებს. გრძნობათა მოდუნების გამო ყველაფერი ერთმანეთშია არეული — სისულელე და ღრმა აზრი, სულის გოდება, უბრალო ლაყბობა და სასოწარკვეთილების კვნესა; შავი ფიქრები ღამურებივით დასტრიალებენ თავს და უჩვეულო ხვეულებს აკეთებენ. ხან უმნიშვნელო წვრილმანებზე ლაყბობაა, ხან შეძრწუნებული სინდისის გოდება, ხან სიძულვილი იფეთქებს, ხან სიბრალული, მაგრამ მისი სიყვარული ამ ერთადერთი ადამიანისადმი, ვინც მასზე მბრძნებლობს, ვინც ამ უფსკრულისკენ უბიძგა, ყველაფერს ნთქავს ქარიშხალივით, ბობოქარი ცეცხლივით. უცბად შენიშნა, ქაღალდი გამოელია. მაშინ წერა დაწყებულ ფურცელზე განაგრძო, ოღონდ წეროს, წეროს, ამ საშინელმა სიჩუმემ სული არ შეუხუთოს, ელაპარაკოს მას, ვისზედაც სამუდამოდ მიჯაჭვულია ბორკილით, მაგრამ მოცახცახე ხელით კალამი უნებურად რომ დასრიალებდა ქაღალდზე, შეამჩნია, ყველაფერი ისე ვერ გამოთქვა, როგორც უნდა გამოეთქვა, ძალა არ შესწევდა, ფიქრები დაემორჩილებინა, წესრიგ-

ში მოეყვანა. ეს თითქოს გონების ნაწილით შეიცნო და ეეედრებოდა ბოთველს — ორჯერ წაეკითხა ეს წერილი. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ წერილში, რომელიც სამი ათას სიტყვას შეიცავს, მთავარი ძარღვი გაწყვეტილია და ფიქრები არეულადაა გადახლართული, იგი მისი ავტორის სულის თავისებურ დოკუმენტად ქცეულა. რადგან აქ ლაპარაკობს არა გონიერი არსება, დაღლილობისა და მღელვარების წუთებში ჩვენ თვალწინ იშლება თვალისთვის მიუწვდომელი ქვეცნობიერება, შიშველი გრძნობა, რომელმაც მოიშორა მოკრძალებისა და სირცხვილის უკანასკნელი საბურველი. გრძნობათა ამ არეულობაში ერთმანეთს ენაცვლებიან მკვეთრი და ბუნდოვანი ხმები, ფხიზელი აზრები და ისეთები, რომლის გამოთქმასაც სრულ გონებაზე მყოფი ვერ გაბედავდა. ეს აზრები ხან მეორდება, ხან ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ქაოსურად ღელავს გრძნობათა ბობოქარ ზღვაში. შეიძლება არც ერთი ან იქნებ თითზე ჩამოსათვლელი ვიცით ისეთი შემთხვევა, როცა სულიერი მგზნებარება დანაშაულის ჩადენის მომენტში ასე სრულყოფილად ყოფილიყოს გადმოცემული. არა, ვერც ბიუკენენი, ვერც მაიტლენდი, ვერც ერთი ის მეტად ჭკვიანი ხალხი საქმის ისეთი ცოდნით, ისეთი შორსმჭვრეტელობით, ისეთი მაგიური სიზუსტით ვერ შეთხზავდა მღელვარე გულის მხურვალე მონოლოგს, შემაძრწუნებელ მდგომარეობას ქალისას, რომელმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინა და ახლა გამოსავალი ვერ უპოვია სინდისის დასამშვიდებლად. ამასთან, სწერს, სწერს თავის საყვარელს და ცდილობს თავდავიწყებას, თავის გამართლებას, ყველაფრის ახსნას, რომ გარშემო ჩამოწოლილ სიჩუმეში არ გაიგონოს, რა გააფთრებით უცემს გული. უნებურად კვლავ ლედი მაკბეტი გვაგონდება: ისიც ასე, საღამურ ტანსაცმელში გამოწყობილი, საშინელი ფიქრებით შეპყრობილი დაბორიალებს ჩაბნელებულ ციხე-კოშკში და თავის შეცოდებას შემაძრწუნებელ მონოლოგში ამჟღავნებს. მხოლოდ შექსპირსა და დოსტოევსკის შეეძლოთ შეექმნათ ასეთი სახეები, ასევე მათ უდიდეს ჭკუის მასწავლებელს — სინამდვილეს.

რა დიდებული, გულის სიღრმეში ჩამწვდომია ეს შესავალი, დასაწყისი ტაქტისა: „დავიღალე, მეძინება, მაგრამ არ შემიძლია არ ვწერო, სანამ ქაღალდი მაქვს. მაპატიე, ნაჯღაბნია... თუ რაიმე ვერ გაიგო, დაე, გულმა გიკარნახოს. მაინც ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია შენ მოგწერო, სანამ ყველას სძინავს. ჩემი არსება ისე ისწრაფვის

შენკენ, თვალს ძილი არ ეკარება, ვნატრობ შენს ხვევნა-ალერსს, ჩემო სიცოცხლევ!“ საოცრად გულში ჩამწვდომად გვიყვება, როგორ გაიხარა საწყალმა დარნლეიმ მისი მოულოდნელი მისვლით. თითქოს ხედავ ამ საწყალ, სიცხისგან ალმურმოდებულ, სახედაფოთლილ ყმაწვილკაცს. მთელი ეს ღამეები მარტოდმარტო იწვა და ფიქრები სტანჯავდა, რომ მან, ვისიც ერთგული იყო სულით ხორცამდე, ხელი ჰკრა და ასე სასტიკად მოიშორა. და აი, ის ახლა აქ არის, მისი მშვენიერი ახალგაზრდა ცოლი. ეს ალერსიანი ქალი კვლავ მის სარეცელთანაა. უბედური სულელი ისეთი ბედნიერია, რომ არც კი სჯერა თავისი ბედნიერების. „ეს რომ სიზმარი იყოს!“ ისე უხარია მისი ნახვა, „ეშინია ბედნიერებისაგან არ მოკვდეს“, ზოგჯერ წუთიერი ძველი უნდობლობა იფეთქებს მასში, აეშლება მოუშუშებელი ჭრილობები. ყველაფერი ისე უცბად მოხდა, შეუძლებლად გვეჩვენება, მაგრამ ეს მიმნდობი გული რა ხშირადაც უნდა მოეტყუებინათ, უძლურია იეჭვოს ასეთი დიდი ტყუილი. სუსტი ადამიანი ადვილად ენდობა და დაიჯერებს, ამპარტავანი ადვილად წარმოიდგენს, რომ უყვართ. სულ მცირე რამ იყო საჭირო, რომ დარნლეის გული აჩუყებოდა და მომლბალიყო. იგი კვლავ მისი მონაა და კვლავ ეხვეწება, როგორც რიჩოს მკვლელობის ღამეს, აპატიოს, რაც აწყენინა. „განა სხვა ქვეშევრდომებმა არ შესცოდეს შენ წინაშე და შენ ყველას აპატიე. მე კი ჯერ ახალგაზრდა ვარ. შენ მეტყვი, რამდენჯერ გაპატიეო, მე კი კვლავ შეცდომებს ვუშვებ. მაგრამ განა არ ხდება, რომ ჩემი ასაკის კაცი, სხვის რჩევას რომ აჰყვება, მეორეჯერაც და მესამეჯერაც უშვებს იმავე შეცდომებს, ივიწყებს მოცემულ სიტყვას, მაგრამ შემდეგ, მწარე გამოცდილებაგამოვლილი საბოლოოდ ჭკუას სწავლობს? თუ ახლა მაპატიებ, გეფიცები, აღარასოდეს ჩავიდენ შეცდომას. მე შენგან არაფერი მინდა გარდა იმისა, რომ როგორც ერთგულმა ცოლ-ქმარმა ერთ ჭერქვეშ ვიცხოვროთ. ერთმანეთს გავუზიაროთ სარეცელი. თუ არ მაპატიებ, მირჩევნია, ამ საწოლიდან აღარ წამოვდგე. ღმერთი ხედავს, როგორ სასტიკად დავისაჯე იმისათვის, რომ სათაყვანებელ კერპად გაგიხადე და სხვა აღარაფერზე არ ვფიქრობ შენ გარდა...“

წერილი კვლავ წინ გადაგვიშლის ბინდბუნდში ჩაკარგულ შორეულ ოთახს. მარიამ სტიუარტი თავთან უზის ავადმყოფს და უსმენს ამ გულწრფელ აღიარებას, ჩუმ ფიცს. დაუდგა დღე ზეიმისა, შეა-

სრულა თავისი გეგმა, კვლავ თავის ნებაზე დაატრიალა ეს უჭკუო ბიჭი. მაგრამ საშინლად რცხვენია ამ ტყუილისა და სიხარულს უმწარებს. სძულს მისი სულმდაბლობა. ნაღვლიანი, თვალდახრილი, გულდამძიმებული ზის ავადმყოფის საწოლთან. დარნლეიც კი ვერ ამჩნევს, რომ მის საყვარელ ცოლს იდუმალი სატანჯველი სტანჯავს. საცოდავი რქებდადგმული სულელი — მართლაც რა დიდებული სიტუაციაა! — ცდილობს, დაამშვიდოს, მატყუარა, მოღალატე ცოლი, უნდა გაამხნევოს, დააიმედოს, გაამხიარულოს, ევედრება, ამაღამ ჩემთან დარჩიო. უბედური სულელი კვლავ სიყვარულზე ბოდავს. საშინელებაა, როცა წერილიდან შეიგრძნობ, რომ ეს სუსტი ბიჭი კვლავ მიენდო, ერწმუნა მას. მისი ცქერით ვერ გამძღარა, უსაზღვროდ ატკბობს ეს სიხარული, ამდენ ხანს რომ აკლდა. სთხოვა, ხორცი შენი ხელით დამიჭერიო. დაუსრულებლად ლაპარაკობდა და გულუბრყვილობისგან მთელი თავისი საიდუმლო დაფქვა. დაასახელა მისი წამქეზებლებისა და ჯაშუშების სახელები, საშინლად მძულს მაიტლენდი და ბოთველიო. მან ხომ არაფერი იცოდა დედოფლისა და ბოთველის დამოკიდებულებისა. რაც უფრო ნდობით, თავდავიწყებით ამჟღავნებდა საკუთარ თავს, ეს ბუნებრივიცაა, მით უფრო უძნელებდა ამ ქალს ამოცანის შესრულებას — ეღალატა ამ უმწეო, გულუბრყვილო, უჭკუო ბიჭისთვის. დედოფალი უნებურად ღელავს, აკრთობს მსხვერპლის უძლურება და მიმნდობლობა. სრულიად დაძაბულია, ამ საზიზღარ კომედიას რომ აგრძელებს. „არასოდეს მისგან ამგვარი ჭკვიანური, მორჩილი ლაპარაკი არ მომისმენია და რომ არ მცოდნოდა, მას სანთლის გული ჰქონდა, მე კი ალმასზე უმტკიცესი, ვერავითარი ბრძანება, გარდა შენი, ვერ მაიძულებდა, დამეძლია ეს სიბრალული“. ჩანს, მარიამ სტიუარტი აღარ გრძნობდა სიძულვილს ამ საცოდავისადმი, რომელიც მისკენ მოიწევდა სახეანთებული, ლამის ჩაეყლაპა ხარბი, ნაზი თვალების მზერით. მთლად დაავიწყდა ის უსიამოვნება, რაც სულელმა მატყუარამ მიაყენა და გულით ეწადა, დაეხსნა და აღშფოთების წუთებში მთელ დანაშაულს ბოთველს აბრალებდა: „არასოდეს ვიძიებდი შურს“. მხოლოდ სიყვარულის გულისთვის ცრუობს ასე საზიზღრად და ბოროტად იყენებს დარნლეის ბავშვურ მიმნდობლობას. დიდებულად ჟღერს მისი გულიდან აღმომხდარი პროტესტის გოდება: „შენ მაიძულებ, ვიპირფერო, რაც მაძრწუნებს, სიძულვილს მინერგავს. შენ მომახვიე

თავს მოღალატის როლი. მაგრამ დაიმახსოვრე, მე რომ არ მნდომოდა, ყველაფერში დაგმორჩილებოდი, სიკვდილს ვარჩევდი. გულზე სისხლი მაწვება“.

მაგრამ მონა ვერ იბრძოლებდა. მას შეეძლო მხოლოდ ეკვნესა, როცა მათრახს ურტყამდნენ და წინ მიერეკებოდნენ. მარიამ სტიუარტი მორჩილი წუწუნით თავს ხრიდა თავისი მბრძანებლის წინაშე: „ვაი ჩემს თავს! არასოდეს არავინ მომიტყუებია, ახლა კი ყველაფერში შენს ნებას ვემორჩილები. მხოლოდ მაგრძნობინე, რა გსურს და რაც უნდა დამემართოს, დაგემორჩილები. იმაზეც იფიქრე, უფრო საიმედო არ იქნებოდა, რაიმე წამალი გამოგვეყენებინა. იგი კრეგმილერში აპირებს გამგზავრებას იქაურ წყლებზე სამკურნალოდ“.

ეტყობა, უნდოდა, უბედურისათვის უფრო იოლი სიკვდილი მოეგონებინა, აეშორებინა უხეში, ბინძური ძალდატანება; დედოფალი ცოტათი მაინც თავის თავს რომ ჰკუთვნებოდა და მთლად ბოთველის გავლენის ქვეშ არ ყოფილიყო, ძალა რომ ჰყოფნოდა, დამოუკიდებლობის ნაპერწკალიც კი დაიხსნიდა დარნლეის. მაგრამ იგი ვერ ბედავდა, ურჩობა გაეწია, რადგან ეშინოდა, არ დაეკარგა ბოთველი. იმისიც ეშინოდა, ვაითუ ბოთველმა შემიძულოს, ასეთ საზიზღრობას რომ დავთანხმდიო. რა გენიალური ფსიქოლოგიური შტრიხია, რასაც ვერც ერთი მწერალი ვერ მოიგონებს. ევედრებოდა, ხელებს უწვდიდა, ამისათვის არ შემიძულო, რადგან შენა ხარ ყოველივეს მიზეზიო. მუხლებზე დამხობილი ემუდარებოდა, ამ სატანჯველისთვის სიყვარულით დაეჯილდოებინა. „ყველაფერს გწირავ — სინდისს, ღირსებას, ბედნიერებას, სიდიადეს. ეს დაიმახსოვრე და ნუ დაუჯერებ შენი ცბიერი ცოლისძმის რჩევას, იგი გამხედრებს ყველაზე ერთგული სატრფოს წინააღმდეგ, როგორიც კი ოდესმე გყოლია ან გეყოლება. მისი (ბოთველის ცოლის) ყალბი ცრემლები გულს ნუ აგიჩუყებს. თვალნი მოგვაპყარ მე და იმ საქმეებს, რასაც ჩემი სურვილის წინააღმდეგ ვაკეთებ, რომ ის ადგილი დავიკავო, რისთვისაც მზად ვარ, ფეხქვეშ გავთელო საკუთარი თავი. ღმერთი მოგიტევებს და შენ, ჩემო ძვირფასო, მოგანიჭებს ყოველგვარ ბედნიერებასა და წყალობას, რასაც გისურვებს შენი უმორჩილესი, უერთგულესი სატრფო, რომელიც, იმედი მაქვს, თავისი სატანჯველის საფასურად მალე შენთვის უფრო ძვირფასი გახდება“. ვინც წინასწარ განწყობილი არ არის ამისათვის და სიტყვებში ტანჯულის გულისხმა

ესმის, უბედურ ქალს მკვლელს არ უწოდებს, თუმცა ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა იმ ხანებში დღისით თუ ღამით, მკვლელობისკენ იყო მიმართული. რადგან იგრძნობა, მის ნება-სურვილზე ასჯერ ძლიერია ძალდატანება, მისი სიძულვილი და პროტესტი. იქნებ ეს ქალი ზოგჯერ თვითმკვლელობაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე სხვის მოკვლაზე. ასეთი ბედი ერგება ყველას, ვინც სხვას დაემონება. თუ ერთხელ დაკარგავ ნებისყოფას, ვეღარ აირჩევ საკუთარ გზას. მხოლოდ სხვისი მორჩილება და სამსახური შეგეძლება. ამგვარად, ბორძიკ-ბორძიკით, ხან უკან იხევდა, მაგრამ წინ მიიწევდა ეს თავისი გრძნობების მსახური, ეს შეუგრძნობელი და ამავე დროს მეტისმეტად მგრძნობიარე, მთვარეულივით მიექანებოდა ბოროტების უფსკრულისკენ.

მეორე დღისით მარიამ სტიუარტმა შეასრულა ყოველი, რაც დავალებული ჰქონდა. კეთილად დასრულდა ყველაზე სახიფათო და საძნელო ნაწილი დავალებისა. დედოფალმა გაუფანტა ეჭვები დარნლეის. საწყალი, ავადმყოფი, ჭკუამოკლე ბიჭი ვერაფერს მიხვდა. გამხიარულდა, გამხნევდა, მიენდო, ბედნიერად გამოიყურებოდა. ჯერ კიდევ ავადმყოფი, დასუსტებული, ყვავილისგან სახედაკენკილი ცდილობდა, მიალერსებოდა. ოღონდ მოხვეოდა და ეკოცნა თავისი მეუღლისთვის, სხვა არაფერი უნდოდა. მარიამ სტიუარტმა დიდი გაჭირვებით დასძლია ზიზღი და შეაკავა მისი მოუთმენლობა. მისი სურვილის მონამ, ისევე, როგორც მარიამ სტიუარტი იყო ბოთველის სურვილის მონა, ტყვე ქალის ტყვემ თანხმობა განაცხადა მასთან ერთად ედინბურგში დაბრუნებაზე.

ავადმყოფმა, რომ არავის დაენახა, დამახინჯებულ სახეზე თავსაფარი მოიხურა და ნება დართო, საიმედო მშობლიური სახლიდან ფორანში გადაეყვანათ. და აი, ბოლოს მსხვერპლი ჯალათის გზას გაუყენეს. უხეში სისხლიანი საქმე ბოთველმა ითავა. ამ სასტიკ, დამცინავ კაცს ეს საქმე გაცილებით უფრო ეადვილებოდა, ვიდრე მარიამ სტიუარტს ღალატი.

ნელა მიემართებოდა ცხენოსანი ამალით გარშემორტყმული ფორანი ზამთრის გაყინულ გზაზე. მრავალი თვის შეურიგებელი მტრობის შემდეგ შეხმატკბილებული მეუღლენი ედინბურგში ბრუნდებოდნენ. ედინბურგში, მაგრამ სახელდობრ სად? რა თქმა უნდა, ჰოლირუდის ციხე-კოშკში, სამეფო რეზიდენციაში, დიდებულთა

მყუდრო პალატებში, იტყვით თქვენ. მაგრამ არა, ყოვლისშემძლე ბოთველმა სხვაგვარად ბრძანა. მეფე საკუთარ სახლში, ჰოლირუდში ვერ დაბრუნდებოდა, რადგან საშიში იყო, ავადმყოფობა სხვას არ გადასდებოდა. მაშ, სტირლინგში ან ედინბურგის ციხე-კოშკში, ამ ამაყ, მიუდგომელ სიმაგრეში მიიყვანენ, უკიდურეს შემთხვევაში, როგორც სტუმარი, რომელიმე თავადის სახლში მაინც გაჩერდება, თუნდაც ეპისკოპოსის სასახლეში. მაგრამ არა! მეტად საეჭვო ვითარებათა გამო სრულიად შეუხედავი, განცალკევებით მდგარი სახლი ამოირჩიეს, რაზეც აქამდე სიტყვაც კი ვერავის დაეძრა. ეს სულაც არ იყო საბატონო სახლი, თან მეტად საეჭვო ადგილას მდებარეობდა, ქალაქის გალავანს გადაღმა, ბაღებსა და უშენ ადგილას. ნახევრად დანგრული, წლებით მიტოვებული სახლი იყო. მისი დაცვა ძნელი გახლდათ. საოცარი, მრავალმნიშვნელოვანი არჩევანია! უნებურად იკითხავთ, ვის მოუვიდა თავში მეფისთვის ამ საეჭვო, განმარტოებული საცხოვრებლის ამორჩევა კერკ ო' ფილდეში, რომელიც სახელგატეხილი ქურდების დასახლების Thilves Row-ის მახლობლად მდებარეობდა. აქაც საქმეში ბოთველი ჩაერია. ის ხომ იმჟამად ყველაფერი — all in all იყო შოტლანდიაში. საიდულო ლაბირინთებში ყველგან ვხვდებით ამ წითელ ხაზს. წერილებში, საბუთებში, მიკვლევებში სწორედ მისკენ მიდის სისხლიანი კვალი. ეს შეუხედავი, მეფისთვის შეუფერებელი, უშენ ადგილას ჩაკარგული სახლი, რომელსაც მხოლოდ ბოთველის ერთ-ერთი დამქაშის მამული ეკვროდა, მისაღებისა და ოთხი ოთახისგან შედგებოდა. ქვემოთ დედოფლის იმპროვიზებული საწოლი მოათავსეს, ვთქვათ და უცებ მონებებოდა ავადმყოფ მეუღლესთან მოსვლა, თუმცა ამ ცოტა ხნის წინ მისი სახელის გაგონებაც კი არ სურდა. მეორე ოთახი მისი ახლობელი ქალებისთვის იყო განკუთვნილი. უფრო მოზრდილი ოთახი ზემოთ — მეფისთვის, მეფის ოთახის გვერდით კი მსახურების სამყოფელი იყო. ამ საეჭვო სახლის დაბალჭერიანი ოთახებისთვის მორთულობას არ იშურებდნენ. ჰოლირუდიდან მოიტანეს ხალიჩები და მდიდრული შპალერი. მეფეს დიდებული საწოლი დაუდგეს, რომელიც მარიამ დე გიზმა საფრანგეთიდან ჩამოიტანა. მეორე ქვემოთ დადგეს დედოფლისთვის. მარიამ სტიუარტი არაფერს იშურებდა, მეტისმეტად ნაზად ზრუნავდა დარნლეიზე. დღეში რამდენჯერმე მოინახულებდა ხოლმე თავისი ამალით. მოწყენის საშუალებას არ

აძლევდა, წინათ კი (საჭიროა ერთხელ კიდევ მოვიგონოთ) თვეების განმავლობაში გაურბოდა. სამი ღამე — 4-დან 7 თებერვლამდე დატოვა სასახლე და ამ განმარტოებულ სახლში იძინებდა. დაე, ყველა დარწმუნებულიყო ედინბურგში, რომ მეფე და დედოფალი ერთ სულ და ერთ ხორც იყვნენ. მეტისმეტად თვალში გეცემოდათ ეს სვესვიანობა, ეს ერთ სულ და ერთ ხორც ყოფნა. ადვილი წარმოსადგენია, ამ უცაბედ შემობრუნებას, დედოფლის დამოკიდებულებას მეფისადმი როგორ გაიგებდნენ სხვები, განსაკუთრებით ლორდები, რომლებთანაც მარიამ სტიუარტი ამ ცოტა ხნის წინ მსჯელობდა, როგორ მოეშორებინა თავიდან დარნლეი. ახლა კი ეს მოულოდნელი, მგზნებარე, მეტისმეტად თვალში საცემი ცოლქმრული სიყვარული ყველას გააოცებდა. ყველაზე გონიერი კაცი ლორდებში — მერეი, ეტყობა, ყველაფერს მიხვდა. ამაზე მეტყველებს მისი შემდგომი მოქმედება: მას ერთ წუთსაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ამ განმარტოებულ სახლში საეჭვო ამბები ხდებოდა და როგორც ჭეშმარიტმა დიპლომატმა, ზომები მიიღო.

თუ ვინმეს მთელ ქალაქში, მთელ ქვეყანაში, სჯეროდა, რომ დედოფალმა გული მოიბრუნა, ეს დარნლეი, მისი უბედური ქმარი გახლდათ. მის პატივმოყვარეობას აკმაყოფილებდა დედოფლის ზრუნვა. ამაყად შესცქეროდა ლორდებს, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ ზურგი შეაქციეს, ახლა კი მოდიოდნენ მის სანახავად და წუხდნენ. ასეთი მოპყრობით მეტისმეტად გახარებულმა 7 თებერვალს მამას წერილი მისწერა: „დედოფლის გულმოდგინე მოვლის წყალობით გამოვმჯობინდი, ამჯერად იგი ნამდვილი, მოყვარული ცოლია, ექიმები მარწმუნებენ, მალე მორჩებიო. სახე მთლად დამეწმინდა, მალე სასახლეში გადასვლის ნებასაც მომცემენ. ორშაბათისათვის ცხენები შეკვეთილია. კიდევ ერთი დღე და დავბრუნდები ჰოლირუდში, სადაც გავიზიარებ დედოფლის bed and board[1] და ბოლოს და ბოლოს, კვლავ ვიმეფებ ჩემს სახელმწიფოსა და მის გულში“.

მაგრამ ორშაბათს, 10 თებერვალს, წინ უძღოდა კვირა, 9 თებერვალი. კვირას ჰოლირუდის სასახლეში დიდი ზეიმი იყო დანიშნული. მარიამ სტიუარტის ორი ერთგული მსახური ჯვარს იწერდა. ამ შემთხვევის გამო დიდებული ვახშამი და მეჯლისი უნდა მოეწყოთ. დედოფალიც დაესწრებოდა ამ ზეიმს. მაგრამ მხოლოდ ეს საყოველ-

[1] *სარეცელსა და სუფრას (ინგლ.).*

თაოდ ცნობილი შემთხვევა კი არ იყო მოსალოდნელი, სხვაც, რის არსსაც შემდგომ გავიგებთ. 9 თებერვალს დილით, სრულიად მოულოდნელად, მერეიმ ნებართვა სთხოვა დას, რამდენიმე დღით გაეშვა ერთ-ერთ თავის ციხე-კოშკში ავადმყოფი ცოლის სანახავად. ეს ავის მომასწავებელი ნიშანი გახლდათ, რადგან მერეი პოლიტიკური არენიდან რომ გაქრებოდა, ყოველთვის ჰქონდა სერიოზული საფუძველი. რაც უნდა მომხდარიყო აქ — გადატრიალება თუ ტრაგიკული შემთხვევა — მერეი იტყოდა, მე აქ არ ვიყავიო. ვინც წინასწარ გრძნობს ქარიშხლის მოახლოებას, შეწუხდებოდა, როცა დაინახავდა, ეს ანგარიშიანი, შორსმჭვრეტელი კაცი როგორ ცდილობდა თავისთვის ეშველა, რომ ქარიშხალში არ მოხვედრილიყო. ჯერ ერთი წელიც არ გასულიყო რიჩოს მკვლელობიდან, როცა ასევე უდანაშაულო სახით შევიდა ერთ დილით ედინბურგში. ახლაც, თითქოს არაფერი იცოდა, სწორედ ამ დილით, როცა ბოროტმოქმედება უნდა მომხდარიყო, მიემგზავრებოდა ედინბურგიდან. დაე, სხვები ჩავარდნილიყვნენ საფრთხეში, ოღონდ მას პატივი და დიდება არ მოჰკლებოდა.

კიდევ ერთი რამ იყო ჩასაფიქრებელი, მარიამ სტიუარტმა სწორედ ახლა ბრძანა, თავისი დიდებული საწოლი, ბეწვის საბნით, ჰოლირუდში გადაეტანათ. ეს განკარგულება სწორედ რომ დროული გახლდათ, რადგან მომავალ ღამეს, დიდი ხნის ნანატრი ზეიმის ღამეს, იგი ციხე-კოშკში გაატარებდა და არა კერკ ო'ფილდეში. ეს სიფრთხილე, რაც შეიძლებოდა ჩქარა გადაეტანათ ძვირფასი საწოლი ჰოლირუდში, საბუთი იყო მცდარი თუ ნამდვილი აზრის გარკვევისა. მართლაც, არც ნასადილევსა და არც საღამოს საფრთხე სრულიად არ იგრძნობოდა. მარიამ სტიუარტი წინანდებურად იქცეოდა. დღისით მეგობრების თანხლებით ინახულა გამოჯანმრთელებული მეუღლე. საღამოთი ბოთველთან, ჰანთლეისა და არგაილთან ერთად მხიარულად გაატარა დრო თავის მსახურთა ქორწილში. და რაც მთავარია, რა ამაღელვებელია, თუმცა დარნლეი სულ მალე უნდა დაბრუნებულიყო ჰოლირუდში, ამ ზამთრის ღამეს კვლავ გაეშურა კერკ ო'ფილდეს განმარტოებულ სახლში. სუფრიდან წამოდგა, რომ ცოტა ხანი კვლავ მჯდარიყო დარნლეის საწოლთან და ელაყბა. ღამის თერთმეტ საათამდე — შეგვიძლია ზუსტად აღვნიშნოთ დრო — იჯდა კერკ ო'ფილდეში, მერე ჰოლირუდში დაბრუნდა. ღამის სიბნელეში შორიდან მოჩანდა მხიარული კავალკადა, აბრიალებული ჩირაღდნები,

მოციმციმე ფარნები. ისმოდა მხიარული სიცილი. გაიღო ჭიშკარი. მთელი ედინბურგი იყო მოწმე იმისა, რომ დედოფალმა, მზრუნველმა ცოლმა ინახულა ავადმყოფი ქმარი და ჰოლირუდში დაბრუნდა, სადაც ვიოლინოებისა და სხვა საკრავთა ხმაზე თავბრუდამხვევად ტრიალებდნენ მოცეკვავე წყვილები. ენაწყლიანი, მხიარული დედოფალი კვლავ მექორწილეებში გაერია და მხოლოდ შუაღამისას შევიდა თავის საწოლ ოთახში დასაძინებლად.

ღამის ორ საათზე მიწისძვრამ შეარყია დედამიწა. საშინელი აფეთქების ხმამ, თითქოს ოცდახუთი ზარბაზნიდან ერთად გაისროლესო, შეაზანზარა ჰაერი. მაშინვე შეამჩნიეს, კერკ ო'ფილდეს მხრიდან, თავპირისმტვრევით როგორ გამორბოდნენ საეჭვო პირები. ალბათ რაღაც საშინელება დაემართა მეფეს განცალკევებულ სახლში. მთელი ქალაქი მღელვარებასა და შიშს მოეცვა. გაიღო ალაყაფის კარი და შემოვიდნენ საშინელი ამბის მაუწყებელნი — კერკ ო'ფილდეს განმარტოებული სახლი მეფესთან და მის მსახურებთან ერთად აფეთქდაო. ბოთველი, თითქოსდა არაფერი იცოდა, მისი დამქაშები აფეთქებას რომ აშზადებდნენ, ეძინა, უფრო სწორად, თავი მაგრად მოიმძინარა. როცა საწოლიდან წამოაყენეს, საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ და შეიარაღებულ მცველებთან ერთად დანაშაულის ადგილისაკენ გააქროლა ცხენი. დარნლეისა და მისი მსახურის გვამები, მსახურისა, დარნლეის ოთახში რომ ეძინა, პერანგის ამარა ბაღში იპოვეს. სახლი მთლად დანგრეულიყო აფეთქებისგან.

ბოთველი დაკმაყოფილდა ამ მისთვის მოულოდნელი და სამწუხარო ფაქტის გაგებით, რადგან მან სხვაზე უკეთ იცოდა საქმის არსი და თავს არ აიტკივებდა იმის გამორკვევაზე, რაც მოხდა. ბრძანა, გვამები აეღოთ და ნახევარი საათის შემდეგ ციხე-კოშკში დაბრუნდა. ერთი რამ შეეძლო მოეხსენებინა დედოფლისთვის, რომელმაც ისევე, როგორც მან, არაფერი იცოდა და შუაღამისას გააღვიძეს: ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაუგებარი მიზეზის გამო მოკლეს მისი მეუღლე, შოტლანდიის მეფე ჰაინრიხი.

QUOS DEUS PERDERE VULT...[1]

1567 წლის თებერვლიდან აპრილამდე

სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია. მას შეუძლია ადამიანს არნახული, ზეადამიანური ენერგია მისცეს. ყველაზე გულგრილს ტიტანური ძალა შემატოს, დაარღვევინოს დაკანონებული ზნეობის ყველა ნორმა და ფორმები, დანაშაული ჩაადენინოს. მაგრამ ასევე სხვა თვისებაც გააჩნია: სტიქიური აფეთქების შემდეგ ვნების ცეცხლი, თითქოს გამოიფიტაო, ცხრება და ქრება. ნამდვილი დამნაშავისგან ამით განსხვავდება ის, ვისაც ვნება, აფექტი დანაშაულს ჩაადენინებს. შემთხვევითი დამნაშავე, ვისაც დანაშაულს სიყვარული ადენინებს, ძალას იკრებს თვით მოქმედებისთვის და იშვიათად თუ აფიქრებს მისი შედეგი. მოქმედებს აღგზნებით, ბრმად მიისწრაფვის განზრახულის შესრულებისკენ, მთელ თავის სულიერ ძალებს ერთადერთ მიზანს სწირავს; და როგორც კი მიაღწევს ამ მიზანს, მისი ენერგია თითქოს იშრიტება, კარგავს სიმტკიცეს, ჭკუას, სიბრძნეს, მაშინ, როცა გულგრილი, ანგარიშიანი დამნაშავე უჩვეულო გაქნილობით ცდილობს შეებას გამომძიებელსა და მოსამართლეებს მძიმე ორთაბრძოლაში არა თვით საქმისათვის, როგორც ეს იმათ სჩვევიათ, ვისაც სიყვარული ადენინებს დანაშაულს, შემდგომ საკუთარი თავის დაცვისათვის იყენებს თავისი სულიერი ძალების მაქსიმუმს.

მარიამ სტიუარტს ეს კი არ ამცირებს, პირიქით, ამაღლებს. მას არ ეყო სიმამაცე იმ დანაშაულებრივი სიტუაციისათვის, რომელშიც ბოთველზე დამოკიდებულებამ ჩააყენა. თუ იგი გახდა დამნაშავე, მხოლოდ განუსჯელი სიყვარულის გამო, თავისი კი არა, სხვისი

[1] *QUOS DEUS PERDERE VULT ... DEMENTAT PRIUS — ცნობილი ლათინური გამოთქმა: „ღმერთს ვისი დაღუპვაც სურს, მას ჯერ გონებას წართმევს“.*

ნებით. თავის დროზე მას არ ეყო გამბედაობა, თავიდან აეშორებინა უბედურება, ახლა კი, როცა უკვე მოხდა, მთლად დაიბნა. ორი გზა დარჩენოდა: ან მტკიცედ, ზიზღით გაეწყვიტა კავშირი ბოთველთან, რომელმაც ბევრად უფრო შორს შეტოპა, ვიდრე დედოფალმა. გულში ფიქრობდა, განდგომოდა მის საქმეებს, ან დახმარებოდა დანაშაულის კვალის დაფარვაში, ეპირფერა, ტანჯვის ნიღაბი აეფარებინა, რათა გაეფანტა ეჭვი თავის თავზეც და ბოთველზეც. ამის მაგივრად მარიამ სტიუარტი ყველაზე უჭკუოდ, ყველაზე სულელურად მოიქცა, როგორც კი შეიძლებოდა მოქვეულიყო მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. ერთი სიტყვით, არაფერი გაუკეთებია, არც განძრეულა. ამ გულგრილობით გასცა საკუთარი თავი. როგორც მოსამართი სათამაშო ავტომატურად ასრულებს რამდენიმე მექანიკურ მოძრაობას, ისიც დაემორჩილა ბოთველის ყველა ბრძანებას: გაემგზავრა გლაზგოში, დაამშვიდა დარნლეი და წამოიყვანა შინ. მაგრამ მოსამართი მოიშალა, მექანიზმი აღარ მუშაობს. სწორედ ახლა, როცა საშინლად დამწუხრებულად უნდა მოეჩვენებინა თავი და მსოფლიო გაეკვირვებინა მგრძნობიარე თამაშით, რათა უსიტყვოდ დაეჯერებინათ მისი უდანაშაულობა, დაღლილმა ჩამოიშორა ნიღაბი. გრძნობები მოუდუნდა, საშინელი სულიერი მოღლილობა, უჩვეულო გულგრილობა ემჩნეოდა. უნებისყოფო ქალი არც კი ფიქრობდა თავის დაცვას, როცა მასზე ეჭვი მიიტანეს და ხმალი იშიშვლეს. ეს წარმოუდგენელი სულიერი გულგრილობა, ადამიანს საფრთხის წუთებში რომ იპყრობს და თითქოს აქვავებს, და იმ წუთებში, როცა მისთვის აუცილებელია პირფერობა, უმოქმედოსა და გულგრილს ხდის, თავისთავად არაფერს წარმოადგენს უჩვეულოს. ამგვარი სულიერი გაქვავება რეაქციაა სულიერი დაძაბულობისა, ცბიერი შურისძიებაა ბუნებისა, ვინც მის საზღვრებს არღვევს. ნაპოლეონს საღამოს ვატერლოოში ნებისყოფა სრულიად გამოეცალა. კერპივით მდუმარედ იჯდა და ბრძანებებს არ იძლეოდა, თუმცა სწორედ ახლა უნდა გაეცა ბრძანებები, ამ კატასტროფის წუთებში. მოულოდნელად სადღაც გაქრა მისი ძალები, ვით ღვინო იღვრება ძირგახვრეტილი კასრიდან. ამგვარი გაშეშება შენიშნეს ოსკარ უაილდს დაპატიმრების წინ. მეგობრებმა ადრიანად გააფრთხილეს, ფულიც ჰქონდა და დროც, შეეძლო მატარებელში ჩამჯდარიყო და გაქცეულიყო ლამანშით, მაგრამ ისიც გაქვავდა. იჯდა

სასტუმროში და იცდიდა, არავინ იცის, რას ელოდებოდა, სასწაულს თუ სიკვდილს. მხოლოდ ამგვარი ანალოგიები, ისტორიამ კი მრავალი იცის ასეთი, გვშველის ავხსნათ მარიამ სტიუარტის საქციელი, მისი სულელური, უაზრო, მოღალატურად პასიური საქციელი იმ კვირებში, როცა მასზე ეჭვი მიიტანეს. მკვლელობამდე არაფერი მიანიშნებს, რომ მოლაპარაკებული იყო ბოთველთან. მისი გამგზავრება დარნლეისთან შეიძლებოდა ისე აგვეხსნა, თითქოს შერიგება სურდა მასთან. მაგრამ დარნლეის სიკვდილის შემდეგ მისი ქვრივი მაშინვე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და ახლა ან მისი უდანაშაულობა უნდა გაეგო მთელ მსოფლიოს, ან ჭეშმარიტად გენიალური პირმოთნეობა გამოეჩინა. მაგრამ, ეტყობა, უბედურ ქალს საშინლად შესძაგდა სიცრუე და პირმოთნეობა და იმის მაგივრად, რომ ეჭვი გაეფანტა, ამ გულგრილობით მთელი მსოფლიოს თვალში კიდევ უფრო გამოამჟღავნა თავისი დანაშაული და უფრო დამნაშავედ წარდგა, ვიდრე შეიძლება იყო. როგორც თავის მოკვლის წინ, უფსკრულის პირას ადამიანი თვალებს ხუჭავს, მანაც დახუჭა თვალები, რომ არაფერი დაენახა და ეგრძნო. თითქოს სურდა, არარაობაში დანთქმულიყო, სადაც მოიშორებდა ფიქრებს, ეჭვებს და სამუდამოდ მოისვენებდა. არა მგონია, კრიმინალისტიკის ისტორიამ იცოდეს უფრო დასრულებული სახე სიყვარულით დანაშაულის ჩამდენი ადამიანისა, ვინც თავისი საქმიანობით ამოშრიტა თავისი ძალები და დაიღუპა. Quos dues perdere vult... ვისაც ღმერთები დასაღუპავად გასწირავენ, ჭკუასაც აცლიან.

მაგრამ როგორ მოიქცეოდა უდანაშაულო, პატიოსანი, მოყვარული ცოლი, დედოფალი, როცა შუაღამისას საშინელ ამბავს შეატყობინებდნენ, თქვენი მეუღლე ვიღაც ბოროტმოქმედებმა მოკლესო? წამოხტებოდა, თითქოს ცა ჩამოენგრა თავზე, იყვირებდა, გააფთრდებოდა, ბრძანებდა, დამნაშავენი მაშინვე შეეპყროთ. ვისაც კი ოდნავ ჩრდილი მიადგებოდა, ყველას ციხეში ჩაყრიდა, ხალხის თანაგრძნობას მოითხოვდა, სხვა ქვეყნის მეფეებს სთხოვდა, საზღვარზე შეეპყროთ ყველა მისი ქვეყნიდან გაქცეული; ვით ფრანცისკ II-ის გარდაცვალებისას, ჩაიკეტებოდა თავის საწოლ ოთახში, არც დღე გამოვიდოდა, არც ღამე, რამდენიმე თვითა და კვირით დაივიწყებდა ამქვეყნიურ სიხარულს, გართობასა და მხიარულებას მეგობრების წრეში, და რაც მთავარია, მანამდე ვერ მოისვენებდა, ვიდრე

არ შეიპყრობდა და თავს არ მოჰკვეთდა ბოროტმოქმედების ყოველ მონაწილეს, დანაშაულის ყოველ დამფარველს.

აი, როგორ უნდა მოქცეულიყო ჭეშმარიტად მოყვარული ცოლი, ვისაც მოულოდნელად დაატყდა თავს ასეთი საშინელი უბედურება. და რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ეს, ლოგიკის კანონების მიხედვით, სწორედ ასეთი გრძნობები უნდა გაეთამაშა დანაშაულის თანამონაწილეს, რადგან დამნაშავეს ისე არაფერი დაიცავს ეჭვმიტანისაგან, როგორც უდანაშაულობის ნიღბის დროულად აფარება. მარიამ სტიუარტმა კი მკვლელობის შემდეგ ისეთი გულგრილობა გამოიჩინა, რაც თვალში ეცემოდა ყველაზე გულუბრყვილო ადამიანსაც კი. სულაც არ აღშფოთებულა და გააფთრებულა ისე, როგორც რიჩოს მკვლელობის დროს. არც იმგვარი ნაღვლიანი გრძნობა დაუფლებია, ფრანცისკ II-ის სიკვდილის შემდეგ რომ დაეუფლა. დარნლეის ხსოვნისთვის არ მიუძღვნია გრძნობით გამსჭვალული ელეგიები, იმგვარი, პირველი ქმრის გარდაცვალებაზე რომ დაწერა; ამ საშინელი ამბის გაგებიდან რამდენიმე საათის შემდეგ სრულიად დამშვიდებით მოაწერა ხელი უცხო სახელმწიფოს კარზე გასაგზავნ წერილებს, რომ როგორმე აეხსნა მკვლელობა და რაც მთავარია, თავი ემართლებინა. ამ მეტად უჩვეულო საბუთში ყველაფერი თავდაყირა იყო დაყენებული. საქმე ისე იყო დახატული, თითქოს მკვლელები იმდენად დარნლეიზე არ აპირებდნენ თავდასხმას, როგორც მარიამ სტიუარტზე. ამ ოფიციალური ვერსიის წყალობით, შეთქმულნი თითქოს დაიბნენ, ეგონათ, მეფე-დედოფალი ღამეს ათევდა კერკ ო'ფილდეში და მხოლოდ შემთხვევამ, რომ დედოფალი დაბრუნდა ქორწილში, იხსნა და მეფესთან ერთად არ დაიღუპა. მარიამ სტიუარტს ხელი უცახცახებდა, ამ წმინდა წყლის ტყუილს რომ აწერდა ხელს. „დედოფალმა არ იცის, ვინ არიან ნამდვილი დამნაშავენი. განზრახული აქვს, ისე დასაჯოს ბოროტმოქმედნი, რომ ეს დიდხანს დაამახსოვრდეთ და სამაგალითო გახდეს ყოველი დროისათვის".

ფაქტების ამგვარი დამახინჯება მეტისმეტად გეცემათ თვალში და ვერავის მოატყუებს. მთელი ედინბურგი უყურებდა, თერთმეტ საათზე დედოფალი დიდი კავალკადის თავში, ჩირაღდნებით განათებულ ღამეში კერკ ო'ფილდეს განმარტოებული სახლიდან როგორ ბრუნდებოდა ჰოლირუდში. მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ იგი ქმართან ღამეს არ ათევდა და ბნელ ღამეში დადარაჯებული მკვლელები გან-

ზრახ არ დასხმიან თავს, როცა სამი საათის შემდეგ სახლი ააფეთქეს. აფეთქებაც თვალის ასახვევად მოახდინეს. სახლში ადრე შეჭრილმა ბოროტმოქმედებმა დარნლეი დაახრჩვეს. ოფიციალური ცნობის ასეთი უაზრობა კიდევ უფრო გვიღვივებს გრძნობას, რომ ეს ბინძური საქმე იყო.

მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ შოტლანდია დუმდა. მთელ მსოფლიოს აოცებდა მარიამ სტიუარტის გულგრილობა, მთელი ქვეყნის გულგრილობაც. იფიქრებთ: რაღაც დაუჯერებელი რამ მოხდა, გაუგონარი ამ სისხლით დაწერილ ისტორიის ანალებშიც კი. შოტლანდიის მეფე დაიღუპა დედაქალაქში, მეტიც, აფეთქების მსხვერპლი გახდა. მაგრამ ამას რა მოჰყვა? შეზანზარდა თუ არა მთელი ქალაქი საშინელებისა და მრისხანებისგან? მოცვივდნენ თუ არა თავისი ციხე-კოშკებიდან თავადები და ბარონები, რომ დაეცვათ დედოფალი, ვის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა? მოუწოდებდნენ თუ არა მოძღვარნი თავიანთი ამბიონებიდან შურისგებაზე? ხელისუფლებამ მიიღო თუ არა რაიმე ღონისძიება მკვლელების აღმოსაჩენად? ჩაკეტეს თუ არა ქალაქის ალაყაფი, დააპატიმრეს თუ არა ასობით ეჭვმიტანილი? აწამეს ისინი? საზღვრებზე გააძლიერეს დაცვა? სამგლოვიაროდ მოსული დიდებულები მიაცილებდნენ თუ არა მოკლულის გვამს ედინბურგის ქუჩებში? აღმართეს მოედანზე კათაფალკი და შანდლებითა და ჩირაღდნებით გააჩირაღდნეს? მოიწვიეს პარლამენტი, რომ მოესმინათ ამ გაუგონარი ბოროტმოქმედების ამბავი და მსჯავრი გამოეტანათ? შეიკრიბნენ თუ არა ლორდები, ტახტის მცველები, რომ საზეიმოდ ფიცი დაედოთ, მკვლელებს ვიპოვითო?

არა, ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. ჭექა-ქუხილს ავის მომასწავებელი სიჩუმე მოჰყვა. დედოფალი, იმის მაგივრად, რომ თავისი სიტყვა ეთქვა, სასახლეში ჩაიკეტა. ლორდებიც დუმდნენ. თითქოს ცოცხლები აღარ იყვნენ არც მერეი, არც მაიტლენდი, ყველა სოროებში მიიმალა, ვინც მუხლს იყრიდა მეფის წინაშე. არც კიცხავდნენ და არც ხოტბას ასხამდნენ მკვლელებს, სიბნელეში მიიმალნენ და ელოდებოდნენ, რა მოხდებოდა. ეტყობოდა, არ აპირებდნენ ხმამაღლა მსჯელობას მეფის მკვლელობაზე, რადგან ყველანი მონაწილეობდნენ ამ საქმეში. მოქალაქეებიც ჩაიკეტნენ თავიანთ სახლებში და ფრთხილად წასჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს თავიანთ ეჭვებს.

მათ კარგად იცოდნენ: პატარა კაცს ცხვირი არ უნდა ჩაეყო ბატონების საქმეში, თორემ იწვნევდნენ სხვისი ცოდვებისთვის.

ერთი სიტყვით პირველ ხანებში საქმე ისე მიდიოდა, როგორც მკვლელები ფიქრობდნენ. თითქოს სამწუხარო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ევროპის ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ მთელი სამეფო კარი, მთელი დიდებულები, მთელი ქალაქი, ასე სამარცხვინოდ და ლაჩრულად ცდილიყო, თავი დაეძვრინა მეფის მკვლელობისგან. ყველასთვის გასაოცრად, ელემენტარული ზომების მიღებაც კი დააგიწყდათ მკვლელთა აღმოსაჩენად. არც პოლიციას, არც სასამართლო ხელისუფალთ არ დაუთვალიერებიათ ადგილი, სადაც დანაშაული მოხდა. არც არავინ დაუკითხავთ, ოქმი არ შეუდგენიათ. ცოტათი გონივრული ცნობაც კი არ არსებობს მომხდარ ამბავზე, არც ხალხისადმი მიმართვა, რაც შუქს მოჰფენდა ამ იდუმალებით მოცულ შემთხვევას. ერთი სიტყვით, საქმეს ყოველმხრივ ჩქმალავდნენ. მოკლულის გვამი არ გაუსინჯავს არც სამედიცინო და არც სასამართლო მკვლევართ. დღემდე არ არის ცნობილი, სანამ სახლს ააფეთქებდნენ, რისთვისაც მართლაც რომ არ დაიშურებდნენ დენთს, დარნლეი დაახრჩვეს, დაკლეს (გვამი ხომ ბაღში იპოვეს სახეგაშავებული) თუ მოწამლეს. ზედმეტი ლაპარაკი რომ არ ყოფილიყო და ძალიან ბევრ ხალხს არ ენახა გვამი, ბოთველი უხამსად ისწრაფოდა მის დამარხვას. ოღონდ ჩქარა ჩაეფლა მიწაში ჰენრი დარნლეი, დაემარხა მთელი ის ბინძური ამბავი, რომ ცას არ მისწვდენოდა მისი სიმუხთლე.

ყველას თვალში ეცემოდა, ხვდებოდნენ, რომ დიდი ხალხი მონაწილეობდა დარნლეის მკვლელობაში, რადგან ჰენრი დარნლეი, შოტლანდიის მეფე ღირსეულად დაკრძალვის ღირსიც კი არ გახადეს. მისი ცხედარი არ დაუსვენებიათ კატაფალკზე საზეიმოდ გამოსამშვიდობებლად. არ გაუტარებიათ ქალაქში დიდებული სამგლოვიარო პროცესიის თანხლებით, არ მიაცილებდა მგლოვიარე ქვრივი, ლორდები და ბარონები, არავის გაუსვრია ზარბაზანი, არ რეკავდნენ სამგლოვიარო ზარები, ცხედარი ჩუმად გადმოასვენეს ღამით ტაძარში და ყოველგვარი ცერემონიალის, პატივის გარეშე, შოტლანდიის მეფე ჰენრი დარნლეი ლაჩრულად ჩაუშვეს აკლდამაში, თითქოს მკვლელი იყო და არა სხვისი სიძულვილისა და დაუმცხრალი ვნების მსხვერპლი. გადაიხადეს მესა და შინ წავიდნენ.

დაე, ბედშავი სული სიმშვიდეს ნუღარ დაურღვევს შოტლანდიას. Quos dues perdere vult...

მარიამ სტიუარტი, ბოთველი და ლორდები დიდად მოხარულები იქნებოდნენ, რომ ცხედართან ერთად კუბოში ჩაეჭედათ მთელი ეს შავბნელი საქმე, მაგრამ ზედმეტი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად და ელისაბედის შიშით, არაფერს აკეთებთ დანაშაულის გამოსამჟღავნებლადო, თითქოს რაღაც კეთდებოდა. ბოთველი თავს არიდებდა ნამდვილ გამოძიებას და ისე იქცეოდა, თითქოს იძიებდა მკვლელობის საქმეს. საზოგადოებისათვის უნდა შეექმნა ისეთი წარმოდგენა, თითქოს გულმოდგინედ ეძებდნენ „ვიღაც მკვლელებს“, თუმცა მთელმა ქალაქმა იცოდა მათი სახელები; ძალიან ბევრი თანამონაწილე იყო საჭირო, რომ ალყა შემოერტყათ იმ მამულისათვის, იმდენი დენთი ეყიდათ და იმ სახლში გადაეზიდათ ტომრებით. სისულელეა იმაზე ფიქრი, თითქოს ქალაქის ალაყაფთან ვიღაც შენიშნეს. ყარაულებმაც მშვენივრად იცოდნენ, იმ ღამეს, აფეთქების შემდეგ, ვინ შეუშვეს ქალაქში. მაგრამ რადგან მარიამ სტიუარტის სამეფო საბჭო არსებითად მხოლოდ ბოთველისა და მაიტლენდისაგან შედგებოდა — თანამონაწილისა და მფარველისგან, მათ კი საკმარისი იყო სარკეში ჩაეხედათ, რომ ნამდვილი დამნაშავენი დაენახათ, კვლავ ლაპარაკობდნენ „ვიღაც ბოროტმოქმედებზე“. განცხადებაც კი გამოაკრეს, ორი ათას შოტლანდიურ გირვანქას ჰპირდებოდნენ, ვინც დამნაშავეთა სახელებს დაასახელებდა. ორი ათასი შოტლანდიური გირვანქისთვის ღარიბ მოქალაქეს სული წასძლევდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, ერთი ზედმეტი სიტყვა რომ დასცდენოდა, ორი ათასი გირვანქა აქეთ დარჩებოდა და ჭირისუფალთ ნაადრევად მისი სულის შესანდობარს ათქმევინებდა. ბოთველმა რაღაც დიქტატურის მსგავსი შემოიღო და მისი ერთგული დამქაშები Borderers ამაყად დააბიჯებდნენ ქალაქში და შესაშინებლად იარაღს აჟღარუნებდნენ, რომ ენის ტარტარის სურვილი დაჰკარგოდა ყველას. მაგრამ როცა სიმართლე უნდათ ძალით ჩაახშონ, ეშმაკურად გამოეჩრება ხოლმე. დღისით რომ პირი აუკრათ, საღამოთი ალაპარაკდება. მეორე დილით, მკვლელების თავი ორი ათას შოტლანდიურ გირვანქად რომ შეაფასეს, ბაზრის მოედანზე აფიშები გააკრეს. შიგ მკვლელების სახელები ეწერა. ერთი ასეთი აფიშა ვიღაცამ გაბედა და ჰოლირუდის ჭიშკარზეც, დედოფლის ციხე-კოშკზეც კი მიაკრა. შიგ აშკარად

ეწერა ბოთველისა და ჯეიმს ბალფურის, ბოთველის დამქაშისა და დედოფლის მსახურების, ბასტიენისა და ჯუზეპე რიჩოს სახელები. სხვა აფიშებში სხვა სახელებიც ეწერა, მაგრამ ყველა აფიშაში მოხსენიებული იყო ბოთველი და ბალფური, ბალფური და ბოთველი.

მარიამ სტიუარტს რომ დემონი არ დაუფლებოდა და მისი ჭკუაგონება არ დაებნელებინა ბინძურ ვნებას, მისი ნებისყოფის მეუფე სხვა რომ არ გამხდარიყო, ისე აშკარად ლაპარაკობდა ხალხი, უეჭველად უნდა მოშორებოდა ბოთველს. მის ნაღვლიან სულში გონივრულ ნაპერწკალს რომ გაეელვა, სამუდამოდ უნდა გაეწყვიტა კავშირი მასთან. ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რომ მას განრიდებოდა; სანამ ხელოვნური მაქინაციების წყალობით მისი უდანაშაულობა არ იყო „ოფიციალურად“ დამტკიცებული, მნიშვნელოვანი საბაბი გააჩნდა მოეშორებინა სამეფო კარიდან. მხოლოდ ერთი რამ არ უნდა გაეკეთებინა: იმ ადამიანს, ვისაც ყველა, აშკარად თუ თავის გულში მისი მეუღლის, მეფის მკვლელს ეძახდა, უფლება არ უნდა ჰქონოდა, ემბრძანებლა შოტლანდიის მეფის სახლში; ყოველ შემთხვევაში, მისთვის, ვისაც ყველანი ბრალს სდებდნენ „დამნაშავეთა ბანდის“ მეთაურობაში, არ უნდა მიენდო „ვიღაც ბოროტმოქმედთა“ ძებნა. იმაზე უარესი საშინელება რაღა იქნებოდა, ბოთველისა და ბალფურის გვერდით ხელშემწყობებად მარიამ სტიუარტის ორ მსახურს — ბასტიენსა და ჯუზეპე რიჩოს, დავითის ძმას რომ ასახელებდნენ. პირველ ყოვლისა, რა უნდა მოემოქმედა მარიამ სტიუარტს? რა თქმა უნდა, ხალხის მიერ დადანაშაულებულნი სამსჯავროსთვის გადაეცა. ამის მაგივრად — აქ ისეთი უჭკუობა და წინდაუხედაობა გამოიჩინა, თავისი თავი მსხვერპლად გაწირა — ორივე თავის მსახურს პასპორტები უშოვა და სასწრაფოდ, საიდუმლოდ საზღვარგარეთ გაგზავნა. ერთი სიტყვით, ისე კი არ იქცეოდა, როგორც პატიოსნება უკარნახებდა, პირიქით: იმის მაგივრად, რომ ეჭვმიტანილები სამსჯავროსთვის გადაეცა, გაქცევაში უშველა და მათი მფარველი თვითონ დაჯდა საბრალდებო სკამზე. მაგრამ მხოლოდ ამით არ მოუსწრაფებია სიცოცხლე. ისიც კი საკმარისია, რომ მისთვის ცრემლი თვალზე იმ დღეებში არავის დაუნახავს, არც სამგლოვიარო ტანსაცმელი — deuil blanc ჩაუცვამს და თავის საწოლში განმარტოებულა, თუმცა ამჯერად ასჯერ უფრო მეტი საბაბი ჰქონდა ამისა. ერთი კვირა ძლივს მოითმინა, დატოვა ჰოლირუდი და სტუმრად გაემგზავრა ციხე-კოშკ

სეტონში. სამეფო კარზე მიღებული უბრალო მგლოვიარობის წესიც კი არ დაუცავს ქვრივ დედოფალს და რაც მთავარია, ამით თითქოს მთელ ქვეყანას ნაცარი შეაყარა თვალში! სეტონში სტუმრებს იღებდა და მერე ვის — სწორედ იმ ჯეიმს ბოთველს, ვის სურათსაც წარწერით — „მეფის მკვლელი“ იმ დღეებში ედინბურგის ქუჩებში არიგებდნენ.

მაგრამ შოტლანდია ხომ მთელი მსოფლიო არ არის. თუ ლორდები, ვისაც სინდისი წმინდა არ ჰქონდა და შეშინებული მეშჩანები დუმდნენ, თითქოს მეფესთან ერთად დაიმარხა ყოველგვარი ინტერესი მისი მკვლელებისადმი, ლონდონის, პარიზისა და მადრიდის სამეფო კარზე ასე უბრალოდ არ უყურებდნენ ამ საშინელ ბოროტმოქმედებას. დარნლეი შოტლანდიისთვის უცხო იყო და როცა ყველას შეაძულა თავი, ჩვეულებრივი ხერხით მოიშორეს გზიდან. ევროპის სამეფო კარზე კი სულ სხვანაირად უყურებდნენ დარნლეის: მათთვის იგი მეფე, ღვთის რჩეული იყო, ერთ-ერთი ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი და მისი ღირსება ისევე შეუვალად მიაჩნდათ, როგორც საკუთარი, ამიტომ, ცხადია, ეს საქმე ევროპელ მეფეებს თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნდათ. რაღა თქმა უნდა, არავის სჯეროდა ყალბი რწმუნებისა და მთელი ევროპა პირველი წუთებიდანვე ბოთველს მკვლელად თვლიდა, მარიამ სტიუარტს კი მის თანამოზიარედ. რომის პაპიც და მისი ლეგატიც მრისხანებდნენ დაბრმავებულ ქალზე. მაგრამ უცხო ქვეყნების მბრძანებელთ თვით მკვლელობის ფაქტი კი არ აინტერესებდათ და აღელვებდათ. ამ საუკუნეში არცთუ დიდ პატივს სცემდნენ მორალს და არც ისე გულმოდგინედ უფრთხილდებოდნენ ადამიანის სიცოცხლეს. მაკიაველის დროიდან მოყოლებული პოლიტიკურ მკვლელობას ყოველ ევროპულ სახელმწიფოში არაფრად აგდებდნენ. ამგვარი შემთხვევები მოიპოვება მმართველი ევროპული დინასტიის ანალებში. ჰენრიხ VIII არაფერს ერიდებოდა, როცა უნდოდა თავიდან მოეშორებინა თავისი ცოლები. ფილიპე II-ს მეტისმეტად არ სიამოვნებდა თავისი შვილის დონ კარლოსის სიკვდილის ამბის მოყოლა. ბორჯის ოჯახი თავის შავბნელ დიდებას განთქმულ საწამლავს უნდა უმადლოდეს. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ დიდებულებს, სადაც და ვინც უნდა ყოფილიყვნენ, შეაკრთობდათ, ვინმეს მცირეოდენი ეჭვიც რომ მიეტანა მათ დანაშაულში ან თანამონაწილეობაში: დანაშაულს სხვები სჩადიოდნენ, ისინი სისხლში ხელებს არასოდეს ისვრიდ-

ნენ. მარიამ სტიუარტისგან მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, ეცადა თავის გამართლება. ყველაზე მეტად მისი სულელური გულგრილობა აღაშფოთებდათ. განცვიფრებულნი, განაწყენებულნი შესცქეროდნენ უცხოელი დიდებულები თავიანთ უჭკუო, დაბრმავებულ დას, რომელსაც თითიც კი არ გაუნძრევია ხალხის ეჭვის გასაფანტავად. იმის მაგივრად, რომ როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ებრძანებინა, ჩამოეხრჩოთ ერთი-ორი უბრალო ადამიანი, ბურთს ეთამაშებოდა და გასართობებში პარტნიორად ირჩევდა უმთავრეს დამნაშავეს, ბოთველს. მარიამ სტიუარტს გულწრფელი მღელვარებით მოახსენა მისმა ელჩმა პარიზში, რა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა მასზე მისი გულგრილობა: „თქვენ აქ ცილს გწამებენ, პირველ მიზეზად გთვლიან დანაშაულისა. იმასაც კი ამბობენ, ეს დანაშაული თითქოს თქვენი მიზეზით იყოს ჩადენილი“. ეკლესიის მამაცმა მსახურმა ჩვეული გულგრილობით განუცხადა თავის დედოფალს, თუ გადაჭრით და მტკიცედ არ მოიშორებთ ცოდვებს, არ გამოისყიდით დანაშაულს, გირჩევნიათ, სიცოცხლეს გამოეთხოვოთ და იმასაც, რასაც ფლობთო.

აი, ამგვარ სიტყვებს ეუბნებოდა მეგობარი. ამ დაღუპვის გზაზე მდგომ ქალს ჭკუის ნატამალი რომ ჰქონოდა ან სულ მცირედი ნებისყოფა, გონს მოეგებოდა და ძალას მოიკრებდა, რასაც ჩასჩიჩინებდა ელისაბედი თანაგრძნობის წერილში. ეს გარემოებათა საოცარი დამთხვევა გახლდათ. ამ მძიმე წუთებში, მისი სიცოცხლის უჩვეულო აღსასრულისას ვერც ერთი ქალი ისე ვერ გაუგებდა მარიამ სტიუარტს, როგორც მისმა ძველმა, დაუძინებელმა მეტოქემ გაუგო. ელისაბედი თითქოს სარკეში იყურებოდა და ისე მოქმედებდა. ისიც ხომ ჩავარდა ოდესღაც ამგვარ მდგომარეობაში, მასაც ასეთი საშინელი ეჭვის თვალით უყურებდნენ, როცა დადლეი ლესტერით იყო გატაცებული. ისევე როგორც აქ ქმარი, იქ შეყვარებულთ გზაზე ეღობებოდა ცოლი, რომელიც თავიდან უნდა მოეშორებინა, რომ დადლეისთვის გზა გაეკაფა გვირგვინისკენ. არავინ იცის, ელისაბედმა იცოდა თუ არა ეს, ამას ვერასოდეს ვერ გავიგებთ. ერთ დილით ეიმი რობსარტი, რობერტ დადლეის ცოლი, მოკლული იპოვეს და ისიც ასევე „ვიღაც მკვლელების“ მიერ, როგორც დარნლეი. მაშინვე ყველას თვალი ელისაბედისკენ იყო მიპყრობილი, მას ადანაშაულებდნენ, ისევე, როგორც ახლა მარიამ სტიუარტს. თვით მარიამ სტიუარტიც კი,

იმ დროს საფრანგეთის დედოფალი, დასცინოდა ბიძაშვილს, თავის შტალმაისტერს* (master of the horses), ცოლის მკვლელსაც კი გაჰყვება ცოლადო. ისევე როგორც ახლა ბოთველი, ლესტერიც მაშინ ყველას მკვლელად მიაჩნდა, დედოფალი კი მის ხელისშემწყობად. წარსულის შემაძრწუნებელი ამბების მოგონებამ ელისაბედი მის ბედში მყოფი დის საუკეთესო და ნამდვილ ერთგულ მრჩეველად აქცია, რადგან მაშინ ბრძნულად და ვაჟკაცურად მოიქცა, არ შეილახა ღირსება. დაიწყო გამოძიება, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია, მაგრამ მაინც დაიწყო და, რაც მთავარია, ფრთები შეაკვეცა ჯორს, უარი თქვა თავის სანატრელ სურვილზე — ქმრად შეერთო ლესტერი. ამგვარად, მკვლელობას აღარავითარი კავშირი აღარ ჰქონდა პიროვნებასთან. ელისაბედი ურჩევდა ამგვარად მოქცეულიყო.

1567 წლის 24 თებერვლის წერილი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ეს ჭეშმარიტად ელისაბედის, ქალის, ადამიანის წერილია.

„Madame, — წერდა იგი თავის ჭეშმარიტად გრძნობებით გამსჭვალულ წერილში, — ისე ამაღელვა, შემაწუხა, თავზარი დამცა თქვენი განსვენებული მეუღლისა და ჩემი უდროოდ დაკარგული ბიძაშვილის საშინელმა მკვლელობამ, ძალა არ შემწევს, მოგწეროთ. თუმცა გრძნობა მკარნახობს, დავიტირო ესოდენ ახლობელი ადამიანი, მაგრამ გამოგიტყდებით, იმაზე მეტად თქვენზე ვწუხვარ. ო, Madame, მე არ ვიქნებოდი თქვენი ერთგული ბიძაშვილი და ნამდვილი მეგობარი, იმის მაგივრად, რომ თქვენი ღირსება დამეცვა, თქვენთვის უსიამოვნო ამბავი არ მეთქვა. არ დაგიფარავთ, რაც ხმები დადის თქვენზე. თითქოს განზრახ ყურს იყრუებთ ამ საქმის გამოძიებაზე და ერიდებით საპყრობილეში ჩაყაროთ ისინი, ვინც ეს საქმე მოახდინა. ამით ხალხს საბაბს აძლევთ იფიქროს, რომ მკვლელები თქვენთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. დამიჯერეთ, არავითარი ამქვეყნიური სიკეთისთვის არ ვახარებდი ჩემს გულში ესოდენ მიუღებელ აზრს. არასოდეს ასეთ რამეს არ ვიფიქრებდი დედოფალზე, განსაკუთრებით იმაზე, ვისაც ყოველგვარ ამქვეყნიურ სიკეთეს ვუსურვებ, რასაც კი გული მიკარნახებს, ან რასაც თვითონ ისურვებდით. ამიტომ გთხოვთ, გაფიცებთ და გემუდარებით: დაუჯერეთ ჩემს რჩევას, თუ დამნაშავეა, ნუ შეგეშინდებათ მისი განწირვა, ვინც ყველაზე ახლოს არის თქვენთან, დაე, ნურავითარი შეგონება ნუ შეგიშლით ხელს დაარწმუნოთ

მთელი მსოფლიო, რომ თქვენ ისევე კეთილშობილი მბრძანებელი ხართ, როგორც წესიერი ქალი“.

ამაზე გულღია და ადამიანური წერილი ამ პირფერ ქალს არასოდეს დაუწერია. დაყრუებული ქალისთვის ეს რევოლვერის გასროლა უნდა ყოფილიყო და გამოეფხიზლებინა. კვლავ თითით უჩვენებდნენ ბოთველზე, კვლავ არწმუნებდნენ, მისი სულ მცირე შეწყნარებაც კი თანამონაწილედ გახდიდა, მაგრამ იმ კვირებში მარიამ სტიუარტი — ეს ერთხელ კიდევ უნდა მოვიგონოთ — მთლად დამონებული იყო. იგი ისე shamefully enamoured, ისე სამარცხვინოდ იყო შეყვარებული ბოთველზე, რომ როგორც ლონდონში ელისაბედის ერთმა მსტოვარმა ჩაიტანა ამბავი, „თვითონვე არ მალავს, მზადაა, პერანგის ამარა გაედევნოს მას ქვეყნის დასალიერამდე“. არავის შეგონება და ჭკუის სწავლება აღარ ესმოდა, სისხლის ჩქროლვა აღარ ემორჩილებოდა გონებას და რადგან თავი აღარ ახსოვდა, ასე ეგონა, მსოფლიო ადვილად დაივიწყებდა მასაც და მის საქმიანობასაც.

რამდენიმე ხანს, თითქმის მთელი მარტი, მარიამ სტიუარტის პასიურობა თითქოს გამართლებულია. მთელი შოტლანდია დუმდა. მსჯავრის გამგებელნი თითქოს დაბრმავებულიყვნენ და დაყრუებულიყვნენ, ბოთველი კი, — მართლაც რომ უმაგალითო შემთხვევაა, — თავს არ ზოგავდა, მაგრამ ვერ ეპოვა „ვიღაც ბოროტმოქმედნი“, თუმცა ყოველ სახლში და ყოველ ქუჩაში მოქალაქენი ერთმანეთს უჩურჩულებდნენ იმათ სახელებს. ყველამ იცოდა და ასახელებდნენ მათ, ოღონდ სიცოცხლე ვერავის გაეწირა ორასი ოქროსთვის. მაგრამ აი, ხმა ამოიღეს. მოკლულის მამისთვის, გრაფი ლენოქსისათვის, შოტლანდიაში ერთ-ერთი გავლენიანი დიდებულისათვის ხომ პასუხი უნდა გაეცათ, როცა იგი სამართლიანად დრტვინავდა, რომ ამდენი დღე გავიდა და არავითარ ზომებს არ იღებდნენ მისი შვილის მკვლელის დასაჭერად და დასასჯელად. მარიამ სტიუარტმა, რომელიც მკვლელის სარეცელს იზიარებდა და მკვლელობის მფარველი მაიტლენდიც მის ჭკუაზე დადიოდა, რაღა თქმა უნდა, ორჭოფულად მიუგო: ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, გამოძიებას პარლამენტს დავავალებო. მაგრამ ლენოქსმა მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა საქმის გაჭიანურება და კვლავ თავისას ითხოვდა. დაე, პირველად ისინი დააპატიმრონ, ვისი სახელებიც მთელ ედინბურგში გაკრულ აფიშებშია დასახელებულიო. ძნელი იყო უარის თქმა ასე

გამოკვეთილ მოთხოვნაზე. მარიამ სტიუარტმა კვლავ თავის დაძვრენა სცადა: სიამოვნებით მოვიქცეოდი ასე, მაგრამ აფიშებში ძალიან ბევრი ვინმეა დასახელებული, რომელთაც არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან. დაე, ლენოქსმა თვითონ დაასახელოს, ეჭვი ვისზე აქვსო. ეტყობა, დედოფალს იმედი ჰქონდა, ყოვლისშემძლე დიქტატორის შიშით, ქვეყანაში ტერორი რომ დაამყარა, ლენოქსი ვერ გაბედავდა მისი საშინელი სახელის წარმოთქმას. მაგრამ ლენოქსს იმედი ჰქონდა მხარდაჭერისა და მხნეობა მოიკრიბა. იმ დროს კავშირი დაემყარებინა ელისაბედთან და დედოფალიც დიდად მფარველობდა. ლენოქსმა მკაფიოდ, გარკვევით, ხელი არც კი ასცახცახებია, ჩამოწერა იმათი სახელები, ვის სამსჯავროში მიცემასაც მოითხოვდა. სიაში პირველი ბოთველი ეწერა, შემდეგ — ბალფური, დევიდ ჩარმერსი და ვიღაც-ვიღაცები მარიამ სტიუარტისა და ბოთველის დაახლოებულ პირთაგან, რომლებზეც მბრძანებლებს კარგა ხანია ეზრუნათ და საზღვარგარეთ გაესტუმრებინათ, რომ ზედმეტი რამ არ დასცდენოდათ. ნირწამხდარი მარიამ სტიუარტი იძულებული იყო, ელიარებინა, რომ კომედიის თამაში, გამოძიების წარმოება „სხვის მოსატყუებლად“ არ გამოადგებოდათ. იცოდა, ლენოქსს სიკერპეში ზურგს უმაგრებდა ელისაბედის ენერგია და ავტორიტეტი. ეკატერინე მედიჩიმაც საკმაოდ უხეშად აგრძნობინა, რომ ამიერიდან თავმოჭრილად (dishonoured) მიაჩნდა და შოტლანდიას საფრანგეთის იმედი არ უნდა ჰქონოდა, სანამ მკვლელობას არ გამოისყიდდნენ კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი სასამართლო ძიებით. მარიამ სტიუარტს ისღა დარჩენოდა, „გულმოდგინე“ ძიების კომედია სხვა კომედიით — საჯარო სასამართლოს წარმოებით შეეცვალა. იძულებული იყო, დასთანხმებოდა, რომ ბოთველი დიდებულთა სამსჯავროს წინაშე წარმდგარიყო, წვრილ-წვრილ „დამნაშავეებს“ მერე მოჰკიდებდნენ ხელს.

28 მარტს გრაფი ლენოქსი ოფიციალურად მოიწვიეს ედინბურგში, რათა 12 აპრილს თავისი ბრალდებანი წარედგინა ბოთველისათვის.

მაგრამ ბოთველი ისეთი ადამიანი არ იყო, მონანიებით, მოკრძალებითა და დამშვიდებით წასულიყო სასამართლოში. თუ უარი არ უთქვამს სასამართლოში გამოცხადებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ იმედოვნებდა, ყოველ ღონეს იხმარდა, რათა მსჯავრი კი არ დაედოთ, გაემართლებინათ — cleansing. ენერგიულად დაიწყო მზადება.

პირველ რიგში დედოფალი აიძულა, მის გამგებლობაში გადაეცა შოტლანდიის ყველა ციხე-კოშკი. ამით ხელთ იგდო მთელი იარაღი და საომარი მარაგი. იცოდა, სიმართლე ყოველთვის ძლიერი ადამიანის ხელთ იყო. გარდა ამისა, თავის ბანდას (borderers) ედინბურგში უხმო და საომრად შეაიარაღა. ყოვლად უსირცხვილომ, თავხედობითა და ურცხვობით განთქმულმა, თავზე ხელაღებულმა კაცმა ნამდვილი ტერორის რეჟიმი დაამყარა ედინბურგში.

— ერთი გამაგებინეთ, — განაცხადა ყველას გასაგონად, — ვინ გააკრა ქალაქში ცილისმწამებლური აფიშები და იმათი სისხლით ხელებს შევიღებავ. ეს სერიოზული გაფრთხილება იყო ლენოქსისათვის. ბოთველს ხელი ხანჯლის ვადაზე ედო და ისე დააბიჯებდა ქალაქში. მისი ბანდის წევრებსაც ხელში ხანჯალი ეჭირათ და ქალაქში დაეხეტებოდნენ, თან აშკარად აცხადებდნენ, არავის მივცემთ უფლებას, ჩვენი მეთაური დამნაშავესავით სასამართლოში ატარონო. აბა, ერთი მობრძანდეს ლენოქსი და ბრალი დასდოს ან მოსამართლეებმა გაბედონ შოტლანდიის დიქტატორის დადანაშაულებაო.

ისე ყველას დასანახავად ემზადებოდნენ, ლენოქსს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რაც მოელოდა. არავინ უკრძალავდა, ედინბურგში ჩამოსულიყო და ბოთველისთვის თავისი ბრალდება წაეყენებინა, მაგრამ ბოთველი მას ქალაქიდან ცოცხალს აღარ გაუშვებდა. ლენოქსმა კვლავ მიმართა თავის კეთილისმყოფელ ელისაბედს, მან კი მაშინვე მეტად მკაცრი წერილი მისწერა მარიამ სტიუარტს. აფრთხილებდა, სანამ გვიანი არ არის, არავის გადაუსვა თავზე ხელი ასეთ აშკარა უსამართლობაზე, რომ ხალხს ეჭვი არ აღეძრას შენს ხელშეწყობაშიო.

„Madame, თავს ნებას არ მივცემდი, ამ წერილით შემეწუხებინეთ, — სწერდა მეტისმეტად გაბრაზებული, — რომ არ მახსოვდეს აღთქმა, რაც ახლობლის სიყვარულს გვავალებს, არ მახსოვდეს, უბედურთა ცრემლნარევი ვედრება. Madame, როგორც გავიგე, თქვენი მეუღლისა და ჩემი განსვენებული ბიძაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა განსჯა ამ თვის 12-ს არის დანიშნული. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ საქმეს ხელი არ შეუშალოს იდუმალმა მზაკვრობამ და ეშმაკურმა ცდებმა, რაც, თუ ყველაფრის მიხედვით ვიმსჯელებთ, სრულიად მოსალოდნელია. განსვენებულის მამა და მეგობრები მოკრძალებით მევედრებიან, შეგატყობინოთ, გადასდოთ სამსჯავროს სხდომა, რადგან ცნობილი გახდა, ეს უსინდისო ადამიანები ცდი-

ლობენ, ძალით მიაღწიონ იმას, რასაც ვერ მიაღწიეს პატიოსანი გზით. თქვენი სიყვარულის გამო და იმათ დასამშვიდებლად, ვინც უბრალოა ამგვარ გაუგონარ ბოროტმოქმედებაში, იძულებული ვარ, მეც ჩავერიო ამ საქმეში, რადგან თუნდაც დანაშაულს არ გრძნობდეთ, წაყრუებაც კი საკმარისია, რომ მეფის გვირგვინს გამოეთხოვოთ და მდაბიოთა სალანძღავი გახდეთ. მაგრამ ვიდრე ამგვარ უსინდისობას ჩაიდენდეთ, მე გისურვებდით, პატიოსნად მომკვდარიყავით".

ამგვარ ხელმეორე გაფრთხილებასა და უწმინდესი სინდისის სიმის შეთრთოლებას მიძინებული, გაქვავებული გრძნობებიც კი უნდა გაეცოცხლებინა, მაგრამ არ გაგვაჩნია საბუთი იმისა, რომ ამ გაფრთხილებამ უკანასკნელ წუთებში დროულად მიაღწია მარიამ სტიუარტამდე. ბოთველი ფრთხილობდა. ამ თავზე ხელაღებულ, თამამ, ურჩ კაცს არც ღვთისა ეშინოდა და არც ეშმაკის. ინგლისის დედოფალს არად აგდებდა. ელისაბედის საგანგებო ელჩი, მისი წერილი რომ მოჰქონდა, ბოთველის დამქაშებმა სასახლის ჭიშკართან დაიჭირეს და სასახლეში არ შეუშვეს: დედოფალს სძინავს, ვერ გავაღვიძებთო. გაოგნებული დაბორიალებდა ქალაქის ქუჩებში ელჩი, რომელსაც დედოფლის წერილი მეორე დედოფლისთვის უნდა გადაეცა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს ბოთველთან მიიყვანეს და მას გადასცა წერილი. ბოთველმა მაშინვე თავხედურად გახსნა, ელჩის თვალწინ წაიკითხა და გულგრილად ჩაიდო ჯიბეში. არავინ იცის, გადასცა თუ არა წერილი მარიამ სტიუარტს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. მონა ქალი კარგა ხანია აღარაფერში ეწინააღმდეგებოდა თავის მბრძანებელს. იმასაც კი ამბობდნენ, თავზე ხელაღებული ბოთველი ცხენისან რაზმს რომ მიუძღოდა ტოლბუტში, ფანჯრიდან ხელიც კი დაუქნიაო, თითქოს ამით აღიარებულ მკვლელს მომავალ მართლმსაჯულების კომედიაში წარმატებას უსურვებდა.

მაგრამ მარიამ სტიუარტს თუნდაც არ მიეღო ელისაბედის უკანასკნელი გაფრთხილება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არავის გაუფრთხილებია. სამსჯავრომდე სამი დღით ადრე იგი ინახულმა მისმა ნახევარძმამ მერეიმ. სამოგზაუროდ წასვლის წინ გამოსამშვიდობებლად მოვიდა. მერეიმ უცბად მოინდომა, საფრანგეთსა და იტალიაში to see Venice and Milan[1] ემოგზაურა. მარიამ სტიუარტი საკმაოდ გამოცდილი იყო და უნდა სცოდნოდა, რომ ამგვარი მოულოდ-

[1] *მოენახულებინა ვენეცია და მილანი (ინგლ.).*

ნელი გაქრობა მერეისა პოლიტიკური არენიდან ამინდის შეცვლას მოასწავებდა. მას სურდა დემონსტრაციული გაქცევით წინასწარ პროტესტი განეცხადებინა ამ სამარცხვინო სამსჯავროზე, თუმცა მერეი არც მალავდა გამგზავრების ნამდვილ მიზეზს. იგი არავის უმალავდა, რომ მკვლელობის მთავარი მონაწილის, ჯეიმს ბალფურის შეპყრობას აპირებდა, მაგრამ ბოთველმა ხელი შეუშალა. როგორც კი შეეძლო, ხელს აფარებდა დამქაშებს. ერთი კვირის შემდეგ კი ლონდონში ესპანეთის ელჩს დე სილვას გამოუტყდა, რომ „თავისი ღირსების შეურაცხმყოფელად მიაჩნდა იმ ქვეყანაში დარჩენა, სადაც ამგვარი ბოროტმოქმედებანი დაუსჯელი რჩება“. რადგან ამაზე ასე საჯაროდ ლაპარაკობდა, რაღა თქმა უნდა, დასაც არ დაუმალავდა. მართლაც, მარიამ სტიუარტი ძმას რომ ეთხოვებოდა, ბევრმა შენიშნა, თვალი ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ ძალა არ შესწევდა არ გაეშვა მერეი. მას შემდეგ, რაც სულითა და ხორცით ბოთველს დაემორჩილა, მთლად გამოეცალა ძალ-ღონე, მხოლოდ დინებას მიჰყვებოდა, უნებისყოფო სათამაშოდ იქცა მის ხელში, რადგან დედოფალზე გაიმარჯვა სიყვარულით აღგზნებულმა და მორჩილმა ქალმა.

თავხედური გამოწვევით დაიწყო და ასევე თავხედური გამოწვევით დამთავრდა 12 აპრილს სამსჯავროს კომედია. ბოთველი ისე მიემგზავრებოდა ტოლბუტში, სასამართლოს შენობისკენ, გეგონებოდათ, სალაშქროდ მიდისო. გვერდზე ხმალი ეკიდა, ქამარზე — ხანჯალი. გარს ეხვია თავისი ერთგულნი, ასე ოთხი ათასამდე კაცი. იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ნავარაუდევი იყო, ლენოქსს კი მითითების თანახმად, რაც კარგა ხანია დავიწყებას მიეცა, ნება დართეს, ქალაქში ექვსი კაცის თანხლებით შემოსულიყო. ამაშიც ჩანდა დედოფლის მიკერძოება. მაგრამ ლენოქსმა ვერ გაბედა, სამსჯავროში გამოცხადებულიყო, რომ იქ აბობოქრებულ ბრბოს არ წასწყდომოდა. იცოდა, ელისაბედმა მარიამ სტიუარტს წერილი გაუგზავნა და მოითხოვა პროცესის გადადება. რადგან ასეთ მხარდაჭერას გრძნობდა, იმით დაკმაყოფილდა, რომ ტოლბუტში ერთი თავისი მხლებელი გაგზავნა პროტესტის წასაკითხად. შეშინებულმა, თან მიწებით, ოქროთი და პატივით მოსყიდულმა მსჯავრმდებლებმა შვებით ამოისუნთქეს, მომჩივანი რომ არ გამოცხადდა და ეს ხელსაყრელ მიზეზად ჩათვალეს უხერხული მსჯელობის თავიდან ასაცილებლად. საფუძვლიანი თათბირის შემდეგ (სინამდვილეში კი ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი),

ბოთველი ერთსულოვნად გაამართლეს — უდანაშაულოაო. in any art and part of the said slauchter of the king[1], — ლაჩრულად იმიზეზებდნენ „მამის გამოუცხადებლობას“. ეს მერყევი განაჩენი, რაც ვერც ერთ პატიოსან კაცს ვერ დააკმაყოფილებდა, ბოთველმა თავის ტრიუმფად აქცია. იარაღს აჟღარუნებდა, დროდადრო ხმალსაც იშიშვლებდა ქარქაშიდან და ჰაერში გააელვებდა. დადიოდა ქალაქში და ორთაბრძოლაში იწვევდა ყველას, ვინც გაბედავდა და ბრალს დასდებდა მეფის მკვლელობაში ან ამ მკვლელობისთვის ხელშეწყობაში.

და აი, ბორბალი თავბრუდამხვევი ტრიალით მიექანება უფსკრულისკენ. შემკრთალი მეშჩანები ჩუმ-ჩუმად ბუზღუნებდნენ და დრტვინავდნენ მართლმსაჯულების ამ გაუგონარ დათრგუნვაზე, მარიამ სტიუარტის მეგობრები კი გულდამძიმებული გადახედავდნენ ერთმანეთს (with sore hearts) და უძლურად ასავსავებდნენ ხელებს. მაგრამ შეუძლებელი იყო ამ უგუნურის გაფრთხილება. „გული გეტკინებოდათ, რომ უყურებდით, — წერს მისი საუკეთესო მეგობარი მელვილი, — ეს კეთილი მბრძანებელი როგორ თავაღებით მიექანებოდა უფსკრულისკენ. არავის გაფრთხილება აღარ ესმოდა, ვეღარავინ შეაკავებდა“. არა, მარიამ სტიუარტს არაფრის მოსმენა არ სურდა, არავითარი გაფრთხილება არ სჭირდებოდა. ცდუნებით შეპყრობილი განუსჯელად მიისწრაფოდა სულ წინ და წინ. უკან არ იხედებოდა, არც არავის ეკითხებოდა, არავის უსმენდა. ეს გზნებით შეპყრობილი ფურია* სიკვდილისკენ მიექანებოდა. მალე იმ ღირსსახსოვარი დღის შემდეგ, როცა ბოთველმა მთელი ქალაქი გამოიწვია, მარიამ სტიუარტმა ამ გამოუსწორებელ ბოროტმოქმედს უმაღლესი პატივი მიაგო, რაც კი შოტლანდიას გააჩნდა — პარლამენტის სესიის გახსნის დღეს, სადღესასწაულო მსვლელობისას ბოთველს მიანდო ამ მსვლელობას წინ გასძღოლოდა ნაციონალური სიწმინდეებით — გვირგვინითა და სკიპტრით ხელში, რითაც შეურაცხყოფა მიაყენა მთელ ქვეყანას. ახლა აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს ბოთველი, ხელში გვირგვინი რომ ეჭირა, ხვალ თავზე დაიდგამდა. ბოთველი ხომ (ამ უდრეკ ადამიანში ეს ყოველთვის მოგვწონდა) ისეთი კაცი არ იყო, დიდხანს მოკრძალებით მიმალულიყო. სრულიად უბოდიშოდ აიძულა პარლამენტი „დიდი დამსახურებისთვის“, for his great and manifold gud service, ყველაზე გამაგრებული ციხე —

[1] *საქმითაც და განზრახვითაც ხსენებული მეფის მკვლელობაში (ინგლ.).*

დუნბარი ებოძებინა, სადაც ლორდები შეიკრიბებოდნენ და მის ნებას დაემორჩილებოდნენ. ის კი კისერში ხელს წაუჭერდა და გამოსტაცებდა უკანასკნელ სანუკვარს: მარიამ სტიუარტზე ქორწინების უფლებას. საღამოთი, პარლამენტის სხდომა რომ დამთავრდა, ბოთველმა, ვით დიდმა დიდებულმა და სამხედრო დიქტატორმა, ყველა თანამოძმე ეინსლეში მიიწვია ვახშამზე. მეგობრული საუბრის შემდეგ, როცა უმრავლესობა შექეიფიანდა, მოიგონეს ცნობილი სცენა „ვალენშტაინიდან“, — მან ლორდებს ხელმოსაწერად წინ დაუდო ბონდი, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებულებას იღებდნენ, არა მარტო დაეცვათ ბოთველი ყოველი ცილისწამებისგან, არამედ ეს კეთილშობილი, ძლიერი ლორდი noble puissant lord დედოფლისთვის ქმრად ერჩიათ. „რადგან ბოთველი უდანაშაულოდ ცნეს, ხოლო მისი უდიდებულესობის ხელი თავისუფალია, — ნათქვამი იყო იმ ყბადაღებულ სიგელში, — მას, ვინც ხალხის კეთილდღეობაზე უნდა ფიქრობდეს, შეჰფერის დათანხმდეს ერთ-ერთ მის ქვეშევრდომთან ქორწინებაზე, სახელდობრ კი ზემოთ აღნიშნულ ლორდთან“. ისინი კი ღვთის წინაშე ფიცს სდებდნენ, მხარი დაეჭირათ ზემოთ დასახელებული ლორდისთვის და დაეცვათ ყველასგან, ვინც მოინდომებდა, ხელი შეეშალა ან წინ აღდგომოდა ამ ქორწინებას. ამისთვის არ დაზოგავდნენ არც სისხლსა და არც ღირსებას.

მხოლოდ ერთადერთმა კაცმა ისარგებლა ამ ფიცის წაკითხვის შემდეგ არეულობით და შეუმჩნევლად დატოვა დარბაზი. სხვებმა კი იმის გამო, რომ სახლი გარშემორტყმული იყო ბოთველის შეიარაღებული დამქაშებით, თუ იმიტომ, რომ პირველი შემთხვევისთანავე უარი ეთქვათ ნაძალადევად მიღებულ ფიცზე, საჩქაროდ ხელი მოაწერეს სიგელს. მათ იცოდნენ: მელნით დაწერილს ადვილად შლის სისხლი. ამიტომ განსაკუთრებით არავინ დაფიქრებულა, რას ნიშნავდა მათთვის ეს ხელმოწერა. ყველამ ხელი მოაწერა და კვლავ განაგრძო ქეიფი, სმა, ლაყბობა. ყველაზე მეტად ბოთველი მხიარულობდა. როგორც იქნა, მიაღწია მიზანს, ხელთ იგდო სანატრელი ჯილდო. გავიდა რამდენიმე კვირა და რაც შექსპირის „ჰამლეტში“ სიყალბედ, პოეტურ ჰიპერბოლად გვეჩვენება, სინამდვილედ იქცა: დედოფალს „ჯერ ის ფეხსაცმელიც არ გაეცვითა, რომლითაც ქმრის ცხედარს მიაცილებდა“, რომ მის მკვლელს საკურთხეველთან მიჰყვა. Quos dues perdere vult...

არსაით გზა ხსნისა
1567 წლის აპრილიდან ოვნისამდე

უნებურად, იმის მიხედვით, რაც ბოთველის ტრაგედია თანდათან იზრდება და უმაღლეს წერტილს აღწევს, თითქოს ერთგვარი შინაგანი ძალდატანებით კვლავ შექსპირი გვაგონდება. ამ სიტუაციის გარეგნული, სიუჟეტური მსგავსება ჰამლეტთან ეჭვს არ იწვევს. აქაც და იქაც მეფე ცბიერად ჩამოიშორა გზიდან ცოლის საყვარელმა. აქაც და იქაც ქვრივი უსირცხვილოდ ისწრაფვის, გვირგვინი ქმრის მკვლელს გაუზიაროს. აქაც და იქაც მკვლელობით გამოწვეული დაუძლეველი ძალა მოქმედებს, მასზე თვალის დახუჭვა და დამალვა დანაშაულის ჩადენაზე უფრო ძნელია. მხოლოდ ეს მსგავსებაც კი გვაცვიფრებს, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერ, დაუძლევლად მოქმედებს შექსპირის შოტლანდიური ტრაგედიის ზოგიერთი სცენის ანალოგია ისტორიულთან. შექსპირის „მაკბეტი“ შეგნებულად თუ შეუგნებლად შექმნილია „მარიამ სტიუარტის“ დრამის ატმოსფეროდან. ის, რასაც პოეტი დუნსინის ციხე-კოშკში წარმოიდგენს, სინამდვილეში ცოტა ხნის წინ ჰოლირუდში მოხდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ აქაც და იქაც ერთნაირი მარტოობა იგრძნობა, ერთნაირი მძიმე სულიერი წყვდიადი, ისეთივე შემაძრწუნებელი ქეიფია. სტუმრები ვერ ბედავენ მხიარულებას მიეცენ და სათითაოდ გარბიან. სახლს კი ჩხავილით თავს დასტრიალებენ უბედურების მომასწავებელი შავი ყორნები. ზოგჯერ ვერც კი იტყვი, სასახლეში ღამღამობით ძილგამფრთხალი, გონებადაბინდული, სინდისის ქენჯნით ტანჯული მარიამ სტიუარტი დაბორიალებს თუ ლედი მაკბეტი და ცდილობს გასისხლიანებული ხელებიდან უხილავი ლაქა ჩამოირეცხოს. ჩვენ წინაშე ბოთველი დგას თუ მაკბეტი, ვინც მკაცრად და შეურიგებლად, შეუპოვრად და ულმობლად დაუპირისპირდა მთელი ქვეყნის

სიძულვილს, მაგრამ იცოდა, ამაო იყო ყოველი გმირობა, მოკვდავნი ვერ სძლევდნენ უკვდავ სულთ.

აქაც და იქაც ქალის ვნება არის მამოძრავებელი, მამაკაცი კი მისი ნების შემსრულებელია, მაგრამ ეს ორი ატმოსფერო განსაკუთრებით იმით ჰგავს ერთმანეთს, რომ საშინელ სულიერ ძრწოლას განიცდიან ტანჯული სულები. მამაკაცი და დედაკაცი ერთმანეთს გადასჯაჭვია ერთი და იმავე დანაშაულით და ერთიმეორეს უფსკრულისკენ მიაქანებენ. მსოფლიო ისტორიასა და ლიტერატურაში დანაშაულის ფსიქოლოგია და მკვლელზე მოკლულის ძალაუფლების სიმძიმე ისე ბრწყინვალედ არასოდეს გამომჟღავნებულა, როგორც ორივე შოტლანდიურ ტრაგედიაში, რომელთაგან ერთი შეთხზული იყო, მეორე კი რეალურად განცდილი.

შემთხვევითი ხომ არ არის ეს მსგავსება, ეს საოცარი ანალოგია? თუ უნდა ვაღიაროთ, რომ შექსპირის ტრაგედიაში რეალურად განცდილმა მარიამ სტიუარტის ტრაგედიამ თავისი პოეტური და ფილოსოფიური ახსნა პოვა? ბავშვობის შთაბეჭდილებანი წარუშლელად ეუფლება პოეტურ სულს და გენიოსი ადრეულ შთაბეჭდილებებს იდუმალად მუდმივ, წარუშლელ მოქმედებად აქცევს. ერთი ცხადია: შექსპირმა იცოდა, რა მოხდა ჰოლირუდის ციხე-კოშკში. ბავშვობისას ინგლისის მიყრუებულ სოფლებში ჰყვებოდნენ მოთხრობებსა და ლეგენდებს რომანტიკულ დედოფალზე, რომელსაც განუსჯელმა ვნებამ დააკარგვინა შოტლანდიაცა და გვირგვინიც და ახლა დატყვევებული ინგლისის ერთი ციხე-კოშკიდან მეორეში გადაჰყავდათ. შექსპირი ჯერ ისევ ჭაბუკი, მაგრამ უკვე დასრულებული პოეტი, ალბათ ახალჩამოსული იყო ლონდონში, რომ მთელი ქალაქი გააყრუა საზეიმო ზარების რეკვამ — ელისაბედის დიდმა მეტოქემ თავი დასდო ჯალათის კუნძზე და ჰენრი დარნლეიმ საფლავში თან გაიყოლა მოღალატე ცოლიო. როცა შემდეგ ჰოლინშედის ქრონიკაში წაიკითხა შოტლანდიის მჭმუნვარე მეფის ამბავი, იქნებ მის გონებაში გაიელვა მოგონებებმა მარიამ სტიუარტის ტრაგიკული დაღუპვისა და პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაში იდუმალად დაუკავშირდა ერთმანეთს ეს თემები? არავის შეუძლია დაამტკიცოს ან უარყოს, რომ შექსპირის ტრაგედია ადრეულად განსაზღვრა მარიამ სტიუარტის ტრაგედიამ, მაგრამ ვინც წაიკითხა და განიცადა „მაკბეტი“, კარგად ჩასწვდება მარიამ სტიუარტის, ამ ძლიერი სუ-

ლის ადამიანის სატანჯველს ჰოლირუდის დღეებში, როცა ძალა არ შესწევდა თამამი მოქმედებისა.

ორივე ტრაგედიაში, როგორც გამოგონილში, ისე რეალურად განცდილში, განსაკუთრებით გვაცვიფრებს, ნამოქმედარის შედეგად როგორ იცვლება ორივე გმირი — მარიამ სტიუარტიცა და ლედი მაკბეტიც. ლედი მაკბეტი პირველად ერთგული, მგზნებარე, ენერგიული ბუნების, ძლიერი ნებისყოფის, პატივმოყვარე ქალია. იგი ოცნებობდა თავისი ქმრის განდიდებაზე. აი, ეს სტრიქონი მარიამ სტიუარტის ცნობილი სონეტიდან თითქოს მისი დაწერილი უნდა იყოს: Pour luy je veux rechercher la grandeur...

ლედი მაკბეტის პატივმოყვარეობა ძირითად სტიმულად იქცა დანაშაულისა. იგი ეშმაკურად და მტკიცედ მოქმედებდა, სანამ საქმე მისი სურვილების ჩრდილი, ჩანაფიქრი და გეგმა იყო, სანამ წითელმა, ცხელმა სისხლმა ხელები და სული არ შეუღება. ისეთივე ცბიერი სიტყვებით, როგორც მარიამ სტიუარტმა წამოიყვანა დარნლეი კერკ ო'ფილდეში, შეიტყუა დუნკანი საძინებელში, სადაც გალესილი მახვილი ელოდა. მაგრამ ჩაიდინა თუ არა დანაშაული, სულ სხვანაირი გახდა, დაიშრიტა მისი ძალები, დაკარგა მამაცობა. სინდისის ქენჯნა ცეცხლივით უწვავდა ცოცხალ სხეულს. თვალებგაშტერებული, უგონოდ დაბორიალებდა ციხე-კოშკში, საშინლად შეაზიზღა თავი მეგობრებსა და თვითონაც სძაგდა საკუთარი თავი. დაუცხრომელი სურვილი — დაეკიწყებინა ყველაფერი, არაფერზე ეფიქრა, არაფერი სცოდნოდა, ტვინს უფორიაქებდა. აღარ უნდოდა სიცოცხლე. ასევე დაემართა მარიამ სტიუარტსაც დარნლეის სიკვდილის შემდეგ. უცაბედად გამოიცვალა, სახის ნაკვთებიც კი აღარ უგავდა წინანდელს. დრურიმ, ელისაბედის მსტოვარმა, ლონდონში შეატყობინა: „არასოდეს მინახავს, რომ ასე მოკლე ხანში ასე შეცვლილიყოს ჯანსაღი ადამიანი, როგორც დედოფალი შეიცვალა". სადღა იყო ის მხიარული, გონიერი, გულღია, თავის თავში დარწმუნებული ქალი, რამდენიმე კვირის წინ რომ იცნობდნენ. სულ განმარტოებას ცდილობდა, იმალებოდა, საკუთარ თავში იკეტებოდა. იქნებ ლედი მაკბეტივით იმედოვნებდა, თუ თვითონ ხმას არ ამოიღებდა, მთელი მსოფლიო გაჩუმდებოდა და შავი ღრუბელივით გადაუვლიდა თავზე. მაგრამ რაც უფრო დაჟინებით გაისმოდა ხმები და პასუხს ითხოვდნენ, ღამღამობით, ედინბურგში, თვით მისი ფანჯრების ქვეშ ხმამაღ-

ლა ყვიროდნენ მკვლელთა სახელებს, მოკლულის მამა ლენოქსი, მარიამ სტიუარტის მტერი ელისაბედი და ელისაბედის მეგობარი ბიტონი, მთელი მსოფლიო ამბოხებული იყო მის წინააღმდეგ და მსჯავრსა და სამართლიანობას მოითხოვდა, მით უფრო ემღვრეოდა გონება. იცოდა, რაღაც უნდა მოემოქმედა ჩადენილი დანაშაულის დასაფარავად, თავის გასამართლებლად. მაგრამ დამაჯერებელი პასუხის გასაცემად ძალა აღარ ჰყოფნიდა, ვერ პოულობდა ჭკვიან, მაცდურ სიტყვას. თითქოს ღრმა, ჰიპნოზურ ძილშიაო, ესმოდა ხმა ლონდონიდან, პარიზიდან, მადრიდიდან, რომიდან. ისინი მიმართავდნენ, შეაგონებდნენ, აფრთხილებდნენ, მაგრამ ძალა არ შესწევდა გამხნევებულიყო, თითქოს ცოცხლად იყო დამარხული და ზემოდან ადამიანის ფეხის ხმა ესმოდა. უძლური, უმწეო, სასოწარკვეთილი იყო. იცოდა, უსაზღვროდ მგლოვიარე, სასოწარკვეთილი ცოლის როლი უნდა ეთამაშა, გულამოსკვნით ექვითინა და ეტირა, რომ მსოფლიო დაეჯერებინა თავის უდანაშაულობაში, მაგრამ ყელი გაუშრა, ძალა აღარ შესწევდა ხმა ამოეღო, ეპირფერა. გადიოდა კვირები. ბოლოს იგრძნო, მეტს ვეღარ აიტანდა. ისევე, ვით დევნილი ფურ-ირემი სასოწარკვეთილებისგან ძალებს იკრებს და ცდილობს, მდევარს ეკვეთოს, ვით მაკბეტი თავის დასაცავად ახალ-ახალი მკვლელობებით, შურისძიებით იმუქრებოდა, მარიამ სტიუარტსაც უნდოდა, ამ გარინდებიდან გამოსულიყო. მისთვის სულერთი იყო, რას იფიქრებდა მსოფლიო, სულერთი იყო, გონივრულად მოიქცეოდა თუ უჭკუოდ, ოღონდ ამ უმოქმედობიდან გამოსულიყო, რაღაც მოემოქმედა, სულ წინ და წინ ისწრაფოდა, რომ ჩქარა გაჰქცეოდა ამ შთამაგონებელ, ხან მუქარის ხმებს. ოღონდ წინ, წინ წასულიყო, ერთ ადგილზე არ გაჩერებულიყო და არ ეფიქრა, არ შეეგრძნო, რომ ვერანაირი სიბრძნე ვეღარ იხსნიდა. ჩვენი სულის ერთ-ერთ საიდუმლოს ის წარმოადგენს, რომ სწრაფი მოძრაობა ხანდახან შიშს გვიქრობს. როგორც მეეტლე, რომელიც გრძნობს, რომ მისი ეტლის ქვეშ ხიდი იღუნება და ჭრიალებს, გააფთრებით უტლაშუნებს მათრახს ცხენებს, რადგან იცის, ერთ გიჟურ ქროლვას შეუძლია გადაარჩინოს, ასევე მარიამ სტიუარტიც მთელი ღამე დააქროლებდა თავისი ბედის მერანს, რათა გაეფანტა უკანასკნელი ეჭვი. ოღონდ არ ეფიქრა, არ სცოდნოდა, არ დაენახა. თავაწყვეტილი მიაქროლებდა მერანს უგუნურობის უღრან ტყეში. სჯობდა, საშინელი აღსას-

რული ხვდომოდა წილად, ვიდრე გამუდმებით შიშში ყოფილიყო. ასეთია ბუნების კანონი: რაც უფრო ჩქარა მოდის ქვა, მით უფრო ღრმად ეცემა უფსკრულში, ასევე გზააბნეული სულიც უგონოდ მიისწრაფვის წინ, იცის, გარშემო გზა მოჭრილი აქვს.

მკვლელობის მომდევნო კვირებში მარიამ სტიუარტის ვერც ერთ საქციელს გონივრულს ვერ ვუწოდებთ. უსაზღვრო შიშის გამო საშინელი დაბნეულობა დაეუფლა. მგზნებარე წუთებშიც კი ესმოდა, რომ სამუდამოდ გაიტეხა სახელი, ღირსება. მთელი შოტლანდია, მთელი ევროპა, მკვლელობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, მისი ქმრის მკვლელთან რომ დაქორწინდა, ამას კანონისა და კეთილი ზნეობის შელახვად თვლიდა. მიჯნურები რომ მიმალულიყვნენ და ერთი-ორი წელი დაეცადათ, იქნებ ეს ამბავი დავიწყებოდათ კიდეც. დიპლომატიურად გონივრულად რომ მოეფიქრებინათ, ათასი მიზეზის გამოძებნა შეიძლებოდა, რატომ სწორედ ბოთველი აირჩია დედოფალმა ქმრად; მხოლოდ ერთი რამ გადასჩეხდა მარიამ სტიუარტს უფსკრულში, თუ ურცხვად გაიხდიდა სამგლოვიარო ტანსაცმელს, მთელ მსოფლიოს გამოიწვევდა და მოკლულის გვირგვინს თავზე დაადგამდა მკვლელს. მარიამ სტიუარტი თავისი სამარცხვინო აჩქარებით სწორედ ამ დანაშაულებრივი მიზნისკენ მიისწრაფოდა.

გონიერი და წინდახედული ქალის ამგვარი საქციელი შეიძლება ერთი რამით ავხსნათ: სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ეტყობა, არ შეიძლებოდა ლოდინი, რაღაც ხელს უშლიდა, რადგან ლოდინი, დახანება, მთელ მსოფლიოს დაანახვებდა, რაც არავინ იცოდა. სხვაგვარად ვერ ავხსნით ამგვარ წინდაუხედავ გაქცევასა და ბოთველთან დაქორწინებას, რადგან — შემდგომი მოვლენები შუქს ჰფენენ ამ საიდუმლოს — უბედურმა ქალმა გაიგო, რომ ფეხმძიმედ იყო. მაგრამ ჰენრი დარნლეის შვილის, მეფის შთამომავლის სუნთქვას კი არ გრძნობდა სხეულში, აკრძალული, დანაშაულებრივი ნაყოფისა. შოტლანდიის დედოფალს არ შეეძლო გაეჩინა უკანონო შვილი, მით უმეტეს ახლა, როცა ცეცხლოვანი ასოებით წერდნენ მის დანაშაულზე თუ მონაწილეობაზე მკვლელობაში. მაშინ ნათელი გახდებოდა, რა დროს ატარებდა მგლოვიარობის დღეებში თავის საყვარელთან. ყველას შეეძლო გამოეთვალა, თუმცა ერთიცა და მეორეც ერთნაირად სამარცხვინო იყო, როდის გააბა დანაშაულებრივი კავშირი ბოთველთან — დარნლეის მკვლელობამდე თუ მაშინვე, მისი სიკვდილის

შემდეგ. მხოლოდ ის იხსნიდა ბავშვისა და ნაწილობრივ მის ღირსებასაც, რომ ეჩქარა და კანონიერად ეშვა იგი, რადგან თუ ბოთველის მეუღლეს შეეძინებოდა შვილი, ნაადრევი მშობიარობა ისე თვალში საცემი აღარ იქნებოდა, თან გვერდში ეყოლებოდა მამაკაცი, რომელიც ბავშვს თავის გვარს მისცემდა და დაიცავდა მის უფლებებს. ამიტომ ყოველი თვე, ყოველი კვირა დახანებისა აუნაზღაურებლად დაკარგული დრო იყო. იქნებ ეს შემაძრწუნებელი არჩევანი, საოცარი გადაწყვეტილება — ქმრად გაეხადა თავისი ქმრის მკვლელი, ნაკლებ სამარცხვინოდ ეჩვენებოდა, ვიდრე უკანონო ბავშვის შობა და ამით თავისი დანაშაულის გამომჟღავნება. მხოლოდ ბუნების ასეთ ულმობელ ჩარევას, მის ელემენტარულ კანონებს თუ დავუშვებთ, შეგვეძლება ავხსნათ მარიამ სტიუარტის არაბუნებრივი საქციელი იმ კვირებში. ყველა სხვა ვარაუდი ხელოვნურია და ჩრდილს ჰფენენ მისი სულიერი მდგომარეობის სურათს. თუ მხოლოდ ამ შიშს გავითვალისწინებთ, შიშს, რაც ყოველი დროის მილიონობით ქალს გამოუცდია და ყველაზე მამაცი და პატიოსანი ქალები იძულებული გაუხდია საპირისპირო, დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მიეღო, მტანჯველ შიშს, რომ უკანონო ფეხმძიმობას არ გამოემჟღავნებინა მისი საიდუმლო — შეგვეძლება ავხსნათ ამ თავზარდაცემული ქალის აჩქარება. მხოლოდ ეს ერთადერთი მოსაზრება აძლევს აზრს უაზრო სიჩქარეს და თვალწინ გადაგვიშლის ამ უბედური ქალის ტრაგედიის მთელ სიღრმეს.

მეტისმეტად მძიმე სიტუაცია იყო, თვით ეშმაკიც კი ვერ გამოიგონებდა უფრო საშინელს. დრო არ იცდიდა, დრო, რადგან დედოფალმა იცოდა, ფეხმძიმედ იყო, რაც აიძულებდა ეჩქარა. სწორედ ამ სიჩქარემ აღძრა მასზე ეჭვი. შოტლანდიის დედოფალს, ქვრივ ქალს, ვინც თავის ღირსებასა და სახელს უფრთხილდებოდა, იცოდა, მთელი შოტლანდია და ევროპული სამყარო თვალს არ აშორებდა, არც კი უნდა ეფიქრა ბოთველისთანა სახელგატეხილ და საეჭვო საქმროზე, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი უმწეო ქალი მხოლოდ მასში ხედავდა მხსნელს. არც უნდა გაჰყოლოდა ცოლად და კიდეც უნდა გაჰყოლოდა. ქვეყანას რომ არ გაეგო მისი საქციელის ნამდვილი მიზეზი, სხვა, მისგან დამოუკიდებელი რაღაც უნდა გამოეგონებინა ამ უგუნურობის ასახსნელად. ისეთი მიზეზი, რაც მორალისა და კანონის თვალსაზრისით აზრს

მისცემდა უაზრო საქციელს — მარიამ სტიუარტის დაქორწინებას სამწუხარო გარდაუვალობად აქცევდა. მაგრამ რას უნდა აეძულებინა დედოფალი, ასეთ უთანასწორო ქორწინებაზე დათანხმებულიყო, გაჰყოლოდა ასეთი დაბალი რანგის კაცს? იმ დროის ღირსების კოდექსი მხოლოდ ერთ შემთხვევაში წავიდოდა ასეთ დათმობაზე: მაშინ დაარწმუნებდა ხალხს, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მხოლოდ გამოუვალი, სასოწარკვეთილი მდგომარეობა შთააგონებდა ადამიანს ასეთ ფანტასტიკურ გეგმას. როცა კაცი ჭკუაზე არ არის, მაშინ მოუვა თავში ასეთი აბდაუბდა. უშიშარი მარიამ სტიუარტიც კი შეკრთა და უკან დაიხია, როცა ბოთველმა ასეთი ტრაგიკული ფარსის გათამაშება შესთავაზა. „რატომ არ მოვკვდი, ვხედავ, ყველაფერი ცუდად დამთავრდება“, — წერდა განწირული ქალი. რა მორალიც უნდა წაეკითხათ მისთვის, ბოთველი მაინც თავზე ხელაღებულ ჩხუბისთავად დარჩებოდა. როლი, რაც მას უნდა გაეთამაშებინა მთელი ევროპის წინაშე, ხელიდან წასული არამზადისა, მოძალადისა, თავისი დედოფლის ღირსების შემლახველის, ყაჩაღის, რომელიც არად აგდებდა წესებსა და კანონებს, სულაც არ აკრთობდა მას. თუნდაც ჯოჯოხეთის კარი გახსნილიყო მის წინაშე, ის ისეთი კაცი არ იყო, შუაგზაზე გაჩერებულიყო, როცა გვირგვინის ბედი ბეწვზე ეკიდა. არ არსებობდა ისეთი საფრთხე, რომლის წინაშეც უკან დაიხევდა. უნებურად მოცარტის დონ-ჟუანს მოგაგონებთ მისი გაბედული საქციელი, როცა ვახშმად იწვევს ქვის კომანდორს. ბოთველის გვერდით ცახცახებდა ლეპორელო — მისი ცოლისძმა — ჰანთლეი, რომელიც საეკლესიო მიწების ხელში ჩაგდების სიხარბით დათანხმდა ბოთველისა და თავისი დის განქორწინებას. მაგრამ ამგვარი ურცხვი კომედიის გათამაშებაზე მშიშარა რაინდს სული ეპარებოდა და დედოფალთან მივიდა, იქნებ გადაეთქმევინებინა განზრახვა. მაგრამ ბოთველმა მთელი მსოფლიო გამოიწვია და ახლა ერთი მოკავშირის ჩამოშორება რას დააკლებდა. არც ის აშინებდა, რომ სწორედ დანიშნული დროისათვის მისი გეგმა ელისაბედის მსტოვრებმა ლონდონს მოსდეს. მისთვის სულერთი იყო, მოტაცებას დაუჯერებდნენ თუ არა, ოღონდ თავისი მიზნისათვის მიეღწია — მეფე გამხდარიყო. რაც თავში მოუვიდოდა, ყველაფერს აკეთებდა, არაფერს უშინდებოდა ამქვეყნად, კიდევ შესწევდა ძალა, თან გაეყოლებინა თავისი მსხვერპლი, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა. როგორც ზარდახ-

შის ერთ წერილში ვკითხულობთ, მარიამ სტიუარტის გრძნობები სასტიკად ეწინააღმდეგება მისი მბრძანებლის ნებას. წინათგრძნობა ჩასძახოდა, ამაო იყო ეს ახალი ტყუილიც. მხოლოდ თავის თავს მოატყუებდნენ და მეტს ვერავის. მაგრამ მორჩილი მონა ამჯერადაც უხმოდ დაემონა თავისი ბატონის ნებას. ისევე, მორჩილად, როგორც ამ ცოტა ხნის წინ დარნლეი გლაზგოდან წამოიყვანა, გულდამძიმებული შველოდა თავისივე თავის „წაყვანას“. შეთანხმებულად გათამაშდა „მოტაცების“ მთელი კომედია.

21 აპრილს, რამდენიმე დღის შემდეგ, რაც დიდებულთა სამსჯავროზე ნაძალადევად გაამართლეს ბოთველი და პარლამენტმა „დაავიწყდოვა“, 21 აპრილს, ორი დღის შემდეგ, რაც ბოთველმა ეინსლეს დუქანში ლორდებს თანხმობა გამოსტყუა დედოფალზე ქორწინებისა, ზუსტად ცხრა წლის შემდეგ, მარიამ სტიუარტის, ჯერ მთლად ბავშვის დაქორწინებისა საფრანგეთის დოფინზე, აქამდე არცთუ მზრუნველმა დედამ მოინდომა, თავისი შვილი ენახა ციხე-კოშკ სტირლინგში. უნდობლად შეხვდა მას გრაფი მარი, მემკვიდრის ოფიციალური მეურვე. ეტყობოდა, მის ყურამდეც მიეღწია ხმებს. მარიამ სტიუარტს მხოლოდ სხვა ქალების თანდასწრებით მისცეს ნება, ენახა შვილი. ლორდებს ალბათ ეშინოდათ, დედოფალს ხელთ არ ეგდო შვილი და ბოთველისათვის არ გადაეცა: ყველამ იცოდა, ეს ქალი მზად იყო, თავისი ტირანის ბრძანებით, ყველაფერი შეესრულებინა, თუნდაც დანაშაული ჩაედინა. რამდენიმე მხედრის თანხლებით, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, მაიტლენდისა და ჰანთლეისა, გამოემგზავრა დედოფალი ედინბურგისკენ, მაგრამ ექვს კილომეტრზე ქალაქიდან, ბოთველის მეთაურობით გამოიჭრა ჩასაფრებული დიდი ცხენოსანი რაზმი და თავს დაესხა დედოფლის ამალას, რაღა თქმა უნდა, საქმე მშვიდობიანად დამთავრდა, „სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად“ მარიამ სტიუარტმა ნება არ მისცა თავის მხლებლებს, წინააღმდეგობა გაეწიათ. ბოთველმა ხელი წაავლო თუ არა მის ცხენს ლაგამში, დედოფალი მაშინვე „დანებდა ტყვედ“ და უფლება მისცა წაეყვანა სანუკვარ ტყვეობაში ციხე-კოშკ დუნბარში. ვიღაც მეტად თავგამოდებულ კაპიტანს, მშველელნი რომ შეკრიბა და მის გასათავისუფლებლად გააქროლა ცხენი, აგრძნობინეს, შენი დახმარება არ გვჭირდებაო, ხოლო ტყვედ ჩავარდნილი მაიტლენდი და ჰანთლეი თავაზიანად გაისტუმრეს სახლებში. არავის არაფერი

დაშავებია, ყველანი მშიდობიანად წავიდნენ შინ, მხოლოდ დედოფალი დარჩა „მოძალადე“ მიჯნურის ტყვედ. ერთ კვირაზე მეტს იზიარებდა „მსხვერპლი“ სარეცელს მოძალადესთან ერთად. ამასობაში კი ედინბურგში ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, სასწრაფოდ შეთითხნეს ბოთველის კანონიერ ცოლთან განქორწინების საქმე. ჯერ პროტესტანტულ სამსჯავროში შეიტანეს მეტად საყოყმანო მიზეზით, თითქოს ბოთველმა გატეხა ცოლქმრული ერთგულების ფიცი, შესცოდა მსახურთან, მერე კათოლიკურში. მოსამართლენი გვიან მოეგნენ გონს, რომ ბოთველი თავის ცოლს ჯეინ გორდონს შორეულ ნათესავად ერგებოდა. ეს ბნელი საქმეც კეთილად დამთავრდა. დადგა დრო, განეცხადებინათ მსოფლიოსთვის, რომ ბოთველი თავზე ხელაღებული ყაჩაღივით თავს დაესხა საწყალ დედოფალს და აღვირახსნილმა ვნებით შეურაცხყო და ახლა მხოლოდ მოძალადე მამაკაცთან ქორწინება აღადგენდა შოტლანდიის დედოფლის შელახულ ღირსებას.

მაგრამ „მოტაცება“ მეტისმეტად ნაჩქარევად იყო მოფიქრებული: არავის სერიოზულად არ სჯეროდა, რომ შოტლანდიის დედოფალზე „ძალა იხმარეს“. ესპანეთის ელჩი, მისი ყველაზე კეთილისმსურველიც კი სწერდა მადრიდში, ეს წმინდა ხრიკიაო.

მაგრამ საოცარი ის გახლდათ, რომ ისინი, ვისაც ეჭვი უნდა შეჰპარვოდა ამ სიცრუეში, ისე პირფერობდნენ, თითქოს სჯეროდათ ეს ძალდატანება. ლორდებმა, რომლებმაც იმ ხანებში ახალ ბონდს მოაწერეს ხელი ბოთველის თავიდან მოშორებაზე, გონებამახვილურ ოინს მიმართეს — დაიჯერეს დედოფლის მოტაცების შემთხვევა, უცბად გულისამაჩუყებლად ერთგულნი გახდნენ და დიდი აღშფოთებით აცხადებდნენ, — ამ ქვეყნის დედოფალი ძალდატანებით ტყვეობაში რომ ჰყავთ, ეს შოტლანდიის ღირსების შელახვააო. შეთანხმდნენ და მოილაპარაკეს, რომ ეს უმანკო კრავი ბოროტი მგლის, ბოთველის ხახიდან გამოეტაცათ. ბოლოს სანატრელი მიზეზიც იპოვეს, ზურგიდან თავს დასხმოდნენ მრისხანე დიქტატორს ულტრა-პატრიოტიზმის დროშით. საჩქაროდ მოითათბირეს, დაეხსნათ მარიამ სტიუარტი ბოთველისგან და ამით ხელი შეეშალათ ქორწინებისათვის, რასაც ცოტა ხნის წინ თვითონვე იწონებდნენ.

რაღა თქმა უნდა, მარიამ სტიუარტს ამ თავმომაბეზრებელ მზრუნველ ლორდებზე უარეს სამსახურს ვერავინ გაუწევდა, რომელთაც განზრახული ჰქონდათ, გამოეტაცათ იგი „მაცდუნებლის“ კლან-

ჭებიდან. ამით ხელიდან გაუცვივდა ბანქოს ქაღალდები, ეშმაკური ანგარიშით ერთმანეთში რომ ურევდა და რადგან ამიერიდან ბოთველისგან „გათავისუფლება“ კი არ სურდა, პირიქით, უნდოდა, სამუდამოდ დაჰკავშირებოდა, იძულებული იყო, გაებათილებინა გამონაგონი, თითქოს ბოთველმა შეურაცხყოფა მიაყენა. თუ გუშინ გააფთრებული ლანძღავდა ბოთველს, დღეს აღარ იცოდა, როგორ გაემართლებინა. ამგვარად, გათამაშებულმა ფარსმა აზრი დაკარგა, „მოძალადე“ სამსჯავროსა და დევნისათვის რომ აეცდინა, ნამდვილი ადვოკატური ხრიკებით დაიხსნა იგი. პირველად ცოტა უცნაურად კი მომექცნენ, მაგრამ შემდეგ ძალიან კარგად მექცეოდნენ, ამიტომ საბაბი არა მაქვს ჩივილისაო. და რადგან მშველელი არ ჩანდა, „იგი იძულებული იყო, დაევიწყებინა პირველი უსიამოვნება და გონივრულად ჩაჰფიქრებოდა შეთავაზებულ წინადადებას“. გზნების ბადეში გახვეული ქალის მდგომარეობა თანდათან სამარცხვინო ხდებოდა. უკანასკნელი საბურველი ნაფლეთებად იქცა და ტევრიდან გამოჭრილი, გაშიშვლებული იდგა მთელი მსოფლიოს დასაცინად.

მეტისმეტად შეძრწუნდნენ მარიამ სტიუარტის მეგობრები, როცა მაისის პირველ რიცხვებში თავიანთ კეთილშობილ დედოფალს შეხვდნენ, ედინბურგში რომ ბრუნდებოდა: ბოთველს აღვირით მოჰყავდა მისი ცხენი და მის ჯარისკაცებს იმის ნიშნად, რომ დედოფალი თავისი ნებით მოჰყვებოდა, შუბები მიწამდე დაეხარათ. ამაოდ ცდილობდნენ შოტლანდიისა და მარიამ სტიუარტის ნამდვილი კეთილისმსურველნი გაეფრთხილებინათ დაბრმავებული ქალი. საფრანგეთის ელჩმა დიუ კროკმა განუცხადა, ბოთველთან ქორწინებით მეგობრობას წყვეტთ საფრანგეთთანო. ერთ-ერთი მისი ერთგული ლორდი ჰერისი ფეხებში ჩაუვარდა, გამოცდილი მელვილი, რომელიც ბოლო წუთებშიც კი ცდილობდა ხელი შეეშალა ამ ქორწინებისთვის, იძულებული გახდა ბოთველის რისხვას გაჰქცეოდა. გულისტკივილით შესცქეროდნენ, ეს მამაცი, დამოუკიდებელი ქალი როგორ ემორჩილებოდა ამ თავზე ხელაღებული ავანტიურისტის ნებას და შეძრწუნებულნი წინასწარმეტყველებდნენ, რომ ქმრის მკვლელთან მოუთმენელი, სულელური შეერთებით უეჭველად დაკარგავდა გვირგვინსა და ღირსებას. სამაგიეროდ, მისი მტრები ზეიმობდნენ. ახდა ჯონ ნოქსის საშინელი წინასწარმეტყველება. მისმა მემკვიდრემ ჯონ კრეგმა უარი თქვა, ტაძარში გამოეკიდა მათი ცოდვიანი კავშირის

ამბავი. ამ ქორწინებას უშიშრად odious and slanderous before the world[1] უწოდებდა და მხოლოდ მაშინ დათანხმდა მოლაპარაკებაზე, როცა ბოთველი ჩამოხრჩობით დაემუქრა. მარიამ სტიუარტს თავი მდაბლად უნდა დაეხარა. ახლა, როცა ყველამ იცოდა, როგორ ეჩქარებოდა ქორწინება, ყოველი უსინდისო გამომძალველი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გამოეცინცლა თანხმობისა და დახმარების საფასურად. ჰანთლეიმ ბოთველის მის დასთან განქორწინებისთვის საეკლესიო მიწები მიიღო. კათოლიკე ეპისკოპოსი მაღალი ტიტულებითა და თანამდებობით მოხიბლეს. მაგრამ ყველაზე მძიმე საზღაურს პროტესტანტული ეკლესია ითხოვდა. დედოფლისა და ბოთველისთვის პასტორი მკაცრი მსაჯული იყო და არა ერთგული ქვეშევრდომი. მან საჯაროდ თავის დამცირება მოსთხოვა: დაე, კათოლიკე ქალბატონმა, გიზების დისწულმა, ჯვარი დაიწეროს რეფორმატორულად, ერეტიკულადო. ამ სამარცხვინო დათმობაზე წასვლით მარიამ სტიუარტმა უკანასკნელი საყრდენიც დაკარგა, დაკარგა ერთადერთი კოზირი, რაც შემორჩა — კათოლიკური ევროპის მხარდაჭერა, პაპის წყალობა, ესპანეთისა და საფრანგეთის მხარდაჭერა. ახლა ყველას დაუპირისპირდა. ახდა ერთი მისი სონეტის სიტყვები:

მე მას დავუთმე ღირსება და სახელი ჩემი,
რაც მაქვს, მას ვუთმობ, — აღარავის აღარ დავინდობ, —
ის შევიყვარე მთელი გულით, ოცნებით, რწმენით,
მე სამშობლოში შემიძულეს სწორედ ამიტომ.

მაგრამ ვინც თავისი ნებით გაწირავს თავს მსხვერპლად, ვერას უშველი. უაზრო მსხვერპლთ არ შეიწირავენ ღმერთები.

ისტორიას საუკუნეების განმავლობაში არ ახსოვს ისეთი ტრაგიკული ქორწილი, როგორიც 1567 წლის 15 მაისს მოხდა: ამ ნაღვლიან სურათში, ვით სარკეში გამოჩნდა მარიამ სტიუარტის დამცირება. პირველი ქორწილი საფრანგეთის დოფინთან დღისით გადაიხადეს. ეს ბრწყინვალე ზეიმის დღე იყო. ათი ათასი მაყურებელი ესალმებოდა ნორჩ დედოფალს, დიდებულები მოედინებოდნენ ქალაქებიდან და სოფლებიდან. ჩამოვიდნენ ყველა ქვეყნის ელჩები, რათა დამტკბარიყვნენ მისი ცქერით, მეფის ოჯახით გარშემორტყმული, დოფინის რაინდულ ყვავილებში ჩამჯდარი რა დიდებულად მიდიოდა ნოტრდამისკენ. ჰაეროვანი პროცესიის თანხლებით ჩაუარა მოზეიმე

[1] *საზიზღარი და სამარცხვინო მთელ მსოფლიოში (ინგლ.).*

ტრიბუნებს, გაღებულ ფანჯრებს, საიდანაც ხელს უქნევდნენ. მთელი ხალხი აღტაცებითა და სიხარულით შესცქეროდა. მეორე ქორწილი უფრო მოკრძალებული იყო. დილით კი არა, განთიადისას დააქორწინა იგი მღვდელმა ჰენრიხ VII-ის შვილიშვილის შვილზე. მაგრამ ზეიმს ესწრებოდნენ დიდებულები, ელჩები, დღეები ქეიფში მიდიოდა, ედინბურგი თავწყვეტილად ზეიმობდა. ეს მესამე ქორწინება ბოთველთან (მას საჩქაროდ ორკნეის ჰერცოგის ტიტული უწყალობეს) საიდუმლოდ მოაწყვეს, თითქოს დანაშაულს სჩადიოდნენ. დილის ოთხ საათზე, როცა ქალაქს ჯერ ისევ ეძინა, სახურავებს ღამე ჩამოსწოლოდა, რამდენიმე შეშინებული ფიგურა ჩუმად შეიპარა ციხე-კოშკის კარის ეკლესიაში, სწორედ იმ ეკლესიაში, სადაც (ჯერ სამი თვეც არ გასულიყო, დედოფალს სამგლოვიარო ტანსაცმელიც არ გაეხადა) მის მოკლულ ქმარს წესი აუგეს. ამჯერად სიცარიელე იყო ეკლესიაში. ბევრი სტუმარი იყო მოწვეული, მაგრამ მათდა შეურაცხსაყოფად ცოტა გამოცხადდა. არავის სურდა, მოწმე ყოფილიყო იმისა, თუ შოტლანდიის დედოფალი როგორ წამოაცვამდა თითზე ბეჭედს მას, ვინც მზაკვრულად მოკლა ჰენრი დარნლეი. სამეფოს ლორდთაგან არც ერთმა არ ჩათვალა საჭიროდ დასწრებოდა ჯვრისწერას, ისიც კი არ ინებეს, ბოდიში მოეხადათ. მერეი და ლენოქსი შოტლანდიიდან გაემგზავრნენ, მაიტლენდსა და ჰანთლეისაც (ამ ნახევრად ერთგულ ლორდებს) თავი შორს ეჭირათ. იმ ერთადერთმა ადამიანმაც კი, ვისაც ამ მგზნებარე კათოლიკე ქალმა თავისი ფიქრები მიანდო, მისმა სულიერმა მოძღვარმაც სამუდამოდ მიატოვა და ნაღვლიანად შეატყობინა, რომ ამიერიდან დაღუპულ კრავად მიაჩნდა. არც ერთ ადამიანს, ვინც უფრთხილდებოდა თავის ღირსებას, არ უნდოდა საკუთარი თვალით ეხილა, დარნლეის მკვლელი როგორ ირთავდა ცოლად მის ცოლს და ღვთის მსახური როგორ აკურთხებდა ამ წაბილწულ კავშირს. ამაოდ სთხოვა მარიამ სტიუარტმა საფრანგეთის ელჩს, დასწრებოდა ქორწილს, რათა ზეიმისათვის მოჩვენებითი ბრწყინვალება მაინც მიენიჭებინა. მუდამ ერთგულმა მეგობარმა გადაჭრით უარი უთხრა. მისი ქორწილზე დასწრება შეიძლებოდა საფრანგეთის მხარდაჭერად ჩაეთვალათ.

„იმასაც იფიქრებენ, რომ ჩემი მეფე ურევია ამ საქმეში“, — თქვა მან თავის გასამართლებლად. ამასთან კიდევ ბოთველს იგი მარიამ სტიუარტის ქმრად არ ცნობდა. მღვდელს არ უწირავს, ორგანიც

დუმდა, საოცრად ჩქარა შეასრულეს ჯვრისწერის წესი. საღამოს მსახურებს შანდლებით არ გაუჩირაღდნებიათ დარბაზი, არ მოუშზადებიათ საცეკვაოდ, არ გაუწყვიათ სადღესასწაულო სუფრა. არავის გადაუყრია ფული ხალხში ძახილით: Largesse, largesse![1], როგორც დარნლეიზე ქორწინებისას გააკეთეს; ცივი, დაცარიელებული, ნაღვლიანი სამრეკლო საფლავს მოგაგონებდათ. მოღუშულნი, თითქოს სასაფლაოდან ბრუნდებოდნენ, გამწკრივდნენ მოწმეები უჩვეულო ზეიმისა. საქორწინო ამალას ზეიმით არ ჩაუვლია ქალაქის ქუჩებში. დაცარიელებულ ეკლესიაში გაყინული ახალდაქორწინებულნი სასახლეში განმარტოვდნენ.

სწორედ ახლა, როცა სასურველ მიზანს მიაღწია, თითქოს აღვირი აიშვა და უგზო-უკვლოდ დაეხეტებაო, მარიამ სტიუარტის სულში გარდატეხა მოხდა. მისი გახელებული სურვილი — დაუფლებოდა ბოთველს, არ გაეშვა, ახდა. თვალი ერთი წერტილისთვის მიეშტერებინა და ცახცახით ელოდა იმედგაცრუებული, რომ მისი სიახლოვე, მისი სიყვარული სძლევდა შიშს. მაგრამ ახლა, როცა ანთებული მზერა ერთი მიზნისაკენ აღარ მიეპყრო, თვალი აეხილა. მიიხედ-მოიხედა და გარშემო მხოლოდ სიცარიელე, არარაობა შეიგრძნო. მათ შორისაც, უსაზღვროდ მოყვარულთა შორისაც, დაქორწინების შემდეგ უსიამოვნების ჩრდილი ჩამოწვა. ყოველთვის ასეა, როცა ერთი მეორეს უფსკრულში ითრევს, ერთმანეთს საყვედურობენ. ქორწილის იმ ტრაგიკულ საღამოს საფრანგეთის ელჩმა დედოფალი ჭკუიდან შეშლილი, დარდისგან განადგურებული ნახა. ჯერ ღამე არ დამდგარიყო და ცოლ-ქმარს შორის ჩრდილი გაწვა. „თანდათან ფხიზლდება, — სწერდა დიუ კროკი პარიზში, — როცა ხუთშაბათს მისმა უდიდებულესობამ მიმიწვია, მაშინვე ვიგრძენი, რომ უსიამოვნება ჰქონდათ ერთმანეთში. ჩემთვის რომ თვალი აეხვია, მითხრა: თუ ნაღვლიანს მხედავ, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ცხოვრებისგან აღარაფერს ველი და სიკვდილს ვნატრობო. გუშინ, დაკეტილი კარიდან, სადაც მარტო იყო გრაფ ბოთველთან, მისი ყვირილი შემომესმა, — დანა მომეცით, თავი მინდა მოვიკლაო. ხალხმა მეზობელ ოთახში ეს ყვირილი რომ გაიგონა, შეშინდა, რამე არ აუტეხოს თავსო. მხოლოდ ღმერთი თუ უშველის“.

დადიოდა ხმები ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნებისა. ბოთველი,

[1] *სიუხვე! სიუხვე (ფრ.).*

ეტყობოდა, თავის ახალგაზრდა, ლამაზ ცოლთან განქორწინებას უბრალო ფორმალობად თვლიდა, მთელ ღამეს მასთან ატარებდა და არა მარიამ სტიუარტთან.

„იმ ავბედითი ქორწილის შემდეგ, — წერდა ელჩი მოგვიანებით პარიზში, — გამუდმებით კვნესის და ცრემლებს ღვრის“.

ამგვარად, დაბრმავებულმა ქალმა ვერც კი მოასწრო მიეღწია იმისათვის, რისკენაც ასე მგზნებარედ ისწრაფოდა, რომ მიხვდა, ყველაფერი დაკარგული იყო, მხოლოდ სიკვდილი იხსნიდა იმ სატანჯველისაგან, რაშიც თვითონვე ჩაიგდო თავი.

სამი კვირა გაგრძელდა ასე მწარე თაფლობის თვე — სამი კვირა შიშისა და აგონიისა. ახალდაქორწინებულთა ყოველი ცდა, როგორმე თავი შეეკავებინათ, ამაო იყო. ბოთველი ხალხში მეტისმეტი პატივისცემითა და ნაზად ექცეოდა დედოფალს, ერთგულებისა და პატივისცემის განსახიერება იყო, მაგრამ სიტყვები და პოზები ვერ შეცვლიდა მდგომარეობას. მოწყენილი, დუმილით შესცქეროდა მთელი ქალაქი დამნაშავე წყვილს. ამაოდ ცდილობდა დიქტატორი ხალხის სიყვარული მოეპოვებინა: თავი გულღია, კეთილ, ღვთისმოშიშ მბრძანებლად ეჭირა. იგი ესწრებოდა რეფორმატორი მღვდლის ქადაგებას, მაგრამ პროტესტანტული სამღვდელოებაც ისევე გულგრილად ხვდებოდა, როგორც კათოლიკური. მოკრძალებული წერილი მისწერა ელისაბედს, მაგრამ მისი წერილი აინუნშიაც კი არ ჩაუგდიათ. პარიზშიც გაგზავნა წერილი, არც იქ მიუქცევიათ ყურადღება. მარიამ სტიუარტმა უხმო თავის ლორდებს, მაგრამ მათ ნაბიჯიც კი არ გადმოუდგიათ სტირლინგიდან. მოითხოვდა, შვილი დაებრუნებინათ, პასუხი არავინ აღირსა. სამარისებური სიჩუმე იდგა. ყველაფერი ავის მომასწავებლად დამუნჯებულიყო განწირული წყვილის გარშემო. ბოთველმა გასამხნევებლად უკანასკნელად კვლავ მოაწყო მასკარადი და სხვადასხვა გასართობი წყალზე. იგი თვითონ მონაწილეობდა მასში, დედოფალი კი ტრიბუნიდან უღიმოდა ნაზი ღიმილით. ცნობისმოყვარეთა ბრბო თავს კი იყრიდა, მაგრამ მხიარულება ჩამკვდარიყო. შიშის გრძნობას, უმოძრაობას მოეცვა ქვეყანა. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და რისხვისა და აღშფოთების ქარიშხალი ამოვარდებოდა.

მაგრამ ბოთველს ვერ აცდუნებდა სენტიმენტალური ილუზიები. გამოცდილი მეზღვაური იმ ჭექა-ქუხილის წინ სიჩუმეში ქარიშხლის

მოახლოებას შეიგრძნობდა და ჩვეულებისამებრ გადაწყვიტა, მომზადებული შეხვედროდა თავდასხმას. მარიამ სტიუარტი არაფერს დაიშურებდა მისი დაქირავებული ჯარისათვის: გაყიდდა ძვირფასეულობას, ისესხებდა, სადაც კი შეეძლო. შოტლანდიის დედოფლისთვის სამარცხვინოდ და ინგლისის დედოფლის შეურაცხსაყოფად გადაადნო ნათლულისთვის ელისაბედის ნაჩუქარი ოქროს ემბაზი. ამით ასეულობით ზედმეტ მონეტას დააგროვებდა და ცოტა ხანს გაგრძელდებოდა აგონია. მაგრამ ლორდების დუმილში ქარიშხალი იგრძნობოდა. ტყვიის ღრუბლები ჩამოაწვა ციხე-კოშკს და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ჭექა-ქუხილი. ბოთველმა კარგად იცოდა თავის დამქაშთა ცბიერება და ვერ ენდობოდა ამ სიმშვიდეს. იცოდა, ვერაგულ თავდასხმას უმზადებდნენ და გაუმაგრებელ ჰოლირუდში ცდას არჩია, 7 ივნისს, სამი კვირის შემდეგ ქორწინებიდან, მიუვალ ბორტუიკის ციხეში თავის ერთგულთა სიახლოვეს გაქცეულიყო. 12 ივნისს მარიამ სტიუარტიც იქ იხმო. ეტყობა, უკანასკნელად უნდოდა მიემართა ხალხისათვის, თავისი subjects, noblemen, knights, esquires, gentlemen and yeomen[1] ეთხოვა, შეიარაღებულნი ხლებოდნენ, თან წამოეღოთ ექვსი დღის სამყოფი სანოვაგე; ეტყობა, ბოთველს ჩაფიქრებული ჰქონდა, სანამ ძალას მოიკრებდნენ, ელვისებური დარტყმით დაემარცხებინა თავისი მტრების ხროვა.

მაგრამ ლორდებს სწორედ ჰოლირუდიდან მათმა გაქცევამ შემატა სიმამაცე. დიდი სისწრაფით გარს შემოერტყნენ ედინბურგს და არავითარ წინააღმდეგობებს არ შეხვედრიან, აიღეს იგი. ბოთველის დამქაში, მკვლელი ჯეიმს ბალფური ისწრაფოდა თავის მოკავშირეს განდგომოდა და მტერს დაუთმო მიუვალი სიმაგრე. ამგვარად, ზურგი გაიმაგრეს და ორი ათასამდე მხედარს შეეძლო დაერტყა ბორტუიკისათვის და მანამდე შეეპყროთ ბოთველი, ვიდრე თავის ჯარს საბრძოლველად მოამზადებდა. მაგრამ ბოთველი მფრთხალი კურდღელივით ხელში არავის ჩაუვარდებოდა. დიდხანს არ უფიქრია, ფანჯრიდან გადახტა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, დედოფალი მარტო დატოვა ბორტუიკის ციხეში. ლორდებმა ვერ გაბედეს, იარაღი აღემართათ თავიანთი მონარქის წინააღმდეგ და მხოლოდ ურჩევდნენ, გაეწყვიტა კავშირი მის დამღუპველ ბოთველთან. მაგრამ უბე-

[1] *ქვეშევრდომების, დიდებულების, რაინდების, ესკვაირების, ჯენტლმენებისა და იომენებისათვის (ინგლ.).*

დური ქალი წინანდებურად სულითა და ხორცით ერთგული იყო თავისი ტირანისა. ღამე, მამაკაცურად გადაცმული მამაცად შემოახტა ცხენს, ყველაფერი ბედის ანაბარა მიატოვა და მარტო, თან არავინ ხლებია, ცხენით გაქუსლა დუნბარისკენ, რომ ბოთველთან ეცხოვრა ან მომკვდარიყო. რომელიმე მრავალმნიშვნელოვან, გამაფრთხილებელ ნიშანზე უნდა მიმხვდარიყო დედოფალი, რომ მისი საქმე სამუდამოდ დაღუპული იყო. ციხეში გაქცევის დღეს მოულოდნელად გაქრა, without leave-taking[1] მისი უკანასკნელი მრჩეველი, ლეტინგტონელი მაიტლენდი, ვისაც მაშინაც კი არ მიუტოვებია, როცა დაბრმავებული მარიამ სტიუარტი ვერაფერს ხედავდა. საბედისწერო გზის შედარებით დიდი მონაკვეთი განვლო მაიტლენდმა თავის დედოფალთან ერთად. იქნებ ისე გულმოდგინედ არავინ შველოდა დარნლეისათვის სასიკვდილო მახის დაგებაში, როგორც ის. მაგრამ ახლა მანაც იგრძნო, დედოფლის საქმე დაღუპული იყო და როგორც ნამდვილ დიპლომატს, რომელიც თავის იალქანს ყოველთვის ძლიერისკენ შემოაბრუნებს ხოლმე და არა უძლურისკენ, აღარ სურდა დაეცვა წაგებული საქმე. მან ისარგებლა ბორტუიკში გამგზავრების ფუსფუსით, შეაბრუნა ცხენი, შეუმჩნევლად ჩამორჩა დედოფალს და ლორდების ბანაკისკენ გაეშურა. უკანასკნელი ვირთხა გაიქცა დაღუპული გემიდან.

მაგრამ ახლა ვეღარაფერი შეაშინებდა და ვერც გააფრთხილებდა მარიამ სტიუარტს. საფრთხე ამ მამაც ქალს ყოველთვის სიმამაცეს მატებდა, რაც მის გადარეულ საქციელთან ერთად რომანტიკულ მომხიბვლელობას მატებდა. მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმულმა ცხენი დუნბარში რომ მიაჭენა, იქ არც სამეფო ტანსაცმელი დაუხვდა, არც აბჯარი, არც იარაღი. მერე რა ვუყოთ! რა დროს პრანჭიობა და სამეფო კარის წესების დაცვა იყო! თუ ომია, ომი იყოს! მარიამ სტიუარტი არც კი დაფიქრებულა, ერთი ღარიბი ქალისგან ტანსაცმელი ითხოვა, რასაც უბრალო ხალხი ატარებდა: მოკლე, უჯრულა კილტი, წითელი კოფთა, ხავერდის შლაპა. ამ ტანსაცმელში თუნდაც ნუ ექნებოდა დედოფლის შესაფერისი შესახედაობა, ოღონდ ახლა, როცა ყველაფერი დაკარგა და ბოთველს გარდა აღარავინ დარჩენოდა ამქვეყნად, მის გვერდით ეჭენებინა ცხენი. ბოთველმა აჩქარებით შეადგინა იმპროვიზებული ჯარი. ქუდზე კაცი რომ მოითხოვეს, არც

[1] *არც კი გამომშვიდობებია (ინგლ.).*

ერთი რაინდი, არც ერთი დიდებული არ გამოცხადებულა. ქვეყანა აღარ ემორჩილებოდა თავის დედოფალს და მხოლოდ ორასი დაქირავებული აკრებუზირი წავიდა ედინბურგში შეტევაზე. მათ უკან მიჰყვებოდა მესაზღვრე გლეხთა ცუდად შეიარაღებული ბრბო და მისი ბონდის ხალხი, ასე ათას ორასი კაცი. მაგრამ ურყევი ნებისყოფის ბოთველს სურდა, დაესწრო ლორდებისთვის და მიერეკებოდა მათ წინ. ბოთველმა იცოდა, თავზე ხელაღებულ სიმამაცეს შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც გონებას შეუძლებლად მიაჩნდა.

კარბერი-ჰილთან, ედინბურგიდან ექვს მილზე, შეხვდა ორივე ურდო (მას პოლკს ვერ ვუწოდებთ) ერთმანეთს. რიცხობრივი უპირატესობა დედოფლის ჯარების მხარეზე იყო, მაგრამ არც ერთი ლორდი, არც ერთი დიდებულად შეიარაღებული კეთილშობილი მხედარი არ დამდგარა გამომწვევად მოფრიალე, ლომისგამოსახულებიან სამეფო დროშასთან. დაქირავებულ აკრებუზირებს გარდა ბოთველს მიჰყვებოდა ასე თუ ისე შეიარაღებული, არცთუ ძალიან საომრად განწყობილი მისი ბანდა, მათ პირისპირ კი, ასე ნახევარი მილის დაშორებით, ისე ახლოს, რომ მარიამ სტიუარტი ცნობდა მოწინააღმდეგეებს, მბრწყინავ რიგებად გამწკრივებულიყვნენ რაშებზე ამხედრებული მებრძოლი ლორდები და სიხარულით ელოდნენ ბრძოლას. საოცარი დროშის ქვეშ შეკრებილნი სწორედ დედოფლის ალმის პირდაპირ გაწყობილიყვნენ. ხის ქვეშ, თეთრ ველზე, დახატული იყო მოკლულის გვამი. მის გვერდით მუხლებზე დაჩოქილ ბავშვს ხელები ცისკენ აღეპყრო და ტიროდა: „უფალო, შენ განსაჯე და იძიე შური!“ ლორდები სწორედ ამ სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ ბოთველს, როცა დარნლეიზე შურისძიებისაკენ მოუწოდებდნენ. ახლა კი სურდათ, თავი კეთილშობილ შურისმაძიებლებად წარმოედგინათ და ბოთველს აგრძნობინებდნენ, რომ ისინი დარნლეის მკვლელს ებრძოდნენ და არა თავის დედოფალს.

მრავალფრად ფრიალებდა ქარში ორივე დროშა, მაგრამ არც ერთ ჯარს ნამდვილი შემართება არ ეტყობოდა. ვერც ერთი ბრბო ვერ ბედავდა, მათი გამყოფი ნაკადული გადაელახა და შეტევაზე გადასულიყო. ერთიცა და მეორეც თითქოს რაღაცას ელოდა და შორიდან უთვალთვალებდა ერთმანეთს. ნაჩქარევად შეკრებილ ბოთველის მესაზღვრე გლეხებს სულაც არ სურდათ, სიცოცხლე გაეწირათ მათთვის უცხო და ბნელი საქმისათვის. ლორდები კვლავ ყოყ-

მანობდნენ, ეს არც ისე იოლი საქმე იყო, შუბებითა და მახვილებით ხელში აშკარად გადასულიყვნენ შეტევაზე თავიანთი კანონიერი დედოფლის წინააღმდეგ. სულ სხვა საქმე იყო უწყინარი შეთქმულების მოწყობა მეფის თავიდან მოსაშორებლად, რადგან ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე ღატაკი, ვისაც მერე ჩამოახრჩობდნენ, თვითონ კი გულგრილად დაიბანდნენ ხელებს. ამგვარი შავბნელი ხრიკები არასდროს მოქმედებდა ლორდების სინდისზე. მაგრამ ახლა ნიღაბ-ახდილნი, დღისით, მზისით გამოდიოდნენ თავიანთი მონარქის წინააღმდეგ, ეს კი არ ეთანხმებოდა ფეოდალური ერთგულების იდეას, რაც ჯერ კიდევ მტკიცედ ჰქონდათ თავში ჩაჭედილი.

საფრანგეთის ელჩს დიუ კროკს, რომელიც ბრძოლის ველზე მოვიდა, როგორც ნეიტრალური მეთვალყურე, არ გამოჰპარვია ორივე ჯარის განლაგება. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ორივე მხარეს სთხოვა, მოელაპარაკებინათ. ლორდების ბანაკში პარლამენტის დროშა გამოკიდეს და იმ მზიანი ზაფხულის დღეს ორივე ურდო ნაკადულის გაღმა-გამოღმა დაბანაკდა. მხედრები ჩამოქვეითდნენ, მებრძოლებმა გაიხადეს მძიმე აბჯრები და სიამოვნებით საუზმობდნენ; დიუ კროკი კი მცირე ცხენოსანი ამალით ნაკადულზე გადავიდა და ბორცვისკენ, დედოფლის ბანაკისკენ გაემართა.

ჭეშმარიტად, არნახული აუდიენცია იყო! დედოფალი საფრანგეთის ელჩს ყოველთვის ძვირფას რობაში გამოწყობილი, ტახტზე მჯდომი იღებდა. ახლა კი ივჯდა ქვაზე ჭრელ „კილტეში“, მოკლე ქვედატანი მუხლებსაც ვერ უფარავდა, მაგრამ ისეთივე ღირსებითა და ამპარტავნობით იყო აღსავსე, როგორც სამეფო ტანსაცმელში. გააფთრებული, ფერმკრთალი, უძინარი, რისხვას ანთხევდა. წინანდებურად ქვეყნის მბრძანებლად, ქალბატონად მიაჩნდა თავი და მოითხოვდა, ლორდები უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ. ხომ თვითონვე გაამართლეს ბოთველი, ახლა ბრალს რაღად სდებენ მკვლელობაშიო. თვითონვე აიძულებდნენ ამ ქორწინებას, ახლა დანაშაულად რაღად უთვლიანო. სამართლიანად მრისხანებდა მარიამ სტიუარტი, მაგრამ ახლა რაღა დროს კანონებზე ლაპარაკი იყო, როცა საომრად მახვილი იშიშვლეს. სანამ დედოფალი ელჩთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მოვიდა ბოთველიც. ელჩი მიესალმა, მაგრამ ხელი არ ჩამოართვა. სიტყვა წარმოთქვა ბოთველმა, იგი ლაპარაკობდა გარკვევით, მტკიცედ, მის მამაც, პირდაპირ მზერაში შიშს ვერ

შენიშნავდით. დიუ კროკიც კი იძულებული იყო, პატივი ეცა ამ თავზე ხელაღებული კაცისათვის.

„უნდა გამოგიტყდეთ, — წერდა დიუ კროკი, — ნამდვილი მთავარსარდალი მეგონა, ისეთი სრული ღირსებით მელაპარაკებოდა. გამოცდილი, მამაცი მებრძოლი იყო, ვისაც შეჰფერის, ასეული ბრძოლაში მიჰყავდეს. არ შეიძლება პატივისცემით არ გამსჭვალულიყავით მისდამი, რადგან ხედავდა მოწინააღმდეგის სიმტკიცეს, თვითონ კი სანახევროდაც არ ჰქონდა იმედი თავისი ხალხისა, მაგრამ მაინც არ იტეხდა გულს“.

ბოთველმა შესთავაზა, მისი თანაბარი ღირსების ლორდთან ორთაბრძოლით გადაეწყვიტათ დავა, რადგან თავისი საქმე სამართლიანად მიაჩნდა და ღმერთი არ გაწირავდა. ამგვარ სასოწარკვეთილ მდგომარეობაშიც კი მხიარულად ეჭირა თავი. დიუ კროკს სთხოვა, ბორცვიდან ედევნებინა თვალი ორთაბრძოლისათვის — საინტერესო სანახაობა იქნებაო, მაგრამ დედოფალს სიტყვის გაგონებაც კი არ სურდა ორთაბრძოლაზე. მას ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, ლორდები ეახლებოდნენ და დაემორჩილებოდნენ. გამოუსწორებელი რომანტიკოსი იყო, ვერც ახლა უყურებდა სინამდვილეს თვალებში. დიუ კროკი მალე მიხვდა თავისი მისიის უმიზნობას. მოხუცმა დიდებულმა მარიამ სტიუარტს თვალზე ცრემლი შენიშნა. იგი სიამოვნებით დაეხმარებოდა, მაგრამ სანამ უარს არ იტყოდა ბოთველზე, ვერავინ უშველიდა. დედოფალი კი ვერ თმობდა ბოთველს. ელჩი თავაზიანად გამოეთხოვა და სასწრაფოდ დაბრუნდა ლორდების ბანაკში.

ლაპარაკის დრო აღარ იყო, ბრძოლა იწყებოდა. მაგრამ ჯარისკაცები თავიანთ მთავარსარდლებზე უფრო ჭკვიანები იყვნენ. ხედავდნენ, მათი ბატონები დარბაისლურად საუბრობდნენ, მაშ ამ უბედურებს რაღად ამოეხოცათ ერთმანეთი ასეთ სასიამოვნო ზაფხულის დღეს? ყველანი აქეთ-იქით გაიფანტ-გამოიფანტნენ. ამაოდ ბრძანებდა მარიამ სტიუარტი, შეტევაზე გადასულიყვნენ, ამაში ხედავდა ერთადერთ ხსნას. ხალხი აღარ ემორჩილებოდა. ექვსი-შვიდი საათის ამაოდ დგომის შემდეგ მთელი ეს ბრბო თანდათან გაიფანტა და როგორც კი ლორდებმა ეს შენიშნეს, ორასი მხედარი გაგზავნეს, რომ ბოთველისა და დედოფლისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრათ. მხოლოდ ახლა მიხვდა მბრძანებელი, რა საფრთხეც ელოდა და როგორც ჭეშმარიტად მოყვარულ ქალს შეჰფეროდა, თავის თავზე კი

აღარ ფიქრობდა, არამედ თავის საყვარელ ბოთველზე. დედოფალმა იცოდა, ვერც ერთი მისი ქვეშევრდომი მასზე ხელს ვერ აღმართავდა, ბოთველს კი არ დაინდობდნენ თუნდაც იმიტომ, რომ დარნლეის მკვლელობაზე ამ დაგვიანებული შურისმაძიებლებისათვის რაიმე ისეთი არ ეთქვა, რაც მათ არ მოეწონებოდათ. წლების განმავლობაში პირველად გატეხეს დედოფლის სიტყვა. ლორდების ბანაკში პარლამენტარი გაგზავნა თეთრი დროშით და სთხოვა ცხენოსანი რაზმის მეთაურს, კერკოლდ გრეინჯელს მასთან მარტო გამოცხადებულიყო.

მისი აღმატებულება დედოფლის წმინდა ბრძანებას ჯერ კიდევ ჰქონდა მაგიური ძალა. კერკოლდ გრეინჯელმა შეაჩერა თავისი მხედრები, მარტოდმარტო გავიდა გაღმა მარიამ სტიუარტთან და სანამ რამეს ეტყოდა, მორჩილად მოიყარა მუხლი მის წინაშე, მერე უკანასკნელი პირობა წამოაყენა: მოიშორეთ ბოთველი, ჩვენთან ერთად დაბრუნდით ედინბურგში, მაშინ არც ბოთველს დავუწყებთ დევნას, სადაც ნებავს, იქ წავიდესო. ბოთველი (რა საოცარი სცენა იყო, რა საოცარი მსახიობობა) მდუმარედ იდგა. სიტყვა არ უთქვამს კერკოლდისათვის, არც დედოფლისთვის უთქვამს რამე, რომ მის გადაწყვეტილებაზე არ ემოქმედა, მხოლოდ იგრძნობდით, იგი მზად იყო, მარტო შეჰბმოდა ბორცვის ძირას დაბანაკებულ ორას მხედარს, ლაგამს ხელიდან არ უშვებდა და კერკოლდის ნიშანს, მის მაღლა აწეულ ხელსღა ელოდა, რომ მოწინააღმდეგის ხაზზე შეჭრილიყო. როგორც კი გაიგონა, დედოფალი დაეთანხმა კერკოლდს, ბოთველი მივიდა მასთან და მოეხვია უკანასკნელად, მაგრამ ეს მაშინ არც ერთმა არ იცოდა. მერე ცხენს მოახტა და ორ მსახურთან ერთად გააჭენა. დამთავრდა საშინელი სიზმარი. დაიწყო საბოლოო, მწარე გამოფხიზლების ხანა.

დადგა მწარე სინამდვილე. ულმობელი იყო ეს გამოფხიზლება — ლორდები შეჰპირდნენ მარიამ სტიუარტს შესაფერი პატივით წაეყვანათ ედინბურგში და, ეტყობა, ასეთი გადაწყვეტილება ჰქონდათ პირველად, მაგრამ, როგორც კი დამცირებული ქალი თავისი დამტვერიანებული ტანსაცმლით მიუახლოვდა დაქირავებულთა აღალს, სიცილი დააყარეს. სანამ ბოთველის რკინის ხელი იცავდა, დედოფალს ხალხის სიძულვილი ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ ახლა უმწეო იყო და სიძულვილმა კადნიერად, უბოდიშოდ წამოყო თავი. ტყვე დედოფალი პატივისცემას ვერ აღუძრავდა მეამბოხე ჯარისკაცებს.

თანდათან ძლიერ უტევდნენ ჯერ ცნობისმოყვარეობით აღძრულნი, შემდეგ აღშფოთებულნი. „კოცონზე დაწვით მეძავი!“ „ცეცხლში ჩავაგდოთ ქმრის მკვლელი!“ — გაისმოდა გააფთრებული ყვირილი. კერკოლდი მახვილით იგერიებდა მათ, ძლივს გაფანტა, მაგრამ გააფთრებული ტალღა არ იღლებოდა. დიდი ამბით მიუძღოდნენ ტყვეს წინ და თან მიჰქონდათ დროშა, რომელზეც გამოხატული იყო მისი მოკლული მეუღლე და ბავშვი, შურისძიებისაკენ რომ მოუწოდებდა. ამგვარად, საღამოს ექვსი საათიდან ათ საათამდე ლანგსაიდიდან ედინბურგამდე მიერეკებოდნენ მას მწყობრში. ყოველი სახლიდან, ახლომახლო სოფლებიდან ემატებოდნენ უჩვეულო სანახაობის — ტყვე დედოფლის — ხილვის მსურველნი. ცნობისმოყვარეთა ტალღა ხანდახან ისე მოაწვებოდა, რომ ჯარისკაცები იძულებულნი იყვნენ, ამ ტალღაში გაეკაფათ გზა. ასეთი დამცირება არასოდეს განუცდია მარიამ სტიუარტს, როგორც ამ სამახსოვრო დღეს.

მაგრამ ამ ამაყი ქალის დამცირება შეიძლებოდა, გატეხა კი ვერა. ისევე, როგორც ტკივილები მაშინ აგვეშლება, როცა ხელს შეახებენ, მარიამ სტიუარტმა მხოლოდ მაშინ იგრძნო დამცირება, როცა დასცინეს. იჩქეფა სტიუარტების, გიზების სისხლმა და იმის მაგივრად, რომ თავი მოეკატუნებინა და გულგრილად მოესმინა ყოველივე, რისხვა დაატეხა ლორდებს თავს, მოუწოდებდა პასუხი გაეცათ ამ თავაშვებული ბრბოსათვის. გააფთრებული ლომივით ეცა მათ, ემუქრებოდა, ვუბრძანებ, ჩამოგახრჩონ, ჯვარზე გაგაკრანო. მერე ხელი სტაცა მის გვერდით მიმავალ ლორდ ლინდსეის და დაემუქრა: „ვფიცავ, ამ ხელით წაგაცლი თავს!“ როგორც ყოველთვის საფრთხის წუთებში, გაღიზიანებული სიმამაცე გონს აკარგვინებდა. იმის მაგივრად, რომ ჭკუა მოეკრიბა და გაჩუმებულიყო ან ლაჩრულად მოლაქუცებოდა, ლორდებს აშკარად აგრძნობინებდა თავის ზიზღსა და სიძულვილს.

იქნებ სწორედ მისმა ასეთმა მოქცევამ გააფთრა ლორდები. პირველად ეს არ ჰქონდათ განზრახული, მაგრამ როცა მიხვდნენ, შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ამ ურჩ ქალს ეგრძნო თავისი უმწეობა. იმის მაგივრად, რომ დედოფალი ჰოლირუდის ციხეში მიეყვანათ, ქალაქის ალაყაფის გადაღმა კერკ ო'ფილდეში ჩაატარეს, ბოროტმოქმედების ადგილას და აღრიალებული ხალხის ტალღით გავსებულ ქალაქის მთავარ ქუჩას გაუყენეს. აქ, ჰაი-სტრიტზე, პროფოსის სახლში მოიყვანეს, თითქოს

სამარცხვინო ბოძზე გასაკრავად. მისი ამალის არც ერთ მანდილოსანს, არც ერთ მსახურს არ შეეძლო მასთან მისვლა. საშინელი სასოწარკვეთილების ღამე დაუდგა. რამდენი დღეა ტანთ არ გაუხდია. დილიდან ნამცეცი საჭმელი არ ჩასვლია პირში. კაცი ვერ აღწერს, რა გადაიტანა ამ ქალმა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე: სამეფოც დაკარგა და სატრფოც. მისი ფანჯრების ქვეშ, თითქოს გალიაში გამომწყვდეული მხეცი იყო, თავს იყრიდა ქალაქის საზიზღარი ბრბო და გააფთრებული ყვირილი და საშინელი ლანძღვა-გინება ესმოდა, და ახლა, როცა ლორდების აზრით, საკმაოდ შეამკეს, დაიწყეს მასთან მოლაპარაკება. სინამდვილეში ბევრ რამეს არ მოითხოვდნენ მისგან: საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი ბოთველთან. მაგრამ ეს თავნება ქალი უიმედო საქმისთვის უფრო გააფთრებით იბრძოდა, ვიდრე იმისათვის, რაც წარმტაც იმედებს აღუძრავდა. მარიამ სტიუარტმა ზიზღით უარყო თავისი მოწინააღმდეგეების მიერ წამოწყებული პირობები. ერთი ლორდი შემდეგ იძულებული იყო, ელიარებინა: არასოდეს მინახავს უფრო მამაცი და უშიშარი ქალი, ვიდრე დედოფალი იყო იმ წუთებშიო.

მუქარამ ვერ შეაშინა. მაშინ ერთმა ყველაზე ჭკვიანმა ლორდმა სცადა, ეშმაკობა ეხმარა. მაიტლენდმა, გამოცდილმა და აქამდე ერთგულმა ლორდმა ნაცად ხერხს მიმართა. უნდოდა მის ქალურ თავმოყვარეობაზე ეთამაშა და მარიამ სტიუარტს აუწყა (ვინ უწყის ტყუილი იყო თუ სიმართლე, განა რამეს გაუგებ დიპლომატებს), — ბოთველი გატყუებდა, თქვენი ქორწინების პირველ დღეებშიც კი ნაზად ეალერსებოდა მიტოვებულ ცოლს და ეფიცებოდა, შენა ხარ ჩემი ნამდვილი ცოლი, დედოფალი საყვარელიაო.

მაგრამ მარიამ სტიუარტს კარგა ხანია აღარ სჯეროდა ამ მატყუარებისა. მაიტლენდის სიტყვებმა უფრო გააფთრა და ედინბურგი მოწმე გახდა საშინელი სანახაობისა: მათ გისოსებიან ფანჯარაში დაინახეს შოტლანდიის დედოფალი: კაბა შემოჰფლეთოდა, მკერდგაშიშვლებული, თმაგაშლილი გიჟივით შეხტა ფანჯრის რაფაზე და ისტერიკულად ქვითინებდა, ხალხს მოუწოდებდა, დაეხსნათ იგი დიდებულთა ტყვეობიდან. დედოფალი თუმცა სძულდათ, ხალხი შეაძრწუნა მისმა ტანჯვამ.

თანდათან აუტანელი მდგომარეობა იქმნებოდა. ლორდები მზად იყვნენ, უკან დაეხიათ, მაგრამ მეტისმეტად შორს შეტოპეს და უკან

დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. მარიამ სტიუარტის მიყვანა დედოფლად ჰოლირუდში შეუძლებლად მიაჩნდათ, მაგრამ მისი დატოვებაც პროფოსის სახლში, აღელვებული ხალხის ტალღაში, მეტად საფრთხილო იყო. ამის გამო შეიძლებოდა თავს დასტყდომოდათ ელისაბედისა და სხვა სახელმწიფოთა მონარქების რისხვა. ერთადერთი, ვისაც სიმამაცე გააჩნდა და საკმაო ავტორიტეტიც, რაიმე გადაწყვეტილება მიეღო — მერეი, შოტლანდიაში არ იმყოფებოდა. უიმისოდ კი ლორდები ვერაფერს გაბედავდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს, დედოფალი პირველ ხანებში ლოხლივენში მიეყვანათ. ეს ციხე-კოშკი შუა ტბაში იდგა და ყოველი მხრიდან მოწყვეტილი იყო ხმელეთს. ციხე-კოშკი ეკუთვნოდა მარგარიტა დუგლასს — მერეის დედას და განა იგი თავზე ხელს გადაუსვამდა ქალიშვილს მარიამ დე გიზისა, რომელმაც წაართვა იაკობ V? ლორდები სიფრთხილისათვის მათ მიერ გაცემულ ფირმანში გაურბიან სიტყვა „დატყვევებას“. დედოფალი, კავშირი რომ არ დაამყაროს ზემოხსენებულ გრაფ ბოთველთან ან არ შეხვდეს იმ ხალხს, ვინც ცდილობს დაიცვას ბოთველი სამართლიანი შურისგებისაგან, შინაპატიმრობაში იმყოფებაო, — ეწერა შიგ. ეს მხოლოდ სანახევროდ მიღებული ზომა იყო, რაც შიშმა და არაწმინდა სინდისმა უკარნახა მათ. ვერ ბედავდნენ, ავჯანყებისთვის არეულობა ეწოდებინათ, მთელ დანაშაულს გაქცეულ ბოთველს აბრალებდნენ და თავიანთ იდუმალ განზრახვას — მარიამ სტიუარტი ტახტიდან ჩამოეგდოთ, ზოგად მსჯელობასა და მიკიბულ-მოკიბულ ფრაზებში მალავდნენ. ხალხი რომ მოეტყუებინათ, რომელიც მოუთმენლად ელოდა „როსკიპის“ (Whore) გასამართლებასა და დასჯას, 17 ივნისს საღამოს მარიამ სტიუარტი ჰოლირუდში წაიყვანეს. დედოფალს სამასი მცველი იცავდა. მაგრამ მეშჩანები დაწვნენ თუ არა დასაძინებლად, ციხის ეზოში შეიქმნა პატარა რაზმი, რომელსაც დაევალა მისი ლოხლივენდში წაყვანა. განთიადამდე გაგრძელდა ეს მოსაწყენი ჭენება ცხენისა. ინათა თუ არა, მარიამ სტიუარტმა თვალი მოჰკრა ტბის სარკესავით ზედაპირს, მის შუაში კი კარგად გამაგრებულ, განმარტოებულ, მიუვალ ციხე-კოშკს. ნავით გადაიყვანეს კუნძულზე და მის უკან ჯახუნით მიიხურა რკინით მოჭედილი კარი. სევდიანი ბალადა დარნლეისა და ბოთველზე დასასრულს უახლოვდებოდა, იწყებოდა ნაღვლიანი და მოსაწყენი გოდება მუდმივ ტყვეობაზე.

ტახტიდან ჩამოგდება
1567 წლის ზაფხული

იმ დღიდან, 17 ივნისიდან, როცა ლორდებმა თავიანთი დედოფალი ლოხლევენის ციხეში ჩაამწყვდიეს, მარიამ სტიუარტი მუდმივი შფოთისა და არეულობის მიზეზი გახდა მთელ ევროპაში. მან საუკუნის წინაშე ახალი, შეიძლება ითქვას, რევოლუციური, უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა დააყენა: რა ზომები გამოეყენებინათ მონარქზე, რომელსაც სასტიკი კონფლიქტი მოუხდა თავის ხალხთან და უღირსი აღმოჩნდა მეფის გვირგვინისა? დამნაშავე აქ უეჭველად დედოფალი იყო. თავქარიანულ ვნებას აყოლილმა მარიამ სტიუარტმა ისეთი მდგომარეობა შექმნა, რისი ატანაც შეუძლებელი იყო. თავისი დიდებულების, ხალხისა და ეკლესიის წინააღმდეგ ქმრად ამოირჩია და კანონიერი ქორწინებით დაუკავშირდა ისეთ კაცს, ვისაც საქვეყნოდ ბრალად ედებოდა შოტლანდიის მეფის მკვლელობა. იგი არად აგდებდა კანონებსა და კეთილ ზნეობას და ახლაც უარი თქვა ამ უგნური კავშირის გაწყვეტაზე. მისი ერთგული მეგობრებიც კი იმ აზრისა იყვნენ, რომ მკვლელთან ერთად იგი აღარ შეიძლებოდა შოტლანდიის მბრძანებლად დარჩენილიყო. მაგრამ რა ღონე უნდა ეხმარათ, რომ აეძულებინათ დედოფალი, გაშორებოდა ბოთველს ან უარი ეთქვა ტახტზე და შვილისათვის დაეთმო? შემაძრწუნებლად ჟღერს პასუხი: არავითარი. სახელმწიფო ვერავითარ უფლებებს ვერ გამოიყენებდა მონარქზე. ხალხს უფლება არ ჰქონდა, დაეჭვებულიყო თავისი მბრძანებლის მოქმედებაში ან გაეკიცხა იგი. ყოველგვარი იურისპრუდენცია ტახტის საფეხურებთან მთავრდებოდა. მოქალაქეობრივი უფლებები არ ვრცელდებოდა მეფეზე. იგი ამ უფლებებზე მაღლა იდგა. ვით წმინდა მამა ღმერთის მიერ იყო ხელდებული და უფლება არ ჰქონდა, ვინმესთვის გადაეცა ან ეჩუქებინა თავისი

უფლებები. ღვთის რჩეულს ვერავინ წაართმევდა ღირსებას. აბსოლუტიზმის თვალსაზრისით, უფრო ადვილი იყო მონარქისათვის სიცოცხლე მოესწრაფებინათ, ვიდრე გვირგვინი წაერთმიათ. შეიძლება მოგეკლა გვირგვინოსანი, მაგრამ ტახტიდან ვერ გადმოაგდებდი, რადგან მასზე იძულებითი ზომების გამოყენება ნიშნავდა მთელი იერარქიული წყობილების ხელყოფას. მარიამ სტიუარტმა თავისი დანაშაულებრივი ქორწინებით მსოფლიო ახალი ამოცანის წინაშე დააყენა. მისი ბედის გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული არა მარტო ცალკეული კონფლიქტი, გონებრივი პრინციპი, მთელი მსოფლმხედველობის საფუძველი.

ამიტომ იყო, რომ ლორდები ასე შეშფოთებით, მათთვის ჩვეული თავაზიანობით ეძებდნენ გზას, რომ საქმე სიამტკბილობით მოეგვარებინათ. ახლაც კი, საუკუნეების შემდეგაც იგრძნობა, როგორ ცახცახებდნენ მათ მიერ ჩადენილ საქმეებზე. ხუმრობა ხომ არ იყო დედოფლის დატყვევება! მარიამ სტიუარტს მოჭრილი არ ჰქონდა უკან დასაბრუნებელი გზა, თუ ქორწინებას ბოთველთან უკანონოდ გამოაცხადებდა და ამით აღიარებდა თავის შეცდომას. მართალია, მისი პოპულარობა და ავტორიტეტი საკმაოდ შეირყა, მაგრამ მაინც შეეძლო პატივით დაბრუნებულიყო ჰოლირუდში და დროთა განმავლობაში უფრო ღირსეული მეუღლე ამოერჩია. მაგრამ მარიამ სტიუარტს თვალები ჯერ კიდევ არ ახელოდა. წინანდებურად ბრმად სჯეროდა თავისი უდანაშაულობა. ვერ ხვდებოდა, რომ ამ განუწყვეტელი შფოთის წყალობით (შატელიარი, რიჩო, დარნლეი, ბოთველი) იგი თავქარიანად ცნეს. თავისთვის უღირსად მიაჩნდა, სულ მცირე დათმობაზეც კი წასულიყო. დაუპირისპირდა მთელ სახელმწიფოს, მთელ მსოფლიოს და კაცისმკვლელ ბოთველს იცავდა. ბოთველს ვერ შორდებოდა, რადგან ეშინოდა, ბავშვი, რომელსაც მისგან ელოდებოდა, ბასტარდად არ დაბადებულიყო. ეს რომანტიკოსი კვლავ ღრუბლებში დაცურავდა, თვალს ხუჭავდა სინამდვილეზე, მაგრამ ამ თვითნებობას, რასაც სურვილისამებრ, სულელურიც შეიძლება ვუწოდოთ და თვითნებურიც, ცხოვრებაში უეჭველად მოჰყვება ხოლმე ისეთი ძალდატანებითი ზომები, მის მიმართ რომ გამოიყენეს, რაც შემდგომ საუკუნეებსაც გადმოეცა. არა მარტო მან, მისმა ღვიძლმა შვილიშვილმა კარლოს I-მაც სიცოცხლე შესწირა თავის თვითნებურ მეფურ პრეტენზიებს.

მაგრამ პირველ ხანებში მას კიდევ ჰქონდა იმედი დახმარებისა, რადგან კონფლიქტი მბრძანებელსა და ხალხს შორის შორიდანვე ჩანდა და მისი მეგობრები, თანამოაზრენი, ევროპის მონარქები გულგრილად ვერ შეხედავდნენ მას. განსაკუთრებით მტკიცედ დაუჭირა მხარი თავის მოწინააღმდეგეს ელისაბედმა. ელისაბედი რომ ასე გულმოდგინედ იცავდა მეტოქეს, ბევრს ეს მის არაკეთილსინდისიერ საქციელად და ცბიერებად მიაჩნდა. მაგრამ ელისაბედის საქციელი თანამიმდევრული, ლოგიკური და გამოკვეთილია. მარიამ სტიუარტის მხარე რომ დაეჭირა, მას სულაც არ სურდა — ეს განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ — დაეცვა მარიამ სტიუარტი, დაეცვა როგორც ქალი, არც მისი საეჭვო საქციელის გამართლებას აპირებდა. დედოფალი გამოესარჩლა დედოფალს. ეს იყო წმინდა იდეა მეფის უფლებების ხელშეუვალობისა, რითაც საკუთარ საქმეს იცავდა. ელისაბედი დიდად არ იყო დარწმუნებული თავის დიდებულთა ერთგულებაში და ამიტომ ვერ მოითმენდა, რომ მეზობელ ქვეყანას მაგალითი მიეცა და დაუსჯელად დაეტოვებინა მეამბოხენი, როცა მათ იარაღი აღმართეს თავიანთ კანონიერ მბრძანებელზე, დაატყვევეს და ციხეში ჩასვეს. თუ სესილი ძველი მეგობრობის გამო სიამოვნებით გამოიხსნიდა პროტესტანტ ლორდებს, ელისაბედმა მტკიცედ გადაწყვიტა, დაემორჩილებინა ეს მეამბოხენი, რომელთაც ხელყვეს მეფის სუვერენიტეტი. მარიამ სტიუარტს რომ იცავდა, ამით თავის პოზიციებს განიმტკიცებდა. ამ შემთხვევაში უნდა ვირწმუნოთ ელისაბედის განცდები, რომ იგი ღრმა თანაგრძნობით იყო გამსჭვალული მისადმი, ტახტიდან გადმოგდებულ დედოფალს მაშინვე ნათესაურ მხარდაჭერას შეჰპირდა, თუმცა დამარცხებულ ქალს თავის დანაშაულს მოაგონებდა და ამით ტკბებოდა. იგი განსაკუთრებით გამოკვეთს თავის პირად შეხედულებებს სახელმწიფოებრივისგან.

„Madame, — სწერდა იგი, — ძველთაგანვე თქმულა, ბედნიერება მეგობრებს შეგძენს, უბედურებაში კი მათ გამოცდიო. და რადგან დადგა დრო ჩვენი მეგობრობის საქმით დამტკიცებისა, ჩვენი ურყევი წესისა და თქვენდამი თანაგრძნობის გამო მიმაჩნია, რამდენიმე სიტყვით დაგიმტკიცოთ ჩვენი მეგობრობა... Madame, არ დაგიფარავთ, საკმაო უსიამოვნება მოგვაყენეთ. თქვენი გათხოვებით გამოამჟღავნეთ მეტად სამწუხარო თავშეუკავებლობა და ჩვენც დავრწმუნდით, რომ არც ერთი თქვენი მეგობარი მთელ მსოფლიოში არ იწონებს თქვენს

საქციელს. ეს რომ დაგიმალოთ, მაშინ უნდა გეთვალთმაქცოთ. ისე ვერაფერი შეგილახავთ ღირსებას, როგორც იმ კაცზე ნაჩქარევმა ქორწინებამ შეგილახათ, ვისაც არა მარტო ცუდი თვისებებით იცნობენ, აშკარად ბრალად ედება თქვენი მეუღლის მკვლელობა. მეტად სამწუხაროა, რომ თქვენც გადანაშაულებენ თანამონაწილეობაში, თუმცა ყოველმხრივ ვიმედოვნებთ, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. რა საფრთხე შეუქმენით თავს, როცა ისეთ კაცზე გათხოვდით, ვისაც ცოლი ცოცხალი ჰყავს. რადგან არც ღვთის, არც ადამიანური კანონებით არ შეიძლება ითვლებოდეთ მის ნამდვილ ცოლად და თქვენი შვილებიც არ იქნებიან კანონიერნი. ნათლად ხედავთ, რა აზრისა ვართ თქვენს ქორწინებაზე და, სამწუხაროდ, რა დამაჯერებელი საბუთებიც უნდა მოიტანოს თქვენმა ელჩმა, რათა თქვენს მხარეს გადაგვიბიროს, სხვაგვარად ვერ ვიფიქრებთ. ვამჯობინებდი თქვენი ქმრის სიკვდილის შემდეგ თქვენი პირველი საზრუნავი ყოფილიყო მკვლელების დაჭერა და დასჯა. ეს რომ გაგეკეთებინათ, რაც ასეთი აშკარა შემთხვევის დროს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თქვენი ქორწინების მრავალ მხარეზე თვალს დავხუჭავდით. რადგან ეს არ მომხდარა, ჩვენი მეგობრობისა და იმ სისხლით ნათესაობის გამო, რაც გვაკავშირებს თქვენთან და თქვენს განსვენებულ მეუღლესთან, მსურს დაგარწმუნოთ, რომ ძალ-ღონესა და გულმოდგინებას არ დავიშურებთ, რათა ღირსეულად მივუზღოთ მკვლელს, რომელი თქვენი ქვეშევრდომიც უნდა იყოს იგი და რა ახლობელიც“.

ეს მკაფიოდ ნათქვამი, მახვილივით ბასრი სიტყვებია, მის გაგებას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ეს სიტყვები გვარწმუნებენ, რომ ელისაბედმა თავისი ჯაშუშების წყალობით და აგრეთვე მერეის ნათქვამით უფრო კარგად იცოდა, რა მოხდა კერკ ო’ფილდეში, ვიდრე მთელი საუკუნის შემდეგ მარიამ სტიუარტის მგზნებარე აპოლოგეტებმა; დარწმუნებული იყო მის თანამონაწილეობაში, თითით უჩვენებდა ბოთველზე, როგორც მკვლელზე. ამ დიპლომატიურ წერილში ელისაბედი პირდაპირ კი არ ამბობს, ღრმად ვარ დარწმუნებული, მარიამ სტიუარტი მკვლელობაში არ ურევიაო, თითქოს ბოდიშს იხდის: „ყოველმხრივ ვიმედოვნებ“. ეს მეტისმეტად ფრთხილი გამოთქმაა, როცა ასეთ საშინელ ბოროტმოქმედებაზეა ლაპარაკი. თუ ყურადღებით წავიკითხავთ მის წერილს, მივხვდებით, რომ ელისაბედს არასოდეს მიაჩნდა მარიამ სტიუარტი უდანაშაულოდ და მხო-

ლოდ სოლიდარობის გამო სურდა, რაც შეიძლება ჩქარა ჩაეხშო სკანდალი. მაგრამ რაც უფრო მეტად კიცხავს მარიამ სტიუარტის საქციელს, მით უფრო ჯიუტად იცავს sua res agitur[1] მის ღირსებას, როგორც მბრძანებლისა. „მაგრამ რომ დაგამშვიდოთ უბედურებაში მყოფი, — განაგრძობს იგი იმ მრავალმნიშვნელოვან წერილში, — ვისწრაფვით, დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რისი ძალაც შეგვწევს, რასაც საჭიროდ ჩავთვლით, რათა დავიცვათ თქვენი ღირსება და უსაფრთხოება“.

ელისაბედმა შეასრულა კიდეც დაპირება. თავის ელჩს დაავალა, ენერგიული პროტესტი გამოეცხადებინა ყოველივეზე, რაც მეამბოხეებმა მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ მიიღეს. გააგებინა ლორდებს, თუ ძალას იხმარდნენ, ინგლისი საომრად მზად იყო. მეტისმეტად მკაცრი ტონით დაწერილ წერილში აფრთხილებდა, არ გაებედათ და სასამართლოსთვის არ გადაეცათ ღვთის რჩეული. „მიპოვეთ წმინდა წიგნში ადგილი, — სწერდა იგი, — რომელიც უფლებას აძლევდეს ქვეშევრდომთ, ტახტიდან ჩამოაგდონ თავიანთი ბატონი. სად, რომელ ქრისტიანულ სახელმწიფოში იპოვით წერილობით კანონს, რომელიც უფლებას აძლევს ქვეშევრდომთ, ხელყონ თავიანთი უფალი, აღუკვეთონ თავისუფლება ან სასამართლოს გადასცენ?.. ჩვენ ლორდებზე არანაკლებ ვგმობთ ჩვენი ბიძაშვილის მკვლელობას, ხოლო ჩვენი დის ბოთველზე ქორწინებამ ბევრად უფრო გვატკინა გული, ვიდრე რომელიმე თქვენგანს. მაგრამ არ შეიძლება მოვიწონოთ ან მოვითმინოთ თქვენი შემდგომი მოქცევა შოტლანდიის დედოფლისადმი. ღვთის განგებით, თქვენ ქვეშევრდომები ხართ, ის კი თქვენი ქალბატონია და უფლება არა გაქვთ, პასუხი აგებინოთ მას თქვენს ბრალდებებზე, რადგან ბუნების კანონს ეწინააღმდეგება, ფეხები ბატონობდნენ თავზე“.

ამჯერად პირველად იყო, რომ ლორდებმა აშკარა წინააღმდეგობა გაუწიეს ელისაბედს. დედოფალი ამას არ მოელოდა. მათ ხომ წლების განმავლობაში ჩუმ-ჩუმად ჯამაგირს უხდიდა. რიჩოს მკვლელობა მწარე გაკვეთილი იყო ლორდებისათვის, იცოდნენ, რა მოელოდათ, თუ მარიამ სტიუარტი ჩაიგდებდა ხელთ ძალაუფლებას. ვერავითარმა მუქარამ და დაპირებებმა უარი ვერ ათქმევინა ბოთველზე. მისი შემზარავი წყევლა, ედინბურგში რომ ბრუნდებოდნენ

[1] *თვითონ ეძებს სარგებელს (ინგლ.).*

და საშინელი სასჯელით ემუქრებოდა მათ, ჯერ ისევ ყურებში ედგათ და ავს უქადდათ. იმისთვის კი არ ჩამოიშორეს გზიდან ჯერ რიჩო, შემდეგ დარნლეი და ბოთველი, რომ ისევ უჭკუო ქალის წყალობას დალოდებოდნენ. მათთვის ბევრად ხელსაყრელი იყო მისი შვილი — ერთი წლის ვაჟი აეყვანათ, რადგან ბავშვი სასტიკად ვერ მოეპყრობოდა მათ და ორი ათეული წლის განმავლობაში, სანამ არასრულწლოვანი მეფე არ დავაჟკაცდებოდა, ისინი იქნებოდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონები.

შემთხვევას მათთვის ხელთ რომ არ მიეცა ნამდვილად საშინელი მომაკვდინებელი იარაღი მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ, ლორდები აშკარა ურჩობას ვერ გაუბედავდნენ თავიანთ კეთილისმყოფელ ელისაბედს. კარბერი-ჰილთან ბრძოლიდან ექვსი დღის შემდეგ სულმდაბალმა მოღალატემ მეტად სასიხარულო ამბავი მოუტანა მათ. ჯეიმს ბალფური, ბოთველის მარჯვენა ხელი დარნლეის მკვლელობაში, საწინააღმდეგო ქარმა რომ დაქროლა, კარგად ვერ გრძნობდა თავს, მან საკუთარი ტყავის გადასარჩენად კვლავ სულმდაბლობის ჩადენა განიზრახა. ყოვლისშემძლე ლორდების მეგობრობა რომ დაემსახურებინა, გასცა შერისხული მეგობარი. ლორდებს საიდუმლოდ მეტად მნიშვნელოვანი ამბავი შეატყობინა, რომ გაქცეულ ბოთველს ედინბურგში მსახური გამოეგზავნა და დაევალებინა, მოეპარა ციხე-კოშკიდან ზარდახშა, რომელშიც მნიშვნელოვან ქაღალდებს ინახავდა. მსახური დალგლიში მაშინვე შეიპყრეს და საშინლად აწამეს. უბედურმა სიკვდილის შიშით გასცა, სადაც ინახებოდა ზარდახშა. მისი ჩვენებით, ციხე-კოშკში ერთ-ერთი საწოლის ქვეშ იპოვეს ვერცხლის ზარდახშა. იგი თავის დროზე ფრანცისკ II-მ თავის მეუღლეს, მარიამ სტიუარტს აჩუქა. მარიამ სტიუარტი კი არაფერს იშურებდა თავისი მიჯნური ბოთველისათვის და ეს საყვარელი ზარდახშაც მიუძღვნა. ამ ეშმაკურად მაგრად ჩასაკეტ ზარდახშაში ბოთველი ინახავდა პირად წერილებს, მათ შორის, ეტყობა, დედოფლის დაპირებასაც, რომ ცოლად გაჰყვებოდა, ასევე სხვა საბუთებთან ერთად, სახელს რომ უტეხდნენ ლორდებს, დედოფლის წერილებსაც. ბუნებრივია, ბორტუიკში ლორდებთან საბრძოლველად წასულ ბოთველს შეეშინდებოდა თან წაეღო ესოდენ მნიშვნელოვანი ქაღალდები. ამჯობინა, საიმედო ადგილას შეენახა და როცა შემთხვევა მიეცემოდა, ერთგული მსახური გაეგზავნა მის წამოსაღებად. „ბონდი“, რომლი-

თაც ეთათბირებოდა ლორდებს და მარიამ სტიუარტის დაპირებაც, ცოლად გაჰყოლოდა მას, მისი საიდუმლო წერილებიც, მძიმე წუთებში შეიძლებოდა ძალიან გამოსდგომოდა, როგორც დასამუქრებლად, ისე თავის დასაცავად. ამ წერილობითი საბუთებით მაგრად ჩაიჭერდა დედოფალს, თუ ეს თავქარიანი განუდგებოდა, ასევე ლორდებსაც, თუ ისინი ბრალს დასდებდნენ მკვლელობაში. იგრძნო თუ არა თავი უშიშრად, შერისხულმა ბოთველმა პირველ რიგში ის იფიქრა, როგორ ეგდო ხელთ ძვირფასი სამხილები. ლორდებისთვის ეს მეტად სასიხარულო ამბავი იყო: ჯერ ერთი, შეეძლოთ თავისუფლად გაენადგურებინათ წერილობითი საბუთები თავიანთი დანაშაულისა, თან ისინი უმოწყალოდ გამოეყენებინათ დედოფლის წინააღმდეგ.

ბონდის მეთაურს გრაფ მორტომს მხოლოდ ერთ ღამეს არ უხლია ხელი ჩაკეტილი ზარდახშისათვის. მეორე დღეს მოიწვია დანარჩენი ლორდები, მათ შორის, ეს განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, კათოლიკეები და მარიამ სტიუარტის მეგობრები და მათი თანდასწრებით გახსნა. შიგ აღმოჩნდა დედოფლის ცნობილი წერილები და მის მიერ დაწერილი სონეტები. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბევრით განსხვავდებოდა თუ არა ნაპოვნი ორიგინალები შემდგომ დაბეჭდილისგან, დარწმუნებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ წერილების შინაარსი მეტად უსიამოვნო უნდა ყოფილიყო მარიამ სტიუარტისათვის. ამიერიდან ლორდებს შეეძლოთ სხვაგვარად მოქცეულიყვნენ: უფრო დარწმუნებით, თამამად, დაჟინებით. ზეიმის პირველ წუთებში დრო არ დაკარგეს წერილების ასლების გადაღებაზე, მათ გადაკეთებაზე, ეჩქარებოდათ მთელი მსოფლიოსთვის მოედოთ ეს სასიხარულო ამბავი.

მერეის საფრანგეთში მსტოვარი გაუგზავნეს და შეატყობინეს შინაარსი იმ წერილებისა, რომლებიც განსაკუთრებით არცხვენდნენ დედოფალს. მიწერ-მოწერა გააბეს საფრანგეთის ელჩთან, აწამეს ბოთველის მსახურები, ვინც კი ხელთ ჩაუვარდათ და ჩაიწერეს მათი ჩვენებანი. ასე გულდაჯერებულად ვერ მოიქცეოდნენ, მათ მიერ ნაპოვნ ქაღალდებში საკმაოდ დამარწმუნებელი საბუთები რომ არ აღმოეჩინათ მარიამ სტიუარტის მონაწილეობისა მკვლელობაში. დედოფლის მდგომარეობა უცბად მკვეთრად გაუარესდა. ასეთ კრიტიკულ წუთებში ნაპოვნმა წერილებმა საკმაოდ განამტკიცა მეამბოხეთა პოზიციები. ბოლოს იპოვეს მათი ურჩობის გამამართლებე-

ლი საბუთები, რაც აქამდე არ გააჩნდათ. აქამდე მეფის მკვლელობას ბოთველს აბრალებდნენ, თან ფრთხილობდნენ ლტოლვილი მოთმინებიდან არ გამოეყვანათ და არ ემხილებინა მათი თანამონაწილეობა. მარიამ სტიუარტს მხოლოდ იმაში სდებდნენ ბრალს, რომ იგი ცოლად გაჰყვა მკვლელს. ახლა კი ნაპოვნი წერილების წყალობით ამ უცოდველმა კრავებმა უცბად შეიტყვეს, რომ დედოფალი თურმე თვითონ მონაწილეობდა მკვლელობაში. ის გაუფრთხილებელი წერილები ამ თავგამოდებულ ცინიკოსებსა და მოძალადეებს მტკიცე საბუთს აძლევდა მის დასადანაშაულებლად. როგორც იქნა, ხელთ იგდეს იარაღი, რომლის წყალობითაც დედოფალს აიძულებდნენ „ნებაყოფლობით“ გადაეცა ტახტი შვილისთვის. თუ წინააღმდეგობას გაუწევდა, შეეძლოთ დასაბუთებული ბრალდება წამოეყენებინათ მრუშობისა და მკვლელობაში მონაწილეობისა. აშკარად გამოსვლას ვერ ბედავდნენ და უნდოდათ, სხვისი ხელით ნარი ეგლიჯათ, რადგან მშვენივრად იცოდნენ, ელისაბედი ნებას არ მისცემდა თავიანთი დედოფლის გასამართლებისა. ამიტომ გონივრულად უკან დაიხიეს და ღია პროცესი მესამე პირს მიანდვეს. ეს მისია, მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ შეეგულიანებინა ხალხი, სიამოვნებით იკისრა სიბოროტით გაგიჟებულმა ჯონ ნოქსმა. რიჩოს მკვლელობის შენდეგ ფანატიკოსი მოძღვარი სიფრთხილის გამო გაიქცა შოტლანდიიდან. ახლა, როცა მისი ყველა ავის მომასწავებელი წინასწარმეტყველება „სისხლიანი იეზაბელის“ შესახებ და იმაზე, თუ რა უბედურებას დაიტეხდა თავს დედოფალი თავისი თავქარიანობით, არა თუ ახდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი წინასწარმეტყველის მანტიაში გახვეული დაბრუნდა ედინბურგში და აი, ამბიონიდან ხმამაღლა, გაბედულად გაისმის მოწოდება ცოდვილი პაპისტის წინააღმდეგ. ბიბლიური მოძღვარი მოითხოვდა მრუში დედოფლის სამსჯავროზე გადაცემას. მთელი კვირაობით არ ცხრებოდა რეფორმატორ მოძღვართა ხმა — დედოფალს არ ეპატიება ცოლქმრული ერთგულების დარღვევა და მკვლელობაო, — ჩასძახოდნენ ისინი მოზეიმე ხალხის ტალღას, მდაბიოთ. ეჩქარებოდათ მარიამ სტიუარტის დასჯა. ამ ყოველდღიურმა ჩიჩინმა თავისი გაიტანა. სიძულვილი, ეკლესიის ამბიონიდან რომ ანთხევდნენ, მალე მთელ ქვეყანას მოედო. მდაბიონი, რომელთაც შოტლანდიაში არასოდეს არც ხმა ჰქონიათ და არც უფლება, მოუთმენლად ელოდნენ როდის ჩააც-

მევდნენ დამნაშავის ტანსაცმელსა და ეშაფოტზე აიყვანდნენ ქალს, ვისაც ოდესღაც მოკრძალებით შესცქეროდნენ. თავიანთ დედოფალზე განსაკუთრებით გააფთრებულები იყვნენ ქალები. The women were most furious and impudent against her, yet the men were bad enough[1].

ყოველმა ღატაკმა ქალმა შოტლანდიაში იცოდა, რომ სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და კოცონი არ ასცდებოდა, თუ ასე უშიშრად აჰყვებოდა აღვირახსნილ ვნებას. განა იმიტომ, რომ დედოფალი იყო, შეეძლო ემრუშა, მკვლელობა ჩაედინა და არავის დაესაჯა? გააფთრებით გაჰყვიროდნენ: „კოცონზე დაწვით მრუში!“ — Burn the whore! შეშინებულმა ინგლისის ელჩმა ლონდონში შეატყობინა: „მეშინია, ეს ტრაგედია ისევე არ დამთავრდეს დედოფლისათვის, როგორც იტალიელი დავითისა და დედოფლის მეუღლისათვის დაიწყო“.

ლორდები ამასღა ელოდნენ. ქვემეხები მოაგროვეს, მზად იყვნენ აემოქმედებინათ, თუ დედოფალი უარს იტყოდა „ნებაყოფლობით“ გადადგომაზე. ჯონ ნოქსის მოთხოვნით საჯარო პროცესისათვის აქტიც შეადგინეს, რის მიხედვითაც მარიამ სტიუარტს ბრალად ედებოდა „კანონების დარღვევა“. ასევე ფრთხილად არჩევდნენ სიტყვებს — „თავშეუკავებელი საქციელი ბოთველთან და სხვებთან“ (incontinence with Bothwell and others). თუ დედოფალი ახლაც არ იტყოდა უარს ტახტზე, სასამართლოში ხმამაღლა წაიკითხავდნენ ზარდახშაში ნაპოვნ წერილებს, რომლებიც აშკარად მეტყველებდნენ, რომ მკვლელებს მფარველობდა და უფრო მეტ ლაფს დაასხამდნენ თავზე. ეს მთლად გაამართლებდა შეთქმულთ მსოფლიოს წინაშე. მკვლელობის მონაწილესა და მრუშს, ვინც თვითონვე აღიარებდა ამას თავის წერილებში, არც ელისაბედი დაუჭერდა მხარს და არც სხვა მონარქები. 25 ივლისს მელვილი და ლინდსეი ლოხლივენში გაემგზავრნენ, რომ დედოფალს საჯარო სამსჯავროს მოწყობით დამუქრებოდნენ, თან წაიღეს პერგამენტზე დაწერილი სამი აქტი, რომელზეც მარიამ სტიუარტს ხელი უნდა მოეწერა, თუ სურდა თავიდან აეცილებინა საჯარო ბრალდების სირცხვილი. პირველ აქტში ეწერა, რომ მოქანცა გვირგვინის ტარებამ და მოხარული იქნებოდა, თუ მოხსნიდნენ, რადგან არც ძალა გააჩნდა და არც სურვილი ბატონობისა. მეორეში თანხმობას აცხადებდა შვილის გამეფებაზე. მესამეში წინააღმდეგი

[1] *განსაკუთრებით ბობოქრობდნენ და ურცხვად იქცეოდნენ ქალები, თუმცა არც მამაკაცები ჩამორჩებოდნენ (ინგლ.).*

არ იყო, რომ რეგენტის მოვალეობა დაკისრებოდა მერეის, მის ნახევარძმას და სხვა ღირსეულ პირს.

მოლაპარაკებას აწარმოებდა მელვილი, ლორდებში ვინც ყველაზე ახლოს იყო მასთან. ორჯერ ჩამოვიდა, რომ ეს არეულობა მშვიდობით დასრულებულიყო. არიგებდა თავი დაენებებინა ბოთველისათვის, მაგრამ მარიამ სტიუარტმა უარი თქვა იმ მიზეზით, რომ ბავშვი, რომელსაც მუცლით ატარებდა, არ სურდა ბასტარდად დაბადებულიყო. მაგრამ ახლა, როცა წერილები იპოვეს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. პირველად დედოფალი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, ცრემლად იღვრებოდა, იფიცებდა, მიჯობს, სიცოცხლეს გამოვეთხოვო, ვიდრე გვირგვინს, ამ ფიცს არ გავტეხ უკანასკნელ ამოსუნთქვამდეო, მაგრამ მელვილი ულმობელი იყო. მუქი ფერებით დაუხატა, რაც მოელოდა: წერილების გამოქვეყნება, პირზე დადგომა ბოთველის მსახურებთან, ბოლოს საჯარო სასამართლო — დაკითხვა და განაჩენი. მარიამ სტიუარტს ძრწოლას ჰგვრიდა იმის გაფიქრება, რა საშინელ სირცხვილში ჩააგდო მისმა წინდაუხედაობამ. კარგა ხნის ყოყმანის, განრისხებისა და სასოწარკვეთილების შემდეგ იგი დათანხმდა და ხელი მოაწერა სამივე საბუთს.

ამრიგად, შეთანხმდნენ. მაგრამ ეს უჩვეულო არ იყო შოტლანდიური ბონდებისათვის, არც ერთი მხარე თავს ვალდებულად არ თვლიდა, შეესრულებინა მიცემული სიტყვა და ფიცი. თუმცა შეჰპირდნენ, ლორდებმა არ დააყოვნეს და პარლამენტში გამოაქვეყნეს მარიამ სტიუარტის წერილები. მთელმა ქვეყანამ გაიგო მისი მონაწილეობა მკვლელობაში. უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. თავის მხრივ მარიამ სტიუარტიც უსულო პერგამენტის ნაგლეჯზე ხელისმოწერით სულაც არ თვლიდა თავს ტახტიდან ჩამოგდებულად. ყველაფერს, რაც ჩვენს სიცოცხლეს აზრსა და მნიშვნელობას აძლევს — ღირსებას, ერთგულებას, მოვალეობას — არასოდეს ანიჭებდა ისეთ მნიშვნელობას სამეფო უფლებებთან შედარებით, რაც მისი სიცოცხლის ისევე განუყოფელი ნაწილი იყო, როგორც ძარღვებში მჩქეფარე სისხლი.

რამდენიმე დღის შემდეგ მცირეწლოვანი პრინცი მეფედ აკურთხეს: ეს უფრო მოკრძალებული სანახაობა იყო, ვიდრე გაშლილ მოედანზე აუტოდაფე იქნებოდა. ცერემონია სტირლინგში შედგა. ლორდ ეტოლს გვირგვინი მოჰქონდა, მორტონს — სკიპტრა, გლენკერნს —

მახვილი, მათ უკან მარი მოჰყვებოდა, ბავშვით ხელში, რომელსაც ამიერიდან იაკობ VI შოტლანდიელი ეწოდებოდა. მეფედ კურთხევის ცერემონიალი ჯონ ნოქსმა რომ შეასრულა, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფდა, რომ ეს ბავშვი, ახალკურთხეული მეფე, სამუდამოდ თავისუფლდებოდა რომის ცრურწმენებისგან. ციხე-კოშკის ჭიშკარს გადაღმა ხალხი ზეიმობდა, საზეიმოდ გუგუნებდა ზარები. ყველგან კოცონები დაანთეს. რამდენიმე ხანს, შოტლანდიაში სიხარულმა და სიმშვიდემ დაისადგურა.

ახლა, როცა ძნელი და უსიამოვნო სამუშაო შესრულდა, მერეის, ამ საინტერესო როლების შემსრულებელ მსახიობს, აღარაფერი უშლიდა ხელს, შინ ტრიუმფით დაბრუნებულიყო. ახლაც ბრწყინვალედ გაუმართლა ცბიერმა ტაქტიკამ — საშიში გადატრიალების წუთებში მიიმალა. იგი არ ყოფილა შოტლანდიაში რიჩოს მკვლელობის დროს, არ ყოფილა დარნლეის მკვლელობისას, არც დის წინააღმდეგ ამბოხებაში მიუღია მონაწილეობა. მის ერთგულებაში ეჭვი არავის შეჰპარვია, ხელები სისხლში არ შეუღებავს. დრომ ხელი შეუწყო მას, ვინც ჭკვიანურად გაიპარა სცენიდან. რადგან გონივრულად ლოდინის უნარი შესწევდა, განუსჯელად უვარდებოდა ხელთ, რის მოპოვებასაც ეშმაკურად ცდილობდა. როგორც ყველაზე ჭკვიან ლორდს, ერთხმად შესთავაზეს რეგენტობა.

მაგრამ მერეი მბრძანებლად იყო დაბადებული, კარგად იცოდა, როგორ დაეჭირა თავი. უცბად შორს დაიჭირა შემოთავაზებული პატივი. იგი მეტისმეტად ჭკვიანი იყო და იმ ხალხის მოწყალება არ სჭირდებოდა, ვისზედაც თვითონ უნდა ემბრძანებლა. ამასთან კიდევ, არავინ დაიჯერებდა, რომ მოყვარული და მორჩილი ძმა პრეტენზიას არ აცხადებდა იმ უფლებებზე, რაც მის დას ძალით წაართვეს. არა, დაე, თვითონ მარიამ სტიუარტმა (რა ფსიქოლოგიური, ოსტატური შტრიხია) სთხოვოს რეგენტობა. აჯანყებულმა ლორდებმა და ტახტიდან ჩამოგდებულმა დედოფალმა — ორივე მხარემ სთხოვოს.

მისი მოსვლის სცენას ლოხლივენში დიდი დრამატურგი თუ აღწერს. ძმის დანახვაზე ტანჯულმა ქალმა თავი ვეღარ შეიკავა, მივარდა და გადაეხვია. აი, ახლა კი დაამშვიდებენ, მხარს დაუჭერენ, მეგობრობას შეჰპირდებიან და რაც მთავარია, რჩევას მისცემენ. მაგრამ მერეი განზრახ გულგრილად უყურებდა მის მღელვარებას. მერე საწოლ ოთახში გაიყვანა და სასტიკად გაჰკიცხა ყველაფრისათვის,

რაც ჩაიდინა, ერთი სიტყვითაც კი არ მიუცია შეწყნარების იმედი. მისი გულგრილობით თავზარდაცემული დედოფალი ცრემლად იღვრებოდა, თავს იმართლებდა, მაგრამ შუბლშეკრული ბრალმდებელი მერეი დუმდა, დუმდა, დუმდა. სასოწარკვეთილი ქალი რომ შეეშინებინა, თავი ისე ეჭირა, თითქოს უფრო საშინელი ამბის სათქმელად იყო მოსული.

მთელ ღამეს ამყოფა მერეიმ შიშის ამ სალხინებელში და. ურწმუნოების დამღუპველი შხამი, წვეთ-წვეთად რომ აწვეთებდა, ჯერ მის სულში უნდა შეჭრილიყო. სამყაროსგან მოწყვეტილმა ფეხმძიმე ქალმა (უცხოელ ელჩებს აკრძალული ჰქონდათ მისი ნახვა) არ იცოდა, რა მოელოდა: საჯარო დადანაშაულება თუ სასამართლო, სირცხვილი თუ სიკვდილი. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით უკვე გატეხილი იყო მისი წინააღმდეგობის ძალა. ახლა მერეიმ ცოტათი შეიბრალა, ფრთხილად გადაუკრა, გაქცევას და უცხო სახელმწიფოების სამეფო კართან კავშირის გაბმას თუ არ ეცდები და, რაც მთავარია, ბოთველს თუ ჩამოშორდები, იქნებ შევძლოთ (ამას ურწმუნო ტონით ამბობდა) შენი ღირსება დავიცვათ მსოფლიოს თვალშიო. ამ იმედის ნაპერწკალმა გამოაცოცხლა უბედური, სასოწარკვეთილი ქალი. მოეხვია ძმას, სთხოვა, შეევედრა, შენ იკისრე რეგენტის ტვირთიო. შვილიც საიმედო ხელში მეყოლება, სახელმწიფო — ბრძენი გამგებლის ხელში, მე კი თავს უსაფრთხოდ ვიგრძნობო, გულმხურვალედ ევედრებოდა. ძმამ დიდხანს ახვეწინა მოწმეთა თვალწინ, სანამ დიდსულოვნად არ დათანხმდა იმაზე, რისთვისაც აქ მოვიდა. მერეი კმაყოფილი წავიდა, მარიამ სტიუარტიც დამშვიდებული დატოვა.

ახლა, როცა იცოდა, ძალაუფლება ძმის ხელში იყო, თავს იმით ინუგეშებდა, რომ სახელისგამტეხ წერილებს საიდუმლოდ შეინახავდა და მის ღირსებასაც ჩრდილი არ მიადგებოდა.

მაგრამ უძლურს არავინ შეიწყალებს. როგორც კი მერეიმ ხელთ იგდო სახელმწიფო სადავეები, პირველ ყოვლისა, იმას ცდილობდა, დის ტახტზე დაბრუნება შეუძლებელი გაეხადა. როგორც რეგენტს, სურდა მორალურად გაენადგურებინა უსიამოვნო კონკურენტი. სიტყვაც არავის დაუძრავს მის გათავისუფლებაზე. პირიქით, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ კვლავ ტყვეობაში ჰყოლოდათ. თუმცა მერეიმ ელისაბედს სიტყვა მისცა, დასაც შეჰპირდა, დაეცვა მისი

ღირსება, მისი დასტურითა და ნებართვით 15 დეკემბერს შოტლანდიის პარლამენტში ხმამაღლა წაიკითხეს ვერცხლის ზარდახშიდან ამოღებული მარიამ სტიუარტის თავისმომჭრელი წერილები და სონეტები, შეადარეს და მისად აღიარეს. ოთხმა ეპისკოპოსმა, თხუთმეტმა ლორდმა და ოცდაათზე მეტმა წვრილმა აზნაურმა, მათ შორის დედოფლის მრავალმა მეგობარმა, ფიცით დაადასტურა წერილებისა და სონეტების ორიგინალობა. არც ერთ მის მეგობარს (ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია!) ოდნავადაც ეჭვი არ შეჰპარვია. ამგვარად, პარლამენტის სხდომა ტრიბუნალად იქცა. უხილავად იდგა დედოფალი თავის ქვეშევრდომთა სამსჯავროს წინაშე. როგორც კი წერილები წაიკითხეს, ბოლო თვეების ყოველი უკანონობა — ამბოხება, დატყვევება, კანონიერად ცნეს. აშკარად აცხადებდნენ, რომ დედოფალმა სასჯელი დაიმსახურა, რადგან მან დართო ნება, დასტური მისცა ქმრის მკვლელობაზე (art and part), რასაც ამტკიცებდა ბოთველის, მკვლელობის მთავარი მოთავისადმი მიწერილი წერილები მკვლელობამდეც და მის შემდეგაც, ასევე სამარცხვინო ქორწინება მკვლელობიდან სულ მალე. მარიამ სტიუარტის დანაშაული მთელი მსოფლიოსათვის რომ მოედოთ და ყველას სცოდნოდა, პატიოსანი, წესრიგის მოყვარული ლორდები წმინდა მორალური თვალსაზრისით აღდგნენ მის წინააღმდეგო, უცხოეთის სამეფო კარზე წერილების ასლები დაგზავნეს. მთელი მსოფლიოს თვალში ასე გამოაცხადეს მარიამ სტიუარტი განკიცხულად და შუბლზე სამარცხვინო დაღი დაასვეს. მერეისა და ლორდების აზრით, ასე სამარცხვინო დაღდასმული ვეღარ გაბედავდა ტახტის მოთხოვნას.

მაგრამ მარიამ სტიუარტის შეგნებაში ისე მტკიცედ გამჯდარიყო მეფური დიდება, რომ ვერც ლანძღვა და ვერც შეგინება ვერ წაშლიდა მას. ღვთის რჩეულს ვერავითარი დაღი ვერ დაუმახინჯებდა მეფური გვირგვინის მატარებელ შუბლს. ვერა განაჩენი და ბრძანება ვერ დაახრევინებდა თავს და რაც უფრო მეტად უტეხდნენ სახელს, მით უფრო ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა. ამგვარი ნებისყოფის ქალს ტყვეობაში ვერ იყოლიებდნენ, ქვის კედელს, ჯებირს გაანგრევდა, ხოლო თუ ბორკილებს დაადებდნენ, ააჟღარუნებდა, რომ კედლებიც შეეზანზარებინა და ადამიანთა გულებიც.

თავისუფლების დაკარგვა
1567 წლის ზაფხულიდან 1568 წლის ზაფხულამდე

თუ ბოთველის ტრაგედიის ნაღვლიანი სცენები მხატვრული ხორცშესხმისათვის შექსპირის გენიალობას მოითხოვდა, ლოხლივენის ციხეში გათამაშებული ეპილოგის უფრო რბილი, რომანტიკულად ამაღელვებელი სცენების შექმნა ნაკლები მნიშვნელობის მწერალს — ვალტერ სკოტს ხვდა წილად. და მაინც, ვინც ეს წიგნი ბავშვობაში, ყმაწვილობაში წაიკითხა, ბევრად უფრო მეტს მისცემს, ვიდრე რომელიც გნებავთ ისტორიული სიმართლე, რადგან ზოგჯერ მშვენიერი ლეგენდა სინამდვილეს ჯობნის. სიჭაბუკეში როგორ გვიყვარდა ეს სცენები, რა ცოცხლად ჩაგვწვდებოდა ხოლმე სულში ეს სახეები და გულს გვიძგერებდა. სიუჟეტი შეიცავს ამაღელვებელი რომანტიკის ყველა ელემენტს; მკაცრი მცველები, რომლებიც იცავდნენ უდანაშაულო პრინცესას და სულმდაბალი ცილისმწამებელნი, თავს რომ სჭრიდნენ მას. თვით იგი, ნორჩი, კეთილი, მშვენიერი, მტრების სიმკაცრეს ჯადოსნურად კეთილ გრძნობად რომ აქცევდა, მამაკაცთა გულებს რაინდული სამსახურისთვის აღაფრთოვანებდა. მაგრამ არა მარტო სიუჟეტი, რომანტიკულია სცენური გაფორმებაც — ნაღვლიანი ციხე მშვენიერი ტბის სიღრმეში. პრინცესას შეუძლია დაბინდული მზერა მოავლოს და თავისი ციხე-კოშკიდან დატკბეს მშვენიერი შოტლანდიის ცქერით, მომხიბვლელი, მშვენიერი მხარით, მისი ტყეებითა და მთებით. სადღაც შორს კი ჩრდილოეთის ზღვა ღელავს.

შოტლანდიელთა გულებში დამარხული მთელი პოეტური ძალები თითქოს კრისტალდებოდა მათი საყვარელი დედოფლის ცხოვრების ამ რომანტიკული ეპიზოდის გარშემო. და როცა ამგვარ ლეგენდას სრულყოფილად ხორცს შეასხამენ, იგი ღრმად შეიჭრება ხალხის

სისხლში. ყოველი თაობა თავისებურად გადმოსცემდა მის ამბავს, უკვდავ ხესავით ყოველწლიურად ისხამდა ახალ ყლორტებს. ამ დიდი ჭეშმარიტების გვერდით არსებობს ისტორიული ფაქტების უბრალო ნაყარნუყარი, რადგან ის, რასაც ერთხელ მშვენივრად ხორცი შეესხა, საუკუნეებს გადაეცემა და ცოცხლობს, ვით მშვენიერი. რაც წლები გადის, ასაკში შევდივართ და უნდონი ვხდებით, ვცდილობთ, ამაღელვებელ ლეგენდაში ჭეშმარიტება ამოვიკითხოთ, იგი საოცრად მახვილი გვეჩვენება, ისე ვით უგულო პროზად მოთხრობილი ლექსი.

მაგრამ ლეგენდას საფრთხე იმით ემუქრება, რომ მასში ჭეშმარიტად ტრაგიკული იმალება და წინა პლანზე გამოდის ამაღელვებელი. ამგვარად, რომანტიკული ბალადა მარიამ სტიუარტის ლოხლივენის ტყვეობაზე დუმს დედოფლის ჭეშმარიტ, ადამიანურ მწუხარებაზე. ვალტერ სკოტი თითქოს განზრახ ივიწყებს, რომ მის რომანტიკულ პრინცესას იმ ხანებში გულს უმძიმებდა დადანაშაულება ქმრის მკვლელობაში. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი უდიდესი სულიერი დრამა იმ დამცირების საშინელ თვეებში. თუ ბავშვი, რომელსაც იგი მუცლით ატარებდა, როგორც მოსალოდნელი იყო, დროზე ადრე დაიბადებოდა, ყველას შეეძლო ბუნების უცვლელი კალენდრის მიხედვით შეუბრალებლად გამოეანგარიშებინა, როდის ეკუთვნოდა მარიამ სტიუარტის სხეული ბოთველს. თუნდაც დღე და საათი არ ყოფილიყო ცნობილი, ეს სიყვარული უფლებისა და მორალის თვალსაზრისით, ცოლქმრულ ღალატს, გარყვნილებას უდრიდა და ქმარზე მგლოვიარობის დროს მოხდა სეტონში თუ ჟინიანი ხეტიალისას ციხიდან ციხეში, ან მანამდე, ქმრის სიცოცხლეში, ერთნაირად სამარცხვინო იყო. თვალწინ წარმოგვიდგება სასოწარკვეთილი ქალის სულიერი ტანჯვა, როცა მოვიგონებთ, რომ ბოთველის ბავშვის დაბადება მთელ მსოფლიოს კალენდარული სიზუსტით გადაუშლიდა მისი დანაშაულებრივი გზნების დასაწყისს.

მაგრამ ამ საიდუმლოს ჯერ არ ჩამოსცლია საბურველი. არ ვიცით, რა ხნის ფეხმძიმე იყო მარიამ სტიუარტი, როცა ლოხლივენში მიიყვანეს, არ ვიცით, როდის გათავისუფლდა მტანჯველი შიშისგან, არც ის ვიცით, ბავშვი ცოცხალი დაიბადა თუ მკვდარი, ანდა რამდენი კვირისა ან თვისა იყო აკრძალული სიყვარულის ნაყოფი, როცა დედას წაართვეს. აქ ყველაფერი ბნელით არის მოცული, ყველა ცნობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მხოლოდ ერთი რამ არის ნათელი —

მარიამ სტიუარტს საკმაო საფუძველი ჰქონდა, დაემალა თავისი დედობის თარიღი. არც ერთ წერილში, არც ერთი სიტყვით (ეს უკვე საეჭვოა) არ ახსენებს ბოთველის შვილს. ოფიციალური ცნობით, მისმა მდივანმა ნაუმ რომ შეადგინა მისი მონაწილეობით, ნაადრევად უშობია მკვდარი ტყუპი. ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ იგი მოელოდა ნაადრევ მშობიარობას, ტყუილად კი არ წაიყვანა ტყვეობაში თავისი მეაფთიაქე. მეორე, ასევე ნაკლებ სარწმუნო ვერსიით, ბავშვი, გოგონა დაიბადა ცოცხალი და ჩუმად წაიყვანეს საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა ერთ-ერთ ქალთა მონასტერში, ისე, რომ არ იცოდა თავისი მეფური წარმომავლობა. მაგრამ სინამდვილეს სქელი ბურუსი ფარავს და ვარაუდი და მკითხაობა კვლევისათვის უძლური საბუთებია. მარიამ სტიუარტის უკანასკნელი საიდუმლოს გასაღები ლოხლივენის ტბის ძირას გდია.

თუნდაც ის გარემოება, რომ მარიამ სტიუარტის მცველებმა უშველეს მას დაეფარა დაბადების, უკანონო ბავშვის შობის საშინელი საიდუმლო, იმაზე მეტყველებს, რომ ისინი არც ისეთი ურჩხულები ყოფილან, როგორსაც რომანტიკული ლეგენდა გვიხატავს. ლოხლივენის ქალბატონი ლედი დუგლასი, რომელსაც ლორდებმა მარიამ სტიუარტის მეთვალყურეობა მიანდვეს, ოცდაათი წლის წინ მისი მამის საყვარელი იყო. ექვსი შვილი გაუჩინა მან იაკობ V-ს (მათ შორის უფროსი იყო გრაფი მერეი), სანამ ცოლად ლოხლივენელ გრაფ დუგლასს გაჰყვებოდა, ვისაც ასევე შვიდი შვილი უშობა. ქალი, რომელმაც ცამეტჯერ გამოცადა მშობიარობის ტკივილები და იტანჯებოდა, რომ მისი პირველი შვილები უკანონოები იყვნენ, ყველაზე მეტად გაუგებდა მარიამ სტიუარტს. სიმკაცრე, რასაც მას აბრალებენ, ეტყობა, სიცრუე და ცილისწამება გახლდათ. უნდა ვიფიქროთ, ტყვე ქალი ლოხლივენში საპატიო სტუმარი იქნებოდა. მის განკარგულებაში იყო მრავალი ოთახი, თან ახლდნენ ჰოლირუდიდან ჩამოყოლილი მზარეულები, მეაფთიაქე, ასევე ოთხი თუ ხუთი დაახლოებული ქალი. ციხე-კოშკში სრული თავისუფლებით სარგებლობდა და თითქოს სანადირო დაც კი დადიოდა. თუ საგნებს საღი თვალით შევხედავთ, რომანტიკული გზნების გარეშე, მეტად მოწყალედ ექცეოდნენ. მართლაც, რომანტიკა გვაიძულებს, დავივიწყოთ ეს. ქალს, რომელიც მკვლელობიდან სამი თვის შემდეგ გაბედავს და ცოლად გაჰყვება ქმრის მკვლელს, ასევე ბრალად ედება დანა-

შაულებრივი თავქარიანობა, სასამართლო ჩვენს დროშიც უეჭველად თანამონაწილედ მიიჩნევს, თუნდაც რომ მხედველობაში მიიღოს შემამსუბუქებელი მდგომარეობა — სულიერი აშლილობა ან სხვისი ნების დამორჩილება. ერთი სიტყვით, თუ დედოფალს, ვინც თავისი შფოთიანი ქცევით სიმშვიდე დაურღვია ქვეყანას და აღაშფოთა მთელი ევროპა, რამდენიმე ხანს აიძულებდნენ მშვიდად ყოფილიყო. ეს არა მარტო ქვეყნის საკეთილდღეო იქნებოდა, თვითონ მისიც. ტყვეობაში მას საშუალება მიეცა, დაემშვიდებინა ნერვები, აღედგინა დარღვეული წონასწორობა, ბოთველის მიერ გატეხილი ნებისყოფა. ლოხლივენის ტყვეობამ ეს უგუნური ქალი რამდენიმე ხნით იხსნა ყველაზე დიდი საფრთხისგან — მღელვარებისა და მოუთმენლობისგან.

იმასთან შედარებით, რაც წილად ხვდა მის თანამონაწილესა და მიჯნურს, ეს რომანტიკული ტყვეობა მართლაც რომ რბილი სასჯელი იყო ამდენი უჭკუობისათვის. სხვაგვარად დატრიალდა ბოთველის ბედი. თუმცა შეჰპირდნენ, დევნას არ დაგიწყებთო, გააფთრებული ბრბო ზღვასა თუ ხმელეთზე ეძებდა დევნილს. მისი თავი ათას შოტლანდიურ კრონად იყო შეფასებული. ბოთველს სწამდა, ყველაზე საიმედო მეგობარიც კი გასცემდა ამ ჯილდოსთვის. მაგრამ არც ისე ადვილი იყო მამაცი კაცის დაჭერა: ჯერ ცდილობდა თავისი ერთგულნი შეეკრიბა უკანასკნელი წინააღმდეგობის გასაწევად, ბოლოს კი ორკნეის კუნძულებზე გაიქცა, რომ იქიდან ომი გამოეცხადებინა ლორდებისათვის. მაგრამ მერეიმ ოთხი გემი გააჩხრეკინა კუნძულზე და ბოთველი ძლივს დაუსხლტა ხელიდან მდევნელებს. დაფუტრული ნავით ღია ზღვაში გავიდა. ქარიშხალში მოხვდა. დაფლეთილიალქნებიანი ნავით კურსი ნორვეგიის ნაპირებისკენ აიღო, სადაც ხელთ იგდო დანიურმა სამხედრო გემმა. გაცემის შიშით ბოთველს თავისი ვინაობა არ გაუმხელია. ერთი მეზღვაურისგან ტანსაცმელი ითხოვა, სჯობდა, ნაპირზე მეკობრედ ჩასულიყო, ვიდრე შოტლანდიის დევნილ მეფედ. მაგრამ მალე გაიგეს, ვინც იყო, ხან აქეთ გადაგზავნეს, ხან იქით, ერთხანს თავისუფლად დადიოდა დანიაში. ის იყო, გადარჩენას ზეიმობდა, რომ თავზე ხელაღებულ არშიყს ნემეზიდა ეწვია. მისი მდგომარეობა შეიცვალა: ვიღაც დანიელმა ქალმა, თავის დროზე ცოლად შერთვას რომ შეჰპირებოდა და შეეცდინა, უჩივლა. ამასობაში კოპენჰაგენ-

შიც გაიგეს, რა დანაშაულიც ედებოდა ბრალად. ახლა უეჭველად თავის მოკვეთა ელოდა. დიპლომატი შიკრიკები აქეთ-იქით მიდიმოდიოდნენ. მერეი მის თავს მოითხოვდა. განსაკუთრებით გააფთრებული იყო ელისაბედი. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ ცოცხალი მოწმის შეძენას. თავის მხრივ მარიამ სტიუარტის ფრანგი ნათესავებიც ჩუმჩუმად ხლაფორთობდნენ, რომ დანიის მეფეს არ გაეცა საშიში მოწმე. ბოთველს თანდათან მკაცრი პირობები შეუქმნეს პატიმრობისა, თუმცა მეორე მხრივ, ციხე იცავდა შურისძიებისგან. კაცი, ბრძოლის ველზე წარბსაც კი რომ არ შეიხრიდა ურიცხვი მტრის წინააღმდეგ, ყოველდღე შიშით ელოდა, რომ ბორკილებდადებულს სამშობლოში გაგზავნიდნენ და საშინელი წამებით დასჯიდნენ, როგორც მეფის მკვლელს. ერთი ჯურღმულიდან მეორეში გადაჰყავდათ. საშიში მხეცივით გისოსებში ჰყავდათ გამომწყვდეული. სიკვდილს ნატრობდა. საშინელ მარტოობაში უღიმღამოდ მისდევდა კვირა კვირას, თვე თვეს, წელიწადი წელიწადს ამ ძლიერი, მგზნებარე ენერგიის პატრონი კაცის, მტრის რისხვის, ქალების კერპისათვის. ამ მოუსვენარი, ჯან-ღონით აღსავსე კაცისათვის, მკერდგაშლილი რომ ისუნთქავდა თავისუფლებას, ქარიშხალივით მისდევდა ნადირს ველზე, ერთგულ მებრძოლებთან ერთად მტერს უმკლავდებოდა, ყოველი ქვეყნის ქალებს სიყვარულით აჯადოებდა, ყოველი ამქვეყნიური სიხარული იგემა, ტანჯვაზე უარესი იყო ეს მარტოობა ყრუ, ცივ, პირქუშ კედლებში. ეს დაკარგული დრო სიცოცხლის ენერგიას ართმევდა. გადმოცემით, რაც ადვილი დასაჯერებელია, გააფთრებული მხეცივით აწყდებოდა თურმე თავისი სატუსაღოს რკინის ცხაურებს და საცოდავ შეშლილად დაასრულა სიცოცხლე. იმ მრავალ ადამიანთა შორის, რომელთაც მარიამ სტიუარტისათვის ტანჯვა და სიკვდილი ხვდათ წილად, ამ მისთვის ყველაზე საყვარელ კაცს ყველაზე საშინელი და ხანგრძლივი წამება ერგო.

მაგრამ მარიამ სტიუარტს კიდევ ახსოვდა ბოთველი? განშორების შემდეგაც მისი ნებისყოფის გავლენის ქვეშ იყო თუ ცეცხლი გაუნელდა? ეს არავინ იცის. როგორც მრავალი მხარე მისი ცხოვრებისა, ესეც საიდუმლოებით არის მოცული. მხოლოდ ერთი რამ გაკვირვებთ. წამებულმა მშობიარობის შემდეგ მოიშორა თუ არა დედობის ტვირთი, კვლავ ქალური მომხიბვლელობით აღივსო. კვლავ აღელვებდა

და ხიბლავდა მამაკაცებს. კვლავ (ახლა მესამედ) ჩაითრია ახალგაზრდა მამაკაცი თავისი ბედის ორბიტში.

ერთხელ კიდევ მინდა მწუხარებით აღვნიშნო: ჩვენამდე მოღწეული პორტრეტები მარიამ სტიუარტისა უმეტესწილად საშუალო ნიჭის მხატვრების მიერ არის შესრულებული და ვერ გვახედებენ მის სულში. ყოველი ტილოდან შემოგვცქერის საყვარელი, მშვიდი, ალერსიანი სახე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გადმოგვცემს იმ სულიერ სიმშვენიერეს, რაც უეჭველად გააჩნდა ამ საოცარ ქალს. უნდა ვიფიქროთ, რომ მას რაღაც განსხვავებული, ქალური მომხიბვლელობა ჰქონდა, რადგან ყველგან, თვით მტრებშიც კი, მეგობრებს იჩენდა. საპატარძლო იყო თუ ქვრივი, ყოველ მდგომარეობაში მისდამი თანაგრძნობითა და სიმპათიით იმსჭვალებოდნენ. ჰაერიც კი მის გარშემო თითქოს სითბოთი და ალერსით იყო გაჟღენთილი. მივიდა თუ არა ლოხლივენში, მაშინვე მოხიბლა ახალგაზრდა ლორდი რუტვენი, ერთ-ერთი მცველი. ლორდები იძულებული გახდნენ, თავიდან მოეშორებინათ იგი. მაგრამ რუტვენმა დატოვა თუ არა ციხე-კოშკი, სხვა ახალგაზრდა ლორდი, ჯორჯ დუგლას ლოხლივენელი მოხიბლა. რამდენიმე კვირის შემდეგ მისი მეციხოვნის ვაჟი მისი გულისათვის სიკვდილსაც კი არ შეუშინდებოდა. იგი ყველაზე ერთგულ და გულმოდგინე შემწედ გაუხდა მარიამ სტიუარტს გაქცევისას.

განა მხოლოდ შემწე, იქნებ შემწეზე მეტიც იყო ტყვეობაში. ეს სიყვარული მხოლოდ რაინდულ, პლატონურ სიყვარულად დარჩა თუ არა, Ignorabimus[1]. ყოველ შემთხვევაში, მარიამ სტიუარტს არ შერცხვენია, ყმაწვილი ლორდის გრძნობა გამოეყენებინა და არც ეშმაკობა და სიცრუე დაუშურებია. გარდა მომხიბვლელობისა, სხვა რამითაც იზიდავდა იგი ყმაწვილ კაცებს: მის ხელთან ერთად დაუფლებოდნენ ძალაუფლებასაც. მაგნიტური ძალით იზიდავდა ყველას, ვისაც კი შეხვედრია ცხოვრების გზაზე. იქნებ მარიამ სტიუარტმა (აქ მხოლოდ ვარაუდს უნდა დავეყრდნოთ) ყმაწვილი დუგლასის ხარბი დედა ქორწინებით მოხიბლა, რომ მისი მოწყალება დაემსახურებინა, რადგან დაცვა თანდათან შესუსტდა. მარიამ სტიუარტს ახლა შეეძლო, შესდგომოდა თავის სანუკვარ გათავისუფლების საქმეს.

პირველი ცდა (25 მარტს) თუმცა ჭკვიანურად იყო მოფიქრებული, მარცხით დამთავრდა. ყოველ კვირას ციხე-კოშკის ერთ-ერთი

[1] *ვერასოდეს გავიგებთ (ლათ.).*

მრეცხავი სხვა მსახურებთან ერთად ნავით ნაპირზე გადადიოდა და ისევ უკან ბრუნდებოდა. დუგლასმა დაიყოლია მრეცხავი და ისიც დათანხმდა დედოფლისათვის ტანსაცმელი გაეცვალა. თავზე სქელ თავსაფარჩამოფარებული, მსახურის უხეშ ტანსაცმელში გამოწყობილი მარიამ სტიუარტი ადვილად გაეპარა დაცვას ციხე-კოშკის ალაყაფიდან. იგი ჩავჯდა ნაპირისკენ მიმავალ ნავში, იქ კი ცხენებით ჯორჯ დუგლასი ელოდებოდა. მაგრამ აქ ერთ მენიჩბეს გახუმრება მოუნდა ტანწერწეტა, სახეზე პირბადეჩამოფარებულ მრეცხავთან, რომ ენახა, ლამაზია თუ არაო, პირბადის ჩამოგლეჯა მოუნდომა. შეშინებულმა მარიამ სტიუარტმა საბურველზე იტაცა წვრილი, თეთრი, ნაზი ხელები. სწორედ ამ ნაზმა, თლილმა, თეთრმა თითებმა, რაც არ შეიძლებოდა ჰქონოდა მრეცხავს, გასცა იგი. მენიჩბეებმა ალიაქოთი ატეხეს და თუმცა გააფთრებულმა დედოფალმა უბრძანა, ნავი ნაპირისკენ გაეცურებინა, მათ შემოატრიალეს და კვლავ ციხეში მიიყვანეს.

ეს ამბავი მაშინვე შეატყობინეს ხელისუფალთ და დაცვა გააძლიერეს. ჯორჯ დუგლასს აუკრძალეს ციხე-კოშკში მისვლა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ მახლობლად დასახლებულიყო და დედოფალთან კავშირი დაემყარებინა. ამ ერთგულმა მსახურმა მოძებნა მისი მომხრეები. საოცარია, მაგრამ უკანონოდ გამოცხადებულ, მკვლელობაში ბრალდადებულ დედოფალს მერეის ერთი წლის მმართველობის შემდეგ კვლავ გაუჩნდა მომხრეები. ზოგიერთი ლორდი, მათ შორის ჰანთლეი და სეტონი ნაწილობრივ მერეის სიძულვილის გამო მუდამ ერთგულნი დარჩნენ დედოფლისა. მაგრამ მეტად გასაოცარი ის გახლდათ, რომ დედოფალმა ყველაზე გულმოდგინე მომხრეები თავის მოსისხლე მტრებში, ჰამილტონებში პოვა. ჰამილტონებსა და სტიუარტებს ოდითგანვე მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. ჰამილტონები — ყველაზე ძლიერი გვარი სტიუარტების შემდეგ — სტიუარტებს თავგამოდებით ეცილებოდნენ გვირგვინში თავიანთი გვარისათვის. ახლა კი მოხერხებული შემთხვევა მიეცათ, ერთ-ერთი თავიანთი ვაჟიშვილი მარიამ სტიუარტთან ქორწინებით შოტლანდიის ტახტზე აეყვანათ. ეს მოსაზრება აიძულებდათ (პოლიტიკისათვის რა არის მორალი!) დამდგარიყვნენ იმ ქალის მხარეზე, ვის დასჯასაც რამდენიმე თვის წინ მოითხოვდნენ ქმრის მკვლელობისათვის. ძნელია თქმა, მარიამ სტიუარტი სერიოზულად ფიქრობდა

თუ არა (იქნებ ბოთველი დაივიწყა?), ცოლად გაჰყოლოდა ერთ-ერთ ჰამილტონს? ეტყობა, თანხმობა ანგარიშიანობის გამო განაცხადა. ამით იმედოვნებდა, თავისუფლება მოეპოვებინა. ჯორჯ დუგლასი, რომელსაც ასევე შეჰპირდა თავის ხელს, შუამავალი იყო ამ მოლაპარაკებაში, ამასთან იგი მეთაურობდა მთელ საქმეს. 2 მაისისათვის საქმე უკვე დამთავრებული იყო და როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, როცა წინდახედულობას სიმამაცე ცვლის, მარიამ სტიუარტი უშიშრად ისწრაფოდა ბურუსით მოცული მომავლისკენ.

ეს გაქცევა ძალზე რომანტიკული იყო, ისეთი როგორიც რომანტიკულ დედოფალს შეჰფეროდა. მარიამ სტიუარტს თუ ჯორჯ დუგლასს კოშკში შემწე გაუჩნდათ, ყმაწვილი უილიამ დუგლასი, რომელიც აქ პაჟად მსახურობდა. გულისხმიერმა, მკვირცხლმა ყმაწვილმა ღირსეულად შეასრულა თავისი ამოცანა. ლოხლივენში მკაცრი წესები შემოიღეს. როცა ყველა ვახშამს შემოუსხდებოდა, რაიმე რომ არ მომხდარიყო, ციხე-კოშკის გასაღებებს ციხის კომენდანტი თეფშთან იდებდა. ნავახშმევს წაიღებდა და სასთუმალქვეშ ინახავდა. სუფრასთანაც კი არ იშორებდა ხელიდან. ახლაც წინ ედო მძიმე, მბრწყინავი ასხმულა. კერძები რომ ჩამოატარეს, ჭკვიანმა, ცელქმა ბიჭმა გასაღებებს შეუმჩნევლად ხელსახოცი გადააფარა. როცა სუფრასთან მსხდომნი კარგა შექეიფიანდნენ და უდარდელად საუბრობდნენ, ბიჭმა ისარგებლა, სუფრიდან ხელსახოცთან ერთად გასაღებებიც აიღო. მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოფიქრებული ჰქონდათ. მარიამ სტიუარტმა ერთ-ერთი მსახურის ტანსაცმელი ჩაიცვა. ბიჭი წინ მიდიოდა, აღებდა კარს და გულმოდგინედ კეტავდა გარედან, რომ მდევნელებს გასჭირვებოდათ გამოსვლა. ბოლოს გასაღებების მთელი ასხმულა ტბაში გადაისროლა. რაც კუნძულზე ნავი იყო, წინასწარ ერთმანეთზე გადაება და ახლა თავის ნავს შუა ტბაში გააყოლა. ამით მდევნელებს გზა მოუჭრა. ისღა დარჩენოდათ, მაისის თბილი საღამოს ბინდბუნდში სწრაფად მოესვათ ნიჩბები ნაპირისკენ, სადაც ჯორჯ დუგლასი და ლორდი სეტონი ელოდებოდნენ ორმოცდაათი მხედრით. დედოფალი სწრაფად მოახტა ცხენს და მთელ ღამეს მიაჭენებდა ჰამილტონების ციხე-კოშკისაკენ. როგორც კი თავი თავისუფლად იგრძნო, მასში კვლავ გაიღვიძა ჩვეულებრივმა სიმამაცემ.

ასეთია ცნობილი ბალადა მარიამ სტიუარტის გაქცევაზე ტბით

გარშემორტყმული ციხე-კოშკიდან, რასაც ხელი შეუწყო სიყვარულით ანთებულმა ყმაწვილმა კაცმა და ბიჭუნას თავგანწირვამ. ეს ამბავი შეგიძლიათ წაიკითხოთ ვალტერ სკოტთან, რომელმაც რომანტიკულად აღწერა ეს ეპიზოდი. მემატიანენი საქმეს უფრო ფხიზლად უყურებენ. მათი აზრით, მკაცრმა მეციხოვნემ ლედი დუგლასმა უფრო მეტი იცოდა გაქცევის შესახებ, ვიდრე ამჟღავნებდა და ვიდრე მასზე ლაპარაკობენ. მთელი ეს მშვენიერი მოთხრობა თითქოს იმისთვის არის შეთხზული, რომ გავიგოთ, რატომ გამოიჩინეს მცველებმა ასეთი სიბეცე და დაუდევრობა. მაგრამ არ ღირს ქარს გავატანოთ ეს მშვენიერი ლეგენდა. რატომ უნდა ჩავაქროთ მარიამ სტიუარტის ცხოვრების ეს უკანასკნელი რომანტიკული ნაპერწკალი? ჰორიზონტზე უკვე ჩრდილები მუქდება. დამთავრდა თავგადასავლების ხანა. უკანასკნელად აღუძრა ამ მამაცმა ყმაწვილმა ქალმა სიყვარული და იგრძნო თვითონაც.

ერთი კვირის შემდეგ მარიამ სტიუარტს ექვსიათასიანი არმია ჰყავდა. თითქოს ის იყო ღრუბლები უნდა გაფანტულიყო. რამდენიმე ხანს კვლავ ამობრწყინდა სიკეთის ვარსკვლავები მის ცაზე. არა მარტო სეტონები და ჰანთლეები, მის მხარეზე გადავიდნენ სხვა მისი თანამოსაგრენიც. არა მარტო ჰამილტონები დაირაზმნენ მისი დროშის ქვეშ, დიდი ნაწილი შოტლანდიის დიდებულებისა: რვა გრაფი, ცხრა ეპისკოპოსი, თვრამეტი ლორდი და ასზე მეტი ბარონი. მართლაც რომ საოცარი იყო, თუმცა რა არის საოცარი ამაში, თუ მოვიგონებთ, რომ შოტლანდიაში არავის შეეძლო ემართა სახელმწიფო თვითმპყრობელურად, თავის წინააღმდეგ რომ არ აემხედრებინა დიდებულები. მერეის რკინის ხელი არ მოეწონათ ლორდებს. მათ დამორჩილებული, თუნდაც ასგზის დამნაშავე დედოფალი ერჩივნათ მკაცრ რეგენტს. საზღვარგარეთაც ცდილობდნენ დახმარებოდნენ გათავისუფლებულ დედოფალს. საფრანგეთის ელჩი ეახლა მარიამ სტიუარტს, რომ მისთვის, სრულუფლებიანი მბრძანებლისათვის მორჩილება დაედასტურებინა. „ბედნიერად გათავისუფლების“ მისალოცად ელისაბედმაც ელჩი გაუგზავნა. ტყვეობაში ერთი წლის ყოფნისას მარიამ სტიუარტის სულიერი და საერთო მდგომარეობა განმტკიცებულიყო. ეტყობა, ბედი სწყალობდა. უსიამოვნო წინათგრძნობით შეპყრობილი მარიამ სტიუარტი, აქამდე მამაცი და მებრძოლი ქალი, ერიდებოდა შეიარაღებულ შეტაკებას და არჩევ-

და, საქმე მშვიდობიანად დასრულებულიყო. ძმას მისთვის მეფური დიდების სამარცხვინო ბრწყინვალებაც რომ შეენარჩუნებინა, მრავალტანჯული ქალი სიამოვნებით გადასცემდა მთელ ძალაუფლებას. ის ენერგია, ბოთველის რკინისებური ნებისყოფა რომ უნერგავდა, თითქოს დაეშრიტა. შემდეგი დღეები გვიჩვენებს ამას. გადატანილი მღელვარებისა და დარდის, ამ გააფთრებული მტრობის შემდეგ, იგი მხოლოდ თავისუფლებასა და სიმშვიდეზე ოცნებობდა, მაგრამ მერეი არც კი ფიქრობდა, ნაწილობრივ მაინც დაეთმო ძალაუფლება. ისიც მარიამ სტიუარტივით პატივმოყვარე გახლდათ. ისინი ერთი მამის შვილები იყვნენ, თან მრჩევლებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც ცდილობდნენ განემტკიცებინათ მისი გადაწყვეტილება. იმ დროს, როცა ელისაბედი მარიამ სტიუარტს ულოცავდა, ინგლისის სახელმწიფო კანცლერი სესილი მერეის აიძულებდა, საბოლოოდ გასწორებოდა მარიამ სტიუარტსა და კათოლიკურ პარტიას შოტლანდიაში. მერეის დიდხანს არ უფიქრია, მან იცოდა, სანამ მარიამ სტიუარტი თავისუფალი იყო, შოტლანდიას ვერ ეღირსებოდა სიმშვიდე. ცდუნებამ სძლია, სამუდამოდ აელაგმა მეამბოხე ლორდები და მწარედ ეზღვევინებინა მათთვის. ამისთვის სასწრაფოდ შეჰყარა ჯარი, თუმცა მარიამ სტიუარტისას რიცხობრივად ჩამორჩებოდა, მაგრამ უკეთ იყო შეიარაღებული და გაწვრთნილი; მაშველ ჯარს აღარ დალოდებია, გლაზგოსკენ დაიძრა. 13 მაისს ლანგსაიდთან საბოლოო ანგარიში უნდა გაესწორებინათ ერთმანეთისათვის დედოფალსა და რეგენტს, ძმასა და დას, ერთ სტიუარტს მეორისათვის.

ბრძოლა ლანგსაიდთან მოკლე, მაგრამ გადამწყვეტი იყო. არც დიდხანს უყოყმანიათ, ხანგრძლივ მოლაპარაკებებზე არ დაუკარგავთ დრო. მარიამ სტიუარტის ცხენოსანი ჯარი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტევაზე გადავიდა, მაგრამ მერეიმ კარგად ამოირჩია პოზიცია. სანამ მტრის კავალერია იერიშით აიღებდა ბორცვს, საშინელი ცეცხლი გაუხსნეს და გაანადგურეს კონტრშეტევით. ყველაფერი სულ თხუთმეტ-ოც წუთში დამთავრდა. დედოფლის ჯარის ნაწილებმა იარაღი დაყარეს და უკან დაიხიეს, ბრძოლის ველზე დატოვეს სამასი მოკლული და უწესრიგოდ გაიფანტნენ.

მარიამ სტიუარტი მაღლობიდან ადევნებდა თვალს ბრძოლას. რომ დაინახა ყველაფერი დაკარგული იყო, ჩაირბინა დაბლა, მოახტა ცხენს და მცირე ამალის თანხლებით გააქროლა ცხენი. იგი აღარ

ფიქრობდა წინააღმდეგობის გაწევაზე, საშინელმა შიშმა მოიცვა. გააფთრებით, გზას აღარ არჩევდა, მიაქროლებდა ცხენს საძოვრებსა და ჭალებზე, მინდვრებზე, მიაფრენდა შეუსვენებლივ მთელი დღე. მხოლოდ ერთ ფიქრს შეეპყრო: თავი დაეხსნა! „ყველაფერი გამოვცადე, — სწერდა შემდეგ ლოტარინგიის კარდინალს, — ლანძღვაცა და უპატიოდ, ავად ხსენება, ტყვეობა, შიმშილი, სიცივე, მწველი სიცხე. არ ვიცოდი, სად მივაჭენებდი ცხენს, ოთხმოცდათორმეტი მილი გავიარე უგზო-უკვლოდ, შეუსვენებლივ, მშიერმა, შიშველ მიწაზე მეძინა, დამჟავებულ რძეს ვსვამდი, შიმშილს შვრიით ვიკლავდი, ლუკმაპური მენატრებოდა. სამი ღამე გავატარე უღრან ტყეში, მარტოდმარტომ. ქალი გვერდში არა მყოლია“. ამ უკანასკნელი ბრძოლის გამო მამაც ამორძალად, რომანტიკულ გმირად დარჩა ხალხის მეხსიერებაში. ახლა შოტლანდიაში აღარ ახსოვთ მისი სისუსტე და უგუნურობა, აპატიეს და დაივიწყეს მისი დანაშაულობები და ვნება. მხოლოდ ორი სურათი ცოცხლობს — მოკრძალებული ტყვე განმარტოებულ ციხე-კოშკში და მამაცი ცხენოსანი თავისუფლებისათვის გაქაფულ ცხენს რომ მიაჭენებდა ღამე და ათასგზის სიკვდილს არჩევდა ლაჩრულად, უძლურად მტრის ხელში ჩავარდნას. იგი სამჯერ გაიქცა ბნელ ღამეში — პირველად დარნლეისთან ერთად ჰოლირუდიდან, მეორეჯერ მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმული ბორტუიკის ციხიდან ბოთველთან, მესამეჯერ დუგლასთან ერთად ლოხლივენიდან. სამჯერ დაიხსნა თავგანწირული ჭენებით თავისი გვირგვინი და თავისუფლება, ახლა კი სიცოცხლე უნდა ეხსნა.

ლანგსაიდთან ბრძოლის სამი დღის შემდეგ მარიამ სტიუარტმა მიაღწია ზღვასთან დანდრენის სააბატოს. აქ იყო საზღვარი მისი სახელმწიფოსი. თავისი სამფლობელოს უკანასკნელ საზღვრამდე გარბოდა დევნილი ნადირივით, გუშინდელ დედოფალს დღეს საიმედო თავშესაფარი არ მოეძებნებოდა. მთელ შოტლანდიაში უკან დასაბრუნებელი ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. ედინბურგში დაუცხრომელი ჯონ ნოქსი და კვლავ ლანძღვა, ეკლესიის სიძულვილი ელოდა, იქნებ სამარცხვინო ბოძზეც კი გაეკრათ და კოცონზე დაწვათ. მისი უკანასკნელი არმია განადგურებული იყო. სიზმარივით გაქრა მისი იმედები. არჩევანის მძიმე წუთები დაუდგა. მისთვის შოტლანდია უკვე დაკარგული იყო, იქითკენ არც ერთი გზა არ მიდიოდა, წინ კი უსაზღვრო ზღვა იყო გადაშლილი. იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიიყვანდა. შეე-

ძლო წასულიყო საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში. საფრანგეთში გაიზარდა, იქ მეგობრები და ნათესავები, ბევრი ერთგული ჰყავდა: პოეტები, რომლებიც ლექსებს უძღვნიდნენ, თავადები, რომელთაც გამოაცილეს. ეს ქვეყანა ერთხელ სტუმართმოყვარედ შეხვდა, დიდებულად; ბრწყინვალედ დააქორწინა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იქ ამქვეყნიური დიდებითა და ბრწყინვალებით მოსილ დედოფლად იცნობდნენ, ღატაკად, მათხოვრად, საცოდავ ძონძებში, ღირსებაშელახული ველარ დაბრუნდებოდა. იტალიელი ეკატერინე მედიჩის გესლიან ღიმილს ველარ აიტანდა; არ უნდოდა მოწყალებით ეცხოვრა ან მონასტერში ჩაემწყვდიათ. დახავსებულ ფილიპესთან ესპანეთში გაქცევაც დამამცირებლად მიაჩნდა. ვერასოდეს აპატიებდა ეს ფარისევლური სამეფო კარი ბოთველთან პროტესტანტმა პასტორმა რომ შეაერთა და ერეტიკოსი გახდა. ამგვარად, მხოლოდ ერთი არჩევანი რჩებოდა, არჩევანი კი არა, ერთი გზა — დანებებოდა ინგლისს. ტყვეობაში, იმ სასოწარკვეთილ დღეებში გაისმა ელისაბედის გამამხნევებელი ხმა. განა იგი არ არწმუნებდა, მუდამ თქვენი ერთგული მეგობარი ვიქნებიო. განა ელისაბედმა საზეიმოდ არ აღუთქვა, ტახტი დაებრუნებინა მისთვის? ბეჭედი არ გამოუგზავნია — ნამდვილი საწინდარი, რითაც მარიამ სტიუარტს შეეძლო აღეძრა მასში დური გრძნობა? მაგრამ უბედურებაში ჩავარდნილი კაცი ვერასოდეს განსჯის გონივრულად. აჩქარებით, როგორც სჩვეოდა ხოლმე სერიოზულ გადაწყვეტილებათა მიღებისას, მიიღო ეს ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება. დანდრენის მონასტრიდან ელისაბედს წერილი მისწერა და არც არავითარი გარანტია მოუთხოვია: „ძვირფასო დაო! ბევრი რამ, რა უბედურებაც გადამხდა თავს, იცი, მაგრამ ის, რაც მაიძულებს ეს წერილი მოგწერო, სულ ცოტა ხანია თავს დამატყდა და ვფიქრობ, ჯერ ვერ მოაღწევდა შენს ყურამდე. ამიტომ მოკლედ უნდა გაცნობო, რომ იმ ერთგულ ქვეშევრდომთ, რომელთაც განსაკუთრებით ვენდობოდი და უმაღლესი პატივი მივაგე, ჩემს წინააღმდეგ იარაღი აღმართეს და უღირსად მომექცნენ. ადამიანთა ბედის ყოვლად ძლიერ განმგებელს შეეძლო ჩემი გათავისუფლება სასტიკი ტყვეობიდან, მაგრამ ბრძოლა წავაგე და ყველა ჩემი ერთგული ჩემ თვალწინ დაიღუპა. ახლა ჩემი სამეფოდან დევნილსა და გასაჭირში ჩავარდნილს უფლისა და შენი მოწყალების იმედიღა მაქვს. ამიტომ გთხოვ, ძვირფასო დაო, ნება დამრთო, წარვდგე შენ წინაშე, რათა გიამბო ჩემი უბედურება.

ღმერთს ვევედრები, წყალობა მოგაგოს, მე კი სიმშვიდე და ნუგეში, რასაც შენგან მოველი მხოლოდ. ნიშნად ინგლისის დახმარებისა, შეპირებული მეგობრობისა და შემწევნობისა მის დედოფალს ვუგზავნი ამ ბეჭედს.

შენი მოყვარული და M. R.[1]"

აჩქარებით, დაუფიქრებლად დაწერა მარიამ სტიუარტმა ეს სტრიქონები, რაზეც მისი მომავალი იყო დამოკიდებული. მერე წერილში ბეჭედი ჩადო და ორივე გადასცა ცხენოსან შიკრიკს. წერილში მხოლოდ ბეჭედი კი არა, მთელი მისი მომავალი იდო.

ამგვარად, წილი ნაყარი იყო. 16 მაისს მარიამ სტიუარტი ჩაჯდა მეთევზეთა ნავში, გადაჭრა სოლუეის ყურე და პატარა საპორტო ქალაქ კარლაილში გადმოვიდა. იმ დღეს, როცა მისი ბედი გადაწყდა, ჯერ ოცდახუთი წლისაც არ იყო, სიცოცხლე კი დამთავრებული ჰქონდა. განიცადა ყველაფერი, რითაც შეიძლება ბედმა დააჯილდოოს ადამიანი. ყველა ამქვეყნიურ სიმაღლეს მიაღწია, ყველა სიღრმე გაზომა. დროის ამ მცირე მონაკვეთში დიდი სულიერი დაძაბულობის წყალობით ყველა ამქვეყნიური ტანჯვა გამოიარა: ორი ქმარი დამარხა და ორი სამეფო დაკარგა, იყო ციხეში, დანაშაულის შავბნელ გზებზე იხეტიალა და სიამაყით ავსებული კვლავ ადიოდა ტახტის, საკურთხევლის კიბეებზე. იმ კვირების, იმ თვეების განმავლობაში ცეცხლში ცხოვრობდა, ისეთ ყოვლისშთანმთქმელ ცეცხლში, რომ მისი ალი საუკუნეების შემდეგაც კი გვინათებს. და აი, დაიფერფლა ცეცხლი და რაც საუკეთესო გააჩნდა, ამ ცეცხლში დაიწვა. ოდესღაც თვალისმომჭრელი ბრწყინვალებიდან მხოლოდ ფერფლი და ნაცარი დარჩა. წარსულის ჩრდილიღა იყო მისი ბინდბუნდით მოცული არსებობა.

[1] *Maria Regina (ლათ.) — დედოფალი მარიამი.*

ლტოლვილს კისერზე მარჯუჟი ჩამოაცვეს
1568 წლის 16 მაისიდან 28 ივნისამდე

მარიამ სტიუარტის ინგლისს ჩამოსვლის ამბავმა საშინლად ააღელვა ელისაბედი. არც იყო საოცარი. ეს დაუპატიჟებელი სტუმარი მეტად მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. თუმცა მთელი ეს წელიწადი ვით მონარქი მონარქს მხარს უჭერდა და იცავდა მეამბოხე ქვეშევრდომთაგან. თანაგრძნობის წერილებში — ქაღალდი ხომ ძვირად არ ფასობდა, დიპლომატიური კალმიდან კი მეგობრობის დასამტკიცებლად ადვილად მოწვეთავდა მელანი — თანაგრძნობას, ერთგულებასა და სიყვარულს უმტკიცებდა. მგზნებარედ (სამწუხაროდ, მეტისმეტად მგზნებარედ) არწმუნებდა შოტლანდიის დედოფალს, ჭირსა და ლხინში მისი, ერთგული დის იმედი ჰქონოდა, მაგრამ არც ერთხელ არ მოუწვევია ინგლისში. პირიქით, წლების განმავლობაში თავს არიდებდა მასთან შეხვედრას და უცბად ეს თავმომაბეზრებელი არსება ეწვია ინგლისს, სწორედ იმ ინგლისს, რომლის ერთადერთ კანონიერ ტახტის მემკვიდრეობაზე ამ ცოტა ხნის წინ პრეტენზიას აცხადებდა. ეწვია თვითნებურად, დაუპატიჟებლად და ინგლისის დედოფალს მის მხარდაჭერას, მეგობრობას მოაგონებდა, რასაც, ყველამ იცოდა, წმინდა მეტაფორული აზრი ჰქონდა. მეორე წერილში მარიამ სტიუარტი ითხოვდა, როგორც მის შეუვალ უფლებას, ელისაბედის ნახვას. იმას არ კითხულობდა, სურდა თუ არა ელისაბედს ეს. „გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად გამიყვანოთ აქედან, რადგან ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, რაც არათუ დედოფალს, უბრალო აზნაურსაც კი არ შეჰფერის. მხოლოდ სულიღა შემრჩა. პირველ დღეს სამოც მილზე ვაჭენე ცხენები მინდვრებზე. თქვენ თვითონ დაინახავთ, რა დღეშიც ვარ და მტკიცედ ვარ დარწმუნებული, თანაგრძნობით განიმსჭვალებით ჩემი უსაზღვრო უბედურების გამო“.

თანაგრძნობა მართლაც ერთ-ერთი ძირითადი თვისება იყო ელისაბედისა. რა თქმა უნდა, მისი სიამაყე დაკმაყოფილებული იყო; რომ ქალი, რომელიც მის ჩამოგდებას აპირებდა ტახტიდან, თვითონ ჩამოაგდეს ისე, რომ ელისაბედს თითიც არ გაუნძრევია.

რა სანახაობა იქნებოდა მსოფლიოსათვის, როცა იგი წამოაყენებდა მუხლებზე დამხობილ ამაყ ქალს და ვით მფარველი თავისი დიდების მწვერვალიდან გულში ჩაიკრავდა. ამიტომ პირველი მისი სწორი გადაწყვეტილება გახლდათ, დიდსულოვნად მიეწვია ლტოლვილი ქალი. „გავიგე, — წერდა საფრანგეთის ელჩი, — დედოფალმა სამეფო საბჭოზე მხურვალედ დაიცვა შოტლანდიის დედოფალი და ყველა მიახვედრა, რომ მზად არის მიიღოს და პატივი სცეს, როგორც შეჰფერის მის ყოფილ ღირსებასა და დიდებას და არა ახლანდელ მდგომარეობას“.

ელისაბედი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა ისტორიის წინაშე და უნდოდა თავისი სიტყვა შეესრულებინა. ამ წრფელ გრძნობას რომ მიჰყოლოდა, არა მარტო მარიამ სტიუარტის სიცოცხლეს დაიხსნიდა, მის ღირსებასაც.

მაგრამ ელისაბედი მარტო არ იყო. მას გვერდით ედგა სესილი, თითქოს ლითონისგან ჩამოსხმული, ცივთვალება კაცი და პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე გულგრილად აკეთებდა სვლებს. ნერვიული ელისაბედი სუსტი ნიავის ქროლვასაც კი შეიგრძნობდა. ტყუილად კი არ ამოირჩია მრჩევლად ეს მკაცრი, ფხიზელი, ანგარიშიანი კაცი. მისთვის უცხო იყო რომანტიკა. ხასიათითა და ტემპერამენტით პურიტანელს სძაგდა მარიამ სტიუარტის აჩქარებულობა და ვნებიანობა, თავდაჯერებული პროტესტანტი ვერ იტანდა კათოლიკეს. გარდა ამისა, მისი პირადი ჩანაწერებით თუ ვიმსჯელებთ, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მარიამ სტიუარტი თანამონაწილე და ხელისშემწყობი იყო დარნლეის მკვლელობისა. ელისაბედს გული აუჩვილდა თუ არა, სესილმა დააშოშმინა. შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს ესმოდა, რა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა ინგლისის მთავრობას ამ დაუცხრომელ ინტრიგანზე ზრუნვა, მრავალი წელია ყველგან შფოთი რომ შეჰქონდა, სადაც კი ფეხს დაადგამდა. მარიამ სტიუარტის მიღება ლონდონში, მისი მეფური პატივით დახვედრა იმას ნიშნავდა, რომ ეცნოთ მისი უფლებები შოტლანდიაზე. ეს კი ინგლისს ავალდებულებდა, იარაღით ხელში, სავსე ქისით ებრძოლა

ლორდებისა და მერეის წინააღმდეგ. ეს კი სულაც არ სურდა სესილს, რადგან თვითონ აგულიანებდა ლორდებს, ამბოხებულიყვნენ. მისთვის მარიამ სტიუარტი პროტესტანტიზმის დაუძინებელი მტერი იყო და დიდ საფრთხეს უქადდა ინგლისს. ამაში ადვილად დაარწმუნა ელისაბედი. ინგლისის დედოფალს არ ესიამოვნა, როცა გაიგო, რა პატივით შეხვდნენ შოტლანდიის დედოფალს ინგლისის მიწაზე. ნორტუმბერლენდმა, ყველაზე ძლიერმა ლორდმა კათოლიკეებს შორის, ლტოლვილი თავის ცოხე-კოშკში მიიწვია, ნორფოლკი ეახლა, ყველაზე გავლენიანი ლორდი პროტესტანტებს შორის. ყველანი მოხიბლა ტყვე დედოფალმა. ეჭვიანმა და მეტისმეტად ზვიადმა ელისაბედმა მალე გადაიფიქრა შოტლანდიის დედოფლის სამეფო კარზე მიღება. გრძნობდა, დაჩრდილავდა პირადი თვისებებით და უკმაყოფილოთათვის სასურველი პრეტენდენტი გახდებოდა.

ამგვარად, რამდენიმე დღეში, ელისაბედს გაუქრა კაცთმოყვარული გრძნობები და მტკიცედ გადაწყვიტა, არ მიეღო მარიამ სტიუარტი სამეფო კარზე, მაგრამ არც ინგლისიდან გაეშვა. ელისაბედი აღარ იქნებოდა ელისაბედი, თუ რაიმე საკითხზე ნათლად და აშკარად გამოეთქვა თავისი აზრი და პირდაპირ ემოქმედა. პოლიტიკაშიც და ადამიანურ ურთიერთობაშიც ორპირობა უდიდესი ბოროტებაა, რადგან იგი თვალს უხვევს ადამიანებს და აფორიაქებს. სწორედ ამით დაიწყო ელისაბედის უდიდესი დანაშაული მარიამ სტიუარტის წინაშე. თვით ბედმა არგუნა გამარჯვება, რაზეც წლების განმავლობაში ოცნებობდა. მისი მოწინააღმდეგე, განთქმული რაინდული საგმირო საქმეებით, მისგან, ელისაბედისგან სრულიად დამოუკიდებლად, ისე რომ თითიც არ გაუნძრევია, სამარცხვინო ბოძზე გააკრეს. დედოფალმა, პრეტენზიას რომ აცხადებდა მის გვირგვინზე, თავისი საკუთარიც დაკარგა. ეს ამაყი ქალი, მემკვიდრეობითი უფლებით ამპარტავნულად რომ უპირისპირდებოდა მას, ახლა დამცირებული შველას სთხოვდა. ელისაბედს ორი გზა ჰქონდა — მარიამ სტიუარტისთვის, როგორც მთხოვნელისთვის, შეეძლო თავშესაფარი მიეცა, რაზეც ინგლისი დიდსულოვნად უარს არ ეუბნეოდა ლტოლვილებს და ამით მორალურად დაეჩოქებინა იგი ან პოლიტიკური მოსაზრებით არ შეეშვა ქვეყანაში. ერთიც და მეორეც კანონიერი იქნებოდა: ან მოწყალება გაეღო, ან უარი ეთქვა. მხოლოდ ერთი რამ ეწინააღმდეგებოდა მიწისა და ცის ყველა კანონს — მიეწვია მთხოვნელი და

მერე მისი ნების წინააღმდეგ დაეტყვევებინა. ვერავინ გაამართლებდა ელისაბედის ცბიერებასა და უგულობას. მარიამ სტიუარტი სთხოვდა, მაგრამ ნება არ დართო, დაეტოვებინა ინგლისი. ეშმაკობითა და სიცრუით, ვერაგული დაპირებებით და იდუმალი ძალდატანებით აიძულებდა დარჩენილიყო და თავისუფლების ამგვარი სულმდაბლური მოსპობით დამცირებული, დამარცხებული ქალი იმაზე უარეს დღეში ჩააგდო, ვიდრე თვითონ მოელოდა — სასოწარკვეთილებისა და დანაშაულის დამღუპველ უფსკრულში. ასე შეგნებულად, სულმდაბლურად, ეშმაკურად რომ გათელა მარიამ სტიუარტის უფლებები, ეს სამუდამოდ შავ ლაქას ამჩნევს ელისაბედის ბიოგრაფიას. მეტიც, ეს უფრო არ ეპატიება, ვიდრე შემდგომში განაჩენის გამოტანა და ეშაფოტზე აყვანა. არავითარი უფლება არ გააჩნდა, ასე ძალდატანებით მოესპო მისთვის თავისუფლება. ნაპოლეონი (ეს საბუთი ხშირად მოჰყავთ დასაპირისპირებლად) „ბელეროფონტზე“ ავიდა და შემდეგ ინგლისის ხელისუფალთ თავშესაფარი სთხოვა. ინგლისს სრული საფუძველი ჰქონდა, ამაზე, როგორც პათეტიკურ ფარსზე, უარი ეთქვა, რადგან ორივე სახელმწიფო — საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთს ეომებოდა და თვით ნაპოლეონი მეთაურობდა მტრის არმიას; იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ელოდა, როდის წაეხრჩო ბრიტანეთი. შოტლანდია კი არ ებრძოდა ინგლისს, კეთილმეზობლურად იყვნენ განწყობილი ერთმანეთისადმი, ელისაბედი და მარიამ სტიუარტი კარგა ხანია ერთმანეთს გულითად მეგობრებსა და დებს ეძახდნენ და როცა მარიამ სტიუარტი გარბოდა ელისაბედთან, მისი მეგობრობის საწინდრად ბეჭედი გაუგზავნა, სახელგანთქმული token, თან ელისაბედის სიტყვები აგულიანებდა: „არც ერთი ადამიანი ამქვეყნად ისეთი თანაგრძნობითა და ყურადღებით არ მოგისმენთ, როგორითაც მე“. მარიამ სტიუარტს ასევე შეეძლო დაყრდნობოდა იმას, რომ ელისაბედი ყველა შოტლანდიელ ლტოლვილს თავშესაფარს აძლევდა. მერეიმ და მორტონმა, რიჩოსა და დარნლეის მკვლელებმა, ინგლისში პოვეს თავშესაფარი. და ბოლოს, მარიამ სტიუარტი ინგლისის ტახტზე პრეტენზიას კი არ აცხადებდა, მოკრძალებით სთხოვდა, ნება დაერთო მშვიდად და წყნარად ეცხოვრა ინგლისის მიწაზე და თუ ეს არ ესიამოვნებოდა ელისაბედს, ხელი არ შეეშალა, რომ საფრანგეთში გამგზავრებულიყო. ელისაბედმა, რაღა თქმა უნდა, შესანიშნავად

იცოდა, რომ უფლება არ ჰქონდა, დაეკავებინა მარიამ სტიუარტი, იცოდა ეს სესილმაც, რასაც მოწმობს მისი ხელით დაწერილი „სამახსოვრო ფურცელზე“ Pro Regina Scotorum[1]. „უნდა დავეხმაროთ მას, — წერდა სესილი, — იგი ხომ თავისი ნებით მოვიდა და ენდობა დედოფალს“. სულის სიღრმეში შესანიშნავად იცოდა, რომ მათ მცირეოდენი უფლებაც კი არ ჰქონდათ, უკანონობის უხეში თოკი დაეგრიხათ. მაგრამ პოლიტიკოსები რაღა პოლიტიკოსები არიან, თუ გამოსავალი ვერ იპოვეს ყველაზე ძნელი მდგომარეობიდან, რომ „არაფერი“ „არად“ აქციონ და „რამე“ „არაფრად“. თუ საფუძველი არ ჰქონდათ, დაეკავებინათ ლტოლვილი, რაღაც უნდა გამოეგონათ: თუ მარიამ სტიუარტს არაფერი დაეშავებინა ელისაბედისთვის, მაშინ ცილი უნდა დაეწამებინათ, მაგრამ ყველაფერი ჩუმად უნდა გაეკეთებინათ, რადგან მსოფლიო ფხიზლად ადევნებდა თვალს. ჩუმად უნდა მიჰპარვოდნენ, ჩიტისთვის ბადე ჩამოეცვათ, რომ სანამ მსხვერპლი გონს მოვიდოდა და (მეტისმეტად გვიან) თავის გათავისუფლებას ეცდებოდა, ყოველი მოძრაობა დამღუპველი გამხდარიყო.

მეტისმეტად თავაზიანად დაუპირეს მახეში გაბმა. ელისაბედის ყველაზე სახელგანთქმული დიდებულები — ლორდები სკროუპი და ნოლისი საჩქაროდ (რა დიდი ყურადღებაა!) კარლაილში გაგზავნეს მარიამ სტიუარტის საპატიო მხლებლებად. მათ მრავალმხრივი, მაგრამ შავბნელი მისია დააკისრეს: ელისაბედის სახელით მისალმებოდნენ საპატიო სტუმარს და თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ტახტიდან ჩამოგდებული დედოფლისთვის. ასევე დაემშვიდებინათ და დაეწყნარებინათ აღელვებული ქალი, რომ ნაადრევად არ შეშფოთებულიყო და დახმარება არ ეთხოვა სხვა სამეფო კარისათვის. მაგრამ უმთავრესი და არსებითი დავალება საიდუმლოდ მისცეს — იგი ხომ სინამდვილეში ტყვე იყო და მკაცრად უნდა ეთვალთვალათ, შეეწყვიტათ მასთან დარბაზობა, ჩამოერთმიათ წერილები, ამაოდ კი არ გაგზავნეს იმ დღეს კარლაილში ორმოცდაათი მეაფთე. გარდა ამისა, იმავე სკროუპსა და ნოლისს ნაბრძანები ჰქონდათ, ჩაეწერათ მარიამ სტიუარტის ყოველი სიტყვა და საჩქაროდ ეცნობებინათ ლონდონში. საკმარისი იყო სულ მცირე შეცდომა დაეშვა, რომ მისი დატყვევების მიზეზი შეეთითხნათ.

[1] *შოტლანდიის დედოფლის შესახებ (ლათ.).*

ლორდმა ნოლისმა შესანიშნავად გაართვა თავი ჯაშუშობის საიდუმლო მისიას. მის ოსტატურ კალამს უნდა ვუმადლოდეთ მხატვრულ ჩანახატებს, მარიამ სტიუარტის დახასიათებას. ეცნობით მას და რწმუნდებით, რომ ეს ქალი სულიერ დაძაბულობათა იმ იშვიათ წუთებშიც კი მეტად ჭკვიან მამაკაცებს ხიბლავდა და თაყვანისცემას აღუძრავდა. სერ ფრენსის ნოლისი სესილს სწერდა: „რაც უნდა ვთქვათ, იგი საუცხოო ქალია და პირფერობის ანკესზე არ წამოეგება. მასთან ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი, პირდაპირ, მიუკიბმოუკიბავად. არაფერზე გაბრაზდება, ოღონდ დარწმუნებული იყოს თქვენს კეთილგანწყობაში“. ნოლისი აღტაცებული იყო მარიამ სტიუარტის ჭკუითა და მჭევრმეტყველებით, მეტად აფასებდა მის „იშვიათ სიმამაცეს“, მის liberal heart — გულითად დამოკიდებულებას. არც მისი უსაზღვრო ამპარტავნობა გამოჰპარვია. „ყველაზე მეტად გამარჯვება სწყუროდა და ამ უმაღლეს წყალობასთან შედარებით სხვა ამქვეყნიური ცდუნებანი წვრილმანად და არარაობად მიაჩნდა“. ადვილად წარმოიდგენთ, რა გრძნობით კითხულობდა ეჭვიანი ელისაბედი თავისი მეტოქის დახასიათებას და როგორ უმაგრდებოდა ხელიცა და გულიც.

მაგრამ მარიამ სტიუარტსაც მახვილი სმენა ჰქონდა. მალე შენიშნა, რომ ორივე ემისრის ალერსსა და თავაზიანობაში სულ სხვა რამ იმალებოდა და იმიტომ ეგებოდნენ ფეხქვეშ, რომ რაღაცას უმალავდნენ. ნელ-ნელა, თითქოს მწარე მიქსტურას ურევდნენ მეტისმეტად ტკბილი კომპლიმენტების ბადაგში, შეაპარეს, რომ ელისაბედი ვერ მიიღებდა, სანამ არ განიწმინდებოდა დანაშაულობებისაგან. ეს „უბრალო მიზეზი“ იმიტომ მოიგონეს ლონდონში, რომ დაეფარათ უგულო, თავხედური განზრახვა, რაც შეიძლება დიდხანს ჰყოლოდათ მარიამ სტიუარტი თავაზიან ტყვეობაში. მაგრამ ეს დახანება იმდენად ვერაგული იყო, რომ მარიამ სტიუარტი ან ვერ ამჩნევდა, ან თავს ისე იჭერდა, თითქოს ვერ ამჩნევდა. განრისხებულმა განაცხადა, მზად იყო თავი ემართლებინა, „მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ერთი ადამიანის წინაშე“. და რაც ჩქარა იქნებოდა ეს, მით უკეთესი. იმ წუთში სურდა ენახა ელისაბედი, „ნდობით ჩაჰკვროდა გულში“. იგი დაჟინებით ითხოვდა „დროს ნუღარ დაკარგავდნენ, პირდაპირ ლონდონში წაეყვანათ, რათა ეჩივლა და დაეცვა თავისი ღირსება ცილისწამებისგან“. სიხარულით დათანხმდა, წარმდგარიყო ელისა-

ბედის, მხოლოდ მისი სამსჯავროს წინაშე. სწორედ ამ სიტყვების მოსმენა დაუტკბობდა ელისაბედს სმენას. პრინციპული თანხმობა მარიამ სტიუარტისა თავი ემართლებინა მის წინაშე, ელისაბედს პირველ ხელჩასაჭიდს აძლევდა, მის ქვეყანაში სტუმართმოყვარეობით მოსული ქალი სამსჯავროზე გადაეცა. რაღა თქმა უნდა, სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. აღელვებულ ქალს ალიაქოთი რომ არ აეტეხა მთელ მსოფლიოში, ამას უცბად ვერ გააკეთებდა. გადამწყვეტი მომენტის წინ ღირსება რომ შეელახათ მისთვის, დაპირებებით უნდა გამოეკვებათ, რათა მშვიდად, წინააღმდეგობის გაუწევად მიეშვირა კისერი მახვილისათვის. ამგვარად, ელისაბედმა მისწერა მეტად ამაღელვებელი წერილი, რომელიც ჩვენც კი გვაცდუნებდა, თუ არ გვეცოდინებოდა, რომ მინისტრთა სათათბიროს კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა მარიამ სტიუარტის დატყვევება. მეტად მოკრძალებით ეუბნებოდა უარს შეხვედრაზე: „Madame, — სწერდა იგი გველური ცბიერებით, — ლორდმა ჰერისმა შემატყობინა თქვენი სურვილი, თავი იმართლოთ პირდაპირ ჩემ წინაშე თქვენს მძიმე ბრალდებებში. მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც უფრო მეტად გაახარებდა თქვენი გამართლება, ვიდრე მე. ჩემზე უფრო არავის ესიამოვნებოდა ყოველი პასუხი, რაც ხელს შეუწყობს თქვენი ღირსების აღდგენას, მაგრამ თქვენი საქმის გამო ჩრდილს ვერ მივაყენებ საკუთარ სახელს. არ დაგიმალავთ, ისედაც მსაყვედურობენ, თითქოს მე უფრო მინდა, უდანაშაულოდ ჩაგთვალოთ, ვიდრე თვალები გავახილო იმ დანაშაულზე, რასაც თქვენი ქვეშევრდომნი გაბრალებენ“. ამ ცბიერ უარს მოჰყვა კიდევ უფრო ოსტატური სატყუარა. იგი საზეიმოდ „მეფურ სიტყვას“ აძლევდა (ეს განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ), რომ „ვერც თქვენი ქვეშევრდომნი, ვერც ჩემი მრჩეველების შეგონება, ვერ მაიძულებენ მოგთხოვოთ, ის გააკეთოთ, რაც ზიანს მოგაყენებთ“.

მჭევრმეტყველების ნიაღვარს აფრქვევდა: „ალბათ გიკვირთ, თავს რომ ვარიდებ თქვენთან შეხვედრას, მაგრამ გთხოვთ, ჩემს ადგილას წარმოიდგინოთ თავი. თუ თავს იმართლებთ ყველა ბრალდებათაგან, შესაფერისი პატივით მიგიღებთ. მანამდე კი ეს შეუძლებელია. სამაგიეროდ, შემდეგ, ვფიცავ შემოქმედს, ჩემზე ახლობელი არავინ გეყოლებათ. თქვენთან შეხვედრა ყველაზე დიდი სიხარულია ჩემთვის ამქვეყნად“.

ისეთი თბილი, ნაზი სიტყვები იყო, ადამიანს გულს გაულღობდა, დააშშვიდებდა, მაგრამ ამ სიტყვებში მკაცრი სიმართლე იმალებოდა. მსტოვარს, ვისაც დავალებული ჰქონდა ეს წერილი მარიამ სტიუარტისათვის გადაეცა, უნდა აეხსნა, რომ ელისაბედთან თავის მართლებას არ მოითხოვდნენ, შოტლანდიის ამბების სამსჯავროზე გამორკვევას აპირებდნენ, თუნდაც ამ სამსჯავროსთვის ჯერჯერობით სამარცხვინო სახელი „კონფერენცია“ ეწოდებინათ.

გამორკვევა, სასამართლო გამოძიება, განაჩენი — ამ სიტყვებმა მარიამ სტიუარტი ისე შეაძრწუნა, თითქოს სხეულზე გავარვარებული შანთი მიადესო. „ღმერთის გარდა მე სხვა მსაჯული არ ვიცი, — ქვითინებდა განრისხებული. — არავის აქვს უფლება გამასამართლოს. მე ვიცი, ვინცა ვარ და რა უპირატესობაც ენიჭება ჩემს ღირსებას. საკუთარი ნებით, გულწრფელად მივენდე ჩემს დას და ვთხოვე, ჩემი მსაჯული ყოფილიყო, მაგრამ ვით იქნება ჩემი მსაჯული, როცა უარს ამბობს ჩემს მიღებაზე?“ — დაემუქრა და უწინასწარმეტყველა ელისაბედს (აუხდა კიდეც მისი სიტყვები), ხეირს ვერ ნახავს, ინგლისიდან რომ არ გამიშვაო. ხელში აიღო კალამი: „Hélas Madame[1]! — სწერდა აღელვებული, — სად გაგონილა, რომ ვინმეს ესაყვედუროს მბრძანებლისათვის, ყური რად მიაპყარი იმ მომჩივანის გოდებას, ვისაც უსინდისოდ ბრალსა სდებენო... ნუ იფიქრებთ, თითქოს თქვენს ქვეყანას სიცოცხლის დასახსნელად მოვაშურე. არც შოტლანდიას, არც სხვა ქვეყნებს ზურგი არ შეუქცევიათ ჩემთვის. მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ დავიცვა ჩემი ღირსება და სამართალი ვპოვო ცრუბრალდებებზე და არა ვუპასუხო მათ ვით სწორმა სწორს. კეთილისმყოფელთა შორის თქვენ უახლოესი ნათესავი, საუკეთესო მეგობარი და Perfaicte Amye ამოგირჩიეთ, რათა გაუსწორდეთ ჩემს შემგინებლებს და თქვენდა სადიდებლად აღმიდგინოთ დედოფლის კეთილი სახელი“.

მარიამ სტიუარტი სასოებას არ იწყვეტდა, ერთი ციხიდან რომ მეორეში გადაჰყავდათ. განრისხებული მოითხოვდა იმას, რასაც ვერავინ მიაღწია ელისაბედთან — გარკვევით და პირდაპირ მოქცევას, დახმარებას ან თავისუფლებას. მზად იყო de bonne voglia[2] თავი ემართლებინა ელისაბედის, მაგრამ არა თავის ქვეშევრდომთა წინაშე,

[1] *ოჰ, ქალბატონო (ფრ.).*

[2] *საკუთარი სურვილით (იტ.).*

თუნდაც ისინი ხელებშეკრულნი მიეყვანათ მასთან. სრულიად დარწმუნებული იყო თავის ხელშეუვალ უფლებებში და ქვეშევრდომებთან გათანასწორებას სიკვდილს არჩევდა.

მარიამ სტიუარტი იურიდიული თვალსაზრისით მართალი იყო. ინგლისის დედოფალს არ ჰქონდა სიუზერენული უფლებები შოტლანდიის დედოფალზე. მას არავინ ეკითხებოდა, ჩარეულიყო სხვა ქვეყნის დედოფლისა და მის ქვეშევრდომთა დავაში. ელისაბედმაც შესანიშნავად იცოდა ეს, ამიტომ იყო, რომ ყოველგვარ ხრიკს ხმარობდა, რათა მარიამ სტიუარტი გამაგრებული, მიუვალი პოზიციებიდან პროცესის მერყევ ნიადაგზე გადმოეტყუებინა. არა როგორც მსაჯულს, როგორც დასა და მეგობარს სურდა ჩარეულიყო ბედუკუღმართ დავაში — მხოლოდ ეს უშლიდა ხელს სანატრელი სურვილის შესრულებაში — შეხვედროდა თავის ბიძაშვილს და დაებრუნებინა მისთვის ტახტი. მარიამ სტიუარტი თავისი უშიშარი პოზიციებიდან რომ გამოეტყუებინა, ელისაბედი დაპირებებს არ იშურებდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი მის უდანაშაულობაში, ვისაც ასე ბოროტად დასწამეს ცილი. მარიამ სტიუარტის საქციელს კი არ გამოიძიებდნენ, არამედ მერეისა და სხვა შეთქმულ მეამბოხეთა... ტყუილი ტყუილს ცვლიდა, ელისაბედი იფიცებოდა, გამოძიებისას ოდნავადაც კი არ შელახავდნენ მარიამ სტიუარტის ღირსებას (against her honour). შემდგომ დავინახავთ, როგორ შეასრულა ეს დაპირება.

რაც მთავარია, შუამავლებს არწმუნებდა, საქმე რითაც უნდა დამთავრებულიყო, მარიამ სტიუარტი მაინც დარჩებოდა შოტლანდიის დედოფლად. მაგრამ ელისაბედი რომ ფიცსა და დაპირებას აძლევდა მარიამ სტიუარტს, მისი კანცლერი სესილი თავისას აკეთებდა — მერეი რომ დაემშვიდებინა და პროცესისადმი კეთილად განეწყო, შეჰპირდა, კრინტსაც კი არ დასძრავდნენ მისი ნახევარდისთვის ტახტის დაბრუნებაზე. აქედან შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ხრიკები პოლიტიკაში ჩვენი საუკუნის გამონაგონი არ არის.

მარიამ სტიუარტს არ გამოჰპარვია ეს გაიძვერობა და ხრიკები. რახან ელისაბედი არ ენდობოდა, მარიამ სტიუარტსაც გაუქრა ილუზიები თავისი საყვარელი დის კეთილ განზრახვაზე. იგი თავს იცავდა და ეწინააღმდეგებოდა, ხან პირფერულ, ხან აღშფოთებულ წერილებს სწერდა, მაგრამ ლონდონში მარყუჟი არ გაუხსნიათ,

პირიქით, უფრო მაგრად მოუჭირეს. ფსიქიკური ზეწოლის გასაძლიერებლად ისეთი ზომები მიიღეს, რომ მარიამ სტიუარტი დარწმუნდა, თუ წინააღმდეგობას გაუწევდა, შეედავებოდა, უარს იტყოდა, ძალმომრეობასაც არ მოერიდებოდნენ. ნელ-ნელა ავიწროებდნენ. აღარ უშვებდნენ მასთან სანახავად მისულ შოტლანდიელებს. როცა სადმე მიდიოდა, თან ასი მხედარი ახლდა. ბოლოს ბრძანება მიუვიდა, დაეტოვებინა გაშლილ ზღვის პირას მდებარე კარლაილი, საიდანაც შორეთს სწვდებოდა მისი მზერა და ერთ მშვენიერ დღეს გემს შეეძლო წაეყვანა იორკშირის საგრაფოში, გამაგრებულ ბოლტონის ციხეში, a very strong, very fair and very stately house[1]. რაღა თქმა უნდა, ეს მწარე აბი სქლად ამოევლოთ ბადაგში, ბასრ ბრჭყალებს ლაჩრულად მალავდნენ ხავერდის სახელოებში. მარიამ სტიუარტს არწმუნებდნენ, რომ მხოლოდ მზრუნველობის გამო (რათა ახლოს ჰყოლოდა, ადვილი ყოფილიყო მიწერ-მოწერა) ბრძანა ელისაბედმა მისი ბოლტონში გადმოყვანა. „უფრო თავისუფლად და მხიარულად იქნება, იქ ველარ მისწვდება მტრების ხრიკები“. მარიამ სტიუარტი არც ისე გულუბრყვილო იყო, რომ დაეჯერებინა ეს მგზნებარე სიყვარული, იგი ჯერ კიდევ ფართხალებდა და ეწინააღმდეგებოდა, თუმცა გრძნობდა, ბრძოლა წაგებული იყო. სხვა რა გზა ჰქონდა (შოტლანდიაში ველარ დაბრუნდებოდა, საფრანგეთისკენ გზა მოჭრილი ჰქონდა, მისი მდგომარეობა დღითი დღე სამარცხვინო ხდებოდა: სხვის ლუკმას ჭამდა და გამონაცვალ ტანისამოსსაც ელისაბედი უგზავნიდა. მთლად მარტოდმარტო იყო, მოწყვეტილი ნამდვილ მეგობრებს. მხოლოდ მეტოქის ქვეშევრდომებით გარშემორტყმულს აღარ შესწევდა წინააღმდეგობის გაწევის ძალა.

ბოლოს, როგორც სესილმა იწინასწარმეტყველა, უდიდესი შეცდომა დაუშვა, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა ელისაბედი: სულიერი სისუსტის წუთებში დათანხმდა სასამართლო გამოძიებაზე. მან უღალატა თავის შეხედულებას: ელისაბედს არც უფლება ჰქონდა მისი გასამართლებისა და არც თავისუფლების მოსპობისა, რადგან როგორც დედოფალი და სტუმარი არ ემორჩილებოდა უცხო სახელმწიფოს სამედიატორო სასამართლოს. ამით მარიამ სტიუარტმა ყველაზე უხეში, ყველაზე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა თავის სიცოცხლეში. ვაჟკაცობით გული ცოტა ხნით აენთებოდა, სინამდ-

[1] *საიმედო, ლამაზ, დიდებულ სახლში (ინგლ.).*

ვილეში კი აკლდა დედოფლისთვის საჭირო სიმტკიცე და თავდაჭერილობა. როცა იგრძნო, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ხავსს ეჭიდებოდა თავის დასახსნელად, რაღაც პირობები წამოაყენა და თანხმობა რომ განაცხადა, მაინც ეჭიდებოდა იმ ხელს, უფსკრულში რომ უბიძგებდა.

„ისე მტკიცედ ვარ დარწმუნებული თქვენს ღირსებაში და მეფურ სამართლიანობაში, არ არსებობს ისეთი რამ, რომ არ გამეკეთებინა თქვენს ერთ სიტყვაზე“, — სწერდა იგი 28 ივნისს.

მაგრამ ვინც მოწინააღმდეგის წყალობაზეა დამოკიდებული, ვერც თხოვნა უშველის და ვერც შეგონება. გამარჯვებული მუდამ იყენებს თავის უფლებებს დამარცხებულზე. Vae victis![1]

[1] *ვაი დამარცხებულს (ლათ.).*

მარყუჟს უჭერენ
1568 წლის ივლისიდან 1569 წლის იანვრამდე

მარიამ სტიუარტი თავისი წინდაუხედაობით დათანხმდა თუ არა „პირუთვნელ გამოძიებაზე“, ინგლისის მთავრობამ ყოველგვარი საშუალება გამოიყენა, რათა გამოძიება მიკერძოებულად წარემართა. თუ ლორდებს უფლება ჰქონდათ, საბრალდებო მასალით შეიარაღებულნი გამოსულიყვნენ, მარიამ სტიუარტს ნება დართეს, ორი სანდო პირი გამოეგზავნა წარმომადგენლად; მხოლოდ შორიდან და შუამავლების საშუალებით შეეძლო ლორდებისთვის თავისი ბრალდებანი წარედგინა, ლორდებს კი უფლება ჰქონდათ, ყველას გასაგონად ეყვირათ, თან საიდუმლოდ მოელაპარაკათ ერთმანეთში. ამ მზაკვრობით უცბად აიძულეს მარიამ სტიუარტი, თავდასხმიდან თავდაცვაზე გადასულიყო. ყველა დაპირება ნიავივით გაქრა. ელისაბედი, ვისაც სინდისი ნებას არ აძლევდა, პროცესის დამთავრებამდე შეხვედროდა მარიამ სტიუარტს, არც კი დაფიქრებულა, მიეღო მეამბოხე მერეი. შოტლანდიის დედოფლის ღირსებას არავინ უფრთხილდებოდა, თუმცა ბრალდებულის სკამზე დასმას რომ აპირებდნენ, საიდუმლოდ ინახავდნენ (რას იტყოდნენ საზღვარგარეთ!) და ოფიციალურად მხარს უჭერდნენ ვერსიას, თითქოს ლორდებს თავი უნდა „ემართლებინათ“ შფოთის ატეხისათვის. მაგრამ როცა ინგლისის დედოფალი პასუხს სთხოვდა ლორდებს, მათგან მხოლოდ ერთ ახსნას მოითხოვდა — რატომ აღმართეს იარაღი თავიანთი დედოფლის წინააღმდეგ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათ დაეფქვათ მკვლელობის მთელი ამბავი და ამით პროცესი მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ გაემწვავებინათ. თუ ბრალდებანი საფუძვლიანი აღმოჩნდებოდა, ლონდონში არ დააყოვნებდნენ მარიამ სტიუარტის დაპატიმრებას და მისთვის თავისუფლების მოსპობა მთელი მსოფლიოს თვალში საფუძვლიანი გახდებოდა.

მაგრამ ბავშვური თამაში, ეგრეთ წოდებული „კონფერენცია“ (მხოლოდ მართლმსაჯულების შეურაცხსაყოფად შეიძლებოდა გვეწოდებინა მისთვის სასამართლო) სულ სხვა სახის კომედიად იქცა, ვიდრე ელისაბედსა და სესილს სურდათ. მოწინააღმდეგეები მრგვალ მაგიდას მიუსვეს, რომ ერთმანეთისთვის ბრალდებანი წაეყენებინათ, მაგრამ არც ერთი მხარე დიდად არ იდებდა თავს, რომ ერთმანეთი საბუთებითა და ფაქტებით გაენადგურებინათ. ჰქონდათ კიდეც ამის საბაბი. ბრალდებულნიცა და ბრალმდებელნიც — ამ პროცესის კურიოზული თავისებურება ეს გახლდათ — სინამდვილეში ერთი ბოროტმოქმედების თანამონაწილენი იყვნენ: ერთიცა და მეორე მხარეც სიამოვნებით გაჩუმდებოდნენ დარნლეის მკვლელობაზე, რადგან ერთნაირად დამნაშავენი იყვნენ. თუ მორტონი, მაიტლენდი და მერეი წარუდგენდნენ წერილებით სავსე ზარდახშას და დაადანაშაულებდნენ მარიამ სტიუარტს მკვლელობის ხელშეწყობაში ან მკვლელთა მფარველობაში, მარიამ სტიუარტს შეეძლო ემხილებინა ლორდები. ისინი ხომ ყველანი მონაწილეობდნენ და თავიანთი დუმილით ხელს უწყობდნენ მკვლელობას. ლორდებს რომ მოეფიქრებინათ და მაგიდაზე დაეწყოთ უმსგავსი წერილები, ეს მარიამ სტიუარტს აიძულებდა ეთქვა ლორდებისათვის, ვინ შეჰკრა „ბონდი“ ბოთველთან, რაღა თქმა უნდა, ეს ბოთველისგან იცოდა, იქნებ ხელთაც კი ჰქონდა ეს „ბონდი“. ამით ნიღაბს ჩამოხსნიდა მეფეზე დაგვიანებულ შურისმაძიებელთ. ბუნებრივია, ერიდებოდნენ, მოწინააღმდეგისთვის ყელში წაეჭირათ ხელი. ორივე მხარეს აინტერესებდა, ბინძური საქმე მშვიდობიანად დაემთავრებინათ და საწყალი დარნლეი საფლავში მაინც მოესვენებინათ. Requiescat in pace[1]! აი, ეს გახლდათ ღვთისმოშიში სურვილი ორივე მხარისა.

ამგვარად, უცნაური და ელისაბედისთვის მეტად მოულოდნელი რამ მოხდა: საქმის გამორკვევისას მერეი მხოლოდ ბოთველის დადანაშაულებით დაკმაყოფილდა, იცოდა, ცხრა მთას იქით გადაკარგული საშიში კაცი თავის თანამოაზრეებს ვერ დაასახელებდა — მაგრამ იშვიათი ტაქტით შეიბრალა და შოტლანდიელ ბარონებს თითქოს დაავიწყდათ, ერთი წლის წინ პარლამენტის ღია სესიაზე თვითონვე რომ სდებდნენ ბრალს მკვლელის ხელის შეწყობაში. ეს კეთილშობილი რაინდები ისე თავხედურად არ გამოსულან არენაზე, როგორც

[1] *დაე, განისვენოს მშვიდად (ლათ.).*

სესილი ფიქრობდა, სამსჯავროს მაგიდაზე არ დაუყრიათ საძრახისი წერილები. ამ გათამაშებულ კომედიაში უჩვეულო კიდევ ერთი რამ იყო: ინგლისელი კომისრებიც სიჩუმეს ამჯობინებდნენ, ერჩივნათ ბევრი არაფერი ეკითხათ მარიამ სტიუარტისათვის. ლორდ ნორტუმბერლენდთან, როგორც კათოლიკესთან, შოტლანდიის დედოფალი ბევრად უფრო ახლოს იყო, ვიდრე ელისაბედი. რაც შეეხება ლორდ ნორფოლკს, განსაკუთრებულ მიზეზთა გამო, რაზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ, მშვიდობიანობას არჩევდა. გამოიკვეთა წინასწარგანზრახული შეთანხმების კონტურები: მარიამ სტიუარტისათვის უნდა დაებრუნებინათ ტიტული და თავისუფლება, მერეის კი რჩებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი: ნამდვილი ხელისუფლება. ამგვარად, ჭექა-ქუხილის მაგივრად (როგორც ელისაბედი ფიქრობდა), მორალურად გაენადგურებინა მარიამ სტიუარტი, ჰაერში სიმშვიდე იგრძნობოდა. გულწრფელად ისაუბრეს ჩაკეტილ ოთახში. ფაქტებისა და საბუთების ბობოქარი განხილვის მაგივრად თბილი, მეგობრული განწყობილება სუფევდა. გავიდა რამდენიმე დღე და (მართლაც საოცარი განხილვა იყო!) ბრალმდებლებმა და ბრალდებულმა დაივიწყეს მიღებული გადაწყვეტილება, კომისრებმა და მოსამართლეებმა მოულოდნელად გამონახეს საერთო ენა და მზად იყვნენ, ელისაბედის მიერ მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ მნიშვნელოვან სახელმწიფო აქციად ჩაფიქრებული პროცესი დაემარხათ.

შეუცვლელი შუაკაცი, იდეალური შუამავალი, დაუზარლად რომ მიმოდიოდა აქეთ-იქით საქმის მოსაგვარებლად, შოტლანდიელი სახელმწიფო მდივანი მაიტლენდ ლეტინგტონელი გახლდათ. დარნლეის მკვლელობაში იგი ყველაზე საეჭვო როლს ასრულებდა, ამასთან, როგორც დაბადებით დიპლომატს შეჰფერის, ორპირისას. როცა კრეჰმილერში მარიამ სტიუარტთან ლორდები მივიდნენ და შესთავაზეს ან გაშორებოდა დარნლეის, ან როგორმე თავიდან მოეშორებინა, მათი სახელით გამოვიდა მაიტლენდი და სწორედ მან გადაუკრა, მერეი „ამ საქმეს არ გამოედევნებაო“. მეორე მხრივ, სწორედ მან მისცა დასტური ბოთველთან დაქორწინებაზე, სწორედ იგი იყო „შემთხვევითი“ მოწმე სახელგანთქმული მოტაცებისა და მხოლოდ ბოლო წუთებში გაიქცა ლორდებთან. ახლა სროლა რომ ატეხილიყო მარიამ სტიუარტსა და ლორდებს შორის, იგი შუა ცეცხლში მოექცეოდა. ამიტომ მზად იყო, ჯიქურ მისულიყო და უკან არ დაეხია, თუნდაც ისეთი

საშუალებების გამოყენება დასჭირვებოდა, რაც ნებადართული არ იყო, ოღონდ ნებაყოფლობითი შეთანხმებისთვის მიეღწია.

პირველად შეაშინა მარიამ სტიუარტი, შთააგონა, თუ გაჯიუტდებოდა, ლორდები ყოველგვარ საშუალებას გამოიყენებდნენ თავის დასაცავად და მაშინ სირცხვილს ვერ ასცდებოდა. რომ დაერწმუნებინა, ლორდებს მის დასამცირებლად რა მომაკვდინებელი იარაღი გააჩნდათ ხელთ, ჩუმად დაავალა თავის ცოლს, მერი ფლემინგს, ასლი გადაეღო ბრალდების მთავარი სამხილებიდან — ზარდახშაში ნაპოვნი სამიჯნურო წერილებიდან და სონეტებიდან — და ეს ასლები მარიამ სტიუარტს გადასცა.

მარიამ სტიუარტს მისი საბრალდებო მასალა რომ გაუმხილა, რა თქმა უნდა, ამით თავის მეგობრებს ღალატობდა, მის მიერ პროცესის წესის დარღვევაზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგრამ არც ლორდები დარჩენილან ვალში, არად ჩაუგდიათ მიღებული წესი და „ზარდახშის წერილები“ მსაჯულებს — ნორფოლკსა და სხვა ინგლისელ კომისრებს გადასცეს. ეს მძიმე დარტყმა იყო მარიამ სტიუარტისათვის, რადგან მოსამართლენი, სულ ცოტა ხნის წინ მხარეთა შერიგებას რომ ცდილობდნენ, ახლა მის მხარეს აღარ დაიჭერდნენ. განსაკუთრებით ნორფოლკს უხუთავდა სულს ეს სიმყრალე, პანდორას ყუთიდან* რომ დაქროლა. მან მაშინვე შეატყობინა ლონდონში (ესეც წესის დარღვევა იყო, მაგრამ ამ მეტად მძიმე წუთებში ყველაფერი თავდაყირა იდგა): „დედოფლის აღვირახსნილი, ბინძური ვნება ბოთველთან, მოკლული მეუღლის სიძულვილი და მონაწილეობა შეთქმულებაში მისი სიცოცხლის მოსასპობად ისე ნათელია, რომ ყოველი წესიერი და ზნეობის დამცველი ადამიანი შეძრწუნდება და სიძულვილით გაეცლება ამ საშინელებას“.

ეს მარიამ სტიუარტისათვის უსიამოვნო ამბავი იყო, ელისაბედისთვის კი მეტად სასიხარულო. ახლა იცოდა, ყოველ წუთს რა ბინძურ სამხილებს დააწყობდნენ მაგიდაზე და ელისაბედი მანამდე ვერ მოისვენებდა, სანამ ყველა არ გაიგებდა ამას. მარიამ სტიუარტი საქმის მშვიდობიანად დამთავრებისკენ ისწრაფოდა, ელისაბედი კი მის საჯაროდ შერცხვენას მოითხოვდა. მარიამ სტიუარტის ბრძოლა სრულიად უიმედო გახდა, როცა ნორფოლკმა სახელგანთქმული „ზარდახშის წერილები“ წაიკითხა და მტრული პოზიცია დაიკავა.

მაგრამ როგორც სათამაშო მაგიდასთან, ისევე პოლიტიკაშიც

პარტია წაგებულად არ ითვლება, სანამ მოწინააღმდეგეს თუნდაც ერთი ბანქოს ქაღალდი შემორჩება ხელთ. კრიტიკულ მომენტში მაიტლენდმა ყველაზე თავსატეხი მომენტი გაითამაშა. იგი ეწვია ნორფოლკს, კარგა ხანს ესაუბრა განმარტოებით. გაოცებთ, საკუთარ თვალებს არ უჯერებთ, როცა წყაროებს კითხულობთ. საოცრება მოხდა, პავლე სავლედ იქცა. აღშფოთებული, განრისხებული ნორფოლკი მსაჯული, ბრალდებულის მოწინააღმდეგე, დედოფლის გულმოდგინე დამცველი და კეთილისმსურველი ხდება. იგი გადაუდგა თავის დედოფალს, მარიამ სტიუარტის საჯარო გასამართლებას რომ მოითხოვდა და უცბად მარიამ სტიუარტის მხარე დაიჭირა: დაარიგა, უარი არ ეთქვა არც თავის გვირგვინზე, არც ინგლისის ტახტის მემკვიდრეობაზე, ნებისყოფა განუმტკიცა, ხელი გაუწოდა. მეორე მხრივ, მერეის გადაათქმევინა წერილების წარმოდგენა და ჰოი, საოცრებავ! — მერეისაც ნორფოლკთან საუბრის შემდეგ განწყობილება შეეცვალა. მოკრძალებული, დამთმობი გახდა, ყველაფერში ნორფოლკს ეთანხმებოდა, ლამის მთელი დანაშაულის სიმძიმე ბოთველისთვის გადაებრალებინა და ყოველნაირად დაეხსნა მარიამ სტიუარტი. თითქოს ერთ ღამეს შეიცვალა ამინდი, დაქროლა მაცოცხლებელმა, თბილმა ნიავმა. ყინული გალხვა. ერთი-ორი დღე და ამ უჩვეულო სამსჯავროში გაზაფხული, მეგობრობა დაისადგურებდა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ აიძულა ნორფოლკი შემობრუნებულიყო ას ოთხმოცი გრადუსით, რამ აიძულა ელისაბედის მსაჯული, არად ჩაეგდო მისი ნება და მარიამ სტიუარტის მოწინააღმდეგე მისი საუკეთესო მეგობარი გამხდარიყო? პირველი, რაც თავში მოგვივა, ისაა, ალბათ მაიტლენდმა მოისყიდაო, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, უაზროა ეს ვარაუდი. ნორფოლკი ყველაზე მდიდარი ჰერცოგი იყო ინგლისში, მისი გვარი ცოტათი თუ ჩამორჩებოდა უძლიერეს ტიუდორებს. მის მოსასყიდ ფულს არათუ მაიტლენდი, მთელ ღატაკ შოტლანდიაში ვერ იშოვიდნენ. მაგრამ პირველი ვარაუდი მაინც გონივრულია. მაიტლენდმა მართლაც მოისყიდა ნორფოლკი. მან ახალგაზრდა ქვრივს აღუთქვა ის, რითაც შეიძლება მოხიბლო უძლიერესი კაცი — უფრო მეტი სიძლიერით.

მაიტლენდმა ჰერცოგს დედოფლის ხელი შესთავაზა და იქნებ ინგლისის ტახტზე სამემკვიდრეო უფლებებიც. მეფის გვირგვინს მაგიური ძალა აქვს. ლაჩარსაც კი სიმამაცეს მატებს და ყველაზე

გულგრილ ადამიანს პატივმოყვარედ ხდის, გონიერ ადამიანს ჭკუას აკარგვინებს. ახლა ნათელია, ნორფოლკი, გუშინ რომ ურჩევდა მარიამ სტიუარტს, უარი ეთქვა თავის მეფურ უფლებებზე, დღეს რაღად ჩასჩიჩინებდა დაეცვა. იგი უარს არ იტყოდა მარიამ სტიუარტის ცოლად შერთვაზე მხოლოდ იმის გამო, რომ მაშინ ტიუდორების ადგილს დაიჭერდა, რომლებიც ულმობლად გაუსწორდნენ მის მამასა და პაპას, — ვით მოღალატეები, ისე გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. და განა შეიძლებოდა ვაჟიშვილისა და შვილიშვილისთვის დაებრალებინათ ღალატი მეფის ოჯახისა, რომელიც მის საკუთარ ოჯახს ჯალათის ნაჯახით გაუსწორდა!

რაღა თქმა უნდა, თანამედროვე შეხედულების ადამიანებს, უჩვეულოდ გვეჩვენება, რომ სწორედ ის კაცი, გუშინ რომ შეაძრწუნა მარიამ სტიუარტის, მკვლელისა და მრუშის საქციელმა და აღაშფოთა მისმა სასიყვარულო თავგადასავლებმა, დღეს მის ცოლად შერთვას აპირებდა. რაღა თქმა უნდა, მარიამ სტიუარტის დამცველები ერთმანეთს ეკამათებიან თავიანთი ჰიპოთეზებით: მაიტლენდმა პირისპირ საუბარში თითქოს დაარწმუნა ნორფოლკი დედოფლის უდანაშაულობაში, დაუმტკიცა, რომ „ზარდახშის წერილები“ შეთითხნილი იყო. მაგრამ წყაროები ამაზე დუმან. ნორფოლკი კი რამდენიმე კვირის შემდეგ ელისაბედის წინაშე თავს რომ იცავდა, მარიამ სტიუარტს კვლავ მკვლელს უწოდებდა. მეტად დიდი შეცდომა იქნებოდა, ჩვენი მორალური შეხედულებანი ოთხი საუკუნის იქით დაგვეტოვებინა, რადგან ადამიანის ცხოვრება დროთა განმავლობაში იცვლება. ყოველი ეპოქა მას სხვადასხვანაირად აფასებდა. მორალის ცნება ყოველთვის შედარებითია. ჩვენი საუკუნე გაცილებით ითმენს პოლიტიკურ მკვლელობას, ვიდრე ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნე, მაგრამ არც მეთექვსმეტე საუკუნე ყოფილა ლმობიერი ამ საკითხში. სინდისის ქენჯნა უცხო იყო ეპოქისათვის, რომელიც თავის მორალს იღებდა არა წმინდა წიგნიდან, არამედ მაკიაველის მოძღვრებიდან. ვინც იმ დროს ტახტისაკენ მიისწრაფოდა, ადვილად გული არ აუჩუყდებოდა და უკან არ მოიხედავდა, რომ დაენახა, დაღვრილი სისხლით წითლად იყო თუ არა შეღებილი ტახტის საფეხურები. ბოლოს და ბოლოს, სცენა „რიჩარდ III“-ში, სადაც დედოფალი ხელს აძლევს მისი ქმრის მკვლელს, მისი თანამედროვის მიერ არის დაწერილი და მაყურებლებს არ მიაჩნდათ იგი ნაკლებ სარწმუნოდ.

ტახტზე რომ ასულიყვნენ, ძმას, საკუთარ მამას წამლავდნენ, ათასობით უდანაშაულო მსხვერპლთ ომში ერეკებოდნენ, დაუფიქრებლად იშორებდნენ ადამიანებს გზიდან. იმ დროს ევროპაში ძნელად მოიძებნებოდა სამეფო კარი, ასეთი დანაშაული რომ არ ჰქონოდა ჩადენილი. მეფის გვირგვინისათვის თოთხმეტი წლის ბიჭს ცოლად რთავდნენ ორმოცდაათი წლის ქალს, ხოლო ნორჩ ასულთ მიხრწნილ ბებრებზე ათხოვებდნენ. არავინ კითხულობდა სათნოებას, სილამაზეს, ღირსებას და კეთილ ზნეობას — თხოვდებოდნენ გონებასუსტებზე, ხეიბრებზე, დამბლიანებზე, სიფილისიანებზე, დავრდომილებზე, ბოროტმოქმედებზე. მაშ, განსაკუთრებულ სინდისიერებას რაღას მოითხოვთ ამპარტავან, ზვიად ნორფოლკისაგან, როცა ახალგაზრდა, ლამაზი, ენებიანი დედოფალი უარზე არ იყო ცოლად გაჰყოლოდა? პატივმოყვარეობით დაბრმავებული ნორფოლკი კი ყურადღებას არ აქცევდა მარიამ სტიუარტის წარსულს, უფრო ის აინტერესებდა, რას მოუტანდა მას დედოფალი. ეს ავადმყოფი, გონებაშეზღუდული კაცი ოცნებაში უკვე ვესტმინსტერში, ელისაბედის ადგილას იჯდა. ამგვარად, საქმე მოულოდნელად სხვაგვარად შეტრიალდა: მაიტლენდმა მოხერხებულად შეასუსტა ის მარყუჟი, მარიამ სტიუარტს რომ ჰქონდა ჩამოცმული და მკაცრი სასჯელის მაგივრად დედოფალმა უცბად ნორფოლკში საქმრო და შემწე პოვა.

მაგრამ ელისაბედს მახვილი სმენა ჰქონდა, ფხიზელი, ეჭვიანი გონება, Les princes ont des oreilles grandes, qui oyent loin et prés[1], — დაიტრაბახა მან ერთხელ საფრანგეთის ელჩთან. ათასობით წვრილმან ნიშანზე მიხვდა, იორკში საშიშ სასუსნავს აშზადებდნენ მის წინააღმდეგ. პირველ რიგში ნორფოლკი იხმო და დაცინვით ჰკითხა, ცოლის შერთვას ხომ არ აპირებო. ნორფოლკი გმირი არ იყო. ხმამაღლა იყვირა პეტრეს მამალმა. როგორც ცელქობაში დაჭერილი ბიჭი, ეს ახალმოვლენილი პეტრე-ნორფოლკი მაშინვე განუდგა მარიამ სტიუარტს, გუშინ რომ ხელს სთხოვდა. ეს ტყუილი და ცილისწამებაა (მკვლელსა და მრუშს არასოდეს შევირთავ ცოლად. ბალიშზე თავს რომ დავდებ, არაფრის არ უნდა მეშინოდესო), — ამბობდა მღელვარებით. ელისაბედი არ იყო უჭკუო ქალი. რაც იცოდა, მტკიცედ იცოდა, შემდეგ ამაყად ამბობდა: Ils m'ont cru si sotte, que je n'en sentirais rien[2].

---

[1] *მეფეებს დიდი ყურები აქვთ, მათ ყველაფერი ესმით, ახლოსაც და შორსაც (ფრ.).*

[2] *ისინი სულელად მთვლიდნენ, ეგონათ, ვერაფერს ვხვდებოდი (ფრ.).*

როცა ეს განრისხებული ქალი საყელოში ჩაავლებდა ხელს რომელიმე მლიქვნელს, მაშინვე დააფქვევინებდა საიდუმლოს, ახლა თვითონ დაამყარებს წესრიგს. მისი ბრძანებით სესია 25 ნოემბერს იორკიდან ვესტმინსტერში გადაიტანეს — Camera Depicta[1]-ში. აქ, ორ ნაბიჯზე მისი სამეფო კარიდან, მის გამჭოლ მზერაზე მაიტლენდი ისე ადვილად ვერ დაიძვრენდა თავს, როგორც იორკშირში, ლონდონიდან ორი დღის სავალზე, მის ჯაშუშთა და მცველთაგან მოშორებით. ამასთან, ელისაბედმა კომისრების გასამაგრებლად, რომელთაც ვერ გაამართლეს მისი იმედები, უფრო ერთგულნი დანიშნა, პირველ რიგში თავისი საყვარელი ლესტერი. ახლა, როცა სადავეები საიმედო ხელთ იყო, პროცესი სწრაფად მიდიოდა დასახული მიზნისკენ. მის ძველ მუქთამჭამელ მერეის ნათლად უბრძანეს, „თავი დაეცვა“, ამასთან საშიში დავალებაც — უკან არ დაეხია extremity of odious accusation[2], სხვანაირად რომ ვთქვათ, იმის დასამტკიცებლად, რომ მარიამ სტიუარტი საძრახის ურთიერთობაში იმყოფებოდა ბოთველთან, „ზარდახშის წერილები“ წარმოედგინა. ელისაბედს აღარც კი აგონდებოდა მარიამ სტიუარტისათვის მიცემული საზეიმო ფიცი, რომ პროცესზე არაფერს წარმოთქვამდნენ against her honour. ლორდები გონს კიდევ ვერ მოსულიყვნენ. იმის ნაცვლად, პირდაპირ წარედგინათ წერილები, აყოვნებდნენ, ყოყმანობდნენ, ზოგადი, გადაკრული სიტყვებით კმაყოფილდებოდნენ. და რადგან ელისაბედს არ შეეძლო, პირდაპირ ებრძანებინა მათთვის, არც სულსწრაფობა უნდოდა გამოეჩინა, უფრო მეტად პირფერობდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს მტკიცედ იყო დარწმუნებული მარიამ სტიუარტის უდანაშაულობაში და მისი ღირსების აღსადგენად მხოლოდ ერთადერთ საშუალებას ხედავდა — ყველაფერი კარგად გამოეძიებინა. როგორც მოყვარული და, მოუთმენლად მოითხოვდა, მისთვის წარედგინათ ყველა სამხილი, რაც კი „ცილისწამების“ საფუძველს იძლეოდა, მაგიდაზე დაეწყოთ მისი წერილები და სასიყვარულო სონეტები ბოთველისადმი. ლორდები ბოლოს დათანხმდნენ ასეთ დაჟინებულ მოთხოვნას. მერეიმ ბოლო წუთებშიც კომედია გაითამაშა. თითქოს წინააღმდეგობას უწევდა, რომ წერილები მაგიდაზე დაეწყოთ. გააფრიალა და საჩქაროდ დამალა, რომ მდივანს „ძალით“ გამოეგლიჯა

[1] *სურათების გალერეაში (ლათ.).*

[2] *ყველაზე უკიდურესი და შეურაცხმყოფელი ბრალდების წინაშეც (ინგლ.).*

ხელიდან. ელისაბედი ზეიმობდა. წერილები მაგიდაზე ეწყო. ხმამაღლა წაიკითხეს. პირველად ერთხელ, მეორე დღეს, გაფართოებული კომისიის წინ კი მეორეჯერ. თუმცა ლორდებმა თავის დროზე ფიცით დაამტკიცეს, რომ ეს წერილები მარიამ სტიუარტს ეკუთვნოდა, ელისაბედს ეს არ აკმაყოფილებდა. თითქოს წინასწარ გრძნობდა, მარიამ სტიუარტის დამცველები წინააღმდეგობას გაუწევდნენ და საუკუნეების შემდეგ მტკიცებას მოჰყვებოდნენ, რომ ყალბი იყო. ბრძანა, მთელი კომისიის თანდასწრებით გულმოდგინედ შეედარებინათ მარიამ სტიუარტის საკუთარი ხელით დაწერილი წერილებისათვის. ამგვარი გამოძიების დროს მარიამ სტიუარტის წარმომადგენლებმა დატოვეს დარბაზი (ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო წერილების ნამდვილობის დასამტკიცებლად) და ხმამაღლა განაცხადეს, რომ ელისაბედმა არ შეასრულა თავისი სიტყვა, — მარიამ სტიუარტისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ against her honour.

მაგრამ ამ ყველაზე უკანონო სამსჯავროზე რა კანონიერებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, სადაც ნება არ დართეს, გამოცხადებულიყო მთავარი ბრალდებული და ლენოქსს, ბრალმდებელს ვერავინ აუკრავდა პირს? მარიამ სტიუარტის წარმომადგენლებმა დატოვეს თუ არა დარბაზი, კომისრებმა „წინასწარი დადგენილება“ გამოიტანეს, რომ ელისაბედი ვერ მიიღებდა მარიამ სტიუარტს, ვიდრე იგი დანაშაულისაგან არ განიწმინდებოდა. ელისაბედმა თავისას მიაღწია. ბოლოს შეთითხნეს მიზეზი, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა ლტოლვილისათვის ზურგის შესაქცევად. ახლა ძნელი აღარ იყო საფუძვლის გამოძებნა, რომ ტყვე წინასწარ in honourable custody[1] ჰყოლოდათ. ეს უფრო კეთილშობილური გამოთქმა იყო „პატიმრობის“ გამოსახატავად. მისმა ერთმა ერთგულმა, არქიეპისკოპოსმა პარკერმა აღტაცებით წამოიძახა: „ჩვენმა კეთილმა დედოფალმა, როგორც იქნა, მგელს ყურებში წაავლო ხელი“.

ამ „წინასწარ პატიმრობას“ თავისი შედეგი მოჰყვა, მხოლოდ მარიამ სტიუარტი დარჩა შეურაცხყოფილი. იგი თავდახრილი ელოდებოდა განაჩენს, როგორც კისერზე ნაჯახის დარტყმას. ახლა ოფიციალურად შეეძლოთ ბრალი დაედოთ მკვლელობაში და გაეგზავნათ შოტლანდიაში, სადაც ულმობელი ჯონ ნოქსი ელოდა. მაგრამ ამ

[1] *საპატიო პატიმრობაში (ინგლ.).*

წუთში ელისაბედმა სიკვდილის მაუწყებლად აწეული ხელი დახარა. ყოველთვის, როცა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო, კეთილი ან ბოროტი, ამ უცნაურ ქალს ვაჟკაცობა ღალატობდა. ძნელი სათქმელია, დიდსულოვანი ადამიანური გრძნობა იყო თუ ნაგვიანევი სინანული, რომ არ შეასრულა თავისი მეფური სიტყვა და არ დაიცვა მარიამ სტიუარტის ღირსება; დიპლომატიური ანგარიშის გასწორება იყო თუ საწინააღმდეგო გრძნობების ქაოსური აღრევა ამ უჩვეულო ბუნების ქალში. მაგრამ ელისაბედმა კვლავ უკან დაიხია, დაკარგა შესაძლებლობა, საბოლოოდ გასწორებოდა თავის მოწინააღმდეგეს. იმის მაგივრად, რომ სასამართლოსთვის ებრძანებინა მკაცრი განაჩენის გამოტანა, მარიამ სტიუარტთან მოლაპარაკება დაიწყო. ელისაბედს გულში მხოლოდ ერთადერთი სურვილი ჰქონდა: ამ ჯიუტ, ურჩ, დაუცხრომელ ქალს მოესვენებინა იგი. მას სურდა მხოლოდ დაემცირებინა და დაემორჩილებინა მარიამ სტიუარტი. სანამ განაჩენს გამოიტანდნენ, შთაგონა, უარეყო წარმოდგენილი საბუთები, ამასთან ისიც შეატყობინა, რომ თუ თავისი ნებით უარყოფდა ამ საბუთებს, გაამართლებდნენ და ნებას დართავდნენ, თავისუფლად ეცხოვრა ინგლისში და სახელმწიფო პენსიასაც კი დაუნიშნავდნენ. თან საჯაროდ დასჯით აშინებდნენ — მათრახითაც ემუქრებოდნენ და ტკბილ კვერსაც უჩვენებდნენ. ნოლისი — ინგლისის სამეფო კარის რწმუნებული გვატყობინებს, რომ ელისაბედმა ყოველგვარ ხერხს მიმართა ტყვის შესაშინებლად. ამგვარად, კვლავ მუქარა და სატყუარა — ელისაბედის საყვარელი ხერხები გამოიყენეს, მაგრამ არც მუქარა და არც სატყუარა აღარ მოქმედებდა მარიამ სტიუარტზე. ჩვეულებისამებრ, საფრთხემ გააკაჟა და თანდათან ემატებოდა სიდიადე. საბუთების გადასინჯვა არ მოუთხოვია. გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ მახეში გაება და არ სურდა, ქვეშევრდომებისთვის გაეყადრებინა თავი. მხოლოდ მის მეფურ სიტყვას უნდა გადაეწონა მტრების ცილისწამებისა და საბუთებისათვის. მან უარი თქვა შემოთავაზებულ გარიგებაზე და ამ უარით უნდოდა მსაჯულთა მოწყალება მოეპოვებინა, რომელთა უფლებამოსილებას იგი არც კი ცნობდა. მან თავის შუამავლებს მტკიცედ განუცხადა, სანამ ცოცხალი ვარ, ამ სიტყვებს არ ვუღალატებ: „არავინ გაბედოს, მომთხოვოს უარი ვთქვა ჩემს გვირგვინზე. სიკვდილს ვარჩევ, ვიდრე ამაზე დაგთანხმდებოდეთ. ჩემი უკანასკნელი სიტყვები იქნება შოტლანდიის დედოფლის სიტყვები“.

ამგვარად, შიშმა ვერ სძლია: ელისაბედის ურყევ გადაწყვეტილებას მარიამ სტიუარტმა თავისი ურყევი გადაწყვეტილებით უპასუხა. ელისაბედი კვლავ ყოყმანობდა და მსჯავრდადებულის შეურიგებელი პოზიციის წყალობით სასამართლომ ვერ გაბედა აშკარად გამოეტანა განაჩენი. ელისაბედმა, ჩვეულებისამებრ (რასაც კიდევ მრავალჯერ დავინახავთ) უკან დაიხია, შეაშინა იმან, რაც შეიძლებოდა მის სურვილს მოჰყოლოდა. სწორედ ამიტომ, ისე სასტიკი განაჩენი აღარ გამოუტანიათ, როგორც ფიქრობდა, მაგრამ ისიც მთელი პროცესივით ორაზროვნად და სულმდაბლურად ჟღერდა. 10 ივნისს საზეიმოდ განაცხადეს, მერეისა და მის მომხრეთა მოქმედებაში არაფერი შეინიშნება ისეთი, რაც მათ ღირსებასა და მოვალეობას ჩრდილს აყენებდესო. ეს სრული გამართლება იყო ლორდების მიერ მოწყობილი ამბოხებისა. ბევრად უფრო ორაზროვნად ჟღერდა განაჩენი მარიამ სტიუარტის საქმეზე: ლორდებმა ვერ შეძლეს დაემტკიცებინათ თავიანთი ბრალდებანი დედოფლის წინააღმდეგ, რომ შეეცვალათ ინგლისის დედოფლის კეთილი აზრი თავის დაზე. ერთი შეხედვით ეს შეიძლება მსჯავრდადებულის გამართლებად მოგვეჩვენოს, თითქოს ბრალდება უსაფუძვლო იყო, მაგრამ მოწამლული ისარი იმალებოდა სიტყვებში bene sufficiently. ეს გადაკრულად მიანიშნებდა, სამხილი საკმაოდ მძიმე და მრავალმხრივი იყო, მაგრამ „სრულყოფილი“ არა და ეს ვერ დაარწმუნებდა გულკეთილ დედოფალ ელისაბედს. სესილს ესღა უნდოდა თავისი მიზნის განსახორციელებლად. კვლავ ეჭვის თვალით უცქეროდნენ მარიამ სტიუარტს და საკმაო მიზეზიც უპოვეს, რომ უმწეო ქალი დაეტყვევებინათ. ამჯერად ელისაბედმა გაიმარჯვა. მაგრამ ეს პირეის გამარჯვება იყო. ვიდრე ელისაბედს მარიამ სტიუარტი დატყვევებული ჰყავდა, ინგლისში თითქოს ორი დედოფალი იყო და სანამ ერთ-ერთი არ გარდაიცვლებოდა, ქვეყანაში სიმშვიდე ვერ დამყარდებოდა. უკანონობას მღელვარება მოჰყვება ხოლმე და ხეირს ვერ ნახავს კაცი იმაში, რასაც ეშმაკობით მიაღწევს. იმ დღეს, როცა ელისაბედმა მარიამ სტიუარტს თავისუფლება მოუსპო, ამით თავის თავსაც მოუსპო. მარიამ სტიუარტს რომ მტრულად ექცეოდა, ამით მასაც საფუძველს აძლევდა მტრული მოქმედებისა. ფიცს რომ არღვევდა, ამით მასაც აძლევდა ფიცის ღალატის საშუალებას და თავისი ტყუილებით მის ტყუილებს ამართლებდა. წლების განმავლობაში დაისაჯა ელისაბედი, რომ ყური არ უგდო გულისხმას. მეტისმეტად

გვიან მიხვდა, დიდსულოვნება რომ გამოეჩინა, ჭკვიანურად მოიქ-ცეოდა. შეუმჩნევლად ჩაქრებოდა მარიამ სტიუარტის სიცოცხლე. თუნდაც გულგრილად, უბრალო ცერემონიით შეხვედროდა და მერე ინგლისიდან გაესტუმრებინა. ან კი რა ხეირი დაეყრებოდა მისგან სიძულვილით გაშვებულს? არც ერთი პოეტი, არც ერთი მსაჯული მას აღარ გამოექომაგებოდა. ამდენ უბედურებაგამოვლილი, ელისა-ბედის ამპარტავნობით დამცირებული უმიზნოდ იხეტიალებდა ერთი სამეფო კარიდან მეორეზე. შოტლანდიაში მერეი არ შეუშვებდა, საფ-რანგეთსა და ესპანეთში არცთუ ესიამოვნებოდათ მოუსვენარი ქალის სტუმრობა. შეიძლებოდა მგზნებარე გრძნობით შეპყრობილი ახალ სასიყვარულო თავგადასავლებში გახლართულიყო. იქნებ ბოთველს გასდევნებოდა დანიაში. მაშინ მისი სახელი საუკუნეებში ჩაიკარგე-ბოდა ან უდიერად მოიხსენიებდნენ, როგორც დედოფალს, რომელიც ქმრის მკვლელს გაჰყვა ცოლად. ამ უსახელო, საცოდავი ხვედრისგან იხსნა ელისაბედის ცნობილმა უსამართლობამ. ელისაბედმა შეუწყო ხელი, რომ მარიამ სტიუარტის ბედის ვარსკვლავს წინანდებურად ებრწყინა და მისი დამცირების მოსურნემ აღამაღლა და უჭკნობი მოწამებრივი გვირგვინით შეუმკო თავი. მარიამ სტიუარტს მისი სა-კუთარი საქმენი ვერ აქცევდნენ ისეთ ლეგენდარულ ფიგურად, რო-გორც მისდამი უსამართლოდ მოქცევამ აქციეს. არაფერი ისე არ დასცემდა ინგლისის დედოფლის მორალურ პრესტიჟს, როგორც დასცა იმან, რომ გადამწყვეტ წუთებში შემთხვევა დაკარგა, ჭეშმა-რიტი დიდსულოვნება გამოეჩინა.

ჩრდილში გატარებული წლები
1569-1584

უიმედო საქმეა სიცოცხლის ხატვა, ამაო შრომაა ერთფეროვნების ხორცშესხმა. მარიამ სტიუარტის ტყვეობაც ასეთივე ბურანი, ასეთივე მოსაწყენი უვარსკვლავებო ღამეა. განაჩენის გამოტანის შემდეგ მისი ცხოვრების ჩქარი მაჯისცემა შეწყდა, წელი წელს მიჰყვებოდა, როგორც ტალღები ტალღებს. ხან ცოტათი გამოცოცხლდებოდა და აჩქარდებოდა, მერე კვლავ დუნედ და ნელა მიედინებოდა, მაგრამ არასოდეს აბობოქრებულა. მარტოდმარტო მყოფი ქალი ვერც სრულ ბედნიერებას განიცდიდა და ვერც ტანჯვას. მოვლენებს მოწყვეტილი, უაზროდ თვლემდა მივიწყების ბურუსში ოდესღაც მგზნებარე ქალის ბედი. უსიცოცხლო, ნელი ნაბიჯებით მიედინებოდა მისი ცხოვრება. გავიდა ოცდამერვე, ოცდამეცხრე, ოცდამეათე წელი ამ სიცოცხლეზე შეყვარებული ქალისა. კვლავ ახალმა ათეულმა წელმა განვლო, ასევე მოსაწყენმა და სიცარიელით მოცულმა. ოცდამეთერთმეტე, ოცდამეთორმეტე, ოცდამეცამეტე, ოცდამეთოთხმეტე, ოცდამეთხუთმეტე, ოცდამეთექვსმეტე, ოცდამეჩვიდმეტე, ოცდამეთვრამეტე, ოცდამეცხრამეტე... დაიღლებით ციფრების წერით. მაგრამ ეს წლები თანამიმდევრობით უნდა დავასახელოთ, რომ ვიგრძნოთ ეს სულიერი ტანჯვა, რადგან ყოველი წელი ასეულობით დღეს შეიცავს, ყოველი დღე მრავალ საათს, მაგრამ არც ერთს არ აუღელვებია სინამდვილეში, არც ერთს არ მოუტანია მისთვის სიხარული. მერე ორმოცისა გახდა. ახლა ახალგაზრდა აღარ იყო, არამედ დაღლილი, ავადმყოფი ქალი. ნელ-ნელა შემოეპარა ორმოცდამეერთე, ორმოცდამეორე, ორმოცდამესამე და ბოლოს... სიკვდილიც შეიბრალებდა და ტანჯულ სულს ტყვეობიდან იხსნიდა. ამ წლების განმავლობაში რაღაც იცვლება, მაგრამ უმნიშვნელოდ. ხან კარგად იყო, ხან ავად, მრავალგზის სასო-

წარკვეთილების შემდეგ ზოგჯერ იმედი დაეუფლებოდა, ხან ცუდად ექცეოდნენ, ხან — კარგად. ელისაბედისაგან ხან განრისხებული, ხან ალერსიანი წერილები მოსდიოდა, მაგრამ მთლიანად ეს მაინც მტანჯველი ერთფეროვნება იყო, უსიხარულოდ, უმიზნოდ გატარებული საათები. ერთი შეხედვით თითქოს მხოლოდ ციხეებს უცვლიდნენ. ხან ბოლტონში ჰყავდათ გამომწყვდეული, ხან ჩეტსუორტში, შეფფილდში, ტატბერიში, უინგფილდში, ფოტერინგეიში. მხოლოდ სახელებით, ქვებითა და კედლებით განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან. ეს ციხეები მისთვის ერთნაირი იყო, რადგან ყველა თავისუფლებას უსპობდა. მწყრალად, უღიმღამოდ ტრიალებდნენ შეუმჩნეველი წრის, ვრცელი და საოცარი ორბიტის გარშემო ვარსკვლავები, მზე, მთვარე: ღამეს დღე სცვლიდა, მიიზლაზნებოდა თვეები და წლები. ინგრეოდა იმპერიები და ნაცრისაგან აღსდგებოდა, მეფეები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ქალები მოწიფულობაში შედიოდნენ, შვილებს შობდნენ და ჭკნებოდნენ. მთებს, ზღვებს გადაღმა განუწყვეტლივ იცვლებოდა სამყარო. მხოლოდ მარიამ სტიუარტის სიცოცხლე ჭკნებოდა უიმედოდ ჩრდილში, ფესვებსა და ღეროს მოწყვეტილი აღარ ყვაოდა და ნაყოფს არ იძლეოდა. ნელ-ნელა ქრებოდა უძლური ტანჯვის შხამით გამოფიტული მისი ყმაწვილქალობა და სიცოცხლე.

მაგრამ რა საოცრადაც უნდა მოგვეჩვენოს, თავისი დაუსრულებელი ტყვეობის ყველაზე მძიმე წუთებშიც კი მაინცდამაინც არ შეცვლილა გარეგნულად. რადგან უხეშ ძალდატანებას წინ აღუდგებოდა ამაყი გონება, დამცირებისაგან იხსნიდა, მგზნებარე პროტესტით სული უმტკიცდებოდა. მხოლოდ სიცარიელე, სისხლის გამომწოვი, ადამიანის გამანადგურებელი სიცარიელე აშინებდა. კაცს უფრო გაუჭირდება რეზინის საკანში ყოფნა, რომლის კედლებსაც მუშტებს ვერ დასცხებს, ვიდრე ქვის საფლავში. ვერც მათრახი და ვერც ლანძღვა-გინება ისე ვერ შეძრავს კეთილშობილურ გულს, როგორც სულმდაბლური თაყვანისცემა და ამგვარი რამით თავისუფლების მოსპობა. ვერავითარი დაცინვა ისე ვერ იმოქმედებს ადამიანზე, როგორც ოფიციალური თავაზიანობა. სწორედ ასეთი მტანჯველი ხვედრი ხვდა წილად მარიამ სტიუარტს. მოჩვენებითად პატივს სცემდნენ დედოფალს და არა ტანჯულ ადამიანს. ეს მლიქვნელური მზრუნველობა, ფარული მეთვალყურეობა, საპატიო ყარაული honourable

custody ტანჯავდა... შლაპით ხელში, მონურად თავდახრილნი მისდევდნენ ფეხდაფეხ... ამ წლების განმავლობაში მეციხოვნეებს წუთითაც არ დავიწყებიათ, რომ მარიამ სტიუარტი დედოფალი იყო. ყოველგვარ ფუფუნებას უქმნიდნენ, ყოველგვარ პატარა თავისუფლებას, მხოლოდ ერთი რამ აკლდა — წმინდა, ცხოვრებისეული მოწყალება — ჭეშმარიტი თავისუფლება. ჭკვიან ელისაბედს, რომელსაც ეშინოდა, ვით მოწყალე მბრძანებელს სახელი არ გასტეხოდა, მეტოქისათვის ძველი წყენინება არ გაუხსენებია. დიახ, იგი ზრუნავდა ძვირფას დაზე! საკმარისი იყო მარიამ სტიუარტი ავად გამხდარიყო, რომ ლონდონიდან წამდაუწუმ კითხულობდნენ მისი ჯანმრთელობის ამბავს. ელისაბედი თავის ექიმს უგზავნიდა, ბრძანებდა, საჭმელი მის ერთგულ ვინმეს მოემზადებინა, რომ ცილისმწამებელთ არ ეჩურჩულათ, თითქოს ელისაბედს სურდა მეტოქის მოწამლვა და არ ეჩივლათ, რომ დატყვევებული ჰყავდა ღვთის რჩეული. არა, იგი მხოლოდ დაჟინებით სთხოვდა შოტლანდიელ დას, დიდხანს დარჩენილიყო სტუმრად ინგლისის მშვენიერ მამულებში. რაღა თქმა უნდა, ელისაბედისათვის უფრო ადვილი და საიმედო იქნებოდა, რომ ეს ჯიუტი ქალი ტაუერში ჩაეკეტა, ვიდრე ფუფუნებაში ჰყოლოდა ციხე-კოშკებში. მაგრამ ნამდვილ პოლიტიკაში თავის მინისტრებზე უფრო გამოცდილს, რომლებიც კვლავ დაჟინებით ურჩევდნენ ამ უხეში ზომის მიღებას, ელისაბედს ეშინოდა მისთვის საძულველი ადამიანის ესოდენ დამდაბლებისა. იგი მაინც თავისაზე იდგა: მარიამ სტიუარტისათვის დედოფლის შესაფერისი პატივი მიეგოთ, მაგრამ პატივისცემის ჯაჭვში გახვეულს ოქროს ჯაჭვით შეუბორკეს ხელ-ფეხი. ფანატიკურად ხელმომჭირნე ელისაბედს ამ ერთადერთ შემთხვევაში არ უძუნწია: კბილებს აკრაჭუნებდა და თან ყოველ კვირაში ორმოცდათორმეტ გირვანქას ისროდა დაუპატიჟებელი სტუმრისათვის. ასე გაგრძელდა ოც წელიწადს და რადგან მარიამ სტიუარტი საფრანგეთიდანაც საკმაოდ დიდ პენსიას იღებდა — წელიწადში ათას ორას გირვანქას, აღარ იშიმშილებდა, თავადივით შეეძლო ეცხოვრა ინგლისის ციხე-კოშკებში. მისთვის არ აუკრძალავთ თავის მისაღებ ოთახში გავალაკი დაედგა მეფის გვირგვინით. ყოველ შემომსვლელს თვალში მოხვდებოდა, რომ აქ ტყვე, მაგრამ მაინც დედოფალი ცხოვრობდა. მხოლოდ ვერცხლის ჭურჭლიდან ჭამდა, ყოველ ოთახში ვერცხლის შანდლებში ძვირფასი თაფლის სანთლები ენთო, იატაკე-

ბზე თურქული ხალიჩები ეფინა, რაც იშვიათი იყო იმ დროს. იმდენი სიმდიდრე ჰქონდა, ერთი ციხიდან მეორეში გადასაზიდად ათი ოთხ-ცხენშებმული ოთხთვალა სჭირდებოდა. მარიამ სტიუარტს მთელი ამალა ჰყავდა სასახლის მანდილოსანთა, მსახურთა და კამერჰერები-სა. იყო დრო, როცა გარს ერტყა არანაკლებ ორმოცდაათი კაცისა, შემცირებული მთელი სამეფო კარი — ჰოფმაისტერები, მღვდლები, ექიმები, მდივნები, ხაზინადრები, პირისფარეშები, გარდერობმაის-ტერები, მკერავები, მზარეულები... შტატი, რომლის შემცირებასაც გულმოდგინედ ცდილობდა ქვეყნის ხელმომჭირნე დიასახლისი, მა-გრამ ტყვე კბილებით იცავდა.

ტახტიდან ჩამოგდებული დედოფლის ტანჯვას რომ არავინ აპირ-ებდა იდუმალებით მოცულ, რომანტიკულ სარდაფში, ამას ისიც მოწმობს, რომ მას მუდმივად მცველად ჯორჯ ტოლბოტი, შრუს-ბერის გრაფი მიუჩინეს. იგი ნამდვილი დიდებული და ჯენტლმენი იყო. 1569 წლამდე, სანამ ელისაბედი ამ მძიმე მოვალეობას დააკის-რებდა, შეიძლებოდა იგი სვებედნიერ ადამიანადაც კი ჩაგვეთვალა. ვრცელი მამულები ჰქონდა ჩრდილოეთ და შუა საგრაფოებში და ცხრა საკუთარი ციხე-კოშკი. შეძლებული თავადი ჩადიოდა თავის მამულებში, ივიწყებდა ისტორიის მსვლელობას, თავის ხარისხსა და დიდებას. მისთვის უცხო იყო პოლიტიკური პატივმოყვარეობა. ეს მდიდარი კაცი საკუთარი ინტერესებით ცხოვრობდა, კმაყო-ფილი იყო ამქვეყნითაც და საკუთარი თავითაც. წვერი შეეფერცხლა, გრძნობდა, მისი დასვენების ჟამი დადგა, რომ უცბად ელისაბედმა მეტად უსიამოვნო დავალება მისცა — დაეცვა მრავალი უსამართ-ლობით გაბოროტებული, მისი პატივმოყვარე მოწინააღმდეგე. მისმა წინამორბედმა ნოლისმა შვებით ამოისუნთქა, როცა გაიგო, რომ ამ სათაკილო პოსტზე შრუსბერის უნდა შეეცვალა. „ღმერთს გეფიცე-ბით, სასჯელი სჯობს ამ სახიმანკლო საქმეს“. რადგან საპატიო პატიმრობა, ყბადაღებული honourable custody მეტად უმადური სა-ქმე გახლდათ და გაურკვეველი იყო მისი საზღვრები და უფლებები, ამგვარი დავალების ორაზროვნება აიძულებდა, საოცარი ტაქტი გამოეჩინა. მარიამ სტიუარტი თითქოს დედოფალი იყო და არც იყო. ფორმალურად სტუმარი იყო, სინამდვილეში ტყვე. აქედან კი ის გამომდინარეობდა, რომ შრუსბერის, როგორც თავაზიანსა და ყურ-ადღებიან სახლის პატრონს, ყოველმხრივ უნდა ესიამოვნებინა მარ-

იამ სტიუარტისათვის, მეორეს მხრივ, როგორც ელისაბედის სანდო კაცს, ყველაფერი უნდა დაეჯერებინა მისთვის. თავად დედოფალზე მაღლა იდგა, მაგრამ მასთან ლაპარაკი მხოლოდ მუხლმოყრილს შეეძლო. სიმკაცრეც უნდა გამოეჩინა, თან მორჩილების ნიღაბაფარებულს სტუმრისთვისაც ეამებინა და თვალი არ მოეხუჭა, ისე ეყარაულა. ამ ამოცანას კიდევ უფრო ურთულებდა ცოლი, რომელმაც სამი ქმარი გაისტუმრა საიქიოს და ახლა ლამის მეოთხე მოეკლა მუდმივი ჭორებითა და ეჭვებით. ეს ინტრიგების მოყვარული ქალი ხან ელისაბედის მოწინააღმდეგე იყო, ხან — მარიამ სტიუარტისა. ადვილი როდი გახლდათ სამი გააფთრებული ქალის დაშოშმინება, რომელთაგან ერთის ქვეშევრდომი იყო, მეორესთან ქორწინების ძაფები აკავშირებდა, მესამესთან კი უხილავი, მაგრამ უწყვეტი ჯაჭვით იყო მიჯაჭვული. სინამდვილეში საწყალი შრუსბერი მთელი ეს თხუთმეტი წელიწადი არა მხოლოდ მეციხოვნე იყო მარიამ სტიუარტისა, მისი თანამგრძნობიც უბედურებაში, მასავით ტყვე და იდუმალ დაწყევლილი, რადგან ეს ქალი აუბედურებდა ყველას, ვინც კი შეხვდებოდა ცხოვრების გზაზე.

როგორ ატარებდა მარიამ სტიუარტი ამ საშინელი სიცარიელით მოცულ წლებს? ერთი შეხედვით, მეტად მშვიდად და წყნარად. შორიდან რომ შევხედოთ, მისი ყოველდღიური საქმიანობა არაფრით განსხვავდებოდა სხვა გამოჩენილ მანდილოსანთა საქმიანობისაგან, რომლებიც წლების განმავლობაში ისხდნენ თავიანთ ფეოდალეურ მამულებში. როცა ჯანმრთელად იყო, მიდიოდა სანადიროდ, რაც ესოდენ უყვარდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იმ „საპატიო ყარაულის“ თანხლებით, ან ცდილობდა, ბურთის თამაშითა და სხვა ფიზიკური ვარჯიშით აღედგინა მხნეობა და აემოქმედებინა მოღლილი სხეული. ხალხიც არ აკლდა. ხანდახან მეზობელი ციხე-კოშკებიდან მოდიოდნენ ლამაზი ტყვის პატივსაცემად, რადგან, ეს წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, ამ ქალს თუმცა ძალაუფლება წაართვეს, იგი მაინც უახლოესი მემკვიდრე იყო ტახტისა და ელისაბედს რომ რამე დამართოდა, მისი მემკვიდრე შეიძლება მარიამ სტიუარტი გამხდარიყო. ყველა ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი, პირველ ყოვლისა მისი მუდმივი მცველი შრუსბერი, ყოველმხრივ ცდილობდა, მასთან კარგ განწყობილებაში ყოფილიყო. ელისაბედის გულითადი მეგობრები, მისი მოტრფიალენი — ჰეტონი და

ლესტერიც, არჩევდნენ, არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური: თავიანთი მბრძანებლისგან ფარულად წერილებს სწერდნენ და მოკითხვებს უთვლიდნენ მისთვის მეტად საძულველ მოწინააღმდეგეს. ვინ იცის, იქნებ ხვალ მის წინაშე მუხლი მოეყარათ და მეფური მოწყალება გამოეთხოვათ. თუმცა მიყრუებულ სოფელში იყო გამოკეტილი, მარიამ სტიუარტმა იცოდა, რაც ხდებოდა სამეფო კარზე და მთელ მსოფლიოში. ლედი შრუსბერი იმასაც კი უამბობდა, რაც იქნებ სჯობდა, არ სცოდნოდა — ელისაბედის მრავალ ინტიმურ თავგადასავალს. ყოველი მხრიდან, თითქოს მიწისქვეშა გზებით, აღწევდა ტყვე ქალამდე თანაგრძნობისა და მხარდაჭერის სიტყვები. ერთი სიტყვით, მარიამ სტიუარტის პატიმრობა ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ვიწრო, ბნელ საკანში გამომწყვდევა, არა როგორც სრული მარტოობა და სამყაროსაგან მოწყვეტა. ზამთრის ღამეებში ციხე-კოშკში მუსიკას უკრავდნენ. თუმცა ახალგაზრდა პოეტები აღარ უწერდნენ ნაზ მადრიგალებს, როგორც შატელიარის დროს, დავიწყებას მიეცა „ნიღბებიც“, რომლითაც ოდესღაც გატაცებულნი იყვნენ ჰოლირუდში, ეს მგზნებარე გული გზნებასა და სიყვარულს აღარ უნერგავდა არავის, სიყმაწვილესთან ერთად წავიდა გატაცების წლები. ფანატიკოს მეგობართაგან შემორჩა მხოლოდ პატარა პაჟი უილიამ დუგლასი, თავისი ლოხლივენელი მხსნელი, ახლობელ ვაჟკაცთაგან — ვაი, რომ მათ შორის აღარ იყვნენ ბოთველი და რიჩო — ყველაზე ხშირად ექიმს ხედავდა. ხშირად ავადმყოფობდა. რევმატიზმი და რაღაც უცნაური ტკივილები აწუხებდა ფერდში. ფეხები ზოგჯერ ისე უსივდებოდა, კარგა ხნით მიაჯაჭვავდა ხოლმე სავარძელს და განსაკურნებლად ცხელი წყლები სჭირდებოდა. რომ ვეღარ სეირნობდა, ოდესღაც ნაზი, ნაქანდაკევი სხეული მოუდუნდა და მოეშვა. ზოგჯერ ძალას მოიკრებდა ხოლმე თამამი გატაცებისთვის, როგორც სჩვეოდა, მაგრამ აღარასოდეს აღარ დაბრუნდებოდა ის დრო, როცა გაქაფულ ცხენს მიაჭენებდა შოტლანდიის მინდვრებსა და ველებზე, დრო მხიარული მოგზაურობისა ციხე-კოშკიდან ციხე-კოშკში. რაც უფრო მეტხანს გაგრძელდა მისი პატიმრობა, ტყვე მით უფრო მეტ სიმშვიდეს პოულობდა შინ საქმიანობაში. საათობით უჯდა ქარგას მონაზონივით შავ ტანსაცმელში გამოწყობილი და თავისი თლილი, ლამაზი თითებით ქარგავდა იმ საოცარი ოქრომკედით, რომელთა

ნიმუშები დღესაც გვაოცებს. ან თავის საყვარელ წიგნებს კითხულობდა თავდავიწყებით. არ შემორჩენილა გადმოცემა, რითი იყო გატაცებული ამ ოცი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მღელვარე სულს ვეღარ მიუძღვნიდა საყვარელ ადამიანს — ბოთველს. იგი უფრო წყნარ და ერთგულ არსებებთან — ცხოველებთან მეგობრობაში პოულობდა სიმშვიდეს. მარიამ სტიუარტის თხოვნით, საფრანგეთიდან ჩამოუყვანეს ყველაზე ჭკვიანი და ალერსიანი ძაღლები — სპანიელები და მაძებრები. ოთახში ჰყავდა მგალობელი ჩიტები, უვლიდა მტრედებს, ბაღში ყვავილებს და ზრუნავდა ახლობელ ქალებზე. ვინც კარგად არ იცნობდა, ხანდახან ხედავდა და ღრმად არ ჩასწვდენია მის სულს, შეიძლება მართლა წარმოიდგინოს, თითქოს მისი დაუმცხრალი პატივმოყვარეობა, ოდესღაც მთელ ქვეყანას რომ აზანზარებდა, ჩაქრა, თითქოს გაუქრა ამქვეყნიური სურვილები. რადგან ხშირად — რაც წლები გადის, მით უფრო ხშირად — ქვრივის საბურველში გახვეული ეს მობერებული ქალი დადიოდა წირვაზე და მუხლს იყრიდა საკურთხევლის წინ. იშვიათად წერდა ლექსებს თავის ლოცვანში ან სუფთა ქაღალდზე. მაგრამ ეს მგზნებარე სონეტები კი აღარ იყო, ღვთისმოშიშობის, მორჩილების ნაღვლიანი სიტყვები:

რა ვარ, ვინა ვარ, რატომღა ვცოცხლობ,
რაა უსულოდ ნეტა სხეული?!
ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველა ვკვდებით,
მეც სიკვდილს ვითხოვ გულამღვრეული.

ზოგიერთ დამკვირვებელს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ამ მრავალტანჯულ სულს აღარ ახსოვდა ამქვეყნიური მბრძანებლობა და ღვთისმოშიშად და უდრტვინველად ელოდებოდა ყოვლის გამათანასწორებელ სიკვდილს.

მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ, ყველაფერი ეს პირფერობა და ნიღაბი იყო. სინამდვილეში კი ეს ამაყი ქალი, მგზნებარე დედოფალი მხოლოდ იმ იმედით ცოცხლობდა, რომ დაებრუნებინა თავისუფლება და ტახტი. წუთითაც არ ფიქრობდა, მშვიდად შეჰგუებოდა თავის ხვედრს. ქარგასთან ჯდომა, წიგნებში კირკიტი, მშვიდი საუბრები და ზანტი ოცნებანი სინამდვილეში საბურველი იყო ყოველდღიური მჩქეფარე საქმიანობისა — შეთქმულებისა. შეუსვენებლივ, ტყვეობის პირველი დღიდანვე ხლართავდა შეთქმულებისა და ინ-

ტრიგების ქსელს. მისი კაბინეტი საიდუმლო პოლიტიკურ კანცელარიად იქცა. აქ დღედაღამ მუშაობდნენ. ჩაკეტილ კარში ორ თავის მდივანთან ერთად, მარიამ სტიუარტი საიდუმლო წერილებს სწერდა საფრანგეთის, ესპანეთის, პაპის ელჩებს. ასევე თავის მომხრეებს შოტლანდიასა და ნიდერლანდებში, თან სიფრთხილისათვის ელისაბედს მავედრებელ, მორჩილ, ზოგჯერ აღშფოთებულ წერილებს უგზავნიდა, რაზეც იგი კარგა ხანია აღარ პასუხობდა. დაუღალავად, ათასგვარად გადაცმულნი მიისწრაფოდნენ მისი მსტოვრები პარიზში, მადრიდში, იქიდან უკან ბრუნდებოდნენ, სულ ახალ-ახალ პაროლს, ყოველთვიურად საიდუმლო შიფრს იგონებდნენ. რეგულარულად მუშაობდა ნამდვილი საერთაშორისო ფოსტა, რაც მას ელისაბედის მტრებთან აკავშირებდა. ყველა მისი მსახური (ეს მშვენივრად იცოდა სესილმა და ამიტომ იყო, ცდილობდა, შეემცირებინა მის ერთგულთა რიცხვი) გენერალურ შტაბს შეადგენდა და დაუღალავად შეიმუშავებდა მისი გათავისუფლების გეგმას. ყველას — ორმოცდაათივე მის მსახურს მუდმივად კავშირი ჰქონდა სოფლებთან. თვითონაც დადიოდნენ სტუმრად და სტუმრებსაც იღებდნენ, რომ გადაეცათ და მიეღოთ ახალი ცნობები. გარშემო სოფლების მოსახლეობა მოწყალებით ჰყავდათ მოსყიდული. ამ ფართო ორგანიზაციის წყალობით მშვენივრად მუშაობდა დიპლომატიური ესტაფეტური ფოსტა და ცნობებს აწვდიდა თვით პარიზსა და რომამდე. წერილებს ხან საცვლებში დებდნენ, ხან წიგნებში, ამოჭრილ ჯოხებში, ძვირფასი ნივთების ფუტლარებში, სარკეებში. ეშმაკობაში შრუსბერისათვის რომ ეჯობნათ, სულ ახალ ხრიკებს იგონებდნენ: ფეხსაცმლის ლანჩებს აგლეჯდნენ და შიგ შეუმჩნევლად დებდნენ მელნით დაწერილ წერილებს ან პარიკებს ამზადებდნენ და მის ხვეულებში მალავდნენ ქაღალდის პაპილოტებს. წიგნებში, რომელთაც მარიამ სტიუარტი პარიზიდან ან ლონდონიდან იწერდა, გახაზავდნენ ასოებს ისე, რომ მთლიანი ტექსტი გამოსულიყო, ხოლო ფრიად მნიშვნელოვანი ქაღალდები მის მოძღვარს ანაფორის კალთით შემოჰქონდა. მარიამ სტიუარტმა ახალგაზრდობიდანვე იცოდა იდუმალი წერა, შესანიშნავად შიფრავდა წერილებს. იგი ხელმძღვანელობდა ყოველგვარ საქმეს და ეს მიმზიდველი, აზარტული თამაში, ელისაბედს გზა-კვალს რომ უბნევდა, ძაბავდა ტყვის სულიერ ძალებს და ფიზიკური ვარჯიშისა და

გასართობთა მაგივრობას უწევდა. მისთვის ჩვეული მგზნებარებითა და განუსჯელობით აწყობდა შეთქმულებასა და დიპლომატიურ ინტრიგებს, ხოლო როცა მალული გზით პარიზიდან, მადრიდიდან ან რომიდან ახალი დაპირებანი და წინადადებანი აღწევდა მის ჩაკეტილ სავანეში, ამ დამცირებულ მბრძანებელს თავი ლამის ისეთ ძალად წარმოედგინა, მთელ ევროპის ინტერესებს რომ აერთიანებდა. ელისაბედმა იცოდა, რა საფრთხეც ემუქრებოდა, თან უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია, ამიტომ ტყვეს ზედამხედველები და მცველები დაუყენა, მაგრამ მარიამ სტიუარტს შეეძლო ეხელმძღვანელა ამ შეთქმულებისათვის თავისი მყუდრო სავანიდან და ეს ერთადერთი სიხარული იყო მისთვის, რაც სულიერად ამხნევებდა ამ დაუსრულებელ, უსიხარულო წლებში.

გვაოცებს მისი უშრეტი ენერგია, ურყევი ძალა, მისი ტრაგიკული გულმოდგინება, რადგან ყველაფერი, რაც კი მარიამ სტიუარტმა იღონა ან მოიფიქრა, დასაღუპავად იყო განწირული. ის ურიცხვი შეთქმულებანი და კომპლოტები*, რასაც შეუსვენებლად ხლართავდა, წინასწარ იგრძნობოდა, რომ მარცხით დამთავრდებოდა. უთანასწორო ძალები გააჩნდათ მოწინააღმდეგეებს. ვინც მარტო იბრძვის მთელი ორგანიზაციის წინააღმდეგ, ის მუდამ სუსტია. მარიამ სტიუარტი მარტო მოქმედებდა, ელისაბედს კი ზურგს უმაგრებდა მთელი სახელმწიფო — კანცლერები, მრჩევლები, პოლიცმაისტერები, ჯარისკაცები და ჯაშუშები. იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, სახელმწიფო კანცელარიიდან უფრო ადვილია ბრძოლა, ვიდრე საკნიდან. სესილს ურიცხვი ოქრო გააჩნდა, უამრავი თავდაცვის საშუალება, თავისუფლად შეეძლო ემოქმედა, მას კი, მარტოდმარტო მყოფ გამოუცდელ ქალს, საიდუმლო მსტოვართა ათასობით თვალი შესცქეროდა. იმ დროს პოლიციამ ინგლისის სამი მილიონი მოსახლეობის ყოველი წვრილმანი იცოდა. ყოველ უცხოელს, ვინც კი ინგლისის მიწაზე ფეხს დაადგამდა, ამოწმებდნენ და თვალყურს ადევნებდნენ. დუქნებში, ციხეებში, ჩამოსულ გემებზე გზავნიდნენ მსტოვრებს, ყველა საეჭვო პირს ჯაშუშს მიუჩენდნენ ხოლმე, იქ კი, სადაც ეს ზომები არ ჭრიდა, ყველაზე მოქმედ ზომას — წვალებას იყენებდნენ. უეჭველად იგრძნობოდა კოლექტიური ძალის უპირატესობა. მარიამ სტიუარტის თავგანწირული მეგობრები ტაუერის ბნელ საკნებში ცვივდებოდნენ, იქ კი წამებით

სტეხდნენ დანაშაულში და ათქმევინებდნენ თანამონაწილეთა სახელებს. ამგვარად, ჯალათების მიერ წამებულნი შეთქმულების ამბებს ფქვავდნენ. ხოლო როცა ზოგჯერ მარიამ სტიუარტი მოახერხებდა და თავის წერილებსა და წინადადებებს უცხოელ ელჩებს გაატანდა, მრავალი უსასრულო კვირა სჯირდებოდა, წერილი რომ რომამდე ან მადრიდამდე მისულიყო, მრავალი უსასრულო კვირა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში შეკრებილიყვნენ და კიდევ მრავალი უსასრულო კვირა პასუხის მოსვლას. საბოლოოდ რა უმნიშვნელო იყო ეს დახმარება, რა შეურაცხმყოფელი და გულგრილი ამ მგზნებარე, მოუთმენელი გულისათვის, არმადასა და არმიას რომ ელოდა მხსნელად. და განა ბუნებრივი არ არის, მარტოდმარტო მყოფ ტყვეს, რომელიც დღედაღამ თავის ბედზე ფიქრობდა, წარმოედგინა, რომ ყველა მისი მეგობარი შორეულ ქვეყნებში მასზე ფიქრობდა? მაგრამ მარიამ სტიუარტი ამაოდ ცდილობდა, თავისი გათავისუფლება მთელი კონტრრეფორმაციის გადაუდებელ საქმედ, კათოლიკური ეკლესიის პირველ და მნიშვნელოვან მხსნელ აქციად წარმოედგინა: მისი მეგობრები მხოლოდ კეკემალულობანას თამაშობდნენ და ვერაფრით შეთანხმებულიყვნენ ერთმანეთში, არმადას არ აიარაღებდნენ სალაშქროდ. ფილიპე II, მარიამ სტიუარტის მთავარი დასაყრდენი, ლოცვებში იყო უხვი, თორემ გადაწყვეტილებებში ძუნწი. მას სულაც არ ეპიტნავებოდა, ამ ტყვის გულისთვის ომში ჩაბმულიყო, მაშინ როცა არ იცოდა, რით დასრულდებოდა. ის და რომის პაპი იმაზე შეთანხმდნენ, რომ ცოტა ფული გაეგზავნათ, ორი-სამი თავგადასავლის მაძიებელი მოესყიდათ თავდასხმის ან აჯანყების მოსაწყობად. მაგრამ რა საცოდავი იყო შეთქმულთა ეს ცდები და რა ადვილად იღებდნენ მათ ნიშანში უოლსინჰემის დაუძინებელი ჯაშუშები. მხოლოდ რამდენიმე დასახიჩრებული, დაფლეთილი გვამი ტაუერჰოლის სასჯელის ადგილას დროდადრო მოაგონებდა ხალხს, რომ განმარტოებულ ციხე-კოშკში იტანჯებოდა ტყვეობაში ქალი, რომელიც ჯიუტად აცხადებდა პრეტენზიას ინგლისის სრულუფლებიან დედოფლობაზე და ჯერ კიდევ მოიძებნებოდნენ ისეთი სულელები ან გმირები, მისი გულისთვის სატანჯველში რომ ჩაიგდებდნენ თავს.

ყოველმა მისმა თანამედროვემ მშვენივრად იცოდა, ეს შეთქმულებანი და ინტრიგები, ბოლოს და ბოლოს, მარიამ სტიუარტს დაღუპ-

ვის კარამდე მიიყვანდა და ამ წინდაუხედავმა ქალმა უიმედო თამაში რომ წამოიწყო, როცა მარტოდმარტომ საპყრობილიდან ბრძოლა გამოუცხადა მსოფლიოს უძლიერეს მბრძანებელს.

1572 წელს, მას შემდეგ, რაც დედოფლის შეთქმულება მარცხით დამთავრდა, მისმა მაზლმა, კარლოს IX-მ განაწყენებით თქვა: „ეგ უბედური სულელი, მანამ ვერ მოისვენებს, სანამ კისერს არ მოიტეხს. იმას იზამს, რომ დასჯიან და სულ თავის სისულელეს დააბრალოს. არ ვიცი, შველა როგორ შეიძლება“. ასე სასტიკად მსჯელობდა ის კაცი, ვინც ბათლომეს ღამეს ისეთი სიმამაცე გამოიჩინა, რომ გამაგრებული ფანჯრიდან ესროდა უიარაღო ლტოლვილებს, კაცი, ვისაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა გმირობაზე. რა თქმა უნდა, ანგარიშიანობის, სიფრთხილის თვალსაზრისით, მარიამ სტიუარტი უჭკუოდ მოიქცა, რომ უფრო მოხერხებული, თუნდაც ლაჩრული კაპიტულაციის გზა კი არ ამოირჩია, არამედ სრულიად უიმედო. იქნებ თავის დროზე რომ უარი ეთქვა ტახტზე, თავის დინასტიურ უფლებებზე, თავისუფლება მოეპოვებინა და წლების განმავლობაში ხელთ ჰქონოდა ციხის გასაღები. მხოლოდ უნდა დამორჩილებოდა, საჯაროდ და ნებაყოფლობით უარი ეთქვა თავის პრეტენზიებზე შოტლანდიისა და ინგლისის ტახტზე და ინგლისი თავისუფლად ამოისუნთქავდა, გაათავისუფლებდა. არაერთხელ სცადა ელისაბედმა, რა თქმა უნდა, არა დიდსულოვნების, შიშის გამო (რადგან საშიში ტყვის ყოფნა ინგლისში მძიმედ აწვა მის სინდისს), უკან დაეხია და ხელი გაეწვდინა მისთვის. მოლაპარაკებები ხან განახლდებოდა და საკმაოდ სამართლიან პირობებში, მაგრამ მარიამ სტიუარტს ერჩივნა, გვირგვინოსანი ტყვე ყოფილიყო, ვიდრე ტახტიდან ჩამოგდებული დედოფალი. მართლაც, ტყვეობის პირველ დღეებში ნოლისმა სწორად გაუგო მას, როცა თქვა, საკმაო ვაჟკაცობა შესწევს იბრძოლოს, სანამ გულში იმედის ნაპერწკალი კიდევ უღვივისო. თავისი მეფური ალღო კარნახობდა, რა საცოდავი იქნებოდა ტახტიდან ჩამოგდებული დედოფლის ეს მოჩვენებითი თავისუფლება სადღაც მიყრუებულ ადგილას, მხოლოდ დამცირება აღამაღლებდა ისტორიის თვალში. პატიმრობა ვერ გასტეხდა მის ფიცს — ჩემი უკანასკნელი სიტყვები იქნება სიტყვები შოტლანდიის დედოფლისო.

ადვილი არ არის გაარჩიო განუსჯელი სიმამაცე ნამდვილისგან, რადგან გმირობა მუდამ შეიცავს სისულელეს. სანჩო პანსა თავისი

ცხოვრებისეული სიბრძნით სჯობნის დონ-კიხოტს, ხოლო ტერ-ზიტი Ratio[1] თვალსაზრისით მთელი თავით მაღლა დგას აქილევსზე, მაგრამ ჰამლეტის სიტყვები: როცა ღირსებას შეგილახავენ, ჩალის ღერისთვისაც ღირს ბრძოლაო, ყოველი დროისათვის ჭეშმარიტი გმირული ბუნების საზომად დარჩება. რა თქმა უნდა, მარიამ სტიუარტის წინააღმდეგობას მოწინააღმდეგის უსაზღვრო უპირატესობისას, შეუძლებელი იყო რაიმე შედეგი გამოეღო, მაგრამ მაინც შევცდებით, თუ უაზროს ვუწოდებთ მხოლოდ იმიტომ, რომ მას წარმატება არ მოჰყოლია, რადგან მთელი ამ წლების განმავლობაში ეს თითქოს უძლური, მარტოდმარტო მყოფი ქალი თავისი დაუცხრომელი გულმოდგინების წყალობით უდიდეს ძალას წარმოადგენდა და მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგჯერ ჯაჭვებს ააჟღარუნებდა, დროდადრო შეიძვროდა მთელი ინგლისი და ელისაბედსაც ლამის გული გაჰპაროდა. ჩვენ ვამახინჯებთ ისტორიის მსვლელობას, როცა შთამომავალთა მოხერხებული პოზიციებიდან ვაფასებთ ვითარებას და ვვარაუდობთ შედეგებსაც. ადვილია უაზრო ბრძოლაში ჩაბმული დამარცხებულის განსჯა. სინამდვილეში კი ორივე ქალის ორთაბრძოლაში ამ ოცი წლის განმავლობაში სასწორი ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორეს. ზოგიერთ შეთქმულებას, რომელიც მიზნად ისახავდა მარიამ სტიუარტისთვის გვირგვინი დაებრუნებინა თუ რაიმე წარმატება მოჰყვებოდა, შეიძლებოდა ელისაბედს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ორჯერ, სამჯერ მახვილმა მის თავთან გაიზუზუნა. დარტყმა ჯერ წამოიწყო ნორტუმბერლენდმა, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა კათოლიკური თავადაზნაურობა. მთელი ჩრდილოეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ელისაბედმა ძლივს შეძლო ცეცხლის ჩაქრობა. ამას მოჰყვა ნორფოლკის კიდევ უფრო საშიში ინტრიგა. ინგლისის დიდებულთა საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის ელისაბედის ახლო მეგობრები, ლესტერიც კი, მხარს უჭერდნენ პროექტს ნორფოლკის შოტლანდიის დედოფალზე დაქორწინებისა. მარიამ სტიუარტი კი, მისთვის სიმამაცე რომ შეემატებინა (რას არ გააკეთებდა გამარჯვებისთვის), ნაზ წერილებს სწერდა. ფლორენციელი რიდოლფის შუამავლობის წყალობით ინგლისის ნაპირზე უნდა გადმომსხდარიყვნენ ესპანეთისა და საფრანგეთის

[1] *განსჯის (ლათ.).*

ჯარები და რომ ნორფოლკი, წინათაც ხომ ლაჩრულად დაიხია უკან, ჩვარი არ ყოფილიყო და ამასთან შემთხვევითობას არ შეეშალა ხელი — ქარს, უამინდობას, ზღვასა და ღალატს — საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდებოდა, როლები შეიცვლებოდა: ვესტმინსტერში მარიამ სტიუარტი იჯდებოდა, ელისაბედს ტაუერში გამოამწყვდნენ ან საფლავში ჩააწვენდნენ. მაგრამ ვერც ნორფოლკის სისხლმა და ვერც ნორტუმბერლენდის ხვედრმა, ისევე როგორც მრავალი სხვისა, რომელთაც იმ წლებში თავი დადეს ჯალათის კუნძზე, ვერ შეაშინა უკანასკნელი საქმრო — დონ ხუან ავსტრიელი, კარლოს V-ის უკანონო შვილი, ფილიპე II-ის ნახევარძმა, ლეპანტოს გმირი, იდეალური რაინდი, ქრისტიანული სამყაროს პირველი მეომარი. უკანონოდ შობილს არ შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა ესპანეთის ტახტზე და ცდილობდა, სამეფო შეექმნა ტუნისში, როცა შემთხვევა მიეცა, სცადა მეორე გვირგვინს, შოტლანდიისას, ამავე დროს ტყვე დედოფლის ხელს დაუფლებოდა. მან ნიდერლანდებში ჯარი შეკრიბა და მის გასათავისუფლებლად, დასახსნელად გეგმაც შეადგინა, მაგრამ ბედი არ სწყალობდა არც მარიამ სტიუარტსა და არც მის შემწეებს! — უჩვეულო ავადმყოფობა შეეყარა და უდროოდ საფლავში გაისტუმრა. არავის, ვისაც კი მარიამ სტიუარტის ხელი უძებნია ან უანგაროდ ემსახურებოდა მას, არ სწვევია ბედნიერება...

სამართლიანად და მიუდგომლად რომ ვთქვათ, ელისაბედი და მარიამ სტიუარტი სწორედ ამით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: ელისაბედს მთელი ამ წლების განმავლობაში ბედი სწყალობდა, მარიამ სტიუარტს კი თან სდევდა უბედობა. თუ იმათ ძალას, ხასიათს ერთმანეთს შევადარებთ, თითქმის ერთნაირნი იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა ვარსკვლავზე დაბადებულნი. რაც კი მარიამ სტიუარტმა ტყვეობაში განიზრახა, დასაღუპავად იყო განწირული. ინგლისის წინააღმდეგ გამოგზავნილი ფლოტილია ქარიშხალმა ნაფოტებად აქცია, მისი მსტოვრები გზაში იკარგებოდნენ, მეგობრებს გადამწყვეტ მომენტში ვაჟკაცობა ღალატობდათ და ყველა, ვინც კი ეცდებოდა მას დახმარებოდა, საკუთარი ხელით ითხრიდა საფლავს.

გვაცვიფრებს ნორფოლკის სამართლიანი სიტყვები, ეშაფოტზე რომ წარმოთქვა.

„რაც უნდა წამოეწყო მას ან სხვებს მისთვის, წინასწარ დასაღუპავად იყო განწირული“. თვით ბოთველთან შეხვედრიდანვე ბედი არ სწყალობდა. ვისაც იგი უყვარდა, მხოლოდ სიმწარეს აგემებდა. ვისაც მისთვის სიკეთე სურდა, ავს უკეთებდა, ვინც ემსახურებოდა, სიკვდილს იმზადებდა. როგორც ზღაპრებში შავი მაგნიტის მთა იზიდავს გემებს, ასევე ისიც დასაღუპავად იზიდავდა ადამიანებს. მარიამ სტიუარტზე ავბედითი ლეგენდა იქმნებოდა, თითქოს სიკვდილის თილისმა ჰქონდა. მაგრამ რაც უფრო უიმედო იყო მისი საქმე, მით უფრო დაუცხრომელი ხდებოდა სულით. ხანგრძლივმა, ნაღვლიანმა პატიმრობამ გული კი ვერ გაუტეხა, გამოაწრთო. იცოდა, ყველაფერი ამაო იყო, მაგრამ თავისივე ნებით მაგრად იჭერდა ყულფს კისერზე.

უკანასკნელი წრე
1584-1585

წლები გადიოდა. თვეები, წლები ღრუბლებივით მიცურავდნენ ამ ყველასგან მიტოვებული ქალის თავს ზემოთ, თითქოს არც კი ეხებოდნენ მას, მაგრამ რა შეუმჩნეველიც უნდა იყოს, დრო ცვლის ადამიანს და გარე სამყაროსაც. მარიამ სტიუარტი მეორმოცე წელიწადში გადადგა — ეს კრიტიკული ასაკია ქალისათვის, ის კი ისევ ტყვე იყო, ისევ იტანჯებოდა პატიმრობაში. შეუმჩნევლად შეეპარა სიბერე. თმა შეევერცხლა, ნაქანდაკევი სხეული მოეშვა, დაუძიმდა, ნაკვთები მოუდუნდა. მათში მანდილოსნის ხანშიშესულობა გამოსჭვიოდა. მთელ მის არსებას სასოწარკვეთილების ბეჭედი ესვა, რომელიც გამოსავალს რელიგიაში ხედავდა. მალე — ქალი განსაკუთრებით გრძნობს ამას — სიყვარულის, სიცოცხლის ხანა წავიდოდა და აღარ დაბრუნდებოდა. რაც აქამდე არ ახდენია, აღარასოდეს აუსრულდებოდა. მოსაღამოვდა, საცაა ბნელი ღამე ჩამოწვებოდა. კარგა ხანია აღარ გამოჩენილან მისი ხელის ახალი მაძიებლები, იქნებ აღარც არავინ გამოჩენილიყო: კიდევ ცოტა ხანი და სამუდამოდ ჩაქრებოდა სიცოცხლე. განა ღირდა ეცადა გათავისუფლების სასწაულის, გულგრილი, მერყევი სამყაროს დახმარებისათვის? ამ გარდატეხის წლებში თანდათან ძლიერ ვგრძნობთ, რომ ამ მრავალტანჯულ სულს მოჰბეზრდა ბრძოლა და სიმშვიდეს ეძიებდა. ხშირად დგებოდა ისეთი წუთები, როცა ეკითხებოდა საკუთარ თავს: განა სისულელე არ არის ჩავკვდე უსარგებლოდ და უსიყვარულოდ, ჩრდილში აღმოცენებული ყვავილივით. ხომ არ სჯობს, ძვირად დამიჯდეს თავისუფლება, ჩემი ნებით მოვიხადო გვირგვინი ჭაღარა თავიდან? მეორმოცე წელში გადამდგარ მარიამ სტიუარტს თანდათან სტანჯავდა ეს უსიხარულო ცხოვრება, გაუქრა პატივმოყვარეობა და მის მაგივრად მორჩილი,

სიკვდილის მისტიკური ნება დაეუფლა. იქნებ სწორედ ასეთ წუთებში წერდა ამ გრძნობით გამსჭვალულ, ლათინურ სტრიქონებს, ნახევრად ჩივილს, ნახევრად ლოცვას:

ღმერთო ძლიერო,
ლოცვა ჩემი ისმინე, ღმერთო,
თავისუფლებას
ყოვლისშემძლეს მუდარით შეგთხოვ, —
დასუსტებული მონა შენი
შენზე ვლოცულობ,
ღმერთო ძლიერო,
ლოცვა ჩემი ისმინე, ღმერთო!

რადგან მხსნელები ყოყმანობდნენ და იგვიანებდნენ, მზერა მაცხოვრისკენ მიეპყრო. თუნდაც მოკვდეს, ოღონდ ამ სიცარიელეს, ამ ბუნდოვანებას ნუ შეიგრძნობს, მუდმივ ლოდინში ნუ იქნება. საშინელებაა ეს იმედები, ტანჯვა, სასოწარკვეთილება! ოღონდ ბოლო მოეღოს ყველაფერს და თუნდ სიხარული მოუტანოს, თუნდ მწუხარება, თუნდ გამარჯვება, თუნდ დამარცხება! ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, რადგან მარიამ სტიუარტი მგზნებარე სულით უხმობდა ამ დასასრულს.

რაც უფრო ჭიანურდებოდა ეს თავგანწირული, ცბიერი, სასტიკი, დიადი და შეუპოვარი ბრძოლა, მით უფრო შეურიგებელნი ხდებოდნენ ეს ძველი მოწინააღმდეგენი — მარიამ სტიუარტი და ელისაბედი. ელისაბედის პოლიტიკას მისთვის წარმატება წარმატებაზე მოჰქონდა. საფრანგეთთან მშვიდობიანობის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, ესპანეთი ვერ უბედავდა ომის გამოცხადებას. ყველა უკმაყოფილოზე გაიმარჯვა. მხოლოდ ერთი საშიში მტერი ცხოვრობდა მის ქვეყანაში დაუსჯელად, ეს ერთი დამარცხებული, მაგრამ მაინც დაუმარცხებელი ქალი. ეს უკანასკნელი მტერიც რომ მოეშორებინა, ნამდვილ გამარჯვებას იზეიმებდა. მარიამ სტიუარტს ელისაბედზე უფრო აღარავინ სძულდა ამქვეყნად. საშინელი სასოწარკვეთილების წუთებში კვლავ მიმართა თავის ნათესავს, ბედმა მის დად რომ გააჩინა და საოცარი გზნებით მოუწოდა ადამიანობისკენ. „Madame, ძალა აღარ შემწევს ვიტანჯო, — ქვითინს ვეღარ იკავებს ამ გულთბილ წერილში, — და სიკვდილის წინ არ შემიძლია არ დავასახელო იმათი სახელები, ვინც დამნაშავეა ჩემს ტანჯვაში. თქვენს ციხეებში უსმ-

ენენ ყველაზე გამოუსწორებელ ბოროტმოქმედებს, ეუბნებიან სახელებს მათი ბრალმდებლებისა და ცილისმწამებლებისა, მე კი რატომ მეუბნებიან ამაზე უარს, თქვენს ბიძაშვილსა და ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, დედოფალს? ვფიქრობ, სწორედ უკანასკნელი ვითარებაა მიზეზი ჩემი მტრების გააფთრებისა... მაგრამ ვაი, რომ მათ აღარ მოუხდებათ ჩემი ტანჯვა, რადგან პატიოსნებას გეფიცებით, აღარ ვეძებ სხვა სამეფოს, გარდა ზეციერისა. მზადა ვარ, გავემგზავრო იმ ქვეყნად, რომ ბოლო მოეღოს ჩემს გაჭირვებასა და ტანჯვას". უკანასკნელად, ნამდვილად გულწრფელად აფიცებდა ელისაბედს, ეჩუქებინა თავისუფლება: „მაცხოვრის სასიკვდილო წამებასა და სახელს გაფიცებთ, მოიღეთ მოწყალება, ნება დამრთეთ, დავტოვო ეს სახელმწიფო და განსასვენებლად მყუდრო ადგილას გავემგზავრო. იქ მოქანცული სხეული, უსაზღვრო ნაღველით ტანჯული სული განსასვენებელს პოვებს და დამშვიდებით მოვემზადები ყოვლადძლიერის წინაშე წარსადგომად, რომელიც ყოველდღიურად მიხმობს თავისთან: მოიღეთ ჩემზე ეს მოწყალება ჩემს აღსასრულამდე და სული ჩემი, რადგან ეს უთანხმოება ჩვენ შორის მოგვარებული იქნება, გათავისუფლებული ამქვეყნიური სატანჯველისაგან, აღარ შესჩივლებს მაცხოვარს, აღარ დაგადანაშაულებთ იმ ბოროტებისათვის, რაც აქ, ამ მიწაზე მომაგეთ".

მაგრამ ამ სულისდამფლეთ წერილს არ შეუძრავს ელისაბედის გული, ყური მოიყრუა მის თხოვნაზე, ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია ტანჯულის გასამხნევებლად. მაშინ მარიამ სტიუარტმა მუშტები შეკრა, კბილები დააკრაჭუნა. ამიერიდან მხოლოდ ერთი გრძნობა ეუფლება — ყინულივით ცივი, მგზნებარე, შეუპოვარი, ყოვლისშთანმთქმელი სიძულვილი მით უფრო ნათლად და შეურიგებლად მხოლოდ მისკენ იყო მიმართული, რადგან სხვა მტრები და მოწინააღმდეგეები აღარ არსებობდნენ ამქვეყნად, თვით ამოწყვიტეს ერთმანეთი. თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ სიკვდილის იდუმალი თილისმა მარიამ სტიუარტისაგან მოდიოდა და ცელავდა ყველას, ვისაც იგი სძულდა ან უყვარდა, მთელი სიცხადით გამოჩნდა: ყველა, ვინც კი მას ემსახურებოდა ან მტრობდა, ვინც მის მხარეს მის წინააღმდეგ იბრძოდა, მასზე წინ მოკვდა. ვინც კი მის წინააღმდეგ მოწმედ გამოდიოდა იორკში — მერეი, მორტონი და მაიტლენდი — მოძალადეობრივი სიკვდილით მოკვდნენ. ვისაც იგი უნდა განე-

საჯა — ნორტუმბერლენდმა და ნორფოლკმა — თავი დადეს ჯალათის კუნძზე. მათ, ვინც ჯერ დარნლეის ებრძოდა, შემდეგ ბოთველს, ერთმანეთი ამოხოცეს. კერკ ო'ფილდეს გამცემლებმა, კარბერიმ და ლანგსაიდმა ერთმანეთს უღალატეს. ყველა თავნება შოტლანდიელმა ბარონმა და გრაფმა — გაშმაგებულმა, საშიშმა, პატივმოყვარე ხროვამ ერთმანეთი ამოწყვიტა. ბრძოლის ველი დაცარიელდა. ამქვეყნად აღარავინ დარჩა ისეთი, რომ სძულებოდა, გარდა ელისაბედისა. ხალხთა დიდი ბრძოლა, ორი ათეული წლის განმავლობაში რომ გრძელდებოდა, ახლა ორთაბრძოლად იქცა. ამ ქალების ორთაბრძოლაში შეუძლებელი გახდა მოლაპარაკება. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მარიამ სტიუარტს უკანასკნელი ენერგია უნდა მოეკრიბა. კიდევ ერთს, უკანასკნელ იმედს უნდა გამოსთხოვებოდა. კიდევ ერთი მძიმე დარტყმა უნდა ეგემა მტკივნეულ ადგილას, რომ მერე ძალა მოეკრიბა უკანასკნელად, რადგან მარიამ სტიუარტი საოცარ ვაჟკაცობას მაშინ იჩენდა და მტკიცე გადაწყვეტილებასაც მაშინ იღებდა, როცა ყველაფერი დაკარგული იყო ან დაკარგულად გვეჩვენება. გამოუვალი მდგომარეობა ყოველთვის გმირულ სულს შთაბერავდა. უკანასკნელი, რასაც კარგავდა, შვილთან მოლაპარაკების იმედი იყო, რადგან ამ მტანჯველ, სიცარიელით აღსავსე წლებში, როცა მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა და მხოლოდ ელოდა და უსმენდა, ისე სწრაფად გარბოდა დრო, თითქოს ქვიშა ცვივა ნახევრად დანგრეული კედლიდანო. ამ უსასრულო დროის განმავლობაში, რომელმაც მოაბერა და ძალღონე გამოაცალა მას, გაიზარდა ბავშვი, მისი ღვიძლი შვილი. მაშინ, როცა სტირლინგიდან მიდიოდა, ხოლო ბოთველმა თავისი მხედრებით შეიპყრო ედინბურგის ჭიშკართან და სასიკვდილო გზაზე გაიყოლა, იაკობ VI ჩვილი დატოვა. ამ წლების განმავლობაში მისი ვაჟი გაიზარდა. იაკობ VI-ს ბევრი თვისება გამოჰყვა მშობლებისა, თუმცა ერთმანეთში შერეული. ეს ენაბლუ, მოუხეშავი, მსუქანი, მშიშარა სულის ბიჭი ერთი შეხედვით მთლად ნორმალურს არც კი ჰგავდა. ხალხს გაურბოდა, დანის დანახვაზე შიშისგან ცახცახებდა, ძაღლის ეშინოდა, უხეშად და უგერგილოდ იქცეოდა. მას არ გამოჰყოლია ნატიფი სხეული, დედამისის ბუნებრივი მომხიბლველობა, არც ხელოვნების სიყვარული იტაცებდა, არც მუსიკისა, არც ცეკვები, ვერც

თავისუფალი საუბარი ეხერხებოდა. სამაგიეროდ, ენების შესწავლის ნიჭი და შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა; როცა საქმე მის პირად ინტერესებს ეხებოდა, ჭკუასაც იჩენდა და შეუპოვრობასაც. საბედისწეროდ თან დაჰყვა მამის სულმდაბალი ბუნება. დარნლეის ჰგავდა უპატიოსნობაში, უნებისყოფობაში, მერყეობაში. „ამგვარი ორპირი ყმაწვილისგან სიკეთეს არ უნდა მოელოდე“, — გულში ფიქრობდა ელისაბედი. დარნლეისავით ყველას გავლენის ქვეშ მოექცეოდა ხოლმე. ამ უგულო ეგოისტმა არ იცოდა, რა იყო კეთილშობილება. ყველა მისი საქციელი პატივმოყვარეობით იყო ნაკარნახევი, ხოლო მისი უგულო დამოკიდებულება დედისადმი მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ, თუ დავივიწყებთ შვილის მოვალეობას, მის ერთგულებას მშობლებისადმი. მარიამ სტიუარტის მოსისხლე მტრების მიერ აღზრდილს (ლათინურს ჯორჯ ბიუკენენი ასწავლიდა, რომელმაც ყბადაღებული პასკვილი Dedectio დაწერა მარიამ სტიუარტზე). ალბათ გაგონილი ექნებოდა დედის ამბავი, მეზობელ ქვეყანაში პატიმრობაში რომ იტანჯებოდა, ვინც მოაკვლევინა მამამისი და ახლა კი მას, გვირგვინოსან მონარქს, ტახტს ეცილებოდა. ბიჭს ბავშვობიდანვე ჩასჩიჩინებდნენ, რომ დედა, სინამდვილეში მისთვის უცხო ქალი, ეღობებოდა მას პატივმოყვრულ მისწრაფებათა გზაზე. და თუ ოდესმე ბავშვის გულში ცოცხლობდა ოცნება — ენახა ქალი, ვინც სიცოცხლე მიანიჭა, ინგლისელი და შოტლანდიელი მეციხოვნენი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს, რომ ხელი შეეშალათ ორივე ტყვის — მარიამ სტიუარტის — ელისაბედის ტყვის და იაკობ VI-ის — ლორდებისა და ძალაუფლების მპყრობელი რეგენტის ტყვის — სულ მცირე დაახლოებისთვისაც კი. დროდადრო, სულ რამდენჯერმე წლების განმავლობაში, დედა-შვილი სწერდა ერთმანეთს წერილებს. მარიამ სტიუარტი უგზავნიდა საჩუქრებს, სათამაშოებს, ერთხელ სათამაშო მაიმუნიც კი გაუგზავნა, მაგრამ მისი საჩუქრებისა და წერილების უმრავლესობას არ იღებდნენ, რადგან მარიამ სტიუარტი ჯიუტობდა და არ ცნობდა შვილს მეფედ. ლორდები უკან უგზავნიდნენ შეურაცხმყოფელ წერილებს, სადაც იაკობ VI მოხსენიებული იყო უბრალოდ პრინცად. ამგვარად, დედა და შვილი ოფიციალურად, გულგრილად ექცეოდნენ ერთმანეთს, ორივეში ძალაუფლებისმოყვარეობა ახშობდა სისხლის ხმას, რადგან მარიამ სტიუარტს სურდა შოტლანდიის ერთმმართველი დედოფალი ყოფილიყო, იაკობ VI-ს კი — ერთმმართვე-

ლი მეფე. თითქოს შესაძლებელი გახდა დაახლოება, როცა მარიამ სტიუარტი დიდ წინააღმდეგობას აღარ უწევდა ლორდებს შვილის მეფედ კურთხევაზე და მზად იყო, ეცნო ზოგიერთი მისი უფლება ტახტზე. რაღა თქმა უნდა, არც ახლა აპირებდა ტიტულზე, ტახტზე უარის თქმას — სიცოცხლეც და სიკვდილიც სურდა მირონცხებულად, მეფის გვირგვინით თავზე, მაგრამ თავისუფლება რომ მოეპოვებინა, მზად იყო იგი გაენაწილებინა შვილისათვის. პირველად გაუელვა თავში აზრმა, დათმობაზე წასულიყო. დაე, მას ემართა სახელმწიფო, წოდებულიყო მეფედ, ოღონდ მარიამ სტიუარტისთვისაც დედოფლობა და სახელი შეენარჩუნებინათ. მისი ტახტიდან გადადგომას თუნდ მოოქრული თითბრის პეწი ჰქონდა. ნელ-ნელა გააბეს საიდუმლო მოლაპარაკება, მაგრამ იაკობ VI, რომელსაც ბარონები აძალებდნენ დედის საქმეებში ჩარეულიყო, გულგრილობას იჩენდა. სინდისის ქენჯნას სულაც არ გრძნობდა, ისე ევაჭრებოდა ორივე მხარეს. მარიამ სტიუარტთან ელისაბედის მომხრედ ეჭირა თავი, ელისაბედთან — მარიამ სტიუარტისა, სწორედ ასევე ორივე რელიგიას ემხრობოდა, მაგრამ უპირატესობას იმას ანიჭებდა, რომელიც უფრო გამოადგებოდა, რადგან მისთვის მთავარი იყო შოტლანდიის მეფედ დარჩენილიყო, თან ინგლისის ტახტზეც უფლებები ჰქონოდა, ღირსებას კი არად აგდებდა, უნდოდა ორივე ქალის მემკვიდრე გამხდარიყო. პროტესტანტობაზეც არ იტყოდა უარს, რადგან სარფიანად ეჩვენებოდა, მაგრამ კათოლიციზმისკენაც გადაიხრებოდა, თუ ისინი უფრო დაუფასებდნენ. ჩვიდმეტი წლის ბიჭი, ჩქარა რომ გამხდარიყო ინგლისის მეფე, უხეირო გარიგებაზეც არ დაიხევდა უკან: მზად იყო, უკვე დაბერებულ ელისაბედზეც კი დაქორწინებულიყო. მერე რა ვუყოთ, რომ ცხრა წლით უფროსი იყო დედამისზე და თან მისი საძულველი მოწინააღმდეგე და მეტოქეც. იაკობ VI-ისთვის, დარნლეის ვაჟიშვილისათვის, ეს მოლაპარაკებები, უბრალოდ, ანგარიშის საქმე იყო, მაშინ როცა მარიამ სტიუარტი კვლავ ილუზიებით ცოცხლობდა, სინამდვილეს თვალებში არ უყურებდა, უკანასკნელი იმედებით ანთებული თრთოდა და ცახცახებდა. შვილთან შეთანხმების გზით იმედოვნებდა, გათავისუფლებულიყო და თან თავისი მეფური უფლებებიც შეენარჩუნებინა. მაგრამ ელისაბედმა მაშინვე განგაში ატეხა. მას ეშინოდა, დედასა და შვილს არ მოელაპარაკათ. დაუყოვნებლივ ჩაერია მოლაპარაკებაში. ისე მშვენივრად იცნობდა

ადამიანებს, რომ იცოდა, რითი მოესყიდა მერყევი ჭაბუკი. მიუხვდა ადამიანურ სისუსტეს. ნადირობაზე გადარეულ ყმაწვილ მეფეს რჩეული ცხენები და ძაღლები გაუგზავნა, მოისყიდა მისი მრჩევლები და ყოველწლიურად ხუთი ათასი გირვანქა შესთავაზა პენსიად, რასაც დიდად დაეხარბებოდნენ მუდამ გაღატაკებული შოტლანდიის სამეფო კარზე. გარდა ამისა, ნაცადი მისატყუებელიც გამოიყენა — ინგლისის ტახტის მემკვიდრეობა. როგორც ყოველთვის, საქმეს ფული წყვეტდა. იმ დროს, როცა მარიამ სტიუარტი დიპლომატიურ თამაშს განაგრძობდა ცარიელ ადგილას, რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან ერთად ოცნების კოშკებს აგებდა კათოლიკურ შოტლანდიაზე, იაკობ VI-მ ჩუმად ხელი მოაწერა ელისაბედთან ხელშეკრულებას, სადაც დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი, ეს გარიგება რა ფულსა და სიმდიდრეს მოუტანდა, მაგრამ ერთი სიტყვაც კი არ იყო მისი დედის გათავისუფლებაზე. ტყვეს არც კი ახსენებდა, რადგან ვერაფერს დასცინცლავდა. დედას გვერდი აუარა, თითქოს იგი არც კი არსებობდა ამქვეყნად და შვილმა ხელშეკრულება დადო მის დაუძინებელ მტერთან. დაე, ქალმა, ვინც სიცოცხლე მიანიჭა, მაგრამ ახლა აღარაფერს ელოდა მისგან, მოასვენოს. როგორც კი ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და საყვარელმა შვილმა ფული და ძაღლები იშოვა, მაშინვე შეწყვიტა მოლაპარაკება დედასთან. განა ღირდა ელოლიავა უძლურ ქალთან. მისი უდიდებულესობა მეფის ბრძანებით, უმკაცრესი წერილი შეადგინეს, რომელშიც უხეში, კანცელარიული ტონით ნათქვამი იყო, რომ მარიამ სტიუარტმა სამუდამოდ დაკარგა ტიტული და ყველა უფლება შოტლანდიის დედოფლისა. უშვილო მეტოქემ წაართვა სახელმწიფო, გვირგვინი, ძალაუფლება, თავისუფლება და ახლა უკანასკნელ საგანძურს — ერთადერთ შვილსაც ართმევდა. საბოლოოდ იძია შური.

ელისაბედის გამარჯვება ნიშნავდა სრულ მარცხს მარიამ სტიუარტის უკანასკნელი ილუზიებისა. როგორც ქმარმა, ძმამ, თვით ერთგულმა ქვეშევრდომებმა, ასევე ზურგი შეაქცია შვილმაც, მისმა ღვიძლმა შვილმაც. ახლა მარტოდმარტო იყო ამქვეყნად. მის სასოწარკვეთილებას, მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ამიერიდან აღარავინ აინტერესებდა, აღარავის გაუწევდა ანგარიშს. რადგან შვილი განუდგა, რა უნდა ექნა, ისიც განუდგებოდა შვილს. რადგან უარყო მისი უფლებები ტახტზე, ისიც უარყოფდა შვილის უფლე-

ბებს. იაკობ VI-ს გადაგვარებულ, უმადურ, ურჩ ბიჭს უწოდებდა, სწყევლიდა და ემუქრებოდა, რომ მემკვიდრეობითი კანონის მიხედვით არა მარტო შოტლანდიის ტახტს გამოსწირავდა, ინგლისის ტახტზე უფლებასაც. ერჩივნა, სტიუარტების ტახტი სხვა მეფეს რგებოდა, ვიდრე ასეთ მოღალატესა და ერეტიკოსს. ამ მიზნით შოტლანდიისა და ინგლისის სამემკვიდრეო უფლებები ფილიპე II-ს შესთავაზა, თუ იგი აღუთქვამდა, რომ იბრძოლებდა მის გასათავისუფლებად და ელისაბედის დასამორჩილებლად, ვინც ყველა იმედი მოუსპო ამქვეყნად. ჩირად აღარ მიაჩნდა აღარც შვილი და აღარც თავისი ქვეყანა, ოღონდ მეტხანს ეცოცხლა, თავისუფლება მოეპოვებინა და გაემარჯვა. ამიერიდან ყველაზე სასტიკი გადაწყვეტილებაც კი ვერ შეაშინებდა. როცა კაცი ყველაფერს დაკარგავს, აღარაფერი აქვს დასაკარგი.

წლების განმავლობაში ტანჯულ, დამცირებულ ქალს რისხვა და გაბოროტება იპყრობს. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, ვაჭრობდა, ინტრიგებს აწყობდა და შესაძლებლობას ეძებდა მოლაპარაკებისა. ახლა აევსო მოთმინების ფიალა. თითქოს ცეცხლს გზა მიეცაო, იფეთქა სიძულვილმა მტანჯველის, უზურპატორის, ჯალათისადმი. არა როგორც დედოფალი დედოფალს, როგორც ქალი ქალს უნდოდა მივარდნოდა ელისაბედს და თვალები ამოეთხარა. ამის მიზეზი გახდა ერთი საცოდავი ინციდენტი: გრაფინია შრუსბერიმ, გაბოროტებულმა, ისტერიით დაავადებულმა ქალმა და ინტრიგანმა, მარიამ სტიუარტს ბრალი დასდო, თითქოს მან ამურის ბადეში გაახვია მისი ქმარი. ამ სულელური, დედაკაცური ჭორისა, რა თქმა უნდა, თვით გრაფინიასაც არ სჯეროდა, მაგრამ ელისაბედმა, რომელიც შემთხვევას არ უშვებდა, რომ ჩირქი მოეცხო თავისი მეტოქის სახელისთვის, ყოველი ღონე იხმარა, რომ ამ აღმაშფოთებელ ამბავს უცხოეთის სამეფო კარამდე მიეღწია, ისევე როგორც თავის დროზე ყველა უცხო სახელმწიფოში დაიგზავნა ბიუკენენის პასკვილი და „ზარდახშის წერილები“. ახლა კი იფეთქა მარიამ სტიუარტმა. მაშ, ისიც აღარ იკმარა, ძალაუფლება, თავისუფლება, უკანასკნელი იმედი და შვილი რომ წაართვა, ახლა უნდა მზაკვრულად შეულახოს ღირსება? მონაზონივით ჩაკეტილი ცხოვრობდა, არ იცოდა სიხარული, სიყვარულის სიამენი და მაინც სურდათ, ვით ოჯახის სიწმინდის დამრღვევი ქვეყნის საკიცხავად გაეხადათ. შელახულმა სიამაყემ გაიღვიძა მასში. გრაფინია შრუსბერი მუხლებზე დაემხო

და აღიარა, რომ უსინდისოდ იცრუა, მაგრამ მარიამ სტიუარტმა მშვენივრად იცოდა, ვინ ისარგებლა ამ სიცრუით მისი ღირსების ლაფში ამოსასვრელად. სიბნელეში მოწინააღმდეგის ხელი შენიშნა, მისი ღირსებისათვის ლახვარი რომ უნდა ჩაეცა. თავადაც მოიმარჯვა ხანჯალი. კარგა ხანია გულს უღრღნიდა ბოროტი მოუთმენლობა, კარგა ხანია უნდოდა როგორც ქალს პირში მიეხალა მთელი სიმართლე ამ ვითომ ქალწული დედოფლისათვის, თავი პატიოსნების განსახიერებად რომ მიაჩნდა. ელისაბედს წერილი მისწერა. თითქოს იმიტომ, რომ ვით გულშემატკივარს გაემხილა, რა ცილისწამებებს ავრცელებდა გრაფინია შრუსბერი მის ცხოვრებაზე, სინამდვილეში კი სურდა „საყვარელი დისთვის“ პირში მიეხალა, თავი უბიწოდ ნუ წარმოგიდგენია, რომ სხვას დასდო ბრალი ბიწიერებაშიო. წერილში საშინელი სიძულვილი იგრძნობოდა, აშკარად იყო ნათქვამი მთელი სასტიკი სიმართლე, ვით ქალმა შეუძლია ქალს უთხრას, დასცინოდა მის სულელურ თვისებებს, მთელი მისი ქალური საიდუმლოებანი ულმობლად მზის სინათლეზე გამოიტანა. მარიამ სტიუარტმა ელისაბედს თითქოს „მეგობრულად“ შეატყობინა, სინამდვილეში კი უნდოდა სასიკვდილოდ დაეჭრა, გრაფინია შრუსბერი ამბობს, ელისაბედს ისეთი დიდი წარმოდგენა აქვს თავის სილამაზეზე, თავი ციური დედოფალი ჰგონიაო. გაუმაძღარია, პირფერობა უყვარს და თავის მეხოტბეთაგან მოითხოვს გამუდმებით გუნდრუკი უკმიონ და ცამდე აიყვანონ, თვითონ კი გაბოროტებული სტანჯავს სეფექალთ და მსახურთ. ერთს თითქოს თითი მოატეხა, მეორეს, სუფრასთან ცუდად რომ ემსახურებოდა, ხელზე დანა დაუსვა, მაგრამ ეს ყველაფერი მოკრძალებული თავდასხმა იყო იმ საშინელ, ელისაბედის ინტიმურ ცხოვრების მხილებასთან შედარებით. თითქოს გრაფინია შრუსბერი ირწმუნებოდა, ელისაბედს ბარძაყზე ჩირქოვანი წყლული — მამამისის ათაშანგის ნაკვალევი აჩნიაო. თუმცა მოხუცდა, მაგრამ მამაკაცებზე გიჟდებაო. მარტო ერთი (გრაფი ლესტერი), ვისთანაც მრავალი ღამე გაუტარებია, არ აკმაყოფილებს, infinies foys, — შემთხვევას არ უშვებს, ვნება დაიცხროს, სულ ახალ და ახალ საყვარლებთან სიამოვნებას ეძებსო, — jamais perdre le liberté de vous fayre l’amour et avoir vostre plésir toujours aveques nouveaulx amoureulx.[1] შუაღამისას

[1] *ყოველთვის მიეცით თავს უფლება, დატკბეთ ვნებით ახალ შეყვარებულთან (XV-XVI სს. ფრანგული).*

შეიპარება პერანგისა და წამოსასხამის ამარა მამაკაცების ოთახში და ეს სიამოვნება მეტად ძვირი უჯდებაო. დაუსახელა საყვარლების სახელები, ჩამოუთვალა თითოეული წვრილმანი. არ შეიბრალა საძულველი ქალი და მახვილი შიგ გულში ჩასცა. დასცინოდა (ბენ ჯონსონიც გულღიად უყვებოდა ამას თანამესუფრეებს), სხვა ქალებს არ ჰგავსო. Undubitablement vous n'estiez pas comme les autres femmes, et pour ce respect c'estoit follie à tous ceulx qu'affectoient vostre mariage avec le duc d'Anjou, d'aultant qu'il ne se pourroit accomplir.[1] დაე, ელისაბედს სცოდნოდა, რომ ყველამ გაიგო მის გულში დამარხული საიდუმლო — საიდუმლო მისი ქალური ნაკლოვანებისა, რაც უფლებას აძლევდა აგზორცობისა, მაგრამ არა ნამდვილი სიყვარულისა, გარყვნილი თამაშისა და არა ნამდვილი სიამოვნებისა. საიდუმლო, სამუდამოდ რომ სწირავდა მას მეფური ქორწინების სიხარულსა და დედობას. ვერც ერთი ქალი ამქვეყნად ვერ გაბედავდა ამ სახელგანთქმული ქალისთვის პირში სიმართლე ეთქვა, როგორც ამ ტყვე ქალმა მიახალა თავისი საკნიდან: ოცი წლის განმავლობაში დაგუბებულმა სიძულვილმა, შეკავებულმა რისხვამ იფეთქა, შებორკილი ძალები აზავთდნენ და გააფთრებულმა ძუ ვეფხვმა შიგ გულში გაჰკრა ბრჭყალი მტარვალს.

ამ სასტიკი, ულმობელი წერილის შემდეგ ზედმეტი იყო შერიგებაზე ლაპარაკი. ვერც ამ წერილის დამწერი, ვერც მიმღები, ერთი ჰაერით ვეღარ ისუნთქავდნენ, ვეღარ იცხოვრებდნენ ერთ ქვეყანაში. Hasta al cuchillo, როგორც ესპანელები ამბობენ, სამკვდროსასიცოცხლო, ხმალდახმალ ბრძოლაში ჩაებნენ, სხვა გამოსავალი არ არსებობდა, ოცწლიანი დაუღალავი, შეუპოვარი მზაკვრობისა და მტრობის შემდეგ მსოფლიო ისტორიულმა ბრძოლამ მარიამ სტიუარტსა და ელისაბედს შორის, ბოლოს და ბოლოს, უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მართლაც შეიძლება ითქვას, საქმე ხმლამდე მივიდა. კონტრრეფორმაციამ ამოწურა მთელი თავისი დიპლომატიური საშუალებანი, ომამდე კი ჯერ არ მისულიყო. ესპანეთში წინანდებურად გულმოდგინედ აგებდნენ არმადას. თუმცა მის ხელთ იყო ინდოეთის საგანძური, ამ აებედით სამეფო კარს არასოდეს ჰქონდა ფული, არა-

[1] *ეჭვარეშეა, თქვენ არ ჰგავდით სხვა ქალებს. სწორედ ამიტომ სიგიჟე იყო ჰერცოგ ანჟუსთან თქვენი ქორწინება. მით უმეტეს, რომ ეს ქორწინება არ უნდა შემდგარიყო (XV-XVI სს. ფრანგული).*

სოდეს ჰყოფნიდა სიმტკიცე. ღვთისმოშიშ ფილიპესაც ჯონ ნოქსი-ვით მოწინააღმდეგის განადგურება ღვთის საამებელ საქმედ მიაჩნდა. „რატომ არ უნდა მოვძებნო უფრო იოლი გზა, მოვისყიდო ორი-სამი მკვლელი, რომ უშიშრად მოვიშოროთ გზიდან ელისაბედი, ეს ერეტიკოსების ციხე-ბურჯი?“ — ფიქრობდა იგი.

მაკიაველსა და მის მიმდევართ საუკუნის სინდისის ქენჯნა არ აწუხებდათ, როცა საქმე ძალაუფლებას ეხებოდა. მეტისმეტად მნიშვნელოვანი შეხედულებები უპირისპირდებოდა ერთმანეთს: რწმენა — რწმენას, სამხრეთი — ჩრდილოეთს. ელისაბედისთვის მხოლოდ ერთხელ რომ ჩაეცათ გულში მახვილი, ქვეყანა შეიძლება გათავისუფლებულიყო ერესისაგან.

საკმარისია პოლიტიკური ვნება აბობოქრდეს, რომ ინგრევა, ისპობა მორალური და უფლებრივი დაბრკოლება, ქრება წესრიგი და ღირსება, მიპარვით მკვლელობაც კი მსხვერპლშეწირვად ითვლება. 1570 წელს ელისაბედის ექსკომუნიკაციის შემდეგ, ხოლო 1580 წელს პრინც ორანელისა, კათოლიკური სამყაროს ორივე დაუძინებელი მტერი კანონგარეშედ გამოაცხადეს, ხოლო მას შემდეგ, რაც რომის პაპმა მოიწონა ექვსი ათასი კაცის ამოწყვეტა და ბათლომეს ღამეს კეთილშობილ საქმეთა ღამე უწოდა, ყოველმა კათოლიკემ იცოდა, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების ამ ერთი დაუძინებელი მტრის მოშორებით კეთილშობილურ გმირობას ჩაიდენდა. საკმარისი იყო ერთი თამამი, ძლიერი გულში ჩაცემა ხანჯლისა ან რევოლვერის მიზანში აუცდენლად მოხვედრება, რომ მარიამ სტიუარტი გათავისუფლებულიყო საპყრობილიდან, ასულიყო ინგლისის ტახტზე და ინგლისი სარწმუნოებით შოტლანდიასთან გაერთიანებინა. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ყოყმანსა და შეყოვნებას ვეღარ მოითმენდა. ესპანეთის მთავრობამ თავის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად დაისახა ელისაბედის ვერაგული მკვლელობა. მენდოსი, ესპანეთის ელჩი დედოფლის მკვლელობას (Killing the Queen) მეტად არასასურველ ზომად თვლიდა. ნიდერლანდების მეფის ნაცვალი, ჰერცოგი ალბა, სრულიად იზიარებდა ამ აზრს, ხოლო ორივე ქვეყნის მბრძანებელი ფილიპე II ბარათში ელისაბედის მკვლელობის შესახებ წერდა: უფალი გვაკურთხებსო. დიპლომატიურ კომბინაციებსა და სამხედრო მოქმედებაზე კი არ ამყარებდნენ იმედებს, მკვლელის იარაღზე. ორივე მხარე ერთ მეთოდს იყენებდა. მადრიდში

ელისაბედის მკვლელობა მოიწონა საიდუმლო საბჭომ და მასზე მეფის თანხმობაც არსებობდა. ლონდონში სესილი, უოლსინჰემი და ლესტერი შეთანხმენბულები იყვნენ იმაში, რომ მარიამ სტიუარტი ძალით მოეშორებინათ თავიდან. სხვა გამოსავალი და გამოსაძვრომი აღარ არსებობდა. გზა მხოლოდ სისხლით უნდა გაეწმინდათ. საქმე ის იყო, ვინ დაასწრებდა — რეფორმაცია თუ კონტრრეფორმაცია, ლონდონი თუ მადრიდი. მარიამ სტიუარტი მოიშორებდა ელისაბედს თუ ელისაბედი მარიამ სტიუარტს.

მოახლოებული აღსასრული

1585 წლის სექტემბრიდან 1586 წლის აგვისტომდე

„დროა დავასრულოთ!“ — The matter must come to an end — ამ მტკიცე ფორმულით, გააფთრების წუთებში რომ წარმოთქვა, ელისაბედის მინისტრმა მთელი ქვეყნის აზრი გამოხატა. ისე არაფერი უმძიმებდა გულს ხალხს ან ცალკეულ ადამიანს, როგორც ხანგრძლივი ურწმუნოება. რეფორმაციის მეორე ბელადის, პრინცი ორანელის (1584 წ.) ურჯუკ კათოლიკედ სიკვდილმა ნათლად დაანახვა ინგლისს, ვის უნდა აღემართა შემდგომ მახვილი. ერთ შეთქმულებას მეორე მოჰყვებოდა. დრო იყო გასწორებოდნენ ტყვეს, ამ საშიშ წამქეზებელს, რომელიც არეულობასა და მოუსვენრობას თესავდა. დროა, „ძირფესვიანად აღმოიფხვრას ბოროტება“. 1584 წლის სექტემბერში შეიკრიბა თითქმის ყველა პროტესტანტი ლორდი, წარჩინებული დიდებულები და საზეიმო „ასოციაციაზე“ (association) „ფიცი დადეს ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე, რათა სიკვდილი მიეგოთ ყველასათვის, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ელისაბედის წინააღმდეგ შეთქმულებაში“. ამასთან პასუხი მოეთხოვათ „ყველა პრეტენდენტისათვის, ვის სასარგებლოდაც განიზრახავდნენ ღალატს“. ამის შემდეგ პარლამენტმა „აქტით დედოფლის უსაფრთხოების შესახებ“ ამ კრებას კანონმდებლობითი უფლება მიანიჭა. ყველას, ვინც მონაწილეობდა დედოფალზე თავდასხმაში, ანდა — ეს მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი გახლდათ — ეთანხმებოდა, თავის მოკვეთა არ ასცდებოდა. გარდა ამისა, დაადგინეს, რომ „იმ პირთ, ვისაც ბრალი დაედებოდა დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში, სამეფო საბჭოს მიერ დანიშნული ოცდაათხი მსაჯული გაასამართლებდა“.

ამგვარად, მარიამ სტიუარტი ორმაგად გააფრთხილეს. ჯერ ერთი,

არად ჩააგდებდნენ მის მეფურ წოდებას და საჯარო სასამართლოს გადასცემდნენ, მეორეც, ელისაბედის ხელყოფის წარმატების შემთხ-ვევაშიც იგი ვერაფერს მოიპოვებდა, მხოლოდ ეშაფოტზე ავიდოდა. ეს დაფდაფების ცემას ჰგავდა, დაუმორჩილებელ ციხეს დანებებისკენ რომ მოუწოდებდა. თუ კვლავ იყოყმანებდა, აღარ შეიბრალებდნენ. ამიერიდან დასრულდა მოურიგებლობა და პირფერობა ელისაბედსა და მარიამ სტიუარტს შორის. სასტიკმა ქარმა დაქროლა. ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა.

პირფერული წერილებისა და პირმოთნეობის ხანამ რომ გან-ვლო, რაც ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ახლა თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა, მარიამ სტიუარტი ამას თვითონაც ხვდებოდა იმ სასტიკი ზომების მიხედვით, რასაც მის წინააღმდეგ იყენებდნენ. ხშირი შეთქმულებებით გამოფხიზლებულმა ინგლი-სის სამეფო კარმა გადაწყვიტა, შეებორკათ მარიამ სტიუარტი და საბოლოოდ მოესპოთ მისთვის ინტრიგებისა და ამბოხების საშუ-ალება. შრუსბერი, ჯენტლმენი და მეტად მოწყალე გულის მეციხ-ოვნე „გაათავისუფლეს თავისი მოვალეობისგან“. სიტყვა „გაათავი-სუფლეს“ — released პირდაპირი მნიშვნელობით არის ნათქვამი. იგი მართლაც მუხლებზე დაჩოქილი მადლობას სწირავდა ელისაბედს, რომ თხუთმეტი წლის ტანჯვის შემდეგ თავისუფლება მიანიჭა. მისი ადგილი დაიჭირა ფანატიკოსმა პროტესტანტმა ამიას პაულეტმა. მარიამ სტიუარტს მხოლოდ ახლა ჰქონდა საბაბი დაეჩივლა ser-vitude მონურ ტყვეობაზე, რადგან წინანდელი კეთილი მეციხოვნის მაგივრად სასტიკი მცველი დაუყენეს.

ამიას პაულეტი, ქვასავით მტკიცე პურიტანელი, ერთ-ერთი მეტად სამართლიანი კაცი, არ ფარავდა თავის განზრახვას, მარიამ სტიუარ-ტის ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცია. ამიას პაულეტმა თა-ვისი მოვალეობის სრული შეგნებითა და ამაყი სიხარულით იკისრა, თავისი ტყვე მკაცრ პირობებში ჰყოლოდა, სულ მცირე შეღავათიც კი არ გაეწია. „შეწყალებას არ გთხოვთ, — სწერდა იგი ელისაბედს, — თუ იგი იდუმალი ხრიკებით მოინდომებს დამისხლტეს ხელიდან, რადგან ეს შეიძლება მხოლოდ ჩემი დანაშაულებრივი ხელშეწყობით მოხდეს“.

გულგრილად და ფხიზლად, როგორც მოვალეობის კაცს შე-ჰფერის, მოჰკიდა ხელი საქმეს, რომ თავისი ტყვე სრულიად უვნე-

ბელი გაეხადა, თითქოს ეს იყო მისი სიცოცხლის მიზანი და თვით მამაუფალმა მიანდო. ამიერიდან მის უდრეკ სულში ერთი პატივ-მოყვარული მისწრაფება ცოცხლობდა — შიშის გამო კი არ გამხ-დარიყო მეციხოვნე, არამედ სინდისიერად. არავითარი ცდუნება არ მოქმედებდა მასზე. ერთხელაც არ ასძგერებია გული, თბილ, ადა-მიანურ მღელვარებას ერთხელაც კი არ შეუცვლია მისი გაქვავებ-ული სახე. მისთვის ეს დაავადმყოფებული, მოქანცული ქალი დე-დოფალი კი არ იყო, ვისი უბედურებაც პატივისცემას აღუძრავდა კაცს, არამედ ელისაბედის დაუძინებელი მტერი და თვალი არ უნდა მოეშორებინა, რადგან მისგან, როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების ანტიქრისტესგან, ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ჯანმრთელობა რომ შერყეული ჰქონდა და რევმატიზმით დასნეულებული ფეხებით უჭირდა წამოდგომა, ამას ცინიკურად უყურებდა, რადგან მცველებს ასე ერჩივნათ, იმის შიში მაინც არ ექნებოდათ, რომ გაიქცეოდა. თვი-თონვე გული ვერ ეჯერებინა თავისი კეთილსინდისიერებით, ზუსტად ასრულებდა ზედამხედველის მოვალეობას და ჩინოვნიკის აკურატუ-ლობით ყოველ საღამოს თავის დაკვირვებას განსაკუთრებულ წიგნში იწერდა. თუ მსოფლიო ისტორია იცნობს ამ ანტიქრისტეზე უფრო მკაცრ, ბოროტ, უსამართლო მეციხოვნეს, არა მგონია, მათ შორის ვინმე ისეთი ყოფილიყო, ვინც შეძლებდა თავისი მოვალეობა ჩინოვნი-კური აღტაცების წყაროდ გადაექცია. პირველ რიგში, დაუყოვნე-ბლივ ამოავსეს მიწისქვეშა არხები, რომლებიც მარიამ სტიუარტს დროდადრო გარე სამყაროსთან აკავშირებდა. ორმოცდაათი ჯარის-კაცი დღე და ღამე ყარაულობდა ციხის მისასვლელს. მისი ამალის ხალხი, რომელთაც აქამდე არავინ უშლიდა, მეზობელ სოფლებში მი-სულიყვნენ და წერილობით თუ ზეპირად გადაეცათ მარიამ სტიუარ-ტის შემონათვალი, ახლა თავისუფლად ვეღარ დადიოდა. მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვითა და მცველების თანხლებით შეეძლოთ გასულიყვნენ ციხე-კოშკიდან. სისტემატურად მოწყალების გაღება ღარიბთათვის, რასაც არ იშურებდა მარიამ სტიუარტი, აუკრძალეს. შორსმჭვრეტელ პაულეტს სრული საფუძველი ჰქონდა, ეჭვი აეღო, რომ ამ მოწყალებით შეთქმულნი თავიანთ დავალებებს ასრულებდნენ. ახალი და ახალი სასტიკი წესები შემოიღეს — თეთრეულს, წიგნებს, ყველა ამანათს გულმოდგინედ სინჯავდნენ. ამგვარი მეთვალყურეობა აძნელებდა მიმოწერას. მარიამ სტიუარტის ორივე მდივანი — ნაუ

და კერლი — იძულებულნი იყვნენ გულხელდაკრეფილნი მსხდარიყვნენ თავიანთ ოთახებში. აღარც დასაწერი ჰქონდათ წერილები და აღარც ამოსაკითხი. არც ლონდონიდან, არც შოტლანდიიდან, არც მადრიდიდან და არც რომიდან აღარავითარი ამბები აღარ მოდიოდა. იმედის ნაპერწკალიც კი აღარ ბჟუტავდა ყველასგან მიტოვებული ქალის საკანში. პაულეტმა მალე უკანასკნელი სიხარულიც წაართვა: მისი თექვსმეტიანი ცხენი შეფილდეში დატოვეს — წავიდა ნადირობისა და ცხენით სეირნობის დრო. ამ ბოლო წელიწადს მისი საცხოვრებელი სივრცე თანდათან შემოიზღუდა. ამიას პაულეტის ხელში მარიამ სტიუარტის ტყვეობა (რა ავი წინასწარმეტყველება იყო) განცალკევებულ საკანს, კუბოს მოგაგონებდათ.

ელისაბედის სახელზე რომ ვზრუნავდეთ, ვუსურვებდით, უფრო ლმობიერი მცველი ამოერჩია თავისი დის, დედოფლისათვის. მაგრამ საფრთხე რომ თავიდან აეცილებინა, სამწუხაროდ, უნდა გამოუტყდეთ ამაში, ელისაბედი ამ გულცივ, კალვინის მიმდევარზე უფრო საიმედო მცველს ვერ ამოირჩევდა. პაულეტი სამაგალითოდ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას — მოეწყვიტა მარიამ სტიუარტი გარე სამყაროსაგან. გადიოდა თვეები, იგი ჰერმეტულად იყო ჩაკეტილი, თითქოს მინის ძაბრის ქვეშ ცხოვრობდა — არავითარი ამბავი, არც ერთი სიტყვა არ აღწევდა გარედან ციხეში. ელისაბედს შეეძლო დამშვიდებულიყო და მინდობოდა კეთილ მსახურს. გულმოდგინებისათვის მართლაც მადლიერებით იყო გამსჭვალული ამიას პაულეტისადმი. „ჩემო ძვირფასო ამიას, თქვენ რომ იცოდეთ, რა მადლიერების გრძნობით ვარ გამსჭვალული და მახარებს თქვენი გულმოდგინება და შეუმცდარი მოქმედება, თქვენი გონივრული განკარგულებები და საიმედო ზომები ესოდენ საშიში და ძნელი ამოცანის შესრულებისას, ეს ალბათ შეგიმსუბუქებდათ საზრუნავს და სიამეს მოჰფენდა თქვენს გულს“.

მაგრამ რა საოცარია, სესილი და უოლსინჰემი, ელისაბედის მინისტრები, არცთუ ძალიან მადლობელნი იყვნენ ამ მეტისმეტად პედანტი ამიას პაულეტისა precise fellow — ზედმეტი გულმოდგინებისათვის.

ტყვის სრული იზოლაცია ყველასათვის მოულოდნელად ხელს უშლიდა მათი საიდუმლო სურვილების ასრულებას. რა სარგებლობას მოუტანდათ, რომ მარიამ სტიუარტი მოკლებული იყო კონ-

სპირაციის საშუალებას? პაულეტი თავისი მკაცრი რეჟიმით იცავდა მარიამ სტიუარტს, რომ რაიმე მოუფიქრებელი საქციელი არ ჩაედინა. სესილსა და უოლსინჰემს სჭირდებოდათ არა უდანაშაულო მარიამ სტიუარტი, არამედ დამნაშავე. მათთვის აუცილებელი იყო ტყვეს, ინგლისში მუდმივი მღელვარებისა და შეთქმულების წყაროს, განეგრძო თავისი საიდუმლო თამაში და საბოლოოდ გახლართულიყო დამღუპველ ქსელში, უნდოდათ, the matter to an end, საჯარო გასამართლება მოეწყოთ მარიამ სტიუარტისათვის, სიკვდილი მიესაჯათ, დაესაჯათ. მისი მხოლოდ დატყვევება არ აკმაყოფილებდათ. საფრთხის თავიდან ასაცილებლად უეჭველად ეშაფოტზე უნდა აეყვანათ შოტლანდიის დედოფალი. ეს რომ გაეკეთებინათ, არანაკლებ უნდა დაეძაბათ ძალები. ცდილობდნენ, ინსცენირებულ შეთქმულებაში ჩაერთოთ და არა ისე, როგორც პაულეტი ფიქრობდა, ჩამოეშორებინათ ყოველგვარი შეთქმულებიდან. ამ მიზნისათვის სჭირდებოდათ შეთქმულება ელისაბედის წინააღმდეგ და აშკარა, დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მარიამ სტიუარტი მონაწილეობდა ამ დანაშაულებრივ შეთქმულებაში.

ამგვარი შეთქმულება ელისაბედის სიცოცხლის მოსასპობად უკვე არსებობდა. შეიძლება ითქვას, გამუდმებით არსებობდა. ფილიპე II-ის გულმოდგინებით კონტინენტზე შეიქმნა ნამდვილი ანტიინგლისური შეთქმულების ცენტრი. პარიზში იჯდა მორგანი, მარიამ სტიუარტის სანდო კაცი, მთავარი საიდუმლო აგენტი და ესპანური ფულით არა მხოლოდ ინტრიგებს, არამედ ათასნაირ გაბედულ მაქინაციას აწყობდა ინგლისისა და ელისაბედის წინააღმდეგ. საფრანგეთისა და ინგლისის ელჩების წყალობით საიდუმლო კავშირს ამყარებდნენ ინგლისში უკმაყოფილო კათოლიკე დიდებულებსა და კონტრრეფორმაციის სახელმწიფო კანცელარიას შორის. მორგანმა მხოლოდ ერთი რამ იცოდა, რომ უოლსინჰემი ყველა დროის ერთი ყველაზე ნიჭიერი და ისეთი მინისტრი იყო პოლიციისა, რომელიც არაფერზე უკან არ დაიხევდა და ვითომ ფანატიკოსი კათოლიკეები იყვნენ, რამდენიმე ჯაშუში მიუგზავნა, სწორედ ის მსტოვრები, რომლებიც უოლსინჰემს თურმე მოსყიდული ჰყავდა და ჯამაგირს აძლევდა. რაც უნდა ეღონათ მარიამ სტიუარტისთვის, დასახულ გეგმას ასრულება არ ეწერა, ყველაფერს მაშინვე ინგლისში შეატყობინებდნენ. 1585 წელს ინგლისის სახელმწიფო კაბინეტმა იცოდა, — უკანასკნელ შეთქმულთა

სისხლი ჯერ ისევ ეცხო ეშაფოტს, — რომ კვლავ განზრახული იყო თავდასხმა ელისაბედზე. უოლსინჰემმა სათითაოდ იცოდა ინგლისის ყველა კათოლიკე დიდებულის სახელი, რომლებთანაც მორგანი მოლაპარაკებას აწარმოებდა და ვინ გადმოიბირა მარიამ სტიუარტის მხარეს. საკმარისი იყო ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის, წამებითა და კოცონზე დაწვის მუქარით შეეძლო გამოემჟღავნებინა შეთქმულება.

მაგრამ ამ გამობრძმედილ პოლიციის მინისტრს ბევრად უფრო გამობრძმედილი მეთოდები ჰქონდა და შორსაც იხედებოდა. რაღა თქმა უნდა, თითი რომ გაექნია, მაშინვე ჩაახშობდა შეთქმულებას, მაგრამ რამდენიმე ჭკუიდან გადასული დიდებულის, ან შემთხვევითი ავანტიურისტის დასჯას რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა! ღირდა კი ამბოხების გამძვინვარებული გველეშაპისათვის ხუთიექვსი თავის მოკვეთა, რომ ხვალ ერთი ორად ამოსულიყო? Carthaginem esse delendam[1], — აი, სესილისა და უოლსინჰემის დევიზი. მათ სურდათ, „ბოლო მოეღოთ“ თვით მარიამ სტიუარტისათვის, მიზეზი კი უნდა გამხდარიყო არა გულუბრყვილო ცდა ტყვის გათავისუფლებისა, არამედ ფესვგადგმული შეთქმულება იმის სასარგებლოდ, რაც აშკარა დანაშაულებრივ მიზნებს ისახავდა. ამიტომ, სანამ ნაადრევად, ჩანასახშივე ჩაახშობდნენ ეგრეთ წოდებულ ბაბინგტონის შეთქმულებას, უოლსინჰემი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ხელოვნურად გაეძლიერებინა იგი: აპოხიერებდა თავისი მხარდაჭერით, ხელს უმართავდა ფულით, აქეზებდა მოჩვენებითი გულგრილობით და მხოლოდ მისი პროვოკატორული ხელოვნების წყალობით, დილეტანტური შეთქმულება პროვინციელი დიდებულებისა ელისაბედის წინააღმდეგ, უოლსინჰემის ცნობილ შეთქმულებად იქცა, რომელიც მიზნად ისახავდა მარიამ სტიუარტის თავიდან მოშორებას.

მაგრამ მარიამ სტიუარტის კანონიერი მკვლელობისათვის პარლამენტის პარაგრაფის მიხედვით, საჭირო იყო სამი პირობის დაცვა. პირველი, მიეღწიათ იმისათვის, რომ შეთქმულებს გადაეწყვიტათ ელისაბედის მკვლელობა და ეს გადაწყვეტილება სრულიად დასაბუთებული ყოფილიყო. მეორე, წაექეზებინათ ისინი, რომ ეს შეეტყობინებინათ მარიამ სტიუარტისათვის. მესამე — ეს ყველაზე ძნელი საქმე იყო — მარიამ სტიუარტს აშკარად მოეწონებინა ეს დანაშაულებრივი გეგმა, თან წერილობით. როგორ მოკლავდნენ უდანაშაუ-

[1] *კართაგენი უნდა დაინგრეს (ლათ.).*

ლო ადამიანს, თუ საკმაო მამხილებელი საბუთები არ ექნებოდათ? ეს შელახავდა ელისაბედის ღირსებას. სჯობდა, მარიამ სტიუარტი დამნაშავე გაეხადათ, სჯობდა, ცბიერად ჩაეჩარათ ხელში ხანჯალი, რომ თვითონვე ჩაეცა გულში.

ინგლისის სახელმწიფო პოლიციის შეთქმულება მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ ფლიდობით დაიწყო: მოულოდნელად შეუმსუბუქეს პატიმრობის მკაცრი რეჟიმი. რაღა თქმა უნდა, უოლსინჰემს არ გაუჭირდებოდა, დაერწმუნებინა ღვთისმოშიში პურიტანელი ამიას პაულეტი, რომ ბევრად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, მარიამ სტიუარტი შეთქმულებაში ჩაეთრიათ, ვიდრე დაეცვათ იგი შესაძლებელი ცდუნებისაგან. ამიტომ პაულეტმა ინგლისის პოლიციის მთავარი შტაბის მიერ მოფიქრებული გეგმის შესაბამისად, უცბად შეცვალა ტაქტიკა. ერთ მშვენიერ დღეს აქამდე ულმობელი მცველი გამოცხადდა მარიამ სტიუარტთან და ოფიციალურად მოახსენა, რომ ნაბრძანები ჰქონდა, ტატბერიდან ჩარტლიში გადაეყვანა; მარიამ სტიუარტი ვერ მიუხვდა მტრებს ხრიკებს და ვეღარ დაფარა გულწრფელი სიხარული. ტატბერი ნაღვლიანი ციხე-კოშკი იყო, ციხეს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე კოშკს. ჩარტლი კი გაშლილ ადგილას მდებარეობდა და უფრო ახლოს იყო კათოლიკე დიდებულთა მამულებთან (ამის გაფიქრებაზე გული აუძგერდა), იმ კათოლიკე დიდებულებისა, რომლებთანაც მეგობრობდა და შველას მოელოდა. იქ შეიძლებოდა სანადიროდ წასულიყო, ცხენით ესეირნა, იქნებ ამბავიც კი გაეგო ზღვის გაღმიდან და მამაცობითა და ეშმაკობით მოეპოვებინა ის, რაც მისი სიცოცხლის ერთადერთ მიზანს შეადგენდა — თავისუფლება.

დილით უჩვეულო სიურპრიზი ელოდა. თვალს არ უჯერებდა. თითქოს ზღაპარი იყო, დაეცა ამიას პაულეტის შავბნელი ხელისუფლება. მოუვიდა წერილი, დაშიფრული წერილი, პირველი წერილი ამ ტყვეობის შემდეგ. რა ყოჩაღები იყვნენ მისი მეგობრები, რა ჭკვიანები, რა მარჯვეები, მაინც მონახეს საშუალება ფხიზელ მცველთა გასაცურებლად! სულ არ მოელოდა ასეთ სიხარულს: ახლა აღარ იყო სამყაროსგან მოწყვეტილი, კვლავ გრძნობდა მეგობრების დაინტერესებას, მხარდაჭერასა და თანაგრძნობას, კვლავ გაიგებდა, რა გეგმებს აწყობდნენ მის გასათავისუფლებლად! მაგრამ თითქოს გრძნობდა, სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. თავის

აგენტს, მორგანს აფრთხილებდა: „ფრთხილად იყავით, ისეთ რამეში არ გაებათ, რომ შემდეგ ბრალდებად წამოგიყენონ. ისედაც ეჭვქვეშ ხართ და კიდევ უფრო დაეჭვების საბაბს ნუ მისცემთ“. მაგრამ ეჭვი სრულიად გაეფანტა, როცა გაიგო, მისმა მეგობრებმა — სინამდვილეში კი მისმა მკვლელებმა — რა მშვენიერი ხერხი მოიგონეს მისთვის წერილების გასაგზავნად. ყოველკვირა ახლომდებარე ლუდხანიდან დედოფლის მსახურთათვის კასრით ლუდი მოჰქონდათ. ეტყობა, მისი მეგობრები მეჯაგეს მოელაპარაკნენ, რომ სავსე კასრში დალუქული ხის მათარა ჩაეშვა. ამ გამოთლილ ჭურჭელში დედოფლისათვის საიდუმლო წერილებს დებდნენ. დამყარდა კავშირი. საფოსტო გზავნილებივით რეგულარულად მიდიმოდიოდა წერილები. ამიერიდან „მამაცი ყმაწვილი“ (the honest man), როგორც წერილებიდან ჩანდა, ყოველკვირა მოიტანდა ციხე-კოშკში კასრს ძვირფასი განძით, მარიამ სტიუარტის მსახური გამოიღებდა მათარას, მერე ჩადებდა ახალ წერილს და კვლავ კასრში ჩაუშვებდა. ყოჩაღ ყმაწვილს უხაროდა, ეს კონტრაბანდა ორმაგ მოგებას აძლევდა: იქ მარიამ სტიუარტის უცხოელი მეგობრები ასაჩუქრებდნენ უხვად, აქ კი მსახურთუხუცესი იმაზე მეტ ფასს აძლევდა ლუდში, რაც ღირდა.

მხოლოდ ერთ რამეს ვერ ხვდებოდა მარიამ სტიუარტი, რომ ყოჩაღი მეჯაგე შავბნელი სამსახურისთვის ანგარიშს აბარებდა კიდევ მესამე ადგილას, რადგან მას ამ სამუშაოში მათ გარდა გასამრჯელოს უხდიდნენ ინგლისის პოლიცია და ამიას პაულეტი, რომელმაც ყველა ხრიკი იცოდა. საქმე ის იყო, რომ ლუდის კასრი მარიამ სტიუარტის მეგობრებს კი არ გამოუგონებიათ, ვინმე ჰიფორდმა, უოლსინჰემის ჯაშუშმა მოიგონა, რომელმაც მორგანსა და საფრანგეთის მსტოვარს თავი მარიამ სტიუარტის სანდო კაცად გააცნო. ამგვარად, პოლიციის მინისტრის მხარეზე დიდი უპირატესობა იყო! მარიამ სტიუარტის მიმოწერას შეთქმულებთან თვალყურს ადევნებდნენ მისი პოლიტიკური მტრები. მარიამ სტიუარტისათვის გაგზავნილი ყოველი წერილი, ასევე მის მიერ დაწერილიც, მაშინვე ხელში უვარდებოდა ჯაშუშ ჰიფორდს, რომელიც მორგანს თავის საიმედო აგენტად მიაჩნდა: თომას ფელიპესი, უოლსინჰემის მდივანი, მაშინვე შიფრავდა, ასლს იღებდა და გაშრობას არც კი აცლიდა, ბეჭდავდა და ლონდონში გზავნიდა. მხოლოდ ამის შემდეგ წერილს სწრაფად უგზავნიდნენ მარიამ

სტიუარტს ან საფრანგეთის საელჩოს, ისე, რომ არც ერთ ადრესატს ეჭვიც არ ეპარებოდა და განაგრძობდნენ მიწერ-მოწერას.

მართლაც დაძაბული სიტუაცია იყო. ორივე მხარეს უხაროდა, რომ მოწინააღმდეგე მოატყუა. მარიამ სტიუარტმა შვებით ამოისუნთქა. ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვა ამ გულცივ, შეუდრეკელ პურიტანელზე, რომელიც თავს უფლებას აძლევდა, გადაექექა მისი თეთრეული, მის ფეხსაცმელზე ლანჩები აეგლიჯა, ყოველ ნაბიჯს უთვლიდა და დამნაშავესავით ჰყავდა დატყვევებული. ნეტავი ერთი იცოდესო, — გულში იცინოდა მარიამ სტიუარტი, — მცველებიც დამიყენა, სასტიკ რეჟიმში მამყოფებს, ათასი ხრიკი მოიგონა, მაგრამ ყოველკვირეულად პარიზიდან, რომიდან, მადრიდიდან მნიშვნელოვანი წერილები მომდის, ჩემი აგენტები შეუსვენებლივ მუშაობენ, ჩემს გამოსახსნელად ჯარსა და ფლოტილიებს ამზადებენ, ხანჯლებს ლესავენო. ზოგჯერ სიხარულს ვერც კი ფარავდა — თვალები უბრწყინავდა. ამიას პაულეტი ირონიულად აღნიშნავდა თავის ჩანაწერებში, ტყვის ჯანმრთელობა და განწყობილება შესამჩნევად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც მისმა სულმა კვლავ იმედის შხამი იგემაო. დიახ, სიცილი უფრო „პატიოსან“ ამიასს შეჰფეროდა. ძნელი არ არის წარმოიდგინოთ სარკასტული ღიმილი, მის ცივ ბაგეებს რომ დასთამაშებდა, როცა ყოველდღე თვალს ადევნებდა, ყოჩაღ მეჯაგეს ახალი ლუდი რომ მოჰქონდა და უყურებდა, რა ფრთხილად მიაგორებდა მსახური კასრს ბნელ სარდაფში, რომ იქ, უცხო თვალისგან მოფარებით, ამოეღო ძვირფასი მათარა. მაგრამ ის, რაც ახლა უნდა წაეკითხა მარიამ სტიუარტს, კარგა ხანია წაკითხული ჰქონდა ინგლისის პოლიციას. ლონდონში თავიანთ საკარძლებში ისხდნენ უოლსინჰემი და სესილი და მარიამ სტიუარტის წერილებს სწავლობდნენ, რომელთა ზუსტი სიაც წინ ედოთ. ამ წერილებიდან რწმუნდებოდნენ, რომ მარიამ სტიუარტი ფილიპე II ესპანელს ჰპირდებოდა შოტლანდიის გვირგვინს და ინგლისის ტახტის სამემკვიდრეო უფლებებსაც, თუ იგი იბრძოლებდა მის გასათავისუფლებლად. ურიგო არ იქნებოდა, ეს წერილი იაკობ VI-ისათვის ეჩვენებინათ, რომ მეტისმეტად არ გაცხარებულიყო, როცა დედამისს მარწუხებს მოუჭერდნენ, — კმაყოფილების ღიმილით ფიქრობდნენ ისინი. მათთვის დაფარული აღარ იყო, რომ მარიამ სტიუარტი თავისივე მოუთმენელი ხელით დაწერილ, პარიზში გასაგზავნ წერილში

მოითხოვდა, ესპანეთის ჯარი ინგლისში გადმოესხათ. ეს საბუთიც გამოადგებოდათ პროცესზე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე აუცილებელი, რასაც ელოდნენ და ურომლისოდაც სამსჯავროს ვერ გადასცემდნენ, სამწუხაროდ, წერილებში არ ჩანდა. არ ჩანდა ის, რომ მარიამ სტიუარტი თანხმობას აცხადებდა ელისაბედის მკვლელობაზე. სასურველი პარაგრაფი მას ჯერ კიდევ არ დაერღვია. სამსჯავროს სასიკვდილო მანქანის ამუშავებას სულ პატარა ხრახნი — consent-ი აკლდა, მარიამ სტიუარტის აშკარა თანხმობა ელისაბედის მკვლელობაზე. ამ აუცილებელი ხრახნილის საშოვნელად თავისი საქმის შეუდარებელმა ოსტატმა უოლსინჰემმა მკლავები დაიკაპიწა. ასე წარმოიქმნა ერთი დაუჯერებელი, მაგრამ დოკუმენტურად სარწმუნო პროვოკაცია მსოფლიო ისტორიაში — უოლსინჰემის თაღლითური ფანდი, ინსცენირება, გამოგონებული იმისათვის, რომ მარიამ სტიუარტი პოლიციის მიერ შეთითხნილ დანაშაულში — ეგრეთ წოდებულ ბაბინგტონის შეთქმულებაში, სინამდვილეში კი უოლსინჰემის შეთქმულებაში ჩაეთრიათ.

უოლსინჰემის გეგმა, როგორც ჩანს, ოსტატურად იყო მოფიქრებული, რაზედაც მისი წარმატება მეტყველებს. მაგრამ ყველაზე ამაზრზენი და ახლაც, საუკუნეების შემდეგ საზიზღრობისგან ჟრუანტელს რომ გვგვრის, ის გახლავთ, რომ უოლსინჰემმა თავისი ინტრიგნული მიზნებისთვის გამოიყენა ყველაზე წმინდა ადამიანური გრძნობა — ნორჩ, რომანტიკულ გულთა ნდობა. ენტონი ბაბინგტონი, რომელიც ლონდონში მარიამ სტიუარტთან ანგარიშის გასასწორებელ იარაღად გამოიყენეს, ღირსია ჩვენი აღტაცებისა და თანაგრძნობისა, რადგან ყველაზე კეთილშობილური გრძნობისათვის გაწირა სიცოცხლე და სახელი. წვრილი მემამულე აზნაური, კარგი ოჯახის შვილი, ღირსების მქონე ადამიანი, ბედნიერად ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილთან ერთად თავის მამულ ლინჩფილდში, ჩარტლის მახლობლად. ახლა ჩვენთვის გასაგებია, უოლსინჰემმა რისთვის ამოირჩია ჩარტლის ციხე მარიამ სტიუარტის ახალ საცხოვრებლად. მოენეებს კარგა ხანია მოეტანათ თავიანთი ბატონისათვის, რომ თავგანწირული კათოლიკე, მარიამ სტიუარტის თავგამოდებული მომხრე ბაბინგტონი ხშირად დახმარებია მას წერილების საიდუმლოდ გაგზავნაში, რადგან კეთილშობილი ახალგაზრდა თავისი ახლობლის ბედისადმი თანაგრძნობითა და სიბრალულით განმსჭვალულიყო.

ამგვარი წმინდა გულის იდეალისტი, ღვთის გლახა უფრო გამოადგებოდა უოლსინჰემს, ვიდრე დაქირავებული ჯაშუში — დედოფალი მას უფრო დაუჯერებდა. იგი დარწმუნებული იყო, ეს პატიოსანი, თუმცა ცოტა ახირებული აზნაური ანგარების ან მისდამი გულთბილი დამოკიდებულების გამო არ გაუწევდა სამსახურს. ბაბინგტონი თითქოს ჯერ კიდევ ყმაწვილი პაჟი იყო, მარიამ სტიუარტი გრაფ შრუსბერის სახლში რომ ნახა და შეუყვარდაო, ეს მისი ბიოგრაფების რომანტიკული წარმოსახვის ნაყოფი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, იგი მარიამ სტიუარტს არასოდეს შეხვედრია და ემსახურებოდა ვით უანგარო რაინდი, ვით ღვთისმოშიში კათოლიკე, ქალის წარმტაცი თავგადასავლებით აღტაცებული ვაჟკაცი; ქალისა, რომელშიც ინგლისის კანონიერ დედოფალს ხედავდა. უდარდელად, განუსჯელად, ენაწყლიანად, როგორც გულახდილ ყმაწვილს შეჰფერის, შეკრიბა მოკავშირეები მეგობრებში. მართლაც, რამდენიმე კათოლიკე დიდებული შეუერთდა მას. ამ ჭრელ ჯგუფში რომ იკრიბებოდნენ და ხშირად კამათობდნენ, გამოირჩეოდა ფანატიკურად განწყობილი მღვდელი ბალარდი და ვინმე სევაჯი, უშიშარი, თავზე ხელაღებული კაცი. ისე კი ამ ახალგაზრდა, უწყინარ აზნაურებს პლუტარქე ჰქონდათ წაკითხული და გმირულ საქმეებზე ოცნებობდნენ. მაგრამ მალე ამ პატიოსან მეოცნებეთა ჯგუფში გამოჩნდნენ სხვები, უფრო მტკიცენი, ვიდრე ბაბინგტონი და მისი მეგობრები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენება. პირველად უნდა დავასახელოთ თვით ის ჰიფორდი, რომელსაც ელისაბედმა დამსახურებისთვის ყოველწლიურად ასი გირვანქა დაუნიშნა პენსიად. ამ თავზე ხელაღებულ ხალხს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ დედოფლის გათავისუფლება. უჩვეულო გააფთრებით მოითხოვდნენ უფრო საშიშ საქმეებს — ელისაბედის მოკვლას, „უზურპატორის“ თავიდან მოშორებას. ეს მამაცი და მეტისმეტად გაბედული მეგობრები პოლიციის დაქირავებული აგენტები, უოლსინჰემის ჯაშუშები იყვნენ. უსინდისო მინისტრმა ესენი ახალგაზრდა იდეალისტთა წრეში მხოლოდ იმიტომ კი არ ჩააბა, რომ დროულად გაეგო მათი გეგმები, პირველ ყოვლისა იმისთვის, რომ მეოცნებე ბაბინგტონი წაექეზებინა და უფრო შორს შეეტოპა, ვიდრე სინამდვილეში სურდა. თვითონ ბაბინგტონი (ყველა ჩვენება ამას ამტკიცებს) თავიდან ერთ თამამ მიზანს ისახავდა: ესარგებლა მარიამ სტიუარტის სანადიროდ ან სასეირნოდ წასვლით და გაეთა-

ვისუფლებინა ტყვეობიდან. ბუნებრივია, ამ თავგამოდებულ პოლიტიკოსს, მაგრამ ბუნებით ჰუმანურ კაცს ფიქრადაც არ მოსდიოდა ისეთი არაადამიანური საქციელის ჩადენა, როგორიც მკვლელობაა.

მაგრამ უოლსინჰემი მხოლოდ მარიამ სტიუარტის მოტაცებით ვერ კმაყოფილდებოდა, ეს ჯერ კიდევ არ აძლევდა საფუძველს შავბნელი, ახალი პარაგრაფის გამოყენებისა. თავისი მიზნისათვის შეთქმულება სჭირდებოდა, ნამდვილი შეთქმულება დედოფლის მკვლელობაზე, და იგი აიძულებდა თავის თავზე ხელაღებულ ხალხს agents provocateurs[1], თავი არ გაენებებინათ, სანამ ბაბინგტონი თავისი მეგობრებით იმათ ანკესზე არ წამოეგებოდა: ისინი მზად იყვნენ მკვლელობაზეც ეფიქრათ. ესპანეთის ელჩმა, რომელიც მტკიცედ იყო დაკავშირებული შეთქმულებთან, 12 მაისს ფილიპე II-ს სასიხარულო ამბავი შეატყობინა: სასახლის კართან დაახლოებულმა ოთხმა კათოლიკე დიდებულმა ფიცი დადო, დედოფალი საწამლავით ან ხანჯლით სიცოცხლეს გამოასალმონო. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ agents provocateurs შესანიშნავად მუშაობდნენ. ბოლოს და ბოლოს, მოეწყო უოლსინჰემის ინსცენირებული შეთქმულება. მაგრამ ამით უოლსინჰემის დასახული ამოცანის პირველი ნაწილი გადაწყდა. მახე მხოლოდ ერთი მხრიდან დაუგეს, საჭირო იყო მეორე მხრიდანაც დაეგოთ. შეთქმულება ელისაბედის წინააღმდეგ მოეწყო, ოღონდ ახლა უფრო ბნელი საქმე ჰქონდათ შესასრულებელი — ჩაეთრიათ მასში მარიამ სტიუარტი, გამოეტყუებინათ ტყვისათვის (რომელმაც ჯერ არაფერი იცოდა) თანხმობა — consent. უოლსინჰემმა კვლავ უხმო თავის ჯაშუშებს. მსტოვრები გაგზავნა პარიზში მორგანთან, ფილიპე II-ისა და მარიამ სტიუარტის მთავარ აგენტთან, მუდამ მოქმედ კათოლიკურ კონსპირაციულ ცენტრში ბაბინგტონზე და მის თანამზრახველებზე საჩივლელად, თითქოს იგი საკმაოდ გულმოდგინედ არ ჰკიდებდა საქმეს ხელს. ეს პირღია დოყლაპიები სულაც არ ჩქარობენ მკვლელობასო. კარგი იქნებოდა ეს უგერგილოები და სულმდაბლები წაექეზებინათ წმინდა ამოცანის შესასრულებლად. მაგრამ მხოლოდ მარიამ სტიუარტს შეეძლო მიემართა მათთვის აღმაფრთოვანებელი სიტყვებით. საკმარისი იყო ბაბინგტონი დარწმუნებულიყო, რომ მისი სათაყვანებელი დედოფალი იწონებდა ელისაბედის მკვლელობას, რომ მაშინვე სიტყვიდან საქმეზე გადასულიყო. დიადი

[1] *პროვოკატორებს (ფრ.).*

ჩანაფიქრის წარმატებით განსახორციელებლად, როგორც ჯაშუშები ირწმუნებოდნენ, საჭირო იყო მორგანს მარიამ სტიუარტისათვის ჩაეგონებინა, ბაბინგტონისათვის მიეწერა რამდენიმე აღმაფრთოვანებელი სიტყვა.

მორგანი ყოყმანობდა, შეიძლება კაცმა იფიქროს, უეცრად გონება გაუნათდა და დაინახა უოლსინჰემის ცბიერება, მაგრამ ჯაშუშები თავისას ამტკიცებდნენ, თითქოს ისეთ მიმართვაზე ლაპარაკობდნენ, რაც თავისთავად არაფერს ნიშნავდა. ბოლოს მორგანი დათანხმდა, მაგრამ სიფრთხილე რომ გამოეჩინა, თვითონ შეადგინა მარიამ სტიუარტის წერილის ტექსტი ბაბინგტონისადმი, დედოფალმა კი, რომელიც საკუთარი თავივით ენდობოდა თავის აგენტს, სიტყვასიტყვით გადაიწერა ეს ტექსტი.

ამგვარად, უოლსინჰემისათვის აუცილებელი კავშირი მარიამ სტიუარტსა და შეთქმულთა შორის დამყარდა. რამდენიმე ხანს ჯერ ისევ ფრთხილობდნენ, როგორც მორგანი მოუწოდებდა. პირველი წერილი მარიამ სტიუარტისა თავისი მშველელებისადმი მეტად გულთბილად იყო დაწერილი, მაგრამ ისე ზოგადად, რაც არაფერს ავალებდა მათ. უოლსინჰემს კი გაუფრთხილებლობა სჭირდებოდა, აშკარა აღიარება და თანხმობა, consent ჩაფიქრებულ მკვლელობაზე. უოლსინჰემმა თვალი ჩაუკრა და აგენტებმა კვლავ მოჰკიდეს ხელი შეთქმულთა საქმეს. ჰიფორდმა უბედურ ბაბინგტონს შთააგონა, რადგან მარიამ სტიუარტი დიდსულოვნად ენდობოდა მათ, მისი ვალი იყო, ასევე ნდობით გაეცნო მისთვის თავისი გეგმები. იმგვარი საშიში საქმე, როგორიც ელისაბედის მკვლელობა იყო, არ შეიძლებოდა მარიამ სტიუარტის თანხმობის გარეშე ჩაედინათ, მით უმეტეს, რომ იმ ყოჩაღი მეჯაგის წყალობით უშიშრად დაამყარებდნენ კავშირს ტყვესთან, მოილაპარაკებდნენ ყოველგვარ წვრილმანზე და მიიღებდნენ მითითებებს. საცოდავი სულელი ბაბინგტონი, უფრო მამაცი, ვიდრე გონიერი კაცი, მაშინვე გაება ამ მახეში. მან თავის très chère souveraine[1] გრძელი წერილი გაუგზავნა, რომელშიც დაწვრილებით აცნობდა თავის გეგმებს. რატომ არ უნდა სცოდნოდა საწყალს და წინასწარ არ გაეხარა, რომ დადგა მისი გათავისუფლების დრო? ისეთი ნდობით, თითქოს ანგელოსები პირდაპირ მიუტანდნენ მარიამ სტიუარტს მის წერილს, ეჭვიც კი

[1] *ძვირფას ქალბატონს (ფრ.).*

არ შეჰპარვია, რომ აგენტები და ჯაშუშები ყოველ მის სიტყვას იჭერდნენ, უბედურმა სულელმა ვრცელ წერილში შეთქმულების მთელი გეგმა გადაუშალა. შეატყობინა, რომ თვითონ იგი ასე ათი ახალგაზრდა დიდებულითა და ასამდე მათი ხელქვეითით მამაცურად თავს დაესხმოდა ჩარტილს და გაიტაცებდა მას, ასევე ექვსი დიდებული, ყველა საიმედო და ერთგული მეგობარი, კათოლიციზმისათვის თავდადებულნი, ლონდონში თავდასხმას მოაწყობდნენ „უზურპატორზე“. განუსჯელად, დაუფიქრებლად დაწერილ წერილში ლაპარაკი იყო მგზნებარე გადაწყვეტილებაზე და იმაზე, თუ რა საფრთხე ელოდა შეთქმულებს. მღელვარების გარეშე ამ წერილის წაკითხვა შეუძლებელია. მხოლოდ გულგრილ, უსულგულო კაცს შეეძლო დაეტოვებინა ეს წერილი უპასუხოდ, არ მოეწონებინა იგი ლაჩრული სიფრთხილის გამო. მაგრამ უოლსინჰემი სწორედ მარიამ სტიუარტის მგზნებარე გულზე, მის არაერთხელ გამოცდილ განუსჯელობაზე ამყარებდა იმედს. თუ ბაბინგტონის სისხლიანი ჩანაფიქრის წინააღმდეგ არ წავიდოდა, მაშინ უოლსინჰემის დასახული მიზანი მიღწეული იყო. იქნებ მარიამ სტიუარტსაც დაეხსნა ზედმეტი ხლაფორთისაგან — ფარულად მკვლელების მიგზავნისაგან, თვითონვე ჩამოეცვა ყულფი კისერზე.

საბედისწერო წერილი გაგზავნეს. ჯაშუშმა ჰიფორდმა სასწრაფოდ მიიტანა იგი სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც გულმოდგინედ გაშიფრეს და ასლი გადაიღეს. შემდეგ თითქოს არავის ხელიც არ უხლიაო, ჩვეულებრივ გზას გაუყენეს ლუდის კასრით. 10 ივლისს იგი უკვე ხელთ ჰქონდა მარიამ სტიუარტს. არანაკლებ მღელვარებით ელოდა ორი კაცი ლონდონში, უპასუხებდა თუ არა მარიამ სტიუარტი ამ წერილს და რას უპასუხებდა. ესენი სესილი და უოლსინჰემი გახლდნენ, სულისჩამდგმელნი და წამქეზებელნი ამ საიდუმლო მკვლელობისა. დადგა უდიდესი დაძაბულობის წუთები, როცა ანკესზე წამოგებული თევზი ფართხალებს. ამოიყვანენ თევზს თუ გაიქცევა? მართლაც, საშინელი წუთები იყო. გავკიცხავთ თუ, პირიქით, ხოტბას შევასხამთ სესილისა და უოლსინჰემის პოლიტიკურ მეთოდებს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. რაც უნდა მკაცრი ყოფილიყო ეს საშუალებანი, რასაც სესილი მიმართავდა მარიამ სტიუარტის დასაღუპავად, იგი სახელმწიფო მოღვაწე იყო და ასე თუ ისე, განსაზღვრული იდეა ჰქონდა დასახული: მისთვის პოლიტი-

კურად აუცილებელი იყო პროტესტანტიზმის დაუძინებელი მტრის თავიდან მოშორება. რაც შეეხება უოლსინჰემს, ძნელია პოლიციის მინისტრისაგან მოვითხოვოთ, წესიერი მეთოდები გამოიყენოს და არ მიმართოს ჯაშუშებს.

ელისაბედი რაღას აკეთებდა? იცოდა თუ არა მან, ვინც ყოველი გადაწყვეტილებისას შიშით იხედებოდა უკან, შთამომავლობამ არ განმსაჯოსო, რომ მის ზურგს უკან, ეშაფოტზე ასჯერ უფრო საშიში და ცბიერი მანქანა იდგა? იცნობდა თუ არა თავისი ახლობელი მრჩევლების სულმდაბლურ ხრიკებს ან იწონებდა თუ არა? უეჭველად აღიძვრის კითხვა: რა როლს თამაშობდა ინგლისის დედოფალი სულმდაბლურ შეთქმულებაში თავისი მეტოქის წინააღმდეგ?

პასუხი თავისთავად ნათელია: ცბიერულს. მართალია, დამამტკიცებელი საბუთები გაგვაჩნია, რომ ელისაბედმა დაწვრილებით იცოდა უოლსინჰემის მიერ მოწყობილი ხრიკები, ითმენდა, იწონებდა და იქნებ მხარს უჭერდა კიდეც სესილისა და უოლსინჰემის პროვოკატორულ ქმედებებს, ისტორიის სამსჯავრო არასოდეს აპატიებს, რომ იგი ხედავდა ამას და ხელსაც კი უწყობდა, რომ მახეში გაებათ მასზე მინდობილი ტყვე. და მაინც — ეს კიდევ უნდა გავიმეოროთ — ელისაბედი არ იქნებოდა ელისაბედი, რომ მისი საქციელი ყოველთვის პირდაპირი ყოფილიყო. ყოველგვარ ტყუილს იტყოდა, ყოველნაირ ღალატს ჩაიდენდა. მაგრამ სინდისი გააჩნდა და ყოველთვის არ იყო ამორალური, ყოველთვის არ კარგავდა დიდსულოვნებას. გადამწყვეტ წუთებში მუდამ კეთილშობილებას იჩენდა. ამჯერადაც სინდისი სტანჯავდა, რომ ამგვარ ბინძურ მეთოდებს იყენებდა. სწორედ იმ დროს, როცა მისი თანაშემწენი მარიამ სტიუარტს მახეში აბამდნენ, მან მოულოდნელად განწირული ტყვისთვის სასარგებლო ნაბიჯი გადადგა. მოიწვია საფრანგეთის ელჩი, რომელიც ხელმძღვანელობდა წერილების გაგზავნას ჩარტლიდან და ისევ უკან მიღებას და ეჭვიც კი არ ჰქონდა, რომ უოლსინჰემის დაქირავებული დამქაშები უწევდნენ სამსახურს. „ბატონო ელჩო, — მიმართა დედოფალმა მიუკიბ-მოუკიბავად, — თქვენ ახლო ურთიერთობა გაქვთ შოტლანდიის დედოფალთან, მაგრამ დამიჯერეთ, მე ყველაფერი ვიცი, რაც ხდება ჩემს სამეფოში. მე თვითონ ტყვე ვიყავი, როცა ჩემი და ტახტზე იჯდა და კარგად ვიცი, რა ეშმაკობას ხმარობენ ტყვეები, რათა მოისყიდონ მსახურები და ცდი-

ლობენ საიდუმლოდ კავშირი დაამყარონ გარე სამყაროსთან“. ამ სიტყვებით ელისაბედმა თითქოს სინდისი დაიმშვიდა. ნათლად და გონივრულად გააფრთხილა საფრანგეთის ელჩი და მარიამ სტიუარტი. მან თქვა, რისი თქმაც შეეძლო ისე, რომ თავისი მსახურები არ გაეცა. თუ მარიამ სტიუარტი ახლაც არ შეწყვეტდა ურთიერთობას შეთქმულებთან, ყოველ შემთხვევაში, ელისაბედს შეეძლო, მშვიდად დაებანა ხელები: ბოლო წუთებშიც გავაფრთხილეო.

მაგრამ არც მარიამ სტიუარტი იქნებოდა მარიამ სტიუარტი, კეთილი რჩევა დაეჯერებინა, რომ ოდესმე ფრთხილად და ანგარიშიანად მოქცეულიყო. თუმცა ბაბინგტონის წერილის მიღებას თავდაპირველად სულ ერთი სტრიქონით ადასტურებდა, იმედგაცრუებული სესილის ელჩის სიტყვებით, მას ჯერ კიდევ არ გამოემჟღავნებინა, თავად როგორ უყურებდა მკვლელობის გეგმას. იგი არ ჩქარობდა, ყოყმანობდა, ვერ ბედავდა მინდობოდა უცნობ ხალხს, თან მდივანი ნაუ დაჟინებით ურჩევდა თავი შეეკავებინა ამგვარ საშიშ თემაზე წერილობითი საბუთის მიცემაზე. მაგრამ ეს გეგმა იმდენს აღუთქვამდა, ეს ძახილი ისეთი მაცდუნებელი იყო, რომ მარიამ სტიუარტი კვლავ გაიტაცა დიპლომატიურმა თამაშმა და ინტრიგებმა. Elle s’est laissee aller a l’accepter[1], — შენიშნა აღელვებულმა ნაუმ. შოტლანდიის დედოფალი სამი დღე ჩაკეტილი იჯდა თავის მდივნებთან — ნაუსა და კერლისთან ერთად კაბინეტში და დაწვრილებით, თანამიმდევრობით პასუხობდა ყოველ წინადადებას. 17 ივნისს, რამდენიმე დღის შემდეგ ბაბინგტონის წერილის მიღებიდან, პასუხიც მზად იყო და გაგზავნეს, ჩვეულებისამებრ, ლუდის კასრით.

მაგრამ ამჯერად საბედისწერო წერილი დიდად შორს არ წასულა. არც ჩვეულებრივი გზით მისულა ლონდონში, სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც შიფრავდნენ მარიამ სტიუარტის საიდუმლო მიმოწერას. მოუთმენლობისაგან, რომ გაეგოთ, რა შედეგი მოჰყვა მათ ხრიკებს, სესილმა და უოლსინჰემმა თავიანთი მშიფრავი ფელიპესი პირდაპირ ჩარტლიში გაგზავნეს, რომ ჯერ ისევ მელანშეუმშრალი წერილიდან გაეგოთ პასუხი. ღვთის განგებით, თავისი ეტლით სასეირნოდ გამოსული მარიამ სტიუარტი მოულოდნელად შეხვდა სიკვდილის ამ მაცნეს. მაშინვე თვალში ეცა უცნობი, მაგრამ რადგან ეს უსახური, სახენაყვავილარი ყმაწვილი (ასე აღწერს თავის ერთ-

[1] *იგი მზადაა თანხმობა მისცეს (ფრ.).*

ერთ წერილში) წყნარად, ღიმილით მიესალმა, — ეტყობა, ვერ შეძლო ბოროტი განზრახვის დამალვა, — იმედით თავბრუ დახვეულმა მარიამ სტიუარტმა იფიქრა, ეს კაცი აქ ალბათ იმიტომ მოვიდა, რომ მისი მეგობრების დავალებით, გაქცევის მოსაწყობად ადგილი დაზვეროსო. სინამდვილეში კი ფელიპესი აქ უფრო საშიში დაზვერვისთვის იყო მოსული. ამოიღეს თუ არა წერილი კასრიდან, ხარბად დააცხრა. თევზი დაჭერილი იყო, ახლა საჩქაროდ უნდა გამოეშიგნათ. სიტყვასიტყვით გაარჩია წერილი. ჯერ შესავალი, ზოგადი ფრაზები იყო. მარიამ სტიუარტი მადლობას უხდიდა ბაბინგტონს და როცა ჩარტლიზე მომავალ თავდასხმას ეხებოდა, სამ წინადადებას აყენებდა. კაცმა რომ თქვას, ურიგო ლუკმა როდი ჩაიგდო ჯაშუშმა, მაგრამ ეს მაინც არ იყო მთავარი. ფელიპეს ბოროტი სიხარულისგან გული აუჩქროლდა. მივიდა იმ ადგილამდე, სადაც გარკვევით ამოიკითხა consent, — სწორედ ის თანხმობა, რის გამოძალვასაც რამდენი ხანია ცდილობდა უოლსინჰემი — მარიამ სტიუარტის თანხმობა ელისაბედის მკვლელობაზე. ბაბინგტონის შემონათვალზე, რომ ექვსი ყაჩაღი დიდებული კისრულობდა ელისაბედის მოკვლას თავისივე სასახლეში, მარიამ სტიუარტი მშვიდად, საქმიანად პასუხობდა: „ის ექვსი დიდებული გაგზავნეთ ამ საქმეზე და როგორც კი ეს მოხდება, მაშინვე აქედან გამიყვანეთ... სანამ მკვლელობის ამბავი მცველების ყურამდე მიაღწევდეს“. სხვა რაღა უნდოდათ. ამით მარიამ სტიუარტმა გამოამჟღავნა her very heart, თავისი ჭეშმარიტი დამოკიდებულება, მხარდაჭერა მკვლელობისადმი. ამგვარად, უოლსინჰემის პოლიტიკურმა შეთქმულებამ მიზანს მიაღწია. წამომწყებნი და მათი ხელისშემწყობნი, ბატონები და მსახურები აღტაცებულნი ართმევდნენ ერთმანეთს ჭუჭყიან ხელებს, რომელთაც მალე სისხლითაც შეიღებავდნენ. „ახლა საკმაოდ გაქვთ მისი წერილები“, — აღტაცებით სწერდა თავის ბატონს, უოლსინჰემს მისი კრეატურა[1] ფელიპესი. დიახ, ამას პაულეტიც წინასწარ გრძნობდა, რომ მსხვერპლის დასჯა მალე გაათავისუფლებდა მეციხოვნის მოვალეობისგან და ლოცვით აღაპყრობდა ხელებს: „ღმერთმა დააფასა ჩემი შრომა, — წერდა იგი, — მიხარია, რომ ასე დამაჯილდოვა ერთგული სამსახურისთვის“.

---

[1] *კრეატურა (ლათ.) — პირი, რომელიც დაწინაურებულია არა თავისი პირადი ღირსება-დამსახურების მიხედვით, არამედ გავლენიანი პირის, გავლენიანი წრეების წყალობით.*

ახლა, როცა სამოთხის ჩიტი მახეში გააბეს, უოლსინჰემს არაფერი ჰქონდა დასაყოვნებელი. შეასრულა თავისი გეგმა, სულმდაბლური საქმე შეთითხნა, მაგრამ ისე დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რომ გადაწყვიტა, სიხარულის განსაცდელად ერთ-ორ დღეს გასთამაშებოდა თავის მსხვერპლს. მას ხელი არ შეუშლია ბაბინგტონისათვის, რომ მარიამ სტიუარტის წერილი მიეღო (ასლი ხომ გადაიღეს). მისი აზრით, საქმეს არ ავნებდა, რომ ბაბინგტონის პასუხიც ხელთ ჰქონოდათ, ეს შეავსებდა მის დოსიეს. ამასობაში ბაბინგტონი გუმანით მიხვდა, რომ ვიღაცის ავმა თვალმა ჩაიხედა მის საიდუმლოში. მამაცი ყმაწვილი უცბად სასოწარკვეთილების შიშმა შეიპყრო, რადგან ყველაზე დიდ ვაჟკაცსაც კი ღალატობს ნერვები, როცა გრძნობს, საფრთხე ელის. დევნილ ვირთხასავით აწყდებოდა აქეთ-იქით, ცხენი დაიჭირა და პროვინციაში გაემგზავრა, გაქცევას აპირებდა, მერე უცბად დაბრუნდა ლონდონში და გამოცხადდა (უნებურად დოსტოევსკი მოგაგონდებოდათ) სწორედ იმ კაცთან, რომელსაც მისი ბედი საათამაშოდ გაეხადა — უოლსინჰემთან. აუხსნელი, მაგრამ გასაგები იყო ჭკუიდან გადასული კაცის გამოცხადება უბოროტეს მტერთან. ეტყობოდა, სურდა გაეგო, ჰქონდათ თუ არა მასზე ეჭვი. მაგრამ პოლიციის ცივი, გულგრილი მინისტრი თავის თავს არ უღალატებდა. მშვიდად გაუშვა ლტოლვილი ხელიდან. ერჩივნა, სულელი კიდევ გაბმულიყო მახეში. მაგრამ ბაბინგტონი ხედავდა სიბნელიდან მისკენ გამოწვდილ ხელებს. საჩქაროდ მისწერა მეგობარს წერილი და გული რომ გაემაგრებინა, ნამდვილი გმირული, რომაული სიტყვები შეარჩია: „უკვე გაჩაღებულია ცეცხლი, ქურა, სადაც ჩვენს რწმენას გამოცდიან“. გამოსამშვიდობებელ წერილში ამშვიდებდა მარიამ სტიუარტს, სთხოვდა, ვაჟკაცობას არ ეღალატა. მაგრამ უოლსინჰემს საკმაოდ ჰქონდა მამხილებელი საბუთები და მაგრად ჩაკეტა მახის კარი. ერთ-ერთი შეთქმული დააპატიმრეს. ბაბინგტონმა ეს რომ გაიგო, მიხვდა, ყველაფერი დაკარგული იყო და თავის მეგობარს სევეჯს ურჩია, უკანასკნელი უჭკუო ნაბიჯი გადაედგა — მაშინვე გაქცეულიყო სასახლეში და ელისაბედი მოეკლა. მაგრამ უკვე გვიან იყო, უოლსინჰემის ჯაშუშები კვალდაკვალ მისდევდნენ და ლტოლვილებმა თავგანწირული ნაბიჯი გადადგეს, როცა გაიქცნენ, მაგრამ სად? ყველა გზაზე საგუშაგო იდგა, ყველა ნავსადგურში დაზვერვა გაეძლიერე-

ბინათ, მათ კი არც ფული ჰქონდათ და არც საჭმელი. ათი დღე იმალებოდნენ სენტ-ჯონის ჭალაში (ახლა იგი ლონდონის გულშია, მაშინ კი განაპირა უბანი იყო), ათი დღე გაატარეს საშინელ ტანჯვასა და სასოწარკვეთილებაში, შიმშილისგან გული ელეოდათ. ბოლოს ძალღონეგამოცლილნი მეგობარს მიადგნენ კარს; აქ უარი არ უთხრეს ლუკმაპურზე (ეს უკანასკნელი ზიარება იყო), მაგრამ პოლიციელებმა მიუსწრეს, შეიპყრეს და ბორკილებდადებულნი მთელ ქალაქში ჩაატარეს. მამაცი ჭაბუკები ტაუერის ბნელ კაზემატში[1] ელოდნენ სატანჯველსა და სასჯელს, ლონდონს კი გამარჯვების მაუწყებელი ზარების გუგუნი აყრუებდა. კოცონებით, სროლით, მხიარული პროცესიებით ეგებებოდნენ ლონდონელები ელისაბედის გადარჩენას, შეთქმულების გამომჟღავნებასა და მარიამ სტიუარტის დაღუპვას.

ამ დროს ჩარტლის ციხე-კოშკის ტყვემ არაფერი იცოდა და მრავალი წლის ტანჯვის შემდეგ კვლავ განიცდიდა მღელვარე სიხარულის წუთებს. მთელი არსებით დაძაბულიყო. ყოველ წუთს მოელოდა, მხედარი ცხენს მოაჭენებდა და შეატყობინებდა, რომ dessing effectuè[2] — დღეს თუ არა ხვალ ტყვეს ლონდონში დიდებულ ციხე-კოშკში იხმობდნენ. ოცნებით უკვე წარმოიდგინა, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი დიდებულები, მთელი ქალაქი როგორ ელოდა ჭიშკართან, საზეიმოდ გუგუნებდა ზარები (უბედურმა რა იცოდა, რომ ლონდონის სამრეკლოზე მართლაც გუგუნებდა ზარები, ელისაბედის გადარჩენის მაუწყებელი), ერთი-ორი დღე და ყველაფერი დასრულდებოდა. ინგლისი და შოტლანდია გაერთიანდებოდა მისი სკიპტრის ქვეშ, კათოლიკური სარწმუნოება მოეფინებოდა მთელ მსოფლიოს.

ვერც ერთი ექიმი დაღლილ სხეულს, დაცემულ სხეულს ისეთ მაცოცხლებელ წამალს ვერ გამოუწერს, როგორიც იმედია. მას შემდეგ, რაც მარიამ სტიუარტმა, წინანდებურად დამჯერემ და მიმნდობმა თავი გამარჯვების ზღურბლთან წარმოიდგინა, მთლად გამოიცვალა. სიმხნევე, მეორე ახალგაზრდობა დაუბრუნდა. გაქრა სისუსტე, ბოლო წლებში რომ განიცდიდა, ნახევარი საათის გასეირნების შემდეგ გვერდში ჩხვლეტას რომ გრძნობდა, დაღლილობა და

[1] *კაზემატი (ფრ.) — თავდაცვითი ნაგებობა.*
[2] *გეგმა სისრულეშია მოყვანილი (ფრ.).*

რევმატიული ტკივილები. კვლავ მარდად ახტებოდა უნაგირს. თვითონვე აკვირვებდა ეს მოულოდნელი გამოცოცხლება. იგი მორგანს სწერდა (ამ დროს შეთქმულება უკვე გამომჟღავნებული იყო): „მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ მთლად უბედური არ გამხადა. ახლაც შემიძლია ირემი არბალეტით მოვკლა. ცხენით მივსდიო მეძებრებს“.

ამიტომ მისთვის მოულოდნელი, სასიხარულო ამბავი იყო, როცა იმ უცხვირპირო ამიას პაულეტმა მიიწვია. ეს რეგვენი პურიტანელი ვერც კი ხვდება მისი ჯალათური კარიერა რა მალე დასრულდებაო, — ფიქრობდა იგი. 8 აგვისტოს მეზობელ ციხე-კოშკ ტიქსოლში გაემგზავრა სანადიროდ. თან ცხენოსანი ამალა ახლდა: ჰოფმარშალი, ორივე მდივანი, ექიმი. ყველანი ცხენებზე შესხდნენ და ამიას პაულეტიც რამდენიმე ოფიცრის თანხლებით შეუერთდა ამ მხიარულ კამპანიას (დღეს პაულეტი რაღაც უჩვეულოდ თავაზიანი და გულღია ეჩვენებოდა). მშვენიერი დილა იყო, თბილი და კაშკაშა, მინდვრებზე ნორჩი ბალახი ბიბინებდა. მარიამ სტიუარტმა ცხენს დეზი ჰკრა. ქარის ზუზუნი და ეს ცხენის ჭენება სიცოცხლესა და თავისუფლებას განაცდევინებდა. რამდენი თვეა, რამდენი კვირა, ახალგაზრდად არ უგრძნია თავი. ამ ნაღვლიან წლებში არასოდეს ყოფილა ასეთი ახალგაზრდა და მხნე, როგორც ამ მშვენიერ დილას. ყველაფერი ლამაზი და მსუბუქი ეჩვენებოდა: ნეტავი მას, ვის გულსაც იმედი ფრთას შეასხამს.

გაქაფული ჭენების შემდეგ ტიქსოლის პარკთან ცხენები ჩორთზე მიუშვეს. მარიამ სტიუარტს უცბად საშინლად აუძგერდა გული. ციხის ჭიშკართან მხედრების დიდი ჯგუფი ელოდებოდათ. ო, ნეტარო დილავ! ეს ბაბინგტონი და მისი ამხანაგები არიან? ნუთუ წერილის საიდუმლო აღთქმა უფრო ადრე აღსრულდა? მაგრამ დახეთ საოცრებას! მომლოდინე მხედართაგან მხოლოდ ერთი გამოეყო დანარჩენებს, ნელა, უჩვეულოდ საზეიმო ნაბიჯებით მიუახლოვდა, ქუდი მოიხადა და მუხლი მოიყარა. ეს სერ თომას ჯორჯი გახლდათ. მარიამ სტიუარტმა უცბად იგრძნო, გული, ლამის ყელში რომ ამოსვლოდა, ახლა სადღაც მიიპარებოდა. სერ თომას ჯორჯმა მოკლედ შეატყობინა, რომ ბაბინგტონის შეთქმულება გამომჟღავნდა და მას ნაბრძანები ჰქონდა, დაეპატიმრებინა მისი ორივე მდივანი.

მარიამ სტიუარტმა ხმა ვერ ამოიღო. ყოველ „ჰოს“, ყოველ „არას“, ყოველ შეკითხვას და ჩივილს შეეძლო იგი გაეცა. თუმცა

ჯერ ვერ გრძნობდა მთელ საფრთხეს, მაგრამ საშინელმა ეჭვმა შეიპყრო, როცა დაინახა, ამიას პაულეტი სულაც არ აპირებდა მის წაყვანას ჩარტლიში. მხოლოდ ახლა მიხვდა, რას ნიშნავდა ეს სანადიროდ მიპატიჟება: სახლიდან გამოიტყუეს, რომ თავისუფლად გაეჩხრიკათ იქაურობა. რაღა თქმა უნდა, მისი ქაღალდები გადაქექეს და გადაჩხრიკეს, წაიღეს მთელი მისი დიპლომატიური კანცელარია, რომელსაც იგი ასე აშკარად ხელმძღვანელობდა, ისე უშიშრად და მტკიცე რწმენით, თითქოს ისევ მბრძანებელი იყო და არა ტყვე უცხო ქვეყანაში. თუმცა მას საკმაო, მეტად საკმაო დრო ჰქონდა ეფიქრა თავის შეცდომებზე, რადგან ჩვიდმეტი დღე ამყოფეს ტიქსოლიში, სადაც არც ერთი სტრიქონის არც დაწერა შეეძლო და არც მიღება. იცოდა, მთელი მისი საიდუმლო გამომჟღავნებული იყო, მისი იმედები ფეხქვეშ გათელეს. კვლავ ერთი საფეხურით დაბლა დაეშვა. ახლა ტყვე კი აღარ იყო, მსჯავრადადებულის სკამზე იჯდა.

ჩვიდმეტი დღის შემდეგ, ჩარტლიში რომ დაბრუნდა, მარიამ სტიუარტს ვეღარც კი იცნობდით. ეს ის ქალი აღარ იყო, გაქაფულ ცხენს რომ მიაქროლებდა თავის ერთგულთა წინ. ნელ-ნელა, მდუმარედ, მკაცრი მცველებითა და მტრებით გარშემორტყმული შემოვიდა ციხე-კოშკის ჭიშკარში, დაღლილი, დაძაბუნებული, დაბერებული, სასოწარკვეთილი. ერთიანად აღელდა, როცა დაინახა, რომ ყველა მისი კარადა და სკივრი ღია იყო. ქაღალდები და წერილები უკვალოდ გაექროთ. სულაც არ გაჰკვირვებია, რომ რამდენიმე ერთგული მსახური სასოწარკვეთილების ცრემლებით შეხვდა. მან იცოდა, ყველაფერი დაკარგული იყო. უცბად პატარა ეპიზოდმა გაალამაზა პირველი წუთები უგონობისა და უიმედობისა. ქვემოთ, სამოახლოში, მშობიარობის ტკივილებისგან ქალი კვნესოდა: ეს ცოლი იყო მისი ერთგული მდივნის კერლისა, რომელიც ლონდონში წაიყვანეს, რომ მოწმედ გამოსულიყო თავისი ქალბატონის დასაღუპავად. საწყალი ქალი მარტო იწვა, არც ექიმი ჰყავდა ახლოს და არც მღვდელი. დედოფალი მეგობრული თანაგრძნობით განიმსჭვალა უბედური ქალისადმი და ქვემოთ გაეშურა, რომ ტანჯულისათვის დახმარება აღმოეჩინა. რადგან მღვდელი არ ჰყავდათ, თვითონ შეასრულა ბავშვის მონათვლის მღვდელმსახურების წესი და ქრისტიანულად გზა დაულოცა ამქვეყნად.

მარიამ სტიუარტმა რამდენიმე დღე გაატარა კიდევ მისთვის საძულველ ციხე-კოშკში, მერე ბრძანება მოვიდა, სხვა ციხეში გადაეყვანათ, სადაც უფრო საიმედოდ, უფრო ყრუდ გამოკეტავდნენ. ფოტერინგეი ეწოდებოდა ამ ციხეს. მრავალ ციხე-კოშკთაგან, სადაც მარიამ სტიუარტი ყოფილა, როგორც სტუმარი და ტყვე, მეფური დიდებითაც კი დამცირებული, ეს ციხე-კოშკი უკანასკნელი იყო. მის სიმშვიდეს ბოლო ეღებოდა.

მაგრამ ეს დაუსრულებელი ტრაგედია იოლ სატანჯველად მოგეჩვენებათ იმ საშინელ წამებასთან შედარებით, რისთვისაც იმ დღეებში განწირულნი იყვნენ ახალგაზრდა დიდებულები, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს მარიამ სტიუარტს. ასე ხდება ხოლმე, მსოფლიო ისტორია იწერება უსამართლო და ასოციალური პოზიციებიდან, რადგან თითქმის ყოველთვის გვიჩვენებს მბრძანებელთა ტანჯვას, ზეიმს, ტრაგედიას ძლიერთა ამა ქვეყნისათა, გულგრილად უვლის გვერდს იმათ, ვინც წყვდიადში იყინება, თითქოს სატანჯველი და წამება ერთნაირად არ ფლეთდეს ყველა ცოცხალ სხეულს. ვინ მოიგონებს, ვინ დაასახელებს ბაბინგტონს და მისი ცხრა ამხანაგის სახელებს, მაშინ როცა შოტლანდიის დედოფლის სახელი მარად უკვდავია მრავალ პიესაში, წიგნში, სურათებში. სამი საათის განმავლობაში მათ იმაზე მეტი ფიზიკური სატანჯველი გამოცადეს, ვიდრე მარიამ სტიუარტმა ამ უბედური ოცი წლის განმავლობაში გამოიარა. კანონის მიხედვით თუმცა ჩამოხრჩობა ელოდათ, მაგრამ ეს საკმაოდ არ მიიჩნიეს. სესილთან და უოლსინჰემთან ერთად თვით ელისაბედმა გადაწყვიტა, რომ (ეს კიდევ ერთი შავი ლაქაა მის სინდისზე) ბაბინგტონისა და მისი ამხანაგების დასჯა განსაკუთრებული სიმკაცრით, სამაგალითოდ აღესრულებინათ. ამათგან ექვსი ჭაბუკი, ღრმად მორწმუნენი — მათ შორის ორი ყმაწვილი, დამნაშავენი მხოლოდ იმაში, რომ თავიანთ მეგობარ ბაბინგტონს ორი-სამი ნატეხი პური გამოუტანეს, როცა ლტოლვილმა მათხოვარივით დაუკაკუნა ჭიშკარზე, — პირველად, კანონის დასაცავად, ერთი წუთით სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს და შემდეგ ცოცხლები გამოხსნეს ყულფიდან, რომ იმ ბარბაროსული საუკუნის მთელი ჯოჯოხეთური სიმკაცრე ამ მოცახცახე, ენით გამოუთქმელად ტანჯულ სხეულებზე დანთხეულიყო. ჯალათები საოცარი მეთოდებით შეუდგნენ ამაზრზენ საქმეს. ეს ყასბები ისე აუჩქარებლად, ისე მკაცრად, ნაკუწ-ნაკუწ ფლეთდნენ თავი-

ანთ მსხვერპლთა სხეულებს, რომ ლონდონის მდაბიო ნაძირლებსაც კი ნერვები დააწყდათ და ხელისუფლება მეორე დღისთვის იძულებული გახდა, სხვათა ტანჯვა შეემცირებინა. კვლავ საშინელებისა და სისხლის ტალღამ იფეთქა ეშაფოტზე. ყველაფერი ეს იმ ქალისთვის მოხდა, რომელსაც საბედისწერო, მაგიური ძალა დაჰყვა, დაღუპულიყო და თან გაეყოლებინა ახალგაზრდათა სიცოცხლე. კიდევ ერთხელ, მაგრამ უკანასკნელად! სიკვდილის დიადი როკვა, შატელიარით დაწყებული, დასასრულს უახლოვდებოდა. აღარავინ გამოჩნდებოდა, სოცოცხლე შეეწირა მისი ოცნებისათვის ძალაუფლებასა და დიდებაზე. ამჯერად თვითონ იქცა მსხვერპლად.

ელისაბედი ელისაბედის ფინაალმდეგ

1586 წლის აგვისტოდან 1587 წლის თებერვლამდე

ამგვარად, მიზანს მიაღწიეს: მარიამ სტიუარტი გააბეს მახეში, „თანხმობა“ მისცა, დაარღვია კანონი. ელისაბედს არაფერი ჰქონდა სადარდელი. მის მაგივრად წყვეტდა. მის მაგივრად მოქმედებდა მართლმსაჯულება. ბრძოლა მეოთხედ საუკუნეს რომ გრძელდებოდა, დასასრულს უახლოვდებოდა. ელისაბედმა გაიმარჯვა, მას შეეძლო ედღესასწაულა თავის ხალხთან ერთად, მხიარული ყიჟინით რომ მოსდებოდა ქუჩებს და ზეიმობდა თავისი მონარქის სასიკვდილო საფრთხისაგან დახსნას და პროტესტანტიზმის გამარჯვებას. მაგრამ ზეიმს იდუმალი ნაღველი ჩრდილავდა. სწორედ ახლა, როცა ელისაბედს ისღა დარჩენოდა, დაწყებული საქმე დაესრულებინა, ხელი აუცახცახდა. ათასგზის ადვილი იყო გაუფრთხილებელი მსხვერპლის მახეში გაბმა, ვიდრე ამ უმწეო და მახეში გაბმული ქალის მოკვლა. ელისაბედს რომ მოესურვებინა, ძალდატანებით მოეშორებინა თავიდან უსიამოვნო ტყვე, ასჯერ ჰქონდა შემთხვევა, ეს შეუმჩნევლად გაეკეთებინა. აი, უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც პარლამენტმა მოითხოვა, მარიამ სტიუარტი ეშაფოტზე აეყვანათ. სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა ჯონ ნოქსმა კი ელისაბედს დაუბარა: „ხე ძირშივე რომ არ მოჭრა, კვლავ გაუშვებს ფესვებს, თან უფრო ჩქარა, ვიდრე ჩვენ გვგონია“. ელისაბედი მუდამ ასე პასუხობდა: „ვერ მოვკლავ ქორისგან დევნილ ჩიტს“. მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. შეწყალება ან სიკვდილი — უეჭველად უნდა მიეღო ეს გადაწყვეტილება, რასაც კარგა ხანია თავს არიდებდა. ელისაბედს ეშინოდა, იცოდა, რაც მოჰყვებოდა მარიამ სტიუარტისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას. ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ ამ

გადაწყვეტილების რევოლუციურ მნიშვნელობას, რაც ძირფესვიანად შეარყევდა იმ დროისათვის ჯერ ისევ ურყევ იერარქიულ სამყაროს. ღვთისაგან რჩეული ეშაფოტზე რომ გაეგზავნა, ეს იმას ნიშნავდა, წინანდებურად მორჩილი ევროპის ხალხებისათვის დაენახვებინა, რომ მონარქის გასამართლება და დასჯაც შეიძლებოდა, გაეფანტა მითი მისი არსების ხელშეუხებლობისა. ელისაბედის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული არა მარტო მოკვდავის ბედი, იდეისაც. ასეული წლის წინ შეიქმნა აქ პრეცედენტი— ყველა ამქვეყნიურ მეფეთა გაფრთხილება, რომ მეფის გვირგვინოსანი თავი ერთხელ უკვე დაგორდა ეშაფოტზე.

კარლოს I-ის, სტიუარტების შვილიშვილის შვილის დასჯა შეუძლებელი იქნებოდა ამ მაგალითის გარეშე, ისევე, როგორც შეუძლებელი გახდებოდა ლუდოვიკო XVI-სა და მარიამ ანტუანეტას ის ხვედრი რგებოდათ კარლოს I-ის დაუსჯელად. შორსგამჭვრეტი, ადამიანთა საქმეებში ღრმა პასუხისმგებლობით გამსჭვალული ელისაბედი მიხვდა, რა სასტიკი იყო მისი გადაწყვეტილება, ყოყმანობდა, ცახცახებდა, თავს არიდებდა, აყოვნებდა, დღითი დღე დებდა საქმეს. კვლავ — ახლა უფრო გააფთრებით, ვიდრე წინათ — ებრძოდა ერთმანეთს გრძნობა და გონება. ელისაბედი ედავებოდა ელისაბედს. საკუთარ სინდისთან მებრძოლი ადამიანის შეხედვა კი განსაკუთრებით გვაძრწუნებს.

ამ გაორებით, თავის თავთან შეუთანხმებლობით ტანჯული ელისაბედი ცდილობდა, უკანასკნელად თავი აერიდებინა გარდაუვალობისათვის. მრავალჯერ გადაიფიქრა გადაწყვეტილება და კვლავ თავში უტრიალებდა. ამ უკანასკნელ წუთებში იგი კვლავ ცდილობდა, მოეშორებინა პასუხისმგებლობა და მეტოქისათვის დაეკისრებინა. მან ტყვეს წერილი მისწერა (რასაც ჩვენამდე არ მოუღწევია) და შესთავაზა, ეზიარებინა დანაშაული, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში, ამით დაემორჩილებოდა მის პირად ნებას და არა საჯარო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ელისაბედის წინადადება მართლაც რომ ერთადერთი გამოსავალი იყო. მხოლოდ ამას შეეძლო ეხსნა მარიამ სტიუარტი დამამცირებელი საჯარო დაკითხვისაგან, სასამართლოს განაჩენისა და სიკვდილით დასჯისაგან. ელისაბედისათვის ეს ყველაზე სანდო და საიმედო გარანტია იქნებოდა. როცა ხელთ იგდებდა მოწინააღმდე-

გის მიერ დაწერილ აღიარებას, შეეძლო უსიამოვნო პრეტენდენტი თავისებურ მორალურ ტყვეობაში ჰყოლოდა, მარიამ სტიუარტს კი მშვიდად ეცხოვრა სადმე უკვალოდ, განიარაღებულს თავისი აღიარებით, ელისაბედი დიდების მწვერვალზე ასულიყო და ებრწყინა. ამით საბოლოოდ განაწილდებოდა როლები, ელისაბედი და მარიამ სტიუარტი ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის პირდაპირ კი არ იქნებოდნენ, არა, დამნაშავე მიწაზე დაემხობოდა თავისი მწყალობლის, თავისი მხსნელის წინაშე.

მაგრამ მარიამ სტიუარტს აღარ სჭირდებოდა ხსნა. სიამაყე ყოველთვის მისი ერთგული დასაყრდენი იყო. იგი უმალ ჯალათის კუნძთან მოიყრიდა მუხლს, ვიდრე მისი მწყალობლის; ერჩივნა ეცრუა, ვიდრე დამორჩილებოდა. დამცირებას სიკვდილს ამჯობინებდა. მარიამ სტიუარტი ამაყად დუმდა წინადადებაზე, რომლითაც მისი დახსნაც სურდათ და დამცირებაც. იცოდა, ბრძოლა წააგო, ვით მბრძანებელმა. ისღა დარჩენოდა ამქვეყნად, დაემტკიცებინა თავისი მეტოქის უსამართლობა. რახან ცოცხალი ზიანს ვეღარ მიაყენებდა, უკანასკნელი იარაღი იხმარა, რომ მთელი მსოფლიოსათვის დაენახვებინა ტირანი ელისაბედი, თავისი სახელოვანი აღსასრულით ლაფი დაესხა მისთვის.

მარიამ სტიუარტმა ხელი ჰკრა გამოწვდილ ხელს. ელისაბედს ძალას ატანდნენ სესილი და უოლსინჰემი და იძულებული იყო იმ გზას დასდგომოდა, რომელსაც სინამდვილეში ვერ იტანდა. მომავალი სამსჯავროსთვის კანონიერების იერი რომ მიეცათ, ჯერ სამეფო საბჭოს იურისტები მიიწვიეს, მათ კი ყოველთვის ისეთი გადაწყვეტილება გამოჰქონდათ, რაც გვირგვინოსანს აამებდა. გულმოდგინედ ეძებდნენ ისტორიაში პრეცედენტებს — იყო თუ არა შემთხვევა, როცა მეფეს ჩვეულებრივი სასამართლო სჯიდა. საბრალდებო აქტი მეტისმეტად ცხადად რომ არ შესწინააღმდეგებოდა ტრადიციას და რაიმე ახალი არ ყოფილიყო, ძლივძლივობით იპოვეს რამდენიმე საცოდავი მაგალითი: კაიეტანი, კეისრის დროის უმნიშვნელო ტეტრარქი, ასევე ნაკლებ ცნობილი ლიცინიუსი, ცოლისძმა კონსტანტინესი და ბოლოს კონრად ფონ ჰოჰენშტაუფენი, კიდევ იოანა ნეაპოლიტანელი — აი, ყველა ის დიდებული, რომელნიც შემონახული საბუთების მიხედვით, ოდესღაც სიკვდილით დაუსჯიათ სასამართლოს განაჩენით. თავიანთი პირფერული მაამებლობით

იურისტები კიდევ უფრო შორს წავიდნენ: რა საჭიროა მარიამ სტიუარტისათვის ქვეყნის უმაღლესი სასამართლო შევაწუხოთო. რადგან შოტლანდიის დედოფალმა დანაშაული სტიფორდშირში ჩაიდინა, მათი ავტორიტეტული მსჯელობით, საკმარისი იყო მსჯავრდადებული საგრაფოს ჩვეულებრივი სამოქალაქო სამსჯავროს წინაშე წარმდგარიყო. მაგრამ ამგვარ დემოკრატიულ საფუძველზე სასამართლო წარმოება ვერაფერი ნუგეში იყო ელისაბედისთვის. მისთვის მთავარი ფორმალობა იყო. უნდოდა, რომ ტიუდორების შვილიშვილი და სტიუარტების ქალიშვილი დიდებით მოსილი დაესაჯათ სიკვდილით, როგორც დედოფალს შეჰფეროდა, ყოველგვარი რეგალიებითა და ღირსებით, შესაფერისი დიდებითა და პატივით, დედოფლისათვის შესაფერისი შემკულობითა და მოწიწებით და არა ვიღაც ოტროველებისა და მედუქნეების განაჩენით. მეტისმეტად გულმოდგინე მოსამართლეებს მან განრისხებით მიმართა: „ჭეშმარიტად დიდებული სამსჯავრო იქნებოდა პრინცესასათვის! ამგვარი სულელური ლაყბობა რომ შეწყდეს, როგორიცაა თორმეტი მოქალაქის მიერ დედოფლისათვის განაჩენის გამოტანა, ვფიქრობ, საჭიროა ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე განსახილველად გადავცეთ წარჩინებულ დიდებულთ და ჩვენს სამეფო მოსამართლეებს, რადგან ჩვენ, მბრძანებელნი, ვიღვწით მთელი მსოფლიოს დასანახად“.

მარიამ სტიუარტმა მოითხოვა, იგი სამეფო სასამართლოს გაესამართლებინა, მეფურად დაესაჯათ და მეფურად დაემარხათ, ამიტომ იწვევენ უმაღლეს სამსჯავროს ერის ყველაზე სახელგანთქმულ და გამოჩენილ მამაკაცთაგან.

მაგრამ მარიმ სტიუარტს მცირეოდენი სურვილიც კი არ გამოუთქვამს თავისი დის — დედოფლის ქვეშევრდომთა მიერ მოწყობილ დაკითხვასა და სასამართლოზე გამოცხადებისა, თუმცა მათ ძარღვებში ინგლისელთა ცისფერი სისხლი ჩქეფდა. „რაო? — მიმართა ემისარს, რომელსაც უფლება მისცა შემოსულიყო თავის ოთახში, მაგრამ ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს მის შესახვედრად, — თქვენმა ქალბატონმა არ იცის, რომ მე დედოფლადა ვარ დაბადებული? ნუთუ ფიქრობს შევარცხვენ ჩემს ღირსებას, ჩემს სახელმწიფოს, სახელგანთქმულ გვარს, ვისგანაც წარმოვდგები? შვილს, ჩემს მემკვიდრეს, ყველა მეფესა და უცხო ქვეყნების მბრძანებელთ, რომელთა უფლებებიც შეილახება, მე რომ ასეთ წინადადებას დავთანხმდე? არა! არა-

სოდეს! ნაღველმა გამტეხა, მაგრამ გულს არასოდეს გავიტეხ, იგი ვერ აიტანს დამცირებას“.

ადამიანის ხასიათს ვერც ბედნიერება ცვლის და ვერც უბედურება. მარიამ სტიუარტს არც ახლა უღალატია თავისი ღირსებისათვის, თავისი შეცდომებისათვის. მძიმე წუთებში იგი ყოველთვის სულიერ სიდიადეს ამჟღავნებდა, მაგრამ დაუდევარი იყო და ვერ ინარჩუნებდა სიმტკიცეს, სტეხდა სასტიკი ძალდატანება.

ისევე, როგორც იორკის პროცესზე, ბოლოს და ბოლოს, ძალდატანებით, უკან დაიხია თვითმპყრობელის პოზიციებიდან და ხელიდან გაუშვა ერთადერთი იარაღი, რისიც ეშინოდა მის მოწინააღმდეგეს. ხანგრძლივი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ იგი დათანხმდა, ახსნა-განმარტება მიეცა ელისაბედის წარმოგზავნილებისთვის.

14 აგვისტოს ფოტერინგეის ციხე-კოშკის სადღესასწაულო დარბაზში საზეიმო სანახაობა მოეწყო. დარბაზის სიღრმეში ძვირფასი ტახტი-საყარძელი აღმართეს, რომელიც მთელი ამ ტრაგიკული საათების განმავლობაში ცარიელი იყო. ცარიელი საყარძელი, უტყვი მოწმე სიმბოლურად მიანიშნებდა, რომ აქ, ამ სასამართლოზე, უხილავად თავმჯდომარეობდა ინგლისის დედოფალი ელისაბედი და განაჩენს მისი სურვილისამებრ და მისი სახელით გამოიტანდნენ. ამაღლებული ადგილის მარცხნივ და მარჯვნივ თავიანთი რანგის მიხედვით სასამართლოს წევრები ჩამწკრივებულიყვნენ. შუა დარბაზში იდგა მაგიდა გენერალური ბრალმდებლისათვის, გამომძიებელმოსამართლეთათვის, სასამართლოს ჩინოვნიკებისა და მწერლებისათვის.

დარბაზში ჰოფმაისტერის მკლავზე ჩამოყრდნობილი შემოვიდა მარიამ სტიუარტი. როგორც ყოველთვის ამ წლებში, შავები ეცვა. შემოვიდა თუ არა, თვალი მოავლო კრებულსა და ზიზღით წარმოთქვა: „რამდენი კანონმდებელია, ჩემთვის ერთიც კი არ არსებობს!“ მერე მისთვის განკუთვნილი საყარძლისკენ გაემართა, რომელიც რამდენიმე ნაბიჯზე იდგა ცარიელი გავალაკისაგან, მაგრამ რამდენიმე საფეხურით ქვემოთ. ამ ტაქტიკური დეტალით განზრახ ხაზს უსვამდნენ ეგრეთ წოდებულ overlordship, ინგლისის სიუზერენულ უპირატესობას, რასაც გამუდმებით ედავებოდა შოტლანდია. მაგრამ მარიამ სტიუარტი სიკვდილის პირას მისულიც კი არავის აპატიებდა ამგვარ დამცირებას. „მე დედოფალი ვარ, — განაცხადა მან ისე,

რომ ყველას გაეგონა და ეგრძნო, — საფრანგეთის მეფის მეუღლე ვიყავი და შემფერის უფრო მაღლა ვიჯდე“.

დაიწყო სასამართლო. ისევე, როგორც იორკსა და ვესტმინსტერში, ესეც პროცესის ინსცენირება გახლდათ და ფეხქვეშ გათელეს სამართლიანობის ელემენტარული ცნება. მთავარი მოწმეები მაშინ ბოთველის მსახურები იყვნენ, ახლა კი სასამართლო მაგიდაზე პროცესამდე დასჯილი ბაბინგტონისა და მისი ამხანაგების წამებით დატყუებული წერილობითი ჩვენებები ეწყო. კანონიერების დარღვევა იყო აგრეთვე ისიც, რომ ორიგინალები კი არ იყო წარმოდგენილი მარიამ სტიუარტის წერილებისა, რაც ბრალდების საფუძველი უნდა გამხდარიყო, არამედ სიები. მარიამ სტიუარტს სრული უფლება ჰქონდა, ასე მიემართა უოლსინჰემისათვის: „როგორ დავიჯერო, ეს წერილები შეთითხნილი არ არის ჩემი სიკვდილით დასასჯელად?“

იურიდიულად ეს ბრალდების სუსტი ადგილი იყო და მარიამ სტიუარტს დამცველი რომ ჰყოლოდა, არ გაუჭირდებოდა, პროტესტი გამოეთქვა მისი უფლებების ასე გაქელვაზე. მარიამ სტიუარტი მარტოდმარტო იბრძოდა, მან არ იცოდა ინგლისის კანონები, არ იცნობდა ბრალდების მასალებს და საბედისწეროდ სწორედ ისეთივე შეცდომა დაუშვა, როგორიც იორკსა და ვესტმინსტერში. იგი არ დაკმაყოფილებულა იმით, რომ სადავო გახადა ცალკეული და მართლაც საეჭვო პრინციპები, უარყოფდა ყველა en bloc-ს, კამათობდა თვით უცილობელზეც კი. პირველად განაცხადა, თითქოს არც კი გაეგონა ბაბინგტონის სახელი. მეორე დღეს, მამხილებელი საბუთი რომ წარუდგინეს, აღიარა, რასაც უარყოფდა. ამითი დაეცა მისი მორალური პრესტიჟი და როცა ბოლო წუთებში გაიმეორა ის, რაც პირველად თქვა — უფლება მაქვს მოვითხოვო, ჩემს მეფურ სიტყვას ენდობოდეთო, უკვე აღარავის სჯეროდა მისი. ამაო იყო რწმუნება: „მე ამ ქვეყანაში იმისთვის მოვედი, რომ ვენდობოდი ინგლისის დედოფლის სიტყვასა და მეგობრობას, და აი, მილორდებო, — ამ სიტყვებზე თითიდან ბეჭედი წამოიძრო და უჩვენა მოსამართლეებს, — ნიშანი მოწყალებისა და დაცვისა, რაც თქვენმა დედოფალმა მომიძღვნა“. მოსამართლეებს თავიც კი არ შეუწუხებიათ, რომ დაეცვათ მისი ხელშეუვალი უფლებები. მათ მხოლოდ თავიანთი მბრძანებლის დაცვა სურდათ, რომ მშვიდობას დაესადგურა მათ ქვეყანაში. განაჩე-

ნი კარგა ხანია გამოიტანეს და როცა 28 ოქტომბერს მოსამართლენი ვესტმინსტერის სარკეებიან დარბაზში შეიკრიბნენ, მხოლოდ ერთ მათგანს, ლორდ ზუჩს ეყო ვაჟკაცობა, განეცხადებინა, რომ იგი სრულიადაც ვერ დაარწმუნეს იმაში, თითქოს მარიამ სტიუარტმა ავი განიზრახა ინგლისის დედოფლის წინააღმდეგ. ამით განაჩენს მოაკლო მშვენიერი სამკაული — ერთსულოვნება, სამაგიეროდ დანარჩენებმა მორჩილად აღიარეს მსჯავრდადებულის დანაშაულობა. მაშინ მწერალი დაჯდა და პერგამენტის ნაგლეჯზე ჩააწიკწიკა: „ხსენებული მარიამ სტიუარტი უფლებას აცხადებდა ინგლისის ტახტზე და მრავალგზის განიზრახა და იწონებდა სხვათა შეთქმულებებსაც, რათა ტახტიდან ჩამოეგდოთ და მოეკლათ ჩვენი წმინდა მბრძანებელი დედოფალი ინგლისისა. ამგვარი დანაშაულისათვის პარლამენტმა წინასწარ იმსჯელა და სიკვდილი გადაუწყვიტა“.

მართლმსაჯულება და განაჩენის გამოტანა შეკრებილ დიდებულთა საქმე იყო. მათ ცნეს დანაშაული და სიკვდილით დასჯა მოითხოვეს. მაგრამ ელისაბედს, ინგლისის დედოფალს, სხვა უფლებებიც ჰქონდა მინიჭებული — ამქვეყნიურ უფლებებზე მაღალი და წმინდა, ადამიანური და დიდსულოვანი უფლება შეწყალებისა, თუმცა დანაშაული აღიარეს. მხოლოდ მის ნებაზე იყო დამოკიდებული, სასიკვდილო განაჩენს აღასრულებდნენ თუ არა. ამას ვერსად დაემალებოდა, ვერსად გაექცეოდა. ელისაბედი კვლავ დაუპირისპირდა ელისაბედს. ისევე, როგორც ანტიკურ ტრაგედიაშია. სინდისის ქენჯნით ტანჯულ კაცს გუნდი აქეთ-იქიდან სტროფებსა და ანტისტროფებს მისძახის, ელისაბედსაც ესმოდა გარეგანი და შინაგანი ხმა: ერთი ულმობელი, მეორე — შემწყალე. მათ მაღლა კი იდგა ჩვენი ამქვეყნიურ საქმეთა მსაჯული — ისტორია, რომელიც მუდამ დუმს ცოცხლებზე და მხოლოდ მათ მიერ ამქვეყნიური გზის გასრულების შემდეგ აწონ-დაწონის შთამომავლობათა წინაშე მათ საქმეებს.

ხმა, რომელიც მარჯვნიდან ესმოდა, ულმობელი და ცხადი, გამუდმებით ჩასძახოდა: სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი! სახელმწიფო კანცლერი, სამეფო საბჭო, ახლო მეგობრები, ლორდები და მოქალაქენი, ხალხი, ქვეყანაში სიმშვიდის მისაღწევად და დედოფლის უშფოთველობისათვის მხოლოდ ერთადერთ საშუალებას ხედავდნენ: თავი მოეკვეთათ მარიამ სტიუარტისათვის. პარლამენტმა საზეიმო პეტიცია გამოსცა: „ჩვენი სარწმუნოების სახელით, ჩვენი

დედოფლის უშიშროებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენმა უდიდებულესობამ ბრძანოს, რათა მალე აღსრულდეს განაჩენი, რაც შოტლანდიის დედოფალს გამოუტანეს. ამას მოვითხოვთ, რადგან სამართლიანი და გადაუდებელი სიკვდილი ხსენებული დედოფლისა მიგვაჩნია ერთადერთ საშუალებად თქვენი უდიდებულესობის უსაფრთხოებისათვის“.

ელისაბედისთვის სწორედაც რომ მომგებიანი იყო ამგვარი მცდელობა. მას სურდა, მსოფლიოსათვის დაემტკიცებინა, ის კი არ სდევნიდა მარიამ სტიუარტს, ინგლისელი ხალხი აიძულებდა აღესრულებინა სასიკვდილო განაჩენი. რაც უფრო ხმამაღლა იტყოდნენ, მით უფრო შორს გაიგონებდნენ. თუ ყველა გაიგონებდა ატეხილ ხმაურს, მით უკეთესი მისთვის. ამით საშუალება მიეცემოდა, მსოფლიოს თვალში კეთილი ადამიანის როლი ეთამაშა. გამოცდილი და ნიჭიერი მსახიობი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა. მღელვარებით მოისმინა პარლამენტის მჭევრმეტყველური შეგონება. მორჩილებით მადლს სწირავდა ღმერთს, რომ მალე მოუვლინა მხსნელი. მერე ხმა აღიმაღლა და მიმართავდა მთელ მსოფლიოსა და ისტორიას, ბრალი მოიხსნა მარიამ სტიუარტის დასჯაში: „ჩემს სიცოცხლესაც საშინელი საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ყველაზე მეტად იმან მატკინა გული, რომ ჩემივე სქესის არსებას, ჩემს თანასწორს ღირსებითა და წარმოშობით, ასევე ჩემს ახლო ნათესავს ასეთი მძიმე დანაშაული ედება ბრალად. ბოროტება გულში არ მიდევს. როგორც კი გავიგე, ჩემს წინააღმდეგ ბოროტებას განიზრახავდნენ, საიდუმლოდ მივწერე, თუ ჩემს წერილს ენდობოდა და გულწრფელად აღიარებდა დანაშაულს, ყოველივეს უხმაუროდ, ჩუმად მოვაგვარებდი. ამას იმისთვის კი არ აღვუთქვამდი, რომ მახეში გამება, მაშინ მე ყველაფერი ვიცოდი, რაც მას შეეძლო ჩემთვის გაეზიარებინა. ახლაც კი, როცა საქმე ასე შორს წავიდა, სიამოვნებით ვაპატიებდი, რომ ეღიარებინა დანაშაული და მისი სახელით არავის წამოეყენებინა ჩემთვის რაიმე პრეტენზია. ამაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ჩემი სიცოცხლე, ჩემი სახელმწიფოს უშიშროება და კეთილდღეობა, რადგან თქვენთვის და ჩემი ხალხისათვის ვუფრთხილდები კიდევ სიცოცხლეს“. ელისაბედი გულწრფელად აღიარებდა, რომ ბევრს ყოყმანობდა ისტორიის სამსჯავროს შიშით. „ჩვენ, მეფეები, ხომ ისეთ ასპარეზზე ვდგავართ, რომელსაც ვერაფერი დაიცავს და დაი-

ფარავს მთელი მსოფლიოს ცნობისმოყვარე ადამიანთა მზერისაგან. სულ მცირე ლაქაც კი ჩვენს ტანსაცმელზე თვალში ეცემათ, სულ მცირე ზადი ჩვენს საქმეებში მაშინვე შეიმჩნევა. განსაკუთრებით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მოქმედება მუდამ პატიოსანი და სამართლიანი იყოს". ამიტომ სთხოვს პარლამენტს, მოითმინოს, თუ იგი პასუხს დააყოვნებს, „რადგან ასეთი ჩვეულება მაქვს — დიდხანს ვიფიქრო ნაკლებმნიშვნელოვან საქმეზეც კი, სანამ საბოლოოდ გადავწყვეტდე".

ეს პატიოსანი განცხადებაა? არის და არც არის. ელისაბედში ორი სურვილი ებრძოდა ერთმანეთს: უნდოდა თავიდან მოეშორებინა მეტოქე, თან მსოფლიოს წინაშე წარმდგარიყო დიდსულოვნებისა და მოწყალების განსახიერებად. თორმეტი დღის შემდეგ იგი კვლავ შეეკითხა ლორდ კანცლერს, ხომ არ შეიძლება მარიამ სტიუარტს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ და ჩემს სიცოცხლესაც საფრთხე არ ემუქრებოდესო. სამეფო საბჭომ, პარლამენტმა კვლავ დაარწმუნა, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა, ისინი წინანდებურად თავისაზე იდგნენ. მაშინ სიტყვა კვლავ ელისაბედმა აიღო. ამჯერად მის აღიარებაში თითქოს სიმართლე და შინაგანი დამაჯერებლობა შეიგრძნობა. თითქოს ნამდვილი თანაგრძნობით არის გამსჭვალული მისი სიტყვები: „დღეს დიდ გასაჭირში ვარ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ, რადგან არ ვიცი, ვილაპარაკო თუ გავჩუმდე. ვილაპარაკო და შემოგჩივლოთ, ჩემი მხრივ პირფერობა იქნებოდა. გავჩუმდე — ეს იმას ნიშნავს, არად ჩავაგდო თქვენი გულმოდგინება. რა თქმა უნდა, თქვენ გაგაცვიფრებთ ჩემი უკმაყოფილება, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ვიმედოვნებ, რომ გამოსავალს ვიპოვით თქვენი უსაფრთხოებისა და ჩემი კეთილდღეობისათვის... ყველასათვის ნათელია, სანამ იგი ცოცხალია, ყოველთვის საფრთხე მელის. უსაზღვრო ნაღველი მიჰყრობს, რადგან რამდენ მეამბოხეს მივაგე წყალობა, რამდენ მოღალატეს ყური წავუყრუე და ახლა ასეთი სიმკაცრე უნდა გამოვიჩინო ესოდენ წარჩინებული დედოფლის მიმართ". იგრძნობა, ძალა რომ დაეტანებინათ, დათმობაზე წავიდოდა. მაგრამ ეს ჭკუაგამჭრიახი, ორპირი ქალი არც „ჰოთი" იბორკავდა თავს და არც „არათი". თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „გთხოვთ, ამჯერად დაკმაყოფილდეთ პასუხით უპასუხოდ. სადავოს არ ვხდი თქვენს აზრს, მესმის თქვენი მოსაზრებანი, მხოლოდ იმას გთხოვთ: მიიღოთ ჩემი მადლობა, მაპა-

ტიეთ ჩემი იდუმალი ეჭვები და ნუ გეწყინებათ ეს ჩემი უპასუხო პასუხი“.

ხმები მარჯვნიდან ხმამაღლა და გარკვევით ჩასძახოდნენ: სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი. მაგრამ ხმები მარცხნიდან, იმ მხრიდან, სადაც გულია, თანდათან მჭევრმეტყველურად ისმოდა. საფრანგეთის მეფემ ზღვის გაღმიდან საგანგებო ელჩები გამოუგზავნა და გაახსენა მეფეთა საერთო ინტერესები. იგი ელისაბედს მოაგონებდა, რომ მარიამ სტიუარტის ხელშეუვალობით თავის ხელშეუვალობას განიმტკიცებდა, რომ ბრძნული და სვეკეთილი მბრძანებლობის აღთქმა იმაში მდგომარეობს, სისხლი არ დაიღვაროს. იგი მოაგონებდა ყველა ხალხის წმიდათაწმიდა მოვალეობას — სტუმართმოყვარეობას. ნუ შესცოდავს ღმერთს, ხელს ნუ აღმართავს უფლის მიერ მირონცხებულზე. რადგან ელისაბედმა სცადა მისთვის ჩვეული ცბიერებით თავი დაეძვრინა ბუნდოვანი დაპირებებითა და გასამართლებელი მიზეზებით, უცხოელმა ელჩებმა მკაცრი ტონით დაუწყეს ლაპარაკი. თუ წინათ სთხოვდნენ, ახლა სასტიკად გააფრთხილეს და აშკარად დაემუქრნენ. მაგრამ ამა ქვეყნის შეცნობაში დაბრძენებულ, მეოთხედი საუკუნის მბრძანებლობის შემდეგ ყოველგვარ პოლიტიკურ ხრიკებში გამოწაფულ ელისაბედს მახვილი სმენა ჰქონდა. ამ პატეთიკურ სიტყვებში ელისაბედი ცდილობდა დაეჭირა ერთი რამ: ელჩები თავიანთი ტოგების ნაოჭებში რწმუნებას ხომ არ მალავდნენ, რომ სწყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობასა და ომს უცხადებენ? მაგრამ ძალიან მალე დარწმუნდა, რომ ხმამაღალ, მყვირალა სიტყვებში იარაღის ჟღარუნი არ იგრძნობოდა და არც ჰენრიხ III-სა და არც ფილიპე II-ს სერიოზულად არ ჰქონდათ განზრახული მახვილი ეშიშვლებინათ, თუ ჯალათი ნაჯახით თავს წააცლიდა მარიამ სტიუარტს.

ამიტომ ელისაბედმა გულგრილად აიჩეჩა მხრები საფრანგეთისა და ესპანეთის დიპლომატიურ მუქარაზე. რაღა თქმა უნდა, უფრო დიდი ხელოვნება სჭირდებოდა, რომ სხვა საყვედურები, შოტლანდიის საყვედურები აეცილებინა. ვინ ვინ, მაგრამ იაკობ VI წინააღმდეგობას გაუწევდა დედოფლის უცხო ქვეყანაში სიკვდილით დასჯას, ეს მისი წმინდა მოვალეობა იყო, რადგან სისხლი, რომელიც უნდა დაღვრილიყო, მისი საკუთარი სისხლი იყო; ქალი კი, ვისაც სიკვდილით დასჯიდნენ, დედა, სიცოცხლე რომ მიანიჭა. მაგრამ

შვილის მშობლისადმი სიყვარულს არც ისე დიდი ადგილი ეჭირა იაკობ VI-ს გულში. მას შემდეგ, რაც იგი ელისაბედის მუქთამჭამელი და მოკავშირე გახდა, დედა, ვინც უარი უთხრა მეფის ტიტულზე, საზეიმოდ ხელი აიღო მასზე და იმასაც კი ცდილობდა, მისი მემკვიდრეობითი უფლებები უცხო ქვეყნის მეფეებისთვის გადაეცა, ეს დედა მხოლოდ გზაზე ელობებოდა. იაკობ VI-მ შეიტყო თუ არა ბაბინგტონის შეთქმულების გამოაშკარავების ამბავი, საჩქაროდ მიულოცა ელისაბედს, ხოლო საფრანგეთის ელჩს, ნადირობისას თავს რომ აბეზრებდა ჩიჩინით, გამოიყენეთ თქვენი გავლენა დედის დასახსნელადო, განაწყენებულმა უთხრა: „ატეხა აურზაური და თვითონვე გამოასწოროს“ — qu'il fallait qu'elle but la boisson qa'elle avait brasse. როგორც სჩვეოდა, პირდაპირ განუცხადა, — ჩემთვის სულერთია, სადაც უნდათ, ჩასვან და რამდენიც უნდათ, იმდენი მისი გაიძვერა მსახურიც ჩამოახრჩონო. არა, ეს სულაც არ ეხებოდა მას. მისთვის უცხო იყო სენტიმენტალიზმი და პირველად უარიც კი თქვა, ინგლისში ელჩი გაეგზავნა. მხოლოდ მაშინ, როცა განაჩენი გამოუტანეს, რამაც შეურაცხყო შოტლანდიელთა ნაციონალური გრძნობა და როცა მთელი ქვეყანა აღშფოთების ტალღამ მოიცვა, რომ უცხო ქვეყნის დედოფალმა გაბედა ხელეყო შოტლანდიის დედოფლის სიცოცხლე, იაკობი გონს მოეგო, მიხვდა, რა უმსგავს როლს თამაშობდა, დუმილი უმართებულო იქნებოდა და თუნდაც მოსაჩვენებლად რაღაც უნდა ეღონა. რაღა თქმა უნდა, იგი ისე შორს არ შეტოპავდა, როგორც მისმა პარლამენტმა შეტოპა, რომელმაც მოითხოვა, თუ დედოფალს სიკვდილით დასჯიდნენ, სასწრაფოდ კავშირი გაეწყვიტათ, მეტიც, ომი გამოეცხადებინათ ინგლისისათვის.

იაკობ VI მაინც მიუჯდა მაგიდას, მკაცრი, აღშფოთებული და მუქარით სავსე წერილები მისწერა უოლსინჰემსა და ლონდონში ელჩები გაგზავნა.

ელისაბედი, რა თქმა უნდა, მოელოდა ამ აღშფოთებას, მაგრამ იგი ამჯერადაც გამოძახილს უგდებდა ყურს. იაკობ VI-ის დეპუტაცია ორ ნაწილად გაიყო. ერთი, ოფიციალური, ხმამაღლა და გარკვევით მოითხოვდა სასიკვდილო განაჩენის შეცვლას. იმუქრებოდა კავშირის გაწყვეტით, იარაღს აჟღარუნებდა. შოტლანდიის დიდებულები, ეს მკაცრი სიტყვა რომ წარმოთქვეს ლონდონში, ჭეშმარიტი რწმენის პათოსით იყვნენ გამსჭვალულნი, მაგრამ მათ აზრადაც

კი არ მოსდიოდათ, რომ სანამ ისინი მკაცრად ლაპარაკობდნენ და იმუქრებოდნენ მისაღებ დარბაზში, მეორე აგენტი, იაკობ VI-ის პირადი წარმომადგენელი, შეიპარა ელისაბედის კაბინეტში და იქ ჩუმად სხვა მოთხოვნილება წამოაყენა, რაც ბევრად უფრო ეწადა შოტლანდიის მეფის გულს, ვიდრე დედამისის სიცოცხლე. ეს გახლდათ მოთხოვნილება, ეღიარებინათ მისი მემკვიდრეობითი უფლებები ინგლისის ტახტზე. საფრანგეთის ელჩის სიტყვებით — მან დაწვრილებით გაიგო ეს — საიდუმლო მსტოვარს დავალებული ჰქონდა, დაერწმუნებინა ელისაბედი, რომ თუ იაკობ VI ასე გააფთრებით იმუქრებოდა, ამას მხოლოდ თავისი ღირსების დასაცავად და ზრდილობის გულისათვის აკეთებდა (for his honorur and reputation) და სთხოვა, მისი საქციელი არ სწყენოდათ (in ill part), არამეგობრულ აქციად არ ჩაეთვალათ. ელისაბედს კიდევ ერთხელ დაუდასტურეს ის, რომ იაკობ VI მზად იყო, ჩუმად გადაეყლაპა (to digest) თავისი დედის სიკვდილით დასჯა მხოლოდ დაპირებით, ან ნახევრად დაპირებით — ინგლისის ტახტით. ამგვარად, კულისებში საზიზღარი ვაჭრობა დაიწყო. მარიამ სტიუარტის ვაჟიშვილი და მისი მოწინააღმდეგე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ, ნდობით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, ბნელი ინტერესებით დაკავშირებული საერთო ენა იპოვეს. გულში ორივე ერთს ნატრობდა, მაგრამ ორივე უმალავდა ქვეყანას. მარიამ სტიუარტი ორივეს გზაზე ეღობებოდა, მაგრამ ორივეს თავი ისე ეჭირა, თითქოს მათთვის ყველაზე მთავარი და ყველაზე წმინდა მოვალეობა იყო, დაეხსნათ ტყვე. ელისაბედი სულაც არ იბრძოდა დის სიცოცხლის გადასარჩენად, რომელიც ბედმა ხელში ჩაუგდო, არც იაკობ VI იბრძოდა მშობლის დასახსნელად. ორივესთვის მთავარი იყო, „მსოფლიო არენაზე“ კეთილშობილებად გამოჩენილიყვნენ. იაკობ VI-მ დე ფაქტო კარგა ხანია მისახვედრად გადაუკრა, რომ რა უსიამოვნო შემთხვევაც უნდა მომხდარიყო, არავითარ პრეტენზიას არ განაცხადებდა და ამით წინასწარ ნება მისცა ელისაბედს თავისი დედის დასჯისა. ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე უცხოელი მეტოქე ტყვეს სასიკვდილოდ გაგზავნიდა, ტყვის ვაჟიშვილმა ზვარაკად შესწირა დედა.

არც საფრანგეთი, არც ესპანეთი, არც შოტლანდია — ელისაბედი ამაში საბოლოოდ დარწმუნდა — ხელს არ წაავლებდნენ შესაჩერებლად, როცა იგი გადაწყვეტდა დასჯას. მხოლოდ ერთ ადამიანს

შეეძლო ეხსნა მარიამ სტიუარტი — ისევ მარიამ სტიუარტს. შეწყალება რომ ეთხოვა, ელისაბედი იქნებ ამით დაკმაყოფილებულიყო. გულში კიდეც იმედოვნებდა, რომ სთხოვდნენ და დაიხსნიდნენ სინდისის ქენჯნისაგან. იმ დღეებში ყოველი ღონე იხმარეს, რომ გაეტეხათ მარიამ სტიუარტის სიამაყე. განაჩენი გამოუტანეს თუ არა, ელისაბედმა ტყვეს სრული ტექსტი გაუგზავნა, ხოლო უგულო, ანგარიშიანმა და თავისი მეტისმეტი წესიერებით ზიზღისმომგვრელმა ამიას პაულეტმა ისარგებლა ამით, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა სიკვდილმისჯილისათვის. იგი ხომ მისთვის მხოლოდ „უსახელო გვამი“ იყო — une femme morte sans nulle dignite. პირველად იყო, რომ მარიამ სტიუარტთან ქუდის მოხდა დააგვიწყდა. ეს ლაქიას სულმდაბლური, უნამუსო საქციელი იყო. სხვისი უბედურება მოკრძალებას კი არ აღუძრავდა, ამპარტავანს ხდიდა. მსახურებს უბრძანა, დედოფლის ოთახიდან გამოეტანათ ტახტი-გავალაკი, რომელზედაც შოტლანდიის გერბი იყო დამაგრებული. მაგრამ ერთგული მსახურები არ დაემორჩილნენ მეციხოვნეს და როცა პაულეტმა თავის ქვეშევრდომთ უბრძანა მოეგლიჯათ გავალაკი, მარიამ სტიუარტმა იმ ადგილას, სადაც შოტლანდიის გერბი იყო, ჯვარზე გაკრული ქრისტე დაკიდა, რომ ეჩვენებინა, მას შოტლანდიაზე ძლიერი ძალა იცავდა. ყოველ წვრილმან შეურაცხყოფას მტრებისა დიდსულოვნად პასუხობდა. „მუქარით სურთ, მაიძულონ, შეწყალება ვითხოვო, — სწერდა იგი მეგობრებს, — მაგრამ მე ვამბობ, რადგან სასიკვდილოდ გამწირა, დაე, ასევე უსამართლო დარჩეს-მეთქი“. თუ ელისაბედი სიკვდილით დასჯიდა, მით უარესი ელისაბედისათვის. სჯობდა, თავისი სიკვდილით დაემცირებინა მოწინააღმდეგე ისტორიის სამსჯავროს წინაშე, ვიდრე ნება დაერთო, უწყინარობის ნიღაბი აეფარებინა, დიდსულოვნების დაფნის გვირგვინით შეემკო თავი. იმის მაგივრად, რომ პროტესტი განეცხადებინა განაჩენზე, ან შეწყალება ეთხოვა, მარიამ სტიუარტი ქრისტიანული მოთმინებით მადლს სწირავდა შემოქმედს ამ გადაწყვეტილებისათვის. ელისაბედს კი დედოფლის ამპარტავნობით უპასუხა: „Madame, მთელი გულით მადლს ვწირავ შემოქმედს, რომ მან თქვენი ხრიკების წყალობით ინება და იმ საშინელი ტანჯვისაგან დამიხსნა, რადაც ჩემთვის ცხოვრება იქცა. ამიტომ არ გევედრებით სიცოცხლის შენარჩუნებას, რადგან საკმაოდ ვიგემე მისი სიმწარე. მე მხოლოდ იმას გთხოვთ (თქვენ და არა

სხვა ვინმეს, რადგან ვიცი, თქვენი მინისტრებისაგან, რომელთაც მაღალი თანამდებობები უკავიათ ინგლისში, შეწყალებას არ უნდა მოველოდე), შემისრულოთ ეს თხოვნა: პირველ ყოვლისა, გევედრებით, როცა მტრები გაძღებიან ჩემი უდანაშაულო სისხლით, ჩემი გვამი მიეცით ჩემს ერთგულ მსახურთ, რომ სადმე ნაკურთხ მიწას მიაბარონ: სჯობს საფრანგეთში, სადაც განისვენებს ჩემი საყვარელი დედის, დედოფლის ნეშტი. იქ ჩემი უბედური გვამი, მოსვენება რომ არ იცოდა, სანამ სული ხორცს არ გაეყარა, გათავისუფლდება და პოვებს განსასვენებელს. შემდეგ ვთხოვ თქვენს უდიდებულესობას, შიშის გამო, რასაც შთამაგონებს იმათი გააფთრება, ვის ნებაზეც თქვენ მიმიშვით, ჩემი სიკვდილით დასჯა სადმე მიყრუებულ ადგილას კი არ მოაწყოთ, არამედ ჩემს მსახურთა და სხვა დამსწრეთა თვალწინ, რომ შემდეგ იმათ დაადასტურონ, რომ მე ერთგული დავრჩი ეკლესიისა და ამით დაიცვან ჩემი აღსასრული, ჩემი უკანასკნელი ამოოხვრა ცილისწამებისაგან, რასაც ჩემი მტრები გაავრცელებენ. და ბოლოს გთხოვთ, მსახურებს, რომელნიც ამდენ გასაჭირსა და უბედურებაში ერთგულად და სიმართლით მემსახურებოდნენ, ნება დართოთ, სადაც სურთ, წავიდნენ და უდარდელად იცხოვრონ იმ გროშებით, რითაც მათ დააჯილდოებს ჩემი სიღარიბე. Madame, გაფიცებთ ჰენრი VII-ის, ჩვენი საერთო წინაპრის ხსოვნას, ასევე მეფურ წოდებას, რასაც სიკვდილამდე შევინარჩუნებ, უქმად ნუ ჩაიკლის ჩემი ეს სამართლიანი სურვილები და თქვენი ხელით დაწერილი პირობა მომეცით, რომ დამშვიდებით მოვკვდე. მუდამ თქვენი პატივისმცემელი და, ტყვე დედოფალი მარიამი“.

ჩვენ ვხედავთ, რა საოცარი და დაუჯერებელიც უნდა იყოს ეს, ათეული წლების განმავლობაში გაჭიანურებული ბრძოლის ბოლო დღეებში როლები შეიცვალა: როცა მარიამ სტიუარტს სასიკვდილო განაჩენი გადასცეს, საკუთარი თავისადმი რწმენა და ძალა შეიგრძნო. სასიკვდილო განაჩენს რომ კითხულობდა, გული ისე არ უთრთოდა, როგორც ელისაბედს უკანკალებდა ხელი, როცა ეს განაჩენი ხელმოსაწერად მიუტანეს. მარიამ სტიუარტს ისე არ ეშინოდა სიკვდილისა, როგორც ელისაბედს მისი სიკვდილით დასჯისა.

იქნებ მარიამ სტიუარტი გულში დარწმუნებული იყო, რომ ელისაბედს ვაჟკაცობა არ ეყოფოდა, ებრძანებინა ჯალათისათვის მოეკვეთა დედოფლის გვირგვინოსანი თავი. ან იქნებ სიმშვიდის ნიღაბს იფ-

არებდა, მაგრამ ისეთი გაიძვერა მოთვალთვალეც კი, როგორც ამიას პაულეტი იყო, ოდნავ მღელვარებასაც ვერ ამჩნევდა. მარიამ სტიუარტს არაფერი უკითხავს, არაფერზე უწუწუნია, მცველებისათვის მცირეოდენი მფარველობაც კი არ უთხოვია. არც იმას ცდილობდა, უცხოელ მეგობრებთან საიდუმლოდ კავშირი დაემყარებინა. აღარ უწევდა წინააღმდეგობას, აღარ იცავდა თავს. ბედი შემოქმედს მიანდო, დაე, მან გადაწყვიტოსო. ახლა გულდაგულ ემზადებოდა. შეადგინა ანდერძი და მთელი თავისი ამქვეყნიური სიმდიდრე მსახურებს გაუნაწილა. წერილი მისწერა უცხოეთში მეფეებსა და თავადებს, მაგრამ აღარ სთხოვდა, არმია გამოეგზავნათ, ომი დაეწყოთ, არწმუნებდა, რომ მზად იყო, უშიშრად შეხვედროდა სიკვდილს, სიკვდილს კათოლიკური რწმენითა და კათოლიკური რწმენისათვის. ბოლოს და ბოლოს, ამ მგზნებარე გულმა სიმშვიდე პოვა. შიში და იმედი, გოეთეს სიტყვებით, ეს „უბოროტესი მტრები კაცობრიობისა“ ვერ შეაკრთობდნენ მტკიცე სულს. ისევე, როგორც მისი ბედის მოზიარე მარიამ ანტუანეტამ, სიკვდილის წინ იგრძნო თავისი ჭეშმარიტი მოვალეობა. მას ესმოდა, რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ისტორიის წინაშე. მშვენივრად სძლია წინანდელ უდარდელობას. შეწყალებაზე ფიქრი კი არ იპყრობდა, ფრთაშესხმული ოცნება, იმედი, რომ უკანასკნელი წუთები მის ტრიუმფად გადაიქცეოდა. იცოდა, მხოლოდ გმირული სიკვდილის დრამატიზმი გამოისყიდდა მსოფლიოს თვალში მის ტრაგიკულ დანაშაულს. ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთი გამარჯვებაღა დარჩენოდა — ღირსეულად სიკვდილი.

იმ დროს, როცა ფოტერინგეის ციხეში გამომწყვდეული, სიკვდილმისჯილი ტყვე დარწმუნებით, ამამაღლებელი სიმშვიდით ელოდა აღსასრულს, ლონდონში ურწმუნოებას დაესადგურებინა. ელისაბედი გააფთრებულ ნერვიულობას, საშინელ დაბნეულობას შეეპყრო. მარიამ სტიუარტმა უკვე გადაწყვიტა, ელისაბედი კი კვლავ იბრძოდა ამ გადაწყვეტილებისათვის. მეტოქეს არასოდეს იმდენი ტანჯვა არ მიუყენებია, როგორც ახლა, როცა მთლად ხელში ჰყავდა. ელისაბედს ღამე არ ეძინა, მთელი დღეები დუმდა დანაღვლიანებული. მიხვდებოდით, საშინელი აზრი სტანჯავდა — მოეწერა თუ არა ხელი სასიკვდილო განაჩენზე, ებრძანებინა თუ არა, აღესრულებინათ იგი. გულზე ლოდად აწვა დარდი. ამაოდ ურჩევდნენ მინისტრები, მათ რჩევას სინდისის ხმა ახშობდა. არც ერთი იმათი

წინადადება არ მოსწონდა, ახალს მოითხოვდა. სესილის აზრით, იგი „ამინდივით ცვალებადი“ იყო. ხან დასჯა უნდოდა, ხან შეწყალება. თავის მრჩევლებს გამუდმებით „რაიმე სხვა გამოსავალს სთხოვდა“, თუმცა იცოდა, სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ოჰ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყველაფერი თავისთავად, ისე მომხდარიყო, მას არ გაეგო, მის მიერ გარკვევით მიცემული ბრძანების გარეშე, მის მიერ კი არა, მისი გულისთვის მიცემული ბრძანებისა. პასუხისმგებლობის გრძნობა აცახცახებდა, განუწყვეტლივ სწონიდა ესოდენ გაუგონარი მოქმედების დადებით და უარყოფით მხარეებს და თავისი მინისტრების გასაბრაზებლად ყოველდღე გადასდებდა გადაწყვეტილებას, ორაზროვან, ავგულ, გამაღიზიანებელ, ბუნდოვან მიზეზებს ეძებდა, გაურკვეველი დროისთვის გადაჰქონდა მისი აღსრულება. — With weariness to talk, her Majesty left all till a time I know not when[1], — ჩიოდა სესილზე, რომ მის ცივ, ანგარიშიან გონებას არ ესმოდა ამ ელდანაკრავი ქალისა. თუმცა ელისაბედმა მარიამ სტიუარტს სასტიკი მეციხოვნე მიუჩინა, მაგრამ თვითონ დღისით და ღამით უფრო მოუსყიდველი და სასტიკი დარაჯი ჰყავდა — საკუთარი სინდისი.

სამი, ოთხი, ხუთი თვე, თითქმის ნახევარი წელი შინაგანად ებრძოდა ელისაბედი ელისაბედს, აღარ იცოდა, გონების ხმისთვის დაეჯერებინა თუ გულისა. ამგვარად ნერვებდაძაბული ადამიანი, ჩვეულებისამებრ, სრულიად მოულოდნელად მშვიდდება ხოლმე.

1587 წლის 1-ელ თებერვალს, ოთხშაბათს, ადმირალმა ჰოუარდმა გრინვიჩის პარკში მოძებნა სახელმწიფო კანცელარიის მდივანი დევისონი (უოლსინჰემი ავად იყო, თუ თავი მოიავადმყოფა) და უბრძანა, საჩქაროდ დედოფალთან გამოცხადებულიყო, თან მიეტანა ხელმოსაწერად მარიამ სტიუარტის სასიკვდილო განაჩენი.

დევისონმა ამოიღო სესილის მიერ მომზადებული ქაღალდი და სხვა ქაღალდებთან ერთად ხელმოსაწერად წაუღო დედოფალს. მაგრამ საოცარია, დიდ მსახიობს, ელისაბედს ეტყობოდა, კვლავ არ ეჩქარებოდა. გულგრილად შეხვდა. დევისონთან საუბარს შეჰყვა სხვა ამბებზე, ფანჯარაში იხედებოდა, ტკბებოდა მომაჯადოებელი ზამთრის პეიზაჟის ცქერით. და მხოლოდ შემდეგ, თითქოს შემთხვევით, ჰკითხა დევისონს — ნუთუ აღარ ახსოვდა, რომ უბრძანა, სასიკვ-

[1] *არ უნდოდა ლაპარაკი გაეგრძელებინა და მისმა უდიდებულესობამ განუსაზღვრელი დროით გადადო საკითხი (ინგლ.).*

დილო განაჩენი მიეტანა? მოსვლის მიზეზი? დევისონმა მოახსენა, ქაღალდები მოვიტანე, მათ შორის ისიც, ლორდმა ჰოუარდმა საგანგებოდ რომ მიბრძანაო. ელისაბედმა აიღო ქაღალდები, მაგრამ ღმერთო დაიფარე, შიგ არც კი ჩაუხედავს, საჩქაროდ მოაწერა ხელი ზედიზედ, რა თქმა უნდა, მარიამ სტიუარტის განაჩენსაც. იქნებ უნდოდა, თავი ემართლებინა, თითქოს სხვა ქაღალდებთან ერთად უნებურად მოაწერა ხელი იმასაც, სიკვდილის განაჩენს! მაგრამ უცბად შეეცვალა გუნება ამ ამინდივით ცვალებად ქალს და მეორე წუთში გამოჩნდა, რომ რაც ახლა მოიმოქმედა, ნამდვილი მანჭვა-გრეხა, თამაში იყო: დევისონისათვის აღარ დაუფარავს, ამდენ ხანს ამ საქმეს იმიტომ ვაჭიანურებდი, რომ ყველამ დაინახოს, ხელისმოწერა როგორ მიჭირს მასზეო. ახლა კი ხელმოწერილი განაჩენი კანცელარიაში წაიღონ, იქ დიდი სახელმწიფო ბეჭედი დაასვან, მაგრამ არავისთან ზედმეტი სიტყვა არ დასცდეთ! მერე გადასცენ იმას, ვისაც ევალება მისი აღსრულება. დავალება იმდენად ნათელი იყო, რომ დევისონს მცირე მიზეზიც კი არ გააჩნდა, ეჭვი შეეპარვოდა ელისაბედის მტკიცე განზრახვაში. ეტყობოდა, ელისაბედი უკვე მიეჩვია იმ უსიამოვნო აზრს, ისე დაწვრილებითა და გულგრილად მსჯელობდა ყოველ წვრილმანზე. აჯობებდა სიკვდილით დასჯა ფოტერინგეის ციხის დიდ დარბაზში დაენიშნათ. არც საზეიმო დარბაზი, არც შიდა მცირე დარბაზი ამისთვის არ გამოდგებოდა. კვლავ მოაგონა დევისონს, ბრძანება საიდუმლოდ შეენახა. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გადაწყვეტილება რომ მიიღო, გულზე მოეშვა. ამგვარად, მტკიცე რწმენამ ელისაბედი კვლავ გუნებაზე მოიყვანა. გამხიარულდა და ხუმრობაც კი დაიწყო, მეშინია, ამ სამწუხარო ამბავმა საწყალ უოლსინჰემს ბოლო არ მოუღოსო.

დევისონის აზრით (მის ადგილას ყველა ასე იფიქრებდა), საკითხი გადაწყვეტილი იყო. თაყვანი სცა დედოფალსა და კარისკენ გაემართა. მაგრამ ელისაბედი ვერაფერს გადაწყვეტდა, ვერაფერს მიიყვანდა ბოლომდე. დევისონი კარის ზღურბლამდე არც კი მისულიყო, რომ დედოფალმა უკან იხმო. მის სახეზე ვეღარ შენიშნავდით მხიარულ განწყობილებას, ნამდვილ თუ მოჩვენებით სიმტკიცეს. მოუსვენრად ბოლთას სცემდა ოთახში. ნუთუ სხვა გამოსავალი არ არსებობდა? განა ასოციაციის წევრებმა (members of the association) არ დაიფიცეს, სიკვდილი მიესაჯათ ყველასათვის, ვინც მონაწილეობას მიიღებ-

და შეთქმულებაში? ფოტერინგეიში რაღას ფიქრობენ ის რეგვენი ამიას პაულეტი და მისი თანაშემწე, ისინი ხომ ასოციაციის წევრები არიან, განა მათ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს, ეს თვითონ იკისრონ და გაათავისუფლონ დედოფალი თავლაფისდამსხმელი საჯარო გაკიცხვისაგან? დაე, უოლსინჰემმა ყოველი შემთხვევისათვის მისწეროს ეს მათ და შთააგონოს: საწყალი დევისონი გონს ვერ მოსულიყო. უტყუარი ალღო კარნახობდა, რომ დედოფალი ჩქარობდა უკან დაეხია. დევისონი ნანობდა, ამგვარ მნიშვნელოვან საუბარს მოწმეები რომ არ ესწრებოდნენ. მაგრამ რა უნდა ექნა? მას დავალება მისცეს. ამიტომ, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო კანცელარიაში გაეშურა, რათა განაჩენი ბეჭდის დასმით განემტკიცებინა, მერე უოლსინჰემთან წავიდა. მან მაშინვე მისწერა ამიას პაულეტს იმგვარი წერილი, როგორიც ელისაბედს სურდა. დედოფალი, სამწუხაროდ, თავისი გამოცდილი მსახურის საქმიანობაში არსებით ნაკლს ხედავს. კარგა ხანია უნდა ეფიქრა, რომ მის უდიდებულესობას მარიამ სტიუარტის მხრივ საფრთხე ემუქრება და „თვითონვე, საგანგებო დავალების გარეშე“, თავისი საშუალებებით მოეშორებინა. მსახურს სინდისის ქენჯნა ნუ შეაკრთობს. მან ხომ ფიცი მისცა ასოციაციას. ამით დედოფალს მძიმე ტვირთს ჩამოხსნის, რადგან ყველამ იცის, სისხლის დაღვრა როგორ არ სიამოვნებსო, — სწერდა უოლსინჰემი.

წერილს ჯერ ამიას პაულეტამდე არც კი მიეღწია და მისგან პასუხიც არ მოსულიყო, რომ გრინვიჩში კვლავ შეიცვალა ამინდი. მეორე დილას, ხუთშაბათს, დედოფლის მსტოვარმა დევისონს წერილი მიუტანა: თუ განაჩენი კანცელარიისათვის არ გადაგიციათ ბეჭდის დასასმელად, თავი შეიკავეთ, სანამ პირადად არ მესაუბრებითო. დევისონი მაშინვე დედოფალთან გაიქცა და მოახსენა, რომ გუშინვე შეასრულა მისი დავალება და სასიკვდილო განაჩენზე ბეჭედი უკვე დასმული იყო. ელისაბედს, ეტყობა, არ ესიამოვნა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, არ უსაყვედურია დევისონისათვის და, რაც მთავარია, ორპირს, სიტყვაც კი არ დასცდენია, რომ ავბედითი დოკუმენტის გამობრუნება უნდოდა. მხოლოდ ის შესჩივლა დევისონს, ეს ტვირთი კვლავ მე მაწვება მხრებზეო. მოუსვენრად ბოლთას სცემდა ოთახში. დევისონი უსასრულოდ ელოდა გადაწყვეტილებას, ბრძანებას, სურვილს... მაგრამ ელისაბედი უცბად გავიდა დარბაზიდან, არავითარი განკარგულება არ მიუცია. თვალწინ კვლავ შექსპირის სცენა წარ-

მოგვიდგება, მხოლოდ ელისაბედი ერთადერთი მაყურებლის წინაშე თამაშობდა როლს. კვლავ გვაგონდება, რიჩარდ III რომ შესჩივის ბუკინჰემს, მოწინააღმდეგე ჯერ ისევ ცოცხალია, მაგრამ ბრძანებას მაინც არ იძლევა, წამებით აღასრულონ. ელისაბედსაც სწორედ ისეთი განაწყენებული მზერა ჰქონდა, როგორც რიჩარდ III-ს, უკმაყოფილო, ვასალს რატომ არ ესმოდა მისი და არც სურდა გაეგო. თვალებით ანადგურებდა დევისონს. საწყალი მდივანი გრძნობდა, რომ ნიადაგი ერყეოდა ფეხქვეშ და აცახცახებული სხვებს ეჭიდებოდა, ოღონდ მას არ ეგო პასუხი ამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის საქმეში. ჰეტონთან მივიდა, დედოფლის მეგობართან და აუწერა თავისი სასოწარკვეთილი მდგომარეობა: ელისაბედმა ინება, განაჩენისთვის კანონიერი მსვლელობა მიეცა, მაგრამ ეტყობა, შემდეგ აღარ მოეწონა თავისი ორაზროვნად გაცემული განკარგულება. ჰეტონი მშვენივრად იცნობდა ელისაბედს, გამოიცნო მისი ორაზროვანი თამაში, მაგრამ ვერც ის ეტყოდა დევისონს გარკვევით „ჰოს“ ან „არას“. ყველანი, თითქოს ერთმანეთს ბურთს ესვრიანო, ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა: ელისაბედი დევისონს აკისრებდა, დევისონი — ჰეტონს. ჰეტონმა ეს საჩქაროდ სახელმწიფო კანცლერ სესილს შეატყობინა, მაგრამ არც მას სურდა, ყველაფერი თვითონ ეკისრა და მეორე დღესვე მოიწვია რაღაც სახელმწიფო საბჭოს მსგავსი თათბირი. მოიწვია მხოლოდ დედოფლის ახლო მეგობრები და სანდო მრჩევლები — ლესტერი, ჰეტონი და შვიდი სხვა დიდებული. თითოეულმა მათგანმა საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ელისაბედზე დანდობა არ შეიძლებოდა. პირველად დაისვა ასე გარკვევით საკითხი. ყველა ხვდებოდა, რომ ელისაბედი, თავისი მორალური პრესტიჟის დასაცავად, ღირსება რომ არ შელახოდა, განზე გადგებოდა. მას სურდა, საქმე ისე მოწყობილიყო, თითქოს განაჩენის აღსრულება „მოულოდნელად გაიგო“. იქნებ თავის ერთგულთ იმას ავალებდა, ამ კომედიაში მასთან ერთად ეთამაშათ და თითქოს მისი ნების წინააღმდეგ აღესრულებინათ ის, რისკენაც სინამდვილეში ისწრაფოდა. თავისთავად იგულისხმებოდა, ამგვარი მოჩვენებითი, იდუმალად ხელისუფლების თავზე გადახტომა დიდი საპასუხისმგებლო საქმე გახლდათ და მთელი სიმძიმე ელისაბედის ნამდვილი თუ მოჩვენებითი რისხვისა ერთ ვინმეს არ უნდა დასტეხოდა თავს. ამიტომაც იყო, რომ სესილმა წინადადე-

ბა შემოიტანა, ერთად გაეცათ განკარგულება დასჯისა და ყველას ერთად ეკისრა პასუხისმგებლობა. ლორდ კენტსა და ლორდ შრუ-ბერის დაევალათ, თვალი ედევნებინათ განაჩენის აღსრულებისათვის, მდივანი ბიილი კი ფოტერინგეიში გაგზავნეს შესაბამისი რწმუნებით. ამგვარად, სახელმწიფო საბჭოს ათ წევრს გაუნაწილეს მოჩვენებითი დანაშაული, რომელთაც „ძალაუფლების“ მოჩვენებითი „გადამეტე-ბით“ დედოფლისათვის მხრებიდან „ტვირთი“ უნდა ჩამოეხსნათ.

ჩვეულებისამებრ, ელისაბედი მეტისმეტად ცნობისმოყვარე იყო, ეს ლამის მისი ძირითადი თვისება გახლდათ. მუდამ უნდოდა სცოდ-ნოდა, თან სასწრაფოდ, — რა ხდებოდა მის ციხე-კოშკებში, ასევე მთელ სამეფოში. მაგრამ განა უჩვეულო არ იყო: ამჯერად არც დევი-სონს, არც სესილს, არც სხვა ვინმეს არ ეკითხებოდა მის მიერ ხელ-მოწერილი განაჩენის ამბავს. სამი დღის განმავლობაში ერთხელაც არ მოჰგონებია ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება, თითქოს გა-მოუფრინდა თავიდან, თუმცა რამდენიმე თვე იყო, მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. ღრუბელივით გაიფანტა, უკვალოდ გაქრა საქმე მისი მეხსიერების სფეროდან. მეტიც, მეორე დილასაც, კვირას, როცა ამიას პაულეტის პასუხი გადასცეს უოლსინჰემის წერილზე, არც კი მოჰგონებია, რომ განაჩენს ხელი მოაწერა.

ამიას პაულეტის წერილმა დიდად ვერ გაახარა დედოფალი, ერთ-გულმა მცველმა მაშინვე იგრძნო, რა უმადური როლი შესთავაზეს. მიხვდა, რა ჯილდოც ელოდა, თუ იგი იკისრებდა მარიამ სტიუარტის თავიდან მოშორებას: დედოფალი საჯაროდ გამოაცხადებდა მკვლე-ლად და სასამართლოს გადასცემდა. არა, ამიას პაულეტი არ ენდო-ბოდა ტიუდორების სიკეთეს და არ სურდა განტევების ვაცი ყოფილი-ყო, მაგრამ ვერ გაბედა, არ დამორჩილებოდა დედოფლის ბრძანებას, ჭკვიანმა პურიტანელმა ამჯობინა, უფრო დიდი მბრძანებლისათვის, ღმერთისთვის შეევედრებინა თავი. თავისი უარი მაღალფარდოვანი მორალის საბურველში გაახვია:

„გული ნაღველითა მაქვს სავსე, — უპასუხა გზნებით, — რადგან სამწუხაროდ, დადგა ის დღე, როცა კეთილი მბრძანებლის სურვილ-ით მთავაზობენ, ჩავიდინო საქმე ღვთისა და კანონის საწინააღმდეგო. მთელი ჩემი ამქვეყნიური ავლადიდება, სამსახური, ჩემი სიცოცხლე მის უდიდებულესობას ეკუთვნის. თუ იგი ინებებს, მე მზადა ვარ, ხვალვე უარი ვთქვა ყველაფერზე, რადგან მის სიკეთესა და მოწყ-

ალებას უნდა ვუმადლოდე ყოველივეს. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, ისე დავეცე, ჩამოურეცხელი ლაფი დავასხა მთელ ჩემს გვარს, დავეთანხმო სისხლის დაღვრაზე, რომ არ ეთანხმებოდეს კანონსა და ოფიციალურ ბრძანებას. იმედი მაქვს, თქვენი უდიდებულესობა, მუდამ მოწყალე ჩემდამი, ამ უმორჩილეს პასუხს მეგობრულ განწყობილებად მიიღებს“.

მაგრამ ელისაბედი სულაც არ ფიქრობდა მეგობრულ განწყობილებად მიეღო პასუხი თავისი ამიასისა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ცამდე აჰყავდა „დაუცხრომელი გულმოდგინებისა და შეუმცდარი მოქმედებისათვის“. განრისხებული ბოლთას სცემდა ოთახში და ლანძღავდა ამ „გულაზიზ უკარებლებს“ (dainty and precise fellows). ყველანი ბევრს ჰპირდებოდნენ, მაგრამ არაფერს უკეთებდნენ. დედოფალი მრისხანებდა, პაულეტმა გატეხა ფიცი; მან ხელი მოაწერა Act of Association, დაიფიცა, სიცოცხლეს გაწირავდა დედოფლის სამსახურისათვის. განა ცოტანი იყვნენ სხვები, ყველაფერს რომ გააკეთებდნენ დედოფლისათვის, რასაც ისურვებდა, თუნდაც უინგფილდი. ნამდვილად თუ მოჩვენებით მთელი რისხვა საწყალ დევისონს დაატყდა თავს. უოლსინჰემი ეშმაკი იყო, კარგად მოიფიქრა, თავი მოეკვადმყოფებინა. ეს სულელი კი კვლავ ურჩევდა, კანონიერ გზას გაჰყოლოდა. შენზე უფრო ჭკვიანი ადამიანები სხვაგვარად ფიქრობენო, — შეახურა დედოფალმა დევისონი. ეს საქმე კარგა ხანია უნდა დაგვესრულებინა, სირცხვილი ყველას, რომ ამდენ ხანს აჭიანურებთო. დევისონი დუმდა. მას შეეძლო თავი მოეწონებინა, რომ საქმე სრულდებოდა, მაგრამ გრძნობდა, გაანაწყენებდა დედოფალს, თუ პატიოსნად მოუყვებოდა, რაც ეტყობა, ელისაბედმა კარგა ხანია იცოდა. სახელდობრ იმას, რომ დიდ, სახელმწიფო ბეჭედდასმული განაჩენით ხელში ფოტერინგეიში გაემგზავრა შიკრიკი და მას თან გაჰყვა ვიღაც დაბალი, ჩასკვნილი ყმაწვილი, ქალაქ ლონდონის ჯალათი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, სიტყვა საქმედ ექცია — დაეღვარა სისხლი.

„ვითა დავლამდი, ისე გავთენდი“

1587 წლის 8 თებერვალი

En ma fin est mon commencement, — ოდესღაც ეს სიტყვები ამოქარგა მარიამ სტიუარტმა ფარჩის საბურველზე. მაშინ არ ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. ახლა კი ახდა ბუნდოვანი წინათგრძნობა — მხოლოდ ტრაგიკული სიკვდილი დაუდებდა ჭეშმარიტ საწყისს მის დიდებას, მხოლოდ ამ სიკვდილს შეეძლო მომავალი თაობების თვალში გამოესყიდა მისი ყმაწვილქალობის დანაშაული, გარდაესახა მისი შეცდომები. უკვე მრავალი კვირაა, დინჯად, მოფიქრებულად ემზადებოდა სიკვდილმისჯილი უდიდესი განსაცდელისათვის. მთლად ახალგაზრდა დედოფალმა ორჯერ ნახა, დიდებული როგორ კვდებოდა ჯალათის ნაჯახქვეშ. ადრევე მიხვდა, რომ ამ გარდაუვალ ადამიანურ საშინელებას მხოლოდ მტკიცედ თავის დაჭერით სძლევდა. მთელი მსოფლიო და მომავალი თაობები (მარიამ სტიუარტმა ეს იცოდა) ბევრს იმსჯელებდნენ მის თავდაჭერასა და საქციელზე, როცა პირველი გვირგვინოსან მეფეთაგან თავს დახრიდა ჯალათის კუნძზე. სულ მცირეოდენი ცახცახი, მცირეოდენი ლაჩრული სიფერმკრთალე ამ მძიმე წუთებში მისი მეფური ღირსების ღალატი იქნებოდა. ასე იკრებდა სულიერ ძალებს მყუდროობაში, ამ ლოდინის დღეებში.

ეს მგზნებარე, დაუცხრომელი ქალი მთელ თავის სიცოცხლეში ისე მოფიქრებულად და მშვიდად არაფრისთვის არ მომზადებულა, როგორც თავისი აღსასრულისათვის.

აი, ამიტომ იყო, რომ ვერც განცვიფრება, ვერც შიშის ნაკვალევი ვერავინ შენიშნა, როცა სამშაბათს, 7 თებერვალს, მსახურებმა მოახსენეს, ლორდები — შრუსბერი და კენტი ჩამოვიდნენ მაგისტრა-

ტის რამდენიმე წევრთან ერთადო. დინჯად მოიხმო ახლობელი ქალები და თითქმის ყველა მსახური. მხოლოდ ერთგული მსახურებით გარშემორტყმულმა მიიღო ელჩები. ახლა სურდა, ყოველ წუთს გვერდით ჰყოლოდა ისინი, რომ ოდესმე ეთქვათ, იაკობ V-ისა და მარიამ ლოტარინგიელის ქალიშვილმა, ვის ძარღვებში სტიუარტებისა და ტიუდორების სისხლი ჩქეფდა, ძალა მოიკრიბა, რომ მამაცურად და უდრეკად გადაეტანა ყველაზე მძიმე განსაცდელი. შრუსბერიმ, კაცმა, ვის ჭერქვეშაც გაატარა ოცი წელი, მის წინაშე მუხლი მოიყარა და დახარა ჭაღარა თავი. ხმა ოდნავ უცახცახებდა, როცა გამოუცხადა, რომ ელისაბედი ბოლოს მაინც იძულებული გახდა, ყურად ეღო თავის ქვეშევრდომთა დაჟინებული მოთხოვნა და ებრძანებინა, განაჩენი სისრულეში მოეყვანათო. მარიამ სტიუარტი არ განუცვიფრებია ამ უსიამოვნო ამბავს. არ აღელვებულა, იცოდა, ყოველ მის საქციელს შეიტანდნენ ისტორიის წიგნში. მოისმინა განაჩენი, მერე მშვიდად გადაიწერა პირჯვარი და წარმოთქვა: „მადლობას ვწირავ უფალს იმ ამბისათვის, რაც თქვენ მაუწყეთ. ამაზე უფრო ვეღარაფერი დამამშვიდებდა, რადგან იგი აღმითქვამს ამქვეყნიურ სატანჯველთა დასრულებას და მოწყალებას ღვთისა, ვინც ღირს მყო სიკვდილისა მისი სახელისა და მისი ნეტარი რომაულ-კათოლიკური ეკლესიის სადიდებლად“. სიტყვაც კი არ უთქვამს განაჩენზე. მას აღარ სურდა, ვით დედოფალს ებრძოლა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც მეორე დედოფალმა გამოიჩინა, უნდოდა, ვით ქრისტიანს დაესრულებინა სიცოცხლე, იქნებ ეს მოწამებრივი სიკვდილი უკანასკნელი ზეიმი იყო მისთვის ამქვეყნად. მხოლოდ ორი რამ ჰქონდა სათხოვარი: თავისი მოძღვარი თან გაჰყოლოდა ლოცვა-კურთხევით და მეორე დღესვე არ დაესაჯათ: გონივრულად უნდა მოეფიქრებინა თავისი უკანასკნელი განკარგულებანი. მაგრამ ორივე თხოვნაზე უარი უთხრეს. ცრუ სარწმუნოების მოძღვარი არ გჭირდებათო, — მიუგო გრაფმა კენტმა, ფანატიკოსმა პროტესტანტმა, სამაგიეროდ შეჰპირდნენ, რეფორმატორული ეკლესიის მღვდელს გამოუგზავნიდნენ, რათა ეზიარებინა ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის. რაღა თქმა უნდა, მარიამ სტიუარტმა ამ მძიმე წუთებში, როცა მთელი კათოლიკური სამყაროს წინაშე თავისი სიკვდილით უნდა განემტკიცებინა თავისი რწმენა, უარი თქვა ერეტიკოსი მღვდლის ქადაგების მოსმენაზე, მის სარწმუნოებაზე. განწირული მსხვერპლისათვის ამ უტაქტო წინადადებაზე

ნაკლებ მკაცრად ჟღერდა, რომ უარი უთხრეს სიკვდილით დასჯის გადადებაზე. რადგან მოსამზადებლად მხოლოდ ერთი ღამე ჰქონდა, ამ მცირე ხანში დრო აღარ რჩებოდა შიშისა და მღელვარებისათვის. მომაკვდავს ყოველთვის (ეს წყალობაა ღმერთისა ადამიანზე) ცოტა დრო რჩება.

გონივრულად, ჩაფიქრებით, ვაი რომ აქამდე ეს უცხო იყო მისთვის, გაანაწილა თავისი უკანასკნელი საათები. დიდებით მოსილ დედოფალს სურდა ჭეშმარიტი, დიადი სიკვდილით მომკვდარიყო. მოუხმო თავის შეუმცდარ ხელოვნებას, თავის მემკვიდრეობით არტისტულობას, თანდაყოლილ მამაცობას, ყველაზე საშიშ წუთებშიც რომ არ ღალატობდა და მოემზადა გასამგზავრებლად, თითქოს ზეიმის, დღესასწაულის, დიდებული ცერემონიისათვის ემზადებოდა. შემთხვევას ვერაფერს მიანდობდა. წუთებს, განწყობილებას, ყველაფერს ეფექტით ამოწმებდა. ყველაფერი მეფური დიდებითა და წარმოსადეგად მოაწყო. ყოველი დეტალი ზუსტად ჰქონდა მოფიქრებული მოწამებრივი აღსასრულის გმირული ეპოპეის ამაღელვებელი თუ მოკრძალებული სტროფივით. ჩვეულებრივზე ცოტათი ადრე, რომ მშვიდად დაეწერა აუცილებელი წერილები და ფიქრები მოეკრიბა, ბრძანა, ვახშამი მიერთმიათ და სიმბოლურად მისცა მას უკანასკნელი საღამოს ელფერი. ივახშმეს, შემოიკრიბა მსახურები და სთხოვა, ღვინო დაესხათ. მეტისმეტად სერიოზულად, შუბლნათელმა ასწია სავსე ჭიქა მის წინ მუხლებზე დამხობილ მსახურთა თავს ზემოთ, შესვა მათი სადღეგრძელო და დაუბარა, კათოლიკური სარწმუნოების ერთგულნი ყოფილიყვნენ, ერთმანეთში თანხმობით ეცხოვრათ. თითოეულს სთხოვა — ეს vita sanctorum[1] სცენას მიაგავდა — მიეტევებინა, თუ რამე აწყენინა ნებსით თუ უნებლიეთ. ამის შემდეგ თითოეულ მათგანს აჩუქა მათთვის სიყვარულით შერჩეული საჩუქრები: ბეჭდები და თვალმარგალიტი, ოქროს ძეწკვები და მაქმანები, ნატიფი ნივთები, რაც ოდესღაც ალამაზებდნენ და ამრავალფეროვნებდნენ მის წარმავალ სიცოცხლეს. მუხლებზე დამხობილნი, ზოგი დუმილით, ზოგი ტირილით იღებდა საჩუქრებს. დედოფალიც მოულოდნელად ააღელვა მსახურთა მწუხარებამ და სიყვარულმა.

ბოლოს წამოდგა და თავის ოთახში გავიდა. საწერ მაგიდაზე კარგა ხანია ენთო თაფლის სანთლები. ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გა-

[1] *წმინდანთა ცხოვრებიდან (ლათ.).*

საკეთებელი გათენებამდე: ბიბლია უნდა წაეკითხა, მომზადებულიყო ხვალინდელი ძნელი გზისათვის და უკანასკნელი წერილი დაეწერა. პირველ, უფრო გრძნობით გამსჭვალულ წერილში იგი სთხოვდა თავის სულიერ მოძღვარს, ამაღამ ნუ დაიძინებ, ჩემთვის ილოცეო, თუმცა იგი იმავე ციხეში ორი სამი ოთახით იქით იყო, რადგან გრაფმა კენტმა, შეუბრალებელმა ფანატიკოსმა, სასტიკად აუკრძალა ნუგეშისმცემელს თავისი ოთახიდან გამოსვლა, რომ სიკვდილმისჯილისათვის არ მიეცა უკანასკნელი „პაპისტური“ ზიარება. შემდეგ დედოფალმა წერილები მისწერა თავის ნათესავებს — ჰენრიხ III-სა და ჰერცოგ დე გიზს. ამ უკანასკნელ წუთებში დიდი საზრუნავი გაუჩნდა, რაც ღირსებით მოსავდა მას: ქვრივობის პენსიას რომ შეუწყვეტდნენ, მის მსახურთ აღარ ექნებოდათ საარსებო საშუალება. იგი სთხოვდა საფრანგეთის მეფეს, გადაეხადა მის მსახურთათვის მისი ანდერძისამებრ და ეწირათ „ყოვლადქრისტიან, სიკვდილის გზაზე მიმავალ, ყოველ ამქვეყნიურ სიკეთეს მოკლებულ, კათოლიკური ეკლესიის ერთგული დედოფლისათვის“.

ფილიპე II-სა და პაპს ადრე მისწერა წერილები. მხოლოდ ამქვეყნის მბრძანებლისათვის ელისაბედისათვის დარჩა მისაწერი, მაგრამ ერთი სიტყვაც კი არ მიუწერია მისთვის. აღარაფერი ჰქონდა სათხოვარი, აღარაფერი ჰქონდა სამადლობელი. მხოლოდ ამაყი დუმილითა და თავისი სიკვდილის სიდიადით შეეძლო შეერცხვინა ძველი მტერი.

შუაღამე გადასული იყო, რომ დაწვა. ყველაფერი, რაც სიცოცხლეში უნდა გაეკეთებინა, გააკეთა. მხოლოდ რამდენიმე საათს დაჰყოფდა სული ტანჯულ სხეულში. მუხლებზე დამხობილი მსახურნი კუთხეში მიყუჟულიყვნენ და უმოძრაო ტუჩებით ლოცულობდნენ, რომ მძინარე არ შეეწუხებინათ. მაგრამ მარიამ სტიუარტს არ ეძინა. ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა დიად ღამეს. მხოლოდ მოქანცული სხეულის ნაწილები ისვენებდნენ, რომ გულაუძგერებლად, მხნედ წარმდგარიყო ყოვლად ძლიერი სიკვდილის წინაშე.

მრავალი ზეიმისათვის გამოწყობილა მარიამ სტიუარტი, გვირგვინის დადგმისათვის და ნათლობისათვის, ქორწილისა და რაინდული თამაშებისათვის, სასეირნოდ, საომრად და სანადიროდ, წვეულთა მისაღებად, მეჯლისებისა და ტურნირებისათვის. ყოველთვის დიდებულად ჩაცმული გამოდიოდა, იცოდა, რა ძალა ჰქონდა

ამქვეყნად სილამაზეს, მაგრამ არასოდეს არავითარი მიზეზის გამო არ ჩაუცვამს ასე მოფიქრებულად, როგორც თავისი ბედის ამ დიადი წუთების — სიკვდილის შესახვედრად. მრავალი დღითა და კვირით ადრე მოიფიქრა აღსასრულის ღირსეული რიტუალი, გულმოდგინედ აწონა ყოველი დეტალი. ყოველი კაბა გადასინჯა, მთელი გარდერობი გადაქექა, რომ ამ არნახული შემთხვევისათვის ღირსეული ტანსაცმელი შეერჩია. ალბათ როგორც ქალს, უკანასკნელი კოპწიაობით სურდა სამაგალითოდ დაეტოვებინა, რა სრულყოფილების გვირგვინი უნდა ყოფილიყო ეშაფოტზე მიმავალი დედოფალი. ორ საათს, 6-დან 8-მდე აცმევდნენ მსახურნი. არ უნდოდა, ღატაკივით, ტანსაცმელჩამოძონძილი მათხოვარივით ასულიყო სასაკლაოზე. ამ უკანასკნელი გზისათვის დიდებული, სადღესასწაულო ტანსაცმელი, ყველაზე მკაცრი და ნატიფი გემოვნებით შეკერილი, მუქი ყავისფერი ხავერდის, კვერნის ბეწვით გაწყობილი, თეთრ, გახამებულსაყელოიანი და საუცხოო, ჩამოშვებულსახელოებიანი კაბა შეარჩია. ამ დიდებულ მორთულობას აგვირგვინებდა შავი აბრეშუმის მანტია. კაბას ისეთი გრძელი კუდი ჰქონდა, რომ მოწიწებით უნდა სჭეროდა მის ჰოფმაისტერ მელვილს. თავიდან ფეხებამდე ბურავდა თოვლივით ქათქათა ქვრივის საბურველი. ნაზად ნაკეთები და ძვირფასი მძივი შეადგენდა მის სამკაულს. ტარსიკონის თეთრი ფეხსაცმლით ისე დააბიჯებდა, რომ მისი ნაბიჯების ხმას არ დაერღვია სამარისებური სიჩუმე, როცა ეშაფოტისკენ გაემართებოდა. დედოფალმა თვითონ ამოიღო საყვარელი ზარდახშიდან ცხვირსახოცი — უნაზესი ბატისტის, ოქროს არშიაშემოვლებული, იქნებ მისივე ხელითაც ნაქარგი, რითაც თვალებს აუხვევდნენ. ყოველი ბალთა მის კაბაზე დიდი გემოვნებით იყო შერჩეული, ყოველი წვრილმანი ეხამებოდა ერთმანეთს, ისიც გაითვალისწინა, რომ ჯალათის კუნძთან უცხო მამაკაცის თვალწინ მოუხდებოდა ამ მუქი, დიდებული ტანსაცმლის გახდა. უკანასკნელ სისხლიან წუთებზეც იფიქრა, ქვეშ მეწამული აბრეშუმის კაბა ჩაიცვა და ბრძანა, იდაყვებამდე გრძელი, ვერცხლისფერი ხელთათმანები მოეშზადებინათ, რათა სისხლი, ნაჯახქვეშ რომ იფეთქებდა, ძალიან მკვეთრად არ გამოჩენილიყო მის კაბაზე. სიკვდილმისჯილი ტყვე არასოდეს ასეთი ნატიფი გემოვნებითა და თავისი სიდიადის შეგრძნებით არ მომზადებულა სიკვდილისათვის.

დილის რვა საათზე კარზე დააბრახუნეს. მარიამ სტიუარტმა არ

უპასუხა. იგი კვლავ მუხლმოყრილი იდგა სახარების წინ და სულის მოსახსენიებელ ლოცვებს კითხულობდა. როცა ლოცვა გაასრულა, მხოლოდ მაშინ წამოდგა და მეორედ დაბრახუნებაზე გააღო კარი. შემოვიდა შერიფი, თეთრი კვერთხით ხელში (მალე ამ კვერთხს გადასტეხდნენ), მოწიწებით მუხლი მოიყარა და მოახსენა: „Madame, ლორდებმა გამომგზავნეს, გელოდებიან“. „წავიდეთ“, — მიუგო მარიამ სტიუარტმა და წასასვლელად მოემზადა. იწყება მისი უკანასკნელი გზა. აქეთ-იქიდან მსახურები ამოსდგომიან და დიდი გაჭირვებით ადგამს რევმატიზმისგან დასნეულებულ ფეხებს. სამგზის სარწმუნოებრივი იარაღი აისხა უეცარი შიშისგან დასაცავად: კისერზე ოქროს ჯვარი ჩამოიკიდა, ქამარზე — ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ხატები, ხელში — ღვთის მოშიშთა მახვილი — სპილოს ძვლისაგან ნაკეთები ჯვარცმული ქრისტე ეპყრა: დაე, ქვეყანას დაენახა, როგორ კვდებოდა დედოფალი კათოლიკური რწმენითა და კათოლიკური რწმენისათვის. დაე, დაეკიწყებინათ, რომ ცოდვანი და განუსჯელი საქციელი ამძიმებდა მის ყმაწვილქალობას და ვით მონაწილე განზრახული მკვლელობისა უნდა წარმდგარიყო ჯალათის წინაშე. ყოველი დროისათვის სამაგალითო უნდა გამხდარიყო, ერეტიკოსთა, მტრების მსხვერპლი კათოლიციზმისათვის ეწამებოდა.

ჩაფიქრებული და შეთანხმებული იყო, მხარში ამოუდგებოდნენ და ზღურბლამდე მიაცილებდნენ ერთგული მსახურნი, რადგან ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა დარჩენილიყო, თითქოს ისინიც მონაწილენი იყვნენ სამარცხვინო საქმისა და თვითონვე მიჰყავდათ თავიანთი ქალბატონი ეშაფოტთან. მხოლოდ თავის სახლში მოემსახურებოდნენ, ჯალათს კი არ მიეშველებოდნენ მის საშინელ სიკვდილში. კარიდან კიბის საფეხურამდე ამიას პაულეტის ორმა ხელქვეითმა მიაცილა: მხოლოდ მის მტრებს, მის უბოროტეს მტრებს შეეძლოთ, როგორც უდიდესი დანაშაულის ხელისშემწყობს, მიეყვანათ გვირგვინოსანი დედოფალი ეშაფოტთან. ქვემოთ, ბოლო საფეხურთან, დიდი დარბაზის შესასვლელთან, სადაც სიკვდილით უნდა დაესაჯათ, მუხლმოყრილი ენდრიუ მელვილი ელოდებოდა — მისი ჰოფმაისტერი. შოტლანდიელ დიდებულს იაკობ VI-ისთვის უნდა შეეტყობინებინა დედოფლის სიკვდილით დასჯა. დედოფალმა წამოაყენა და გადაეხვია. მას ახარებდა ერთგული მოწმის თანდასწრება. იგი დაამშვიდებდა სულიერად. მან ხომ დაიფიცა, მხნეობა არ დაეკარგათ. მელვილის

სიტყვებზე: „ჩემს სიცოცხლეში ყველაზე მძიმე მოვალეობა მხვდა წილად, შევატყობინო ჩემი უბრწყინვალესი დედოფლის დასჯა“, მან მიუგო: „გიხაროდეს, რომ მოახლოვდა ჩემი ტანჯვის აღსასრული. ოღონდ იქ შეატყობინე, რომ მოვკვდი ჩემი სარწმუნოების ერთგული, ნამდვილ კათოლიკედ, შოტლანდიის ჭეშმარიტ ასულად, ჭეშმარიტ ასულად მეფეებისა. დაე, ღმერთმა აპატიოს, ვინც ჩემი სიკვდილი ინება. ჩემს შვილს გადაეცი, არასოდეს ისეთი რამ არ გამიკეთებია, რაც მას ავნებდა. არასოდეს არაფერში არ დამითმია ჩვენი მეფური უფლებები“.

ეს რომ თქვა, სთხოვა გრაფებს — შრუსბერისა და კენტის, ნება დაერთოთ მისი ახლობელი ქალებისთვის, დასწრებოდნენ მის დასჯას. გრაფი კენტი წინააღმდეგი იყო: ქალები გოდებითა და ტირილით დაარღვევენ დარბაზში წესიერებას და უკმაყოფილებას გამოიწვევენო. უეჭველად მოისურვებენ დედოფლის სისხლში დაისველონ ცხვირსახოცებიო. მაგრამ მარიამ სტიუარტი დაჟინებით მოითხოვდა თავისი უკანასკნელი სურვილის აღსრულებას: „პირობას ვდებ, ამას არ იქმენ. მე მგონი, თქვენი დედოფალი უარს არ ეტყოდა თავის სწორს იმაზე, რომ სეფექალნი მომსახურებოდნენ ბოლო წუთებში. ასეთი მაღალი გვარისაც რომ არ ვიყო, იგი აღასრულებდა ჩემს თხოვნას. მე ხომ მისი ახლო ნათესავიცა ვარ, ჰენრიხ VII-ის შვილიშვილი, საფრანგეთის ქვრივი დედოფალი და შოტლანდიის გვირგვინოსანი დედოფალი“.

გრაფებმა მოითათბირეს. ბოლოს ნება დართეს, თან წაეყვანა ოთხი მსახური და ორი სეფექალი. მარიამ სტიუარტი ამით დაკმაყოფილდა. თავისი რჩეულებისა და ერთგულებით, ასევე ენდრიუ მელვილის თანხლებით, რომელსაც მისი კაბის ბოლო ეკავა, წინ კი შერიფი, შრუსბერი და კენტი მიუძღოდნენ, შევიდა ფოტერინგეის ციხის დიდ დარბაზში.

აქ მთელი ღამე ჩაქუჩებს უკაკუნებდნენ. შენობიდან გაიტანეს მაგიდები და სკამები. დარბაზის სიღრმეში აღმართული იყო კატაფალკის მსგავსი, შავქსოვილგადაფარებული ფიცარნაგი. შავ ქსოვილგადაფარებული კუნძის წინ იდგა სკამი, ზედ შავი ბალიში იდო. ამ ბალიშზე მუხლი უნდა მოეყარა დედოფალს სასიკვდილო დარტყმის მისაღებად. მარჯვნივ და მარცხნივ გრაფებისათვის — შრუსბერისა და კენტისათვის, ელისაბედის რწმუნებულებისათვის, სა-

პატიო სავარძლები იდგა. კედელთან ორ ბრინჯაოს ქანდაკებასავით გაქვავებულიყო შავ ხავერდის ტანსაცმელში გამოწყობილი, შავ ნიღბებაფარებული ორი უსახური ქმნილება — ჯალათი და მისი თანაშემწე. თავისი უბრალოებით შემაძრწუნებელ ამ დიდ სცენაზე ასვლა მხოლოდ მსხვერპლსა და მის ჯალათს შეეძლოთ. მაყურებლები დარბაზის სიღრმეში შეჯგუფულიყვნენ. ბარიერთან იდგნენ და იცავდნენ პაულეტი და მისი ჯარისკაცები. ბარიერს გადაღმა ასე ორასი დიდებული იდგა. თავიანთი მამულებიდან მოსულიყვნენ, რომ ენახათ არნახული სანახაობა — გვირგვინოსანი დედოფლის სიკვდილით დასჯა. ციხე-კოშკის დაკეტილ კართან ასობით მდაბიოს მოეყარა თავი. უჩვეულო ამბავს ისინიც მოეზიდა აქ, მაგრამ მათ შესვლა აკრძალული ჰქონდათ. მხოლოდ იმათ შეეძლოთ ეცქირათ, როგორ დაიღვრებოდა დედოფლის სისხლი, ვისაც ძარღვებში დიდებულთა სისხლი უჩქებდათ.

მშვიდად შევიდა მარიამ სტიუარტი დარბაზში. დაბადებითვე დედოფალი, ბავშვობაშივე მიეჩვია თავის დაჭერას დედოფლურად და ამ მაღალი ხელოვნებისათვის არ უღალატია ყველაზე მძიმე წუთებშიც კი. ამაყად თავაწეული ავიდა ეშაფოტის ორივე საფეხურზე, ისევე, როგორც თხუთმეტი წლისა ადიოდა საფრანგეთის ტახტზე, როგორც ადიოდა საკურთხევლის საფეხურებზე რაიმსში. ასე ავიდოდა ინგლისის ტახტზე, სხვა ვარსკვლავზე რომ ყოფილიყო დაბადებული. ისევე მშვიდად და ამაყად მოიყარა მუხლი საფრანგეთის მეფისა და შემდეგ შოტლანდიის მეფის მხარდამხარ მოძღვრის ლოცვა-კურთხევის მისაღებად, როგორც ახლა იყრიდა მუხლს სიკვდილის ლოცვა-კურთხევის წინაშე. გულგრილად მოუსმინა, როცა მდივანმა ხელმეორედ წაიკითხა განაჩენი. გეგონებოდათ, სიხარულით უბრწყინავდა სახე. სწორედ ამისთვის სძულდა უინგფელდს. ეს ამბავი სესილს რომ შეატყობინა, ვეღარ მოითმინა არ ეთქვა, მარიამ სტიუარტი სასიხარულო ამბავივით ისმენდა განაჩენსო.

მაგრამ დედოფალი ჯერ კიდევ ელოდა განსაცდელს. იგი ცდილობდა, ამ უკანასკნელ წუთებში სიწმინდითა და დიდებით შემოსილიყო. კათოლიკური სარწმუნოებისათვის წამებულ წმინდანს სურდა რწმენის კაშკაშა ჩირაღდნით გადაენათებინა მსოფლიო. პროტესტანტი ლორდები ნებას არ მისცემდნენ, რომ მგზნებარე კათოლიკეს გამოსათხოვარი სიტყვა ყოფილიყო „მწამს“. უკანასკნელ წუთებშიც კი

ცდილობდნენ, ყოველი წვრილმანი გაბოროტებით დაემცირებინათ მისი მეფური ღირსება. იმ მოკლე გზაზე, სანამ სასჯელის ადგილამდე მივიდოდა, რამდენჯერმე მიიხედ-მოიხედა, რომ დამსწრეთა შორის თავისი სულიერი მოძღვარი დაენახა, იქნებ უხმოდ მანიშნოს ცოდვათა მიტევება და მაკურთხოსო, მაგრამ ამაოდ. მის სულიერ მოძღვარს აკრძალული ჰქონდა თავისი ოთახიდან გამოსვლა. და აი, როცა იგი მოემზადა, შეჰგუებოდა სიკვდილს თავისი სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევის გარეშე, ეშაფოტზე უცბად გამოჩნდა რეფორმატორი მღვდელი, პიტერსბოროუელი დოქტორი ფლეჩერი. მარიამ სტიუარტს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თან სდევდა ულმობელი სასტიკი ბრძოლა ორ რელიგიას შორის, რამაც მოუწამლა ყმაწვილქალობა, გატეხა მისი სიცოცხლე. ლორდებს, რასაკვირველია, კარგად ახსოვდათ, მორწმუნე კათოლიკე მარიამ სტიუარტმა რომ სამჯერ განაცხადა, სჯობს, ცოდვების მიტევების გარეშე მოვკვდე, ვიდრე ერეტიკოსმა მღვდელმა დამლოცოსო. მაგრამ ისევე, როგორც ეშაფოტზე მდგარ მარიამ სტიუარტს სურდა განედიდებინა თავისი სარწმუნოება, პროტესტანტებიც ცდილობდნენ თავიანთის განდიდებას. მათაც მოუხმეს უფალ ღმერთს. თითქოს დედოფლის სულის გახსნას ცდილობსო, რეფორმატორი პასტორი თავის sermon[1]-ს კითხულობდა, რაც მარიამ სტიუარტმა, მოუთმენლად რომ ელოდა სიკვდილს, შეაწყვეტინა. სამჯერ-ოთხჯერ სთხოვა დოქტორ ფლეჩერს, თავს ნუ შეიწუხებთო, რადგან იგი მტკიცედ იცავდა რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებას. რის გამოც ღვთის განგებით, იტანჯებოდა. მაგრამ ამპარტავანმა პასტორმა არად ჩააგდო მომაკვდავის სურვილი, გულმოდგინედ ჩაარაკრაკა თავისი sermon-ი, რადგან საშუალება მიეცა, ასეთი რჩეული ხალხის ყურადღება მიეპყრო. იგი თავისას ყბედობდა და როცა მარიამ სტიუარტმა ვერ შეძლო შეწყვეტინებინა საზიზღარი ლაყბობა, უკანასკნელი საშუალება იხმარა: ცალ ხელში იარაღივით დაიჭირა ჯვარცმა, მეორეში — ლოცვანი, დაემხო მუხლებზე და მოჰყვა ლოცვას ლათინურად, რათა წმინდა სიტყვებით ჩაეხშო მოსაწყენ სიტყვათა ფრქვევა. ამგვარად, იმის მაგივრად, რომ საერთო ღმერთისათვის მიემართათ, ლოცვა აღევლინათ განწირული მსხვერპლის სულისათვის, ეშაფოტიდან ორ ნაბიჯზე ერთმანეთს ებრძოდა ორი რელიგია. ჩვეულებისამებრ, სიძულვილი სძლევს ხოლმე სხვი-

[1] *ქადაგება (ინგლ.).*

სი უბედურებისადმი თანაგრძნობას. შრუსბერი, კენტი და იქ მყოფთა უმეტესობა ინგლისურად ლოცულობდნენ, მარიამ სტიუარტი და მისი მსახურნი კი ლათინურად. პასტორი რომ დადუმდა, დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, მარიამ სტიუარტმა წარმოთქვა სიტყვა დევნილი ქრისტიანული ეკლესიის დასაცავად. მადლი შესწირა უფალს, რომ მისი სატანჯველი დასასრულს უახლოვდებოდა, მკერდზე ჯვარცმა მიიკრა და ხმამაღლა წარმოთქვა, ვსასოებ, სისხლით მოვიპოვო კურთხევა მაცხოვრისა, ვისი ჯვარიც ხელს მიპყრია და ვისთვისაც მზადა ვარ, სისხლი დავღვაროო. თავგამოდებულმა ფანატიკოსმა ლორდმა კენტიმ კიდევ ერთხელ სცადა, შეეწყვეტინებინა ლოცვა, მოსთხოვა თავი დაენებებინა ამ popish trumperies — პაპის თვალთმაქცობისათვის. მაგრამ მომაკვდავს აღარ აშინებდა ამქვეყნიური უსიამოვნებანი. დედოფალმა ერთი სიტყვის, ერთი შეხედვის ღირსადაც კი არ გახადა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად, გულწრფელად აპატია მტრებს, რომელთაც კარგა ხანია სწყუროდათ მისი სისხლი და შესთხოვა ღმერთს, ჭეშმარიტ გზაზე ეტარებინა. ჩამოვარდა სიჩუმე. მაგრამ სტიუარტმა იცოდა, ამას რაც მოჰყვებოდა. კვლავ ეამბორა ჯვარცმას, პირჯვარი გადაისახა და წარმოთქვა:

„ო, მოწყალეო იესო, შენი ჯვარცმული ხელები მიპყრობილია ყოველი ცოცხალისადმი. მაკურთხე მეც შენი ხელით და მომიტევე ცოდვანი ჩემნი. ამინ“.

შუა საუკუნეებისათვის უცხო არ იყო სისასტიკე და ძალმომრეობა, მაგრამ მათ უგულოს ვერ უწოდებდით. ზოგიერთ ჩვეულებაში საკუთარი არაადამიანურობის ისეთი ღრმა აღიარება გამოისახა, რაც გაუგებარია ჩვენს დროში. ყოველ სიკვდილით დასჯაში, რა მხეცურიც უნდა ყოფილიყო, ყოველგვარ საშინელებათა შორის გაიელვებდა ადამიანური სიდიადე. ამგვარად, სანამ მსხვერპლს შეეხებოდა, რათა მოეკლა ან ეწამებინა, ჯალათს მისთვის მიტევება უნდა ეთხოვა. ახლაც ნიღაბაფარებულმა ჯალათმა და მისმა თამაშემწემ მუხლი მოიყარეს მარიამ სტიუარტის წინაშე და მიტევება სთხოვეს, რომ იძულებულნი იყვნენ, სიკვდილი განემზადებინათ მისთვის. „მოგიტევებთ გულწრფელად, რადგან სიკვდილში ვხედავ ამქვეყნიურ სატანჯველთაგან დახსნას“, — მიუგო მარიამ სტიუარტმა. ჯალათი და მისი თანაშემწე მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ საშზადისს.

ამასობაში ორივე ქალმა გახადა დედოფალს ტანსაცმელი. იგი

თვითონ მიეშველა მათ კისრიდან ძეწკვის agnusdei[1]-ის მოხსნაში. ხელები არც კი ასცახცახებია. მისი უბოროტესი მტრის, სესილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისე ჩქარობდა, თითქოს ვეღარ ითმენდა ამ ქვეყნის დატოვებას“. როგორც კი მხრებიდან ჩამოუცურდა შავი მანტია და მუქი ტანსაცმელი, მათ ქვეშ იელვა მეწამულისფერმა კაბამ, ხოლო მსახურებმა ხელებზე ცეცხლოვანი ხელთათმანები ჩამოაცვეს, მაყურებელთა თვალწინ თითქოს ავარდა სისხლივით წითელი ალი. დიადი, დაუვიწყარი სანახაობა იყო. დაიწყო გამოთხოვება. დედოფალი გადაეხვია მსახურთ, სთხოვა მათ, ხმამაღლა ტირილი და გოდება არ დაეწყოთ. მერე მოიყარა მუხლი ბალიშზე და ხმამაღლა, ლათინურად კითხულობდა ფსალმუნს: In te, domine, confido, ne confundar in acternum.[2] ახლა ისღა დარჩენოდა, თავი დაედო კუნძზე და ისე მოხვია ხელი, ვით საიქიოს მიმავალ საქმროს. უკანასკნელ ამოსუნთქვისასაც კი არ უღალატია მეფური ღირსებისათვის. არც ერთ მის მოძრაობაში, არც ერთ სიტყვაში არ იგრძნობოდა შიში. ტიუდორების, სტიუარტებისა და გიზების ასული ღირსეულად მოემზადა სიკვდილისათვის. ადამიანური ღირსება, მემკვიდრეობით მიღებული და კეთილშენაძენი თავდაჭერა როგორ შეედრება იმ საოცრებას, რაც თან ახლავს ყოველ მკვლელობას. არასოდეს (ამაში ყველა წიგნი და გადმოცემა ტყუის) ადამიანის სიკვდილით დასჯა არ შეიძლება იყოს რომანტიკულად წმინდა და ამაღელვებელი. ჯალათის ნაჯახით სიკვდილი მუდამ საშინელი, ამაზრზენი სანახაობაა, საშინელი სასაკლაოა. პირველად ჯალათმა ააცდინა. პირველი დარტყმა კისერზე არ მოუვიდა, ყრუდ დაარტყა კეფაზე — მოწამეს დახშული ხრიალი, ყრუ კვნესა აღმოხდა. მეორე დარტყმამ ღრმად გაუჭრა კისერი, შადრევანივით იფეთქა სისხლმა. მხოლოდ მესამე დარტყმამ მოაცილა თავი სხეულს. კიდევ ერთი საშინელი წვრილმანი: როცა ჯალათმა თავს ხელი წაავლო თმაში, მაყურებელთათვის რომ ეჩვენებინა, ხელში მხოლოდ პარიკი შერჩა. თავი გადმოვარდა და მთლად სისხლში მოსვრილი კეგელის ბურთივით გრუხუნით დაგორდა ფიცარნაგზე. როცა ჯალათი მეორედ დაიხარა და ასწია, შემხედვარენი გაქვავდნენ: მათ წარმოუდგათ (რა მოლანდება იყო) მოხუცი ქალის

[1] *ღვთის კრავი (ლათ.) — თაფლის სანთლისგან ჩამოსხმული კრავის გამოსახულება, რაც ქრისტეს სიმბოლოს წარმოადგენდა.*

[2] *ღმერთო ჩემო! შენ გესავ, ნუ შევრცხვები, ნუ იზეიმებს მტერი ჩემზე (ფსალმ. 215.2).*

შეკრეჭილი, ჭაღარა თავი. ერთ წუთს საშინელებამ გააქვავა მაყურებელნი. ყველას სუნთქვა შეეკრა. სიტყვას ვერავინ სძრავდა. მხოლოდ პიტერსბოროუელი პასტორი მოეგო ბოლოს გონს და ჩახრინწული ხმით ჩაიბურტყუნა: „გაუმარჯოს დედოფალს!“

უძრავი, ამღვრეული თვალებით შესცქეროდა თაფლის სანთლის თავი დიდებულებს, რომლებიც, ბედი რომ სხვაგვარად დატრიალებულიყო, მისი ერთგული მსახურნი და სამაგალითო ქვეშევრდომნი იქნებოდნენ. 15 წუთს ცახცახებდნენ, ხრჭიალებდნენ შეკრული კბილები, ბოლოს მაყურებელნი შეიბრალეს, თავმოკვეთილ სხეულსა და თავს საჩქაროდ შავი ქსოვილი გადააფარეს. ამ სამარისებურ სიჩუმეში მსახურები იჩქაროდნენ თავიანთი საშინელი, მძიმე ტვირთის გადატანას, მაგრამ უცბად მოულოდნელმა ამბავმა გაფანტა ცრუმორწმუნეობრივი საშინელება. სწორედ იმ წუთში, როცა ჯალათებმა ასწიეს გასისხლიანებული სხეული, რომ მეორე ოთახში გაეტანათ, სადაც შემურავდნენ, კაბის ნაოჭში რაღაც ამოძრავდა, ვერავინ შეამჩნია, დედოფლის საყვარელი ძაღლი როგორ გამობმოდა მას და თითქოს თავისი ქალბატონის ბედი აშინებდა, მაგრად მიჰკვროდა. ახლა სისხლით მოსვრილი გამოხტა. ძაღლი ყეფდა, იკბინებოდა, წკმუტუნებდა, იღრინებოდა, არ შორდებოდა ცხედარს. ამაოდ ცდილობდნენ ჯალათები, ძალით მოეგლიჯათ, არ ემორჩილებოდათ, ვერც ალერსმა მოათვინიერმა, გააფთრებული ეცემოდა უზარმაზარ შავ ურჩხულებს, რომლებმაც მისი საყვარელი ქალბატონი სისხლით შეღებეს. ღვიძლ შვილსა და ათასობით ერთგულ ქვეშევრდომზე უფრო გააფთრებით იბრძოდა ეს პაწია არსება თავისი ქალბატონისათვის.

ᲕᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ
1587-1603

ძველბერძნულ თეატრში ნაღვლიანი, გრძელი ტრაგედიის შემდეგ მოკლე სახუმარო დრამას — თავისებურ ვოდევილს დგამდნენ. ამგვარი ეპილოგით სრულდება მარიამ სტიუარტის დრამაც. 8 თებერვალს მოჰკვეთეს თავი, მეორე დილას კი მთელმა ლონდონმა იცოდა მისი სიკვდილით დასჯის შესახებ. უდიდესმა სიხარულმა მოიცვა ამ ამბის გაგონებაზე ქალაქები და სოფლები; მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ესოდენ სმენამახვილ მბრძანებელს მოულოდნელად ყურთ რომ არ დაჰკლებოდა, ალბათ მაშინვე იკითხავდა, მისი ქვეშევრდომნი ამგვარი თავგამოდებით რა დღესასწაულს ზეიმობდნენ ისეთს, კალენდარში რომ არ იყო აღნიშნული. მან კი ჭკვიანურად თავი აარიდა ამ შეკითხვას, თანდათან მაგრად ეხვეოდა უჩინმაჩინის ჯადოსნურ საბურველში: სურდა, ოფიციალურად შეეტყობინებინათ მეტოქის დასჯა, „მოულოდნელად“ გაეგო ეს ამბავი.

უსიამოვნო მოვალეობა — მისი „ძვირფასი დის“ სიკვდილით დასჯა დედოფლისათვის შეეტყობინებინათ — სესილს ხვდა წილად. გულგრილად შეუდგა სესილი საქმეს. ამ გამოცდილ მრჩეველს ოც წელიწადში მრავალი ქარიშხალი დასტეხოდა თავზე, მეფის ნამდვილი რისხვაც და მოჩვენებითიც, სახელმწიფო პოლიტიკური მოსაზრებით. ამიტომ ეს მშვიდი, სერიოზული კაცი გულგრილად შევიდა დედოფლის მისაღებ ოთახში, რომ მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯა შეეტყობინებინა, მაგრამ უჩვეულო სცენა გათამაშდა. რა მოხდა? ნუთუ ვინმემ გაბედა მისი უშუალო ბრძანების გარეშე თავი მოეკვეთა მარიამ სტიუარტისათვის? ეს შეუძლებელია! წარმოუდგენელია! ამგვარ საშინელ ზომას მაშინაც კი არ გამოიყენებდა, თუნდაც ინგლისში მტერი შემოჭრილიყო. მრჩევლებმა მოატყუეს, უღა-

ლატეს, ნამდვილი არამზადებივით მოექცნენ. როგორ გაბედეს და შეარცხვინეს მთელი მსოფლიოს წინაშე, მის სახელს ჩამოურეცხავი ჩირქი მოსცხეს, ცბიერი ბოროტებით შელახეს მისი ღირსება? საწყალი, უბედური მისი და მსხვერპლად შეეწირა ამგვარ გაუგებრობასა და სულმდაბლურ თაღლითობას! ელისაბედი მოთქვამდა, ქვითინებდა, გააფთრებით ფეხს უბაკუნებდა ჭაღარა მინისტრს. ლანძღვა-გინების ნიაღვარი დაანთხია. როგორ გაბედეს მან და საბჭოს სხვა წევრებმა მისი ნებართვის გარეშე აღესრულებინათ მის მიერ ხელმოწერილი სასიკვდილო განაჩენი!

სესილსა და მის მეგობრებს ეჭვიც კი არ ეპარებოდათ, რომ ელისაბედი ეცდებოდა მის მიერ წაქეზებულ „უკანონობაზე“ პასუხისმგებლობა თავიდან მოეშორებინა და ეს ქვეშევრდომთა მხრიდან „ძალაუფლების გადაჭარბებად“ ჩაეთვალა. მათ ესმოდათ, რომ მათგან სწორედ ასეთ ურჩობას მოელოდნენ. ამიტომ შეთანხმდნენ, პასუხისმგებლობის „ტვირთი“ მოეხსნათ დედოფლისათვის.

კარგად იცოდნენ, ამგვარი მიზეზი ელისაბედს მხოლოდ თვალის ასახვევად სჭირდებოდა, მცირე საუდიენციო დარბაზში კი, Sub rosa, მადლობასაც გადაუხდიდნენ ასეთი სიმარჯვისათვის. მაგრამ ელისაბედმა ეს სცენა ისე გაითამაშა, რომ მისი ნების წინააღმდეგ თუ უნებურად, მოჩვენებითი მრისხანება ნამდვილში გადაიზარდა და ის მრისხანება, მდაბლად თავდახრილ სესილს რომ დაატყდა თავს, სულაც არ გახლდათ ხმაურიანი ეფექტი. იგი ნამდვილი რისხვის ქარტეხილი, შეურაცხყოფის ქარიშხალი, ლანძღვა-გინებისა და აბუჩად აგდების ნიაღვარი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ კინაღამ ხელითაც შეეხო ერთგულ მრჩეველს. ელისაბედი ქუჩური სიტყვებით ლანძღავდა მოხუცს, გადაყენებით ემუქრებოდა. მართლაც სესილს მოჩვენებითი თვითნებობისათვის აუკრძალა კიდეც ერთხანს სამეფო კარზე გამოცხადება. ახლა ნათელი იყო, რა ჭკვიანურად, რა წინდახედულად მოიქცა ჭეშმარიტი წამქეზებელი უოლსინჰემი, ამ დაძაბულ დღეებში თავი რომ მოიავადმყოფა თუ ავად გახდა. მრისხანების ქარიშხალი მის მოადგილეს, საწყალ დევისონს დაატყდა თავს. მასზე იყარეს ჯავრი. იგი გახდა თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი ელისაბედის უდანაშაულობისა. ელისაბედი ირწმუნებოდა, არავის დაუვალებია მისთვის, სასიკვდილო განაჩენი გადაეცა სესილისათვის და ზედ სახელმწიფო ბეჭედი დაესვათ. იგი თვითნებურად, ჩემი განზრახვისა და

სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა და მის ჯიუტ თვითნებობას მრავალი უბედურება მოჰყვაო. დედოფლის ბრძანებით, ვარსკვლავებიან პალატაში ოფიციალურად აღიძრა საქმე ურჩ, სინამდვილეში კი მეტისმეტად მორჩილი მსახურის წინააღმდეგ. სასამართლოს განაჩენს საზეიმოდ უნდა დაემტკიცებინა მთელი ევროპისათვის, რომ მარიამ სტიუარტს თავი მოჰკვეთეს მხოლოდ ამ არამზადის დანაშაულით და ელისაბედმა არაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, დიდებულებმა, რომ ეფიცებოდნენ, მასთან ერთად გაეყოთ პასუხისმგებლობა, გასაჭირში მიატოვეს ამხანაგი. ეშინოდათ, გააფთრებული დედოფლის რისხვის გამო მინისტრის საკარძლები და შემოსავალი არ დაეკარგათ. დევისონს, ვისაც შეეძლო თავის გასამართლებლად მხოლოდ მუნჯი კედლებისთვის ეხმო (მათ გაიგონეს, რა დავალება მისცა ელისაბედმა), ათი ათასი გირვანქის გადახდა მიუსაჯეს, რაც თვალითაც არასოდეს ენახა და ციხეში ჩასვეს. მერე ჩუმად რაღაც პენსია მიუგდეს, მაგრამ ელისაბედის სიცოცხლეში გულშიც კი ვერ გაივლებდა სამეფო კარზე დაბრუნებას. მისი კარიერა დაიმსხვრა, სიცოცხლე დაენგრა. საშიშია, სამეფო კარის დიდებული მეფის იდუმალ სურვილებს თუ ვერ გამოიცნობს, მაგრამ ზოგჯერ უფრო საშიშია, როცა მეტისმეტად კარგად გამოიცნობს.

თანამედროვეთა მოსატყუებლად უხეშად შეთითხნეს ღვთისმოშიშური ლეგენდა, თითქოს ელისაბედმა არაფერი იცოდა და უდანაშაულო იყო. იქნებ ერთადერთ ადამიანს სწამდა ეს ფანტასტიკური ვერსია: რა საოცარიც უნდა იყოს, სწამდა თვით ელისაბედს. რადგან ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი თვისება ისტერიით დაავადებულთა ან ვისაც მიდრეკილება აქვს ისტერიისკენ, ის გახლავთ, რომ შეუძლიათ, არა მარტო სხვა მოატყუონ, არამედ საკუთარი თავიც. ხშირად სასურველი სინამდვილედ მიაჩნიათ და მათი ჩვენებანი ზოგჯერ კეთილსინდისიერი ტყუილია და ამასთან მეტად საშიშიც. ელისაბედს, ეტყობა, სჯეროდა თავისი უდანაშაულობა და ყველას ეფიცებოდა, რომ არც საქმითა და არც განზრახვით დამნაშავე არ იყო მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯაში. მართალია, ერთი გული ეუბნებოდა, არ დაესაჯა. ჩუმად კი ხელს უწყობდა მის სიკვდილს, მაგრამ არ უნდოდა საკუთარი ყურით მოესმინა ეს. ამ ქალში ყოველთვის გაორებული ბუნება შეიმჩნეოდა. მრისხანებდა საკუთარ თავზე, რატომ არ დავუჯერე გულისხმასო, მრისხანებდა სესილიზე,

ამ ბოროტმოქმედებაში რომ ჩაითრია და თან პასუხისმგებლობის ტვირთიც არ მოაშორა. ელისაბედმა შთააგონა თავის თავს, მარიამ სტიუარტი თითქოს მისი ნების გარეშე დასაჯეს. ამ სიტყვებში მტკიცედ იყო დარწმუნებული. ძნელი არ იყო დაგეჯერებინათ მისთვის, როცა სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილმა მიიღო საფრანგეთის ელჩი და არწმუნებდა, ისე ღრმად არ დავუმწუხრებივარ არც მამის სიკვდილს და არც დისა, როგორც იმის შეგნებამ, რომ ეს საწყალი, სუსტი ქალი მტრებით იყო გარშემორტყმულიო. სახელმწიფო საბჭოს წევრებს ამ უსინდისო ოინის მოწყობისათვის, დიდი ხნის მსახურნი რომ არ ყოფილიყვნენ, ჯალათის კუნძი არ ასცდებოდათო. განაჩენს ხელი მხოლოდ იმიტომ მოაწერე, ჩემი ხალხი დამემშვიდებინა, მის აღსრულებას კი ინგლისის ნაპირებზე მტრის ჯარის გადმოსხმაც ვერ მაიძულებდაო.

ამ ნახევრად სიმართლეს, ნახევრად ტყუილს (თითქოს არ სურდა მარიამ სტიუარტის დასჯა) იცავდა ელისაბედი საკუთარი ხელით დაწერილ წერილში იაკობ VI-სადმი. ახლაც არწმუნებდა, თითქოს საშინლად ატკინა გული „ტრაგიკულმა შეცდომამ“. არც თანხმობა მიმიცია და არც არაფერი ვიცოდიო (without her Knowledge and consent). ღმერთს მოუხმობდა მოწმედ, რომ უდანაშაულო იყო ამ საქმეში, რომ ფიქრადაც კი არ გაუვლია მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯა (she never had thought to put the Queene your mother, to death), თუმცა მრჩევლები ყურებს უჭედავდნენ ჩიჩინით და რადგან თვითონვე გრძნობდა, დევისონი მისთვის მხოლოდ საფარველი იყო, ამაყად განაცხადა, ვერავითარი ძალა ამქვეყნად ვერ მაიძულებდა ჩემი განკარგულება განაჩენის აღმსრულებლისთვის მომეხვია თავსო.

მაგრამ იაკობ VI-ს სულაც არ აინტერესებდა სიმართლის გაგება, მისთვის მთავარი იყო, გაეფანტა ეჭვი, თითქოს გულგრილად იცავდა დედის სიცოცხლეს. რა თქმა უნდა, ისევე როგორც ელისაბედი, მაშინვე ვერ იტყოდა „ამინს“ და „ალილუიას“. თავი ისე უნდა დაეჭირა, თითქოს გაოცებული, აღშფოთებული იყო. საჯაროდაც განაცხადა, ამგვარ დიდ უსამართლობაზე შურს ვიძიებო. ელისაბედის ელჩს აუკრძალა ფეხის დადგმა შოტლანდიის მიწაზე. ელისაბედის წერილის მოსატანად მოსაზღვრე ბერიკში ცხენოსანი გაგზავნა: უნდოდა, მთელი მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ იაკობ VI კბილებს ილესავდა თავისი დედის მკვლელზე. მაგრამ ლონდონის კაბინეტს კარგა

ხანია მოემზადებინა ელექსირი, რის გამოც შვილი უხმოდ „გადაყლაპავდა“ დედის დასჯის ამბავს. ელისაბედის წერილთან ერთად, რაც მსოფლიო არენისათვის იყო გათვალისწინებული, ედინბურგში მეორე, დიპლომატიური წერილიც გაიგზავნა, რომელშიც უოლსინჰემი შოტლანდიის კანცელარიას ატყობინებდა, რომ იაკობ VI ინგლისის ტახტის მემკვიდრედ იყო აღიარებული. მშვენივრად დააჯილდოეს ამ შავბნელი საქმისათვის. ამგვარი ტკბილი სასმელი მართლაც რომ ჯადოსნურად მოქმედებს უსაზღვროდ ტანჯულ კაცზე. იაკობ VI-ს სიტყვაც კი აღარ დაუძრავს მოკავშირეობის ხელშეკრულების დარღვევაზე. არც ის ანაღვლებდა, დედის ცხედარი დაუმარხავი რომ ეგდო სადღაც ეკლესიის მიყრუებულ კუნჭულში. არც იმაზე აღშფოთებულა, რომ უხეშად დაარღვიეს მისი უკანასკნელი სურვილი — საფრანგეთის მიწისთვის მიებარებინათ. თითქოს ჯადოსნურმა ძალამ იმოქმედაო, დარწმუნდა ელისაბედის უდანაშაულობაში და ადვილად დაიჯერა „ტრაგიკული შეცდომის“ ვერსია. „ამით მოიშორებთ დანაშაულს ამ უსიამოვნო საქმეში“ (ye purge youre self of one unhappy fact), — სწერდა ელისაბედს, და როგორც მშვიდი მუქთამჭამელი, ინგლისის დედოფალს უსურვებდა, „მისი სულიერი კეთილშობილება სამუდამოდ ხსომებოდა მსოფლიოს“. სასიამოვნო ნიავმა დაქროლა და დააშშვიდა მისი უკმაყოფილების მშფოთვარე ტალღები. ამიერიდან იაკობ VI-სა და ელისაბედს შორის, ვინც ხელი მოაწერა დედამისის სასიკვდილო განაჩენს, ურღვევი მშვიდობა და თანხმობა დამყარდა.

მორალსა და პოლიტიკას თავ-თავიანთი გზა აქვთ. მოვლენებს სხვადასხვაგვარად ვაფასებთ იმის მიხედვით, მასზე ჰუმანური თუ პოლიტიკური უპირატესობის თვალსაზრისით ვმსჯელობთ. მორალურად შეუძლებელია მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯის მიტევება და გამართლება: ყოველგვარ საერთაშორისო უფლებებს ეწინააღმდეგება მშვიდობიანობის დროს ტყვედ იყოლიო მეზობელი ქვეყნის დედოფალი, მერე ჩუმად დაგრიხო თოკი და ვერაგულად მიაჩეჩო ხელში. მაგრამ იმის უარყოფა მაინც არ შეიძლება, რომ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით მარიამ სტიუარტის თავიდან მოშორება ინგლისისათვის სასიკეთო ღონისძიება იყო, რადგან კრიტერიუმად პოლიტიკაში, სამწუხაროდ, უფლება კი არ მიაჩნიათ, არამედ წარმატება. ამ თვალსაზრისით გამართლებულია მარიამ სტიუარტის

მკვლელობა, რადგან ამან ინგლისსა და მის დედოფალს მშვიდობა მოუტანა. სესილმა და უოლსინჰემმა სწორად განსაჯეს ვითარება, მათ იცოდნენ, სხვა სახელმწიფოებს შეეშინდებოდათ ხმა აღემაღლებინათ ჭეშმარიტად ძლიერი ინგლისის წინაშე და თვალს მოარიდებდა მის მოძალადეობრივ მოქმედებასა და დანაშაულსაც კი. მათ სწორად ივარაუდეს, რომ მსოფლიოს არ აღაშფოთებდა მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯა. მართლაც, შურისძიების დაფდაფები საფრანგეთსა და შოტლანდიაში უცბად შეწყდა. ჰენრიხ III-ს სულაც არ გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან. მაშინ კიდევ ჰო, როცა ცოცხალი მარიამ სტიუარტის დახსნა იყო საჭირო, მაგრამ ახლა სულაც არ აპირებდა თუნდაც ერთი ჯარისკაცის გაგზავნას სრუტის გაღმა. ბრძანა, ნოტრ-დამში დიდებული სამგლოვიარო მესა გადაეხადათ. მისმა პოეტებმა რამდენიმე ელეგიური სტროფიც კი დაწერეს დედოფლის პატივსაცემად. ამით ამოიწურა საფრანგეთისათვის მარიამ სტიუარტის საკითხი და დავიწყებას მიეცა. შოტლანდიის პარლამენტში ცოტათი ახმაურდნენ, იაკობ VI სამგლოვიაროდ შეიმოსა, მაგრამ არ გასულა ცოტა ხანი და უკვე გაემგზავრა სანადიროდ ელისაბედის ნაჩუქარი ცხენებითა და მაძებარი ძაღლებით. წინანდებურად კეთილი მეზობელი გახდა, როგორიც კი ჰყოლია ინგლისს ოდესმე. მხოლოდ ზოზინა ფილიპე ესპანელი მოეგო საბოლოოდ გონს და თავისი არმადა შეაიარაღა, მაგრამ იგი მარტოდმარტო აღმოჩნდა ბედნიერებითა და დიდებით მოსილი ელისაბედის პირისპირ. სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდა, არმადა ნამსხვრევებად აქცია ქარიშხალმა და ამით კრახი განიცადა კონტრრეფორმაციის შეტევის კარგა ხნის ნალოლიავებმა გეგმამ. ელისაბედმა საბოლოოდ გაიმარჯვა, ინგლისიც მარიამ სტიუარტის სიკვდილით გათავისუფლდა უდიდესი საფრთხისგან. თავდაცვის დრო წავიდა. ამიერიდან ინგლისის ფლოტი გადასერავდა ოკეანეებს, გაემართებოდა შორეული მიწებისკენ და შემოუერთებდა მათ მსოფლიო იმპერიას. ინგლისის აურაცხელ სიმდიდრეს ელისაბედის მეფობის წლებში მოჰყვა ხელოვნების ახალი აყვავება. არასოდეს დედოფლით ისე არ ყოფილან აღტაცებულნი, ისე არ უყვარდათ იგი და თაყვანს სცემდნენ, როგორც ამ სამარცხვინო საქმის შემდეგ. სიმკაცრისა და უსამართლობის გრანიტისგან ააგეს დიდებული სახელმწიფო შენობა და თანდათან სისხლით ამტკიცებდნენ მის საძირკველს. პოლიტიკაში დამ-

ნაშავენი მხოლოდ დამარცხებულნი გამოდიან. უმოწყალოდ აბიჯებს ისტორია მათ გვამებზე.

მაგრამ მარიამ სტიუარტის შვილს სერიოზული განსაცდელი ელოდა: როგორც ოცნებობდა, ისე ჩქარა ვერ ავიდოდა ინგლისის ტახტზე. როგორც ეგონა, ისე ჩქარა ვერ მიიღებდა შეპირებულ საზღაურს თავისი მოღალატური საქციელისთვის. პატივმოყვარე კაცისთვის უდიდესი სატანჯველი იყო ლოდინი, ლოდინი, ლოდინი თხუთმეტ წელიწადს, თითქმის იმდენ ხანს, რაც დედამისი იტანჯებოდა ელისაბედის ტყვეობაში. იძულებული იყო, გულხელდაკრეფილი მჯდარიყო ედინბურგში და ეცადა, ეცადა, სანამ დედაბერს სკიპტრა არ გაუვარდებოდა გაყინული ხელებიდან. უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა, იჯდა თავის შოტლანდიურ ციხე-კოშკებში, დადიოდა სანადიროდ, წერდა ტრაქტატებს რელიგიურ-პოლიტიკურ თემებზე, მაგრამ ყველა საქმე ერთთან იყო დაკავშირებული — უსასრულო, უნაყოფო და გაბოროტებულ ლოდინთან, ლონდონიდან რაიმე ამბის მოსვლაზე. ამბავი კი არა და არ მოდიოდა. მეტოქის სისხლს თითქოს ახალი სიცოცხლე მიენიჭებინა ელისაბედისათვის. მარიამ სტიუარტის სიკვდილმა სიმტკიცე, ჯანმრთელობა შემატა, უფრო მეტად სწამდა თავისი თავისა. გაქრა უძილო ღამეები, აღარ განიცდიდა სინდისის ქენჯნას, ყოყმანს, რაც თვეებისა და წლების განმავლობაში სტანჯავდა. ყველაფერი მოგვარდა, უკვალოდ წაშალა სიმშვიდემ, მის ქვეყანას, მის მმართველობას რომ მიენიჭა. ვერც ერთი მოკვდავი ამიერიდან ვერ შეეცილებოდა გვირგვინში, ეს ეჭვიანი ქალი სიკვდილსაც კი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, მასაც კი არ დაუთმობდა გვირგვინს. სამოცდაათი წლის მხნე მოხუცს სიკვდილი არ უნდოდა. მთელი დღეობით დაეხეტებოდა სასახლეში, ოთახიდან ოთახში დაბორიალებდა, სიმშვიდეს ვერსად პოულობდა. გააფთრებით და დიდებულად ეწინააღმდეგებოდა სიკვდილს, არ სურდა ვინმესთვის დაეთმო ამქვეყნად ტახტი, რის მოსაპოვებლადაც ასე შეუპოვრად და ულმობლად იბრძოდა.

მაინც დაჰკრა აღსასრულის საათმა. დამარცხდა სიკვდილთან ბრძოლაში, მაგრამ ფილტვებიდან კვლავ ხრიალი ამოსდიოდა, თუმცა ნელა, მაინც ძგერდა დაუცხრომელი გული. ფანჯრის ქვეშ, შეკაზმულ ცხენზე, შოტლანდიის მოუთმენელი მემკვიდრის შიკრიკი იჯდა და ნიშანს ელოდა: სამეფო კარის ერთმა მანდილოსანმა

აღუთქვა, შეწყვეტდა თუ არა დედოფალი სუნთქვას, ფანჯრიდან ბეჭედს გადაუგდებდა. გადიოდა საათები, შიკრიკი ამაოდ იცქირებოდა ზემოთ. მოხუცი ქალწული დედოფალი, რომელმაც უარყო ამდენი ხელისმაძიებელი, ახლოს არ უშვებდა სამარის კარის საქმროს. ბოლოს, 24 მარტს, გაიღო ფანჯარა, საჩქაროდ გადმოყო ქალმა ხელი, ჩამოვარდა ბეჭედი. შიკრიკი სასწრაფოდ მოახტა ცხენს და ორ დღენახევარს შეუსვენებლივ აჭენებდა ედინბურგამდე. ეს ცხენის ჭენება საუკუნეებს დაამახსოვრდა. ისევე, როგორც ოცდაჩვიდმეტი წლის წინ ლორდი მელვილი ედინბურგიდან გაქაფულ ცხენს მიაჭენებდა, რომ ელისაბედისთვის შეეტყობინებინა, მარიამ სტიუარტს ვაჟიშვილი შეეძინაო, ახლაც ეს შიკრიკი ცხენს მიაჭენებდა ვაჟიშვილთან, რათა ემცნო, ელისაბედის სიკვდილმა მეორე გვირგვინი მოუტანა. ამ წუთიდან იაკობ VI ინგლისის მეფეც გახდა და იაკობ I-ც. მარიამ სტიუარტის შვილმა სამუდამოდ დაიდგა ორივე გვირგვინი. დამთავრდა მრავალ თაობათა აბედითი ბრძოლა. ხანდახან ისტორია ბნელ, მიხვეულ-მოხვეულ გზებს ირჩევს, მაგრამ უეჭველად სრულდება მისი გონივრული მიზნები, ისტორიულ გარდაუვალობას უეჭველად თავისი უფლებები ენიჭება.

იაკობ I გემოვნებით მოეწყო უაიტჰოლში, რაზეც დედამისი ოცნებობდა. როგორც იქნა, გათავისუფლდა მუდმივი უფულობისგან, დაკმაყოფილდა მისი პატივმოყვარეობა. ახლა მხოლოდ სიცოცხლით დატკბობაზე ფიქრობდა და არა უკვდავებაზე. ხშირად დადიოდა სანადიროდ, თეატრში, სადაც (მისი ერთადერთი დამსახურება ეს გახლავთ) მფარველობას უწევდა ვინმე შექსპირსა და სხვა ღირსეულ მელექსეებს. ჩაჩანაკს, ზარმაცსა და უნიჭოს არც ელისაბედის სულიერი ძალები გააჩნდა, არც თავისი რომანტიკული დედის სიმამაცე და გზნება, ისე მართავდა ამ ორივე მეტოქე ქალის სამემკვიდრეოს, რისკენაც ორივე უდიდესი სულიერი გზნებით ისწრაფოდა. მას კი უბრძოლველად, ციურ მანანასავით ესხურა მოთმინებით ლოდინში. მაგრამ ახლა, როცა ინგლისი და შოტლანდია გაერთიანებულია, უნდა დავივიწყოთ, რომ ოდესღაც შოტლანდიისა და ინგლისის დედოფლები ერთმანეთს სიცოცხლეს უწამლავდნენ მტრობითა და სიძულვილით. ნუ გავამართლებთ ერთს, ან მეორეს ნუ დავადანაშაულებთ. სიკვდილმა გაათანასწორა ორივე დიდებული მეტოქე. მთელი სიცოცხლე ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ახლა კი შეუძლიათ

მშვიდად განისვენონ ერთმანეთის გვერდით. იაკობ I-მა ბრძანა, თავისი დედის ნეშტი პიტერსბოროუს სასაფლაოდან, სადაც განკიცხულივით მარტო განისვენებდა, ჩირაღდნების სადღესასწაულო შუქზე ვესტმინსტერის საბატოში, ინგლისის მეფეთა განსასვენებელში გადმოეტანათ. საფლავზე ქვისგან გამოთლილი მარიამ სტიუარტის ქანდაკება დადგეს, მის მახლობლად კი დგას ასევე ქვისგან გამოთლილი ელისაბედის ქანდაკება. ძველი მტრობა სამუდამოდ ჩაცხრა. ახლა აღარ ექიშპებიან ერთმანეთს უფლებასა და სამფლობელოს. სიცოცხლეში ასე რომ გაურბოდნენ და არასოდეს უნახავთ ერთმანეთი, ახლა გვერდიგვერდ განისვენებენ და უკვდავების, ყოვლის გამათანასწორებელი წმინდა ძილით სძინავთ.

შენიშვნები

გვ. 13.

რეფორმაცია — მე-16 საუკუნეში დასავლეთ ევროპაში: ანტიფეოდალური ხასიათის სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც გამოვლინდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გვ. 14.

ერესი (ბერძნ.) — რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს; მწვალებლობა.

გვ. 16.

კონდოტიერი (იტალ.) — დაქირავებული რაზმის წინამძღოლი.

გვ. 17.

ლაიბ-გვარდია (გერმ.) — ზოგი რჩეული სამხედრო ნაწილის საპატიო სახელწოდება (წინათ ეწოდებოდა მეფის პირად დაცვას).

გვ. 21.

დოფინი — საფრანგეთის სამეფო ტახტის ტიტული (1830 წლის ივლისის რევოლუციამდე); ამ ტიტულის მქონე პირი.

გვ. 23.

ბასტარდი (ლათ.) — (ბიოლ.), სხვადასხვა სახეობის ან გვარის ორგანიზმების შეჯვარების შედეგად მიღებული შთამომავალი; შორეული ჰიბრიდი. აქ: უკანონო შვილი.

გვ. 26.

მადრიგალი (ფრ.) — მცირე ზომის ლირიკული ლექსი, ჩვეულებრივ მიძღვნილი ქალისადმი.

გვ. 47.

კაპერი (ჰოლანდ.) — კერძო გემი, რომელიც თავისი მთავრობის

ნებართვით ნადირობდა კონტრაბანდით დატვირთული მტრისა და ნეიტრალური ქვეყნების გემებზე.

გვ. 53.

კანცონა (იტალ.) — შუა საუკუნეების ტრუბადურთა პოეზიაში: განსაკუთრებული ფორმის ლირიკული ლექსი რაინდულ სიყვარულზე; ლირიკული სიმღერა.

გვ. 85.

პალადინი (ფრ.) — შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: რაინდი მეფის ამალაში.

გვ. 90.

კუნქტატორი (ლათ.) — ზოზინა, გაუბედავი, მეტისმეტად ფრთხილი.

გვ. 207.

შტალმაისტერი (გერმ.) — მონარქიულ სახელმწიფოში ერთ-ერთი ჩინი სამეფო კარზე.

გვ. 214.

ფურია (ლათ.) — რომაულ მითოლოგიაში: შურისძიების ქალღმერთი.

გვ. 279.

პანდორას ყუთი — პანდორა ბერძნულ მითოლოგიაში მშვენიერი ქალია, რომელსაც ზევსმა მისცა ადამიანის ყველა უბედურებით სავსე ყუთი. ცნობისმოყვარეობის გამო მან ახადა ყუთს თავი და გათავისუფლებული უბედურებანი მოედვნენ ქვეყანას. აქედან: პანდორას ყუთი — ყოველგვარი უბედურების წყარო.

გვ. 296.

კომპლოტი (ფრ.) — შეთქმულება.

სარჩევი

შესავალი.....5
მოქმედი პირნი.....9
ჩვილი დედოფალი..... 13
საფრანგეთში გატარებული ყმაწვილქალობა.....24
ქვრივი, მაგრამ მაინც დედოფალი.....36
შოტლანდიაში დაბრუნება.....51
ქვა დაგორდა..... 66
დიდი პოლიტიკური საქორწინო ბაზრობა.....78
მეორედ გათხოვება.....97
საბედისწერო ღამე ჰოლირუდში.....112
ერთგული მოღალატენი.....130
გაუვალ ტევრში..... 145
ერთი სიყვარულის ტრაგედია.....161
გზა მკვლელობისკენ..... 183
QUOS DEUS PERDERE VULT… .....
არსაით გზა ხსნისა.....216
ტახტიდან ჩამოგდება 239
თავისუფლების დაკარგვა 252
ლტოლვილს კისერზე მარჯუჭი ჩამოაცვეს.....265
მარჯუჭს უჭერენ..... 276
ჩრდილში გატარებული წლები.....288
უკანასკნელი წრე..... 302
მოახლოებული აღსასრული..... 314
ელისაბედი ელისაბედის წინააღმდეგ.....336
„ვითა დავღამდი, ისე გავთენდი“.....357
ეოდევილი.....369

50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ

„კვირის პალიტრის“ ბიბლიოთეკა

წიგნი 20

რედაქტორი **ელენე სალარიძე**
კორექტორები: **ნანა მაჭავარიანი**
მარინა ინანიშვილი
ნინო აბესაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა **გიორგი ასათიანი**
ყდის დიზაინი **ეთერ გზირიშვილი**
პროექტის მენეჯერი **თინათინ ასათიანი**

გამომცემლობა პალიტრა L, 2011
მისამართი: იოსებიძის ქ. 49, ტელ.: 38-38-71
E-mail: book@palitra.ge
www.50.kvirispalitra.ge

სერიის ფინა
ფიგნები



წიგნი 1

ონორე დე ბალზაკი
შაგრენის ტყავი

წიგნი 2

ჯეკ ლონდონი
მარტინ იდენი

წიგნი 3

შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი

წიგნი 4

ალექსანდრე დიუმა
სამი მუშკეტერი
ორ ტომად



წიგნი 5

უილიამ შექსპირი
ჰამლეტი

წიგნი 6

ჟიულ ვერნი
80 000 კილომეტრი
წყალქვეშ



წიგნი 7

მიხაილ ბულგაკოვი
ოსტატი და მარგარიტა



წიგნი 8

ოსკარ უაილდი
დორიან გრეის პორტრეტი



წიგნი 9

ჩარლზ დიკენსი
დევიდ კოპერფილდი



წიგნი 10

ერიხ მარია რემარკი
ტრიუმფალური თაღი



წიგნი 11

ფრედერიკ ბეგბედერი
99 ფრანკი

წიგნი 12

ედგარ პო
მოთხრობები



წიგნი 13

ჰომეროსი
ოდისეა



წიგნი 14

მაინ რიდი
უთავო მხედარი

წიგნი 15

თომას მანი
ბუდენბროკები
ორ ტომად

წიგნი 16

მარკ ტვენი
ტომ სოიერის
თავგადასავალი



წიგნი 17

კონსტანტინე გამსახურდია
დიდოსტატის
კონსტანტინეს
მარჯვენა

წიგნი 18

მიგელ დე სერვანტესი
დონ კიხოტი
ორ ტომად



წიგნი 19

ო’ ჰენრი
მოთხრობები

სერიის მომდევნო წიგნები

მარიო პიუზო
ნათლია

გუსტავ ფლობერი
მადამ ბოვარი



ჯორჯ ორუელი
1984